სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი I, №2

Volume I, No 2

2018

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2017 წლის 17-18 ნოემბერს ჩატარებულ მეათე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები“ სექციებზე - „მათემატიკა და ინფორმატიკა“, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“, „ბიზნესი და ეკონომიკა“, „სოციალური მეცნიერებები და სამართალი“ წარმოდგენილი ნაშრომები, რომლებმაც გაიარეს რეცენზირება.

In the current issue of LEPL – Gori State Teaching University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the works, that were presented at the sections – “Mathematics and Informatics”, “Natural Sciences”, “Business and Economics”, “Social Sciences and Law” at the Xth International Scientific Conference – “Internalization of Higher Education: Challenges and Perspectives”, held by Gori State Teaching University on November 17-18, 2017. All the works have been reviewed.

სარედაქციო კოლეგია:

- **გიორგი სოსიაშვილი** - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- **ვიანორ ახალაია** (საქართველო);
- **გიზო გოგიჩაიშვილი** (საქართველო);
- **გიორგი გოგიჩაძე** (საქართველო);
- **იან მალიცკი** (პოლონეთი);
- **თეიმურაზ მთიბელაშვილი** (საქართველო);
- **დიმიტრი ნადირაშვილი** (საქართველო);
- **იურგიტა რაუდელიუნიენე** (ლიტვა);
- **ზვიად როგავა** (საქართველო);
- **მანანა რუსიეშვილი** (საქართველო);
- **სოსო სიგუა** (საქართველო);
- **იანის სტრადინში** (ლატვია);
- **ომარ ფურთუხია** (საქართველო);
- **ჰარუნ ჩიმქე** (თურქეთი);
- **ჯემალ ძაგანია** (საქართველო);
- **ქეთევან ჭკუასელი** (საქართველო);
- **მიხეილ ჯიბუტი** (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- **Giorgi Sosiashvili** - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- **Vianor Akhalaia** (Georgia);
- **Gizo Gogichaishvili** (Georgia);
- **Giorgi Gogichadze** (Georgia);
- **Jan Malicki** (Poland);
- **Teimuraz Mtibelashvili** (Georgia);
- **Dimitri Nadirashvili** (Georgia);
- **Jurgita Raudeliuniene** (Lithuania);
- **Zviad Rogava** (Georgia);
- **Manana Rusieshvili** (Georgia);
- **Soso Sigua** (Georgia);
- **Janis Stradinsh** (Latvia);
- **Omar Purtukhia** (Georgia);
- **Harun Chimke** (Turkey);
- **Jemal Dzagania** (Georgia);
- **Ketevan Chkuaseli** (Georgia);
- **Mikheil Jibuti** (Georgia).

TECHNICAL EDITOR:
Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author`s or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

ISSN 2587-4683

შ ი ნ ა ა რ ს ი

მათემატიკა და ინფორმატიკა

ინგა აბულაძე, ნატალია გაბაშვილი, თამარ გაბაშვილი – *სააფთიაქო სისტემის ეფექტური მართვის იმიტაციური მოდელის დამუშავება* – 9
დავით ზარნაძე, სოსო ცოტნიაშვილი – *მატერიალური იმპლიკაციის ოპერაციის შესაბამისი 3-შემავლიანი სქემები რიცხვით ელექტრონიკაში* – 13
ზურაბ ზერაკიძე, ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური – *ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმების შესახებ* – 20
პავლე მიდოდაშვილი, ლევან მიდოდაშვილი – *ყალიბრული ველების გრავიტაციული ლოკალიზაცია მდგარი ტალღების 6-განზომილებიან მემბრანულ სამყაროში* – 22
თინათინ მშვიდობაძე – *მონაცემების უსაფრთხოების საკითხები ღრუბლოვან კომპიუტინგში შიფრირების ალგორითმების გამოყენებით* – 29
ზურაბ სულთანიშვილი – *ზოგიერთი რეკომენდაცია მატრიცათა ალგებრის სწავლებისას* – 33
კარლო ცერცვაძე, აკაკი ცერცვაძე – *ოპტიმალური ფასიანი ქაღალდების პორტფელის შედგენის პრობლემა* – 38

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ლალი აზმაიფარაშვილი, გიორგი მძინარაშვილი – *ფიზიკური აღზრდის როლი და მნიშვნელობა პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებაში* – 41
ნარგიზ ალასანია, დარეჯან ჯაში, ლამზირა გორგილაძე – *in vitro პირობებში ლურჯი მოცვის სანერგე მასალის მისაღებად პირველადი ექსპლანტის სტერილიზაციის პირობები* – 44
ნანა ბერძენიშვილი – *თბილისის საჰაერო ავზის ამჟამინდელი მდგომარეობა* – 47
მარინე გვიანიძე, ევგენია შენგელია, ლერი გვასალია – *ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პირველად სალექრებში ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილების შემცირების მიახლოებითი დონის განსაზღვრის მათემატიკური მოდელი* – 51
ნელი გოგინაშვილი – *ბიოელემენტების ფიზიოლოგიური როლი და მათი შემცველობა Poaceae (Gramineae) ოჯახის მცენარეებში* – 53
გუგული დუმბაძე – *მდინარე კინტრიშის დამაბინძურებელი წყაროები და წყლის ხარისხობრივი მდგომარეობა* – 60
ალექსანდრე იაშვილი, მამია ტუღუში – *სპორტსმენის ემოციური მდგრადობის ფორმირება* – 64
ნინო ლომთათიძე, ნათია ღაჭავა – *სასმელი წყლის ეკოლოგიური მდგომარეობა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე* – 69
ნელი პაპუკაშვილი – *ფიზიკური აღზრდა და სპორტი შუა საუკუნეების საქართველოში (შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)* – 74
მამია ტუღუში, ნელი პაპუკაშვილი – *სასტარტო მდგომარეობა, სპორტსმენის ემოციური აგზნებულობა და ორგანიზმის შეგუებითი რეაქციები* – 80
მარიამი უბირია – *დაბალი კლასების მოსწავლეების მორფოლოგიური და ფუნქციონალური მაჩვენებლები სხვადასხვა დონის მოძრაობითი აქტიურობით* (რუსულ ენაზე) – 86
ესმა წკრიალაშვილი – *ზოგიერთი ფოსფორორგანული ინსექტიციდის ანალოგების სინთეზი* – 89

ბიზნესი და ეკონომიკა

ინგა აბულაძე – *ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარებისათვის* – 92
მაია აზმაიფარაშვილი, მარინა მეტრეველი – *ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში* – 94

თეა ანესაშვილი – *„ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ეკონომიკური ტრანსფორმაცია საქართველოში* – 100
ხათუნა ბებნაძე – *ელექტრონული მართვის აქტუალური საკითხები* – 104
იზოლდა გაბადაძე, ინეზა წერეთელი, ნინო მუშკუდიანი – *ინფლაცია და მისი მოდელები* – 107
გიული გიგუაშვილი – *შიდა ქართლის ძირითადი საკურორტო ზონები და სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივა* – 114
მანია გოგიძე – *ფრენშაიზინგის განსხვავებული მახასიათებლები* – 118
ნინო ვანიშვილი, მერაბ ვანიშვილი – *კორპორაციული მართვის ეროვნული მოდელის თავისებურებანი* – 122
თამარ ზირაქაშვილი – *საბანკო სფეროში მოგების გადასახადის რეფორმების ძირითადი მიმართულებანი* – 128
მაია თეთრუაშვილი – *ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის გამოწვევები* – 132
აიგულ ჩინგიზ კიზი ისმაილოვა, ფარხად შირინ ოღლუ აზიზოვი – *ინოვაციური გზებით აგრარული სექტორის განვითარების როლი და მნიშვნელობა რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის* (ინგლისურ ენაზე) – 136
ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე – *ავტოსატრანსპორტო და ქონების დაზღვევის განვითარების ტენდენციები* – 138
ნათია კახნიაშვილი – *მრავალგანზომილებიანი სიღარიბის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში* – 141
ნინო ლიპარტელიანი – *ანდერრაიტინგი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე* – 144
თამარ მაკასარაშვილი – *საქართველოში სასტუმრო ბიზნესის მართვის ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების დანერგვა–განვითარების ტენდენციები* – 148
ლეილა მამულაშვილი, მაკა სოსანიძე – *განათლება და ინოვაცია - ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის* – 151
რუიზან მექვაბიძე – *საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ: გორის უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მენეჯმენტის ანალიზი, 1997-2017* – 155
ნანა ნადირაძე – *მცირე და საშუალო მეწარმეობის SWOT ანალიზი და განხორციელებული პროექტები* – 165
ნინო ორჯონიკიძე, მანანა ჯაფიაშვილი – *სახელმწიფო საწარმოები და მათი კლასიფიკაცია* – 169
ლალი ოსაძე, სოფიო ცეცხლაძე – *კონკურენციის პოლიტიკა და საქართველო* – 174
ლია ოტიაშვილი – *უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები* – 179
თამაზ ქობულაშვილი – *შიდა ქართლის ეკოტურისტული პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები* – 182
თამაზ ქობულაშვილი, გია ედიშერაშვილი – *მდინარე ტანას ხეობის დაბალი და საშუალო ზონების საფეხმავლო მარშრუტები* – 187
გიორგი ყაზიშვილი – *მომსახურების მარკეტინგი და მომსახურების ბაზარი: თავისებურებები და განვითარების ტენდენციები* – 190
ხალიანა ჩიტაძე – *საქართველოში აქციზის გადასახადის რეფორმის როლი ბიუჯეტის ზრდის საკითხებში და პრობლემები* – 197
თეა ხორგუაშვილი – *ფულის მართვისა და ლიკვიდობის კონცეპტუალური საკითხები და გავლენა საჯარო ფინანსების მართვაზე (PFM)* – 200
მაია ჭანია – *ბიზნესზე სახელმწიფოს ზემოქმედების მიმართულებები, ტენდენციები და პერსპექტივები* – 205
თინა ჯოლბორდი – *უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ზოგიერთი საკითხი ბუღალტრულ აღრიცხვაში* – 210

სოციალური მეცნიერებები და სამართალი

ნუგზარ აბრამიშვილი – *არისტოტელე თეოლოგიის საგნის შესახებ* – 212
ივანე ბალახაშვილი – *გირავნობა* – 215
ელენე გერმანოზაშვილი – *მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში* – 221

დავით გეფერიძე – *მოქალაქეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო-სამართლებრივი საკითხები* – 227
დავით გუგავა – *სამართლებრივი აღზრდა როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი* – 232
თეიმურაზ დარსანია – *დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი იტალიურ სისხლის სამართალში* – 236
ნოდარ დარსანია – *პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების კვლევისათვის* – 238
კლარა ელჩიბეგაშვილი – *აღორძინების ეპოქა საქართველოში და ქართული ნეოპლატონიზმი* – 241
ანა იმნაძე – *კომუნიკაციის ტექნიკა ოპერატიული მუშაობის მიმდინარეობისას (არსი, ფუნქცია, სტრუქტურა)* – 245
ირმა კეცხოველი – *დემოგრაფიული სიდუხჭირე თანამედროვე საქართველოში* – 249
ნუნუ კვანტალიანი – *მტკიცების პროცესის თავისებურება საოჯახო დავებში (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)* – 258
ქეთევან კვინიკაძე – *კონსტიტუციური რეგულირების ფარგლები მუნიციპალურ დონეზე საარჩევნო უფლების მოწესრიგებასთან დაკავშირებით* – 265
ალექსანდრე ლეკიშვილი – *პატივი და ღირსება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების გვირგვინი* – 271
ნესტან ლომაია – *გენდერის პრობლემა და ევოლუცია თანამედროვე საზოგადოებაში* – 277
მაკა სალხინაშვილი – *მომსახურების კომერციული ხარისხის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში* – 281
ბექა ტოლიაშვილი – *არაცნობიერის არსი კარლ იუნგის თეორიის მიხედვით* – 287
მარი ქუთათელაძე – *განრიდება და მედიაცია სისხლის სამართლის პროცესში* – 290
მაია ყუშიტაშვილი – *მტკიცების პროცესის მიზნის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში* – 297
მიხეილ შაყულაშვილი – *კორუფციულ დანაშაულთა კლასიფიკაციის საკითხი* – 303
თეა ცაავა – *თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები* – 310
ნანული (ნანა) ცხვედაძე – *სინდისი, როგორც ქცევის რეგულაციური მექანიზმი და მორწმუნეობა* – 315
ელგუჯა ჭანტურია – *ლიზინგის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში* – 323
ია ხარაზი – *მომხმარებელთა უფლებების დაცვის პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტების შესახებ წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის (შედარებითი ანალიზი)* – 330
დავით ხობელია – *ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა საფრანგეთში* – 337

C O N T E N T S

Mathematics and Informatics

Inga Abuladze, Natalia Gabashvili, Tamar Gabashvili − *PROCESSING OF IMITATION MODEL'S FOR EFFICIENT MANAGEMENT OF DRUGSTORE SYSTEM* − 9
Davit Zarnadze, Soso Tsotniashvili − *THE 3-INPUT GATES CIRCUITS CORRESPONDING TO THE MATERIAL IMPLICATION OPERATION IN THE DIGITAL ELECTRONICS* − 13
Zurab Zerakidze, Lela Aleksidze, Laura Eliauri − *ABOUT THE CONSISTENT CRITERIA OF CHECKING HYPOTHESES* − 20
Pavle Midodashvili, Levan Midodashvili − *GRAVITATIONAL LOCALIZATION OF GAUGE FIELDS IN 6D STANDING WAVE BRANEWORLD* − 22
Tinatin Mshvidobadze − *DATA SECURITY ISSUES USING ENCRYPTION ALGORITHMS IN CLOUD COMPUTING* − 29
Zurab Sultanishvili − *SOME RECOMMENDATION FOR STUDYING MATRIX ALGEBRA* − 33
Karlo Tsertsvadze, Akaki Tsertsvadze − *A PROBLEM OF CREATING A PORTFOLIO FOR OPTIMAL SECURITIES* − 38

Natural Sciences

Lali Azmaiparashvili, Giorgi Mdzinarashvili − *THE ROLE AND IMPORTANCE OF PHYSICAL EDUCATION IN THE HARMONIOUS DEVELOPMENT OF A PERSON* − 41
Nargiz Alasania, Darejan Jashi, Lamzira Gorgiladze − *CONDITIONS FOR STERILIZATION OF PRIMARY EXPLANT CULTURE FOR GETTING THE NURSERY MATERIAL OF BLUEBERRY IN VITRO CONDITIONS* − 44
Nana Berdzenishvili − *CURRENT STATE OF TBILISI AIR ENVIRONMENT* − 47
Marine Gvianidze, Evgenia Shengelia, Leri Gvasalia − *THE MATHEMATICAL MODEL OF DEFINING THE APPROXIMATE LEVEL OF REDUCTION OF CHEMICAL OXYGEN DEMAND IN PRIMARY SEDIMENT FILTERS OF THE WASTEWATER PURIFICATION PLANT* − 51
Neli Goginashvili − *PHYSIOLOGICAL ROLE OF BIOELEMENTS AND THEIR COMPOSITION IN THE PLANTS OF THE FAMILY POACEAE (GRAMINEAE)* − 53
Guguli Dumbadze − *SOURCES OF POLLUTION AND WATER QUALITY OF THE RIVER KINTRISHI* − 60
Aleksandre Iashvili, Mamia Tughushi − *FORMATION OF A SPORTMAN`S EMOTIONAL STABILITY* − 64
Nino Lomtatidze, Natia Ghachava − *ECOLOGICAL CONDITION OF THE DRINKING WATER ON THE TERRITORY OF BATUMI CITY* − 69
Neli Papukashvili − *PHYSICAL EDUCATION AND SPORT IN MIDDLE AGE GEORGIA (ACCORDING TO SHOTA RUSTAVELI "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN")* − 74
Mamia Tughushi, Neli Papukashvili − *STARTING POINT, EMOTIONAL AGGRESSION IN SPORTSMAN AND ORGANISM REACTIONS* − 80
Mariami Ubiria − *MORPHOLOGICAL AND FUNCTIONAL PARAMETERS OF YOUNGER PUPILS WITH VARIOUS LEVELS OF MOTOR ACTIVITY* (in Russian) − 86
Esma Tskrialashvili − *SYNTHESIS OF SOME PHOSPHORORGANIC INSECTICIDES ANALOGS* − 89

Business and Economics

Inga Abuladze − *TO USE INNOVATIVE INFORMATION TECHNOLOGY FOR TOURISM BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA* − 92
Maia Azmaiparashvili, Marina Metreveli − *TOURISM DEVELOPMENT PERSPECTIVES IN SHIDA KARTLI* − 94
Tea Anesashvili − *FURTHER ECONOMIC TRANSFORMATION IN GEORGIA AFTER THE "ROSE REVOLUTION"* − 100
Khatuna Bebnadze − *CURRENT ISSUES IN ELECTRONIC GOVERNANCE* − 104
Izolda Gabadadze, Ineza Tsereteli, Nino Mushkudiani − *INFLATION AND ITS MODELS* − 107
Giuli Giguashvili − *THE MAIN RESORT ZONES OF SHIDA KARTLI AND PROSPECTS FOR DEVELOPMENT OF RURAL TOURISM* − 114
Mania Gogidze − *DIFFERENT FEATURES OF FRANCHISING* − 118

Nino Vanishvili, Merab Vanishvili − *PECULIARITIES OF THE NATIONAL MODEL OF CORPORATE MANAGEMENT* − 122
Tamar Zirakashvili − *MAIN DIRECTIONS OF TAX REFORMS IN BANKING SECTOR* − 128
Maia Tetruashvili − *THE CHALLENGES OF THE SECOND DECADE OF THE TWENTY-FIRST CENTURY* − 132
Aygun Chingiz qizi Ismayilova, Farkhad Shirin oglu Azizov − *THE ROLE AND IMPORTANCE THE DEVELOPMENT OF AGRARIAN SECTOR WITH THE INNOVATIVE WAYS FOR IMPROVING THE SOCIO-ECONOMIC SITUATION OF THE REGION'S POPULATION* (in English) − 136
Nato Kakashvili, Khatuna Barbakadze − *TRENDS IN THE DEVELOPMENT OF ROAD TRANSPORT AND PROPERTY INSURANCE* − 138
Natia Kakhniashvili − *DETERMINANTS OF MULTIDIMENSIONAL POVERTY IN GEORGIA* − 141
Nino Liparteliani − *UNDERWRITING ON THE STOCKS MARKET* − 144
Tamar Makasarashvili − *INTRODUCTION AND DEVELOPMENT TENDENCIES OF THE INNOVATIVE TECHNOLOGICAL SERVICES OF THE HOTEL BUSINESS MANAGEMENT IN GEORGIA* − 148
Leila Mamulashvili, Maka Sosanidze − *EDUCATION AND INNOVATION - FOR THE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY* − 151
Ruizan Mekvabidze − *FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS: ANALYSIS OF MANAGEMENT OF INTEGRATION OF GORI UNIVERSITY INTO THE INTERNATIONAL EDUCATION AREA, 1997-2017* − 155
Nana Nadiradze − *SMALL AND MEDIUM ENTERPRISES SWOT ANALYSES AND IMPLEMENTED PROJECT* − 165
Nino Orjonikidze, Manana Japiashvili − *STATE-OWNED ENTERPRISES AND THEIR CLASSIFICATION* −169
Lali Osadze, Sophio Tsetskhladze − *COMPETITION POLICY AND GEORGIA* − 174
Lia Otiashvili − *ISSUES REGARDING REFINEMENT OF BUDGET PLANNING MANAGEMENT OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS* −179
Tamaz Kobulashvili − *ECOTOURIST POTENTIAL OF SHIDA KARTLI AND THE PERSPECTIVES OF ITS DEVELOPMENT* − 182
Tamaz Kobulashvili, Gia Edisherashvili − *PEDESTRIAN ROUTES OF LOW AND MEDIUM ZONES OF THE RIVER TANA VALLEY* −187
Giorgi Kazishvili − *SERVICE MARKETING AND SERVICE MARKET: PECULIARITIES AND DEVELOPMENT TENDENCIES* − 190
Khaliana Chitadze − *THE ROLE OF EXCISE TAX REFORM IN THE BUDGETARY ISSUES IN GEORGIA AND PROBLEMS* −197
Tea Khorguashvili − *CONCEPTUAL ISSUES OF MONEY MANAGEMENT AND LIQUIDITY AND IMPACT ON PUBLIC FINANCE MANAGEMENT (PFM)* − 200
Maia Chania − *STATE OF INFLUENCE ON THE STATE OF BUSINESSES, TENDENCIES AND PERSPECTIVES* − 205
Tina Jolbordi − *SOME ISSUES OF THE INTERNATIONALIZATION OF HIGHER EDUCATION IN ACCOUNTING* − 210

Social Sciences and Law

Nugzar Abramishvili − *ARISTOTLE ABOUT THE SUBJECT OF THEOLOGY* − 212
Ivane Balakhashvili – *MORTGAGING* − 215
Elene Germanozashvili − *PROBLEMS OF ADMISSIBLE EVIDENCE IN CRIMINAL PROCEDURE* −221
Davit Geperidze − *INTERNATIONAL LAW ISSUES OF CITIZENSHIP* − 227
Davit Gugava − *LEGAL UPBRINGING AS PART OF CRIMINAL LAW POLICY* − 232
Teimuraz Darsania − *CRIME ATTEMPT RESPONSIBILITIES IN ITALIAN CRIMINAL LAW* −236
Nodar Darsania − *FOR RESEARCH OF POLITICAL PROCESSES AND EVENTS* − 238
Klara Elchibegashvili − *THE EPOCH OF REVIVAL IN GEORGIA AND GEORGIAN NEOPLATONISM* − 241
Ana Imnadze − *COMMUNICATION TECHNIQUES DURING OPERATIVE WORK (ESSENCE, FUNCTION, STRUCTURE)* − 245
Irma Ketskhoveli − *DEMOGRAPHIC DISTRESS IN MODERN GEORGIA* − 249
Nunu Kvantaliani − *THE PECULIARITY OF A PROOF PROCESS IN FAMILY DISPUTES (ANALYSIS OF COURT PRACTICE)* − 258
Ketevan Kvinikadze − *THE FRAMES OF CONSTITUTIONAL REGULATION ON THE MUNICIPAL LEVEL IN CONNECTION WITH THE SETTLEMENT OF ELECTORAL RIGHT* − 265
Aleksandre Lekishvili − *HONOR AND DIGNITY – THE CROWN OF HUMAN RIGHTS AND FREEDOMS* − 271
Nestan Lomaia − *GENDER PROBLEM AND EVOLUTION IN MODERN SOCIETY* − 277
Maka Salkhinashvili − *LEGISLATION REGULATING THE COMMERCIAL QUALITY OF THE SERVICE IN GEORGIA* − 281
Beka Toliashvili − *THE ESSENCE OF THE UNCONSCIOUS ACCORDING TO THE CARL JUNG THEORY* − 287
Mari Kutateladze − *DIVERSION AND MEDIATION IN CRIMINAL PROCEEDINGS* − 290

Maia Kushitashvili − *THE PROBLEM OF THE PURPOSE OF THE PROOF PROCESS IN CRIMINAL PROCEDURE* − 297
Mikheil Shakulashvili − *A PROBLEM OF CLASSIFICATION OF CORRUPTION AND CRIME COMMISSION* − 303
Tea Tsaava − *SUBJECTS OF GUARANTEE AGREEMENT* − 310
Nanuli (Nana) Tskhvedadze − *CONSCIENCE, AS THE BEHAVIOR REGULATORY MECHANISM AND RELIGIOUSNESS* − 315
Elguja Chanturia − *LEASING CONTRACT IN ENGLISH-AMERICAN LAW* − 323
Ia Kharazi − *SOME OF THE LEGAL ASPECTS ABOUT THE LIABILITY FOR THE DAMAGE ARISING FROM DEFECT PRODUCTS (COMPARATIVE ANALYSIS)* − 330
Davit Khobelia − *ADMINISTRATIVE JUSTICE SYSTEM IN FRANCE* − 337

ინგა აბულაძე, ნატალია გაბაშვილი, თამარ გაბაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სააფთიაქო სისტემის ეფექტური მართვის იმიტაციური მოდელის დამუშავება

1. შესავალი

კაცობრიობას ყოველთვის აინტერესებდა სხვადასხვა მოვლენათა კანონზომიერების დადგენა, რისთვისაც არ ზოგავდა დროს, ხარჯებსა და ენერგიას. შემეცნების პროცესში პირველადია დაკვირვებათა შედეგები, შემდეგ კი გადასვლა ხდება აბსტრაქტულ აზროვნებაზე, ანუ მოდელზე, მოდელიდან კი პრაქტიკულ საქმიანობაზე.

დღეს XXI საუკუნეში ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში შემოიჭრა კომპიუტერი და დაიკავა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა პროცესებისა და მოვლენების აღწერა მოდელების გარეშე შეუძლებელია. თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში სულ უფრო ხშირად გვხვდება ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: „მოდელი“, „მათემატიკური მოდელი“, „იმიტაციური მოდელი“ და სხვ.

2. ძირითადი ნაწილი

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს მასობრივი მომსახურების სისტემაში (მმს) კერძოდ, სააფთიაქო სისტემაში მიმდინარე პროცესების აღწერის იმიტაციური მოდელის დამუშავება **GPSS** მოდელირების ენაზე, შედეგების სისტემური ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგებიდან ოპტიმალურის არჩევა, რაც სისტემას მოუტანს მატერიალურ დანაზოგს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს სისტემაში ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილება. ამ პრობლემის გადასაწყვეტად უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ეფექტურად დაპროექტებული მასობრივი მომსახურების სისტემის შემუშავება. იმიტაციური მოდელირება ამ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებას იძლევა. აფთიაქში პროვიზორი მუშაობს რთული სისტემებისათვის დამახასიათებელი შემდეგი პრინციპით: „პირველი მოვიდა - პირველს მოემსახურა“ [1, 2].

შევადგინოთ იმიტაციური მოდელი GPSS ენაზე, რომელიც განსაზღვრავს პროვიზორთა ოპტიმალურ რაოდენობას 84 საათიანი (7 სამუშაო დღე 12 საათიანი) სამუშაო დღის განმავლობაში. ოპტიმალურობის ქვეშ იგულისხმება იმ პროვიზორთა რაოდენობა, რომელთა სინქრონულად მუშაობა სააფთიაქო სისტემას მოუტანს მეტ მოგებას.

დავუშვათ, რომ მუშაობის დროს არ არის შესვენება და სამუშაო დღეები მიდის მიყოლებულად დასვენების გარეშე. დროის ერთეულია 1 წუთი.

მოდელის შედგენამდე გავეცნოთ 1-ელ ცხრილში მოცემულ ელემენტებს და მე-2 ცხრილში მოცემულ ოპერაციის შესრულების დროს.

ცხრილი 1

GPSS-ის ელემენტები	**ი ნ ტ ე რ პ რ ე ტ ა ც ი ა**
ტრანზაქტები: მოდელის I სეგმენტი მოდელის II სეგმენტი	 კლიენტები ტრანზაქტ-წამმზომი
მოწყობილობა: **JOE**	 კლიენტი
რიგი: **JOEQ**	რიგი კლიენტების ლოდინის დროის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა შესაგროვებლად

ცხრილი 2

ოპერაცია	აუცილებელი დრო, წთ
კლიენტის მომსახურება	6+3

იმიტაციურ მოდელს GPSS ენაზე აქვს შემდეგი სახე:

```
*                    * * * * * * * * * * * * * * * * * * * * * *
*                    *   CPSS WORLD SIMULATION    *
*                    * * * * * * * * * * * * * * * * * * * * * *

*                 MODEL SEGMENT  1

            GENERATE      7, 2                ; კლიენტის მოსვლა
            QUEUE           JOEQ              ; რიგში ჩადგომა
            SEIZE           JOE               ; პროვიზორის დაკავება
            DEPART          JOEQ              ; რიგიდან წასვლა
            ADVANCE       6, 3                ; მომსახურების დრო
            RELEASE         JOE               ; პროვიზორის განთავისუფლება
            TERMINATE ; აფთიაქიდან წასვლა
*                 MODEL SEGMENT  2

            GENERATE    5040                  ; მოდელირების დრო, წთ
            TERMINATE  1                      ; დასასრული
```

ავტორების მიერ ნაშრომში კვლევა ჩატარებულია 3 სხვადასხვა ვარიანტის შემთხვევაში და შესაბამისად გამოკვლეულია იმიტაციური მოდელის ქცევა.

I შემთხვევაში - 2 პროვიზორის შემთხვევაში;

II შემთხვევაში - 3 პროვიზორის შემთხვევაში;

III შემთხვევაში - 4 პროვიზორის შემთხვევაში;

ჩვენ მიერ დამუშავებულ იქნა იმიტაციური მოდელის სამი ვარიანტი (ნახ. 1, ნახ. 2 და ნახ. 3) და ყოველი ახალი შესრულების (გაშვების) შემთხვევაში იცვლება მხოლოდ ოპერანდი, ანუ პროვიზორების რიცხვი.

I ვარიანტის შედეგები მოცემულია 1-ელ ნახაზზე.

```
            GPSS World Simulation Report - Moddeling article.8.1


                Monday, October 02, 2017 19:04:53

        START TIME          END TIME  BLOCKS  FACILITIES  STORAGES
            0.000           5040.000     9        1          0


           NAME                        VALUE
        JOE                          10001.000
        JOEQ                         10000.000


 LABEL              LOC  BLOCK TYPE     ENTRY COUNT CURRENT COUNT RETRY
                    1    GENERATE           719             0       0
                    2    QUEUE              719             0       0
                    3    SEIZE              719             0       0
                    4    DEPART             719             0       0
                    5    ADVANCE            719             1       0
                    6    RELEASE            718             0       0
                    7    TERMINATE          718             0       0
                    8    GENERATE             1             0       0
                    9    TERMINATE            1             0       0


FACILITY         ENTRIES  UTIL.   AVE. TIME AVAIL. OWNER PEND INTER RETRY DELAY
 JOE               719    0.857       6.005  1      720    0    0     0      0


QUEUE              MAX CONT. ENTRY ENTRY(0) AVE.CONT. AVE.TIME   AVE.(-0) RETRY
 JOEQ               2    0    719    381     0.146      1.024      2.179   0


FEC XN   PRI         BDT      ASSEM  CURRENT  NEXT  PARAMETER    VALUE
   721    0        5040.558    721      0      1
   720    0        5042.490    720      5      6
   722    0       10080.000    722      0      8
```

ნახ. 1. იმიტაციური მოდელის I ვარიანტის შედეგები

```
GPSS World Simulation Report - Moddeling article.9.1

Monday, October 02, 2017 19:17:24

START TIME          END TIME  BLOCKS  FACILITIES  STORAGES
    0.000           5040.000    9        1          0

NAME                      VALUE
JOE                     10001.000
JOEQ                    10000.000

LABEL            LOC  BLOCK TYPE     ENTRY COUNT CURRENT COUNT RETRY
                  1   GENERATE          721            0       0
                  2   QUEUE             721            1       0
                  3   SEIZE             720            0       0
                  4   DEPART            720            0       0
                  5   ADVANCE           720            1       0
                  6   RELEASE           719            0       0
                  7   TERMINATE         719            0       0
                  8   GENERATE            1            0       0
                  9   TERMINATE           1            0       0

FACILITY        ENTRIES  UTIL.   AVE. TIME AVAIL. OWNER PEND INTER RETRY DELAY
 JOE              720    0.860      6.023  1      721    0    0     0      1

QUEUE            MAX CONT. ENTRY ENTRY(0) AVE.CONT. AVE.TIME   AVE.(-0) RETRY
 JOEQ              3    1    721    340     0.247     1.730      3.274   0
```

ნახ. 2. იმიტაციური მოდელის II ვარიანტის შედეგები

```
GPSS World Simulation Report - Moddeling article.11.1

Monday, October 02, 2017 19:30:14

START TIME          END TIME  BLOCKS  FACILITIES  STORAGES
    0.000           5040.000    9        1          0

NAME                      VALUE
JOE                     10001.000
JOEQ                    10000.000

LABEL            LOC  BLOCK TYPE     ENTRY COUNT CURRENT COUNT RETRY
                  1   GENERATE          723            0       0
                  2   QUEUE             723            0       0
                  3   SEIZE             723            0       0
                  4   DEPART            723            0       0
                  5   ADVANCE           723            1       0
                  6   RELEASE           722            0       0
                  7   TERMINATE         722            0       0
                  8   GENERATE            1            0       0
                  9   TERMINATE           1            0       0

FACILITY        ENTRIES  UTIL.   AVE. TIME AVAIL. OWNER PEND INTER RETRY DELAY
 JOE              723    0.866      6.036  1      724    0    0     0      0

QUEUE            MAX CONT. ENTRY ENTRY(0) AVE.CONT. AVE.TIME   AVE.(-0) RETRY
 JOEQ              5    0    723    290     0.384     2.675      4.467   0

FEC XN   PRI        BDT      ASSEM  CURRENT  NEXT  PARAMETER    VALUE
   724    0       5043.166    724      5      6
   725    0       5047.252    725      0      1
   726    0      10080.000    726      0      8
```

ნახ. 3. იმიტაციური მოდელის III ვარიანტის შედეგები

ავტორების მიერ, კვლევა ასევე ჩატარებულია ხელით გამოთვლებისას. ქვემოთ მოყვანილია ეს პროცესი.

შემოვიტანოთ პარამეტრების შემდეგი განსაზღვრებები:

S - პროვიზორის ანაზღაურება 1 საათში;

S1 - პროვიზორის ანაზღაურება ერთი კვირის განმავლობაში ;

N - პროვიზორთა რაოდენობა;

D - შემოსავალი (მოგება).

ერთი პროვიზორის ერთი კვირის განმავლობაში გამომუშავებული თანხა შეადგენს

S1 = 84 * S = 84 * 1.2 = 100.8 ლარი.

პროვიზორთა მიერ გამომუშავებული თანხის მნიშვნელობა სამ შემთხვევაში ტოლია:

I ვარიანტი - ერთდროულად მუშაობს 2 პროვიზორი P1 = 2 * S1 = 2 * 100.8 = 201.6 ლარი

II ვარიანტი - ერთდროულად მუშაობს 3 პროვიზორი P1 = 3 * S1 = 3 * 100.8 = 202.4 ლარი

III ვარიანტი - ერთდროულად მუშაობს 4 პროვიზორი P1 = 4 * S1 = 4 * 100.8 = 403.2 ლარი

ხელით გამოთვლისას მიღებული მოდელის შედეგების იმიტაციური მოდელის გათამაშებისას მიღებული შედეგებთან შეჯერების საფუძველზე შეირჩა ის ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც სააფთიაქო სისტემას მოგებას მოუტანს.

3. დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარდა კვლევა მოდელის 3 სხვადასხვა ვარიანტის გათამაშებისას. კვლევა მიზნად ისახავდა როგორც ხელით გამოთვლების ჩატარებას, ასევე ავტომატიზებულად იმიტაციური მოდელის გამოყენებით. ორივე შემთხვევაში მოდელების ანალიზისას ირკვევა, რომ კლიენტის მომსახურების საშუალო დრო 3 პროვიზორის შემთხვევაში იძლევა ოპტიმალურ ვარიანტს, რაც ბუნებრივია გამოიწვევს თანხის დაზოგვას, ანუ მოგების თანხის გაზრდას.

ამრიგად, ნაშრომში ავტორების მიერ შემუშავებულია სააფთიაქო ქსელის ეფექტური ფუნქციონირების მოდელი. იმისათვის, რომ სისტემამ მოგება ნახოს და ამავდროულად ეფექტურად იმუშაოს, საჭიროა სამი პროვიზორის დაქირავება.

ლიტერატურა:

1. ა. ფრანგიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ი. აბულაძე, ვ. წვერავა. მეთოდოლოგიური მითითებები ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად GPSS WORLD-ში, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2008, გვ. 104.

2. ი. აბულაძე, ბ. არველაძე. იმიტაციური მოდელის დამუშავება სააფთიაქო ქსელის ფუნქციონირების ეფექტურობის ასამაღლებლად. სტუდენტთა I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2013, გვ. 7.

Inga Abuladze, Natalia Gabashvili, Tamar Gabashvili

Georgian Technical University

PROCESSING OF IMITATION MODEL'S FOR EFFICIENT MANAGEMENT OF DRUGSTORE SYSTEM

RESUME

In Article is process of the mass service system, in particular the simulation model GPSS modeling language of effective management drugstore system. According to the research conducted by the authors from the 3 models, the best model was selected, which efficiently operate the pharmacy system to profit.

Key words: Model, Imitation modelling, Mass service system, Drugstore system, Efficiently operate.

დავით ზარნაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი
სოსო ცოტნიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მატერიალური იმპლიკაციის ოპერაციის შესაბამისი 3-შემავლიანი სქემები რიცხვით ელექტრონიკაში

გასასვლელები (Gate-ციფრული ლოგიკური ჩამკეტი კარიბჭე) არიან რიცხვითი ლოგიკური სქემების ფუნდამენტური სამშენებლო ბლოკები, რომლისგანაც კონსტრუირებულია ყველა რიცხვითი ელექტრონული სქემა და სისტემაზე დაფუძნებული მიკროპროცესორი [1]-[2]. ძირითადი ლოგიკური ჩამკეტები ასრულებენ AND, OR, XOR და NOT ლოგიკურ ოპერაციებს ორადულ რიცხვებზე (ორობით სისტემაში). ციფრული ლოგიკური ჩამკეტი კარიბჭე არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც ახორციელებს ლოგიკურ დასკვნებს მასში შემავალი ციფრული სიგნალების სხვადასხვა კომბინაციების საფუძველზე. ციფრული ლოგიკის ჩამკეტ კარიბჭეს შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტ შეტანის, მაგრამ ზოგადად მხოლოდ ერთი ციფრული გამომავალი. კონკრეტული ლოგიკური კარიბჭე შეიძლება ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული კომბინაციური ან მიმდევრობითი სქემებით ან რიგითი სქემებით. ამ მოწყობილობების ფუნქცია "გახსნით" ან "დახურვით" არის ლოგიკური სიგნალის გატარება ან დაბლოკვა. მხოლოდ ოთხი ძირითადი გასასვლელის სახის სქემით (და-AND, არაგამომრიცხავი ან-OR, გამომრიცხავი ან-XOR და არა-NOT) შეიძლება შეიქმნას გასასვლელების დიდი სიმრავლე. ისინი გამოიყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რიცხვითი ელექტრონიკის ფიზიკური პროცესების მართვის ინტეგრალურ სქემებში და ელექტრონულ ნაწილებში (ტრანზისტორებში, რეზისტორებში, დიოდებში).

[3]-[7] ნაშრომებში განხილული იყო სამი P, Q და R წინადადებისათვის ”ან”, ”და”, ”ან მხოლოდ” კავშირების სინთეზურად (წყვილებად, მრავალჯერადად და მონაცვლეობით) მიღებული ლოგიკური ოპერაციების კლასიფიკაცია სახელებით (12 გამონათქვამი), მათი სიმრავლური, ლოგიკური, ენობრივი ინტერპრეტაციები და სქემები (circuits) რიცხვით ელექტრონიკაში (Digital Electronics).

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მსგავსი სქემები მატერიალური იმპლიკაციის (პირობითი წინადადების) ლოგიკური ოპერაციის დამატების შემთხვევაში (16 გამონათქვამი), ლოგიკური ოპერაციების ენობრივი, ლოგიკური ინტერპრეტაციები და ეკვივალენტური წარმოდგენები. ეს შედეგები ანონსირებული იყო [8]-ში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი ენობრივი ინტერპრეტაციები სრულად არ არის განხილული არც გერმანულ, არც ინგლისურ და არც რუსულ ენებში. ვიკიპედიაში არის მხოლოდ რამდენიმე ფრაზა, რომელიც ეხება გერმანულ ენაში Entweder … oder და oder კავშირების წყვილის სინთეზურად (ორჯერადად და მონაცვლეობით) გამოყენების საკითხებს.

საბაზისო ორ შემავლიანი და-AND გასასვლელი შედგება ორი შემავალი და ერთი გამომავალისაგან. თუ საბაზისო ორ შემავლიანი და-AND გასასვლელის ორი შემავალი არის P და Q, ხოლო ერთი გამომავალი არის P∧Q, მაშინ ის არის ჩართული მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე P და Q არის ჩართული. რიცხვით ელექტრონიკაში ჩართვის მდგომარეობა-on ხშირად გამოსახულია 1-ით, ხოლო გამორთვის მდგომარეობა-off გამოსახულია 0-ით. დამოკიდებულება შემავალ სიგნალებსა და გამომავალ სიგნალებს შორის ხშირად გამოსახულია ჭეშმარიტების მნიშვნელობათა კარგად ცნობილი ცხრილებით, რომელშიც მოცემულია ყველა შემავალი და გამომავალი სიგნალების მნიშვნელობები. საბაზისო და-AND არაგამომრიცხავი ან-OR, გამომრიცხავი ან-XOR და არა-NOT გასასვლელებისათვის ამ ცხრილებს აქვს სახე (მასში „ჭ“ მნიშვნელობა შეცვლილია 1-ით, ხოლო „მ“ მნიშვნელობა 0-ით):

ცხრილი 1

P	NOT P	Q	P∧Q, P AND Q	P∨Q, P OR Q	P+Q, P XOR Q
1	0	1	1	1	0
1	0	0	0	1	1
0	1	1	0	1	1
0	1	0	0	0	0

სქემატურად ეს გასასვლელები ასე გამოისახება [1]-[2]:
უარყოფა (NOT Gates).



ორ და სამ შემავლიანი კონიუნქციური გასასვლელი (2-input AND Gate and 3-input AND Gate).



P∧Q, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე P&Q.



P∧Q∧R, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე P&Q&R.

ორ და სამ შემავლიანი არაგამომრიცხავ დისიუნქციური გასასვლელი (2-input OR Gate and 3-input OR Gate).



2-input OR Gate - P∨Q, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე P+Q. აღნიშვნა ≥1 ნიშნავს, რომ სიგნალი გაივლის, როცა P და Q წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა ≥1-ზე.



3-input OR Gate - P∨Q∨R, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე P+Q+R. აღნიშვნა ≥1 ნიშნავს, რომ სიგნალი გაივლის, როცა P, Q და R წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა ≥1-ზე.

ორ და სამ შემავლიანი გამომრიცხავ დისიუნქციური გასასვლელი (2-input XOR Gate and 3-input XOR Gate).



2-input XOR Gate - P+Q, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე PQ. აღნიშვნა =1 ნიშნავს, რომ P და Q წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა არის ზუსტად 1.



3-input XOR Gate - P+Q+R, რაც რიცხვით სქემებში აგრეთვე აღინიშნება ასე PQR. აღნიშვნა =1 ნიშნავს, რომ P, Q და R წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა mod(2)=1. სხვა სიტყვებით, თუ შემავალი სიგნალების რაოდენობის 2-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი არის 1, მაშინ სიგნალი გაივლის. თუ ნაშთი არის 0, მაშინ სიგნალი არ გაივლის, ანუ თუ შემავალი სიგნალების რაოდენობა არის კენტი, მაშინ სიგნალი გაივლის, ხოლო თუ - ლუწი, მაშინ არ გაივლის.

ორ შემავლიანი კონიუნქციურ AND გასასვლელს პლიუს NOT გასასვლელი არის NAND გასასვლელი (NAND Gates - 2-input AND gate plus a NOT gate).



ორ შემავლიანი არაგამომრიცხავ დისიუნქციური OR გასასვლელს პლიუს NOT გასასვლელი არის NOR გასასვლელი (NOR Gates - 2-input „OR" gate plus a NOT gate).



ორ შემავლიანი გამომრიცხავ დისიუნქციურ XOR გასასვლელს პლიუს NOT გასასვლელი არის გამომრიცხავი NOR გასასვლელი (Exsclusive NOR Gates - 2-input XOR gate plus a NOT gate).



[6] და [7] ნაშრომებში ჩვენ განვიხილეთ სამი ოპერაცია: კონიუნქცია ∧, არაგამომრიცხავი დისიუნქცია ∨ და გამომრიცხავი დისიუნქცია + და მოვიყვანეთ P, Q და R წინადადებების სამ შემავლიანი სქემები მათი სინთეზურად გამოყენებისას. როდესაც სამი ოპერაციიდან სრულდება ორ-ორი განსხვავებული ოპერაცია, მაშინ თუ პირველად სრულდება ოპერაცია პირველი ორ წინადადებაზე და შემდეგ სრულდება ოპერაცია მათ შედეგზე და მესამეზე, მაშინ ასეთი ოპერაცია იწოდება I ტიპად და ინომრება I-ით. თუ პირველად სრულდება ოპერაცია მეორე და მესამე წინადადებაზე და შემდეგ სრულდება ოპერაცია მათ შედეგზე და პირველზე, მაშინ ასეთი ოპერაცია იწოდება II ტიპად და ინომრება II-ით. თითოეული ტიპის ასეთი ოპერაციების რიცხვია წყობა (რადგან ოპერაციების შესრულების თანმიმდევრობის რიგის მიხედვით განსხვავებული შედეგი მიიღება) სამი ელემენტისა ორად, ანუ $A_2^3=3!=6$. ამრიგად გვაქვს I ტიპის ექვსი და II ტიპის ექვსი ოპერაცია და შესაბამისად ამდენივე გასასვლელი. მოვიყვანთ ამ სამი ოპერაციის ორ-ორად შესრულებისას მიღებულ სამ შემავლიანი გასასვლელების ჩამონათვალს [6]-[7]:

(I-OR-XOR) - პირველი ტიპის არაგამომრიცხავ-გამომრიცხავი დისიუნქცია (3-input I-OR-XOR Gate).

(II-OR-XOR) - მეორე ტიპის არაგამომრიცხავ-გამომრიცხავი დისიუნქცია (3-input II-OR-XOR Gate).

(I-XOR-OR) - პირველი ტიპის გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი დისიუნქცია (3-input I-XOR-OR Gate).

(II-XOR-OR) - მეორე ტიპის გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი დისიუნქცია (3-input II-XOR-OR Gate).

(I-AND-OR) პირველი ტიპის კონიუნქცია და არაგამომრიცხავი დისიუნქცია (3-input I-AND-OR Gate).

(II-AND-OR) მეორე ტიპის კონიუნქცია და დისიუნქცია (3-input II-AND-OR Gate).

(I-OR-AND) - პირველი ტიპის არაგამომრიცხავი დისიუნქცია და კონიუნქცია (3-input I-OR-AND Gate).

(II-OR-AND) - მეორე ტიპის კონიუნქცია და დისიუნქცია (3-input II-OR-AND Gate)

(I-XOR-AND) - პირველი ტიპის გამომრიცხავი დისიუნქცია და კონიუნქცია (3-input I-XOR-AND Gate).

(II-XOR-AND) მეორე ტიპის გამომრიცხავი დისიუნქცია და კონიუნქცია (3-input II-XOR-AND Gate).

(I-AND-XOR) - პირველი ტიპის კონიუნქცია და გამომრიცხავი დისიუნქცია (3-input I-AND-XOR).

(II-AND-XOR) - მეორე ტიპის კონიუნქცია და გამომრიცხავი დისიუნქცია (3-input II-AND-XOR).

3-ჯერადი „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q, ან მხოლოდ R (3-input just one XOR Gate) ოპერაციების შესაბამის სქემას აქვს სახე.



P⊕Q⊕R

3-input just one XOR Gate - P⊕Q⊕R. აღნიშვნა =1 ნიშნავს, რომ P, Q და R წინადადებებს შორის ჭეშმარიტი წინადადებების რაოდენობა არის ზუსტად 1.

ამ ოპერაციების შესაბამისი სქემები მოყვანილია [6]-[7] ნაშრომებში.

პირობითი წინადადების შესაბამისი გასასვლელები რიცხვითი ელექტრონიკისათვის

პირობითი წინადადების შესაბამისი 2 და 3 შემავლიანი გასასვლელების სქემები (“2-input if P then Q” Gate and “3-input if … then …” Gate) შემოკლებით IFTN.

“2-input if P then Q” Gate- IFTN: P→Q. ეს ეკვივალენტურია გამოსახულების - ⌉P∨Q. ამიტომ სქემას აქვს სახე:



3-შემავლიანი გასასვლელები შემდეგი სახისაა (3-input IFTN Gates):

1. P∧Q→R, ანუ I-AND-IFTN. I-AND-IFTN ეკვივალენტურია გამოსახულების - ⌉(P∧Q)∨R= =(⌉P)∨(⌉Q)∨R, რომელიც არის 3-input OR ტიპის გამოსახულება. ამიტომ მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ P და Q, მაშინ R”.

2. P∧(Q→R), ანუ II-IFTN-AND. P∧(Q→R) ეკვივალენტურია გამოსახულების - P∧((⌉Q)∨R), რომელიც არის 3-input II- OR-AND ტიპის გამოსახულება. ამიტომ მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ” P და თუ Q, მაშინ R”.

3. P∨Q→R, ანუ I-OR-IFTN. P∨Q→R ეკვივალენტურია გამოსახულების - ⌉(P∨Q)∨R= =((⌉P)∧(⌉Q))∨R, რომელიც არის 3-input I-AND-OR ტიპის გამოსახულება. ამიტომ მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ P ან Q, მაშინ R”.

4. P∨(Q→R), ანუ II- IFTN- OR. P∨(Q→R) ეკვივალენტურია გამოსახულების - P∨((⌉Q)∨R), რომელიც არის 3-input OR ტიპის გამოსახულება. ამიტომ მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ” P და თუ Q, მაშინ R”.

5. (P+Q)→R, ანუ I-XOR-IFTN. (P+Q)→R მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ ან P, ან Q, მაშინ R”.

6. P+(Q→R), ანუ II- IFTN- XOR. (P+Q)→R მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”ან P, ან თუ Q, მაშინ R”.

7. (P→Q)∧R, ანუ I- IFTN-AND. (P→Q)∧R ეკვივალენტურია გამოსახულების - (⌉P∨Q)∨R, რომელიც არის 3-input I-OR-AND ტიპის გამოსახულება. ამიტომ მის შესაბამის სქემას აქვს სახე:





გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ P, მაშინ R, და Q ”.

8. P→(Q∧R), ანუ II- AND –IFTN. P→(Q∧R) ეკვივალენტურია გამოსახულების - ⌉P∨(Q∧R), რომელიც არის 3-input II- AND-OR ტიპის გამოსახულება. ამიტომ მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ P, მაშინ Q და R ” (მძიმის გარეშე).

9. (P→Q)∨R, ანუ I- IFTN- OR. (P→Q)∨R ეკვივალენტურია გამოსახულების - (⌉P∨Q)∨R, რომელიც არის 3-input OR ტიპის გამოსახულება. ამიტომ მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ P, მაშინ Q, ან R ”.

10. P→(Q∨R), ანუ II- OR-IFTN. P→(Q∨R) ეკვივალენტურია გამოსახულების - ⌉P∨(Q∨R), რომელიც არის 3-input OR ტიპის გამოსახულება. ამიტომ მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ P, მაშინ Q ან R ” (მძიმის გარეშე).

11. (P→Q)+R, ანუ I- IFTN- XOR. მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”ან თუ P, მაშინ Q, ან R ”.

12. P→(Q+R), ანუ II- XOR- IFTN. მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ P, მაშინ ან Q, ან R ”.

13. (P+Q)→R. I- XOR – IFTN. მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ ან P, ან Q, მაშინ R ”.

14. P+(Q→R). II- IFTN- XOR. მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ” ან P, ან თუ Q, მაშინ R ”.

15. (P→Q)→R. I- IFTN – IFTN. მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ” თუ თუ P, მაშინ Q, მაშინ R ”.

16. P→(Q→R). II- IFTN – IFTN. მის შესაბამის სქემას აქვს სახე:



გრამატიკულად გამოითქმის ასე: ”თუ P, მაშინ თუ Q, მაშინ R ”.

P	Q	R	P→Q	13. (P→Q)→R	Q→R	14.P→(Q→R)	((P→Q)→R)⇒ (P→(Q→R))
ꙅ	ꙅ	ꙅ	ꙅ	ꙅ	ꙅ	ꙅ	ꙅ
ꙅ	ꙅ	ə	ꙅ	ə	ə	ə	ꙅ
ꙅ	ə	ꙅ	ə	ꙇ	ꙇ	ꙇ	ꙇ
ꙅ	ə	ə	ə	ꙇ	ꙇ	ꙇ	ꙇ
ə	ꙅ	ꙅ	ꙇ	ꙇ	ꙅ	ꙇ	ꙇ
ə	ꙅ	ə	ꙇ	ə	ə	ꙇ	ꙇ
ə	ə	ꙅ	ꙇ	ꙇ	ꙇ	ꙇ	ꙇ
ə	ə	ə	ꙇ	ə	ꙇ	ꙇ	ꙇ

ლიტერატურა:

1. Introduction to Digital Logic Gates. Basic Electronics Tutorials Site by Wayne Storr.
2. Barry Paton. Fundamentals of Digital Electronics. Dalhousie University, March 1998
3. დ. ზარნაძე, ს. ცოტნიაშვილი, ტ. ტურაშვილი. ზოგიერთი ლოგიკური ტერმინის დამკვიდრების პრობლემები. გორის VII საერთაშორისო კონფერენციის შრომები. 28-29 ნოემბერი, 2014, 49-52.
4. დ. ზარნაძე, ს. ცოტნიაშვილი, ტ. ტურაშვილი. ქართულ ენაში „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ. გორის VIII საერთაშორისო კონფერენციის შრომები. 18-19 ნოემბერი, 2016 წ. 82-88.
5. დ. ზარნაძე, ს. ცოტნიაშვილი, ტ. ტურაშვილი. ენაში „და“, „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ. გორის IX საერთაშორისო კონფერენციის შრომები. 18-19 ნოემბერი, 2016წ. 82-88.
6. დ. ზარნაძე. ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების საფუძვლები. გამომცემლობა მწიგნობარი. თბილისი, 2017 წ.
7. დ. ზარნაძე, ს. ცოტნიაშვილი. ლოგიკური ოპერაციების შესაბამისი სქემები რიცხვით ელექტრონიკაში. გორის IX საერთაშორისო კონფერენციის შრომები. 18-19 ნოემბერი, 2016 წ. 88-92.
8. Zarnadze D.N. Tsotniashvili S.A. and Sakhelashvili M. On the Gramatical, set Interpretation, Unifications of Denotations of logical operations and correspondence Circuits in Digital electronics. Proc. of 17th Conf. of Mathematical Union of Georgia. Batumi, 2017. pp 182-183

David Zarnadze

Georgian Technical University,N. Muskhelishvili Institute of Computational Mathematics

Soso Tsotniashvili

Gori State Teaching University

THE 3-INPUT GATES CIRCUITS CORRESPONDING TO THE MATERIAL IMPLICATION OPERATION IN THE DIGITAL ELECTRONICS

RESUME

In the papers [3]-[7] there were discussed classification of logical operations receiving from using “or”, “and”, and “just or” conjunctions on three P, Q and R sentences paired, alternatively and multiple ways. As well their grammatical, set interpretations and correspondence circuits in Digital Electronics are given.

This paper discusses similar circuits in case of conditional sentences and their grammatical interpretations. As well equivalent representations will be also given.

This kind of grammatical interpretations is not discussed in English, in German and in Russian languages up to now.

ზურაბ ზერაკიძე, ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმის შესახებ

ვთქვათ, მოცემული გვაქვს ზომათა სივრცე (E,S). მოვიყვანოთ რამდენიმე განსაზღვრება (იხ. [1]-[5]).

განსაზღვრება 1. სტატისტიკური სტრუქტურა ეწოდება შემდეგ ობიექტს $\{E,S,\mu_i,i\in I\}$, სადაც $\{\mu_i,i\in I\}$ ალბათური ზომებია S -ზე.

ვთქვათ, H არის ჰიპოთეზათა სიმრავლე და $B(\mathrm{H})$ არის H -სიმრავლის ქვესიმრავლეთა σ -ალგებრა, რომელიც შეიცავს H სიმრავლის ყველა სასრულ ელემენტიან ქვესიმრავლეს.

განსაზღვრება 2. ჩვენ ვამბობთ, რომ სტატისტიკური სტრუქტურა $\{E,S,\mu_h,h\in\mathrm{H}\}$ უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმს, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა $\delta:(E,S)\to(\mathrm{H},B(\mathrm{H}))$, რომ $\mu_h\{(x:\delta(x))=h\}=1,\quad \forall h\in\mathrm{H}$.

მათემატიკის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამორჩევის აქსიომის (AS) თვლად და არათვლად ფორმებს. სწორედ თვლადი და არათვლადი ფორმების საშუალებით იქნება ნაჩვენები, რომ არ არსებობს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $\delta:(E,S)\to(\mathrm{H},B(\mathrm{H}))$ სხვადასხვა σ -ალგებრა S -ის მიმართ.

ამორჩევის აქსიომის ჩამოყალიბება რამდენიმე ფორმითაა შესაძლებელი:

1. მულტიპლიკაციური ფორმა, რომელიც რასელს ეკუთვნი: არაცარიელ სიმრავლეთა ნებისმიერი ოჯახის დეკარტული ნამრავლი არაცარიელია.
2. ცერმელოსეული ფორმა: თუ მოცემულია არაცარიელ სიმრავლეთა ნებისმიერი დიზიუნქტიური ოჯახი, მაშინ არსებობს სიმრავლე, რომელიც ამ ოჯახის თითოეულ წევრთან ერთი და მხოლოდ ერთი საერთო ელემენტი აქვს.
3. ამორჩევის ფუნქციის არსებობის ფორმა: ყოველი E სიმრავლისათვის არსებობს $f:P(E)-\{\varnothing\}\to E$ ამორჩევის ფუნქცია, სადაც $P(E)$ აღნიშნავს E სიმრავლის ყველა ქვესიმრავლეთა სიმრავლეს: ე.ი. როგორიც არ უნდა იყოს E -ს არაცარიელი X ქვესიმრავლე $X\subset E$, გვაქვს $f(X)\in X$.

როგორც წესი ამორჩევის აქსიომას აღნიშნავენ AC სიმბოლოთი (Axiom of Choice).

ღრმა ლოგიკური გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ცერემელოს აქსიომას განსაკუთრებული როლი უკავია სიმრავლეთა თეორიის აქსიომატიკაში.

ჰილბერტი ამორჩევის აქსიომას განიხილავდა არა მხოლოდ როგორც სიმრავლეთა თეორიის აუცილებელ პოსტულატს, არამედ მასში ხედავდა ზოგად ლოგიკურ პრინციპს, რომლის გარეშეც თანამედროვე მათემატიკა საერთოდ ვერ იარსებებს. ეს არგუმენტი შემდგომში საკმარისად გამყარდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ამორჩევის აქსიომის გლობალური ფორმის საშუალებით შესაძლებელია არსებობისა $(\exists)$ და $(\forall)$ ზოგადობის კვანტორების შემოტანა. (იხ. [4]).

მე-4 ამორჩევის აქსიომის გლობალური ფორმა შემდეგი სახით ყალიბდება: არსებობს გლობალური ოპერატორი τ, რომელიც ყოველ არაცარიელ კლასს უთანადებს ამ კლასის ერთ-ერთ ელემენტს.

შენიშვნა 1. დამტკიცებულია, რომ ამორჩევის აქსიომის ლოგიკური ფორმიდან არ გამომდინარეობს ამორჩევის აქსიომის გლობალური ფორმა. (იხ. [4]).

ამორჩევის აქსიომას გააჩნია რამდენიმე ლოგიკური ექვივალენტი ZF თეორიის ჩარჩოებში.

1. ცერმელოს თეორემა ნებისმიერი სიმრავლის სავსებით დალაგების შესახებ: ყოველი X სიმრავლისათვის არსებობს ბიექცია სავსებით დალაგებულ სიმრავლეზე.
2. კურატოვსკი-ჰაუდსდორკის თეორემა: ყოველი $(E,\le)$ ნაწილობრივად დალაგებულ სიმრავლეში არსებობს მაქსიმალური (ჩართვის დამოკიდებულების თვალსაზრისით) წრფივად დალაგებული ქვესიმრავლე.

განსაზღვრება 3. ნაწილობრივად დალაგებულ $(E,\le)$ სიმრავლეს ინდუქციური ეწოდება, თუ მისი ყოველი წრფივად დალაგებული ქვესიმრავლე ზემოდანაა შემოსაზღვრული (ე.ი. ყოველ ასეთ ქვესიმრავლეს აქვს ერთი მაინც მაჟორანტი).

3. ცორნის ლემა: ნებისმიერ ინდუქციურ $(E,\leq)$ სიმრავლეში არსებობს ერთი მაინც მაქსიმალური ელემენტი.
4. ტიხონოვის თეორემა: კვაზიკომპაქტური სივრცეების ტოპოლოგიური ნამრავლი კვლავ კვაზიკომპაქტური სივრცეა.
ავიღოთ ბინალური მიმართება $V(x,y)$ ნამდვილ რიცხვთა R ღერძზე, რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად: $V(x,y) \Leftrightarrow x \in R \,\&\, y \in R \;\; x-y \in Q$, სადაც Q არის ყველა რაციონალურ რიცხვთა სიმრავლე, რადგან Q არის $(R,+)$ ადიტიური ჯგუფის ქვეჯგუფი, ამიტომ $V(x,y)$ წარმოადგენს ექვივალენტობის მიმართებას. განვიხილოთ ექვივალენტობის კლასები შემოტანილი $V(x,y)$ ბინალური დამოკიდებულების მიმართ. ეს კლასები ქმნიან R ღერძის გარკვეულ დანაწილებას. ასეთ დანაწილებას ეწოდება R სიმრავლის ვიტალის დანაწილება და აღინიშნება R/Q სიმბოლოთი.

განსაზღვრება 4. ვიტალის დანაწილების ნებისმიერ სელექტორს ეწოდება R ღერძის ვიტალის ქვესიმრავლე.
ამორჩევის აქსიომის არათვლადი ფორმის საშუალებით მტკიცდება, რომ ნებისმიერი ვიტალის სიმრავლე არის ლებეგის აზრით არაზომადი.
$L(R)$ აღვნიშნოთ σ-ალგებრა ლებეგის აზრით ზომადი სიმრავლეებით წარმოქმნილი, ხოლო $V(R)$ ვიტალის აზრით ზომადი σ-ალგებრა.
თეორემა 1. თუ $\delta_1:(R,V(R)) \to (\mathrm{H},B(\mathrm{H}))$ არის ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(V(R),B(\mathrm{H}))$ σ-ალგებრების მიმართ, მაშინ δ_1 არ იქნება ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(L(R),B(\mathrm{H}))$ ამ σ-ალგებრების მიმართ.
განსაზღვრება 5. ტოპოლოგიურ სივრცეს ეწოდება პოლონური სივრცე, თუ ის არის რომელიღაც სრული სეპარაბელური მეტრიკული სივრცის ჰომეომორფული.
განსაზღვრება 6. პოლონურ E სივრცეში მდებარე X სიმრავლეს ეწოდება ანალიზური (ანუ სუსლინის) სიმრავლე, თუ იგი წარმოადგენს პოლონური სივრცის უწყვეტ ასახვას.
E-ში მდებარე ყველა ანალიზურ სიმრავლეთა კლასი, როგორც წესი $A(E)$ სიმბოლოთი აღინიშნება.
ცნობილია თეორემა (სუსლინი). ყოველ არათვლად პოლონურ E სივრცეში არსებობს ანალიზური A სიმრავლე, რომელიც არ ეკუთვნის $B(E)$ ბორელის σ-ალგებრას. (ე.ი. $B(E) \subset A(E)$).
თეორემა 2. თუ $\delta_2:(E,A(E)) \to (\mathrm{H},B(\mathrm{H}))$ არის ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(A(E),B(\mathrm{H}))$ σ-ალგებრების მიმართ, მაშინ δ_2 არ იქნება ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(B(E),B(\mathrm{H}))$ ამ σ-ალგებრების მიმართ.
შენიშვნა 2. ანალიზური და კო-ანალიზური, ბორელის სიმრავლეების კვლევის პროცესში ძირითადად ამორჩევის (AC) აქსიომის თვლადი ფორმა გამოიყენება, ხოლო ვიტალის სიმრავლეების კვლევის პროცესში ამორჩევის აქსიომის არათვლადი ფორმა გამოიყენება.
განსაზღვრება 7. R-ის X ქვესიმრავლეს ბერშტეინის სიმრავლე ეწოდება, თუ არც X და არც მისი დამატება $R-X$ არ შეიცავს არც ერთ არაცარიელ სრულყოფილ სიმრავლეს.
შენიშვნა 3. ნებისმიერი ბერშტეინის სიმრავლე აიგება ამორჩევის აქსიომის ართვლადი ფორმების გამოყენებით. უფრო მეტიც, ბერშტეინის სიმრავლის ასგებად გამოიყენება ტრანსფინიტური რეკურსის მეთოდი.
ბერშტეინის სიმრავლეებით წარმოქმნილი σ-ალგებრა აღვნიშნოთ $Б(R)$.
თეორემა 3. თუ $\delta_1:(R,Б(R)) \to (\mathrm{H},B(\mathrm{H}))$ არის ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(Б(R),B(\mathrm{H}))$ σ-ალგებრების მიმართ, მაშინ δ_1 არის ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(V(R),B(\mathrm{H}))$ ამ σ-ალგებრების მიმართ და პირიქით თუ $\delta_2:(R,V(R)) \to (\mathrm{H},B(\mathrm{H}))$ არის ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(V(R),B(\mathrm{H}))$ σ-ალგებრების მიმართ, მაშინ δ_2 არის ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(Б(R),B(\mathrm{H}))$ ამ σ-ალგებრების მიმართ.
თეორემა 4. თუ $\delta:(R,Б(R)) \to (\mathrm{H},B(\mathrm{H}))$ არის ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი $(Б(R),B(\mathrm{H}))$ σ-ალგებრების მიმართ, მაშინ δ არ იქნება ძალდებული კრიტერიუმი $(L(R),B(\mathrm{H}))$ ამ σ-ალგებრების მიმართ.

ლიტერატურა:
1. Z. Zerakidze, On consistent estimators for families of probability measures. In: 5-th japan-USSR, Symposium on Probability Theory. Kyoto. pp 62-63, 1985;
2. Z. Zerakidze, M. Mumladze, Statistical structures and consistent criteria for checking hypotheses, Lambert Academic Publishing. ISBN:978-2-659-69689-3, Saarbrucken, Deutschland (2015);
3. ზ. ზერაკიძე, ლ. ალექსიძე, ლ. ელიაური, ძალდებული შეფასებების აბსოლუტურად ზომადობის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2016 წ;
4. ა. ხარაზიშვილი, „სიმრავლეთა თეორიის საწყისები“, ნაწილი I, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008;
5. A.Kharazishvili, “Topological Aspects of measures Theory,” Izd. Naucova Dumka, Kiev, 1984.

Zurab Zerakidze, Lela Aleksidze, Laura Eliauri
Gori State Teaching University

ABOUT THE CONSISTENT CRITERIA OF CHECKING HYPOTHESES

RESUME

The paper we prove conditions for the existence of the consistent criteria of checking hypotheses.

Pavle Midodashvili
Ilia State University
Levan Midodashvili
Gori State Teaching University

GRAVITATIONAL LOCALIZATION OF GAUGE FIELDS IN 6D STANDING WAVE BRANEWORLD

1. Introduction

The scenario where our world is a hypersurface embedded in a higher dimensional spacetime has attracted a lot of interest with the aim of solving some open questions of modern physics (see [1–4] for reviews). The models with this scenario, ie braneworld models, assume that all matter fields are localized on the brane, except gravity that can propagate in the extra dimensions.

In our previous articles [5–9] we investigated the 5D standing wave braneworld model and showed that it provides universal gravitational trapping of zero modes of all kinds of matter fields in the case of rapid oscillations of standing waves in the bulk. To generalize the model for the 6D case, in the article [10] we've introduced the non-stationary 6D braneworld model with gravity coupled to a phantom-like scalar field in the bulk, where the brane was generated by the bulk standing waves that were bounded by the brane and the static part of the gravitational potential, and explicitly showed that the model provided gravitational trapping of zero modes of spin-0 particles on the brane.

In this article we investigate the localization problem of spin-1 fields in the braneworld model introduced in [10], and explicitly show that electromagnetic fields are localized on the brane.

In Section 2 we recapitulate the derivation of the background solution of our model [10] and introduce some expressions which will be useful in our calculations. Then, in Section 3 we investigate the localization problem of spin-1 fields and explicitly show the existence of normalizable zero modes of spin-1 particles on the brane, meaning that electromagnetic fields are trapped on the brane.

2. Background Solution

As it's known [10] in 6D spacetime the Einstein equations with a bulk cosmological constant Λ and stress-energy tensor T_{AB} are

$$R_{AB} - \frac{1}{2} g_{AB} R = \Lambda g_{AB} + k^2 T_{AB} . \tag{1}$$

In (1) capital Latin indices refer to 6D spacetime, and 6D gravitational constant k obeys the relation $k^2 = 8\pi G = \frac{8\pi}{M^4}$ (G and M are the 6D Newton constant and the 6D Planck mass scale, respectively). For the two extra spatial dimensions we introduce polar coordinates (r, θ), where $0 \le r < \infty$ and $0 \le \theta < 2\pi$.

In our physical setup [10] there exists non-self-interacting phantom-like scalar field propagating in the bulk and having the following energy-momentum tensor

$$T_{scal.\,field\,AB} = -\partial_A \phi \partial_B \phi + \frac{1}{2} g_{AB} \partial^C \phi \partial_C \phi \ . \tag{2}$$

Using (2), equations (1) can be rewritten in the form

$$R_{AB} = -\frac{1}{2} \Lambda g_{AB} - k^2 \partial_A \phi \partial_B \phi \ . \tag{3}$$

We look for the metric in the form [10]

$$ds^2 = e^{2ar} \left[dt^2 - e^{u(t,r)} \left(dx^2 + dy^2 + dz^2 \right) \right] - dr^2 - R_0^2 e^{2ar - 3u(t,r)} d\theta^2 \ , \tag{4}$$

where curvature scale $a \neq 0$ and $R_0 > 0$ are constants, and the function $u(t,r)$ depends only on time t and on extra radial polar coordinate r.

Taking into account symmetry properties of the metric *ansatz* (4), we assume that phantom-like scalar field depends only on time t and extra coordinate r, i.e. $\phi = \phi(t,r)$. After a straightforward calculation, equations (3) reduce to

$$\Lambda = -10a^2 \ , \tag{5}$$

$$3\left(\frac{\partial u}{\partial t}\right)^2 = k^2 \left(\frac{\partial \phi}{\partial t}\right)^2 \ , \tag{6}$$

$$3\frac{\partial u}{\partial t}\frac{\partial u}{\partial r} = k^2 \frac{\partial \phi}{\partial t}\frac{\partial \phi}{\partial r} \ , \tag{7}$$

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2} - 5a\mathrm{e}^{2ar}\frac{\partial u}{\partial r} - \mathrm{e}^{2ar}\frac{\partial^2 u}{\partial r^2} = 0 \ . \tag{8}$$

Equation (5) fixes relation between bulk cosmological constant Λ and the curvature scale a in the exponential warp factor of the metric (4). We see that the bulk cosmological constant Λ must be negative.

According to (6) and (7), we set the relation between metric function $u(t,r)$ and phantom-like scalar field $\phi(t,r)$ as

$$\phi(t,r) = \sqrt{\frac{3}{k^2}} u(t,r) \ . \tag{9}$$

Taking $u(t,r)$ in the form $u(t,r) = \tau(t) f(r)$, equation (8) decouples as follows

$$\ddot{\tau} + \omega^2 \tau = 0 \ , \tag{10}$$

$$f'' + 5af' + \omega^2 e^{-2ar} f = 0 \ , \tag{11}$$

where $\omega > 0$ is some real constant and overdots and primes denote derivatives with respect to t and r respectively. The solution to equation (10) is

$$\tau(t) = c_1 \sin(\omega t) + c_2 \cos(\omega t) \ , \tag{12}$$

where c_1 and c_2 are some real constants. Performing change of variables

$$z = \frac{\omega}{|a|} e^{-ar} , \ f(r) = z^{\frac{5}{2}} q(z) \ , \tag{13}$$

equation (11) gets the form

$$\frac{d^2q}{dz^2}+\frac{1}{z}\frac{dq}{dz}+\left(1-\frac{\left(5/2\right)^2}{z^2}\right)q=0 \ , \tag{14}$$

with the solution

$$q\left(z\right)=A_1J_{\frac{5}{2}}\left(z\right)+A_2Y_{\frac{5}{2}}(z) \ , \tag{15}$$

where A_1 , A_2 are some real constants, and $J_{\frac{5}{2}}\left(z\right)$, $Y_{\frac{5}{2}}\left(z\right)$ are $\frac{5}{2}$ -order Bessel functions of first and second kind respectively. Taking into account change of variables (13), for $f\left(r\right)$ we write

$$f\left(r\right)=c_3e^{-\frac{5}{2}ar}J_{\frac{5}{2}}\left(\frac{\omega}{|a|}e^{-ar}\right)+c_4e^{-\frac{5}{2}ar}Y_{\frac{5}{2}}\left(\frac{\omega}{|a|}e^{-ar}\right) \ , \tag{16}$$

where c_3 and c_4 are some real constants.

Imposing on $u\left(t,r\right)$ the boundary condition at the extra space infinity

$$u\left(t,+\infty\right)=0 \ , \tag{17}$$

and taking the case of increasing warp factor, i.e. $a>0$, from (12) and (16) we get

$$u(t,r)=\sin\left(\omega t\right)B(r) \ , \tag{18}$$

with

$$B(r)=B_0e^{-\frac{5}{2}ar}J_{\frac{5}{2}}\left(\frac{\omega}{a}e^{-ar}\right) \ , \tag{19}$$

where B_0 is some real constant.

The ghost-like field $\phi(t,r)$ and the metric oscillations via the metric oscillatory function $u\left(t,r\right)$ must be unobservable on the brane located at $r=0$ in the extra space. According to (9), (18) and (19), the requirement can be fulfilled by the boundary condition on the Bessel function

$$J_{\frac{5}{2}}\left(\frac{\omega}{a}e^{-ar}\right)\Bigg|_{r=0}=J_{\frac{5}{2}}\left(\frac{\omega}{a}\right)=0 \ , \tag{20}$$

and, denoting by Z_n the n -th zero of the Bessel function $J_{\frac{5}{2}}$, the condition can be written in the form

$$\frac{\omega}{a}=Z_n \ , \tag{21}$$

which, in fact, means quantization of the standing wave oscillation frequency ω in terms or curvature scale a. Choosing some value of n in (21), the function $B\left(r\right)$ gets the form

$$B(r)=B_0e^{-\frac{5}{2}ar}J_{\frac{5}{2}}\left(Z_ne^{-ar}\right) \ , \tag{22}$$

and it's easy to see that in the 2D extra space we will have $(n-1)$ concentric circles (with center at the 2D extra space origin) where the oscillatory function $J_{\frac{5}{2}}\left(Z_ne^{-ar}\right)$ vanishes. The radiuses r_i of these circles satisfy the relation

$$Z_ne^{-ar_i}=Z_i \ , \tag{23}$$

where $i=0,\ 1,\ ...,\ n-1$. These circles are the nodes of the circular standing wave in the 2D extra space and can be considered as the circular islands where matter particles can be bound. It's obvious that the metric function $u\left(t,r\right)$ (18) and scalar field $\phi(t,r)$ (9) also vanish at the circles. In what follows in (21) we assume $n=1$, i.e. we choose the first zero of the function $J_{\frac{5}{2}}$

$$Z_1\approx 5.763 \ . \tag{24}$$

In this case circular standing wave has only two nodes in the extra space: at the origin $r=0$ and at the infinity $r=+\infty$.

In the next section we investigate vector field equations. The metric oscillatory function (18) enter the equations via oscillating exponents $e^{bu(t,r)}$, with b denoting some real constant. To solve the localization problem we assume that the standing wave frequency ω is much larger than the frequencies corresponding to the energies of the particles localized on the string-like brane, and hence in the vector field equations we can perform time averaging of such oscillating exponents. Denoting the time average $\left\langle e^{bu(t,r)}\right\rangle$ by $K_b(r)$ and using the results of our previous papers [6,7,9], we can write the following useful expressions

$$K_b(r)=\left\langle e^{bu(t,r)}\right\rangle=\left\langle e^{-bu(t,r)}\right\rangle=K_{-b}(r)=I_0(bB(r)) \ , \tag{25}$$

$$\langle u\rangle=\left\langle\frac{\partial u}{\partial r}\right\rangle=\left\langle\frac{\partial u}{\partial t}\right\rangle=\left\langle\frac{\partial\left(e^{bu}\right)}{\partial t}\right\rangle=0 \ , \tag{26}$$

where I_0 is the modified Bessel function of order zero and the function $B(r)$ is defined by (22) with $n=1$. In what follows we also use the asymptotic expansions of the function $K_b(r)$ at the origin and infinity in the extra space

$$K_b(r)\Big|_{r\to 0}=1+\frac{b^2B_0{}^2\left[\sin(Z_1)-Z_1\cos(Z_1)\right]^2}{2\pi Z_1}a^2r^2+O\left(a^3r^3\right) \ , \tag{27}$$

$$K_b(r)\Big|_{r\to +\infty}=1+\frac{b^2B_0{}^2Z_1{}^5}{450\pi}e^{-10ar}+O\left(e^{-12ar}\right) \ , \tag{28}$$

with Z_1 defined by (24).

3. Localization of Gauge Fields

For simplicity we consider only the $U(1)$ gauge (vector) field, the generalization to the case of non-Abelian gauge fields is straightforward. The action of vector field is:

$$S_F=-\frac{1}{4}\int d^6x\sqrt{-g}\,g^{MN}g^{PR}F_{MP}F_{NR} \ , \tag{29}$$

where the determinant for our *ansatz* (4) has the form

$$\sqrt{-g}=R_0e^{5ar} \ , \tag{30}$$

and 6D vector field tensor is defined as

$$F_{MP}=\partial_M A_P-\partial_P A_M \ . \tag{31}$$

The action (29) gives the system of six equations

$$\frac{1}{\sqrt{-g}}\partial_M\left(\sqrt{-g}\,g^{MN}g^{PR}F_{NR}\right)=0 \ , \tag{32}$$

which for our metric (4) have the following explicit form

$$e^{ar-u}\left(\partial_xF_{xt}+\partial_yF_{yt}+\partial_zF_{zt}\right)+\partial_r\left(e^{3ar}F_{rt}\right)+R_0^{-2}e^{ar+3u}\partial_\theta F_{\theta t}=0 \ , \tag{33}$$

$$\partial_t\left(e^{ar-u}F_{tx}\right)-\partial_y\left(e^{ar-2u}F_{yx}\right)-\partial_z\left(e^{ar-2u}F_{zx}\right)-\partial_r\left(e^{3ar-u}F_{rx}\right)-R_0^{-2}e^{ar+2u}\partial_\theta F_{\theta x}=0 \ , \tag{34}$$

$$\partial_t\left(e^{ar-u}F_{ty}\right)-\partial_x\left(e^{ar-2u}F_{xy}\right)-\partial_z\left(e^{ar-2u}F_{zy}\right)-\partial_r\left(e^{3ar-u}F_{ry}\right)-R_0^{-2}e^{ar+2u}\partial_\theta F_{\theta y}=0 \ , \tag{35}$$

$$\partial_t\left(e^{ar-u}F_{tz}\right)-\partial_x\left(e^{ar-2u}F_{xz}\right)-\partial_y\left(e^{ar-2u}F_{yz}\right)-\partial_r\left(e^{3ar-u}F_{rz}\right)-R_0^{-2}e^{ar+2u}\partial_\theta F_{\theta z}=0 \ , \tag{36}$$

$$\partial_t\left(e^{3ar}F_{tr}\right)-\partial_x\left(e^{3ar-u}F_{xr}\right)-\partial_y\left(e^{3ar-u}F_{yr}\right)-\partial_z\left(e^{3ar-u}F_{zr}\right)-R_0^{-2}e^{3ar+3u}\partial_\theta F_{\theta r}=0 \ , \tag{37}$$

$$\partial_t\left(e^{ar+3u}F_{t\theta}\right)-\partial_x\left(e^{ar+2u}F_{x\theta}\right)-\partial_y\left(e^{ar+2u}F_{y\theta}\right)-\partial_z\left(e^{ar+2u}F_{z\theta}\right)-\partial_r\left(e^{3ar+3u}F_{r\theta}\right)=0 \ . \tag{38}$$

We look for the solution to system (33) - (38) in the form

$$A_t(x^C)=a_t(x^\nu)\sum_{l,m}\rho_m(r)e^{il\theta} \ , \tag{39}$$

$$A_x(x^C) = e^{u(t,r)} a_x(x^\nu) \sum_{l,m} \rho_m(r) e^{il\theta} \ , \tag{40}$$

$$A_y(x^C) = e^{u(t,r)} a_y(x^\nu) \sum_{l,m} \rho_m(r) e^{il\theta} \ , \tag{41}$$

$$A_z(x^C) = e^{u(t,r)} a_z(x^\nu) \sum_{l,m} \rho_m(r) e^{il\theta} \ , \tag{42}$$

$$A_r(x^C) = a_r(x^\nu) \sum_{l,m} \xi_m(r) e^{il\theta} \ , \tag{43}$$

$$A_\theta(x^C) = 0 \ , \tag{44}$$

where $u(t,r)$ is the oscillatory metric function (18), and $a_\mu(x^\nu)$ denote the components of 4D vector potential (Greek letters are used for 4D indices) that obey 4D Lorenz-like gauge condition

$$\eta^{\alpha\beta} \partial_\alpha a_\beta(x^\nu) = 0 \tag{45}$$

($\eta_{\alpha\beta}$ denote the metric of 4D Minkowski spacetime). In fact, equation (45) together with the expression (44) can be considered as the full set of gauge conditions imposed on the vector field $A_M(x^C)$.

In the case when the frequencies of bulk standing waves ω is much larger than frequencies associated with the energies of the particles on the brane,

$$\omega \gg E, \tag{46}$$

we assume the existence of localized flat 4D vector waves,

$$a_\mu\left(x^\nu\right) \sim \varepsilon_\mu e^{i(Et + p_x x + p_y y + p_z z)} \ , \tag{47}$$

where E , p_x , p_y , p_z are components of energy-momentum along the brane. So, putting (39) - (44) into system (33) - (38) and performing time averaging we get the following system of equations

$$\left(\partial_r\left(e^{3ar}\partial_r\right) - e^{ar}\left(K_1\partial^\mu\partial_\mu - \left(K_1 - 1\right)\partial_t^2 + \frac{l^2}{R_0^2}K_3\right)\right) a_t \rho_m = \partial_r\left(e^{3ar}\xi_m\right)\partial_t a_r \ , \tag{48}$$

$$\left(\partial_r\left(e^{3ar}\partial_r\right) - e^{ar}\left(K_1\partial^\mu\partial_\mu - \left(K_1 - 1\right)\partial_t^2 + \frac{l^2}{R_0^2}K_3\right)\right) a_i \rho_m = K_1\partial_r\left(e^{3ar}\xi_m\right)\partial_i a_r \ , \tag{49}$$

$$\left(\partial^\mu\partial_\mu + \left(K_1 - 1\right)\partial_t^2 + \frac{l^2}{R_0^2}K_4\right) a_r \xi_m = 0 \ , \tag{50}$$

$$\partial_r\left(e^{3ar}\xi_m\right) = 0 \ , \tag{51}$$

where in (49) index i runs (x, y, z), and the functions $K_1(r)$, $K_3(r)$ and $K_4(r)$ are time averages defined by (25). For the s-wave ($l = 0$) zero mode wave function this system reduces to

$$\left(\partial_r\left(e^{3ar}\partial_r\right) - e^{ar} p^2\left(K_1 - 1\right)\right) a_t \rho_0 = \partial_r\left(e^{3ar}\xi_0\right)\partial_t a_r \ , \tag{52}$$

$$\left(\partial_r\left(e^{3ar}\partial_r\right) - e^{ar} p^2\left(K_1 - 1\right)\right) a_i \rho_0 = K_1\partial_r\left(e^{3ar}\xi_0\right)\partial_i a_r \ , \tag{53}$$

$$p^2\left(K_1 - 1\right) a_r \xi_0 = 0 \ , \tag{54}$$

$$\partial_r\left(e^{3ar}\xi_0\right) = 0 \ , \tag{55}$$

with $p^2 = p_x^2 + p_y^2 + p_z^2$. According to (54) and (55) we set $\xi_0(r) = C_1 e^{-3ar}$ and $a_r(x^\nu) = 0$, then equations (52) and (53) reduce to the following single equation

$$\left(\frac{d}{dr}\left(e^{3ar}\frac{d}{dr}\right) - e^{ar} p^2\left(K_1 - 1\right)\right)\rho_0(r) = 0 \ . \tag{56}$$

So, the zero-mode solution has the following 6D form

$$A_t(x^C) = a_t(x^\nu)\rho_0(r) \ , \tag{57}$$

$$A_x(x^C) = e^{u(t,r)} a_x(x^\nu)\rho_0(r) \ , \tag{58}$$

$$A_y(x^C) = e^{u(t,r)} a_y(x^\nu)\rho_0(r) \ , \tag{59}$$

$$A_z(x^C) = e^{u(t,r)} a_z(x^\nu)\rho_0(r) \ , \tag{60}$$

$$A_r(x^C) = 0 \ , \tag{61}$$

$$A_\theta(x^C) = 0 \ , \tag{62}$$

where 4D factors $a_\mu(x^\nu)$ have form defined by (47), and the function $\rho_0(r)$ obeys the equation (56).

By making the change

$$\rho_0(r) = e^{-3ar/2}\upsilon_0(r) \tag{63}$$

we rewrite (56) into the form of non-relativistic quantum mechanical problem

$$\left[\frac{d^2}{dr^2} - U(r)\right]\upsilon_0 = 0 \ ,$$

where the potential

$$U(r) = \frac{9}{4}a^2 + p^2 e^{-2ar}\left(K_1(r) - 1\right)$$

has finite values at the origin and infinity in extra 2D extra space (see Fig. 1).



Fig. 1

We explore (64) in two limiting regions, far from and close to the brane. Using (28), far from the brane, ie $r \to +\infty$, the equation (64) obtains the form

$$\left[\frac{d^2}{dr^2} - \frac{9}{4}a^2\right]\upsilon_0 = 0 \ , \tag{66}$$

with the general solution

$$\upsilon_0(r) = C_1 e^{-3ar/2} + C_2 e^{3ar/2} \ , \tag{67}$$

where C_1 and C_2 are some constants. Taking into account the change of variables (63), the extra dimension factor $\rho_0(r)$ of the vector field has the form

$$\rho_0(r)\big|_{r\to+\infty} = C_1 e^{-3ar} + C_2 \ . \tag{68}$$

To have normalizable zero mode, at the infinity we impose boundary condition

$$\rho_0(r)\big|_{r\to+\infty} = 0 \ , \tag{69}$$

and get the following result

$$\rho_0(r)\big|_{r\to+\infty} = C_1 e^{-3ar} \ . \tag{70}$$

According to (28), close to the brane, $r \to 0$, the equation (64) again reduces to (66). The fact, that the equations far from and close to the brane are the same, is not surprising since according to (27) and (28) the second term of the potential $U(r)$ in (65) vanishes in both regions. These two regions correspond to the nodes of the standing waves. Hence the extra dimension factor $\rho_0(r)$ of the vector field has again the form

$$\rho_0(r)\big|_{r\to 0} = C_3 e^{-3ar} + C_4 \ , \tag{71}$$

where C_3 and C_4 are again some constants. At the origin we impose boundary condition

$$\left.\frac{d\rho_0(r)}{dr}\right|_{r=0} = 0 \ , \tag{72}$$

and get the following result

$$\rho_0(r)\big|_{r\to 0} = C_3\left(3a + e^{-3ar}\right) . \tag{73}$$

So, $\rho_0(r)$ has maximum on the brane and falls off at extra space infinity as e^{-3ar}. Using the metric (4) and definition (31), it's easy to find the time-averaged components of the zero mode vector field tensor

$$\left\langle F_t^i \right\rangle = -e^{-2ar}\rho_0\left(f_t^i + \left(K_1 - 1\right)\partial^i a_t \right) , \tag{74}$$

$$\left\langle F_i^k \right\rangle = -e^{-2ar}\rho_0 f_i^k \ , \tag{75}$$

$$\left\langle F_r^\beta \right\rangle = -e^{-2ar}\frac{d\rho_0}{dr} a^\beta \ , \tag{76}$$

$$\left\langle F_\theta^A \right\rangle = 0 \ , \tag{77}$$

where $f_{\mu\nu}\left(x^\alpha\right) = \partial_\mu a_\nu\left(x^\alpha\right) - \partial_\nu a_\mu\left(x^\alpha\right)$ and small Latin indices i and k run values $\left(x, y, z\right)$. Accordingly, the 6D Lagrangian for zero mode is

$$\begin{aligned}\left\langle L^{(0)} \right\rangle &= -\frac{1}{4}\sqrt{-g}\left\langle F_A^B \right\rangle\left\langle F_B^A \right\rangle = \\ &= -\frac{R_0}{4}e^{ar}\Big[\rho_0^{\,2} f_\mu^\nu f_\nu^\mu + \rho_0^{\,2}\left(K_1 - 1\right)\left(f_t^i \partial^t a_i + f_i^t \partial^i a_t \right) + \\ &\quad + \rho_0^{\,2}\left(K_1 - 1\right)^2 \partial^i a_t \partial^t a_i + \left(\rho_0'\right)^2 a_\mu a^\mu \Big] .\end{aligned} \tag{78}$$

Using (27), (28), (68) and (73), it's straightforward to show that on the brane, $r = 0$, the Lagrangian has standard 4D form

$$\left\langle L^{(0)} \right\rangle\Big|_{r=0} = -\frac{R_0}{4} C_3^{\,2}\left(3a + 1\right)^2 f_\mu^\nu f_\nu^\mu \ , \tag{79}$$

and far from the brane, $r \to +\infty$, it has the following asymptotic form

$$\left\langle L^{(0)} \right\rangle\Big|_{r=0} = -\frac{R_0}{4} C_1^{\,2} e^{-5ar} f_\mu^\nu f_\nu^\mu \ . \tag{80}$$

So, the integral over extra coordinates r and θ in the action (29) is convergent, meaning that 4D vector fields are localized on the brane.

It must be noted that the Lagrangian (78) has the mass term $\left(\rho_0'\right)^2 a_\mu a^\mu$. This term according to (72) is zero on the brane, ie the zero mode vector particles (for example, photons) are massless only on the brane and acquire masses in the bulk. This fact can be considered as the alternative localization mechanism for the zero mode vector particles on the brane.

References:

1. V.A. Rubakov, Phys. Usp. 44, 871 (2001) [Usp. Fiz. Nauk 171, 913 (2001)].
2. D. Langlois, Prog. Theor. Phys. Suppl. 148, 181 (2003).
3. P.D. Mannheim, Brane-localized Gravity, (World Scientific, Singapore, 2005).
4. R. Maartens and K. Koyama, Living Rev. Rel. 13, 5 (2010).
5. P. Midodashvili and L. Midodashvili, arXiv:1010.3853 [hep-th].
6. M. Gogberashvili, P. Midodashvili and L. Midodashvili, Phys. Lett. B 702, 276 (2011).
7. M. Gogberashvili, P. Midodashvili and L. Midodashvili, Phys. Lett. B 707, 169 (2012).
8. M. Gogberashvili, P. Midodashvili and L. Midodashvili, arXiv:1109.3758 [hep-th].
9. M. Gogberashvili, P. Midodashvili and L. Midodashvili, Int. J. Mod. Phys. D 21, 1250081 (2012).

10. L. Midodashvili and P. Midodashvili, “Standing Wave Braneworld Generated by Phantom-like Scalar Field in 6D”, The Sixth International Conference “Modern Challenges of Education”, Gori State Teaching University, November 15-16, 2013, Gori, Georgia.

Abstract:

In the article we investigate the problem of pure gravitational localization of gauge fields in the 6D standing wave braneworld model generated by gravity coupled to a phantom-like bulk scalar field. We explicitly show that in the case, when the frequency of bulk standing waves is much larger than the energies of the particles on the brane, zero mode vector particles, and hence gauge fields, are localized on the brane.

თინათინ მშვიდობაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მონაცემების უსაფრთხოების საკითხები ღრუბლოვან კომპიუტინგში შიფრირების ალგორითმების გამოყენებით

ღრუბლოვანი გამოთვლები

არსებობს ღრუბლოვანი გამოთვლების ხუთი ძირითადი სერვისული მოდელი:

SaaS (Software as a Service – პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც მომსახურება). ამ მოდელით მომხმარებელი იყენებს ღრუბლოვანი სერვისების პროვაიდერის აპლიკაციებს, რომლებიც “გაშვებულია” ღრუბლოვან ინფრასტუქტურაში და მათთან წვდომა შეიძლება ვებ-ბრაუზერის საშუალებით. მაგალითად, Feng Office Community Edition, Simple Groupware, Zarafa.

PaaS (Platforms as a Service – პლატფორმა, როგორც მომსახურება). ამ მოდელით მომხმარებელი იღებს პროგრამულ პლატფორმასთან პროგრამული მიმართვის უფლებას. ამ კონცეფციის ნათელი მაგალითებია XenCloudPlatform, CloudFoundry, ApacheHadoop, ApacheHive.

IaaS (Infrastucture as a Service – ინფრასტრუქტურა, როგორც მომსახურება). ამ მოდელით მომხმარებელს აქვს საშუალება მართოს დამუშავებისა და შენახვის საშუალებები, ასევე სხვა ფუნდამენტური გამოთვლითი რესურსები, სადაც მას დამოუკიდებლად შეუძლია ოპერაციული სისტემებისა და პროგრამების ინსტალაცია საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. მოცემული კონცეფციის თავისუფალი რეალიზაციებია Eucalyptus, OpenNebula, OpenStack, Nimbus .

MaaS (Monitoring as a Service, მონიტორინგი როგორც სერვისი) – შედარებით ახალი მიმართულებაა. ესაა ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მომსახურებაც ხდება ღრუბელში. ასეთი OpenSource – გადაწყვეტილებებია Ganglia, Zabbix, HypericHQ, Nagios.

CaaS (Communication as a Service, კომუნიკაცია, როგორც სერვისი) - შედარებით ახალი მიმართულებაა. ეს ღრუბელში აგებული საკომუნიკაციო გადაწყვეტილებაა ორგანიზაციებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ხმოვანი სიგნალის გადაცემას ინტერნეტის ქსელით ან ნებისმიერი სხვა IP – ქსელით (VoIP), შეტყობინებების გაცვლას (IM), ვიდეოკონფერენციებს. აქ აღსანიშნავია პროექტები Ekida, ILBC და Speex. [1]

არსებობს ოთხი სახის ღრუბელი:

Private cloud (კერძო ღრუბელი) – ინფრასტრუქტურა, რომელსაც იყენებენ ღრუბლოვანი გამოთვლებისთვის ერთი ორგანიზაციის მასშტაბით.

Community cloud (საზოგადოებრივი ღრუბელი) – ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც განკუთვნილია ორგანიზაციის მომხმარებელთა გარკვეული წრისთვის, რომლებიც წყვეტენ საერთო პრობლემებს.

Public cloud (საჯარო ღრუბელი) – ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა, რომელსაც იყენებს მომხმარებელთა ფართო წრე.

Hybrid cloud (ჰიბრიდული ღრუბელი) – ესაა სხვადასხვა ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურების (კერძო, საჯარო და საზოგადოებრივის) კომბინაცია. აქ მომხმარებლები უნიკალური ობიექტები არიან, მაგრამ დაკავშირებული არიან სტანდარტიზებული ან კერძო ტექნოლოგიებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემებისა და აპლიკაციების გაცვლას.

ღრუბლოვანი სერვისების არქიტექტურა ნახ. 1-ზეა წარმოდგენილი.



ნახ. 1. ღრუბლოვანი არქიტექტურის ზოგადი სტრუქტურა

როგორც ნახაზიდან ჩანს, ღრუბლოვანი ტექნოლოგია მომხმარებელს სხვადასხვა დონის სერვისებს სთავაზობს.

უსაფრთხოების ალგორითმები და მათი გამოყენება CLOUD კომპიუტინგში

უსაფრთხოება ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მეტად კრიტიკულ ასპექტად ყოველდღიურ გამოთვლებში.

ღრუბლოვანი კომპიუტინგის ინფრასტრუქტურა იყენებს ახალ ტექნოლოგიებს და მომსახურებას, რომელთა უმეტესობა სრულად არ არის შეფასებული უსაფრთხოების თვალსაზრისით. ტექნოლოგია შეიცავს სხვადასხვა საკითხებს, როგორიცაა კონფიდენციალობა, სეგრეგაცია, შენახვა, საიმედოობა, უსაფრთხოება, მოცულობა და სხვ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის არის უსაფრთხოება. ზოგადად Cloud Computing-ს ჰყავს რამდენიმე მომხმარებელი: ჩვეულებრივი მომხმარებლები, აკადემიური წრეები და საწარმოები, რომლებსაც განსხვავებული მოტივაცია აქვთ ღრუბელთან წვდომისას [2].

განვიხილავთ Cloud კომპიუტინგის უსაფრთხოების დაშიფვრის ალგორითმებს ჩვეულებრივი მომხმარებლისათვის (USER_CLOUD). ეს ალგორითმები შესრულებულია Net Beans IDE 7.3, და Run Java Run Time გარემოში, შიფრირების და განშიფვრის ალგორითმების სახით და ასევე ნაჩვენებია შედარება მათი მახასიათებლების საფუძველზე.

ალგორითმები, როგორიცაა: RSA, AES, Blowfish გამოკვლეული და შედარებული იქნა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის კუთხით.

RSA ალგორითმი - RSA არის საჯარო ასიმეტრიული ალგორითმი, რომელიც იყენებს სხვადასხვა გასაღებებს დაშიფვრის და განშიფვრის მიზნით. ძირითადი ზომა RSA ალგორითმის არის 1024 ბიტი. იგი გამოიყენება, რათა უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება Cloud კომპიუტინგში. დაშიფრული მონაცემები ინახება ღრუბელში, მხოლოდ დაინტერესებულ და უფლებამოსილ წევრებს შეუძლიათ მასზე წვდომა. ამიტომ მოთხოვნა შეიძლება განთავსდეს Cloud პროვაიდერზე. Cloud პროვაიდერი მოახდენს მომხმარებლის აუდენთიფიკაციას და აწვდის მას მონაცემებს. ამ შემთხვევაში RSA არის შიფრის ბლოკი, რომელშიც ყველა გზავნილი მიმაგრებულია როგორც მთლიანი რიცხვი.

ამრიგად, კოდირება ხდება Cloud სერვისის პროვაიდერის მიერ, განშიფრვა კი ხდება ღრუბლის მომხმარებლის მიერ.

AES ალგორითმი - AES(Advanced Encryption Standard) – სტანდარტული შიფრირების სიმეტრიული საკვანძო კოდირების ალგორითმი გამოიყენება 128 ბიტიანი ზომის გასაღებით ღრუბლის უსაფრთხოებისათვის. შესრულებისას მომხმარებელი წარუდგენს მის მოთხოვნებს ღრუბლის მომსახურების პროვაიდერს (CSP) და ირჩევს პროვაიდერის მიერ მოწოდებულ საუკეთესო მომსახურებას. მონაცემები პირველ რიგში დაშიფრული იქნება AES ალგორითმის გამოყენებით და შემდეგ ეგზავნება პროვაიდერს. ერთხელ დაშიფრული მონაცემები ატვირთულია ღრუბელში და შემდეგ ჩვეულებრივი ტექსტური მონაცემების წაკითხვა შესაძლებელია მომხმარებლისათვის. ფიზიკური გასაღების მართვის

სერვერი შეიძლება დამონტაჟდეს მომხმარებლის შენობაში. ეს შიფრირება იცავს მონაცემებს და გასაღებებს და იძლევა გარანტიას, რომ ისინი დარჩებიან მომხმარებლის კონტროლის ქვეშ.

BLOWFISH ალგორითმი – Blowfish არის სიმეტრიული საკვანძო კრიპტოგრაფიული ალგორითმი. Blowfish შიფრავს 64 ბიტიან ბლოკებს ცვლადი სიგრძის გასაღებით 128-448 ბიტი. Blowfish - მახაიათებლებია:

ა) სისწრაფე - 32-ბიტიანი მიკროპროცესორების კოდირების მაჩვენებელი შეადგენს 26 საათიან ციკლს.

ბ) კომპაქტურობა - შეიძლება განხორციელდეს 5 კბ-ზე ნაკლებ მეხსიერებაში.

გ) სიმარტივე - blowfish-ი იყენებს მხოლოდ პრიმიტიულ ოპერაციებს, მისი დიზაინი და შესრულება მარტივია.

დ) უსაფრთხოება - blowfish-ს აქვს ცვლადი გასაღები მაქსიმუმ 448 ბიტიანი ზომით, რაც მას უსაფრთხოს და მოქნილს ხდის [3].

შესრულება და შედეგები

ალგორითმების შესრულება მოხდა NetBeans IDE-ის გარემოში Java პროგრამის გამოყენებით.

კოდირება ალგორითმების გამოყენებით მოცემულია ქვემოთ:



სურ. 1. კოდირება 1-ის გამოყენება ღრუბლოვანი მონაცემების უსაფრთხოებისთვის



სურ. 2. კოდირება 2-ის გამოყენება ღრუბლოვანი მონაცემების უსაფრთხოებისთვის

შედეგები

ალგორითმების დახასიათება და შედარება [4].

ცხრილი 1

მახასიათებლები	AES	RSA	BLOWFISH
პლატფორმა	ღრუბლოვანი კომპიუტინგი	ღრუბლოვანი კომპიუტინგი	ღრუბლოვანი კომპიუტინგი
გასაღების ზომა	128,192,256 bits	1024 bits	32-448 bits
გასაღების გამოყენება	იგივე გასაღები გამოიყენება შიფრირების და განშიფვრისათვის	საჯარო გასაღები გამოიყენება შიფრირებისა და პირადი გასაღები, განშიფვრისთვის	იგივე გასაღები გამოიყენება ორივე შიფრირებისა და მონაცემთა განშიფრვისთვის
მასშტაბურობა	მასშტაბური	არა მასშტაბური	მასშტაბური
საწყისი ვექტორული ზომა	128 bits	1024 bits	64 bits
უსაფრთხოება	უსაფრთხოება პროვაიდერის და მომხმარებლის	უსაფრთხოება მხოლოდ მომხმარებლის	უსაფრთხოება პროვაიდერების და მომხმარებლის
მონაცემთა შიფრირების მოცულობა	გამოიყენება დიდი რაოდენობის მონაცემთა დაშიფვრისას	გამოიყენება მცირე ზომის მონაცემთა დაშიფვრისას	ნაკლებია AES -ზე
აუდენტიფიკაციის ტიპი	საუკეთესო აუდენტიფიკაციის პროვაიდერი	ძლიერი აუდენტიფიკაციის შემსრულებელი	AES- ის მსგავსი
მეხსიერების გამოყენება	დაბალ RAM-ს საჭიროებს	მაქსიმალური მეხსიერების გამოყენების ალგორითმი	შეიძლება შესრულდეს არანაკლებ 5Kb -ის
შესრულების დრო	სწრაფი, სხვებთან შედარებით	საჭიროებს მაქსიმალურ დროს	საჭიროებს მცირე დროს

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილია დაშიფვრის ალგორითმები, ღრუბლოვანი მონაცემების დაცვისათვის, უსაფრთხოების პრობლემები, გამოწვევები და შედარება AES, Blowfish და RSA ალგორითმების, საუკეთესო უსაფრთხოების ალგორითმის გამოსავლენად, რომელიც უნდა გამოვიყენოთ Cloud კომპიუტინგში, რათა უზრუნველყოს ღრუბლოვანი მონაცემების დაცვა თავდამსხმელებისაგან.

დაშიფვრის ალგორითმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მონაცემთა უსაფრთხოებაზე. ალგორითმების სხვადასხვა პარამეტრების შედარებით აღმოჩნდა, რომ AES ალგორითმი იყენებს მცირე დროს ღრუბლოვანი ოპერაციების შესასრულებლად. Blowfish ალგორითმს აქვს მინიმუმი მეხსიერების მოთხოვნა. ამგვარად, Cloud კომპიუტინგ- ში, IDE ინსტრუმენტისა და JDK 1.7- ის გარემოში, ალგორითმების შესრულებისას მიღებული მონაცემებით სასურველი შედეგი მიღწეულია.

ლიტერატურა:

1. გ. სურგულაძე, ე. თურქია, „ბიზნეს–პროცესების მართვის სისტემის დაპროექტება“, მონოგრაფია. სტუ, თბილისი, 2003.
2. Pearson, S., Benameur, A., Privacy, Security and Trust Issues Arises from Cloud Computing, Cloud Computing Technology and Science (CloudCom), IEEE Second International Conference 2010, On page(s): 693-702.
3. Wang, J.K.; Xinpei Jia, Data Security and Authentication in hybrid cloud computing model, Global High Tech Congress on Electronics (GHTCE), 2012 IEEE, On page(s): 117-120.
4. Peter Mell, Timothy Grance, The NIST Definition of Cloud Computing, January 2011. http://docs.ismgcorp.com/files/external/Draft-SP-800-145_cloud-definition.pdf.

Tinatin Mshvidobadze
Gori State Teaching University

DATA SECURITY ISSUES USING ENCRYPTION ALGORITHMS IN CLOUD COMPUTING

RESUME

The paper reviews basic service models of cloud computing.

Cloud Computing is based on a decade of research in the field of virtualization, distributed computing, web and software services. It involves service-oriented architecture, characterized by high flexibility and reduces the cost of information technology for the end-user.

Is shown the characteristics of cloud computing, technological capabilities offered as service.

Reviewed Cloud Computing's security issues, mechanisms and challenges, which are facing the service provider and are characterized by different security algorithms.

ზურაბ სულთანიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზოგიერთი რეკომენდაცია მატრიცათა ალგებრის სწავლებისას

შ ე ს ა ვ ა ლ ი

უმაღლესი მათემატიკის კურსის შესწავლის ძირითადი პრინციპია სტუდენტის ფუნდამენტური მათემატიკის დონის ამაღლება და მისი გაძლიერება გამოყენებითი მიმართულებებით.

მათემატიკის განვითარებაზე მოთხოვნამ მე-20 საუკუნეში, მეცნიერების სხვადასხვა სფეროს „მათემატიზაციამ“, მათემატიკური მეთოდების გამოყენებამ პრაქტიკულ საქმიანობაში და გამოთვლითი ტექნიკის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა რიგი ისეთი მათემატიკური დისციპლინების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: ოპერაციათა გამოკვლევა, თამაშთა თეორია, მათემატიკური ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და სხვა.

როგორც ცნობილია, ***მათემატიკური დამტკიცება – მკაცრი ლოგიკური დასაბუთება*** მათემატიკური კვლევის ძირითადი მეთოდია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ აქსიომებზე დამყარებული „მკაცრი“ მტკიცებულებები უნდა იქნეს გამოყენებული სწავლებისას, რადგან ეს შეუძლებელია და ხშირად მიზანშეწონილიც არ არის მეთოდური კუთხით. შეზღუდულ ვადებში დისციპლინის შესწავლის პროცესში აუცილებელია, რომ დიდი ყურადღება დაეთმოს მათემატიკური ცნებების განმარტებებს, მათ გეომეტრიულ, ფიზიკურ, ეკონომიკურ შინაარსს და პრაქტიკული ამოცანების ამოხსნას.

უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკური აზროვნება არ ნიშნავს მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობას: ამოცანის სწორად დასმისთვის, მონაცემების შეფასებისთვის, მათგან ყველაზე არსებითების გამოსაყოფად და ამოხსნის ხერხების ასარჩევად აუცილებელია ასევე ***მათემატიკური ინტუიცია***, რომლითაც შესაძლებელია საჭირო შედეგების წინასწარ განჭვრეტა და კვლევის მიმართულების დასახვა დამაჯერებელი მსჯელობის საშუალებით. განსახილველი ფაქტის სამართლიანობის დამტკიცება ხორციელდება არა რიგ მაგალითებზე შემოწმების და ექსპერიმენტების სერიის ჩატარების საშუალებით, არამედ მხოლოდ ლოგიკური გზით, ფორმალური ლოგიკის კანონების მიხედვით.

ქვემოთ წარმოდგენილია მეთოდები, რომლებიც სწორედაც რომ აღნიშნულის ილუსტრაციაა.

1. ***მატრიცის რანგის პოვნა ელემენტარული გარდაქმნების საშუალებით***

მრავალი მათემატიკური და გამოყენებითი ამოცანის გამოსაკვლევად და ამოსახსნელად დიდი მნიშვნელობა აქვს მატრიცის რანგის ცნებას.

$m \times n$ (m – სტრიქონების რაოდენობაა, n – სვეტების) განზომილების რაიმე A მატრიცაში რომელიმე სტრიქონების ან სვეტების გამორიცხვით შესაძლებელია გამოვყოთ k-ური რიგის კვადრატული ქვემატრიცები, $k \le \min(m;n)$. ამ ქვემატრიცების დეტერმინანტებს ეწოდება A მატრიცის k-ური რიგის **მინორები.**

განსაზღვრება. $A_{m\times n}$ მატრიცის ***რანგი*** ეწოდება ამ მატრიცის ნულისგან განსხვავებული მინორების რიგებს შორის ყველაზე მაღალ რიგს.

A მატრიცის რანგს აღნიშნავენ $rang\ A$ ან $r(A)$ სიმბოლოებით.

მოცემული განსაზღვრებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

ა) $r(A)\le \min(m;n)$;

ბ) $r(A)$=0 მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა მატრიცის ყველა ელემენტი ნულის ტოლია, ე. ი. A=0;

გ) n-ური რიგის კვადრატული მატრიცისთვის $r(A)=n$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ A მატრიცა გადაუგვარებელია, ე. ი. A მატრიცის დეტერმინანტი $|A|\ne 0$.

თეორიაში მატრიცის რანგის დასადგენად ამოწმებენ მინორებს გადაგვარებულობაზე რიგის კლების მიხედვით, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია (განსაკუთრებით, მაღალი რიგის მატრიცების შემთხვევაში). პრაქტიკაში უფრო სწრაფი ალგორითმები გამოიყენება (მაგალითად, გაუსის მეთოდი).

საინტერესო მეთოდს წარმოადგენს რანგის მოძებნა ე. წ. ელემენტარული გარდაქმნების საშუალებით. კერძოდ:

ელემენტარული ვუწოდოთ მატრიცის შემდეგ გარდაქმნებს:

1) ნულოვანი სტრიქონის (სვეტის) ამოშლა;

2) სტრიქონის (სვეტის) ყველა ელემენტის გამრავლება რაიმე არანულოვან რიცხვზე;

3) სტრიქონის (სვეტის) რიგითობის შეცვლა;

4) რომელიმე სტრიქონის (სვეტის) ყველა ელემენტზე სხვა სტრიქონის (სვეტის) რაიმე რიცხვზე გამრავლებული შესაბამისი ელემენტების მიმატება;

5) ტრანსპონირება.

ადვილი საჩვენებელია, რომ მატრიცის რანგი არ იცვლება ამ მატრიცის ელემენტარული გარდაქმნების შედეგად.

ორ მატრიცას ეწოდებათ ***ეკვივალენტურები,*** თუ ერთი მათგანი მიღებულია მეორისგან ელემენტარული გარდაქმნების საშუალებით.

ელემენტარული გარდაქმნების საშუალებით ***მატრიცის რანგის გამოთვლა*** ვაჩვენოთ შემდეგი მაგალითის განხილვით:

მაგალითი 1. ვიპოვოთ $A_{4\times 5}$ მატრიცის რანგი.

$$A=\begin{pmatrix} 0 & -1 & 3 & 0 & 2 \\ 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ -4 & 5 & 7 & -10 & 0 \\ -2 & 1 & 8 & -5 & 3 \end{pmatrix}.$$

ამოხსნა.

I. თუ $a_{11}=0$ (როგორც ჩვენს მაგალითშია), სტრიქონები ან სვეტები ისე უნდა გადავაადგილოთ, რომ მივიღოთ: $a_{11}\ne 0$. ამ მატრიცაში შევუცვალოთ ადგილები, ვთქვათ, პირველ და მეორე სტრიქონებს. მატრიცათა ეკვივალენტურობის აღსანიშნავად გამოვიყენოთ სიმბოლო – „$\Leftrightarrow$“. მივიღებთ:

$$\begin{pmatrix} 0 & -1 & 3 & 0 & 2 \\ 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ -4 & 5 & 7 & -10 & 0 \\ -2 & 1 & 8 & -5 & 3 \end{pmatrix} \Leftrightarrow \begin{pmatrix} 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ 0 & -1 & 3 & 0 & 2 \\ -4 & 5 & 7 & -10 & 0 \\ -2 & 1 & 8 & -5 & 3 \end{pmatrix}.$$

ჩვენი მიზანია ელემენტარული გარდაქმნებით მივიღოთ ნულოვანი სტრიქონები (სვეტები), რომლებსაც შემდეგ გამოვრიცხავთ.

II. მოცემულ შემთხვევაში უკვე გვაქვს: $a_{21}\ne 0$, ამიტომ მეორე სტრიქონს ვტოვებთ უცვლელად. პირველი სტრიქონის ყველა ელემენტი უნდა გამრავლდეს ჯერ 2-ზე და დაემატოს მესამე სტრიქონის შესაბამის ელემენტებს, ხოლო შემდეგ გამრავლდეს 1-ზე და დაემატოს მეოთხე სტრიქონის შესაბამის ელემენტებს. სქემატურად ეს მოქმედებები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$\begin{pmatrix} 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ 0 & -1 & 3 & 0 & 2 \\ -4 & 5 & 7 & -10 & 0 \\ -2 & 1 & 8 & -5 & 3 \end{pmatrix} \times(2), \times(1) \Leftrightarrow \begin{pmatrix} 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ 0 & -1 & 3 & 0 & 2 \\ 0 & -3 & 9 & 0 & 6 \\ 0 & -3 & 9 & 0 & 6 \end{pmatrix}$$

III. გავაგრძელოთ ანალოგიური გარდაქმნები სასურველი შედეგის მიღებამდე:

$$\begin{pmatrix} 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ 0 & -1 & 3 & 0 & 2 \\ 0 & -3 & 9 & 0 & 6 \\ 0 & -3 & 9 & 0 & 6 \end{pmatrix} \times(-3), \times(-3) \Leftrightarrow \begin{pmatrix} 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ 0 & -1 & 3 & 0 & 2 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 \end{pmatrix}$$

IV. შეგვიძლია ამოვრიცხოთ მესამე და მეოთხე სტრიქონები:

$$\begin{pmatrix} 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ 0 & -1 & 3 & 0 & 2 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 \end{pmatrix} \Leftrightarrow \begin{pmatrix} 2 & -4 & 1 & 5 & 3 \\ 0 & -1 & 3 & 0 & 2 \end{pmatrix}$$

მიღებული მატრიცა შეიცავს მეორე რიგის ნულისგან განსხვავებულ მინორებს, მაგალითად, $\begin{vmatrix} 2 & -4 \\ 0 & -1 \end{vmatrix} = -2 \neq 0$. ამიტომ მიღებული „საფეხურებიანი“ და მაშასადამე, თავდაპირველად მოცემული A მატრიცის რანგია 2 – $r(A)$=2.

2. შებრუნებული *მატრიცის მოძებნა ელემენტარული გარდაქმნების საშუალებით*

ჯერ განვიხილოთ შებრუნებული მატრიცის გამოთვლის ალგორითმი:

- ✓ ვითვლით მოცემული კვადრატული A მატრიცის დეტერმინანტს. თუ $|A|=0$, A მატრიცა გადაგვარებულია და შებრუნებული A^{-1} მატრიცა არ არსებობს. თუ $|A|\neq 0$, მატრიცა გადაუგვარებელია და შესაბამისად, შებრუნებული მატრიცაც გააჩნია;
- ✓ ვპოულობთ A მატრიცის ტრანსპონირებულ A' (A^T) მატრიცას;
- ✓ ვითვლით ტრანსპონირებული მატრიცის ელემენტების ალგებრულ დამატებებს და ვადგენთ მიკავშირებულ (მიერთებულ) $\tilde{A}$ ($adj\ A$) მატრიცას;
- ✓ $A^{-1} = \frac{1}{|A|} \cdot \tilde{A}$ ფორმულით ვპოულობთ შებრუნებულ მატრიცას;
- ✓ ვამოწმებთ გამოთვლების სისწორეს შებრუნებული მატრიცის განმარტების თანახმად: $A^{-1} \cdot A = A \cdot A^{-1} = E$.

ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც, დეტერმინანტის და მიკავშირებული მატრიცის გამოთვლებიც საკმაოდ შრომატევადია.

ამიტომ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ნაკლებად ცნობილი სხვა მეთოდიც. კერძოდ, ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერი გადაუგვარებელი კვადრატული A მატრიცა შეიძლება მივიყვანოთ იმავე რიგის ერთეულოვან E მატრიცამდე მხოლოდ სტრიქონებისა და სვეტების ზემოთ აღნიშნული ცალკეული ***ელემენტარული გარდაქმნების*** საშუალებით. ამასთან ერთად, E მატრიცის იგივე გარდაქმნებით ვიღებთ შებრუნებულ A^{-1} მატრიცას.

ამ მეთოდის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

მაგალითი 2. მოვძებნოთ მოცემული A მატრიცის შებრუნებული A^{-1} მატრიცა ელემენტარული გარდაქმნების საშუალებით.

$$A=\begin{pmatrix} 2 & 1 & -1 \\ 5 & 2 & 4 \\ 7 & 3 & 4 \end{pmatrix}$$

ამოხსნა.

A მატრიცის დეტერმინანტი $|A|=-20\neq 0$, ე. ი. გააჩნია შებრუნებული.

მოხერხებულობისთვის ერთმანეთის გვერდით (გამყოფი ხაზით) ჩავწეროთ A და E მატრიცები გაერთიანებული მატრიცის სახით და ორივე მათგანზე ერთდროულად შევასრულოთ ელემენტარული გარდაქმნები.

$$\left(\begin{array}{ccc|ccc} 2 & 1 & -1 & 1 & 0 & 0 \\ 5 & 2 & 4 & 0 & 1 & 0 \\ 7 & 3 & 4 & 0 & 0 & 1 \end{array}\right)$$

1-ლი ეტაპი. ადგილები შევუცვალოთ პირველ და მეორე სვეტებს:

$$\left(\begin{array}{ccc|ccc} 1 & 2 & -1 & 0 & 1 & 0 \\ 2 & 5 & 4 & 1 & 0 & 0 \\ 3 & 7 & 4 & 0 & 0 & 1 \end{array}\right)$$

მე-2 ეტაპი. მესამე სვეტის ელემენტებს დავუმატოთ პირველი სვეტის შესაბამისი ელემენტები, ხოლო მეორე სვეტის ელემენტებს კი – (–2)-ზე გამრავლებული პირველი სვეტის შესაბამისი ელემენტები, მივიღებთ:

$$\left(\begin{array}{ccc|ccc} 1 & 2 & -1 & 0 & 1 & 0 \\ 2 & 5 & 4 & 1 & 0 & 0 \\ 3 & 7 & 4 & 0 & 0 & 1 \end{array}\right) \Leftrightarrow \left(\begin{array}{ccc|ccc} 1 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 2 & 1 & 6 & 1 & -2 & 1 \\ 3 & 1 & 7 & 0 & 0 & 1 \end{array}\right)$$

$$\begin{array}{cc} \times & \times \\ (-2) & (-2) \\ (1) & (1) \end{array}$$

მე-3 ეტაპი. მეორე სვეტის ელემენტები, გამრავლებული (–2)-ზე და (–6)-ზე, დავუმატოთ შესაბამისად პირველი და მესამე სვეტების ელემენტებს, ე. ი. გვექნება:

$$\left(\begin{array}{ccc|ccc} 1 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 2 & 1 & 6 & 1 & -2 & 1 \\ 3 & 1 & 7 & 0 & 0 & 1 \end{array}\right) \Leftrightarrow \left(\begin{array}{ccc|ccc} 1 & 0 & 0 & -2 & 1 & -6 \\ 0 & 1 & 0 & 5 & -2 & 13 \\ 1 & 1 & 1 & 0 & 0 & 1 \end{array}\right)$$

$$\begin{array}{cc} \times & \times \\ (-2) & (-2) \\ (-6) & (-6) \end{array}$$

მე-4 ეტაპი. (–1)-ზე გამრავლებული მესამე სვეტის ელემენტები დავუმატოთ პირველი და მეორე სვეტის შესაბამის ელემენტებს. საბოლოოდ მივიღებთ:

$$\left(\begin{array}{ccc|ccc} 1 & 0 & 0 & -2 & 1 & -6 \\ 0 & 1 & 0 & 5 & -2 & 13 \\ 1 & 1 & 1 & 0 & 0 & 1 \end{array}\right) \Leftrightarrow \left(\begin{array}{ccc|ccc} 1 & 0 & 0 & 4 & 7 & -6 \\ 0 & 1 & 0 & -8 & -15 & 13 \\ 0 & 0 & 1 & -1 & -1 & 1 \end{array}\right)$$

$$\times (-1) \qquad \times (-1)$$

$$(-1) \qquad (-1)$$

როგორც ვხედავთ, გაერთიანებული მატრიცის მარცხენა მხარეში მივიღეთ ერთეულოვანი მატრიცა, მარჯვენა მხარეში კი წარმოდგენილია შებრუნებული მატრიცა:

$$A^{-1} = \begin{pmatrix} 4 & 7 & -6 \\ -8 & 2 & 4 \\ 7 & 3 & 4 \end{pmatrix}.$$

ადვილი შესამოწმებელია პირობა: $A^{-1} \cdot A = A \cdot A^{-1} = E = \begin{pmatrix} 1 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \end{pmatrix}$, რის ჩვენებაც გვინდოდა.

ლიტერატურა:

1. https://www.youtube.com/watch?v=HwRRdG_E4Yo;
2. https://socratic.org/precalculus/matrix-row-operations/reduced-row-echelon-form;
3. https://www.youtube.com/watch?v=pKZyszzmyeQ;
4. Практикум по высшей математике для экономистов. Под ред. Н. Ш. Кремера. Москва, «ЮНИТИ - ДАНА», 2002;
5. П. Е. Данко, А. Г. Попов, Т. Я. Кожевникова, С. П. Данко. высшая математика в упражнениях и задачах. Часть 1. М.: «Издательство Оникс», 2009.

Zurab Sultanishvili

Gori State Teaching University

SOME RECOMMENDATION FOR STUDYING MATRIX ALGEBRA

RESUME

In this article is discussed Applied Matrix rank and reverse Matrix search algorithms of elementary transformation of Matrix.

Elementary is called next transformation of Matrix:

1) Delete the zero column;
2) Multiplication all elements of column any unrealible number;
3) Changing the alteration;
4) Add any of the elements that are multiplied by any number of column on each element of column;
5) Transformation.

According to these well-known theories it is proved easily that tranformations don’t change the Matrix rank.

This given methodology is less hard-working than the other methods and it is desirable to use in higher Mathematics course.

კარლო ცერცვაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
აკაკი ცერცვაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ოპტიმალური ფასიანი ქაღალდების პორტფელის შედგენის პრობლემა

ფასიანი ქაღალდების პორტფელის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს: ფასიანი ქაღალდების პორტფელის შემოსავლიანობა და რისკი.

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შემოდის მოცემულ ფინანსურ ბაზარზე გარკვეული საწყისი B რაოდენობის კაპიტალით, აპირებს შეიძინოს ფინანსური აქტივები ე.ი. შექმნას ფასიანი ქაღალდების პორტფელი, მიზნად ისახავს ფული დააბანდოს ისეთ აქტივებში, რომ მიიღოს რაც შეიძლება მეტი შემოსავალი, მოგება.

ჩვენ მიერ იხ [1] წარმოდგენილი იქნა ფასიანი ქაღალდების პორტფელის დროითი სტრუქტურის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი:

პორტფელის შემოსავალი t-დროში იქნება

$$M = C_t^{\pi} - C_0^{\pi}. \qquad (1)$$

სადაც, C_0^{π}- არის პორტფელის ფასი საწყის მომენტში

$$C_0^{\pi} = S_0^1 X_1 + S_0^2 X_2 + \dots + S_0^n X_n \le B \qquad (2)$$

$X_1, X_2, \dots, X_n$ -შესაბამისად 1, 2 , ... , n-ური აქტივის რაოდენობა პორტფელში; $S_0^1, S_0^2, \dots, S_0^n$ 1, 2 , ... , n-ური აქტივის ერთეულის ფასია საწყის, შეძენის მომენტში.

C_t^{π}-პორტფელის ფასი t −მომენტისათვის.

$$C_t^{\pi} = S_t^1 X_1 + S_t^2 X_2 + \dots + S_t^n X_n \qquad (3)$$

$S_t^1, S_t^2, \dots, S_t^n$ - არის 1, 2 , ... , n-ური აქტივის t −მომენტისათვის;

გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ შესაბამისად 1, 2 , ... , n-ური ფასიანი ქაღალდის (აქტივის) მოცულობა $A_1, A_2, \dots, A_n$ არის შემოსაზღვრული, ე.ი.

$$0 \le X_i \le A_i \qquad (4)$$

სიდიდეს

$$R_t^{\pi} = \frac{C_t^{\pi} - C_0^{\pi}}{C_0^{\pi}} \qquad (5)$$

პორტფელის შემოსავლინობა (ამონაგები) ეწოდება t-დროში. თუ პორტფელში მხოლოდ ერთი i-ური აქტივია, მაშინ პორტფელის შემოსავლიანობა იგივეა, რაც ამ აქტივის შემოსავლიანობა

$$R_t^{\pi} = \frac{X_i S_t^i - X_i S_0^i}{X_i S_0^i} = \frac{S_t^i - S_0^i}{S_0^i} = \rho_t^i \qquad (6)$$

საიდანაც

$$S_t^i = (1 + \rho_t^i)\, S_0^i \qquad (7)$$

იმ შემთხვევაში, როდესაც ρ_t^i მუდმივი სიდიდეებია ან წარმოადგენს დროის დეტერმინებულ ფუნქციას, პორტფელის ამოცანა წარმოადგენს შესაბამისად წრფივი ან დინამიური პროგრამირების ამოცანას, რომელთა ამოხსნის ალგორითმი კარგადაა ცნობილი.

ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე ρ_t^1, ρ_t^2, ... , ρ_t^n - შემთხვევითი სიდიდეებია ამასთანავე $\rho_t^i > -1$ (ეს შეზღუდვა საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აქტივების ფასების არაუარყოფითობა). ρ_t^i -სიდიდეებს აქვს მარტივი ეკონომიკური შინაარსი: ρ_t^i<0 ნიშნავს i- ური აქტივის ფასის დაწევას საწყის ფასთან შედარებით; ρ_t^i>0 კი ფასის აწევას საწყის ფასთან შედარებით.

ρ_t^i −სიდიდეების შემთხვევითობიდან გამომდინარე i- ური აქტივის შემოსავლიანობაც შემთხვევითი სიდიდე არის, ამ შემთხვევითი სიდიდის დისპერსიას ან საშუალო კვადრატულ გადახრას i-ური აქტივის რისკი ეწოდება. შესაბამისად პორტფელის რისკი იზომება პორტფელის შემოსავლიანობის დისპერსით ან საშუალო კვადრატული გადახრით.

გამოვითვალოთ პორტფელის რისკი [2]

$$D(R_t^{\pi}) = D\left(\sum_{k=1}^{n} \frac{S_0^k X_k}{C_0^{\pi}} \rho_t^k\right) = \sum_{i=1}^{n}\sum_{k=1}^{n} \left(\frac{S_0^i X_i}{C_0^{\pi}}\right)\left(\frac{S_0^k X_k}{C_0^{\pi}}\right) cov\, \rho_t^i \rho_t^k \qquad (8)$$

სადაც $cov\rho_t^i\rho_t^k = M(\rho_t^i - M\rho_t^i)(\rho_t^k - M\rho_t^k)$.

შევნიშნოთ, რომ სიდიდე $W_k = \frac{S_0^k x_k}{C_0^\pi}$ წარმოადგენს k −ური აქტივის ფარდობით წონას მთელ პორტფელში

$$W_1 + W_2 + \cdots + W_n = 1 \qquad (9)$$

ამ აღნიშვნის გათვალისწინებით პორტფელის რისკი (8) მიიღებს სახეს [1]

$$D(R_t^\pi) = \sum_{i=1}^n \sum_{k=1}^n W_i W_k \; cov\, \rho_t^i \rho_t^k \qquad (10).$$

განვიხილოთ შემთხვევა როდესაც პორტფელში ორი აქტივი გვაქვს, მაშინ (10) მიიღებს სახეს

$$D(R_t^\pi) = W_1{}^2 D(\rho_t^1) + W_2{}^2 D(\rho_t^2) + 2W_1 W_2 cov\rho_t^1\rho_t^2 \qquad (11)$$

როგორც ვიცით

$$cov\rho_t^1\rho_t^2 = r\sqrt{D(\rho_t^1)D(\rho_t^2)}$$

სადაც r კორელაციის კოეფიციენტია.

დაუშვათ, რომ $W_1 = W_2 = \frac{1}{2}$, ხოლო $D(\rho_t^1) = D(\rho_t^2) = \sigma^2$. განვიხილოთ შემთხვევები როცა კორელაციის კოეფიციენტი არის შესაბამისად $r = -1,\ r = 0, r = 1$.

$r = -1$ ნიშნავს, რომ ამ აქტივების ამონაგებს შორის არის სრული უარყოფითი კორელაცია (ერთის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას) მაშინ

$$D(R_t^\pi) = \frac{\sigma^2}{4} \qquad (12)$$

$r = 0$ ნიშნავს, რომ ამ აქტივების ამონაგებები არაკორელირებულია, მაშინ

$$D(R_t^\pi) = \frac{\sigma^2}{2} \qquad (13)$$

$r = 1$ ნიშნავს, რომ ამ აქტივების ამონაგებს შორის არის სრული დადებითი კორელაცია (ერთის გაზრდა იწვევს მეორის გაზრდას), მაშინ

$$D(R_t^\pi) = \frac{3\sigma^2}{4} \qquad (14)$$

(12), (13) და (14)-დან დავასკვნით, რომ პორტფელის რისკის შესამცირებლად საჭიროა პორტფელში შევიყანოთ უარყოფითად კორელირებული წყვილები, ან არაკორელირებული წყვილები ე.ი. პორტფელის შედგენისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია აქტივებს შორის მოვძებნოთ უარყოფითად კორელირებული წყვილები.

როდესაც პორტფელში გვაქვს არა ორი, არამედ $n > 2$ -არაკორელირებული აქტივი (9)-დან მივიღებთ

$$DR_\pi^t = \sum_{k=1}^n w^2 D\rho_t^k \qquad (15)$$

თუ $W_k = \frac{1}{n}$ ე.ი. თითოეულ აქტივში თანაბარი თანხებია ინვესტირებული, მაშინ

$$DR_\pi^t = \frac{1}{N^2}\sum_{k=1}^n D\rho_t^k \quad (16)$$

თუ ყველა $D(\rho_t^k) = \sigma^2$, მაშინ

$$DR_\pi^t = \frac{1}{n^2} n\sigma^2 = \frac{\sigma^2}{n} \quad (17)$$

თუ მე-9 ტოლობაში მოვითხოვთ ცვლადების არაუარყოფითობას (პორტფელი მოკლე პოზიციის გარეშე), გვექნება მარკოვიცის სტანდარტული მოდელი რომლის შემოსავლიანობა შემოსაზღვრულია, დასაშვებ პორტფელთა სიმრავლე იქნება მონაკვეთის ნებისმიერი წერტილი. ბლეკის მოდელში დასაშვებია ნებისმიერი პორტფელი ანუ პორტფელზე დადებულია მხოლოდ მე-9 შეზღუდვა (დასაშვებია მოკლე პოზიციის არსებობა), დასაშვებ პორტფელთა სიმრავლე იქნება წრფე . ბლეკის მოდელი იძლევა ნებისმიერი შემოსავლიანობის რეალიზების საშუალებას.

[2] ნაშრომში მოცემულია მარკოვიცის სტანდარტული მოდელის რეალიზაციის ალგორითმი, როდესაც ფიქსირებულია პორტფელის ორი მახასიათებლიდან ერთ-ერთი.

(17) გამოსახულებიდან დავასკვნით, რომ პორტფელის რისკის შესამცირებლად საჭიროა ინვესტირება მოვახდინოთ რაც შეიძლება მეტ არაკორელირებულ აქტივში, n-ის გაზრდასთან მცირდება პორტფელის რისკი.

რეალურ სიტუაციაში პორტფელის შემადგენლობაში ყოველთვის გვხდება გარკვეული დონის კორელირებული აქტივები. ამ შემთხვევაში პორტფელის რისკი იანგარიშება (8) გამოსახულებით.

ზემოაღნიშნულიდან დავასკვნით, რომ ფასიანი ქაღალდების პორტფელის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს: ფასიანი ქაღალდების პორტფელის შემოსავლიანობა -R_t^π და რისკი - $D(R_t^\pi)$, რაც ართულებს ოპტიმალური ფასიანი ქაღალდების პორტფელის არჩევის ამოცანას.

ოპტიმალური ფასიანი ქაღალდების პორტფელი ისეთი პორტფელია, რომლის ორივე მახასიათებელი ჯობნის ნებისმიერ სხვა პორტფელის მახასიათებელს.

განიხილება ამ ამოცანის გამოკვლევის რამდენიმე მიდგომა: უარს ამბობენ საუკეთესო პორტფელის არჩევაზე, ერთ კრიტერიუმს თვლიან მთავარ კრიტერიუმად, მაგალითად თუ მთავარ კრიტერიუმად რისკი გამოცხადდა მაშინ ისმის ამოცანა მისი მინიმიზაციის შესახებ ისე, რომ შემოსავლიანობა არ იქნება გარკვეულ დონეზე ნალები ან პირიქით ადგენენ რისკის დონეს და ეძებენ ისეთ პორტფელს, რომელსაც ამ რისკის დროს ექნება მაქსიმალურ შემოსავლიანობა; ან ამ ორი კრიტერიუმიდან ადგენენ ახალ კრიტერიუმს, რომელიც წარმოადგენ ამ კრიტერიუმების ცალსახა ფუნქციას, ეს შეიძლება იყოს ამ ორი კრიტერიუმის წრფივი ფუნქცია (სარგებლიანობის ფუნქცია)

$$U=R_t^{\pi}-q.D(R_t^{\pi}) \qquad (18)$$

სადაც q დადებითი რიცხვია. ეს ფუნქცია იზრდება თუ შემოსავლიანობა იზრდება რისკის მუდმივობის პირობაში ან რისკი მცირდება შემოსავლიანობის მუდმივობის პირობაში.

q პარამეტრი ასახავს იმას, თუ რომელ კრიტერიუმს ანიჭებს ინვესტორი უპირატესობას: რაც უფრო დიდია q პარამეტრი, მით უფრო ფრთხილია ინვესტორი, რაც უფრო მცირეა q პარამეტრი, მით უფრო დიდ რისკზეა თანახმა ინვესტორი.

რიცხვთა წყვილი $\{R_t^{\pi}, D(R_t^{\pi})\}$ წარმოადგენს პორტფელის შეფასებას. ეს . წერტილი გამოვსახოთ (R,D) სიბრტყეზე Q_t^{π}. (R,D) სიბრტყეს კრიტერიალური ეწოდება. ამ შესაბამისობით პორტფელთა სიმრავლე აისახა კრიტერიალურ სიბრტყეზე მას კრიტერიალური სიმრავლე ვუწოდოთ. გამოვრიცხოთ ტრივიალური შემთხვევა, როცა ეს სიმრავლე ერთ წერტილს შეიცავს.

პორტფელთა სიმრავლეში შემოვიღოთ დალაგების ცნება: ვიტყვით, რომ P_1 პორტფელი უკეთესია, ვიდრე P_2 პორტფელი $P_1>P_2$ თუ P_1 პორტფელის ორივე ან ერთი მაჩვენებელი მაინც ერთი უკეთესია, ვიდრე P_2 პორტფელის, მეორე მაჩვენებლის ტოლობის შემთხვევაში.

P_0 პორტფელს ვუწოდოთ ეფექტური, თუ კრიტერიალური სიმრავლის წინა სახეში არ არსებობს ისეთი პორტფელი, რომელიც სჯობნის P_0 პორტფელს. ეფექტური პორტფელების შეფასებები შეადგენს კრიტერიალური სიმრავლის საზღვარს. მართლაც, თუ ავიღებთ ისეთ წერტილების სიმრავლეს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: თუ ამ წერტილს ავიღებთ მართკუთხა კოორდინატთა სისტემის სათავედ, მეოთხე მეოთხედის მხოლოდ ეს წერტილი აღმოჩნდება კრიტერიალური სიმრავლეში. ადვილი მისახვედრია, რომ ნებისმიერ პორტფელს ეფექტური სიმრავლიდან აქვს შემდეგი თვისება: საშუალო შემოსავლიანობის ფიქსირებული დონისათვის მას გააჩნია მინიმალური რისკი, და ამავე დროს რისკის მოცემული დონისათვის კი მაქსიმალური შემოსავლიანობა.

ცნობილია, რომ ნებისმიერი სახის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება მოითხოვს შემდეგი ეტაპების განხორციელებას:

ეკონომიკური პრობლემის მკაფიოდ გამოკვეთა;

აგებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის და შესასწავლი ობიექტის ადეკვატურობა;

აგებული მოდელის მათემატიკური ანალიზი;

აგებული მოდელის ინფორმაციული უზრუნველყოფა;

ალგორითმის შედგენა;

სპეციალური კომპიუტერული პროგრამის დაწერა ან არსებულის გამოყენება (არსებობის შემთვევაში);

მოდელის გათვლა და მიღებული შედეგის ეკონომიკური ანალიზი.

ჩვენ შემთხვევაში ძირითად პრობლემად რჩება ინფორმაციული უზრუნველყოფა. ძირითად ინფორმაციას წარმოადგენს ფინანსური აქტივების რისკი და მათ შორის კორელაცია. ვთავაზობთ მათ ნაცვლად გამოყენებული იქნეს ამ სიდიდეების ეკონომისტ ექსპერტთა შეფასება ან მათი პროგნოზი [4], რომელთა გამოყენება გაზრდის პორტფელის რისკს.

ლიტერატურა:

1. კ. ცერცვაძე, ფასიანი ქაღალდების პორტფელის შესახებ, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მესამე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება და განვითარება“, 2010.

2. კ. ცერცვაძე, ფასიანი ქაღალდების პორტფელის დროითი სტრუქტურის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლების მენეჯმენტი: მიმდინარე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“, 2017.

3. ლ. მიდოდაშვილი, პ. მიდოდაშვილი, ბ. მიდოდაშვილი, მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმის გამოყენება ფინანსური პორტფოლიოს ოპტიმიზაციის ამოცანაში, გორის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტი, მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება XXI საუკუნეში“, 2016.
4. კ. ცერცვაძე, საუკეთესო წრფივი პროგნოზის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება და ინოვაცია“, 2012.

Karlo Tsertsvadze
Gori State Teaching University
Akaki Tsertsvadze
St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

A PROBLEM OF CREATING A PORTFOLIO FOR OPTIMAL SECURITIES

RESUME

The work deals with a problem of creating a portfolio for optimal securities. The recommendations which are received will help owners of a portfolio to improve their portfolio characteristics.

ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

N a t u r a l S c i e n c e s

ლალი აზმაიფარაშვილი, გიორგი მძინარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფიზიკური აღზრდის როლი და მნიშვნელობა პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებაში

აღზრდის ძირითად მიმართულებათა შორის ფიზიკურ აღზრდას ყველაზე დიდი ხნის ისტორია გააჩნია. მას დიდი ყურადღება ექცეოდა ყველა დროსა და ეპოქაში, მაშინაც კი, როცა არ იყო არც სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები და არ იყვნენ პროფესიონალი აღმზრდელები. ათასწლეულების წინ, პირველყოფილი თემური წყობილების დროს ადამიანთა მთავარი საზრუნავი იყო საარსებო საშუალებების მოპოვება, რაშიც ბავშვებიც მონაწილეობდნენ. ეს კი მოითხოვდა მათ ფიზიკურ აღზრდასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვას. მიუხედავად იმისა, რომ პირველყოფილ ადამიანებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ ფიზიკურ აღზრდაზე, არ გააჩნდათ არავითარი იარაღი და შიშველი ხელებით უმკლავდებოდნენ იმდროინდელ ცხოვრებისეულ პრობლემებს, მათ კარგად იცოდნენ, რომ “არსებობისათვის ბრძოლაში”“ სიცოცხლეს შეინარჩუნებდნენ მხოლოდ ძლიერნი, რომლებიც სხვასთან შედარებით უფრო მეტი ფიზიკური შესაძლებლობებით გამოირჩეოდნენ.

სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა და ცალკეული ერების ჩამოყალიბების შემდეგ, ყველა ცხოვრებისეულმა სფერომ თავისებური განვითარება პოვა, რაშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ფიზიკურ აღზრდას ეჭირა. ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა ეკონომიკურ-პოლიტიკური საზოგადოებრივი წყობილების დროს წარმოიშობა სხვადასხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეები, ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციული ფორმები და თეორიები. ძველ ბაბილონში იმართებოდა მრავალი სპორტული შეჯიბრება. ყოველ ახალ წელს აწყობდნენ ღმერთ მარდუკისადმი მიძღვნილ სპორტულ აღლუმებსა და ასპარეზობებს. ესენი იყო: სირბილი, კრივი, ჭიდაობა, ეტლით სრბოლა, ცხენბურთი და ა.შ.

ფიზიკურ აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა ასევე ეგვიპტეში. აკლდამებზე შემონახული ნახატები და წარწერები გვაუწყებენ, რომ აქ მრავალი სპორტული სახეობა იყო დანერგილი და

ეგვიპტელები სათანადოდ იყვნენ ფიზიკურად მომზადებულები. აქ შეჯიბრებები ტარდებოდა სირბილში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში, ნიჩბოსნობაში, ნავების ჩაძირვაში (მენავეებს შორის), წყალში ყვინთვაში, ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ნადირობაში და ა.შ.

მრავალი სახის სპორტული ასპარეზობა იმართებოდა ასევე ძველ საბერძნეთში, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ოლიმპიური თამაშობები, რომელიც დაიწყო ძველი წელთაღრიცხვის 776 წელს და გრძელდებოდა თითქმის 1000 წელს. მის პროგრამაში შედიოდა: სირბილი სხვადასხვა მანძილზე, ჭიდაობა, ხელჩართული ბრძოლა, მუშტი-კრივი, პანკრატიონი (ჭიდაობისა და მუშტი-კრივის ნაერთი), პენტატლონი (ხუთჭიდი – სირბილი ერთ სტადიაზე, გამორბენით სიგრძეზე ხტომა, შუბის ტყორცნა, ბადროს ტყორცნა, ჭიდაობა), ეტლით სრბოლა და ა.შ. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქალაქიდან იღებდა დიდ ფულად ჯილდოს, მას ეძლეოდა საპატიო ადგილი თეატრში, თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან, სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა საზოგადოების ხარჯზე (ქობულაძე, 2003: 3-6).

მედიცინის მამამთავარი – ჰიპოკრატე, რომელმაც 104 წელი იცოცხლა, ქადაგებდა ტანვარჯიშს, სპორტში მეცადინეობას, წყლითა და მზით წრთობას, სუფთა ჰაერზე სეირნობას, ზომიერ კვებას.

ცნობილი ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი პლუტარქე ტანვარჯიშს უწოდებდა ცხოვრების მოძრაობით საგანძურს, ხოლო პლატონი - „მედიცინის სამკურნალო ნაწილს", არისტოტელეს თანახმად კი **„არაფერი ისე არ აუძლურებს და არღვევს ადამიანს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა".** გეომეტრიის მამამთავარი - პითაგორი თვლიდა, რომ ადამიანს გონებრივ მოღვაწეობაში დიდ დახმარებას უწევს სპორტი (პითაგორი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იყო მუშტი-კრივში, რომელსაც სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს) (ქობულაძე, 2003: 11).

საბერძნეთის მრავალ ქალაქში გახსნილი იყო პალესტრები და გიმნაზიები, სადაც დიდი ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდას. ბავშვებს აჩვევდნენ სიბნელეს, სიცხესა და სიცივეს; შიმშილის, წყურვილის მოთმენას და ტკივილების ატანას. მათი აღზრდა მიმართული იყო როგორც სპორტში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისა და სამხედრო ფიზიკური მომზადებისაკენ, ისე მათი სხეულის ჰარმონიული განვითარებისაკენ.

ფიზიკური აღზრდა ყურადღების ცენტრში იყო ასევე ძველ რომში, სადაც სპეციალური სკოლები იყო გახსნილი მომავალი მეომრების მოსამზადებლად, შედეგი კი მეტად შთამბეჭდავი იყო: ძველმა რომმა თითქმის იმდროინდელი მსოფლიო დაიპყრო თავისი ლეგიონებით, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი დისციპლინით, ამტანობით, ხმლის, შუბისა და მშვილდ-ისრის საუკეთესო ფლობით. რომში შექმნილი იყო გლადიატორთა სკოლები, სადაც მონებს სპეციალურად ავარჯიშებდნენ და საუკეთესო მეომრებად ამზადებდნენ.

მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა ინდოეთშიც. ინდოეთი არის სამშობლო უნიკალური სავარჯიშო სისტემის - იოგის შექმნისა, რომელიც ასწავლის ადამიანს, მიაღწიოს სხეულისა და სულის სრულყოფას. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ გაჩნდა წყაროები, რომელთა მიხედვითაც ძველ ინკებს, აცტეკებს და მაიას ტომს შესანიშნავად ჰქონდათ დაყენებული ფიზიკური აღზრდის სწავლების საქმე.

მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა მაღალ დონეზე იდგა ასევე ძველ საქართველოში. ჯერ კიდევ აპოლონიუს როდოსელი თავის „არგონავტიკაში"" გვაწვდის ცნობებს, რომ კოლხეთის უძველეს და უმთავრეს ქალაქ აიას ჰქონდა მაღალი გალავნით შემოზღუდული იპოდრომი, ცხენთსარბიელი და საასპარეზო მოედნები, სადაც კოლხები ბრწყინვალე მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ იაზონს მისცეს ყველაზე ძნელი დავალება - ოქროს საწმისის ჩამოტანა კოლხეთიდან, საიდანაც ცოცხალი არავინ ბრუნდებოდა. იაზონის მიმართ წაყენებულ პირობათაგან ერთ-ერთი იყო ველური ხარის დამორჩილება და მიწის მოხნა, რომელსაც კოლხთა მეფე აიეტი თავისუფლად ახერხებდა, იაზონმა კი ეს მედეას დახმარებით შეძლო.

საქართველო მუდამ განიცდიდა გარეშე მტრების შემოსევას. ამიტომ იგი იძულებული იყო, ჰყოლოდა ფიზკურად კარგად მომზადებული მეომრები. მათი მაღალი ოსტატობა მჟღავნდებოდა არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ზოგჯერ მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე გამართულ ასპარეზობებზეც. თავიანთი სპორტული ოსტატობის დემონსტრაცია ქართველებს არაერთხელ მოუხდენიათ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით ცხენოსნობასა და ბურთაობაში.

ფიზიკური აღზრდა საქართველოში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", არჩილ მეფის, სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ II-ისა და ვახუშტი ბაგრატიონის ნაწერები, ისტორიული ქრონიკები და მატერიალური ძეგლები გვაუწყებენ, რომ საქართველოს ჰქონდა ფიზიკური აღზრდის შესანიშნავად ჩამოყალიბებული სისტემა.

ძველ საქართველოში ბავშვის წვრთნა 7 წლის ასაკიდან იწყებოდა. მას აბარებდნენ მამამძუძეს - გამზრდელს, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენდა, გამოემუშავებინა ბავშვში მომავალი მეომრისათვის საჭირო თვისებები და უნარ-ჩვევები, როგორიც იყო: ბურთაობა, ნადირობა, ცხენოსნობა, სირბილი, ტყორცნა, ჭიდაობა, ფარიკაობა და ა.შ. ყოველ მათგანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხედრული თვისებებისა და ჩვევების განსავითარებლად. გამბედაობა, ნებისყოფის სიმტკიცე, ძალა, სისწრაფე, მოქნილობა და სხვა, რასაც ახალგაზრდა იძენდა მრავალრიცხოვან სამხედრო გამოყენებითი და სპორტული ჩვევების დაუფლების პროცესში, აუცილებელი იყო თითოეული მებრძოლისათვის რთულ საომარ პირობებში.

ქართველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებით და წარმატებით ასპარეზობდნენ სპორტულ თამაშობებსა და ორთაბრძოლებში, რის დამადასტურებელ ცნობებს უხვად გვაწვდის ისტორიული წყაროები. ივერიის მეფის - ფარსმანისა და მისი შვილის - რადამისტის, ასევე სხვა დიდებულების დახელოვნება ფიზიკურ ვარჯიშთა სახეობაში ბრწყინვალედ გამოჩნდა რომში გამართულ ასპარეზობაზე, სადაც ქართველებს თავიანთი დახელოვნებით გაუოცებიათ რომაელები, ხოლო მეფე ფარსმანს ძეგლიც კი დაუდგეს მარსის ველზე. საქართველოში ბრძოლის წინ, ხშირად იმართებოდა "ბუმბერაზობა", რომლის დროსაც ორივე მხრიდან საუკეთესო მეომარი ერკინებოდა (გავიხსენოთ ვახტანგ გორგასალი).

საქართველოში ოდითგანვე სახალხო დღესასწაულზე სპორტული შეჯიბრებებიც იმართებოდა. ყოველ დღესასწაულს თავისი პროგრამა ჰქონდა. მაგალითად, მცხეთაში იმართებოდა ქართული ჭიდაობა, კახეთში - ჭიდაობა და "ყაბახი", მთიანეთში - ფარიკაობა და სიმძიმის აწევა (საჯილდაო ქვა), გურიაში - "ლელო-ბურთი", "დოღი", სამეგრელოში - "ისინდი", "ცხენბურთი"" და ა.შ.

ფიზიკურ აღზრდას საპატიო ადგილი უჭირავს მოზარდი თაობის ჰარმონიულ განვითარებაში. იგი, როგორც აღზრდის მთელი სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, გადამწყვეტ როლს ასრულებს პიროვნების ყოველმხრივ, ჰამონიულ განვითარებაში, მაგრამ ფიზიკური აღზრდა პიროვნების ფორმირების სხვა მხარეებისაგან იზოლირებულად როდი მოქმედებს. იგი მიჩნეულია როგორც ერთ-ერთი აუცილებელი და ხელშემწყობი პირობა მოზარდი თაობის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური და შრომითი აღზრდის, ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ზოგადი პროცესისათვის. ფიზიკური აღზრდა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მხარის საფუძველთა საფუძველია.

კარგი ჯანმრთელობა ნებისმიერი საქმიანობის წარმატებით შესრულების საწინდარია. თუკი პიროვნებას ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს, იგი თავს ვერ გაართმევს ვერავითარ საქმეს. აქედან გამომდინარე, ფიზიკური აღზრდა ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს მოსწავლეთა გონებრივ განვითარებაზე. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სპორტის სხვადასხვა სახეობას. თითოეულ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს მოზარდთა გონებრივ განვითარებასა და მათი ჯანმრთელობის გაკაჟებაში. ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული ბავშვის ყურადღება, მეხსიერება, ნებისყოფა და სხვა თვისებები, საბოლოო ჯამში კი, მისი ინტელექტუალური განვითარება და გონებრივი შრომის ნაყოფიერება.

XX საუკუნის დიდი უკრაინელი პედაგოგის, ვასილ სუხომლინსკის აზრით, მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის დაახლოებით 85% სუსტი ჯანმრთელობითა და ფიზიკური ნაკლოვანებებით აიხსნება, როგორიცაა: გულის, ფილტვებისა და სხვა შინაგანი ორგანოების დაავადება, სმენისა და მხედველობის დაქვეითება და ა.შ. ამიტომაც იყო, რომ მან თავის უკვდავ ნაშრომში „გულს ვუძღვნი ბავშვებს" დიდი ყურადღება დაუთმო მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. ზემოთ აღნიშნულ წიგნში იგი ფიზიკურ აღზრდას იხილავს ქვეთავებში: „ჩვენ ვცხოვრობთ ჯანმრთელობის ბაღში", „ჯანმრთელობა, ჯანმრთელობა და ერთხელ კიდევ ჯანმრთელობა" და სხვა (სუხომლინსკი, 1980: 93-103).

ფიზიკურ აღზრდას გარკვეული წვლილი შეაქვს ზნეობრივ აღზრდაშიც. ზნეობრივი ქცევისა და მტკიცე ნებისყოფის გამოვლენა შეუძლებელია პიროვნების ფიზიკური წრთობისა და ძალ-ღონის დაძაბვის გარეშე. გარდა ამისა, სპორტულ შეჯიბრებებში ამხანაგების წარმატებებზე თანაკლასელები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. ზოგს ახარებს მათი წარმატებები, ზოგს შურს, ზოგი კი ყველაფრისადმი გულგრილია. დაკვირვებულ მასწავლებელს ყოველივე ეს მხედველობიდან არ უნდა გამოეპაროს და მოსწავლეთა ასეთი გამოვლინებები უნდა გამოიყენოს მათში ისეთი ზნეობრივი გრძნობების აღზრდის მიზნით, როგორიცაა: გულისხმიერება, ყურადღება, თანაგრძნობა, თანაზიარობა, მეგობრობა და სხვა, რითაც ადამიანი ადამიანობს.

სპორტული თამაშობები - ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი თუ სხვა ხელს უწყობს მოსწავლეთა პატრიოტიზმისა და კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდას, მათში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას. სპორტს აქვს ასევე დიდი მნიშვნელობა ადამიანებს შორის კონტაქტების დამყარებისათვის, ამასთან, არა მარტო ერთი ქვეყნის ფარგლებში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ის არსებით როლს თამაშობს ხალხებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებაში, მათ დაახლოებაში, ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებას.

ფიზიკურ აღზრდას არანაკლები როლი ენიჭება მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში. ფიზკულტურისა და სპორტის ისეთი სახეები, როგორიცაა: ფიგურული სრიალი, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, სათხილამურო სპორტი, წყალში ხტომა და სხვა, უვითარებს მოზარდებს ესთეტიკურ გემოვნებას, სილამაზისა და მშვენიერების აღქმის უნარს, გრაციოზულობას, ელასტიკურობას, რიტმულობას და სხვა.

ფიზიკური აღზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული ასევე შრომით აღზრდასთან. იგი ხელს უწყობს მოზარდებში შრომისუნარიანობისა და ნებისყოფის განმტკიცებას, მათ მომზადებას შრომისათვის როგორც პრაქტიკულად, ისე ფსიქოლოგიურად.

ასეთია ფიზიკური აღზრდის როლი პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში.

ლიტერატურა:

1. ქობულაძე რ., საკითხები ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკიდან დაწყებითი სწავლების სტუდენტებისათვის. ქუთაისი, 2003.
2. სუხომლინსკი ვ., გულს ვუძღვნი ბავშვებს, ,,განათლება“, თბილისი, 1980.
3. ბასილაძე ნ., პედაგოგიკური კვლევის მეთოდები, ,,ივერიონი“, თბილისი, 2013.
4. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. 4, თბილისი, 1987.
5. წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 3, თბილისი, 1989.
6. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 1, თბილისი, 1989.

Lali Azmaiparashvili, Giorgi Mdzinarashvili

Gori State Teaching University

THE ROLE AND IMPORTANCE OF PHYSICAL EDUCATION IN THE HARMONIOUS DEVELOPMENT OF A PERSON

RESUME

The physical training occupies an honorable place in the harmonic development of the youth. It is, as one of the components of the education system, considered to be one of the obligatory and supportive conditions of mental, moral, aesthetic, religious and labor education of the youth, it is necessary for the general process of a human`s comprehensive development. Physical training is the basis of all foundations listed above.

ნარგიზ ალასანია, დარეჯან ჯაში, ლამზირა გორგილაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

in vitro პირობებში ლურჯი მოცვის სანერგე მასალის მისაღებად პირველადი ექსპლანტის სტერილიზაციის პირობები

მოცემული ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენდა ლურჯი მოცვის შეყვანა in vitro კულტურაში, აგრეთვე in vitro პირობებში მიკროკლონური გამრავლებისათვის სტერილური პირველადი ექსპლანტის მეთოდის დამუშავება.

მცენარის ქსოვილის კულტურა ბიოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის მცენარისაგან იზოლირებული უჯრედის, ქსოვილის და ორგანოს განვითარებას ხელოვნურ საკვებ არეზე in vitro კულტურაში.

ყველა კულტურულ მცენარეს აქვს რიგი შესაძლებლობანი, რომელთა რეალიზება შეიძლება სელექციურ პროცესში in-vitro ტექნიკის გამოყენებით. ქსოვილის კულტურის თავისებურებებიდან გამომდინარე, მემცენარეობაში, ქსოვილის კულტურის გამოყენებას ყოფენ ამოცანათა სამ კომპლექსად:

- გენეტიკური ბაზის გაფართოება, მცენარეთა სელექციაში ახალი პირველადი მასალის მისაღებად;
- ძვირფასი ელიტური მცენარეების და მათი ხაზების შენახვა-გამრავლება;

➢ მებაღეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უვირუსო, მიკრობებისაგან თავისუფალი სარგავი მასალის მიღება და მათი ჯანსაღად შენახვა.

ქსოვილის კულტურა უდიდეს როლს ასრულებს გენეტიკურად იდენტური მცენარეების მიღების საქმეში. ამ მიზნით გამოიყენება უჯრედული ტექნოლოგიის ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც მიკროკლონური გამრავლება ეწოდება. ამ მიზნით ექსპლანტის სახით გამოიყენება ყლორტის აპიკალური ნაწილები და იღლიური კვირტები მერისტემული ქსოვილით, რომელთაც აქვთ მზარდ ყლორტებად გადაქცევის უნარი. ამ მეთოდით სწრაფად მრავლდება როგორც ბალახოვანი, ასევე ხე-მცენარეები.

იმ ნიშან-თვისების შენარჩუნებათა რიგში, რომლებსაც მიეკუთვნება მცენარეთა მერისტემული კულტურით გამრავლების მეთოდები და რომელიც უზრუნველყოფს გამრავლების მაღალ კოეფიციენტს, შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ ვირუსული, სოკოვანი და ბაქტერიული ინფექციებისაგან თავისუფალი ძვირფასი სარგავი მასალა.

ამრიგად, ,,ქსოვილის კულტურის მეთოდი'' პერსპექტიულია გენეტიკური ბაზის გაფართოებისათვის და მცენარეთა სელექციური სამუშაოებისათვის, მნიშვნელოვანი ელიტური ფორმების და ჰიბრიდების გამრავლებისა და შენახვისათვის, აგრეთვე უვირუსო მინდვრის, ბაღეული და ბაღჩეული, ხეხილოვანი და სამკურნალო მცენარეების მისაღებად.

1949 წელს ლი ასსემ და კორმიუემ აღმოაჩინეს, რომ მცენარის მერისტემული უჯრედები ხშირად არ შეიცავენ ვირუსებს. 1952 წელს ეს ფაქტი გამოიყენეს რა მორელმა და მარტინმა, გადაწყვიტეს მერისტემული უჯრედებით in vitro კულტურის მიღება. ვირუსების, სოკოებისა და ნემატოდებისაგან თავისუფალი, გაჯანსაღებული მასალის მიღების შესაძლებლობა;

➢ მცენარის ძვირფასი კლონის სწრაფად გამრავლების შესაძლებლობა;

➢ ჩვეულებრივ პირობებში, ძნელად გამრავლებადი მცენარეების ვეგეტატიური შთამომავლობის დიდი რაოდენობით მიღების შესაძლებლობა;

მცენარეთა კლონალური მიკროგამრავლების პროცესი 3 ეტაპს მოიცავს:

პირველი ეტაპი - მცენარის საწყისი ქსოვილის ექსპლანტირება. ამ ეტაპზე აუცილებელია ინფექციისაგან თავისუფალი, სუფთა, კარგად მზარდი მასალის მიღება;

მეორე ეტაპი - საკუთრივ მიკროგამრავლება და მიკროკლონების მაქსიმალური რაოდენობის გაზრდა ახალი კვირტების წარმოქმნის ხარჯზე;

მესამე ეტაპი - გამრავლებული ყლორტების დაფესვიანება. ამ ეტაპზე აუცილებელია უზრუნველვყოთ ნორმალური ფესვთა სისტემის განვითარება, რის შემდეგაც მცენარეები მზად არიან ნიადაგში გადასარგავად, ან გაუკეთდეს დეპონირება შედარებით დაბალ ტემპერატურაზე.

ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს მიკროგამრავლების მეოთხე ეტაპსაც, კერძოდ - მცენარის მომზადება ნიადაგში გადასარგავად. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც ხშირად პირობების დაუცველობის გამო ლეტალური ეფექტით მთავრდება. ამიტომ, ამ ეტაპზე აძლიერებენ სინათლის ინტენსივობასა და ტენიანობას. ზრდიან მცენარეთა გამძლეობას პათოლოგიური მიკროორგანიზმების წინააღმდეგ და სხვადასხვა არახელსაყრელი გარემო ფაქტორების მიმართ. ეს კი ხელს უწყობს მცენარეთა გამოწრთობას [1. 2.]

მოცემული ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენდა ლურჯი მოცვის შეყვანა in vitro კულტურაში, აგრეთვე in vitro პირობებში მიკროკლონური გამრავლებისათვის სტერილური პირველადი ექსპლანტის მეთოდის დამუშავება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ლურჯი მოცვი (სურ. 1), რომელიც შედის მანანისებრთა ოჯახში. არის დაბალი სიმაღლის, ფოთოლმცვენი ბუჩქი, ნიადაგში ჰორიზონტალურად განლაგებული ფესვურებითა და წიბოებიანი მწვანე ყლორტებით, ნათელი მწვანე ფერის, მოკლეყუნწიანი, პრიალა, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ელიფსიური მოხაზულობის, ნაპირებში წვრილ ხერხკბილა, 15-25 მმ სიგრძის, ფოთლები ტოტებზე მორიგეობითაა განლაგებული.

თანამედროვე სისტემატიკის მიხედვით გვარი მოცვი - Vaccinium წარმოდგენილია 200-მდე სახეობით. საქართველოში გავრცელებულია აღნიშნული გვარის ოთხი სახეობა. მათგან სამი სახეობა - მთის მოცვი (Vaccinium Myrtillus), ლურჯი მოცვი (Vaccinium Corymbosum) და წითელი მოცვი (Vaccinium Vitis-ideaea) ბორეალური ელემენტებია და გავრცელებულია ალპურ და სუბალპურ სარტყელში. ხოლო ერთი კი კავკასიური მოცვი ანუ მაღალი მოცვი (Vaccinium Arctostaphylos) მთის შუა და ქვედა სარტყლების კოლხური ტიპის ტყეებში და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. მოცვი გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში: აჭარა-გურიის მთებში, აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, ქართლში, თიანეთში, სვანეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში. ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფი კი მწიფდება ივლის-აგვისტოში. დღეისათვის მსოფლიოში გაკულტივირებული ჯიშებიდან ყველაზე მეტი გავრცელება პოვა ლურჯი მოცვის სახეობამ. მისი ნერგების გამოყვანა-გამრავლება ხდება უჯრედის კულტურის წესით (სინჯარაში) ლაბორატორიულ პირობებში. ამ მეთოდით მიღებული ლურჯი მოცვის ჯიში საკმაოდ მომთხოვნია გარემო პირობებზე [3].

მოცვის 150–მდე ისეთი ჯიშია, როგორიცაა: ბლუკრიპი, ლეგასი, ბერკლი, პატრიოტი, ბრიჯიდა, დიუკი, სანრაისი, სპარტანი, ტორო, ელიზაბეტი, ერლი ბლუ, ბლუგოლდი, მისტი, ჩანდლერი, შანტეკლერი, ონილი, რეკა.

მოცვის ნაყოფი შეიცავს შაქრებს, კატეხინებს, პექტინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ვაშლის, ლიმონის, რძის მჟავეებს, ფლავიონიდებს ასკორბინის მჟავას, B, C, D ვიტამინებს და სხვა სასარგებლო ნაერთებს.

მოცვის ნაყოფი მომჟავო ტკბილია, იჭმევა ნედლად და ამზადებენ მურაბებს. აქვს სამკურნალო დანიშნულება, კერძოდ ცოცხალი ნაყოფი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, აცხრობს რევმატიზმს და სხვადასხვა ანთებით პროცესებს. ნაყოფისა და ფოთლის ნაყენი კი გამოიყენება დიაბეტის, შარდკენჭოვანი პათოლოგიის, თვალების ანთებითი პროცესების და სხვა დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

შედეგები

ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევამ გვიჩვენა ქსოვილის, უჯრედისა და ორგანოს in vitro მეთოდის წარმატებით გამოყენების შესაძლებლობა ლურჯი მოცვის კლონალური მიკროგამრავლებისა და მასიური რეგენერაციის მიღების საქმეში.

დადგენილ იქნა, რომ სიცოცხლისუნარიანი ექსპლანტების მიღებისათვის საუკეთესო პირველად მასალას წარმოადგენს ვეგეტირებადი ყლორტის აპიკალური და იღლიური კვირტები.

ლურჯი მოცვის კლონალური გამრავლებისათვის აუცილებელია საკვებ არეში ციტოკინური ბუნების ჰორმონთა შეტანა, ხოლო საკვებ არედ გამოვიყენეთ ანდერსონის არე. მიკროგამრავლების პროცესის სტიმულირებისათვის მიზანშეწონილია საკვებ არეში ციტოკინებთან ერთად აუქსინური ბუნების ჰორმონების მცირე რაოდენობით შეტანა.

ნაჩვენებია კალუსური კულტურების მორფოგენეზისა და რეგენერაციის უნარის დამოკიდებულება ფიტოჰორმონების ბუნებასა და კონცენტრაციაზე, შერჩეულია მათი ოპტიმალური კონცენტრაციები.

ლურჯი მოცვის მცენარე ხასიათდება საკმაოდ მაღალი აკლიმატიზაციის უნარით არასტერილური პირობებისადმი და შეიძლება მათი სათბურებში გადატანა წლის ნებისმიერ პერიოდში.

ლიტერატურა:

1. Camborg o.l Eveleigh D.E Culture method and defection of glukanases in cultures of wheat and barley. // Canad. J. Biochem. v. 46, N5, 1968.

2. Бутенко Р.Г., Клеточные культуры, 1983.
3. ნ. ალასანია. (Passiflora incarnatae L.) მორფოგენეტიკური თვისებურებანი in-vitro სისტემაში. მონოგრაფია, ბათუმი, 2013.

Nargiz Alasania, Darejan Jashi, Lamzira Gorgiladze
Batumi Shota Rustaveli State University

CONDITIONS FOR STERILIZATION OF PRIMARY EXPLANT CULTURE FOR GETTING THE NURSERY MATERIAL OF BLUEBERRY IN VITRO CONDITIONS

RESUME

The in vitro method for the culture of cell, tissue, and body is successfully used in the modern experimental biology. This method is widely used in genetic-selective works of such precious plants such as medicinal plants. The number of such plants is blueberry.

ნანა ბერძენიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის საჰაერო ავზის ამჟამინდელი მდგომარეობა

ატმოსფერული ჰაერის უმთავრეს დამაბინძურებელს წარმოადგენს ანთროპოგენური წყაროები: ავტოტრანსპორტი, სამრეწველო საწარმოები, ენერგეტიკული ობიექტები და სოფლის მეურნეობა. დღეისათვის მიღებულია, რომ ყველაზე მეტად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას იწვევენ სამრეწველო საწარმოები. უნდა ითქვას, რომ წვის პროცესების დროს ატმოსფერული ჰაერის ერთ-ერთი უმთავრესი დამაბინძურებელია: გოგირდის დიოქსიდი (SO_2), ნახშირბადის მონოოქსიდი (CO), აზოტის ოქსიდები (NO_x), მყარი ნაწილაკები, არამეთანური აქროლადი ორგანული ნაერთები (ააონ), ბენზ(ა)პირენი და დიოქსინ/ფურანები, ასევე სიგარეტის და ფოთლების ნამწვი. დაბინძურების განსაკუთრებული წყაროებია - თბოელექტროსადგურები, რომლებიც კვამლთან ერთად გამოაფრქვევენ გოგირდოვან აირს და ნახშირბადის მონოოქსიდს; მეტალურგიული საწარმოები, განსაკუთრებით კი ფერადი მეტალურგიის საწარმოები, საიდანაც ატმოსფერულ ჰაერში ხვდება: აზოტის ოქსიდები, გოგირდწყალბადი, ქლორი, ფტორი, ამიაკი, ფოსფორი, ვერცხლისწყალი და დარიშხანის ნაერთები; ქიმიური და ცემენტის ქარხნები. ყველა ეს ნივთიერება ატმოსფერულ ჰაერში დაგროვებისას ცვლის ატმოსფეროს ბუნებრივ ფიზიკურ-ქიმიურ შემადგენლობას და კონცენტრაციის გარკვეულ ზღვრამდე მიღწევის შემდეგ უარყოფითად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემებსა და მატერიალურ ფასეულობებზე. სათბურის ეფექტი, სმოგი, ასევე ოზონის შრის შემცირება და მჟავე წვიმები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შედეგია. სათბურის ეფექტი გამოწვეულია ტოქსიკური ნივთიერების ემისიით, რომელიც გამოიყოფა ქვანახშირის და ნავთობის მოპოვებისას და აგრეთვე ნავთობ-პროდუქტების წვის შედეგად [1].

სათბურის ეფექტის გამომწვევი აირებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ნახშირორჟანგი, შემდეგ მეთანი, რომელიც ატმოსფეროში ხვდება ჭაობებიდან და ცოცხალი ორგანიზმებიდან, მაგრამ მეთანის ატმოსფეროში განბნევის ძირითადი წყარო ბუნებრივი აირის მოპოვებაა. ნარჩენების დაწვა არის კიდევ ერთი წყარო, რის საშუალებითაც მეთანი ხვდება ატმოსფეროში. ატმოსფეროს დაბინძურება ხდება აეროზოლებითაც. აეროზოლები - ეს არის მყარი ან თხევადი ნაწილაკები, რომლებიც იმყოფებიან ჰაერში შეტივტივებულ მდგომარეობაში. აეროზოლების მყარი კომპონენტები რიგ შემთხვევაში განსაკუთრებით საშიშია ცოცხალი ორგანიზმებისათვის, ადამიანებში კი იწვევს სპეციფიკურ დაავადებებს. აეროზოლური დამაბინძურებლები ატმოსფეროში არსებობენ კვამლის, ნისლის და ბინდის სახით. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ატმოსფეროში წარმოიქმნება მყარი და თხევადი ნაწილაკების ურთიერთქმედებით ერთმანეთთან ან წყლის ორთქლთან.

დამაბინძურებლების ყველაზე დიდი რაოდენობა გამოიფრქვევა ავტომობილის ძრავის ჩართვა-გამორთვისას და დამუხრუჭების დროს, აგრეთვე ნელი სვლით გადაადგილებისას (ეკონომიური მოძრაობის დიაპაზონიდან). ნახშირწყალბადების და ნახშირბადის მონოოქსიდის ფარდობითი წილი ყველაზე დიდია დამუხრიჭებისას და უქმი სვლის დროს. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ავტომობილები განსაკუთრებით აბინძურებენ გარემოს ხშირი გაჩერებისას და დაბალი სიჩქარით მოძრაობისას. გამონაფრქვევი მინარევების ხარისხზე და რაოდენობაზე დიდ გავლენას ახდენს ძრავის მუშაობის რეჟიმი, კერძოდ, ჰაერის და საწვავის მასების თანაფარდობა, აალების მომენტი, საწვავის ხარისხი, წვის კამერის ზედაპირის შეფარდება მის მოცულობასთან და სხვა. ჰაერის და საწვავის მასების თანაფარდობის გაზრდისას მცირდება ნახშირბადის მონოოქსიდის და ნახშირწყალბადების გამოფრქვევა, მაგრამ იზრდება აზოტის ოქსიდების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ დიზელის ძრავი უფრო ეკონომიურია და CO, CO_2, NOx გამოიყოფა იგივე რაოდენობით, რაც ბენზინის ძრავის მუშაობისას, ისინი გაცილებით მეტი რაოდენობით გამოყოფენ კვამლს, რომელიც ხასიათდება ზოგიერთი დაუწვავი ნახშირწყალბადებით გამოწვეული არასასიამოვნო სუნით. ამას თუ დავამატებთ დიზელის ძრავების მუშაობით გამოწვეულ ძლიერ ხმაურს, მივიღებთ რომ დიზელის საწვავი არა მარტო აბინძურებს გარემოს, არამედ უფრო მეტად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ვიდრე ბენზინზე მომუშავე ძრავები. თვითმფრინავების ძრავების ჯამური ემისია ქალაქისათვის შედარებით დაბალია, ამის მიუხედავად აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მას საკმაოდ საგრძნობი წვლილი შეაქვს გარემოს დაბინძურებაში [2].

ჰაერის დაბინძურება იმ ძირითად გამოწვევებს შორისაა, რის წინაშე დღეს საქართველო დგას. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას უმთავრესად ავტოტრანსპორტი იწვევს. მრავალი კვლევით დადგინდა, რომ თბილისში მოძრავი ავტომობილების უმეტესობა ტექნიკურად გაუმართავია და დიდი რაოდენობით საწვავს მოიხმარს. ძველ მანქანებს ხშირ შემთხვევაში არც აქვთ კონვერტერი (იგივე გარდამქმნელი), რომელიც ზოგიერთი მავნე ნივთიერების გამოყოფას შეამცირებდა. რამდენიმე წლის წინ ხელისუფლებამ გააჟღერა ინიციატივა ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების აუცილებლობის შესახებ, თუმცა აღნიშნული საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდო. როდესაც ხელისუფლების ვალდებულებებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ასოცირების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს მოწერილი ხელშეკრულებაც, რითაც ქვეყანამ აიღო ვალდებულება გაატაროს რეფორმები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, ქალაქებში, სადაც ჰაერის დაბინძურების დონე მაღალია, სიკვდილიანობის მაჩვენებელი 15-20%-ით მაღალია სუფთა ქალაქებთან შედარებით, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ჰაერის დაბინძურების ინდიკატორული გაზომვების შედეგები წარმოადგინა. სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით აზოტის დიოქსიდის შემცველობა უმეტესად საშუალო კატეგორიის ფარგლებშია. იგივე სააგენტოს ცნობით, დაბალი ინდექსი ანუ ნორმის ფარგლებში არსებული კონცენტრაცია - 0-დან 40 მკგ/ $მ^3$-მდეა, საშუალო ინდექსი კი - 41-80 მკგ/$მ^3$, მაღალი ინდექსი - 81-120 მკგ/$მ^3$.

ჩატარდა გაზომვის ოთხი ეტაპი და თითოეულ ეტაპზე შერჩეული იქნა სხვადასხვა ლოკაცია. ეს კვლევა საქართველოში პირველად ჩატარდა, ამ მიმართულებით არანაირი საბაზისო ინფორმაცია არ არსებობდა. მაქსიმალურად იქნა დაფარული ქალაქის სხვადასხვა უბნები და ასევე სატრანსპორტო კვანძები. კვლევით დადასტურდა, რომ საგანგაშო მდგომარეობა ჰაერის დაბინძურების მხრივ არ არსებობს. საგანგაშოა ძალიან მაღალი და კრიტიკული მაჩვენებელი. საბედნიეროდ, ასეთი მდგომარეობა არ დაფიქსირებულა. ცნობისათვის, International Energy Agency-ის [4] კვლევის თანახმად, ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მიხედვით, 100 ათას მოსახლეზე საქართველო პირველ ადგილზეა. გარემოს დაცვის სამინისტრომ ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) წერილი გაუგზავნა, რომელშიც ითხოვს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა კვლევებზე დაყრდნობით გაკეთდა ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები.

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო დაეყრდნო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის 2012 წლის მონაცემებს. აქ მხოლოდ ატმოსფერულ ჰაერზე არ გვაქვს საუბარი, არამედ შენობების, ნაგებობების შიდა ჰაერზე, სადაც შესაძლოა ინდიკატორი იყოს მაგალითად, მოსახლეობის მიერ შეშის გამოყენება.

აზოტის დიოქსიდის მაჩვენებლები თბილისის რამდენიმე ქუჩაზე:

	მისამართი	მაწქანების რაოდენობა მლნ	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ3
1			
2	ყაზბეგის გამზირისა და თამარაშვილის ქუჩის გადაკვეთა	1,2	67,54
3	მარცხენა სანაპიროსა და ხოშარაულის ქუჩის გადაკვეთა	0,1	61,18
4	ბელიაშვილისა და ბალანჩინის ქუჩების გადაკვეთა	0,1	55,47
5	გორგასლის ქუჩაN115	0.22	35,17
6	მოსკოვის გამზირისა და ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთა	0,45	53,01
7	ქავთარაძისა და პოლიტკოვსაიას ქუჩების გადაკვეთა	0,45	36,42
8	დადიანისა და ხუდადოვის ქუჩების გადაკვეთა	0,51	67,53
9	ქეთევან დედოფლის გამზირის და ნავთლოღლის ქუჩის კვეთა	0,6	63,14
10	პეკინისა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გადაკვეთა	0,6	64,85
11	ჭავჭავაძის გამზირისა და კავსაძის ქუჩის გადაკვეთა	0,6	42,03
12	დადიანისა და ერისთავის ქუჩების გადაკვეთა	0,7	55,36
13	ავლაბრის მოედანი	0,7	58,46
14	მარცხენა სანაპიროსა და ჭოროხის ქუჩის გადაკვეთა	0,8	47,4



თბილისში, ევროკავშირის ნორმების შესაბამისად ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციებისა და ჰაერის ხარისხის ინდექსების მიზნით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი მელიქიშვილისა და ნიკოლაძის ქუჩების გადაკვეთაზე დაფიქსირდა, სადაც დაბინძურების დონემ 85.15 მკგ/მ^3 მიაღწია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი, არის ჭონქაძის ქუჩაზე, ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან, მუშტაიდის პარკში და გლდანის I მიკრორაიონში.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაბინძურების საშუალო მაჩვენებელი ფიქსირდება დიღომში - მიქელაძის ქუჩაზე, მუხიანში - გობრონაძის ქუჩაზე, აგლაძისა და სამტრედიის ქუჩების გადაკვეთაზე, ზახტრიონის ქუჩაზე, მუშთაიდის პარკის მიმდებარედ, არაყიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთაზე, ასევე, მეტროს სადგურებთან: „ავლაბარი", „თავისუფლების მოედანი" და „სადგურის მოედანი".

ჰაერის დაბინძურების საშუალოზე მაღალი დონეა ავტოსადგურ „ოკრიბას" მოპირდაპირე მხარეს, საბურთალოსა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, იუსტიციის სახლთან, მეტროსადგურებთან „დელისთან", „ტექნიკურ უნივერსიტეტთან" და „ისანთან". ასევე, პირველი სკოლის შენობასთან, ვაჟა-

ფშაველას გამზირისა და ტაშკენტის ქუჩების გადაკვეთაზე, გოძიაშვილისა და თოფურიას ქუჩების გადაკვეთაზე.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით [3], ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვების V ეტაპი დასრულდა. ამავე სააგენტოს ინფორმაციით, კვლევა ქალაქ თბილისსა და 15 დასახლებულ პუნქტში 60-მდე წერტილში სექტემბერში ჩატარდა. ზოგადად დაბალი ინდექსია 0-დან 40 მკგ/მ^3-მდე; საშუალო – 41-დან 80 მკგ/მ^3-მდე, მაღალი ინდექსი 81-დან 120 მკგ/მ^3-მდე; ძალიან მაღალი ინდექსია 121 მკგ/მ^3. დედაქალაქის ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ჰაერის დაბინძურების ძალიან მაღალი მაჩვენებელი.

იმისდა მიხედვით, თუ რა პირობებია ატმოსფეროში დედამიწის ზედაპირთან და ჰაერის დაბინძურების რა წყაროები არსებობს, შეიძლება წარმოიქმნას სმოგის სხვადასხვა ტიპები (ლონდონის, ალიასკის, ლოს-ანჯელესის ტიპის სმოგი, რადიაციული ნისლი და სხვა).

საქართველოში ფიქსირდება ლოს-ანჯელესის სმოგი, რომლის წარმოქმნის პროცესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ფოტოქიმიური რეაქციები. საქართველოში ატმოსფერული დაბინძურების მდგომარეობა არსებითად განსხვავდება ატმოსფეროს დაბინძურებისგან განვითარებულ ქვეყნებში. უხარისხო საწვავის გამოყენება, რელიეფის, ჰაერის მასების დინამიკისა და მიკროკლიმატური პირობების თავისებურებები, ტექტონიკური რღვევების არსებობა იწვევს ფოტოქიმიური სმოგის წარმოშობას, რომლის კომპონენტები არსებითად განსხვავდება ანალოგიური სმოგისგან განვითარებულ ქვეყნებში.

ფოტოქიმიური სმოგის ძირითადი ინდიკატორია ფოტოქომიური რეაქციების დროს წარმოქმნილი ოზონის მაღალი კონცენტრაციები, რომელიც თავად წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის მეტად მავნე ნივთიერებას გარკვეული ზღვრული კონცენტრაციების ზემოთ. თბილისში მიწისპირა ოზონის კონცენტრაცია 50 მკგ/მ^{3}და მეტი, რაც ადამიანებისათვის უკვე საფრთხის შემცველია.

ამჟამად ფოტოქიმიური სმოგის კომპონენტების მონიტორინგი ტარდება ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურში (მიწისპირა ოზონის კონცენტრაცია, აზოტის ჟანგეულები და სხვ,) და გეოფიზიკის ინსტიტუტში (მიწისპირა ოზონის კონცენტრაცია), რაც სრულიად არასაკმარისია. განვითარებულ ქვეყნების დიდ ინდუსტრიულ ცენტრებში ასეთი გაზომვები ტარდება ქალაქის რამდენიმე ათეულ წერტილში. 1984-2010 წწ. მონაცემების მიხედვით აღმოჩნდა, რომ მიწისპირა ოზონის მომატებული კონცენტრაციები (და მისი თანამდევი ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სმოგის კომპონენტები) საშუალო წლიურ სიკვდილიანობას ქ. თბილისის მოსახლეობაში 1680 ადამიანით ზრდის, რაც შეადგენს საშუალო წლიური სიკვდილიანობის 14.1%-ს [3]. სმოგი ამცირებს ხილვადობას, აძლიერებს მასალების და ნაგებობების კოროზიას, დამღუპველად მოქმედებს მცენარეებზე, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, შეუძლია გამოიწვიოს სასუნთქი გზების დაზიანება, პირღებინება, თვალის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება და საერთო მოთენთილობა. ხშირად ფოტოქიმიურ სმოგში შეიძლება არსებობდეს აზოტის ისეთი ნაერთები, რომლებიც ადიდებს ავთვისებიანი დაავადებების წარმოქმნის ალბათობას. ინტენსიური და ხანგრძლივი ფოტოქიმიური სმოგი შეიძლება დაავადებათა და სიკვდილიანობის ზრდის მიზეზი აღმოჩნდეს, რადგანაც ძალიან ძლიერ მჟანგველ თვისებებს ავლენს.

ასევე ცნობილია, რომ ოზონის ჭარბი კონცენტრაციები აზიანებს მცენარეს, განსაკუთრებით ყვავილობის პირიოდში. ამას ემატება ე.წ. მჟავე წვიმები და ა.შ. სამწუხაროდ ეს საკითხი საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი.

ამ მიმართულებით ჩატარებულია გარკვეული სამუშაოები: არსებობს სტაციონარული და მობილური ლაბორატორიები ზემოაღნიშნული პარამეტრების გასაზომად; თბილისისთვის შეფასებულია ამ პარამეტრების მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საშიში დონეები; შემუშავებულია სმოგური სიტუაციების მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის მარტივი ფიზიკურ–სტატისტიკური მოდელები, ჩემი აზრით, სასურველია რომ შეიქმნას ადამიანის ჯანმრთელობისათვის სმოგური სიტუაციების და სხვა ასტრო–მეტეო–გეოფიზიკური ფაქტორების ერთიანი მონიტორინგის და შეტყობინების სისტემა, რომელიც მოიცავს ამ პარამეტრებზე დაკვირვების ოპერატიულ ქსელს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და მედიკოსების საკონსულტაციო ჯგუფს. ეს სისტემა უზრუნველყოფს მოსახლეობის როგორც დროულ შეტყობინებას, ასევე საჭირო რეკომენდაციების გავრცელებას მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად.

ლიტერატურა:

1. ქაჯაია გ. გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები. თბილისი, ინტელექტი, 2008.
2. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს გეოეკოლოგიური პრობლემები. სალექციო კურსი, 2016.
3. გარემოს ეროვნული სააგენტო (წლიური ანგარიში); 2016
4. International Energy Agency: ,,Global shifts in the energy system" – 2017.

Nana Berdzenishvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

CURRENT STATE OF TBILISI AIR ENVIRONMENT

RESUME

The main contaminants of atmospheric air are anthropogenic sources: auto transport, industrial enterprises, energy facilities and agriculture. Air pollution is among the main challenges facing Georgia today. According to the Ministry of Environment and Natural Resources, air pollution mainly causes atmospheric air pollution. Many studies have found that most of the motor vehicles in Tbilisi are technically inadequate and use a large quantity of fuel. According to the World Health Organization, cities where air pollution levels are high, mortality rates are 15-20% higher compared to pure cities. According to studies conducted by the National Environmental Agency in Tbilisi, in accordance with EU regulations, nitrogen dioxide concentrations and air quality indexes indicate high atmospheric air pollution in Tbilisi crossing Melikishvili and Nikoladze streets where pollution levels reached 85.15 mcg / m3. The lowest rate is on Chonkadze street, near the funicular base, in Mushtaid Park and in the Gldani I micro region. In the countries. Smoky reduces visibility, strengthens the corrosion of materials and structures, destroys plants, negatively affects human health, can cause respiratory tract damage, pneumonia, irritation of the mucous membranes of the eye and commonality. In the frequent phytochemical smoke there may be nitrogen compounds that highlight the likelihood of malignant diseases. Intensive and long photochemical smoke may be the cause of disease and mortality. Because it shows very strong acidity.

მარინე გვიანიძე, ევგენია შენგელია, ლერი გვასალია
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის პირველად სალექრებში ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილების შემცირების მიახლოებითი დონის განსაზღვრის მათემატიკური მოდელი

კომუნალური ჩამდინარე წყლების გაწმენდის თანამედროვე მეთოდებს შორის განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა გაწმენდის ბიოლოგიური მეთოდები. ბიოლოგიური გაწმენდა გულისხმობს ჩამდინარე წყლებში არსებული გახსნილი ორგანული და არაორგანული ნაერთების და ბიოგენების აზოტისა და ფოსფორის მოცილებას სპეციალური მიკროორგანიზმებით [1].

ტექნიკური თვალსაზრისით განასხვავებენ ბიოლოგიური გაწმენდის რამდენიმე ვარიანტს, მათ შორის მაღალეფექტურობით გამოირჩევა წყლის ბიოფილტრებზე დამუშავება, სადაც ნიტრობაქტერიების მიერ მიმდინარეობს ამიაკის ნიტრატებამდე გარდაქმნა და ორგანული ნაერთების რედუცირება. ბაქტერიები ცხოველქმედებისათვის საკვებად იყენებენ წყალში არსებულ ორგანულ და არაორგანულ დამაბინძურებელ ნივთიერებებს, რომელთა შემცველობა წყალში გამოისახება ორი მაჩვენებლით: ჟანგბადის ქიმიური მოხმარება - „ჟქმ“ და ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება - „ჟბმ“. ბიოფილტრებზე გაწმენდის ნორმალური მიმდინარეობისათვის საჭიროა წყლის წინასწარი მექანიკური მომზადება - უხეში მინარევების, ქვიშისა და ცხიმის მოცილება და პირველად სალექრებში შეწონილი ნაწილაკების დალექვა. ამას თან ახლავს წყლის გახსნილი ორგანული და არაორგანული ნაერთებისაგან გაწმენდა და შესაბამისად ჟქმ - ჟბმ -ის გარკვეულ დონემდე შემცირება. ადლიის გამწმენდი ნაგებობის პირველად სალექრებში წყლის გაწმენდის ხარისხის ეფექტურობის შეფასების დროს გამოვლინდა მაღალკორელაციური დამოკიდებულება (r=0,92) შემომავალ წყალში შეწონილი ნაწილაკების რაოდენობასა და ჟქმ-ის შემცირებას შორის. რაც უფრო მეტია ნაგებობაზე შემომავალ წყალში შეწონილი ნაწილაკების შემცველობა, მით მეტია პირველად სალექრებში ჟქმ-ის შემცირების ხარისხი. ამასთან წყლის ბიოლოგიური გაწმენდის რეგლამენტი ითვალისწინებს ბიოფილტრებზე მიწოდებულ წყალში ჟქმ-ს რაღაც გარკვეულ დონეს, რომელიც აუცილებელია ბაქტერიების ცხოველქმედებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის თუ რამდენად შემცირდება პირველ სალექრებში ჟქმ-ის დონე, მნიშვნელოვნად მოქმედებს წყლის ბიოფილტრებზე გაწმენდის ხარისხზე. პირველად სალექრებში ჟქმ-ის შემცირების დონე განისაზღვრება შეწონილი ნაწილაკების დალექვის ხარისხით. ეს კი თავის მხრივ

პირველ რიგში დამოკიდებულია სალექრების კონსტრუქციაზე, თუმცა ერთი და იგივე ტიპის სალექრების შემთხვევაში შეწონილი ნაწილაკების დალექვის ხარისხზე მოქმედ ფაქტორებს შორის ძირითადია წყლის ხარისხის მაჩვენებლები - წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია, წყლის ტემპერატურა (რადგან ტემპერატურაზეა დამოკიდებული წყლის სიბლანტე) და pH [2].

პირველად სალექრებში ჟქმ-ის შემცირების დონის მათემატიკური მოდელის ასაგებად ვისარგებლეთ რამდენიმე ცვლადის წარმოდგენის მიახლოებითი ანალიტიკური მეთოდით [3,4]. განსახილველი ფუნქციის $y = \int(x1, x2, x3 \ldots xn)$ მიახლოებითი წარმოდგენის ასაგებად გამოვიყენეთ ადლიის გამწმენდი ნაგებობის პირველადი სალექრების სტატისტიკური მასალა, რომელიც ასახავს ჟქმ-ის შემცირების დონეს მოქმედი ძირითადი მარეგლამენტირებადი ფაქტორების სხვადასხვა მნიშვნელობებისას. წარმოდგენილი ფუნქციის არგუმენტებად განვიხილეთ ძირითადი მარეგლამენტირებელი ფაქტორები: შემომავალ წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია, ჟქმ-ის სიდიდე, წყლის ტემპერატურა და წყლის pH.

არგუმენტების ცვალებადობა წარმოვიდგინეთ როგორც $a_i \leq x_i \leq b_i$, $i = 1k$, სადაც a_i და b_i წარმოადგენენ - x_i -ს ზედა და ქვედა ზღვრებს. y- ჟქმ-ის მნიშვნელობების გაზომვა შესაძლებელია ფიქსირებული x_i -ის, $i = 1,n$. ასეთი რიცხვები შეიძლება იყოს უსასრულო, რეალური გაზომვა კი შესაძლებელია რაღაც გარკვეული შემოფარგლული მნიშვნელობათა სიმრავლისა. გარდა ამისა ცნობილია, რომ ფიქსირებული x_i, $i = 1,n$, $i \neq k$ და ცვლადი x_k -ს დროს ფუნქცია $y = \int(x_1, x_2 \ldots x_n) = \int_k(x_k)$, სადაც $\int_k$ ასევე ერთი არგუმენტის უცნობი ფუნქციაა. თუმცა $\int_k$ შეიძლება გაიზომოს x_k -ის სხვადასხვა მნიშვნელობების მინიჭებით. ფუნქციის $\int_k$ მიახლოებითი მნიშვნელობა რაღაც მოცემულ სეგმენტზე $[x^0_k - x^1_k, x^0_k + x^2_k]$ განისაზღვრება წყვილთა სერიით $\{x^s_k, y^s_k\}$ $S = 1,m$, სადაც S - სეგმენტზე გაზომვების რიცხვია. რაც უფრო მცირეა $[x^0_k - x^1_k, x^0_k - x^2_k]$ დიაპაზონი და მეტია m, მით უფრო ზუსტი იქნება მოცემულ სეგმენტზე $\int_k(x_k)$.

ჩვენი კვლევის საფუძველზე მიღებული ადლიის გამწმენდი ნაგებობის პირველადი სალექრების სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი 1-ში:

ცხრილი 1

პირველად სალექრებში ჟქმ-ის შემცირების დონის მათემატიკური მოდელი მიახლოებითი ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით

№	X_1	X_2	X_3	X_4	$Y_{ექსპ}$	$Y_{გათ}$
1	78	154	7.3	13.2	49	45.38
2	97	159	7.0	14.9	53	53.19
3	105	165	7.1	15.9	73	73.32
4	159	237	6.9	22.4	120	120,31

სადაც X_1- შემომავალ წყალში შეწონილი ნაწილაკების რაოდენობა მგ/ლ; X_2 - შემომავალ წყალში ჟქმ-ის რაოდენობა მგ/ლ; X_3 - წყლის pH; X_4 - წყლის ტემპერატურა ^0C.

$Y_{ექსპ}$ -ჟქმ-ის შემცირების დონე ექსპერიმენტულად; $Y_{გათ}$ - ჟქმ-ის შემცირების გათვლითი მნიშვნელობები.

განტოლებას აქვს ასეთი სახე:

$$Y = \overline{Y} + b_1X_1 + b_2X_2 + b_3X_3 + b_4X_4$$

კოეფიციენტების $b_1; b_2; b_3; b_4$ გამოსათვლელად ცხრილის მონაცემებიდან შევადგინეთ წრფივ განტოლებათა სისტემა

$78x_1 + 154x_2 + 7,3\,X_3 + 13,2x_4 = 4$

$97x_1 + 159x_2 + 7,0\,x_3 + 14,9\,x_4 = 53$

$105x_1 + 165x_2 + 7,1\,x_3 + 15,9x_4 = 73$

$159x_1 + 237x_2 + 6,9x_3 + 22,4x_4 = 120$

განტოლებათა სისტემის ამოხსნით განვსაზღვრეთ ცვლადების მნიშვნელობები

$X_1 = -13,840$; $X_2 = -3,212$; $X_3 = -59,648$; $X_4 = 155,968$, რაც შეესაბამება $b_1; b_2; b_3; b_4$ მნიშვნელობებს.

ამრიგად, საძიებელ განტოლებას აქვს ასეთი სახე:

$Y = -13,840X1 - 3,212X2 - 59,648X3 + 155,968X4$

მიღებული განტოლებით გამოთვლილი მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილი 1-ის $Y_{\text{გათ}}$ სვეტში. როგორც ვხედავთ მიღებული შედეგები თანხვედრაშია ექსპერიმენტულ მონაცემებთან.

მიღებული განტოლებების საფუძველზე შესაძლებელია პირველად სალექრებში ჟქმ-ის შემცირების დონის განსაზღვრა მარეგლამენტირებელი ფაქტორების მოცემულ ზღვრებში ვარირებისას და შესაბამისად ჟქმ-ის კონცენტრაციის განსაზღვრა პირველადი სალექრებიდან გამავალ წყალში.

ლიტერატურა:

1. Очистка сточных вод, биологические и химические процессы / М. Хенце [и др.]; пер. с англ. М.: Мир, 2009.
2. Очистка сточных вод от взвешенных веществ и неорганических примесей. Т. 1. М.: НИЦ «Глобус», 2007.
3. Батунер Л.М., Позин М. Е. Математические методы в химической технике. М.: Химия, 1979.
4. Смирнов В. И. Курс высшей математики. Т. 1. М.: Гостехиздат, 1974.

Marine Gvianidze, Evgenia Shengelia, Leri Gvasalia

Batumi Shota Rustaveli State University; Georgian Technical University

THE MATHEMATICAL MODEL OF DEFINING THE APPROXIMATE LEVEL OF REDUCTION OF CHEMICAL OXYGEN DEMAND IN PRIMARY SEDIMENT FILTERS OF THE WASTEWATER PURIFICATION PLANT

RESUME

A mathematical model of the approximate determination of the level of chemical oxygen demand in the primary sedimentation tanks of wastewater treatment plants is approximated by an approximate analytical representation of a function of several variables.

ნელი გოგინაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ბიოელემენტების ფიზიოლოგიური როლი და მათი შემცველობა Poaceae (Gramineae) ოჯახის მცენარეებში

ბიოელემენტები ფართოდაა გავრცელებული ცოცხალ ორგანიზმებში, მათ შორის მცენარეებში. თითქმის ყველა მინერალური ელემენტი უშუალოდ მონაწილეობს ფოტოსინთეზის, სუნთქვის, წყალცვლის, ზრდის, განვითარების, მინერალური კვების და საერთოდ, მცენარის ორგანიზმში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო პროცესში, ამიტომ ცალკეული მინერალური ელემენტის როლის გამოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცენარისათვის მთელი რიგი ფიზიოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისას.

მცენარისათვის საჭირო ქიმიურ ელემენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია აზოტს, ფოსფორს, კალიუმს და სხვა მინერალურ ელემენტებს. მათგან უპირველესი მნიშვნელობა აქვს აზოტს. ამ ელემენტის შემცველობა მცენარეში არცთუ მაღალია. მიუხედავად ამისა, აზოტს ისეთივე პირველხარისხოვანი მნიშვენელობა აქვს მცენარისათვის, როგორც მთელი ორგანული სამყაროს სიცოცხლისათვის, რადგან ეს ელემენტი ცილების და ნუკლეინმჟავების ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

ცილები ორგანიზმში ასრულებენ ორმაგ როლს - როგორც პროტოპლაზმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტისა და როგორც ფერმენტის (ე.ი. ნივთიერებათა ცვლის კატალიზატორი). ნუკლეინმჟავები ნუკლეოპროტეიდების ფორმით უჯრედის ბირთვის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია და განაპირობებენ ორგანიზმის მემკვიდრეობას - თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების

გადაცემას. აზოტი შედის აგრეთვე ქლოროფილის, ალკალოიდების, ვიტამინების და მცენარის სხვა ნივთიერებათა შემადგენლობაში. უდიდესია მისი როლი მცენარეული ორგანიზმის კვების პროცესში [1].

მწვანე მცენარის აზოტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა რომელიმე მინერალურ ელემენტთან შედარებით, საკმაოდ რთულია. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა არის ის, რომ უმაღლეს მცენარეებს არ შეუძლიათ კვების წყაროდ თავისუფალი აზოტის (რომელიც ატმოსფეროში უდიდესი რაოდენობითაა - 80%-მდე) გამოყენება, რადგან მათ არა აქვთ აზოტის მოლეკულების ატომებად დაყოფის უნარი. ამის შედეგად ატმოსფერული აზოტის უდიდესი მასა მიუწვდომელია მცენარისათვის. მოლეკულური აზოტის შეთვისება შესაძლებელია მხოლოდ მისი წინასწარი გააქტიურების შემდეგ, რომლისთვისაც აუცილებელია 2000^{0}C ტემპერატურა. ბუნებაში ასეთი გააქტიურება ხდება მხოლოდ ელვის დროს. მაგრამ ეს პროცესი მცენარეთა აზოტზე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს მხოლოდ უმცირეს დონეზე. მისი დაკმაყოფილება ძირითადად ხდება ნიადაგის მიერ, თუმცა მცენარისათვის უშუალოდ შესათვისებელი აზოტის შენაერთები (ნიტრატები, ამიაკი) ნიადაგშიც განსაზღვრულია. ამ უკანასკნელზე მოდის ნიადაგში არსებული აზოტის საერთო მარაგის 1-2% [1].

ბმული აზოტით ნიადაგის მარაგის შევსების ზემოთ აღნიშნული წყარო გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე აზოტის ბიოლოგიური ფიქსაცია. კერძოდ, ნიადაგში თავისუფლად მცხოვრები ანაერობული ბაქტერია Clostridium Pasterianum-ი მოლეკულურ აზოტს აღადგენს ამიაკამდე, რომელიც შემდეგ ჩაერთვება უჯრედის ორგანულ ნივთიერებათა შემადგენლობაში. Clostridium Pasterianum-თან შედარებით აერობული ბაქტერია Asotobachter chroococum-ის აზოტმაფიქსირებელი უნარი გაცილებით პროდუქტიულია (თავისუფლად მცხოვრები აზოტმაფიქსირებელი მიკროორგანიზმების მოქმედების შედეგად წლის განმავლობაში გროვდება 20კგ/ჰა-მდე აზოტი). ნიადაგის აზოტის მარაგის ბუნებრივი წყაროა აგრეთვე Bachterium risobium-ი, რომელიც თანაცხოვრობენ პარკოსანი მცენარეების ფესვებზე არსებულ კოჟრებში, რომელთა უჯრედებში მიმდინარეობს ატმოსფერული აზოტის ფიქსაციის პროცესი [2].

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ნიადაგის შესათვისებელი ფორმის აზოტი მთლიანად ვერ გამოიყენება მცენარის მიერ. მთელი რიგი ფაქტორების, სახელდობრ, მექანიკური დანაკარგების (გამორეცხვის), აგრეთვე ბიოლოგიური პროცესების (დენიტრიფიკაციის) გავლენით ნიადაგიდან იკარგება აზოტის აღნიშნული ფორმები, რის შედეგად ამ უკანასკნელის მარაგი უფრო მეტად მცირდება. როგორც აღნიშნავს ბ. რუბინი [1], ეს დანაკარგი საბოლოოდ გამოიწვევს ბუნებაში არსებული ბმული აზოტის მთლიანად ამოწურვას. შესაძლებელია, რომ დედამიწაზე სიცოცხლის თანამედროვე ფორმით არსებობა უზრუნველყოფილია ბმული აზოტის მარაგის შევსების წყაროების არსებობით. ასეთ როლს, როგორც აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა ასრულებენ მოლეკულური აზოტის ასიმილაციის უნარის მქონე მიკროორგანიზმები. მეორე წყარო აზოტის მარაგის შევსებისა არის ნიადაგში შეტანილი ხელოვნური აზოტიანი სასუქები.

უმაღლესი მცენარეებისათვის აზოტის საუკეთესო წყაროა ნიტრატული და ამიაკური აზოტი. ამონიუმის მარილები ნიადაგში სწრაფად იჟანგებიან ნიტრატებამდე მანიტრიფიცირებელი ბაქტერიებით, ამიტომ ნიტრატები ძირითადი ფორმაა, რომელსაც მცენარე ნიადაგიდან იღებს.

მცენარის ორგანულ ნაერთებში - ამინომჟავებში, ცილებში - აზოტი აღდგენილი ფორმითაა, ამიტომ აზოტის დაჟანგული ფორმა - ნიტრატები ამიაკამდე აღდგება, ჯერ ჰიდროქსილამინამდე, შემდეგ კი ამიაკამდე:

$$HNO_3 \rightarrow HNO_2 \rightarrow (HNO)_2 \rightarrow NH_2OH \rightarrow NH_3$$

აზოტმჟავა აზოტოვანი მჟავა ჰიპონიტრიტი ჰიდროქსილ-ამინი ამიაკი

ნიტრატების აღდგენა ხდება ფოტოსინთეზის პროდუქტების - ნახშირწყლების ხარჯზე და ეს პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს ნახშირწყლების შემცველ ნებისმიერ ორგანოში.

მცენარის მიერ შთანთქმული ნიტრატები ფესვებშივე აღდგებიან ამიაკამდე და ამიაკური აზოტის ფორმით ჩაერთვება ამინომჟავების, ცილების და სხვა აზოტშემცველ ორგანულ ნაერთთა სინთეზში. თუ ფესვები ნახშირწყლებს არ შეიცავენ, ნიტრატები არ აღდგებიან და შესაბამისად აზოტოვანი ორგანული ნივთიერებები არ წარმოიქმნებიან. ფესვებიდან მიწისზედა ორგანოებში აზოტი გადადის აზოტოვან ორგანულ შენაერთთა (ძირითადად ამინომჟავების) სახით. მთელ რიგ მცენარეთა ფესვებში (მაგალითად, ხორბლის) შთანთქმულ ნიტრატთა ნაწილი აღდგება, ნაწილი კი გადადის ფოთლებში, სადაც ხდება მისი აღდგენა. ფოთლებში ნიტრატების აღდგენა და ცილების სინთეზი დიდი სისწრაფით მიმდინარეობს, რაც ფოტოსინთეზის დროს წარმოქმნილ პირველად ორგანულ ნაერთთა ხარჯზე ხორციელდება [2, 3].

უნდა აღინიშნოს, რომ ამიაკი თავისი მომშხამავი თვისებების გამო, არ შეიძლება მცენარეთა ქსოვილებში დაგროვდეს იმ რაოდენობით, როგორც ნიტრატები და შთანთქმისთანავე უნდა შევიდეს

ორგანულ ნაერთთა სინთეზში. ამ უკანასკნელს კი ხელს უწყობს ფესვებში ნახშირწყლების საკმაო რაოდენობით არსებობა.

ფოსფორს, როგორც ბიოელემენტს, დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის, მათ შორის მცენარეული ორგანიზმისათვის. ეს ელემენტი ფოსფორმჟავას სახით, ცოცხალ ორგანიზმებში წარმოდგენილია როგორც თავისუფალი, ისე ბმული სახით. ფოსფორილირების შედეგად მატულობს ნაერთების რეაქციის უნარი. ფოსფორის მჟავას უნიკალური თვისება მჟღავნდება მის უნარში წარმოქმნას ენერგიით მდიდარი მაკროერგული ბმა, რომელიც, როგორც ენერგიის წყარო, გამოიყენება ბიოსინთეზურ რეაქციებში და სხვადასხვა სახის ფუნქციებში [4].

ფოსფორი მონაწილეობს უმნიშვნელოვანესი ორგანული ნაერთების შენებაში. ასეთ ნაერთებს უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება ე.წ. ნუკლეოტიდები **ამფ** (ადენოზინმონოფოსფატი), **ადფ** (ადენოზინდიფოსფატი) და **ატფ** (ადენოზინტრიფოსფატი). დადგენილია, რომ ნახშირწყლების, ლიპიდების, ცილების სინთეზი და გარდაქმნა, აგრეთვე ნუკლეინმჟავების ცვლა ორგანიზმში ხორციელდება ნუკლეოპროტეიდების მონაწილეობით. ნუკლეოპროტეიდები უდიდეს როლს თამაშობს აგრეთვე ენერგიის ფიქსაციისა და გადატანის პროცესში. ფოსფორის ორგანული ნაერთებიდან ფიზიოლოგიური ფიქსაციის მიხედვით საკმაოდ მნიშვნელოვანია კოფერმენტული სისტემა, რომელიც დიდ როლს თამაშობს ნივთიერებების და ენერგიის წარმოქმნისას სუნთქვისა და ფოტოსინთეზის პროცესში. ფოსფორის შენაერთების მესამე ჯგუფი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ცოცხალ ორგანიზმებში (მათ შორის მცენარეში), არის ნუკლეინისმჟავები და ნუკლეოპროტეიდები. ეს შენაერთები ყველაზე მჭიდრო კავშირშია ორგანიზმის ზრდის, გამრავლების და ცილის ბიოსინთეზთან [5].

უკანასკნელ წლებში ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს ფოსფორის ნაერთების მეოთხე ჯგუფი ე.წ. პოლიფოსფატები. მათ აქვთ უნარი რიბონუკლეინმჟავას (**რნმ**) ფოსფორილებისა და ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც **ატფ**-ის მსგავსი მაკროენერგეტიკული ნაერთი. **რნმ**-თან დაკავშირებული პოლიფოსფატი სწრაფად მოიხმარება მცენარის აქტიური ზრდის პერიოდში ცილისა და ნუკლეინმჟავების სინთეზისათვის [6].

ნახშირწყლებისა და სხვა ნივთიერებების მეტაბოლიზმი შეუძლებელია ჰექსოფოსფატების ტიპის ფოსფორმჟავაეთერის წარმოქმნის გარეშე, რომლებიც ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური მნიშვნელობის თვალსაზრისით წარმოადგენს ფოსფორის შენაერთების მეხუთე ჯგუფს [5].

ფოსფორი შედის უჯრედის ბირთვის ცილის შემადგენლობაში. მას შეიცავს ლიპიდები, რომელთა უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია პლაზმის შემადგენელი ნაწილი - ლეციტინი. ეს ელემენტი შედის ფიტინის შემადგენლობაში, რომელიც ძირითადად სათადარიგო შენაერთია და გამოიყენება მცენარის მიერ ფოსფორული შიმშილობის დროს.

ფოსფორი აჩქარებს ნაყოფების მომწიფებას, აუმჯობესებს მცენარის გამოზამთრების უნარს. მისი ნაკლებობა იწვევს ცილების ცვლის დარღვევას, განვითარების ფაზების (განსაკუთრებით ყვავილობისა და მომწიფების) შენელებას, მცენარის დაკნინებას და საბოლოოდ მოსავლიანობის შემცირებას. არასასურველია ფოსფორის სიჭარბეც, რადგან ამ დროს ხდება სავეგეტაციო პერიოდის შემცირება, რაც თავის მხრივ ამცირებს სასაქონლო პროდუქციის გამოსავალს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფოსფატებს, მ.შ. **ატფ**-ს აზოტის შეთვისების პროცესში.

ფოსფატების მეტაბოლიზმი მცენარეულ ორგანიზმში დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. სახელდობრ, წყლის ნაკლებობისას ირღვევა დაჟანგვითი პროცესები - **ატფ**-ის მაკროენერგეტიკულ კავშირებში ენერგიის აკუმულირების ძირითადი პროცესი.

ფოსფორის მეტაბოლიზმი დამოკიდებულია აგრეთვე მცენარის მოყვანის ადგილის, ნიადაგისა და ჰაერის ტემპერატურაზე. ფესვთა სისტემის გავრცელების არეში ნიადაგის დაბალი ტემპერატურისას, მკვეთრად მცირდება მცენარის მიერ ფოსფორის შეთვისება, ვიდრე ჰაერის დაბალი ტემპერატურის პირობებში. ფესვგარეშე გამოკვებისას კი უფრო მეტად ვლინდება ჰაერის დაბალი ტემპერატურის უარყოფითი ზეგავლენა. მაშასადამე, ნიადაგის დაბალი ტემპერატურის და ჰაერის შედარებით მაღალი ტემპერატურის დროს შესაძლებელია გამოყენებული იყოს ფესვგარეშე გამოკვება, რომელიც უზრუნველყოფს მცენარეში ფოსფორული ცვლის გაუმჯობესებას.

მცენარის მიერ ფოსფორი გამოიყენება მხოლოდ უმაღლესი ჟანგეული მარილებიდან ორთოფოსფორმჟავას ანიონის (PO_4^{3-}) ფორმით. მცენარისათვის შესათვისებელია არა მხოლოდ არაორგანული ფოსფორი, არამედ მისი ზოგიერთი ორგანული ნაერთი. მცენარის მიერ ორგანული ნაერთების გამოყენებაში მონაწილეობენ სპეციფიკური ფერმენტები - ფოსფატაზები, რომლებიც გარემო არეში გამოიყოფა მცენარის ფესვთა სისტემის მიერ [5].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ფოსფატების (არაორგანული და ორგანული) როლი მცენარეული ორგანიზმის სიცოცხლისათვის, უდიდესია. ამიტომ ფოსფორს მცენარის მინერალური კვების ელემენტებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია.

მცენარისთავის საჭირო ელემენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია კალიუმი, რომლის ფიზიოლოგიური როლი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი. თუმცა ამ საკითხზე დაგროვილი მასალები საშუალებას იძლევა, რომ თანამედროვე შეხედულებები კალიუმის ფიზიოლოგიურ როლზე ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით [5]:

- კალიუმი დიდ გავლენას ახდენს მცენარეში ნახშირწყლების ცვლაზე. ამ ელემენტის არსებობა დადებით გავლენას ახდენს ფოტოსინთეზის დროს ნახშირწყლების (აგრეთვე ქლოროფილის) წარმოქმნის და მათი ფოთლებიდან რეპროდუქციულ ორგანოებამდე გადამოძრავების პროცესებზე. ეს შეიძლება აიხსნას ფერმენტ ამილაზას და ინვერტაზას აქტივობით, რომელთა ზემოქმედება კალიუმის ნაკლებობისას ძლიერ ფერხდება;

- კალიუმი უდიდეს გავლენას ახდენს უჯრედის პროტოპლაზმაზე. მისი არსებობისას უმჯობესდება პროტოპლაზმის კოლოიდების ჰიდრატაციის პროცესი, რაც იწვევს წყალშეკავების ძალის ზრდას. ეს უკანასკნელი კი აპირობებს შეკავშირებული წყლის რაოდენობის მნიშვნელოვნად ზრდას;

- მცენარის კალიუმის უზრუნველყოფა დადებითად მოქმედებს ვიტამინების სინთეზზე (მათ შორის თიამინზე), რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ნახშირწყლების სინთეზთან;

- კალიუმი დადებითად მოქმედებს მოსავლის სტრუქტურაზე (პროდუქტიულობა, დაბუჩქება, თავთავის მარცვლიანობა, მარცვლის ნატურა და სხვ.), რადგან ეს მაჩვენებლები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მოსავლის ფორმირებისათვის;

- კალიუმის არსებობისას მცენარის გამძლეობის უნარი დაბალი ტემპერატურის, გვალვის, აგრეთვე სხვადასხვა დაავადების მიმართ იზრდება. დადგენილია, რომ კალიუმის ნაკლებობისას მცირდება მცენარის ტურგორული წნევა (განსაკუთრებით მშრალ, ცხელ ამინდში), ხოლო ტრანსპირაციის უნარი ძლიერ იზრდება;

- კალიუმი უდიდეს გავლენას ახდენს სუნთქვის პროცესზე, მაგრამ მონაცემები ამ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგოა. არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვით, მცენარეში კალიუმის ნაკლებობისას სუნთქვის პროცესი ძლიერდება, ხოლო მისი შემცველობის გადიდებისას - სუნთქვის ინტენსივობა მცირდება (ტურკოვა, 1950; ციტირებულია ს.ს. ანდრეენკოს მიერ) [5]. ამის საწინააღმდეგოდ არის მონაცემები, რომ ლობიოს და სიმინდის სხვადასხვა ორგანოში საკვებ არეში კალიუმის ნაკლებობისას სუნთქვის ინტენსივობაც მცირდება (უდოვენკო და ურბანოვიჩი, 1964; ციტირებულია ს.ს. ანდრეენკოს მიერ) [5]. უფრო სწორი შეხედულებაა ეს უკანასკნელი. ეს იმით აიხსნება, რომ კალიუმის ნაკლებობა იწვევს საქაროზის სინთეზის დაქვეითებას და ზოგიერთ რგოლზე დაჟანგვითი პროცესების შეფერხებას. სუნთქვის შეფერხება უშუალოდაა დაკავშირებული ფოსფორული ცვლის დარღვევასთან. კალიუმის ნაკლებობისას ნუკლეოტიდებში მცირდება ფოსფორის შემცველობა და იზრდება სტაბილური, ძნელად ჰიდროლიზებადი და ენერგიით ღარიბი ფოსფორის შენაერთების რაოდენობა;

- კალიუმი სხვა მრავალრიცხოვან კათიონთან ერთად არის აუცილებელი კოფაქტორი ენზიმური სისტემისა, რომელიც ააქტიურებს მთელ რიგ ფერმენტებს (ამილაზა, ინვერტაზა, ფოსფოტრანსაცეტილაზა, ადენოზინტრიფოსფატაზა, კეტოგექსოკინაზა და სხვ.);

- კალიუმი მჭიდროდაა დაკავშირებული ცილოვან და ამინომჟავების ცვლასთან. კალიუმის ნაკლებობისას მნიშვნელოვნად ნელდება ცილის სინთეზი (ხოლო მისი არარსებობისას ირღვევა აგრეთვე სხვა სინთეზური ფუნქციები, მაგალითად, ქლოროფილის სინთეზი) და ამიაკური აზოტი ვერ ერთვება მეტაბოლიზმში, რაც იწვევს ამინომჟავების სინთეზის შეფერხებას. ასეთ პირობებში ცილის განახლების ინტენსივობაც ქვეითდება. კალიუმის ნაკლებობისას ამიაკური აზოტი ისეთი დიდი რაოდენობით გროვდება, რომ მას აქვს ტოქსიკური ეფექტი და ზოგ შემთხვევაში კი იწვევს ამიაკურ მოწამვლას და მცენარის დაღუპვას. კალიუმის ნაკლებობა განსაკუთრებით დიდ უარყოფით გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც მცენარე საკვებს იღებს ამიაკური ფორმით.

დადგენილია, რომ კალიუმი ხელს უწყობს ქლოროფილის სინთეზისათვის რკინის უკეთესად შეთვისებას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია საკვებ არეში რკინის ნაკლებობისას. აღნიშნულ პროცესი საშუალებას იძლევა რიგი მცენარეების კალიუმით გამოკვებისას ქლოროზის თავიდან აცილებისათვის. [7]

კალიუმი ნიადაგში იმყოფება წყალში ხსნადი მარილების გაცვლით და არაგაცვლითი, სილიკატების და ალუმოსილიკატების ფორმით. ნიადაგში არსებული კალიუმის 98%-მდე მცენარისათვის შეუთვისებელია. წყალში ხსნადი მარილები კი მცირეა. მცენარისათვის შედარებით მეტად მისაწვდომი და უმნიშვნელოვანესია გაცვლითი კალიუმი. საერთოდ, ნიადაგში კალიუმის

შემცველობა საკმაოდ მაღალია, ვიდრე სხვა ელემენტები. მცენარე კალიუმს შთანთქავს ნიადაგიდან. მისი მარაგის შევსება ნიადაგში ხდება კალიუმიანი სასუქების გამოყენებით [7].

კალიუმი მაღალი კონცენტრაციითაა ახალგაზრდა მცენარეში, ინტენსიურად მზარდ ორგანოებში (ფოთლებში და სხვ.). მცენარეულ ორგანიზმში ისინი იმყოფებიან მარილების (KCl, $KHCO_3$, K_2HPO_4), აგრეთვე პიროღვინის, ლიმონის და მჟაუნმჟავას მარილების სახით.

მცენარეულ უჯრედში კალიუმი განაწილებულია არათანაბრად. ის არ არის აღმოჩენილი ბირთვსა და ქლოროპლასტებში. როგორც აღვნიშნეთ, კალიუმი განსაკუთრებით მაღალი შემცველობისაა ახალგაზრდა მცენარეში ანუ იმ პერიოდში, როდესაც მცენარეში უჯრედები იყოფა მაღალი ინტენსივობით და სინთეზირდება ორგანული ნივთიერებები. კალიუმის მაქსიმალური შემცველობა მცენარეთა უმრავლეს სახეობაში აღინიშნება ყვავილობის ფაზაში, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია მარცვლოვანთა ოჯახის მცენარეებისათვის.

როგორც ბიოელემენტების ფიზიოლოგიური როლის განხილვიდან ჩანს, თითოეულ ელემენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცენარის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებისათვის, უპირველეს ყოვლისა, კვებისათვის, რაც საბოლოოდ თავის გამოხატულებას პოულობს მცენარის პროდუქტიულობის ამაღლებაში. ამიტომ მინერალური კვების პირობების შეფასებისათვის სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის ქსოვილებში მინერალურ ელემენტთა შემცველობის შესწავლას, განსაკუთრებით კი ისეთი ძვირფასი სასურსათო მცენარეებისათვის, როგორიცაა ხორბალი, სიმინდი.

აღნიშნული საკითხების შესასწავლად საველე და ლაბორატორიული კვლევები ტარდებოდა ი. ლომოურის საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გორის საცდელ სადგურში. გეოგრაფიული ქსელის სტაციონარულ ცდებში მინდვრის კულტურათა თესლბრუნვაში ბ.ა. დოსპეხოვის [8] მეთოდიკის მიხედვით იცდებოდა ბიოელემენტების სხვადასხვა დოზების და თანაფარდობის გავლენა მცენარეთა მიერ მათ აკუმულაციაზე ორგანოების მიხედვით (ორივე სახეობის მცენარისათვის) შემდეგი სქემით: 1. 0 - საკონტროლო, 2. $N_{90}K_{60}$, 3. $N_{90}P_{90}$, 4. $P_{60}K_{30}$, 5. $N_{60}P_{60}K_{30}$, 6. $N_{90}P_{60}K_{30}$, 7. $N_{120}P_{60}K_{30}$, 8. $P_{90}K_{60}$, 9. $N_{60}P_{90}K_{60}$, 10. $N_{90}P_{90}K_{60}$, 11. $N_{120}P_{90}K_{60}$.

კვლევის ობიექტი მარცვლოვანთა Poaceae (Gramineae) ოჯახის მცენარეები: საშემოდგომო ხორბალი (Triticum durum) ჯიში მუხრანი და სამარცვლე სიმინდი (Zea mays L.) ჯიში აჯამეთის თეთრი. ცდებში გამოყენებული იყო შემდეგი ფორმის აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები: NH_4NO_3, $Ca(H_2PO_4)_2$, KCl.

საანალიზო სინჯები (თითოეული საკვლევი მცენარის მიხედვით) როგორც ძირითადი (მარცვალი), ისე თანმდევი (ღერო-ფოთლები) პროდუქციის, აღებული იქნა მარცვლის სრული სიმწიფის ფაზაში და მათში განისაზღვრა საკვლევი ელემენტების (N, P, K) შემცველობა საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით.

ცდებით დაკავებული ნიადაგების ქიმიური დახასიათებისათვის, საშუალო სინჯები (ორივე ცდიდან) აღებული იქნა ორი ჰორიზონტიდან (0-20 და 20-40 სმ სიღრმეზე) ცდების დაყენების წინ. სინჯებში განისაზღვრა ჰუმუსი, საკვლევი ელემენტების საერთო და შესათვისებელი ფორმები, შთანთქმული კათიონების ჯამი, ნიადაგის არეს რეაქცია (წყლის სუსპენზიაში), კარბონატობა. ანალიზური სამუშაოები, როგორც მცენარის, ისე ნიადაგის, ჩატარდა საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით ზემოთ ხსენებული ინსტიტუტისა და საცდელი სადგურის ქიმიურ ლაბორატორიებში. ციფრობრივი მონაცემები დამუშავებული იქნა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდით ბ.ა. დოსპეხოვის [8] მიხედვით.

ცხრილი 1

ცდებით დაკავებული ნიადაგის ქიმიური შედგენილობა
(საშუალო მონაცემები)

ნიადაგის ჰორიზონტის სიღრმე, სმ	შთანთქმული ფუძეების ჯამი (Ca+Mg) მგ. ექვ/100გ	ჰუმუსი %	საერთო ფორმა, %		შესათვისებელი ფორმა, მგ/100გ			კარბო-ნატობა, %	$P^H_{(H_2O)}$
			აზოტი	ფოს-ფორი	ჰიდრო-ლიზური აზოტი	მოძრავი ფოსფორი	გაცვლითი კალიუმი		
0 -20	25,4	3,05	0,20	0,17	5,63	0,89	39,0	13,9	7,9
20-40	33,7	2,81	0,19	0,15	4,27	0,71	33,7	15,1	8,1

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ჰუმუსი საკვლევ ნიადაგში საშუალო რაოდენობითაა. მიუხედავად აზოტის და ფოსფორის მაღალი შემცველობისა, ნიადაგი საშუალოდაა უზრუნველყოფილი ჰიდროლიზური აზოტით, ღარიბია მოძრავი ფოსფორით, საშუალოდაა უზრუნველყოფილი გაცვლითი

კალიუმით; ნიადაგის არეს რეაქცია სუსტი ტუტეა და შესაბამისობაშია მასში კარბონატების შემცველობასთან.

როგორც აღვნიშნეთ, მცენარის ზრდა-განვითარების, მის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური თუ ბიოქიმიური პროცესებისათვის, რომლებიც საბოლოოდ განაპირობებს მცენარის პროდუქტიულობას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინერალურ ელემენტებს, მათ შორის აზოტს, ფოსფორს, კალიუმს, ამიტომ საჭიროა მცენარეთა ქსოვილებში ხსენებული ელემენტების შემცველობის დადგენა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მოტანილია მე-2 ცხრილში, საიდანაც ირკვევა, რომ სამივე ბიოელემენტის (N, P, K) შემცველობა მცენარის ორგანოების მიხედვით, მკვეთრად განსხვავებულია. კერძოდ, აზოტის და ფოსფორის დაგროვება მნიშვნელოვნად მაღალია რეპროდუქციულ ორგანოებში ვეგეტატიურ ორგანოებთან შედარებით: ხორბლის მარცვალში აზოტის შემცველობა ვარიანტების მიხედვით 1,79-2,48%-ის, ხოლო ფოსფორის 0,94-1,21%-ის ფარგლებში ვარირებს, ღერო-ფოთლებში მათი შემცველობა შესაბამისად 0,25-0,51 და 0,10-0,20%-ის ფარგლებში მერყეობს. ანალოგიური კანონზომიერება აღინიშნება სიმინდის მცენარეშიც. რაც შეეხება კალიუმს, მისი დაგროვების დონე შედარებით მაღალია ღერო-ფოთლებში, ვიდრე მარცვალში. კერძოდ, ხორბლის მცენარეში - 1,37-1,67%, სიმინდის - 1,27-1,65%, ხოლო მარცვალში მისი შემცველობა მცენარეთა სახეობების მიხედვით შეადგენს შესაბამისად 0,43-0,57% და 0,52-0,68%-ს (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ბიოელემენტების შემცველობა მარცვლოვანთა Poaceae (Gramineae) ოჯახის მცენარეებში, %

№	მარცვალი			ღერო-ფოთოლი		
	N	P	K	N	P	K
	ხ ო რ ბ ა ლ ი (Triticum durum)					
1	1,79	0,94	0,43	0,25	0,10	1,37
2	2,07	0,98	0,54	0,35	0,13	1,55
3	2,24	1,13	0,45	0,38	0,16	1,44
4	1,85	1,06	0,47	0,26	0,12	1,53
5	1,97	1,06	0,43	0,34	0,13	1,55
6	2,13	1,08	0,51	0,42	0,14	1,53
7	2,25	1,09	0,51	0,43	0,13	1,56
8	1,90	1,17	0,54	0,31	0,17	1,63
9	2,15	1,19	0,54	0,38	0,19	1,65
10	2,40	1,21	0,55	0,44	0,19	1,67
11	2,48	1,21	0,57	0,51	0,20	1,67
M±m	2,11±0,06	1,10±0,03	0,50±0,05	0,37±0,02	0,13±0,01	1,56±0,03
	ს ი მ ი ნ დ ი (Zea mays L.)					
1	1,28	0,61	0,52	0,63	0,30	1,27
2	1,55	0,67	0,64	0,74	0,33	1,59
3	1,58	0,75	0,53	0,74	0,41	1,35
4	1,31	0,71	0,59	0,65	0,35	1,43
5	1,47	0,73	0,61	0,67	0,38	1,46
6	1,51	0,73	0,60	0,75	0,37	1,46
7	1,58	0,75	0,62	0,78	0,35	1,44
8	1,34	0,78	0,64	0,69	0,40	1,57
9	1,53	0,78	0,65	0,75	0,42	1,59
10	1,67	0,84	0,65	0,82	0,45	1,62
11	1,71	0,85	0,68	0,87	0,49	1,65
M±m	1,50±0,17	0,74±0,02	0,61±0,17	0,74±0,07	0,39±0,02	1,48±0,04

ბიოელემენტების შემცველობა საკმაოდ ცვალებადობს მათ დოზებსა და ელემენტთა თანაფარდობის მიხედვით. გამომჟღავნდა პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება მცენარეში მათ კონცენტრირებასა და აზოტის დოზებს შორის. ასე მაგალითად, $P_{60}K_{30}$ ფონზე N_{60}, N_{90}, N_{120} შეტანისას აზოტის შემცველობა ხორბლის მარცვალში შეადგენს, შესაბამისად 1,97, 2,13, 2,25%-ს; ღერო-ფოთლებში - 0,34, 0,42, 0,43%-ს, ხოლო სიმინდის მარცვალსა და ღერო-ფოთლებში შესაბამისად - 1,47; 1,51; 1,58 და 0,67;

0,75; 0,78%-ს. ამავდროულად, ფოსფორ-კალიუმის დოზების გადიდება ($P_{90}K_{60}$) ხელს უწყობს აზოტის ეფექტის ამაღლებას და აღნიშნულ ფონზე აზოტის იგივე დოზების - N_{60}, N_{90}, N_{120}-ის გამოყენებისას მაღალია მისი შემცველობა ორივე საცდელი მცენარის როგორც მარცვალში, ისე ღერო-ფოთლებში (ცხრილი 2). ანალოგიური შედეგებია მიღებული მცენარეში ფოსფორის და კალიუმის ლოკალიზებაზე ამ ელემენტების დოზების გადიდებასთან დაკავშირებით ორივე კულტურის მარცვალსა თუ ღერო-ფოთლებში (ცხრილი 2), თუმცა ეს კანონზომიერება შედარებით მეტად გამოვლინდა ფოსფორის კონცენტრირებაზე, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს ნიადაგში მოძრავი ფოსფორის ძალიან მცირე შემცველობით. ამავდროულად ფოსფორ-კალიუმის დაგროვებას (განსაკუთრებით ფოსფორის) რამდენადმე ხელს უწყობს აზოტი და მისი მაღალი დოზები. როგორც ცნობილია, ფოსფორის მობილიზაცია სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია აზოტით უზრუნველყოფასა და მათ თანაფარდობაზე საკვებ არეში [3].

მაშასადამე, საკვლევი ბიოელემენტების მაქსიმალური კონცენტრაცია ორივე საკვლევ მცენარეში აღინიშნება აზოტის, ფოსფორის და კალიუმის მაღალი დოზების - $N_{120}P_{90}K_{60}$ (თანაფარდობა 2 : 1,5 : 1) გამოყენებისას. მას მცირედ ჩამორჩება (ან ზოგ შემთხვევაში მისი ტოლია) $N_{90}P_{90}K_{60}$ (თანაფარდობა - 1,5 : 1,5 : 1) დოზის კვების პირობებში აღზრდილ მცენარეში აკუმულირებული აზოტის, ფოსფორის და კალიუმის რაოდენობა. ამ ელემენტების აღნიშნული დოზებით გამოყენებისას მაღალია აგრეთვე მცენარეთა პროდუქტიულობა და თითოეული ბიოელემენტის გამოყენების კოეფიციენტი. ეს უკანასკნელი კი გარემოს ქიმიკატებით დაბინძურებისაგან დაცვის მნიშვნელოვანი გზაა.

ლიტერატურა:

1. Рубин Б.А. Курс физиологии растений. Издание четвертое переработанное и дополненное. М., Высшая школа, 1976.
2. ჩხაიძე გ. მცენარეთა ფიზიოლოგია. თბილისი, 2003.
3. Кретович В.А., Каган З.С. Усвоение и превращение азота у растений. В кн.: Физиология сельско-хозяйственных растений. т. II, Минеральное питание, рост и развитие, эмбриогенез и онтогенез. Отв. ред. тома П.А. Генкель. М., Изд. Московского университета, 1967.
4. ალექსიძე ნ. ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები. მესამე გამოცემა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2005.
5. Андреенко С.С. Физиологическая роль макроэлементов (P, S, K, Ca, Mg) и кислотности внешней среды. В кн.: Физиология сельско-хозяйственных растений. т. II, Минеральное питание, рост и развитие, эмбриогенез и онтогенез. Отв. ред. тома П.А. Генкель. М., Изд. Московского университета, 1967.
6. Белозерский А.Н. Нуклеопротеиды и нуклеиновые кислоты растений и их биологическое значение. «Баховские чтения» (14). М., Изд. АН СССР, 1959.
7. ონიანი ო. უახლესი შეხედულებები კალიუმის ფიზიოლოგიურ როლზე მცენარეში. საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსიტუტის შრომები. ნიადაგის ნაყოფიერება. ტ. XXI, თბილისი, 1980.
8. Доспехов Б.А. Методика полевого опыта. 2-е изд., перераб. и др., М., Колос, 1968.

Neli Goginashvili

Gori State Teaching University

PHYSIOLOGICAL ROLE OF BIOELEMENTS AND THEIR COMPOSITION IN THE PLANTS OF THE FAMILY POACEAE (GRAMINEAE)

RESUME

We did a stationary research on the plants of the Family Poaceae, Gramineae: wheat (Triticum durum) and corn (Zea mays L.), which are grown on the brown soil of the Shida Kartli meadow. According to each plant organs, the composition of the research bioelements (N, P, K) is dramatically different. It is especially revealed on the accumulation of nitrogen and phosphorus, whose concentration is much higher in both plants` grains than in other organs. At the same time, by using the mineral salts (NH_4NO_3, $Ca(H_2PO_4)_2$, KCl), the composition of bioelements increases considerably together with the growth of their dose, which, consequently helps to increase the plants productivity and improve the production quality.

გუგული დუმბაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მდინარე კინტრიშის დამაბინძურებელი წყაროები და წყლის ხარისხობრივი მდგომარეობა

შესავალი. საქართველოში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემებიდან, წყლის დაბინძურება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა.

ბოლო წლების განმავლობაში სწრაფი ტემპით გაზრდილმა წყლის მოხმარებამ როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, შესაბამისად, გაზარდა წყლის გაჭუჭყიანების ხარისხი, რაც მდინარეებსა და წყალსატევებში ჭუჭყიანი წყლის შერევითაა განპირობებული. ანთროპოგენული დაბინძურება დიდ საფრთხეს უქმნის წყლის ეკოსისტემებს და მნიშვნელოვნად აუარესებს მის ხარისხს.

ადამიანის მიერ ჰიდროეკოლოგიური სისტემების დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს: საწარმოო და კომუნალური, სავარგულებიდან აგროქიმიკატების შემცველი, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების ჩამონარეცხი ჩამდინარე წყლები და ატმოსფერული ნალექისა და სანიაღვრე სისტემების აეროგენული დამაბინძურებლები. წყლის დამაბინძურებლებს შორის განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს მძიმე ლითონთა მარილები, ბაქტერიებით გამდიდრებული ბიოგენური ორგანიკა და მინერალური სასუქების უკონტროლოდ გამოყენება.

წყალსატევებში საკანალიზაციო წყლების ჩაშვება, განსაკუთრებულად გაუწმენდავი ან არასაკმარისად გაწმენდილის, ახდენს ნეგატიურ ზეგავლენას ორგანულ ნივთიერებათა წრებრუნვაზე და უპირველეს ყოვლისა ქმნის ადამიანის ინფექციური დაავადების საშიშროებას.

წყლის სისტემებში ჩამდინარე წყლების ჩაშვება და სავარგულებიდან სასუქების ჩამორეცხვა იწვევს მათ ევტროფიცირებას, რომელიც განპირობებულია წყალში აზოტისა და ფოსფორის ნაერთების მაღალი შემცველობით. ამის შედეგად წყალში ადგილი აქვს ფიტოპლანქტონის, წყალმცენარეების ზრდის სტიმულირებას. წყალმცენარეები წყალს ანიჭებენ სხვადასხვა შეფერილობას, რასაც წყლის „ყვავილობას“ უწოდებენ.

დღეისათვის გარემოს დაცვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს წყლის სისტემების დაცვა ევტროფიკაციისაგან.

ჩამდინარე წყლებით წყალსატევების დაბინძურებისგან გარემოსდაცვითი ღონისძიებები გულისხმობს აზოტისა და ფოსფორის შემცველობის შემცირებას როგორც სასმელ-სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, ისე თევზსამეურნეო წყალსარგებლობის წყალსატევებისათვის.

ზღვის დაბინძურების წყაროების კვლევის დროს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ზღვაში ჩამდინარე მდინარეების ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შავი ზღვის აუზის მდინარე კინტრიშის დაბინძურების მდგომარეობისა და დამაბინძურებელი წყაროების ანალიზი, მდინარეზე მოქმედი ანთროპოგენული ფაქტორების იდენტიფიცირება, ლაბორატორიული კვლევებით წყლის ჰიდროქიმიური ხარისხის მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მდინარე კინტრიში და მასში შემავალი სხვა მდინარეები თუ ნაკადულები. კვლევა ჩატარდა მარშრუტული მეთოდით, მდინარის სათავიდან დაწყებული ზღვის შესართავამდე. ასევე, ვიზუალურად გამოკვლეული იქნა მასში შემავალი მდინარე კინკიშა მის სათავემდე, სხვა მცირე შენაკადები და ღელეები.

საკვლევი მასალა აღებული იქნა მდინარე კინტრიშის ზღვასთან შესართავიდან დაახლოებით 200-300 მეტრის მოშორებით. წყლის ჰიდროქიმიური ანალიზი ჩატარდა სსიპ „აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“.

სინჯების აღებისთანავე ხდებოდა ტემპერატურის, pH, მარილშემცველობის განსაზღვრა ელექტრომეტრული მეთოდით პორტატული ზონდის MULTI 3410-ის გამოყენებით.

წყლის სინჯებში ამონიუმის, ნიტრატების, ნიტრიტებისა და ფოსფატების კონცენტრაციის განსაზღვრა წარმოებდა ფირმა SKALAR-ის ავტომატური ბიოგენების ანალიზატორზე SAN^{plus} ANALIZER.

ფოსფატების კონცენტრაცია ისაზღვრებოდა 880 ნმ ტალღის სიგრძისას (Методы гидрохимических исследований основных биогенных элементов; 1988).

კვლევის ობიექტის მოკლე დახასიათება. მდინარე კინტრიში აჭარის ზღვისპირა მხარეში სიგრძითა და წყალუხვობით მეორე მდინარეა ჭოროხის შემდეგ. სათავეს იღებს აჭარა-გურიის ქედზე, ხინოს მწვერვალის მიდამოებში, ზღვის დონიდან 2320 მეტრ სიმაღლეზე. მისი სიგრძე ბოლო მონაცემებით 45 კმ-ია და აუზის ფართობი 291 კმ² შეადგენს. საშუალო წლიური ხარჯი ზემო დინებაში 8,93მ³/წმ, ხოლო

შესართავთან 18,6 $მ^3$/წმ. ჩამონადენის მოდული შესართავთან 61 ლ/წმ ერთი კვადრატული კილომეტრიდან, რომელიც სათავისკენ აუზის სიმაღლის ზრდასთან ერთად მატულობს და სოფელ კოხთან 89 ლ/წმ აღწევს (ფალავანდიშვილი შ., 2005).

მდინარე კინტრიში საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის ნადნობი წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა - ზამთარსა და ზაფხულში. წყალუხვია შემოდგომაზე.

კინტრიში გამოივლის სოფლებს: ხინოს, მესხი ქედს, ზერაბოსელს, ცხემვანს, ჭახათს, კოხს, სოფელ ქობულეთს, ხუცუბანს, გელაურს და კვირიკეს.

მდინარე კინტრიშს გააჩნია მრავალი შენაკადი, მათ შორის მდინარე კინკიშა, რომელიც სათავეს იღებს 1300 მეტრზე ზღვის დონიდან, სკურდას ქედის დასავლეთ ფერდობზე, მისი სიგრძე 14 კმ-ია. გააჩნია რამდენიმე შენაკადი ღელეების სახით. აუზის ფართობი 39,6 კვ. კმ-ია. კინკიშა კინტრიშს ერთვის შესართავთან ახლოს, მარცხენა მხრიდან.

მდინარე კინტრიში მდიდარია საუკეთესო ხარისხის თევზებით, როგორიცაა: კალმახი, წვერა, საზანი. შავიზღვისპირეთში, შავი ზღვის ორაგულის აღწარმოებისათვის ვარგისი მდინარე მხოლოდ საქართველოშია შემორჩენილი, და სწორედ, მათ შორის ერთ-ერთი კინტრიშია.

კვლევის შედეგები

მდინარე კინტრიშის დამაბინძურებელი წყაროები. მდინარე კინტრიშის ეკოლოგიური მდგომარეობის შესასწავლად, საველე ექსპედიციებით, მარშრუტული მეთოდით ჩატარდა ვიზუალური დაკვირვება 10 სოფლის ფარგლებში, მდინარის სათავიდან (ხინოს მთა) ზღვასთან შესართავამდე.

სოფელი ხინო, მდებარეობს მდინარე კინტრიშის ხეობაში, ზღვის დონიდან 1040 მეტრზე. ვიზუალური დათვალიერებით, აქ მდინარის წყალი სუფთა და კამკამაა. მდინარის დაბინძურება არ ხდება მყარი მუნიციპალური ნარჩენებით ან სხვა დამაბინძურებლებით.

სოფელი კობალაური მდებარეობს მდინარე კინტრიშის ხეობაში, ზღვის დონიდან 500 მეტრზე. მდინარეზე ანთროპოგენური ზემოქმედება არ შეინიშნება. მდინარის პირას მოსახლეობა იშვიათად გვხვდება.

სოფელი ჭახათი მდებარეობს მდინარე კინტრიშის ხეობაში, ზღვის დონიდან 400 მეტრზე. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 390 კაცი. ამავე წელს სოფელ ჭახათში დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის კინტრიშაჰესის მშენებლობა.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად სოფელ ჭახათში მყარი მუნიციპალური ნარჩენებით დაბინძურება არ ხდება, თუმცა მდინარესთან ახლოს მოსახლეობას აქვთ საყანე ნაკვეთები და ციტრუსები, რის შედეგადაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდინარის დაბინძურება ხდება პესტიციდებით, აგრეთვე მესაქონლეობისა და მეფუტკრეობის ნარჩენებით.

სოფელი კოხი მდებარეობს მდინარე კინტრიშის ხეობაში, ზღვის დონიდან 160 მეტრზე. მდინარის პირას მოსახლეობა 10 ოჯახზე მეტს არ შეადგენს.

ვიზუალური დათვალიერებით, აქ არ გვხვდება მყარი მუნიციპალური ნარჩენებით დაბინძურება. თუმცა მდინარის პირას განლაგებულია ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ნაკვეთები, ციტრუსოვანთა ბაღები. სავარაუდოა, საკარმიდამო ნაკვეთებიდან მდინარეში პესტიციდების მოხვედრა.

სოფელი ქობულეთი მდებარეობს მესხეთის ქედის დასავლეთით, მდინარე კინტრიშის ნაპირებზე, ზღვის დონიდან 120 მეტრზე. ვიზუალური დათვალიერებით აქ გამოვლინდა ანთროპოგენური მყარი ნარჩენებით დაბინძურების ფაქტები. რაც უფრო მდინარის ქვედა წელისაკენ ვეშვებით, მით მატულობს მდინარეში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა. აქ ჩანს პოლიეთილენის პარკები, მინის, პოლიეთილენისა და მეტალის ბოთლები, ძველი ფეხსაცმელი და მრავალი სხვა.

სოფელი ხუცუბანი მდებარეობს მდინარე კინტრიშის მარჯვნივ, ზღვის დონიდან 50 მეტრზე. სოფელში ცხოვრობს 3483 კაცი. აქ ნათლად ვლინდება მდინარეზე ანთროპოგენული ზემოქმედება.

მდინარის ქვემო დინებაში გვხვდება მყარი მუნიციპალური ნარჩენებით დაბინძურების შემთხვევები. დაფიქსირდა ევტროფიკაციის ნიშნები, რაც გამოწვეული უნდა იყოს მდინარესთან სხვადასხვა რუების საშუალებით ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ჩადინებით, საკანალიზაციო ჭებიდან მიწისქვეშა წყლების საშუალებით ბიოგენური ელემენტების შერევით, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის სადგომებიდან ან სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებიდან ნიაღვრული მონადენის მდინარის წყალში ჩადინებით და სხვა.

მდინარის სანაპიროებზე განთავსებულია სხვადასხვა ობიექტები: საყვავილე მეურნეობა, გზების მოსაპირკეთებელი ფილების მწარმოებელი მცირე საწარმო, საპიკნიკე ადგილები, სხვადასხვა კაფე და რესტორანი. სოფლებში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაკავებულია საბოსტნე კულტურებით, სიმინდით, თხილით, ციტრუსოვანთა თუ სხვა ხეხილოვან მცენარეთა ნარგაობებით. მდინარის ნაპირებზე გაშენებულია მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები, გადის სოფლების საავტომობილო გზები, სოფლების ცენტრებში, მდინარის ნაპირას მდებარეობს

მოსახლეობის თავშეყრის ობიექტები, მაღაზიები, მოსაცდელები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, დაფიქსირდა რამდენიმე საპირფარეშო მდინარის ნაპირას და სხვა.

ყოველივე აღნიშნული, მდინარის ქვემო დინებაში, მის ნაპირებზე, ქმნის მუნიციპალური მყარი ნარჩენებით მცირედ დაბინძურების შემთხვევებს. ასევე, არ არის გამორიცხული წყლის დაბინძურება ფეკალური მასებით, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით.

ევტროფიკაციის ნიშნები გამოვლინდა რამდენიმე ადგილას, მდინარე კინტრიშის აუზის ქვემო დინებებში, სოფელ ქობულეთის მიდამოებში. კერძოდ, სოფელ ქობულეთთან ახლოს, მდინარის ნაპირზე განთავსებული საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს, ასევე, სოფელ ხუცუბნის ცენტრთან და სოფელ კვირიკეს ცენტრში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას.

დაბინძურებულია მდინარის ზღვასთან შესართავი, რაც უშუალოდ მდინარის დონეზეა. ამის გამო ფერხდება წყლის ზღვაში შესვლა. მდინარეში შემავალი ბობოყვათის შენაკადი მდორე დინებისა და დაბინძურების გამო, ძლიერ ევტროფირებულია (სურათი 1).



სურათი 1. მდ. კინტრიშის ქვემო დინება, ზღვასთან შესართავი, ევტროფირებული.

ამრიგად, მარშრუტული გამოკვლევებითა და ვიზუალური დაკვირვებით დადგინდა, რომ მდინარე კინტრიშის წყალი მის ზედა წელსა და შუა ნაწილში სუფთაა, არ აქვს შეცვლილი ფერი და სუნი, გამჭვირვალეა (გარდა იშვიათი გამონაკლისებისა). მდინარის ზღვასთან შესართავის მიმდებარედ ჩანს, რომ მდინარეში თავმოყრილია ბიოგენური ელემენტები, რაც წყალმცენარეთა გამრავლებას და წყლის „აყვავებას“ იწვევს.

მდინარე კინტრიშის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

მდინარის წყლის შედგენილობა ძალიან რთული და ცვალებადია, იგი დამოკიდებულია წყლის, როგორც გამხსნელის თავისებურებაზე, ნიადაგის ტიპზე, მდინარის აუზში მიმდინარე ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებზე, ადამიანის საქმიანობის ხასიათზე და იმ არეალის კლიმატურ ფაქტორებზე, სადაც მდინარე მიედინება.

მდინარის წყლის ქიმიური შედგენილობის არაერთგვაროვნება მკვეთრად იკვეთება მდინარის სიგრძეზე, ნაკლები ხარისხით მდინარის სიგანეზე, და იშვიათად, სიღრმეზე. არაერთგვაროვნების მიზეზთა შორის არის მდინარეში შენაკადების შერთვა, გრუნტით კვება და სხვადასხვა წარმოშობის წყლების სინქრონული მონაცვლეობა. ამავდროულად, არსებობს ფაქტორები, რომლებიც ათანაბრებს შედგენილობის არაერთგვაროვნებას: დინება, ტურბულენტობა, კალაპოტური რეგულირება. არ არსებობს იდენტური მახასიათებლების მქონე ორი მდინარე. თითოეული მათგანის განსაკუთრებულობა განპირობებულია არა მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის თავისებურებით, არამედ ანთროპოგენული ზემოქმედების საკმაოდ დიდი ხარისხით (გვასალია ლ., ბარამიძე ი., 2008).

მდინარე კინტრიშის წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის შესაფასებლად, საანალიზო წყლის სინჯი აღებული იქნა ზღვის შესართავიდან 200-300 მეტრის მოშორებით (ГОСТ 24481-80).

ბუნებრივ წყლებში ხსნადი ჟანგბადის არსებობას მრავალმხრივი მნიშვნელობა გააჩნია. უპირველეს ყოვლისა იგი აუცილებელია წყალში არსებული ორგანიზმების უმრავლესობისათვის. როგორც ძლიერი მჟანგავი, ჟანგბადი მნიშვნელოვან სანიტარულ-ჰიგიენურ როლს თამაშობს, ხელს უწყობს რა ორგანიზმთა სწრაფ მინერალიზაციას. ტემპერატურული ფაქტორის მიუხედავად, ორივე წლის დროების მიხედვით ჟანგბადის გაჯერების ხარისხი მაღალია.

ცხრილი 1

მდინარე კინტრიშის ჰიდროქიმიური პარამეტრები

მაჩვენებლები	სინჯის აღების დრო		
	2015 წელი აგვისტო	2017 წელი მაისი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ)
ტემპერატურა (°C)	20,3	16,1	+28°C-მდე ზაფხულში, +8°C-მდე ზამთარში
pH	6,8	7,15	6,5 – 8,5
გახსნილი ჟანგბადი, მგ/ლ	8,65	12,7	>6 მგ/ლ
ჟბმ5, მგ/ლ	3,63	2,15	<6 მგ/ლ
ნიტრიტული აზოტი, მგ/ლ	0,005	0,0062	0,08 მგ/ლ
ამონიუმის აზოტი, მგ/ლ	0,003	0,005	1,4
ფოსფატები, მგ/ლ	0,045	0,062	0,3

მდინარე კინტრიშის წყლის 2015 წლის აგვისტოში ჩატარებული ანალიზით, ხსნადი ჟანგბადის შემცველობა შეადგენდა 8,65 მგ/ლიტრს, ხოლო 2017 წლის მაისის თვეში კი -12,7 მგ/ლიტრს. ზედაპირულ წყლებში არ უნდა იყოს 4-6 მგ/ლ-ზე ნაკლები.

მდინარის წყლის ანალიზით დადგინდა, რომ მასში ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია 2015 წლის აგვისტოში შეადგენდა 0,003 მგ/ლ, ხოლო 2017 წლის მაისის ნიმუშში კი - 0,005. ზდკ შეადგენს 1,4 მგ/ლ. რაც შეეხება ნიტრიტების კონცენტრაციას, ასევე დაბალი იყო მისი შემცველობა ორივე საკვლევ პერიოდში და შეადგენდა: 0,005 მგ/ლ 2015 და 0,0062 მგ/ლ 2017 წელს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ზდკ-სთან (0,08) შედარებით. ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა ფოსფატების შემთხვევაშიც.

ამრიგად, მდინარის წყლის ფოსფატებით, ნიტრიტებითა და ამონიუმის აზოტით დაბინძურება შესართავიდან 200-300 მ-ის დაშორებით უმნიშვნელოა და ზდკ-ს ბევრად ჩამორჩება.

რაც შეეხება მდინარე კინტრიშის წყალში ჟანგბადის ბიოლოგიურ მოთხოვნილებას, 2015 წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული ანალიზის შედეგად ის შეადგენდა 3, 63 მგ/ლ, ხოლო 2017 წლის მაისის თვეში - 2,15 მგ/ლ, ხოლო ზდკ ზედაპირულ წყლებში შეადგენს <6.

საანალიზო წყლის სინჯებში (მდინარე კინტრიშის) 2017 წლის მაისში ჩვენ მიერ განისაზღვრა ტოქსიკური ნივთიერებების, კერძოდ ტყვიის, კადმიუმის, ნიკელის, რკინისა და დარიშხანის კონცენტრაციები (ცხრილი 2). აღმოჩნდა, რომ ტყვიის შემცველობა მცირედით ჩამორჩება ზდკ-ს (0,03) და აღწევს 0,023 მგ/ლ. რაც შეეხება კადმიუმს, მისი კონცენტრაცია საკმაოდ მაღალია და შეადგენს 0,026 მგ/ლ, ხოლო ზდკ - 0,001-ს.

ცხრილი 2

სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერების კონცენტრაცია მდინარე კინტრიშის წყალში 2017 წლის მაისი

ელემენტი	კონცენტრაცია, მგ/ლ	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ)
ტყვია (Pb)	0,023	0,03
კადმიუმი (Cd)	0,026	0,001
ნიკელი (Ni)	0,014	0,02
რკინა (Fe)	0,132	0,3
დარიშხანი (As)	0,001	0,05

ამრიგად, საკვლევ პერიოდში მდ. კინტრიშიდან აღებული წყლის ნიმუშში გამოკვლეულ არაორგანულ ტოქსიკურ ნივთიერებათაგან გამოვლინდა კადმიუმის მაღალი შემცველობა - 0, 026 მგ/ლ (ზდკ - 0,001).

დასკვნა

მდინარე კინტრიშის ეკოლოგიური რისკის ფაქტორებია საყოფაცხოვრებო დაბინძურება, გაუმართავი, და ხშირ შემთხვევაში, არარსებული საკანალიზაციო სისტემა და სოფლის მეურნეობა, რომლებიც ქმნიან საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენებით, ფეკალური მასებით, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით დაბინძურების რისკს.

მდინარე კინტრიშის წყლის ფოსფატებით, ნიტრიტებითა და ამონიუმის აზოტით დაბინძურება შესართავიდან 200-300 მ-ის დაშორებით უმნიშვნელოა და ზდკ-ს ბევრად ჩამორჩება. წყლის საცდელ ნიმუშებში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობა 2-3-ჯერ აღემატება ზდკ-ს, რაც წყლის სისუფთავეზე მიუთითებს.

მდ. კინტრიშიდან აღებული წყლის ნიმუშში გამოვლინდა კადმიუმის მაღალი შემცველობა 0, 026 მგ/ლ (ზდკ - 0,001).

ლიტერატურა:

1. გვასალია ლ., ბარამიძე ი. აჭარის ზოგიერთი მდინარის წყლის ხარისხის კომპლექსური შეფასება. საქართველოს ქიმიური ჟურნალი. 2008. ტ. 8, №1, 2006.
2. ფალავანდიშვილი შ. აჭარის ბუნება და სოფლის მეურნეობა. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2005.
3. Методы гидрохимических исследований основных биогенных элементов. ВНИРО, 1988.

Guguli Dumbadze

Batumi Shota Rustaveli State University

SOURCES OF POLLUTION AND WATER QUALITY OF THE RIVER KINTRISHI

RESUME

The research covers the information about the existing hydrochemical and ecological conditions in the Kintrishi river of the Black Sea in Georgia, and has identified the impact on Antropogenic river. According to route studies, the river water is mostly clean in the parts of the crenal and the ritral (middle of river) areas, the color is altered and transparent.

In the area of bottom of the river, there are cases of pollution with solid municipal waste and some other pollutants, which is a sign of eutrophication.

Pollution of river Kintrishi with water phosphates, nitrates and ammonium nitrogen from 200-300 m away from the outfall is insignificant and far behind of MPC.

The amount of oxygen dissolved in water samples is 2-3 times higher than the MPC, which indicates water purification. Water samples taken from Kintrishi revealed high concentration of cadmium 0, 026 mg/l (MPC - 0,001). In the area of bottom of the river, there are cases of pollution with solid municipal waste and some other pollutants, which is sign of eutrophication.

ალექსანდრე იაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მამია ტუღუში

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სპორტსმენის ემოციური მდგრადობის ფორმირება

თანამედროვე საზოგადოებაში სპორტის აღმზრდელობითი პროცესის ძირითადი მიმართულებაა სპორტსმენის შეგნებისა და ჩვევის ფორმირება საზოგადოების ზნეობის მოთხოვნათა მიხედვით. ამის საფუძველზე წყდება სპორტული მოღვაწეობის მოტივაციის სპორტულ-ეთიკური აღზრდის, „სპორტული“ ხასიათის აღზრდის პრობლემები და სხვა აღმზრდელობითი მოთხოვნები სპორტის დარგში. სპორტული მოღვაწეობა იკავებს რა მნიშვნელოვან ადგილს ადამიანის ცხოვრებაში, ხდება მისი ზნეობრივი აღზრდისა და თვითაღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

სპორტი ეხმარება ადამიანებს შეიცნოს სამყაროს სახესხვაობათა სილამაზე. გვეხმარება აგრეთვე აღმოვაჩინოთ ეს სილამაზე თვით ადამიანში. იგი ერთდროულად ცდის და აწრთობს ადამიანის თავშეკავების უნარსა და ნებისყოფას, მის შრომისმოყვარეობასა და მოთმინებას, ვაჟკაცობასა და პატიოსნებას. სპორტის ეს უძველესი თანამგზავრები ჩვენი ცხოვრების მეგზურებიც გახდნენ და ეს, იქნებ ეს არის მიზეზი, რომ ყოველ ჩვენგანს ასე ახლოს მიაქვს გულთან ყოველივე, რასაც სპორტი გვანიჭებს - სიხარული, რომელიც საბედნიეროდ ასე დიდხანს გვამახსოვრდება და წყენა, ურომლისოდ ვერც გამარჯვება იარსებებდა.

შეჯიბრების პროცესში სპორტსმენი ხვდება „კონკურენტთან“ უკომპრომისო მეტოქეობის დამოკიდებულებაში. სპორტს მოვარჯიშე შეჰყავს ფართო საკაცობრიო დამოკიდებულებათა სფეროში - საერთაშორისო სპორტული კავშირების სფეროში, სადაც ვლინდება ერისა და ქვეყნის სპორტულ-პრესტიჟული ინტერესები, რაც აძლიერებს პიროვნებაზე სპორტის მაფორმირებელ გავლენას, მაგრამ ართულებს მისი კონკრეტული ეფექტის მართვას. სპორტსმენის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება აღზრდის სოციალური სისტემის მრავალი ფაქტორისა და რგოლის ერთობლივი მოქმედების შედეგია. სპორტსმენის, როგორც პიროვნების განვითარება-ჩამოყალიბების პროცესში საპასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრა ევალება ***მწვრთნელს***. იგი უშუალოდ პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე სპორტით მეცადინეობის აღმზრდელობით მიმართულებაზე, სპორტსმენის მომზადების როგორც ყოველმხრივი აღზრდის პროცესის პედაგოგიურად გამართლებულ ორგანიზაციაზე, ასევე ამ პროცესის აღმზრდელობით ეფექტზე.

საერთოდ ემოციები, კერძოდ გუნება-განწყობილება, ზემოქმედებს და გავლენას ახდენს პიროვნების ქცევის პროდუქტიულობაზე. სახელდობრ, დადებითი გუნება-განწყობილება ხელს უწყობს მოქმედების პროდუქტიულობის ზრდასა და პირიქით, უარყოფითი ემოციები აქვეითებს ქცევის შედეგიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვიზრუნოთ, რომ შეჯიბრებაში სპორტსმენი კარგი გუნება-განწყობით ჩაერთოს.

გვაქვს თუ არა სამეცნიერო შრომები და რეკომენდაციები ემოციური მდგრადობისა და ძილის ფუნქციის შესახებ? დიახ, გვაქვს. მაგრამ იგი არ არის ცნობილი ფართო მასებისათვის, სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

პრაქტიკაში არაკეთილსასურველი ემოციური აგზნება, რიგ შემთხვევაში, შეიძლება მოვიცილოთ ფსიქოთერაპიული შთაგონებით, როცა სპორტსმენი იმყოფება ჰიპნოზურ მდგომარეობაში, ასევე - შთაგონებით იძინონ 1-დან 16 საათამდე. ამ მხრივ ყველაზე უფრო ცნობილია ***აუტოგენიური წვრთნა,*** რომელიც დაფუძნებულია ჩაგონებაზე ან თვითშთაგონებაზე, კუნთების თანამიმდევრული მოდუნებით და სუნთქვითი ვარჯიშებით. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ძილის დროს ხდება იმ იმპულსთა რაოდენობის კლება, რომელიც მოდის მოდუნებული კუნთიდან თავის ტვინში, რაც დამამშვიდებლად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (ც.ნ.ს.); შესაბამისად რამდენადმე მცირდება გულის მუშაობის რიტმიც. იქმნება ისეთი პირობები, რაც წინ უძღვის დამშვიდების დადგომას, თვლემის მდგომარეობას და ბოლოს ძილს. აუტოგენური წვრთნა ხელს უწყობს გაუბედაობის, მფრთხალობისა და შიშის აცილებას; ასევე, გვაფრთხილებს და ამცირებს დაღლას. აღნიშნული მეთოდის გამოყენების ეფექტურობა, ნევროტიკული ან ფუნქციონალური დარღვევების დროს, პირველად იქნა გამოყენებული XX საუკუნის დასაწყისში გერმანელი ფსიქიატრის ***ი. შულცის*** მიერ. მან შემოგვთავაზა მკაცრი თანამიმდევრობის დაცვით შესასრულებელი შემდეგი ვარჯიშები:

1. ვარჯიშები ტანის მუსკულატურის მოდუნებაზე, სხეულში სიმძიმის შეგრძნებით;
2. ვარჯიშები სისხლძარღვების გაფართოებაზე, თვითშთაგონების გზით და სხეულის ცალკეულ ნაწილებში სითბოს შეგრძნებით;
3. ვარჯიშები გულის მუშაობის რეგულირებისათვის;
4. ვარჯიშები სუნთქვაზე, კონტროლისათვის;
5. ვარჯიშები შინაგანი ორგანოების მუშაობის რეგულირებისათვის თვითშთაგონების გზით, მზის წნულთან სითბოს შეგრძნებით;
6. ვარჯიშები, დაკავშირებული თავის გაგრილების შეგრძნებასთან.

მაგრამ აუტოგენური წვრთნის მეთოდმა, რიგი სირთულეების გამო, ვერ შეძლო ფართო გამოყენება და გავრცელება. ამ მეთოდის ინიციატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სეანსმა შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური დარღვევები, კერძოდ - თავის ტკივილები და კუნთების კრუნჩხვითი შემოკლება. აუტოგენური წვრთნის მეთოდის გამოყენება გართულებულია არა მხოლოდ მათი გამოყენების სიფრთხილით, ასევე მათი შესწავლის ხანგრძლივობითაც კი. საზღვარგარეთელ მეცნიერ-მკვლევართა მონაცემებით პირველი ოთხი ვარჯიშის გამოყენებას სჭირდება 6–10 კვირა.

სპორტის სპეციალისტთა მიერ სპორტული ემოციები დაყოფილია ***დადებით და უარყოფით ემოციებად.*** დადებითი - ხელს უწყობს სპორტსმენის ფიზიკურ მოღვაწეობის მაღალ

დონეზე მიმდინარეობას და სპორტული უნარ-ჩვევების ოპტიმალურ გამოვლენას. ასეთ ემოციებს მიეკუთვნება: გამხნევება, სპორტული ჟინი, სპორტული სიბრაზე და სხვ. კვლევის შედეგებმა და პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ რიგი ემოციებისა არასასურველად მოქმედებენ სპორტსმენებზე. მათ განეკუთვნება, პირველ ყოვლისა, ***შიში*** წარუმატებლობისა და განცდა ასპარეზობისადმი. ფიქრი საშეჯიბრო ბრძოლის სხვადასხვა მომენტებზე იძენს აკვიატებულის ხასიათს. შიში, როგორც წესი, ყოველთვის უარყოფითი განცდაა და დაკავშირებულია ისეთი ფაქტორების არსებობასთან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს ან სერიოზულად ლახავენ მის პიროვნულ ინტერესებს. შიში უაღრესად ფართო დიაპაზონის განცდაა, მაგრამ ის მაინც ვერ ამოწურავს ემოციების მრავალფეროვან გამოვლინებას. თანაც, როგორც წესი, ის ყოველთვის უარყოფითი ხასიათის ემოციაა.

შიშის არსებობა ახალი აღმოჩენა არ არის. ადრე ის გაგებული იყო როგორც ემოციის ერთ-ერთი კონკრეტული სახე ისეთებისა, როგორიცაა: აფექტი, დარდი, ვნება და სხვ. შიშის ემოცია დიდ ყურადღებას იმსახურებს სპორტში, რადგან მისი აღმოცენება სპორტულ საქმიანობაში არასოდეს არ არის სასურველი. იგი საწვრთნელი პროცესის ნორმალურად ჩატარებასაც უშლის ხელს და შეჯიბრების დროს - წარმატების მიღწევასაც. სტრესი შიშის წინმსწრები განცდაა.

მკვეთრად გამოხატული აგზნებულობა, შეჯიბრზე გამოსვლის დროის მოახლოებასთან ერთად, სპორტულ პრაქტიკაში იწოდება ***„წინასასტარტო ციებ-ცხელებად“.*** ჩვენი მრავალწლიანი სამწვრთნელო მუშაობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის წამყვან სპორტსმენთა გარკვეულ ნაწილს სტარტზე (თამაშის დაწყების წინ) აღენიშნებოდათ „წინასტარტული ციებ-ცხელება“, უგუნებობა, შიშის შეგრძნება, შემაკავებელი (დამამუხრუჭებელი) რეაქცია, დაძაბულობა, გამღიზიანებელზე საჭირო უნარების დაქვეითება. ამასთან, შეინიშნებოდა სახის გაფერმკრთალება. სპორტსმენთა გარკვეული ნაწილი განიცდიდა საბრძოლო მზადყოფნის ხელშემწყობ სასიამოვნო ემოციებს.

სასტარტო სტრესული მდგომარეობა სხვადასხვა სპორტსმენთან სხვადასხვაა, ასევე იგი განსხვავებულია სპორტის სახეობების მიხედვითაც კი. ზოგს ფსიქიკური დაძაბულობა აღმოუცენდება მაშინვე, როგორც კი გაიგებს, რომ უნდა მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრში, ზოგს კი უფრო გვიან. არიან სპორტსმენები, რომლებსაც იგი მხოლოდ შეჯიბრებაში გასვლის წინ აღენიშნებათ. ყოველ შემთხვევაში სასტარტო ემოციური მდგომარეობა ყველა სპორტსმენს გააჩნია, ცხადია განსხვავებული სახით.

რიგ შემთხვევაში სპორტსმენის მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს დადებითი ემოციებიც კი. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს საქართველოს ნაკრებ გუნდებთან (ხელბურთი, კალათბურთი, რაგბი, მძლეოსნობა და სხვ.) მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება და ხელთარსებული მონაცემები (ძილის რეჟიმის დარღვევები წარმატებული სპორტული ასპარეზობის შემთხვევაშიც კი). ამიტომაა, რომ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობისას ემოციურ მდგომარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ერთი შეჯიბრების დროსაც კი სპორტსმენის მდგომარეობა განიცდის გარკვეულ ცვლილებებს; საერთო აღმაფრენა შეიძლება გადაიზარდოს გადაჭარბებულ აგზნებულობაში ან პირიქით - აპათიაში, რასაც შეიძლება მოჰყვეს ასპარეზობისადმი ინტერესის დაკარგვა. სპორტში რიგმა განსაკუთრებით ტიპიურმა საპასუხისმგებლო შეჯიბრებებმა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სპორტსმენი მასში მოხვდება, შეიძლება გამოიწვიოს მაღალი ფსიქიკური დაძაბულობის მდგომარეობა, რომელიც წააგავს ემოციურ ანუ ***ფსიქიკურ სტრესს.*** ძალიან დიდია სტრესის როლი სპორტსმენის ქცევაში. მას შეუძლია ხელი შეუწყოს სპორტსმენს როგორც წვრთნის, ისე შეჯიბრების დროს, როცა ის ზომიერი ინტენსივობისაა, მაგრამ შეუძლია მოახდინოს მისი ქცევის დეზორგანიზაცია და მარცხი გამოიწვიოს, როცა ის მეტისმეტად გაძლიერდება. ყოველგვარ უარყოფით ემოციაზე, როგორც დამსახურებული ექიმი ს. აირაპეტოვი წერდა [1, გვ. 36], ორგანიზმი სისხლში გამოყოფს ჰორმონებს, მათ შორის ადრენალინს, რაც სისხლძარღვებს ავიწროებს, იწვევს სისხლის წნევის აწევას, ენერგეტიკული პროცესების აქტივიზაციას.

თუ ემოციები ძალზე ძლიერია, მაშინ შესაძლებელია დამცველმა საშუალებებმა ვეღარ უშველონ და ორგანიზმი რეაქციის ალში „ჩაიფერფლება“. ძლიერი, შემარყეველი განცდით რომ ორგანიზმი „შიგნიდან არ აფეთქდეს“, უნდა ვეცადოთ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს „დავწვათ“, დავხარჯოთ ზედმეტი ჰორმონები, ე. ი. განვმუხტოთ, განვტვირთოთ ემოციები.

თუ სტრესმა სპორტსმენში გამოიწვია ძალიან ძლიერი ემოციური და ფიზიკური დაძაბულობა, მაშინ თავს იჩენს ფუნქციური რეზერვების გადანაწილების ფენომენი, რისი გამოხატულებაცაა ისეთი ფიზიოლოგიური ცვლილები, როგორიცაა: გულის შეკუმშვასა და სუნთქვას შორის კორელაციის მკვეთრი დარღვევა, სუნთქვის ციკლის რიტმიკისა და სტრუქტურის მკვეთრი და ხანგრძლივი მოშლა, ჰიპერტონული ან ჰიპოტონური რეაქცია, ხანგრძლივი და ძლიერი ოფლიანობა, განსაკუთრებით კისრის არეში, საფეთქელზე და ბეჭებს შორის, ნაწლავების პერესტალტიკის ხანგრძლივი გაძლიერება და კიდევ მრავალი სხვა სახის ცვლილება.

არ იქნებოდა გამართლებული სტრესში მხოლოდ უარყოფითი ფაქტორი დაგვენახა. ის სასარგებლოცაა, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როცა ის არ არის მეტისმეტად ძლიერი. ძლიერი სტრესისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარის გამომუშავება ნამდვილად სჭირდება. სტრესი შემთხვევით არ ჩნდება. მას გამომწვევი მიზეზები გააჩნია და ***სტრესორებს*** ეძახიან. მათ ყოფენ ობიექტურ (გარეგან) და სუბიექტურ (შინაგან) სტრესორებად. სუბიექტური სტრესორებს შეუძლია ძლიერი ემოციური დაძაბულობის გამოწვევა. სტრესის ინტენსივობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია სტრესორების, როგორც მოსალოდნელი საფრთხის შეფასებასა და სუბიექტის მოტივაციის სიძლიერეს შორის მიმართებასთან.

სტრესის გამომწვევ ობიექტურ ფაქტორებს წარმოადგენენ შეჯიბრების პირობებსა და მოსალოდნელ ცვლილებებში გაურკვევლობა, მოწინააღმდეგის სპორტული ფორმის შესახებ ინფორმაციის უქონლობა, ეჭვი არაობიექტური მსაჯობის შესაძლებლობის შესახებ და სხვა. ყველა ობიექტური სტრესორის წინასწარ გათვლა შეუძლებელია. შეჯიბრების პროცესში შეიძლება აღმოცენდეს სრულიად გაუთვალისწინებელი სტრესორი; მაგალითად, ოჯახში მომხდარი უსიამოვნება, კონფლიქტი თანაგუნდელებთან ან მსაჯთან და ა.შ.

სათანადო წვრთნით, მაღალი მოტივაციით (რაც ნებისყოფის საფუძველია) სპორტსმენს შეუძლია სძლიოს საკუთარ ემოციებს და აღკვეთოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს მათი უარყოფითი მოქმედება. ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ადამიანმა „საკუთარ თავს სძლიაო“. სპორტულ ქცევაში, როგორც პროდუქტიულ საქმიანობაში, ემოციური დაძაბვა სტრესული განცდის სახით რიგ შემთხვევაში სასარგებლოა. პირობითად - წვრთნის დროს აღმოცენებულ დაძაბვას, როგორც აკად. მ. ყოლბაია აღნიშნავდა [7, 105] შეიძლება ***პროცესუალური*** ვუწოდოთ, ხოლო შეჯიბრებისეულს - ***რეზულტატური***. განსხვავებულია მათი გამოვლენის ხასიათიც.

ბევრ გამოჩენილ სპორტსმენს შესწევს ძალა დაძლიოს ფსიქოლოგიური ბარიერი, შეინარჩუნოს სიმშვიდე და განაწყოს საკუთარი თავი მაღალი სპორტული შედეგის მისაღწევად. მათთვის დამახასიათებელია ემოციური მდგრადობა. სპორტულ ბრძოლაში ისინი ავლენენ უდიდეს ნებისყოფას, აჩვენებენ ამოუწურავ სულიერ და ფიზიკურ ძალებს. მათთვის ასპარეზობაში მონაწილეობა დიდი ზეიმია.

ზოგიერთ სპორტსმენს არახელსაყრელი ემოციური მდგომარეობა ექმნება პერიოდულად, ზოგს კი - ყოველი ასპარეზობის დროს. ამ უკანასკნელებთან უარყოფითი ემოციური ზემოქმედება ჯამდება და რიგ შემთხვევაში მივყავართ მკვეთრ, არასასურველ ცვლილებებთან ცენტრალურ ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემებში. ყოველივე ეს იწვევს სპორტსმენის ჯანმრთელობის გაუარესებას. ამ ანომალიებს ემატება შინაგანი შფოთვა და უსიამოვნების აკვიატებული მოლოდინი.

შეინიშნება ისიც, რომ სპორტსმენს ყოველთვის არ ძალუძს შეჯიბრებაზე გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი. რიგ შემთხვევაში „მოულოდნელად“ აღმოჩნდება, რომ სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებზე შემუშავებული მოძრაობითი უნარ-ჩვევები საშეჯიბრო პროცესის დროს უეცრად იკარგება. ასეთ დროს (შეჯიბრების დაწყების წინ) სპორტსმენს უჩნდება დაურწმუნებლობა საკუთარ ძალებში, აკვიატებული ფიქრები მომავალი ბრძოლებისადმი, უძილობა, უმადობა და სხვ.

ემოციური მდგომარეობის შესწავლისას მკვლევარებმა ყურადღება გაამახვილეს შეჯიბრების შემდეგ სპორტსმენის განცდებზე. შესამჩნევი იყო ის, რომ იმ დროისათვის რიგ სპორტსმენს დარღვეული ჰქონდა ძილის რეჟიმი და შეცვლილი ჰქონდათ ხასიათი. პირობითად ამას შეიძლება ვუწოდოთ ***ფინიშისშემდგომი ემოციური*** მდგომარეობა. იგი სპორტსმენს შეჯიბრების შემდეგ შიძლება შემორჩეს ხანგრძლივი დროითაც კი. ყოველივე ეს ბუნებრივია, რადგან თავის ტვინში შთაბეჭდილების სახით დარჩა ანაბეჭდები, ე.ი. კვალი ცოტა ხნის წინ ჩატარებული სპორტული ბრძოლებისა. იმას, ვისაც უნდა აღიდგინოს თავისი ძალები, პირველ ყოვლისა უნდა გათავისუფლდეს სტრესული მდგომარეობისაგან (ყურადღების სხვა საქმეზე გადატანა, ჩათვლემა და სხვ.). მაგალითად, მსოფლიოს ხუთგზის და ო.თ. ორგზის გამარჯვებულის ლ. თედიაშვილისათვის ხალიჩაზე დაძაბული ბრძოლების შემდეგ განტვირთვის კარგ საშუალებად სოფელში შრომითი საქმიანობა და ოჯახურ ატმოსფეროში ყოფნა იყო. სხვა შემთხვევაში საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრი ასე აღწერდა შეჯიბრებისშემდგომ თავის ემოციურ მდგომარეობას: „სტარტის წინ არ ვნერვიულობდი. წინასწარ დავისახე პირადი შედეგის გაუმჯობესება, რაც ვერ შევძელი. შეჯიბრების შემდეგ ძალიან ვარ აგზნებული. ძილი მომდის დაწოლიდან 1 – 1.5 სთ-ის შემდეგ. ღამით ხშირად ვიღვიძებ.“

ასპარეზობის დროს ნაჩვენებ შედეგებზე მოქმედებს დღის განრიგის შეცვლა; ასევე, ძილის რეჟიმის დარღვევა და კლიმატური პირობები: გასავათებული სიცხე, ჰაერის მაღალი ტენიანობა (დაბალი ხილვადობა, ქარი, წვიმა, თოვლი და ა. შ.). განსაკუთრებით ძლიერი ემოციური დაძაბულობა და ამაღლებული აგზნებულობა აღენიშნებათ სპორტსმენთა უმეტესობას საშუალო მთიანეთში შეჯიბრების ჩატარებისას. ცხადია, რომ ყველას ორგანიზმი სწრაფად ვერ ახდენს აკლიმატიზირებას. პირველ ყოვლისა

ეს ეხება სტაიერულ ან მარათონულ მანძილებზე მორბენლებს, რომლებიც განიცდიან სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. უფრო ხშირად მათ, ვიდრე სხვებს, უფიქსირდებათ მთის ავადმყოფობის შემთხვევები. ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთვის შედეგად სპორტსმენები განიცდიან დაღლილობას, საერთო სისუსტეს, მოდუნებულობას, დათრგუნულ განწყობილებას, თავის ტკივილს და უძილობას.

ემოციური აგზნებულობა, აღმოცენებული შეჯიბრებაში მონაწილეობის დროს, წარმოადგენს ორგანიზმის შეგუებით რეაქციას, რაც თან სდევს ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფუნქციების აქტივიზაციას. ემოციის დროს მკვეთრად აღიგზნება სიმპატიკური ნერვული სისტემა, რაც ხელს უწყობს სისხლში ადრენალინისა და სხვა მაღალაქტიური ჰორმონების რაოდენობის წამიერად მომატებას. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად ზრდის სისხლის წნევას, აჩქარებს გულისცემას და მკვეთრად ამაღლებს მის მუშაობას, ხდება ჩონჩხის კუნთების სტიმულირება, ჟანგბადის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ფართოვდება ბრონქები, ძლიერდება გაზთა ცვლა და ორგანიზმში მიმდინარე ენერგეტიკული პროცესები.

ისღა დაგვრჩენია ყველა სპორტსმენს მხოლოდ ვუსურვოთ: 1. ვაჟკაცობა - შეცვალოს ის, რისი შეცვლაც შეიძლება; 2. თავმდაბლობა და მორჩილება - მიიღოს ის ისე, როგორც არის და რისი შეცვლაც შეუძლებელია; 3. გონიერება,-რომ განასხვავოს ერთი მეორისაგან.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- სათანადო წვრთნით, მაღალი მოტივაციით, რაც ნებისყოფის საფუძველია, სპორტსმენს შეუძლია სძლიოს საკუთარ ემოციებს და აღკვეთოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს მათი უარყოფითი მოქმედება;
- ფსიქიკური დაძაბვა თავს იჩენს როგორც წვრთნის, ისე შეჯიბრების დროს;
- ხშირად ძლიერი ემოციები უშლის ხელს სპორტსმენს შეჯიბრების დროს მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში;
- ემოციას, თუ ის საშუალო ინტენსივობისაა, შეუძლია სარგებლობა მოუტანოს სპორტსმენს, ხელი შეუწყოს წარმატებით ასპარეზობაში;
- თუ სტრესის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაშინ ასეთი მცდელობა არცაა საჭირო;
- შიში დიდი ინტენსივობის ემოციაა და იგი სპორტში ყოველთვის ქცევის შემაფერხებლად მოქმედებს;
- არ იქნებოდა გამართლებული სტრესში მხოლოდ უარყოფითი ფაქტორი დაგვენახა. ის სასარგებლოცაა, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როცა ის არ არის მეტისმეტად ძლიერი;
- ემოციური აგზნებულობა, აღმოცენებული შეჯიბრებაში მონაწილეობის დროს, წარმოადგენს ორგანიზმის შეგუებით რეაქციას, რაც თან სდევს ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფუნქციების აქტივიზაციას;
- ბევრ გამოჩენილ სპორტსმენს შესწევს ძალა დაძლიოს ფსიქოლოგიური ბარიერი, შეინარჩუნოს სიმშვიდე და განაწყოს საკუთარი თავი მაღალი სპორტული შედეგის მისაღწევად. მათთვის დამახასიათებელია ემოციური მდგრადობა;
- ზოგიერთ სპორტსმენს არახელსაყრელი ემოციური მდგომარეობა ექმნება პერიოდულად, ზოგს კი - ყოველი ასპარეზობის დროს. ამ უკანასკნელებთან უარყოფითი ემოციური ზემოქმედება ჯამდება და რიგ შემთხვევაში მივყავართ მკვეთრ, არასასურველ ცვლილებებთან ცენტრალურ ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემებში.

ლიტერატურა:

1. მატვეევი ლ. - სპორტული წვრთნის საფუძვლები, თბილისი, 1987.
2. ნორაკიძე ვლ. - ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1989.
3. ყოლბაია მ. - სპორტის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003.
4. დვალი გ. - სპორტის ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბილისი, 2006.
5. სპორტის თეორია, რედაქტორი გ. კახიძე, თბილისი, 2007.
6. Гришин В.В., Лушин П.В. – Методики психодягностики в учебно-воспитательном процессе, Москва, 1990.
7. www.msy.gov.ge

Aleksandre Iashvili
Gori State Teaching University
Mamia Tughushi
Georgian State Teaching University of Physical Education and sport

FORMATION OF A SPORTMAN`S EMOTIONAL STABILITY

RESUME

In our article we discuss sportsmen's emotional development, as one of the most important feature in highly qualified sportsman. In order to achieve this goal trainers use different methods, forms and approaches for a long period of time.

The conclusion of the article contains some recommendations how to form emotional sustainability in sportsmen and we believe that these recommendations will be useful for trainers in their training process.

ნინო ლომთათიძე, ნათია ღაჭავა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასმელი წყლის ეკოლოგიური მდგომარეობა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე

სასმელი წყლის პრობლემა წყლით მდიდარ საქართველოშიც საკმაოდ აქტუალურია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასმელი წყლის სანიტარიულ–ჰიგიენური პირობების დაცვა, რაც ათასწლეულის განვითარების გეგმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. წარმოდგენილ ნაშრომში ჩატარებული კვლევა ეხება სასმელი წყლის ხარისხის შესწავლას ბათუმის ტერიტორიაზე და მის გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

კვლევის მიზანს შეადგენდა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე სასმელი წყლის ქიმიური შედგენილობის შესწავლა და სასმელად უვარგისი დაბინძურებული წყლის გამოვლენა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანების შესრულება: სასმელი წყლის ნიმუშების შეგროვება ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, წყლის ნიმუშებში შემდეგი კომპონენტების განსაზღვრა - სიმღვრივე, pH – მჟავიანობა, ქლორიდები, ამიაკი და ამონიუმის იონი, ნიტრატები და პერმანგანატული ჟანგვადობა, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები.

სასმელი წყალი შეუცვლელი რესურსია, ის უნდა იყოს უსაფრთხო და უვნებელი. ადამიანი იმ კონკრეტულ წყალს მოიხმარს, რომელიც მას მიეწოდება, ქალაქად ცენტრალიზებული წყალმომარაგების სახით, სოფლად კი - რომელიმე კონკრეტული წყაროს ან ჭის წყლის სახით, ანუ ადამიანი იმ წყალს მოიხმარს, რომელიც მის გარშემოა და მას ვერაფრით ცვლის.

წყალს მთელი რიგი მახასიათებლები გააჩნია, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედებენ, ისინი რამდენიმე ჯგუფად არის დაყოფილი, ეს არის: ორგანოლეპტიკური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები. ორგანოლეპტიკურია ის მახასიათებლები, რომლებსაც ადამიანი გრძნობათა ორგანოების მეშვეობით აღიქვამს – წყლის ფერი, სუნი, გემო, ტემპერატურა, სიმღვრივე, გამჭვირვალობა. აღნიშნული მაჩვენებლები, პირველ რიგში, გვამცნობენ თუ რამდენად სანდოა, მოხმარების თვალსაზრისით, ესა თუ ის წყალი, ხომ არ განიცადა მან გარკვეული ცვლილებანი და სხვა. ამ მახასიათებლების შეცვლამ შესაძლოა წყალმომარაგების წყარო საერთოდ გამოუსადეგარიც კი გახადოს. წყლის ქიმიური მაჩვენებლები, თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად იყოფა [1].

I ჯგუფი - შედის ის ქიმიური ნივთიერებანი, რომლებიც ბუნებრივად ხვდებიან წყალში. იგი უნივერსალური გამხსნელია და მასში შესაძლოა იყოს რკინა, იოდი, თუთია და მენდელეევის სისტემის ნებისმიერი ქიმიური ელემენტი. კონკრეტული წყალმომარაგების წყაროს ფორმირებისას, ნიადაგის გარკვეულ ფენებში გავლისას იგი სხვადასხვა ელემენტთა შემცველი ხდება, ეს მიკრო და მაკროელემენტების საკმაოდ ფართო სპექტრია, რომელსაც წყალი ბუნებრივად შეიცავს.

II ჯგუფს შეადგენს ის ელემენტები, რომლებიც წყალში ადამიანის საქმიანობის შედეგად ხვდებიან, ეს ე.წ. ანთროპოგენური დამაბინძურებლები: ფაბრიკებისა და ქარხნების ჩამდინარე წყალი, მძიმე

მეტალები, პესტიციდები, სასუქები, ინსექტიციდები, სარეცხი საშუალებები, ფხვნილები, სადეზინფექციო საშუალებები და სხვა.

III ჯგუფი – ხარისხის გასაუმჯობესებლად წყლის დამუშავებისას ხელოვნურად დამატებული რეაგენტები, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაუსნებოვნების მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს ქლორი, ოზონი და სხვადასხვა ნივთიერება, მათ შორის პოლიმერები. ყველა მათგანი წყალს ემატება ადამიანისთვის უსაფრთხო კონცენტრაციით. წყალი შესაძლოა შეიცავდეს წყლისმიერი ინფექციური დაავადებების გამომწვევ სხვადასხვა სახის ვირუსს, მიკრობსა და ბაქტერიას.

ცნობილია, რომ წყლის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო ქიმიური ნივთიერებებით მომარაგება. სწორედ ამიტომ საკმაოდ დიდია წყალში მათი როლი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემებით, დღეს არაინფექციურ დაავადებათა 70% წყალში სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებათა არასწორი თანაფარდობითაა გამოწვეული, რასაც სამწუხაროდ ყურადღება არ ექცევა [2,3].

აქედან გამომდინარე, აქტუალურია წარმოდგენილ შრომაში ჩატარებული კვლევა, რომელიც ეხება სასმელი წყალში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლების შესწავლას აჭარის არ ტერიტორიაზე და სასმელად უვარგისი დაბინძურებული წყლის გამოვლენას, რაც ხელს შეუწყობს დაავადებების თავიდან აცილებას და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ სტრატეგიული ვალდებულება აიღო, გადაწყვიტოს უსაფრთხო წყალთან და სანიტარიულ–ჰიგიენურ პირობებთან დაკავშირებული პრობლემები სოფლად და ქალაქში. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა წყალმომარაგებისა და სანიტარიის განვითარების გეგმა, რომლის მიზანია 2020 წლისათვის საქართველოს მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა უწყვეტი და უსაფრთხო წყალმომარაგებითა და სანიტარიული მომსახურებით.

საქართველოს მთავრობამ და საერთაშორისო დონორებმა მნიშვნელოვანი ინვენსტიციები გაიღეს, რომელთა ძირითად მიზანს ქალაქში და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში უსაფრთხო წყლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. ამჟამად მიმდინარეობს მრავალი სარეაბილიტაციო პროექტი, მათ შორის წყალმომარაგებისა და სანიაღვრე ქსელების სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.

2009 წელს სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიაღვრე წყლების სამსახურმა, წყლის პარტნიორობის პროგრამის ექსპერტთა დახმარების ჯგუფმა, დაადგინა, რომ სანიტარიული პირობები სოფლად უგულებელყოფილია და რომ საქართველოში კარგად არ იცნობენ მრავალ სანიტარიულ ტექნოლოგიას. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგია, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციაზე და სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია განსაზღვრავს პოლიტიკურ მიმართულებებს წყალმომარაგებისა და სანიტარიის სექტორში, ხოლო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ინვესტიციების ხელშეწყობასა და დაქვემდებარებული უწყებების მართვაზე. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა წყალმომარაგებისა და სანიტარიის განვითარების გეგმა, რომლის მიზანია 2020 წლისათვის საქართველოს მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა უწყვეტი და უსაფრთხო წყალმომარაგებითა და სანიტარიული მომსახურებით [4].

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე სასმელი წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა. კერძოდ, წყალში ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაციის შესწავლა, სასმელად უვარგისი დაბინძურებული წყლის გამოვლენა.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა სასმელი წყლის ნიმუშებში ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები. კერძოდ, ქიმიური მაჩვენებლებიდან - სიმღვრივე, pH, ქლორიდები, ამიაკი და ამონიუმის იონი, ნიტრატები და პერმანგანატული ჟანგვადობა. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლებიდან: მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები, პათოგენური მიკროორგანიზმები მ.შ. სალმონელა, ფეკალური მასა St. Faecalis, E. Coli და საერთო კოლიფორმები.

სასმელი წყლის ქიმიური მაჩვენებლების კვლევისას გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები: სიმღვრივე განისაზღვრა ფოტოკოლორიმეტრიული მეთოდით სტანდარტებით აგებული გრაფიკის გამოყენებით, pH - პეაშმეტრით, პერმანგანატული ჟანგვადობა - ტიტრაციით; ნიტრატების მასური კონცენტრაცია დადგინდა სტანდარტული წერტილების და ფეკის ჩვენებების დამოკიდებულების გრაფიკთან შედარებით, ამიაკი და ამონიუმის იონები და ქლორიდები - ფოტოკოლორიმეტრული მეთოდით.

მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო ISO 19250-2013. აღნიშნული მეთოდის მიხედვით ხდებოდა საკვლევი წყლის განსაზღვრული რაოდენობის წინასწარი არასელექტიურ (გამდიდრების გარეშე დანამატების გარეშე) და სელექტიურ თხევად გარემოში გამდიდრება. შემდეგ სელექტიურ აგარზე მიღებული კოლონიების იდენტიფიკაცია ბიოქიმიური და სეროლოგიური - ანტიგენ ანტისხეულების კავშირი (საბოლოო სახით აღმოჩენა კულტურის) თვისებების მიხედვით.

მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატური ანაერობების განსაზღვრისას წინასწარ ვამზადებდით წყლის სინჯებს საანალიზოდ, თითოეული სინჯიდან ვიღებდით თითო მლ და ვთესავდით ორ ფინჯანზე, ზემოდან ვასხამდით 2 მმ სისქის საკვებ აგარს, გამყარების შემდეგ ვათავსებდით თერმოსტატში 370^0 C-ზე 44 სთ განამვლობაში. პარალელურად ვთესავდით წყალს ორ ფინჯანზე თითო მლ-ის რაოდენობით და ვათავსებდით თერმოსტატში 220^0 C-ზე 68 სთ. ინკუბაციის შემდეგ ვახდენდით კოლონიების დათვლას თითოეული ფინჯანიდან და გამოგვყავდა საშუალო არითმეტიკული (დათვლას ექვემდებარებოდა ფინჯანი, რომელზეც გაიზარდა 30-300 კოლონია).

პათოგენური მიკროორგანიზმების, მათ შორის სალმონელას, განსაზღვრას ვახდენდით - ISO-6340 10მლ გამოსაკვლევ წყალს ვუმატებდით 10 მლ ორმაგი კონცენტრაციის ბუფერულ პეპტონიან წყალს, ინკუბაცია 370^0 C 16-20 სთ.

ფეკალური მასის St. Faecalis - განსაზღვრისათვის ვიყენებდით ფილტრაციის მეთოდს. საანალიზოდ წინასწარ ვამზადებდით ფილტრაციის აპარატს (ძაბრებს), მაგიდას ვამუშავებდით სპირტიანი ტამპონით. შემდეგ ფილტრაციის აპარატის მაგიდაზე ვათავსებდით სტერილურ მემბრანულ ფილტრს და დამჭერით ვამაგრებდით. ძაბრში ვასხამდით გამოსაკვლევი წყლის განსაზღვრულ მოცულობას (250 მლ) და ვუქმნიდით ვაკუუმს. ფილტრაციის დასრულების შემდეგ ფილტრი ნელი მოძრაობით გადაგვქონდა საკვებ ნიადაგზე ისე, რომ არ წარმოქმნილიყო ჰაერის ბუშტუკები საკვებ ნიადაგსა და ფილტრს შორის. ინკუბაცია 370^0 C-ზე 44 სთ.

საერთო კოლიფორმების განსაზღვრისას წყლის სინჯიდან ვიღებდით სამ ულუფას თითო 100 მლ რაოდენობით და ვასხამდით ფლაკონებში, სადაც მოთავსებული იყო მაკ-კონკის ბულიონი 10-10 მლ რაოდენობით (ორგმაგი კონცენტრაციის). ინკუბაცია ხორციელდებოდა 24-48 სთ 370^0 C -ის პირობებში, ფლაკონების პირველად შემოწმებას ვახდენდით ინკუბაციის დაწყებიდან 24 სთ-ის შემდეგ. E. Coli-ის განსაზღვრას ვახდენდით საერთო კოლიფორმების განსაზღვრის მეთოდიკის მიხედვით.

ბათუმის ტერიტორიაზე სასმელი წყალი, როგორც „ბათუმის წყლის“ ლაბორატორიაში გვაცნობეს, ქლორით იწმინდება. რაც შეეხება ნარჩენ ქლორს, ბათუმში აღებულ სინჯებში ის არ აღმოჩნდა. სააგენტომ გასულ წელს „ბათუმის წყალი“-ს 36 ნიმუში შეამოწმა. თუმცა, ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ჟანგვადობის ნორმის დარღვევა, რაც პირდაპირ კავშირშია ნარჩენ ქლორთან.

ჩვენ მიერ აღებულ იქნა სასმელი წყლის 5 ნიმუში ბათუმის სხვადასხვა ქუჩიდან. აჭარის არ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიული კვლევების ცენტრში განსაზღვრულ იქნა სასმელი წყლის შემდეგი მაჩვენებლები: სიმღვრივე, pH, ქლორიდები, ამიაკი და ამონიუმის იონები, ნიტრატები და პერმანგანატული ჟანგვადობა. მიღებული შედეგები წარმოდგენილია პირველ ცხრილში, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სასმელი წყლის სიმღვრივე მერყეობს 0,8-3,2 მგ/ლ; pH - 6,83-7,60მგ/ლ, ქლორიდები - 7,74-14,70 მგ/ლ, ამიაკი და ამონიუმის იონები - 0-0,1 მგ/ლ, ნიტრატები - 0,5-1,7 მგ/ლ-ს, ხოლო პერმანგანატული ჟანგვადობა ცვალებადობს 0,47- 1,06 მგ/ლ-ს ფარგლებში.

ცხრილი 1

სასმელი წყლის ნიმუშებში ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები

№	გამოსაკვლევი მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი	ნიმუში №01	ნიმუში №02	ნიმუში №03	ნიმუში №04	ნიმუში №05
1	სიმღვრივე	მგ/ლ	ისო 7027	0,8	3,2	0,8	1,0	0,8
2	pH		ისო 10523	6,83	7,60	7,26	7,35	7,55
3	ქლორიდები	მგ/ლ	ისო 9297	11,76	8,82	14,70	7,74	12,71
4	ამიაკი და ამონიუმის იონები	მგ/ლ	გოსტ 4192	0,1	-	0,1	-	-
5	ნიტრატები	მგ/ლ	გოსტ 18826	0,5	0,6	1,7	0,5	0,5
6	პერმანგანატული ჟანგვადობა	მგ/ლ	გოსტ 55684-13	0,47	1,06	0,59	0,55	0,49

ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრისას გამოყენებული იყო შემდეგი დოკუმენტაცია:
სიმღვრივე - ისო 7027
pH – ისო 10523
ქლორიდები - ისო 9297
ამიაკი და ამონიუმის იონები - გოსტ 4192
ნიტრატები - გოსტ 18826
პერმანგანატული ჟანგვადობა - გოსტ რ 55684-13

მეორე ცხრილში მოცემულია სასმელი წყლის ნიმუშებში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები, საიდანაც ჩანს, რომ №02 და №04 ნიმუშში, აღმოჩენილი იქნა მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები და E. Coli, ხოლო დანარჩენი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები არ აღმოჩენილა.

ცხრილი 2

სასმელი წყლის ნიმუშებში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები

№	გამოსაკვლევი მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი	ნიმუში №01	ნიმუში №02	ნიმუში №03	ნიმუში №04	ნიმუში №05
1	მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები	მლ	ისო 6222	არ აღმოჩნდა	აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
2	პათოგენური მიკროორგანზმ.სალმონელა	მლ	ისო 6340	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
3	ფეკალური მასა St. faecalis	მლ	ისო 7899	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
4	E. coli	მლ	მ.მ. 4.2.1888-04	არ აღმოჩნდა	აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
5	საერთო კოლიფორმები	მლ	ისო 9308	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა

გავეცანით აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემებს, რომლის მიხედვით 2016 წელს ბათუმში სულ აღირიცხა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეას 5273 შემთხვევა, აქედან 0-14 წლამდე ასაკის იყო - 3335. 2017 წელს ბათუმში დაფიქსირდა 2419 შემთხვევა, მათგან 0-14 წლამდე ასაკის - 1551 (ცხრილი 3).

ცხრილი 3

სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა აჭარაში 2016-2017 წ.წ.

	2016		2017	
	0-14 წლის	სულ	0-14 წლის	სულ
ბათუმი	3335	5273	1551	2419

მესამე ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით 2016 წელს ბათუმში მოწამვლის 5273 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2017 წელს მოწამვლის შემთხვევათა რაოდენობა შემცირდა - 2419-მდე [5], მაგრამ უცნობია იყო თუ არა სასმელი წყლის დაბინძურებით გამოწვეული მოწამვლის შემთხვევები, რადგან დღემდე არ ხორციელდება სასმელი წყლის დაბინძურებით გამოწვეული მოწამვლის შემთხვევების შესწავლა და ძნელია იმის გარკვევა, რა იყო ინფექციური წარმოშობის დიარეას გამომწვევი მიზეზი, სასმელი წყლით მოწამვლა თუ კვებითი ინტოქსიკაცია.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება: სასმელი წყლის ნიმუშებში განსაზღვრული ქიმიური მაჩვენებლები: სიმღვრივე, pH, ქლორიდები, ამიაკი და ამონიუმის იონები, ნიტრატები და პერმანგანატული ჟანგვადობა ნორმატივების ფარგლებში აღმოჩნდა. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლებიდან სასმელ წყალში განსაზღვრული მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმების, პათოგენური მიკროორგანიზმების, მათ შორის სალმონელას, ფეკალური მასის St. Faecalis, E. Coli, საერთო კოლიფორმების ორ ნიმუშში - №02 და №04 აღმოჩენილი იქნა მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები და E. Coli. აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შეიმჩნევა ნაწლავური აშლილობის შემთხვევების კლება, რაც ასევე მიუთითებს ქ. ბათუმის ტერიტორიაზე სასმელი წყლის ვარგისიანობის შესახებ.

ლიტერატურა:

1. სასმელი წყალი. ჰიგიენური მოთხოვნები სასმელი წყალმომარაგების ცენტრალური სისტემების წყლის ხარისხისადმი. ხარისხის კონტროლი. 2.1.4.001-01.// საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, III, π90, 2001.
2. მელიქაძე გ. საქართველოს ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი და სივრცულ-დროითი მოდელირება ეკოლოგიური და სეისმური პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006.
3. მოსახლეობის წყალმოხმარების ადგილებში ზღვის სანაპირო წყლის დაცვა დაბინძურებისაგან. 2.1.5.002-01.// საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, III, π90, 2001.
4. საქართველოს გარემოს ჰიგიენის სამოქმედო ეროვნული გეგმა - გარემო და ჯანმრთელობა. თბილისი, 2003.
5. აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ანგარიში აჭარის არ ინფექციურ დაავადებათა ავადობის შესახებ 2016-2017 წ.წ.

Nino Lomtatidze, Natia Ghachava

Batumu Shota Rustaveli State University

ECOLOGICAL CONDITION OF THE DRINKING WATER ON THE TERRITORY OF BATUMI CITY

RESUME

Even for the country rich in water resources the drinking water problems are still urgent. It is especially important to protect sanitary-hygiene conditions of the drinking water which is one of the essential components of the millennium development. The research below concerns the study of drinking water quality on Batumi territory and its impact on human health. The aim of the research was to study the chemical consistency of the drinking water in Batumi City and determine the polluted waters worthless for drinking. In order to achieve this goal we set the following objectives: collecting the drinking water samples in Batumi; determining the following components in the drinking water: turbidity, pH – acid, chlorides, ammonia and ammonium ion, nitrates and permanganate oxide level, microbiological index. From the research held it has been determined that the chemical indexes in drinking water samples were within the normative boundaries; in two out of the microbiological indexes (#2 and #4) mesophilic-aerobic and facultative-anaerobic microorganisms as well as E. Coli have been discovered.

ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფიზიკური აღზრდა და სპორტი შუა საუკუნეების საქართველოში

(შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ფიზიკური კულტურა და სპორტი დღითიდღე მეტ ყურადღებას იპყრობს, როგორც ადამიანის აღზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. სულ უფრო შესამჩნევი ხდება მისი როლი პიროვნების სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ესთეტიკურ, ბიოლოგიურ და სხვა კომპონენტების ფორმირებაში. სპორტმა შეიძინა ისეთი სოციალური მნიშვნელობა, როგორიც არ ჰქონია დღემდე. ადამიანის გარეგნული ასპექტები: სხეულის ჰარმონიული მოხდენილობა, მოზომილი და სრულყოფილი უბრალოება, ძალდაუტანებელი და მაღალტექნიკური მოძრაობები, მათი შესრულების სიმსუბუქე და სისწრაფე, სხეულის პლასტიკური გამომსახველობა ითვლება მშვენიერების, სილამაზის ტკბობის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად. ადამიანის სხეულის სრულყოფილების შესახებ შეხედულებებს, როგორც ბუნების მშვენიერების ერთ-ერთ ნაწილს, მივყავართ ანტიკურ ხანამდე, და, კერძოდ, ძველი ბერძნების სილამაზის მოძღვრებამდე. მათი მისწრაფება ადამიანის ფიზიკური სრულყოფისაკენ, რომლის განხორციელებასაც ვხვდებით ძველ ბერძნულ ხელოვნებაში, ქანდაკებებში, ვაზის ფერწერულ მოხატვაში - არის ჰარმონიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

თანამედროვე ცივილიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანისა და გარემოს ეკოლოგიური დამოკიდებულება. მან პიროვნებას ფიზიკურ განვითარებაში მეტი მოთხოვნები დააკისრა. განსაკუთრებით ჩამორჩნენ გონებრივი შრომის ადამიანები. მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციების მოზღვავებამ ისინი ჩამოაცილა მოძრაობით მოქმედებებს.

სპორტი მისი წარმოშობის დღიდან დღემდე ემსახურებოდა და ემსახურება საზოგადოების ჯანმრთელობის საქმეს. საზოგადოებისათვის ჯანმრთელი თაობის აღზრდა - მომზადება მუდამ იყო და რჩება სპორტის პირველი რიგის ამოცანად. სწორედ ეს ასულდგმულებდა ძველი საბერძნეთის ოლიმპიურ თამაშებს. სპორტი, ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებით, საზოგადოებაში ამკვიდრებს ფიზიკურად და სულიერად ძლიერ ახალგაზრდობას, რომელსაც შეუძლია წარმატებით წარმართოს საზოგადოებრივი წარმოების განვითარება და საზოგადოების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. მეტი მოძრაობა, თავისუფალი დროის გონივრული ხარჯვა ფიზიკური სრულყოფისათვის, ფიზიკური აქტივობა და სპორტი ყველას: აი, როგორია ჰიპოდინამიისა და პროფილაქტიკის მიზნით ეპოქის მიერ ადამიანისათვის გაცემული სოციალური წამლის რეცეპტი.

შეუძლებელია არ გაიზიარო აზრი განახლებული ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის, ფრანგი ბარონის და სახელმწიფო მოღვაწის პიერ დე კუბერტენისა, რომელიც ასე მიმართავდა სპორტს და პირველ რიგში - ოლიმპიურ სპორტს:

„ო, სპორტო! ჰარმონიის ოსტატი ხარ შენ!

შენ ხელს უწყობ ბუნების ულამაზესი ქმნილების - ადამიანის სრულყოფას.

შენ გვქმნი ძლიერებს, მარჯვეთ, მოხდენილთ, ასწორებ ჩვენს თანდაყოლილ ხინჯს.

შენ გამორჩეული, უჩვეულო ხუროთმოძღვარი ხარ, შენი საშენი მასალა - ადამიანი და მოძრაობაა...“

შუა საუკუნეების ადამიანის იდეალი შორს იყო ანტიკური ადამიანის იდეალისაგან, რადგან პიროვნებას, პირველ ყოვლისა, უნდა ეზრუნა სულის გადარჩენისათვის. ქრისტიანული ეკლესია სპორტული ღონისძიებების ჩატარების წინააღმდეგი იყო. მას ფიზიკური ვარჯიშები ხორციელ სიამოვნებად, უაზრო გართობად მიაჩნდა და ცოდვად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, შეჯიბრებები და ტურნირები მაინც ტარდებოდა, რადგანაც ყველაფერთან ერთად ის იყო სამხედრო ძლიერებისა და ფიზიკური მომზადების საშუალება.

თუ დღეს შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნამდვილი სახე რამდენადმე წარმოჩენილია და სხვა მთელ რიგ პერიოდებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის საერთო ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უტყუარად დამუშავებულ ეტაპს მიეკუთვნება, ამაში დიდი რუსთაველის მართლისმთქმელ კალამსაც უნდა ვუმადლოდეთ.

უკვდავი შოთას პოემა შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ ყველაზე უფრო სანდო და მდიდარ წყაროდ ჩვენი ქვეყნის ფიზიკური აღზრდის ისტორიისათვისაც. ამ სწოროუპარი გენიოსის შედევრი ჭარბად გვთავაზობს ძვირფას ცნობებს, რითაც შესაძლებელი ხდება შუა საუკუნეების საქართველოს

(და არა მარტო შუა საუკუნეების) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიის საერთო სურათის დადგენა.

XI-XII საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურას (პროზა, პოეზია) და ისტორიული ხასიათის თხზულებებს შემოუნახავს ცნობები ქართულ ხალხურ თამაშებზე: ბურთაობა, ჩოგანბურთი, ნარდი, მშვილდოსნობა, ჭიდაობა, მთასვლელობა, ჯირითი, თოკზე გავლა (მუშაითობა) და სხვ.

„ვეფხისტყაოსანი“ რჩეულ გმირთა და რაინდთა ასპარეზია, ისინი ფიზიკურად უნაკლო და სრულყოფილი ადამიანები არიან. მათი ტანადობა, სიტურფე, გარეგანი მომზიდველობა ჰარმონიულად ერწყმის საუკეთესო სულიერ თვისებებს - მაღალ ზნეობრივ იდეალს, სიმართლის, სიყვარულის და სიკეთისაკენ მისწრაფებას:

„თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავია,
ჯერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია.“

ან:

„თხუთმეტი წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა;
დღისით ვიყავ მის წინაშე, გამიშვების არცა ძილსა;
ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა;
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.“

მაღალი წრის წარმომადგენელთა ფიზიკური აღზრდის საშუალებათა არსენალში მრავალი ვარჯიში იყო ჩართული; ყველა მათგანზე შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ ერთ მათგანზე მაინც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რადგან ისტორიული წყაროები მას დიდ ადგილს უთმობენ, როგორც ხალხური ფიზიკური აღზრდის ხელოვნებას და ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სისტემის ერთ-ერთი მიმართულებას. ეს სახეობა არის „***მუშაითობა“*** (აკრობატიკა)**.** სულხან-საბა ორბელიანი მუშაითს უწოდებდა „საბელზე მავალს“, ხოლო დავით ჩუბინაშვილის განმარტებით მუშაითობა ნიშნავს - „ძნელად საქმნელს ვარჯიშებს, არა გრძნებითა, არამედ ხელოვნებითა“.

„მუშაითობის“ შესახებ ბევრს გვეუბნება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი.“ გავიხსენოთ, - როცა სამი გმირი მიადგა ქაჯეთის ციხეს; გაიმართა თათბირი ციხის აღების თაობაზე. ფრიდონმა მეგობრებს შესთავაზა ციხის ქონგურზე საბელის დამაგრებით და მასზე გავლით ციხეში შესვლა და კარის გაღება. ტარიელი დაეჭვდა - ეს მეტად სახიფათოაო, შეიძლება თოკზე ფეხი დაგისხლტეს და უფსკრულში გადაიჩეხოო. პასუხად კი ფრიდონმა უთხრა:

„ჩემსა სამცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლნეს მათნი საქმენი, მასხლტუნვებდიან, მწვრთნიდიან;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.“

„ვეფხისტყაოსანში“ მუშაითობას ვხვდებით არა მხოლოდ როგორც ფიზიკური მომზადების საშუალებად, არამედ, როგორც ***სანახაობით გასართობ ხელოვნებას,*** როსტევან მეფის მიერ გამართულ ზეიმზე თუ ნადიმზე მოცემულია ცნობები მუშაითთა გამოყენების შესახებ:

„ესა თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა,
მგოსანი და მუშაითნი უხმეს, ჰპოვეს რაცა, სადა.“

უმაღლესი კლასის მუშაითს „აჯაბთა მქმნელად“ (საბას განმარტებით „საკვირველებათა მქმნელს“ ნიშნავს) იხსენიებს შოთა რუსთაველი: „აჯაბთა მქმნენი მჭვრეტელთა გულსა მუნ დაამძიდიან.“

როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, „მუშაითობა“ წარმოდგენილი იყო თამაშობათა ისეთ რიგში, რომელიც „საოცრება-საკვირველებასთან“ იყო დაკავშირებული. ისმება კითხვა, თუ ვარჯიშთა რა სახეები იყო გამოყენებული მასში. ირკვევა, რომ „მუშაითობაში“ შედიოდა ხტომები, საგდებლის ტყორცნა, თოკზე საჭურველით და საჭურველის გარეშე გავლა-გარბენა, საცეკვაო ხასიათის ვარჯიშების და თოკზე ყირის შესრულება და სხვა მოძრაობანი. მუშაითური ვარჯიშები შეიცავდა არა მარტო სხვადასხვა სახის ვარჯიშებს თოკზე, არამედ მიწაზეც. ვარჯიშთა ეს სახეები შესრულების სირთულით არ ჩამორჩებოდა თოკზე შესრულებულ მოძრაობით მოქმედებებს. ცხადია, ვარჯიშთა ასეთი რთული სახეობის შესრულებისათვის საჭირო იყო სპეციალური წვრთნა და დახელოვნება. ისტორიული და ლიტერატურული პირველწყაროებით დასტურდება, რომ მუშაითობაში ბავშვობის ასაკიდანვე იწვრთნებოდნენ.

სწავლებაში ბავშვთა ოფიციალურად ჩაბმის ასაკი ასე თუ ისე ცნობილია მსოფლიოს მთელი რიგი ცივილიზებული ხალხის ისტორიაში. როგორც ვიცით, სპარტაში სასკოლო ასაკი, ანუ სასკოლო სწავლებაში ბავშვთა ჩაბმა ხდებოდა 7 წლიდან; იმავე ასაკიდან კერძო სკოლებში სასწავლებლად აბარებდნენ ათენელ ბავშვებსაც. 7 წლიდან იწყებოდა შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ ფეოდალთა ვაჟების აღზრდა რაინდის ხელმძღვანელობით და ა. შ. ზოგიერთ ხალხში სწავლების დაწყების ასაკი ოდნავ ადრე იყო გადმოტანილი ან ოდნავ დაგვიანებით იწყებოდა.

როგორ გვაქვს ამ მხრივ საქმე შუა საუკუნეების საქართველოში? ***რა ასაკი შეიძლება ჩაითვალოს შუა საუკუნეების ქართველი ბავშვების სწავლებაში, კერძოდ ფიზიკურ აღზრდაში ჩაბმის საწყის ასაკად?*** ამ კითხვაზე პასუხს ნაწილობრივ მივიღებთ პროფ. ვ. ელაშვილის წიგნიდან "ხევსურული ფარიკაობა" და სტატიიდან „ქართველ მთიელთა ფიზიკური აღზრდა." მასალაში დადგენილია ფიზიკური აღზრდის პროცესში ქართველ მთიელ ბავშვთა ჩაბმის ოფიციალური ასაკი. მათი ჩაბმა ფიზიკურ აღზრდაში იწყებოდა 5–6 წლიდან (იმ ასაკიდან, როდესაც ბავშვს შეეძლო შეგნებულად ემოქმედნა და გაეგო, რატომ ასრულებს იგი ამა თუ იმ მოძრაობას, ან მონაწილეობს თამაშში). ეს ორგანიზებული პროცესი გრძელდებოდა 15 წლამდე.

რაც შეეხება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", თუ ამ პოემაში აღწერილი აღზრდის სურათი შეიძლება ჩაითვალოს შუა საუკუნეების საქართველოს აღზრდის საერთო სურათის ანარეკლად, პირველ რიგში, ეს შეიძლება ითქვას ჩვენი ქვეყნის ბარზე, მის ცენტრალურ ნაწილზე. გამომდინარე აქედან, „ვეფხისტყაოსნის" გმირების მიხედვით ბავშვთა სწავლების დაწყების ასაკი 5 წლამდეც კი ჩამოდიოდა. ასაკობრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა და რთულდებოდა ფიზიკურ ვარჯიშთა სახეები. რუსთაველი 15 წლის ასაკში წყვეტს ტარიელის აღზრდას და მას ამირბარად ნიშნავს. მართალია, პოემაში ტარიელის აღზრდის შეწყვეტა და ამირბარად დანიშვნა დაჩქარა მამის გარდაცვალებამ, მაგრამ ზემოთ მოტანილ მასალაში ისედაც იგრძნობა, რომ 15 წლის ასაკში ახალგაზრდას სავსებით დასრულებულ პიროვნებად თვლიან. ეს ფაქტი არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას, რადგან თუ გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ ქართველობა მუდმივ შიშსა და მზადყოფნაში იყო, რადგან თავდასხმებს განიცდიდა მომთაბარე ტომებისა და მეზობელი ქვეყნებიდან. ამიტომ ცხადია, რომ ბავშვის აღზრდა ადრეული ასაკიდან უნდა დაწყებულიყო. ვალერიან აფრიდონიძე წიგნში „უშიში, ვითარცა უხორცო" წერს, რომ „არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ადასტურებს, რომ 13-14 წლის ყმაწვილები საკმაოდ გაწვრთნილი მეომრები უნდა ყოფილიყვნენ... ისინი მეტწილად აღჭურვილნი არიან დამარხული."

იყო თუ არა ქალთა ფიზიკური აღზრდა მასობრივი მოვლენა შუა საუკუნეების საქართველოში?

როგორც ვ. აფრიდონიძე ზემოაღნიშნულ წიგნში წერს: „ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მონაცემები ადასტურებს, რომ ქართველი ქალები ადრეული პერიოდიდანვე სხვადასხვა ხასიათის სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებით მაღალ საბრძოლო ფიზიკურ მომზადებას აღწევდნენ და სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ვაჟკაცებს გვერდში საიმედოდ ედგნენ. ამასთან ერთად ზრდიდნენ ვაჟკაცებს და დედის ძუძუსთან ერთად უნერგავდნენ დედა-სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას."

რა პასუხი შეიძლება გავცეთ ჩვენ მიერ ზემოთ დასმულ კითხვას, თუ შოთას უკვდავ ქმნილებას დავეყრდნობით? ქალთა თამაშობა რუსთაველს მოხსენიებული აქვს თავის ნაშრომში:

„ასმათ და ორი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა."

ქალთა მიერ ნარდით, ჭადრაკით და სხვა სამაგიდო გასართობებით „მღერა" (თამაში) მართლაც, რომ დამახასიათებელი იყო მაშინდელი საქართველოსათვის. საფიქრალია, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს „ვეფხისტყაოსანში" საჭადრაკო ტერმინი „შამათის" გამოყენება და ისიც ქალის - ინდოეთ-დედოფლის მიერ:

„ერთსა ბრძანებს დედოფალი, მართ სიტყვასა ვითა ათსა;

ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი, ვერ დაგვცემენ ყოლ შამათსა."

სხვა ცნობები ქალთა ფიზიკური აღზრდის შესახებ „ვეფხისტყაოსანში" არ გვხვდება. ჩვენს ეჭვს ზრდის ის ისტორიული ფაქტიც, რომ საქართველოში ქრისტიანული რელიგია ებრძოდა ფიზიკურ აღზრდაში ქალთა ჩაბმას. ეს განსაკუთრებით ხდებოდა რუსთაველის ეპოქამდელ პერიოდში, ხოლო უშუალოდ რუსთაველის ეპოქისათვის რელიგიის ამ ბრძოლას საბედისწერო შედეგი ჰქონდა. როგორც ჩანს, საქართველოშიც მოხდა იგივე, რამაც თავი იჩინა დასავლეთ ევროპის მაშინდელ საზოგადოებაში; მამაკაცთა ფიზიკური აღზრდის სისტემას ეკლესიამ ვერაფერი დააკლო, ქალთა საზოგადოებრივ უფლებებს კი დაეპატრონა და მისი გავლენის ქვეშ მოაქცია. რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო ეკლესიის სურვილი, ქართველი მეფეები ვერ აკძალავდნენ მამაკაცთა სისტემატურ სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას; მაშინ ხომ ქართველი მებრძოლები სრულიად მოუმზადებელნი უნდა შეხვედროდენ მომხვდურთ?

ალბათ ასეთი აღზრდის გამოც იყო, რომ ისტორიულად იქნა აღიარებული ქართველი ვაჟკაცი, როგორც სწოროუპარი მებრძოლი და ქართველი ქალი, როგორც იდეალური დედა. პირველმა საქართველო იხსნა თავისი მარჯვენით, მეორემ კი - დედობით.

ავტორებმა, რომლებმაც თავიანთი შრომები მიუძღვნეს შუა საუკუნეების საქართველოში დანერგილ ფიზიკური აღზრდის სისტემის პრობლემებს, ერთხმად აღიარებენ, რომ მაშინდელი საქართველოს ფიზიკური აღზრდის სისტემაში ძირითადი ადგილი ეკავა „ორჭიდს." იგი შეიქმნა

ნადირობისა და ბურთაობის (ჩოგანბურთი) სინთეზით, რომელიც თავისი სირთულით, საინტერესო შინაარსით და მიზნის კეთილშობილებით არცერთ მანამდე არსებულ მრავალჭიდს არ ჩამოუვარდებოდა.

საკითხავია, რატომ მაინცდამაინც ნადირობა და ბურთაობა (ჩოგანბურთი) იქნა აღებული „ორჭიდის“ შესაქმნელად? გავიხსენოთ, რა მოძრაობების შესრულება უხდებოდა მოვარჯიშეს ამ ორ სახეობაში ვარჯიშობის დროს და პასუხი გაცემულად ჩაითვლება: ცხენის ჭენება სრული სისწრაფით, გაჭენებული ცხენიდან მშვილდისა და შუბის ხმარება, მათი მიზანში მოხვედრება (ნადირობის დროს), ცხენის მართვა მხედართა ჯგუფში, ჩოგნის ხმარება და ქნევა ზუსტად ისე, როგორც ხმლისა ბრძოლის დროს (აღმოჩნდა, რომ ქართული ჩოგანისა და ხმლის სიგრძე ერთმანეთს ემთხვევა). როგორც ვხედავთ, ნადირობასა და ჩოგანბურთის დროს ადამიანს უხდებოდა ზუსტად ნამდვილ ბრძოლაში საჭირო მოძრაობების შესრულება. ე. ი. როგორც სჩანს ნადირობა და ჩოგანბურთი წარმოადგენდა ადამიანთა მომზადების სპეციალურად ორგანიზებულ ემოციურ ფორმას.

იმისათვის, რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ ამ ორჭიდის შექმნის მიზანი და მისი შინაარსი, საჭირო იქნება ცალ-ცალკე აღვწეროთ ნადირობა და ბურთაობა (ჩოგანბურთი).

ბურთაობა საქართველოში ძველთაგანვე პოპულარობით სარგებლობდა და საგანგებოდ მისთვის განკუთვნილ მოედნებზე ტარდებოდა, რასაც „ვეფხტყაოსანი“ მოწმობს:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა - მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა...“

ან:

„მოასპარეზედ ვინ მგავსო? - ცუდნიღა უკუთქმანია.
გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!“

ან:

„მოისრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან სრეულმან;
მერე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან.“

რუსთაველი მობურთალისაგან მოითხოვს მარჯვედ და საზრიანად მოქცევას, ე. ი. „მართლად ცემას“ და კარგად თამაშს. პოეტი წარმატებულ პიროვნებად თვლის ჩოგნით მოთამაშესაც. „ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.“

ნადირობა სამხედრო-ფიზიკური მომზადების კომპლექსურ ფორმას წარმოადგენდა. ის ხელს უწყობდა მეომრისათვის საჭირო ისეთი აუცილებელი თვისებების გამომუშავებას, როგორიცაა გამბედაობა, სისწრაფე, მოხერხებულობა, გამძლეობა, შუბის და ისრის მიზანში ტყორცნის უნარი, ცხენოსნობაში დახელოვნება და სხვ. ყურადსაღებია პროფესორ ავ. ციბაძის წიგნი „მხედრობათა შინა კადნიერნი“, რომელშიც იგი წერს, რომ ნადირობა ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ სპორტის სახეობად ითვლებოდა შუა საუკუნეების საქართველოში. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული საკითხი არ ასახავს იმ ნადირობას, რომელიც ქართულ ორჭიდში იყო შეტანილი. იგი ვერც ორგანიზაციულად და ვერც შინაარსით ვერ „ჩაჯდებოდა“ ისე, როგორც ჩვეულებრივი ნადირობა. ეს იყო მდიდართა ნადირობა გრანდიოზული შინაარსით, წინასწარ ორგანიზებული და არა ნადირის (ხორცის) მოსაპოვებლად, არამედ როგორც ქართველი დიდებულებისა და მათი მებრძოლების ფიზიკური მომზადების საშუალება. ასეთი ნადირობა სპეციალურად იგეგმებოდა, ინიშნებოდნენ მსაჯები, მარეკები დილიდანვე შეუდგებოდნენ გარკვეული სანადირო ადგილებისაკენ ნადირის მორეკვას. სანადიროდ ამზადებდნენ სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლებს, იარაღს, ცხენებს, და, რაც მთავარია, მიზანი ასეთი ნადირობისა იყო ძლიერი (საუკეთესო) მონადირის გამოვლინება:

„უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა.“

ამდენად, გამარჯვებულად ჩაითვლებოდა ის, ვინც მეტ ნადირს დახოცავდა ნაკლები სროლით და ვისი ნასროლიც უფრო ზუსტი იქნებოდა. ბუნებრივია, რომ საორჭიდო ნადირობაში ვარჯიში მოითხოვდა დიდ ორგანიზაციას და საშუალებებს, რაც შემაფერხებლად მოქმედებდა შეჯიბრების ჩატარების სიხშირეზე. ამიტომ ხშირად, როცა არ იყო ნადირობის გამართვის საშუალება, მას ცვლიდა სროლა ყაბახზე.

ნადირობა მუდამ დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა. ტარიელი ისე, როგორც ავთანდილი ნადირობიდან დაბრუნებული საასპარეზო მოედანზე გავიდოდა და ბურთს თამაშობდა. ასეთი თამაში, როგორც ირკვევა, წესად ყოფილა მიღებული. გავიხსენოთ ტარიელის სიტყვები ავთანდილთან საუბრისას:

„მოისრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან სრეულმან;
მერე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან.

ქართული ორჭიდის მომდევნო სახეობა იყო ***ჩოგანბურთი, ანუ ბურთაობა.*** ბედზე განაწყენებული როსტევანი ჩიოდა, რომ არ ჰყავდა მას ტოლი მშვილდოსნობასა (მშვილდოსნობის ქვეშ იგულისხმებოდა ნადირობა, რადგან კარგი მშვილდოსნის გამოსავლინებლად როსტევანი და ავთანდილი ნადირობას მიმართავდნენ) და ბურთაობაში:

„ღმერთმან არ მომცა ყმა - შვილი, - ვარ საწუთროსა თმობითა,

ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა...“

ან:

ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა.“

მსოფლიოს რიგ ხალხთა ფიზიკური კულტურის ისტორიაში დღეისათვის კვლევის საგანს არ წარმოადგენს მასწავლებლის (აღმზრდელის) ვინაობის დადგენა. „ეფხისტყაოსანში“ ნათლად ჩანს თუ ვინ არის ბავშვის ***აღზრდის ხელმძღვანელი,*** ასევე ფიზიკური აღზრდის პროცესის წარმმართველი. ეს აღმზრდელი, მაგალითად, მეფის კარზე მეფე გახლავთ. მივმართოთ ფაქტებს: ავთანდილი როსტევან მეფეს ხშირად გამზრდელს უწოდებს, რიგ შემთხვევაში კი - პატრონს: „აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა...“ ემშვიდობება ავთანდილი როსტევან მეფეს.

უფრო მეტიც, მეფის კარზე მყოფ ახალგაზრდებს მეფეები გაზრდილებად იხსენიებენ. ასე იქცევა როსტევანი ავთანდილის მიმართ:

„მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა,

უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა.“

მსოფლიო პედაგოგიკა მრავალ ხალხთა აღზრდის სისტემას იცნობს, მაგრამ ვერცერთი ვერ დაიკვეხნის ისეთ მაღალ ჰუმანიზმს, როგორც ეს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ აღზრდის სისტემას ახასიათებს. აღმზრდელის ტიპიური სახე წარმოადგინა ავთანდილმა ასმათთან საუბარში; აი, რას ამბობს იგი როსტევანის შესახებ:

„პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთისგან დიდად ცხოველი,

მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი.“

იშვიათად შეიძლება მოინახოს აღმზრდელის ჰუმანურობის უკეთესი დახასიათება, ვიდრე ამ სტროფშია მოცემული. მაგრამ ასეთი „ტკბილმშობლიური“ დამოკიდებულება გამზრდელ-გაზრდილს შორის დამყარებულია არა მარტო იმაზე, რომ გამზრდელი არის „მშობლიური, ტკბილი, მოწყალე.“ პირიქით - „ვეფხისტყაოსანში“ აღმზრდელი საკმაოდ მკაცრია, რაც ჩანს ტარიელის სიტყვებიდან:

„გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმრიდეს.“

ჩვენი აზრით, პოემაში ერთმანეთში ორგანულადაა შერწყმული აღზრდის უაღრესად დიდი ჰუმანურობა და საჭირო სიმკაცრე.

სამწუხარო ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ადრე გამოცემულ არცერთ სამეცნიერო წყაროში, სადაც კი ლაპარაკია ფიზიკურ ვარჯიშებზე, თამაშობებსა და შეჯიბრების ჩატარებაზე - არსად არ არის მოხსენებული მსაჯი, როგორც საშეჯიბრო პროცესის უშუალო წარმმართველი და ხელმძღვანელი. გვიანდელ მასალებში შეიძლება ამოვიცნოთ შეჯიბრების დამწყები, რომელიც შემდეგ აღარ გვევლინება შეჯიბრების ხელმძღვანელად; მაგალითად, „ლელოს“ დაწყების წინ მინდორზე ბურთი შემოაქვს რომელიმე ასაკოვანს ან ადგილობრივ ღვთისმსახურს, რომელიც აკურთხებს ბურთს, შეისვრის მაღლა და იწყება თამაში, თავად კი სწრაფად გაეცლება იქაურობას.

მართალია, მსაჯობის შესახებ სრულ ცნობებს ქართულ ისტორიულ მასალებში ვერ ვხვდებით, მაგრამ ამის მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტულ მოძრაობაში მაინც იგრძნობა მტკიცე და სრულყოფილი მსაჯობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა შეჯიბრების ჩატარება ისეთი რთული წესების მქონე სახეებში, როგორიცაა: ჯირითი, ქართული ჭიდაობა, ჩოგანბურთი, ლელო, ისინდი და სხვ.

რაზე მიგვანიშნებს, ამ მხრივ, „ვეფხისტყაოსანი?“ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ უმსაჯოდ ჩატარებულ ღონისძიებას რუსთაველი შეჯიბრების მონაწილეთა ჩხუბით და აურზაურით ამთავრებს. აი, რას უამბობს ტარიელის საძებრად წასულ ავთანდილს გზად შემხვედრი ძმებიდან ერთ-ერთი მათგანი:

„ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით,

მით ერთმანეთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით:

„მე უკეთ მოვკალ, მე გჯობო,“ სიტყვანი ვავაქილენით,

ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით.“

აღნიშნული გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით რუსთაველის გმირებს (რომლებიც ერთმანეთს ერკინებიან) ყოველთვის მსაჯის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავთ. განაწყენებული ავთანდილი ასე მიმართავს როსტევანს, რომელმაც იგი კარგ მსროლელად არ ჩათვალა:

„კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმედ ჩვენთანა ხლებასა,

მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისაი უთხრობდენ ქებასა!“

ავთანდილი მსაჯებად მოითხოვს „კარგ ყმებს,“ რომლებიც განსჯიან შეჯიბრების შედეგს და მათი მსაჯობით გამოჩნდება თუ ვინ იქნებოდა ქების ღირსი. რა ევალებოდათ მსაჯობის გამტარებელ პირებს ასეთი შერკინების დროს?

„მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,

ნაკრავსა შეადარებით, ნასროლსა დასთვალვიდითა.“

როგორც ვხედავთ, საჭურველმტვირთველის მოვალეობის შესრულების შემდეგ პოემაში მოყვანილ მსაჯებს უნდა დაეთვალათ დახოცილი ნადირი და იმავ დროს შეედარებინათ ერთმანეთისათვის როსტევანისა და ავთანდილის სროლის სიზუსტე და სიძლიერე. ხშირად კი მსაჯად ნიშნავდნენ უხუცესთ. შეჯიბრების წესების ცოდნა და მისი დაცვა ყოველი ქართველის მოვალეობად ითვლებოდა.

უკვდავი შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან წყაროს შუა საუკუნეების (და არა მარტო შუა საუკუნეების) საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ისტორიისათვის. მსოფლიო ლიტერატურის ამ შედევრში უხვად ჩაქსოვილი ფაქტები საშუალებას გვაძლევს უფრო მეტი ნათელი მოვფინოთ ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მოძრაობის მთელ რიგ ნაკლებად დამუშავებულ და სადაო საკითხებს, რომელთაგანაც ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას შემდეგ მნიშვნელოვან მომენტებზე:

- „ვეფხისტყაოსანში“ და აქედან - ქართულ სინამდვილეში აშკარად ჩანს ნადირობისა და ბურთაობის „ორჭიდი“; მისი ძირითადი თანამიმდევრობა, ნადირობიდან სწრაფად გადასვლა ბურთაობაზე. ფიზიკური აღზრდის (მომზადების) ეს კომპლექსური საშუალება კარგად არის წარმოჩენილი მოსახლეობის (პირველ რიგში, მაღალი ფენის) ფიზიკურ აღზრდაში;
- „მუშაითი“ რუსთაველის პოემაში სპორტის წარმომადგენელია და იგი წმინდა ფიზიკური მოვარჯიშეა. მოგვიანო პერიოდში „მუშაითი“ კარგავს რუსთაველისეულ გაგებას, თოკზე სიარულის გარდა იგი იერთებს სხვადასხვა აკობატულ მოძრაობებს, სიმღერებს, ლექსების თქმას და ა. შ. ასე რომ, იგი მეტად რთულ ხელოვნებად იქცა. ამდენად, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული „მუშაითის“ ცნების გაიგივება თანამედროვე წყაროებში არსებული „მუშაითის“ ცნებასთან სწორი არ იქნებოდა;
- შუა საუკუნეებში ფიზიკური აღზრდის სისტემაში ქალთა ფართოდ ჩაბმა ეჭვს იწვევდა. როგორც ჩანს, ქვეყნის დაცვაში ქართველი ქალი, იმ დროს, უპირატესად მონაწილეობდა ქართველი დედის წმინდა ვალის შესრულებით, მამულის ღირსეულ დამცველთა აღზრდით;
- მეფის კარზე აღმზრდელის როლში თვით მეფე მოიაზრება. იგივე მოვალეობა აკისრიათ მეფის კართან დაახლოებულ პირებს, მაღალი ფენის სხვა წარმომადგენლებს, თავიანთ საბატონოში - ერისთავებს, ხევისბერებს და სხვა მაღალჩინოსან პირებს. ამდენად, აღმზრდელთა მოვალეობის ამგვარი სისტემა ვრცელდება მაშინდელი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და საერთო-სახელმწიფოებრივ მოვლენად ითვლება;
- „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ქართველი ბავშვი სასწავლო-საწვრთნელ პროცესში ჩაბმული იყო 5 წლიდან და აღზრდის პროცესი გრძელდებოდა 15 წლამდე. აღზრდაში ჩაბმის ასეთი ასაკი განპირობებული იყო მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობით;
- საქართველოს სპორტული მოძრაობისათვის დამახასიათებელი იყო მტკიცე წესებზე დამყარებული მსაჯობა. პოემაში არ ჩანს პროფესიონალი მსაჯები. შეჯიბრების წესების ცოდნა ყოველი ქართველის მოვალეობად ითვლებოდა. შეჯიბრების თითოეული მაყურებელი უნდა ყოფილიყო როგორც მონაწილე, ასევე მსაჯი. ამდენად, მსაჯობა ძველ საქართველოში უაღრესად საზოგადო-სახალხო მოვლენას წარმოადგენდა;
- საქართველოს სამხედრო თუ სპორტული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყოფილა საჭურველმტვირთველის არსებობა. იგი ჩანს როგორც სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას, ასევე საბრძოლო შეტაკებების დროს.

ლიტერატურა:

1. ავალიანი ვ. – „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“, ქუთაისი, 2010.
2. აფრიდონიძე ვ. - უშიში ვითარცა უხორცო, ქუთაისი, 1986.
3. ბერიშვილი ე. - ქართული სპორტის ოქროს წიგნი, თბილისი, 2013.
4. პაპუკაშვილი ნ. - საქართველოს სპორტის სოციალურ-ესთეტიკური ასპექტები (ტანვარჯიშის მაგალითზე), დოქტორის აკადემიური ხარისხის დისერტაცია, თბილისი, 2017.
5. რუსთაველი შოთა - ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 2016.
6. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი - ოლიმპიური ქარტია, თბილისი, 1996.
7. ქართველი კლასიკოსები ბავშვთა აღზრდის შესახებ, ავტორთა ჯგუფი, თბილისი, 1973.

8. ძაგანია გ. - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004.
9. ძაგანია ჯ. - ოლიმპიური თამაშები, თბილისი, 2004.
10. ჯავახია ბ. - რაინდობა შუა საუკუნეების ევროპაში, თბილისი, 2010.
11. ციბაძე ავ. - მხედრობათა შინა კადნიერნი, თბილისი, 1980.
12. Элашвили В. И. – Традиции грузинской народной физической культуры и современность, Тбилиси, 1973.
13. Кун Л. – Всеобщая история физической культуры и спорта, Москва, 1982.

Neli Papukashvili
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

PHYSICAL EDUCATION AND SPORT IN MIDDLE AGE GEORGIA (ACCORDING TO SHOTA RUSTAVELI "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN)

RESUME

The knight in the Panther's sin by Shota Rustaveli is one of the most important written source of physical education history. The heroes of the poem are well built and handsome men, who have highly moral features.

In XI-XII centuries in Georgia the most popular games were playing ball, tennis, archery and horse racing were used for physical education. With the same aim was also used so called "orchidi" (hunting and playing ball).

According to scientific research Georgians started physical education at the age of 5-6 years and finished at the age of 15 years.

მამია ტუღუში, ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სასტარტო მდგომარეობა, სპორტსმენის ემოციური აგზნებულობა და ორგანიზმის შეგუებითი რეაქციები

ადამიანის ემოციების წყაროს მოთხოვნილებები წარმოადგენენ. მოთხოვნილებები კი ისტორიული კატეგორიაა. იგი იცვლება საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად და დაკავშირებულია შემეცნების, მორალურ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებთან, პიროვნების საზოგადოებრივ მიმართულებასთან. თანამედროვე ფიზიოლოგიის მიხედვით ემოციის ფიზიოლოგიურ საფუძველს ტვინის ქერქში მიმდინარე ნერვული პროცესები წარმოადგენს.

სპორტული ქცევა - ჩვევის შესწავლის, წვრთნის, შეჯიბრების პროცესი მრავალფეროვანი გრძნობების თანხლებით მიმდინარეობს, განსაკუთრებით სპორტული შეჯიბრების პროცესში, როდესაც სიტუაცია დიდი სისწრაფით იცვლება, სპორტსმენის გრძნობები ცვალებადობას განიცდის. ემოცია მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნების მოტივაციის სისტემასთან. სპორტსმენის ემოციური მდგომარეობა - გუნება, აფექტები, ვნებანი, მორალური და ინტელექტუალური გრძნობები მძლავრ გავლენას ახდენს სპორტული ქცევის წარმატებაზე.

ბევრ სპორტსმენს შესწევს ძალა დაძლიოს ფსიქოლოგიური ბარიერი, შეინარჩუნოს სიმშვიდე და განაწყოს საკუთარი თავი მაღალი სპორტული შედეგის მისაღწევად. მათთვის დამახასიათებელია ემოციური მდგრადობა. სპორტულ ბრძოლაში ისინი ავლენენ უდიდეს ნებისყოფას, წარმოაჩენენ ამოუწურავ სულიერ და ფიზიკურ ძალებს; ამასთან, სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა დიდ სიხარულს ანიჭებთ.

სასტარტო მდგომარეობა სხვადასხვა სპორტსმენთან განსხვავებულია. ზოგს ფსიქიკური დაძაბულობა აღმოუცენდება მაშინვე, როგორც კი გაიგებს ინფორმაციას შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების შესახებ, ზოგს კი - უფრო გვიან ეწყება. არიან სპორტსმენები (იშვიათ შემთხვევაში), რომელთაც იგი მხოლოდ შეჯიბრებაში გამოსვლის წინ აღენიშნებათ. საერთოდ კი სპორტულ სარბიელზე გამოსვლის

წინ სასტარტო მდგომარეობა ყველა სპორტსმენს გააჩნია, ცხადია განსხვავებული სახით. მის ჩამოყალიბებაში არსებით როლს თამაშობს: სპორტსმენის მომზადების დონე, შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება, შეჯიბრების რანგი, მონაწილეთა სპორტული სტატუსი, კლიმატური პირობები და სხვ.

აკადემიკოსი ***მ. ყოლბაია*** წიგნში „სპორტის ფსიქოლოგია“ წერდა, რომ შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენთა სასტარტო ფსიქიკური მდგომარეობა შემდეგი სახით ვლინდება: ***„სასტარტო ციებ-ცხელება“, სასტარტო აპათია, სპორტული საბრძოლო მზადყოფნის და თვითდამშვიდების მდგომარეობა.*** თითოეული აღნიშნული სახე საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და, ცხადია, მათ მიერ გამოწვეული შედეგიც განსხვავებულია. სასტარტო მდგომარეობის ჩამოყალიბებაში არსებით როლს თამაშობს: სპორტსმენის მომზადების დონე, შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება, შეჯიბრების რანგი, მონაწილეთა სპორტული სტატუსი და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სპორტსმენის ტემპერამენტის ტიპი.

განსაკუთრებულ ფსიქიკურ დაძაბულობას, რასაც სპორტსმენი შეჯიბრების წინ განიცდის, სპორტულმა ფსიქოლოგმა ***ო. ჩერნიკოვამ*** „სასტარტო ციებ-ცხელება“ უწოდა. მისთვის დამახასიათებელია ნერვული დაძაბულობის უკიდურესი დონე, ხოლო პიკი მოვარჯიშის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარზეა. სპორტსმენს ეუფლება მოუსვენრობა, შფოთვა და შიშიც კი იმ გამოცდის მიმართ, რაც მას შეჯიბრებაში გამოსვლისას ელის. ძლიერი ღელვა, ხელს უშლის გამოსვლის წინ ძალების მობილიზებაში, რასაც ქცევის დეზორგანიზაცია მოსდევს. უკიდურესი ფსიქიკური დაძაბულობა აირეკლება სპორტსმენის ყველა ქმედებაში. მისი ქცევა არამიზანშეწონილი ხდება: უაზროდ მოძრაობს, დადებითი და უარყოფითი ემოციები ხშირად ცვლიან ერთმანეთს (რიგ შემთხვევაში ეშინია სპორტული ასპარეზობის, ხოლო რიგ შემთხვევაში უჩნდება წარმატების მიღწევის იმედი). „სასტარტო ციებ-ცხელება“ იწვევს სპორტსმენის შემეცნებითი პროცესების დაქვეითებას. იგი ყურადღებაგაფანტულია და ვერ ახერხებს საჭირო მოქმედებებზე კონცენტრირებას. ამასთან, ახასიათებს სხეულებრივი ცვლილებები: სუნთქვის და პულსის აჩქარება, კიდურების შემცივნება და უნებლიე მოძრაობითი მოქმედებები, ოფლიანობა, პირში სიმშრალე და ა. შ. შემჩნეულია, რომ „სასტარტო ციებ-ცხელება“ მეტწილად არასაკმაოდ გაწვრთნილ სპორტსმენებს მოსდით. ისეთი, სწრაფად აგზნებადი ტიპის სპორტსმენებს, როგორებიცაა სანგვინიკი და ქოლერიკი; მათ ადვილად ეუფლებათ ძლიერი „სასტარტო ციებ-ცხელება“.

გამოვლინების მიხედვით „სასტარტო ციებ-ცხელების“ საპირისპიროა ***სასტარტო აპათია.*** მისი გავლენის ქვეშ მყოფი სპორტსმენი განიცდის ძალთა დაქვეითებას, ეუფლება მოთენთილობა, უჩნდება ძილის მოთხოვნილება მაშინ, როცა სპორტულ სარბიელზე გამოსვლა და აქტიურობაა საჭირო. ამ შემთხვევაში მას იპყრობს ***პასიური ემოციები,*** ისეთები, როგორიცაა: გულგრილობა, საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა და დათრგუნვილობა. ამიტომ პიროვნება კარგავს სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების სურვილს.

სასტარტო აპათიის დროს სპორტსმენის ფსიქიკური აქტივობა დაქვეითებულია. მისი აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, ყურადღება შენელებულად მოქმედებს; შესაბამისად დაქვეითებულია ნებისყოფის აქტივობაც. ყოველივე ამის გამო სპორტსმენი ან საერთოდ უარს ამბობს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებაზე, ან ვერ ახერხებს სტარტზე საკუთარი ძალების მობილიზებას, რაც წარუმატებელი გამოსვლის მიზეზი ხდება.

ემოციები დაყოფილია ***დადებით და უარყოფით*** ემოციებად. დადებითი - ხელს უწყობს მოვარჯიშის ფიზიკური მოღვაწეობის მაღალ დონეზე მიმდინარეობას და სპორტული უნარ-ჩვევების ოპტიმალურ გამოვლენას; ხოლო რიგი ემოციებისა არასასურველად მოქმედებენ სპორტსმენზე. ასეთია პირველყოვლისა - შიში წარუმატებლობისა და განცდა ასპარეზობისადმი. იგი დიდი ინტენსივობის ემოციაა და ყოველთვის ქცევის შემაფერხებლად მოქმედებს. ფიქრი საშეჯიბრო ბრძოლის სხვადასხვა მომენტებზე იძენს აკვიატებულ ხასიათს. რიგ შემთხვევაში სპორტსმენზე უარყოფითად მოქმედებს დადებითი ემოციებიც კი. გარკვეულწილად ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ანკეტური მონაცემები, სადაც აღნიშნულია სპორტსმენის დღის რეჟიმის დარღვევები წარმატებული სპორტული ასპარეზობის შემთხვევაშიც კი. ამიტომაა, რომ შეჯიბრების მონაწილისათვის ემოციურ მდგომარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ერთი შეჯიბრების დროსაც კი სპორტსმენის მდგომარეობა განიცდის გარკვეულ ცვლილებებს, საერთო აღმაფრენა შეიძლება გადავიდეს აგზნებულობაში, ან პირიქით - აპათიაში, რასაც შეიძლება მოჰყვეს ასპარეზობისადმი ინტერესის დაკარგვა.

„სასტარტო ციებ-ცხელების“ შესწავლისას მკლევართა ყურადღება მიიპყრო ძილის რეჟიმის დარღვევის ფაქტებმა. ემოციურად არამდგრად იმ სპორტსმენებს, რომლებსაც შეჯიბრებაში მონაწილეობისას უჩნდებოდათ არაკეთილსასურველი შინაგანი მდგომარეობა, მკვეთრად ჰქონდათ დარღვეული ძილის რეჟიმი. ზოგიერთ მათგანს ძილის რეჟიმის დარღვევები ეწყებოდათ შეჯიბრებამდე

2–3 დღით ადრე. ერთ-ერთი ქართველი მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე აღნიშნავდა, რომ „შეჯიბრების წინ, განსაკუთრებით ღამით, მაწუხებდა საგანგაშო მშფოთვარე ფიქრები და არ მაძლევდნენ დაძინების საშუალებას“. ცნობილი მოჭიდავე, მსოფლიო პირველობის პრიზიორი, წერდა: „ირანის საერთაშორისო შეჯიბრების წინ მთელი ღამე არ მეძინა. ფიქრები მომავალ შეხვედრებზე ჩემში იწვევდა დიდ მღელვარებას და დაძაბულობას. გაღვიძებიდან საუზმემდე ვიყავი მშვიდად, ხოლო აწონვის დაწყების წინ ფიქრები შეჯიბრებისადმი ისევ გამიახლდა. შეხვედრის დაწყებისას პირველი მოძრაობა შევასრულე მშვიდად, ხოლო შემდეგ დამეუფლა სრული აპათია, დამეკარგა სურვილი არა თუ ხალიჩაზე გამოსვლის, არამედ საერთოდ რომელიმე მოძრაობის შესრულებისადმი. ჩემზე აღარ მოქმედებდა მწვრთნელის გამამხნევებელი სიტყვები. დავიკავე მხოლოდ მეოთხე ადგილი. ტურნირის დამთავრების შემდეგ თითქმის მთელი ღამე არ მიძინია“. არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოეთში მოთამაშე ქართველი კალათბურთელის აღიარება, რაც ასევე ადასტურებს ემოციური აგზნებისას აპათიის წარმოშობის იმ ფაქტს, რასაც ადგილი ჰქონდა მეტად მნიშვნელოვანი თამაშის წინ: „თამაშის დაწყებამდე განვიცდიდი ძლიერ მღელვარებას, რის გამოც პირველ ტაიმში არ გავედი მოედანზე. პირველ ყოვლისა, არ მქონდა თამაშის სურვილი. მზის წნულის არეში მქონდა ტკივილის შეგრძნება, მიკანკალებდა ხელები, ვგრძნობდი საერთო სისუსტეს...“

შეჯიბრების წინა დღეებში ძილის გაუარესება, როგორც წინასტარტული მღელვარება, ჩვეულებრივი მოვლენაა სპორტში. იგი შეინიშნება სპორტსმენთა უმეტესობაში. ძილის ასეთი დარღვევა დაკავშირებულია ემოციურ დაძაბულობასთან და იგი მეტად არასასურველია. სწორედ ამიტომ არის საჭირო და მეტად მნიშვნელოვანი, რომ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს, რაც შეიძლება დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია წინასტარტული მდგომარეობისა და ძილის ფუნქციის თვითრეგულირების მეთოდების შესახებ. თვითრეგულირების მნიშვნელობის შესახებ პროფესორი პ. ა. რუდიკი ამბობს: “სპორტის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სპორტსმენები, როგორც წესი, ცუდად ფლობენ საკუთარ ემოციურ მდგომარეობას. ისინი ვერ უმკლავდებიან იმ უარყოფით ემოციებს, რომლებიც წარმოიშობა სტიქიურად სპორტული სიტუაციის ცვლასთან მიმართებაში. იშვიათად ახერხებენ სწორად, ოპტიმალური ოდენობით გამოიყენონ საკუთარი დადებითი ემოციები.“ ემოციების განმუხტვის მშვენიერი საშუალებაა მუსიკა. იგი ადამიანზე ახდენს ყველაზე უფრო შთამბეჭდავ და ძლიერ ზემოქმედებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ამას თავის ბროშურაში წერს ფსიქოლოგი რ. დემეტერი, სპორტსმენის ემოციური მდგომარეობის დამახასიათებელ თვისებებს შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი - ***წინასტარტული ინერტული მდგომარეობა***. ამ მდგომარეობაში მყოფი სპორტსმენი არ გრძნობს ექსტრემალურ გამღიზიანებელთა არასასურველ ზემოქმედებას, ამავე დროს იგი უძლურია მობილიზება გაუკეთოს საკუთარ ძალებს და მიაღწიოს ოპტიმალურ საბრძოლო მზადყოფნას. სპორტსმენის წინასტარტული ინერტული მდგომარეობისათვის დამახასიათებელია შემდეგი განმასხვავებელი ფსიქოლოგიური თავისებურებები: ინიციატივის, დამოუკიდებლობის, თავისთავადობის, გამბედაობის, გადაწყვეტილების არასრულფასოვანი გამოვლენა, ასევე დაქვეითებულია აზროვნება და აღქმა. ასეთ ემოციურ მდგომარეობაში მყოფი სპორტსმენი ვერ შეძლებს აჩვენოს მაღალი შედეგი.

თანამედროვე სპორტი, და, განსაკუთრებით მაღალი მიღწევების სპორტი, წარმოუდგენელია მაქსიმალური მოცულობის და ინტენსივობის დატვირთვების, დაძაბული სპორტული ბრძოლის, მწვავე მეტოქეობის, წარმატებასა და წარუმატებლობაზე სისტემატური ფიქრის გარეშე. ე. ი. ყოველივე იმაზე, რასაც „სტრესი“ და „შიში“ ჰქვია.

ფსიქიკური სტრესისა და შიშის პრობლემებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების, სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკაში. ფიზიკური დატვირთვა, როგორც სტრესი, ააქტიურებს ნივთიერებათა დაშორებისა (განსხვავებულობის) და დაშლის პროცესებს, რომელიც აუცილებლად საჭიროა ენერგიის დროული მობილიზაციისათვის. ამ პროცესების გაწონასწორებისათვის (მათ უწოდებენ ერგოტროპულს) აუცილებელია აღდგენითი პროცესების (ტროფოტროპული) გაძლიერება.

აღდგენითი პროცესების სამკურნალო ძალა კარგადაა ცნობილი - მაგალითად, სტრესული მდგომარეობის შემდეგ ძილი. როგორც ე. რუტმანი წიგნში „საჭიროა თუ არა სტრესისაგან გაქცევა?“ აღნიშნავს, რომ დაძაბულობის „დაგდების“ სხვა მრავალი საშუალება არსებობს. ერთ-ერთი მათგანია **იოგა,** (სიტყვა „იოგა“ ნიშნავს კავშირს, ნაერთს, ორის ერთში შეცნობას, მონაწილეობას, რიგს, ღრმა ფიქრს, განჭვრეტას), რომლის საშუალებითაც შემუშავებულია განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობის მიღწევის ვარჯიშთა კომპლექსი.

იოგას ფილოსოფიის თანახმად, ადამიანი უნდა მიილტვოდეს ჯანმრთელობისაკენ, იყოს ჯანმრთელი. ეს არ არის ეგოისტური მისწრაფება, არამედ არის თითოეულის მოვალეობა გარშემო მყოფთა მიმართ. იოგას განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს ისიც, რომ მის ძირითად დანიშნულებას

წარმოადგენს გარშემო მყოფთა შორის არა მხოლოდ მავნე ფაქტორების აღმოფხვრა, არამედ მათში ***შინაგანი წინააღმდეგობის*** გაწევის უნარიანობის განვითარება.

ადამიანის მიერ შინაგანი წინააღმდეგობის უნარის განვითარებისა და სრულყოფისათვის რეკომენდებულია ვარჯიშთა ორი ძირითადი მიმართულება: **პირველი** - გარე გამღიზიანებლებზე სწორი რეაქციის გამომუშავება; ე.ი. იმ რეაქციებისა, რომლებიც შეესატყვისება ბუნების კანონებს, ადამიანის ქცევის ეთიკურ და ჰიგიენურ პრინციპებს; მეორე - საკუთარი სხეულის ფლობა, ნეიროენდოკრინული და ნერვ-კუნთური სისტემების ფუნქციის აღდგენა, ავადმყოფობის ლიკვიდაციის ბუნებრივი პროცესების განვითარება.

ადამიანს, რომელსაც თავის შესაძლებლობებისადმი რწმენის დეფიციტი გააჩნია, პაექრობამდე ადრე ეუფლება ძლიერი ***სტრესი,*** რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება უშუალოდ შეჯიბრების დაწყების წინ. ამიტომ სპორტსმენი უსარგებლოდ ხარჯავს დიდ ენერგიას, რაც მას შეჯიბრების დროს აკლდება. ტერმინი სტრესი ფსიქოლოგიაში შემოიტანა კანადელმა ფიზიოლოგმა ***ჰანს სელიემ*** და ამით აღნიშნა ის სპეციფიკური ადაპტაციური სინდრომი, რაც ადამიანს აღმოუცენდება, როცა მისი ქცევითი აქტივობა ფერხდება ან მოსალოდნელია გარკვეული დამაბრკოლებელი პროცესების წარმოქმნა. საქმე ისაა, რომ ადამიანის ნებისმიერ ქცევას გააჩნია მიზანი და მოტივი. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს იმას, თუ რა ღირებულება და წონა აქვს მოცემულ ქცევას სუბიექტისათვის. ხდება, რომ მოტივირებული ქცევის განხორციელებას არაფერი არ უშლის ხელს და ის დაუბრკოლებლად სრულდება. ამ დროს პიროვნება არავითარ დაძაბულობას არ განიცდის. რიგ შემთხვევაში კი პირიქით ხდება - ქცევის შესრულებას წინააღმდეგობები ეღობება და თუ ამ ქცევის მოტივს ადამიანისათვის დიდი ღირებულება აქვს, ის თავს არ ანებებს საქმიანობას, მაგრამ საჭირო ხდება მისი ფსიქოფიზიკური ძალების უფრო მეტად მობილიზება, ვიდრე აქამდე იყო. ამის ანარეკლია ემოციური დაძაბულობის განცდა, რომელსაც ***სტრესი*** ეწოდება. ამიტომ თვლის მას სელიე ადაპტაციურ მექანიზმად. სტრესი ხელს უწყობს ადამიანს უფრო ინტენსიურად მოუხმოს დაწყებული ქცევის ბოლომდე მიყვანისათვის საჭირო ფსიქოფიზიკურ ძალებს.

თავისთავში ღრმად დარწმუნებულობა და მის საფუძველზე აღმოცენებული თვითდამშვიდების მდგომარეობა სპორტსმენს მაშინ ეუფლება, როცა იგი ვერ აცნობიერებს მოსალოდნელ სპორტულ საბრძოლო პერიპეტიებს, სათანადოდ ვერ აფასებს მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენს უჩნდება შეჯიბრებაში გამარჯვების მოტივაციის დაქვეითება, რის გამოც იგი არამობილიზებულად ასპარეზობს.

წინასასტარტო სტრესული მდგომარეობა ყოველთვის უარყოფით შედეგს არ იწვევს. ის რიგ შემთხვევაში სპორტსმენს უაღრესად აქტიური მოქმედებისათვის განაწყობს და ადგილი აქვს ძალების მაქსიმალურ მობილიზებას. ამასთან, დადებითად მოქმედებს ქცევაზე. სტარტზე ასეთი მობილიზებული მდგომარეობა სპორტსმენს შესაძლებლობას აძლევს ჩართოს სარეზერვო ძალები. ხოლო, რაც შეეხება სტრესის უარყოფით ზემოქმედებას, იგი გამოიხატება იმაში, რომ ხელს უშლის ყურადღების კონცენტრაციას, ავიწროებს ყურადღების ველს და ამიტომ სპორტსმენი ვერ ამჩნევს იმ საფრთხეს, რომელსაც სტრესის გავლენის გარეშე შეამჩნევდა. სტრესი ხელს უშლის ოპერატიული აზროვნების ეფექტურობას. ამიტომ არის, რომ სპორტსმენი კრიტიკულ სიტუაციებში ვერ იღებს სწორ გადაწყვეტილებას. სტრესი იწვევს ძლიერ კუნთურ დაძაბულობას, რაც ხელს უშლის მოძრაობათა კოორდინაციას.

საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში მყოფი სპორტსმენი განიცდის მოსალოდნელ პაექრობასთან დაკავშირებულ დადებით ემოციებს, გრძნობს ძალთა მოზღვავებას. მისი შემეცნებითი პროცესები პროდუქტულად მუშაობენ. მეტად აქტიურია ***ნებისყოფა.*** აქტიურდებიან ფიზიოლოგიური პროცესებიც. უმჯობესდება მოძრაობათა შესრულების უნარი, რეაქციის სისწრაფე, მატულობს კუნთური ძალა. ემოციების დროს მკვეთრად აღიგზნება სიმპატიკური ნერვული სისტემა, რაც ხელს უწყობს სისხლში ადრენალინისა და სხვა მაღალაქტიური ჰორმონების რაოდენობის წამიერად მომატებას. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად ზრდის სისხლის წნევას, აჩქარებს გულისცემას - მკვეთრად ამაღლებს მის მუშაობას. ასეთი სასტარტო მდგომარეობა დამახასიათებელია გაწვრთნილი და კარგად მომზადებული სპორტსმენისათვის.

ემოციები გამოვლინდებიან მაშინ, როდესაც დიდია მაღალი სპორტული შედეგის მიღწევის სურვილი. ისინი გახსნიან ენერგეტიკულ რესურსებს ე. წ. ავტომატურად, შეუცნობლად. ექსტრაორდინალური ემოციური მდგომარეობა კი ხელს უწყობს ორგანიზმის სარეზერვო შესაძლებლობების გახსნას და ასპარეზობის პროცესში მათ რეალიზებას.

სტრესულ სიტუაციაში ემოციები სხეულებრივ ცვლილებებს იწვევენ ორგანიზმში, რომლებიც ხელს უწყობენ დიდი რაოდენობის ენერგიის მობილიზებას. ძლიერ ემოციას ძალუძს ორგანიზმის მთელი ენერგია ჩართოს ქცევით აქტივობაში. მაგრამ ემოცია ადამიანის ენერგიის დიდი მფლანგველია. მან არ იცის ზომა. ძლიერი ემოციის მოქმედება ჰგავს აზვირთებული მდინარის დინებას, რომელიც ყველაფერს

ანგრევს, რაც წინ გადაეღობება. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა იგი მოექცეს ზომიერების ფარგლებში, ამ ფუნქციას ადამიანის ქცევაში ნებისყოფა ასრულებს. მხოლოდ მას შეუძლია ძლიერი სტრესის მიერ გამოხმობილი დიდძალი ენერგიის (მათ შორის სარეზერვოსიც) ზომიერების ფარგლებში მოქცევა და მისი ხარჯვა მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია, მაგალითად უშუალოდ შეჯიბრების დროს.

ემოციისა და ნებისყოფის შეთანხმებული მოქმედების შემთხვევები იშვიათი როდია. დამტკიცებულია, რომ ადამიანი საქმიანობის დროს მთლიანად არ ხარჯავს იმ ენერგიას, რაც მას გააჩნია. ყველაზე დაძაბული მუშაობის დროს ის მოიხმარს საკუთარი ენერგიის დაახლოებით 80%-ს. 20% კი რეზერვში რჩება, რაც ძალიან ძნელი გამოსაყენებელია და ადამიანმა იგი შეიძლება მოიხმაროს განსაკუთრებულ, ექსტრემალურ სიტუაციებში.

ძალიან მნიშვნელოვანია სტრესის გავლენის ქვეშ მყოფი სპორტსმენის სოციალური მხარდაჭერა ყველა იმ პირისაგან, რომლებსაც მასზე ზეგავლენა შეუძლიათ. ასეთია: ოჯახის წევრები, მეგობრები, თანაგუნდელები და განსაკუთრებით მწვრთნელი. სპორტის მესვეურებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ზოგი რამის მოგვარება შეუძლიათ. თუ დავეყრდნობით სხვადასხვა გამოკვლევის შედეგებს, ირკვევა, რომ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები გამოირჩევიან საკმაოდ მტკიცე ხასიათით, ემოციური მდგრადობით, დამოუკიდებლობით, რეალისტური შეხედულებებით და ავტორიტარობისადმი მიდრეკილებით.

აკადემიკოსი ***ანოხინი*** მიგვითითებდა, რომ „წარმოქმნილი ძლიერი ემოციების შეკავება ადამიანს არ შეუძლია, მეტადრე თუ ეს დაკავშირებულია თავის ტვინის ქერქთან. შეიძლება შევიკაოთ, ვთქვათ, ემოციის გარეგნული ნიშნები (ცრემლები), მაგრამ სპაზმები, გულისცემა... ვერა, ასეთ რამეს ვერ შეიკავებ.“ შეკავებული ემოციების ენერგია ყოველთვის პოულობს გამოსავალს. ამრიგად, დაგროვილი ემოციის დაოკება და შეკავება ძნელია. ამას ახერხებენ მხოლოდ ძლიერი ***ნებისყოფის*** ადამიანები. ემოციების შეკავება - ეს ნიშნავს ატეხო ორგანიზმში ვეგეტატური და ჰუმორალური ქარიშხალი. ვინც გრძნობას ახშობს, განწყობილია აგრესიულად, არ ჰყოფნის ობიექტურობა და ადამიანებისადმი გულისხმიერება. ამიტომაც ამბობენ: “ენაზე ნაღვერდლის გაჩერება უფრო იოლია, ვიდრე საიდუმლოსი.“ საიდუმლოც ხომ დაგროვილი ემოციაა!

საუკეთესო - განმუხტვა - ესაა მიზნის მიღწევა, მაგრამ ეს არ უხერხდება ყველას, არ ხდება ყოველთვის. რა გაეწყობა, მაშინ დაგვეხმარება კუნთების აქტიურობა და ფიზიკური დატვირთვა, წიგნები, სიმღერები და სხვ. აქტიური ვარჯიშობით გულზე მოგეშვებათ. ყოველგვარ უარყოფით ემოციაზე ორგანიზმი სისხლში გამოყოფს ჰორმონებს, მათ შორის ადრენალინს, რაც სისხლძარღვებს ავიწროებს, იწვევს სისხლის წნევის აწევას, ენერგეტიკული პროცესების აქტივიზაციას.

წელთა სიმრავლე და მაღალი შრომისუარიანობა შეუძლებელია აქტიური მოძრაობის რეჟიმის გარეშე. ი პავლოვი წერდა, რომ „ყველაზე ძვირფასი რამ, რაც ადამიანს გააჩნია - ესაა მოძრაობა.“ მოძრაობა სტიმულს აძლევს ორგანიზმის ყველა სისტემის ფუნქციას. ძველი რომაელები ამბობდნენ: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.“ და მართლაც, დიდი ხანია შემჩნეულია, რომ გულმხიარული, თავდაჭერილი, ოპტიმისტურად განწყობილი, სულით ძლიერი ადამიანი ნაკლებად ავადმყოფობს, მუდამ მხნე და ხალისიან გუნებაზეა, არც თვითონ ბორგავს და არც სხვებს აშფოთებს, არ ჟინიანობს და ყველას მიმართ კეთილმოსურნეა, უფრო ადვილად იტანს ყოველდღიურ ჭირ-ვარამს, ვიდრე პირკუშტი, გულფიცხი, სასოწარკვეთილი კაცი, რომელიც უიმედოდ უყურებს ცხოვრებას. გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ს. მესხი ხშირად მიუთითებდა, რომ ფიზიკური სისუსტე დედაა უზნეობისა, რომ ფიზიკურ სისუსტეს, სიმდაბლეს, უეჭველად ჩვენს ზნეობითს მხარეზედაც თავისი შესამჩნევი გავლენა აქვს.

დ. კინწურაიშვილი ნაშრომში „მოძრაობა ჯანმრთელობაა“ წერს, რომ „ადამიანის აქტიური მოძრაობითი მოცულობა გამუდმებით მცირდება, - ჰიპოდინამია - მოძრაობითი აქტივობის კლებადობა გახდა თანამედროვე ცხოვრების თვისება. უძრაობა იწვევს „კუნთურ შიმშილს“, რაც თავისთავად საშიშია ორგანიზმისათვის. ნაკლებად მოძრაობა საგრძნობლად ამცირებს გულ-სისხლძარღვთა აქტივობას, იწვევს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის დარღვევას და ჟანგბადით ორგანიზმის მომარაგების შემცირებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე. შესაბამისად მცირდება ორგანიზმის მუშაობისუნარიანობა, წარმოიშობა ჭარბწონიანობა, სტრესები და ა. შ.

გუნდის შეჯიბრებისათვის მომზადების პროცესში ***მწვრთნელს*** უხდება გადაჭრას როგორც ტაქტიკური, ისე ფსიქოლოგიური საკითხები. მათი ურთიერთკავშირი დიდ მტკიცებას არ საჭიროებს. სპორტის გუნდური სახეებისათვის შეჯიბრების ტაქტიკის შემუშავება უდავოდ ძნელია, მაგრამ აქ არის ხელშემწყობი ფაქტორიც. გუნდების შეჯიბრება, როგორც წესი, რამდენიმე ტაიმისაგან შედგება და შესვენებისას მწვრთნელს ადრე შემუშავებულ ჩანაფიქრში, თუ ის არ ამართლებს, შეუძლია ცვლილებების შეტანა. ტაქტიკის ყველა დეტალს უნდა იცნობდეს სპორტსმენი. კიდევ მეტი, ის აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მის შემუშავებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მწვრთნელის ფსიქოლოგიური მომზადება. მართალია, გონიერი მწვრთნელი ახალგაზრდებთან ხანგრძლივი მუშაობის პროცესში იძენს გარკვეულ ცოდნას ფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ, მაგრამ ასეთი ცოდნა არასისტემატიზებულია და იგი ვერ იქნება დადებითი შედეგის მომტანი. მწვრთნელისადმი სპორტსმენთა დამოკიდებულებას განსაზღვრავს მისი ხელმძღვანელობის სტილი, პროფესიული ოსტატობა და, რაც ყველაზე მთავარია, სპორტსმენისადმი დამოკიდებულება. მწვრთნელის როლი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია გუნდის, როგორც ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადების, ისე სპორტსმენთა შორის ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულების ფორმირების საქმეში.

სპორტსმენს ვარჯიშობისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის პროცესში მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური სიძნელის დაძლევა უხდება, რისთვისაც საკუთარი საქმიანობისას უნდა გამოიმუშაოს ძლიერი ***განწყობა.*** როგორც ცნობილია, სწორედ განწყობა წარმოადგენს სპორტსმენის წარმატების ფსიქოლოგიურ პირობას. განწყობას, როგორც ნებისმიერ ქცევას, თავისი მოტივი გააჩნია. თუ მოტივი ძლიერია, მის საფუძველზე აღმოცენებული განწყობაც ძლიერია. მოვარჯიშეს შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი განწყობა.

იმისათვის, რომ სპორტსმენს წვრთნის პროცესში წამოჭრილი ობიექტური და სუბიექტური სიძნელეების დაძლევა შეეძლოს, ძლიერი განწყობა უნდა ჰქონდეს შემუშავებული, რის საფუძველზეც სპორტსმენი შეძლებს წვრთნის ადრეულ საფეხურზე წამოჭრილი სიძნელეების გადალახვას. როგორც აკად. მამია ყოლბაია აღნიშნავს: „სპორტსმენს უდაოდ სჭირდება განვითარებული ნებისყოფა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სპორტული საქმიანობა წარმოადგენს ნებისყოფის განვითარების საუკეთესო საშუალებას. რეჟიმის დაცვა, მრავალი ცხოვრებისეული სიამოვნებისათვის უარის თქმა, როცა ის სპორტითაა დაკავებული, არის ნებისყოფის განვითარების კარგი საშუალება.“

მკვლევრები სპეციალურად უსვამენ ხაზს დამწყები სპორტსმენების წინაშე მდგარი სიძნელეების დაძლევის მნიშვნელობას მათი ნებისყოფის განვითარებისათვის. სიძნელეები სპორტში, რომლებიც ხელს უწყობენ ხასიათის ნებისყოფითი თვისებების განვითარებას, იმაშია, რომ საჭიროა სპორტული ვარჯიშის მეტად რთული ტექნიკის დაუფლება, ნებელობითი ძალისხმევის გამოვლენა, დაღლილობისა და ტკივილის დაძლევა, თავშეკავების შენარჩუნება, ემოციური მდგომარეობის დარეგულირება, შრომისუნარიანობის შენარჩუნება არახელსაყრელ გარემო პირობებში, დღის რეჟიმის დაცვა და სხვ. სწორედ ისინი წარმოადგენენ სპორტსმენის ნებელობითი თვისებების განვითარების ძირითად საშუალებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

- სასტარტო მდგომარეობის ჩამოყალიბებაში არსებით როლს თამაშობს: სპორტსმენის მომზადების დონე, შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება, შეჯიბრების რანგი, მონაწილეთა სპორტული სტატუსი და სხვ.;
- სასტარტო აპათიის დროს სპორტსმენის ფსიქიკური აქტივობა დაქვეითებულია. მისი აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, ყურადღება შენელებულად მოქმედებს;
- ემოციურად არამდგრად სპორტსმენებს, რომლებსაც შეჯიბრებაში მონაწილეობისას უჩნდებათ არასასურველი შინაგანი მდგომარეობა, აქვთ დარღვეული ძილის რეჟიმი;
- სპორტულ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში მყოფი სპორტსმენი განიცდის მოსალოდნელ პაექრობასთან დაკავშირებულ დადებით ემოციებს, გრძნობს ძალთა მოზღვავებას. მისი შემეცნებითი პროცესები პროდუქტულად მუშაობენ;
- ემოციები გამოვლინდებიან მაშინ, როდესაც დიდია მაღალი სპორტული შედეგის მიღწევის სურვილი. ისინი გახსნიან ენერგეტიკულ რესურსებს ე. წ. ავტომატურად, შეუცნობლად;
- დამტკიცებულია, რომ ადამიანი საქმიანობის დროს მთლიანად არ ხარჯავს იმ ენერგიას, რაც მას გააჩნია. ყველაზე დაძაბული მუშაობის დროსაც ის მოიხმარს საკუთარი ენერგიის დაახლოებით 80%-ს;
- წინასასტარტო სტრესული მდგომარეობა ყოველთვის უარყოფით შედეგს არ იწვევს. ის ზოგჯერ სპორტსმენს უაღრესად აქტიური მოქმედებისათვის განაწყობს და ადგილი აქვს ძალების მაქსიმალურ მობილიზებას;
- დაგროვილი ემოციის დაოკება და შეკავება ძნელია. ამას ახერხებენ მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ადამიანები. ემოციების შეკავება - ეს ნიშნავს ატეხო ორგანიზმში ვეგეტატური და ჰუმორალური ქარიშხალი. ვინც გრძნობას ახშობს, განწყობილია აგრესიულად, არ ჰყოფნის ობიექტურობა და ადამიანებისადმი გულისხმიერება;
- საუკეთესო - განმუხტვა - ესაა მიზნის მიღწევა;
- იმისათვის, რომ სპორტსმენმა წვრთნის პროცესში წამოჭრილი ობიექტური და სუბიექტური სიძნელეების დაძლევა შეძლოს, ძლიერი განწყობა უნდა ჰქონდეს შემუშავებული, რის საფუძველზეც იგი შეძლებს წვრთნის ადრეულ საფეხურზე წამოჭრილი სიძნელეების გადალახვას.

ლიტერატურა:
1. ბიბილეიშვილი ლ., ტუღუში მ. - სოციალური პედაგოგიკა, თბილისი, 2002.
2. ვასაძე ნ. - პედაგოგიკა, თბილისი, 2004.
3. ელაშვილი ვ. - ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პედაგოგიკა, თბილისი, 1989.
4. კინწურაიშვილი დ. – „მოძრაობა ჯანმრთელობაა“, თბილისი, 1973.
5. ნორაკიძე ვლ. - ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1989.
6. ყოლბაია მ. - სპორტის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003.
7. ჩხარტიშვილი შ. - აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974.
8. Селье Г. – Стресс и тревога в спорте, Москва, 1983.
9. Горбунов Г. Д. – Психопедагогика спорта, Москва, 1986.
10. Деметер Р. С. – Эмоции и отдых спортсмеиа, Москва, 1980.
11. Вяткии Б. А. – Роль темперамеита в спортивиой деятельиости, Москва, 1978.
12. Рутмаи Э. М. – Иадо ли убегат от стресса? Москва, 1990.
13. Роберт М. Найдиффер – Психология соревнующегося спортсмена, Москва, 1979.
14. Черникова О. А. – Емоции в спорте, Москва, 1961.
15. Черникова О. А. – Соперничество, риск, самообладание в спорте, Москва, 1980.

Mamia Tughushi, Neli Papukashvili
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

STARTING POINT, EMOTIONAL AGGRESSION IN SPORTSMAN AND ORGANISM REACTIONS

RESUME

As we know sportsman has to overcome lots of subject and object difficulties before taking part in a competition. These difficulties define sportsman's result in a competition.

That's why the training process should be conducted in a way, that will help sportsman to work out skills how to mobilize his strength before competition.

This article gives recommendations about the important issue mentioned above.

Мариам Убирия
Грузинский учебный университет
физического воспитания и спорта

МОРФОЛОГИЧЕСКИЕ И ФУНКЦИОНАЛЬНЫЕ ПОКАЗАТЕЛИ МЛАДШИХ ШКОЛЬНИКОВ С РАЗЛИЧНЫМ УРОВНЕМ ДВИГАТЕЛЬНОЙ АКТИВНОСТИ

Проблема сохранения здоровья подрастающего поколения приобретает особую значимость в настоящее время, когда возрастает число экзогенных и эндогенных факторов (включая гиподинамию), неблагоприятно воздействующих на процессы роста и общего развития ребенка, что проявляется в снижении адаптационных возможностей растущего организма [3, 5, 7] .

В жизни ребенка двигательная активность является фактором активной биологической стимуляции [6] , способствует совершенствованию механизмов адаптации [4] , что приобретает особое значение в современных условиях.

Двигательной активности, как наиболее сильному физиологическому раздражителю, стимулирующему нормальную жизнедеятельность, отводится основная роль в полноценном становлении и развитии потенциалов организма [1, 8] . Возрастной интервал 7 - 10 лет наиболее благоприятен для закладки практически всех физических качеств, реализуемых в двигательной активности человека. Если такой закладки не произошло, то время для формирования физической и физиологической основы будущего кинезиологического потенциала можно считать упущенным [2, 9] .

Цель нашей работы заключалась в определении морфофункционального состояния младших школьников с различным уровнем двигательной активности.

Методы исследования. Мы изучали антропометрические характеристики, физическую подготовленность, функциональные показатели детей 7 – 10 лет. В обследовании приняли участие практически здоровые дети, не имеющие хронических патологий. Первую группу обследованных нами школьников составили 42 мальчика и 27 девочек, занимающихся в спортивных секциях не менее 4 часов в неделю и посещающих занятия физической культурой в рамках школьной программы, вторую группу – 27 мальчиков и 45 девочек, занимающихся физической культурой только на школьных занятиях по общеобразовательной программе 3 часа в неделю.

Результаты исследования и их обсуждение. Наше исследование базировалось на измерении меняющихся с возрастом параметров основных физиологических систем, антропологических данных, на результатах реакции основных физиологических систем в ответ на физические нагрузки.

Сравнивая исходные и конечные результаты антропометрических измерений, мы получили следующие данные.

Достоверная динамика антропометрических показателей отмечена как у девочек, так и у мальчиков обеих групп. В первой группе у мальчиков достоверный прирост наблюдался в длине и массе тела, в окружности грудной клетки; у девочек – в длине тела и в окружности грудной клетки. Во второй группе у мальчиков наблюдалась достоверная положительная динамика массы тела и окружности грудной клетки. У девочек второй группы достоверные различия обнаружены в длине тела, массе тела и окружности грудной клетки**.**

Прирост длины тела мальчиков первой группы составлял от 1,2 до 4,1 см; у девочек данной группы – от 0,1 до 4,5 см, а во второй – от 0,7 до 1,6 см и от 0,3 до 1,1 см. Средний показатель прироста длины тела составил в первой группе: мальчиков 2,67 см, у девочек – 1,8 см, во второй – 1,03 и 0,8 см. Анализ динамики показателей массы тела свидетельствовал об относительной равномерности их изменения. Средние значения прироста массы тела за время исследования у детей первой группы колебались от 0,93 кг у девочек до 1,5 кг у мальчиков, у детей второй группы – от 1,2 кг у мальчиков и 1,53 кг у девочек.

В процессе изучения динамики показателей окружности грудной клетки установлено, что мальчики первой группы отстают от сверстников по этим показателям. Темпы прироста окружности грудной клетки у мальчиков первой группы варьировались в пределах от 1,1 до 2,7 см; у девочек – от 0,4 до 2,0 см; у мальчиков второй группы – от 1,1 до 3,1 см; у девочек – от 0,5 до 3,2 см. В целом прирост окружности грудной клетки составил в первой группе: у мальчиков – 6,5 см, у девочек – 3,5 см; во второй – 5,5 и 5,6 см соответственно.

Неблагоприятная среда обитания оказывает тормозящее влияние на ростовую активность организма, а занятия спортом в определенной степени восполняют эту потерю, индивидуально воздействуя на морфологические и функциональные возможности.

Контрольные упражнения (прыжок в длину с места, наклон туловища вперед, сгибание-разгибание рук в упоре, подъем туловища в сед за 30 с, челночный бег с мячом 2х3 м, отбивание мяча от пола за 10 с) несут достаточно обширную информацию о состоянии опорно – двигательного аппарата ребенка, отражает уровень подготовленности его основных качеств и способностей, а их динамика дает довольно полную информацию об уровнях подготовленности школьников.

На первом контрольном испытании полученные результаты даже среди сверстников с одинаковыми показателями физического развития весьма отличались друг от друга. Мальчики первой группы уступали своим сверстникам из второй группы по показателям прыжка в длину с места и подъему туловища в сед за 30 с. Однако достоверных различий результатов двигательных тестов у мальчиков мы не обнаружили ни в одном из шести контрольных упражнений.

Сравнительный анализ исходных и итоговых результатов показал следующее. В первой группе наблюдалось улучшение всех результатов, но динамика была достоверной лишь у мальчиков по двум из шести тестов: наклон вперед сидя и подъем туловища в сед; у девочек по четырем из шести упражнений (кроме челночного бега с мячом и отбивания мяча от пола). У мальчиков второй группы наблюдались достоверные приросты по тем же показателям, что и у мальчиков первой группы, а у девочек – в наклоне вперед сидя , сгибании-разгибании рук в упоре и подъеме туловища в сед. Следует отметить, что у мальчиков второй группы по трем показателям (прыжок в длину с места , сгибание-разгибание рук в упоре, отбивание мяча от пола) в заключительном исследовании отмечалась отрицательная динамика по отношению к исходным результатам. Таким образом, 9-10-летние мальчики и девочки, занимающиеся спортом, превзошли своих сверстников практически во всех упражнениях, при этом достоверными отличия были в пяти из шести тестов (исключение составил челночный бег с мячом).

Уровни прироста результатов говорят о том, что занятия физической культурой и спортом приводят к повышению уровня общей физической подготовленности детей при адекватной физической нагрузке.

От уровня двигательной активности зависело и функциональное состояние детей. Так, под влиянием занятий физическими упражнениями отмечались достоверные изменения показателей жизненной емкости легких (ЖЕЛ). У девочек 8-10 лет первой группы ЖЕЛ увеличилась с 1419,2 ± 6,62 до 1889,2 ± 8,43 мл, у мальчиков - с 1569,3 ± 11,95 до 1988,6 ± 12,21 мл; второй группы – с 1415,0 ± 8,57 до 1699,5 ± 7,16 мл и с 1566,4 ± 13,32 до 1840,3 ± 13,51 мл соответственно.

Оценив антигипоксическую устойчивость по данным пробы Штанге (задержка дыхания на вдохе), мы обнаружим у мальчиков и у девочек первой группы положительную динамику с 39,1 ± 1,2 до 44,07 ± 0,86 с и с 37,2 ± 1,17 до 38,82 ± 0,76 с соответственно. Во второй группе наблюдалась отрицательная динамика

показателя пробы Штанге как у мальчиков (с 35,9 ± 2,13 до 34,48 ± 0,81с), так и у девочек (с 31,8 ± 1,88 до 29,64 ± 0,71с). К концу исследования дети первой группы опережали своих сверстников по показателю прироста задержки дыхания на вдохе .

За два года исследования чистота дыхания девочек первой группы уменьшилась на 6,05% по сравнению с исходной величиной, у мальчиков – на 1,71%, а во второй группе увеличилась соответственно на 13,81 и 6,06%.

Обнаружилась отрицательная динамика показателя частоты сердечных сокращений (ЧСС) после дозированной нагрузки в обеих группах. Снижение ЧСС произошло: в первой группе у мальчиков на 3,97%, у девочек – на 6,26%; во второй – на 0,28 и 1,12% соответственно. Можно отметить, что при меньшей ЧСС после нагрузки и одновременном увеличении уровня физической подготовленности у детей первой группы функциональные возможности сердечно-сосудистой системы были выше, чем у детей второй группы. Уровень благоприятной реакции сердечно-сосудистой системы детей, занимающихся спортом, был несколько выше, чем детей, не занимающихся спортом.

Анализ систолического давления выявил отрицательную тенденцию у девочек первой группы (с 91,3 ± 0,9 до 90,0 ± 0,75 мм. рт.ст.) и положительную – у мальчиков (с 90,0 ± 0,91 до 90,12 ± 0,27 мм рт. ст); во второй группе – положительную и у девочек (с 90,8 ± 0,83 до 91,45 ± 0,55 мм рт.ст.), и у мальчиков (с 91,1 ±0,57 до 94,26 ± 0,85 мм рт. ст.) Достоверными отличия результатов были только между группами мальчиков. Диастолическое давление у детей обеих групп незначительно повысилось, но достоверность различий имелась только между группами мальчиков.

Наиболее низкие значения ЧСС, артериального систолического и диастолического давления у детей, занимающихся спортом, говорят о большей степени устойчивости к неблагоприятным климатическим воздействиям.

Выводы. Дети, регулярно занимающиеся спортом, имеют статистически значимое преимущество перед сверстниками в показателях как физического развития, так и физической подготовленности и функциональных возможностей, что особенно важно в неблагоприятных климатических условиях.

Литература:

1.Алифанова Л.А. Соматофункциональный потенциал школьников в зависимости от различных режимов двигательной активности // Гигиена и санитария. 2002, №3,с.56- 59
2.Бальсевич В.К. Онтокинезиология человека. – М.: Теория и практика физической культуры, 2000. – 275 с.
3.Жвавый Н.Ф. и др. Морфофункциональные особенности организма жителей Тюменского Севера // Медико – биологические и экологические проблемы здоровья человека на Севере / Сб. матер. Всерос.науч.-практ. конф. Ч.1. – Сургут: СурГУ, 2000, с. 76 – 79.
4.Калематдинов В.Г. и др. Физическое воспитание как фактор адаптации в условиях районов Крайнего Севера // Теория и практика физ. культуры. 1997, №12, с. 19 – 23.
5.Ковязина О.Л. и др. Функциональные показатели школьников северного города // Экология человека, 2000.
6.Койносов А.П. Медико – биологические аспекты физического развития детей с различной двигательной активностью. Сургут, 2002. с. 105 -107.
7.Рапопорт Ж.Ж. Адаптация ребенка на Севере. – Л.: Медицина, 1979. – 192с.
8.Sallins J., Owen N. Physikal activity and behavioral medicine. – Sage Publications. – 1999. – 210 p.
9.Rowland Th. Exercise and children health. – Human Kinetics books. 1990. – 356 p.

Mariami Ubiria
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

MORPHOLOGICAL AND FUNCTIONAL PARAMETERS OF YOUNGER PUPILS WITH VARIOUS LEVELS OF MOTOR ACTIVITY

RESUME

The author studied antropometrical characteristics, physical preparedness and the state of functional systems of the children of 8 – 10 years. The research was of longitudinal character. The results of the research have shown that the younger pupils engaged in sports on the regular basis have significant advantage over the pupils of the same age, attending only lessons of physical culture.

ესმა წკრიალაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზოგიერთი ფოსფორორგანული ინსექტიციდის ანალოგების სინთეზი

ფოსფორორგანული ნაერთების გამოყენების სფერო ფართო და მრავალმხრივია. მათ იყენებენ ინსექტიციდების, ჰერბიციდების, ფუნგიციდების, მცენარეთა ზრდის რეგულატორების და სამკურნალო პრეპარატების სახით. ზოგიერთი მათგანი იხმარება პლასტიკური მასების წარმოებაში, აგრეთვე დანამატად ბენზინზე და თხევად საცხებზე, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების გამხსნელებად და სხვ.

იმისდა მიხედვით, თუ რა გზით აღწევენ ინსექტიციდები მავნებლების ორგანიზმში, ისინი იყოფიან: ნაწლავური (შინაგანი), კონტაქტური (გარეგანი), სისტემური მოქმედების და ფუმიგანტებად. ნაწლავური მოქმედების პრეპარატები მღრღნელი ტიპის პირის ორგანოს მქონე მწერების წინააღმდეგ გამოიყენება, კონტაქტური პრეპარატები კი ძირითადად მწუწნი პირის აგებულების მქონე მწერების წინააღმდეგ. ხშირად მათვე ახასიათებთ სისტემური, შინაგანი ან ფუმიგაციური მოქმედება. ასეთი თვისებებით ხასიათდება ფოსფორორგანული, ქლორორგანული, პირეტროიდული ჯგუფის პრეპარატები [1].

ფოსფორორგანული ნაერთების ინსექტიციდური თვისებები პირველად აღწერილი იქნა შრადერის მიერ [2]. მის შემდეგ 50 000-ზე მეტი ფოსფორორგანული ნაერთია სინთეზირებული და რეკომენდირებული პოტენციალური ინსექტიციდების სახით. მათგან დიდი ნაწილი წარმოადგენს ფოსფორის და ფოსფონის მჟავების და მათი თიოანალოგების ეთერებს [3] .

ყველა ფოსფორორგანული ინსექტიციდის მოქმედებას საფუძვლად უდევს საერთო მექანიზმი, სახელდობრ, ქოლინესტერაზას ინჰიბირების პროცესი [3-5]. ცნობილია, რომ აცეტილქოლინი მნიშვნელოვანი ნეირომედიატორია. აცეტილქოლინი განაპირობებს კუნთების შეკუმშვას, ხელს უშლის მათ რელაქსაციას. ეფექტური ინსექტიციდი, რომელიც აზიანებს მავნებლის ნერვულ სისტემას, ინჰიბირებას უკეთებს ქოლინესტერაზას, რის შედეგად ორგანიზმში ჭარბად გროვდება არაჰიდროლიზებული აცეტილქოლინი, რაც იწვევს ნერვული იმპულსების განუწყვეტლივ გადაცემას და შესაბამისად კუნთოვანი ქსოვილების განუწყვეტლივ შეკუმშვას, შემოკლებას. ამას მოსდევს დამბლა, რაც იწვევს მწერის სიკვდილს. ამაზეა დამყარებული ინსექტიციდების და ნერვულ-მაპარალიზებელი შხამების მოქმედება. ნერვულ-კუნთოვანი გადაცემა იწვევს აცეტილქოლინის გახლეჩას ქოლინად და ძმარმჟავად. ეს პროცესი - აცეტილქოლინის ჰიდროლიზური დაშლა ფერმენტ ქოლინესტერაზით, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგ სტადიებად:



რეაქციის ამ თანმიმდევრობაში 1 სტადია ითვლება ყველაზე ნელ და ამიტომ სიჩქარის განმსაზღვრელ სტადიად, ხოლო მე-3 სტადია მიდის ძალიან სწრაფად.

ანალოგიური სქემით რეაგირებენ ფოსფორორგანული ინსექტიციდები:



ამ სქემაში მე-3 სტადია მიმდინარეობს ძალიან ნელა და ითვლება სიჩქარის განმსაზღვრელ სტადიად. მაშასადამე, ფოსფორილებული ფერმენტი ძალიან მდგრადია აცეტილირებულ ფერმენტთან შედარებით.

მკვლევრები მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საჭიროა შეიქმნას ფოსფორორგანული ინსექტიციდების ფართო ასორტიმენტი, უმთავრესად სისტემური მოქმედების პრეპარატების, რომელშიც მაღალი იქნება შერჩევითობის ხარისხი და ამავდროულად მიაღწევენ ამ ნაერთების ძირითადი ნაკლის აღმოფხვრას - ტოქსიკურობას თბილსისხლიანი ცხოველებისათვის, რის გამოც უსაფრთხოების სპეციალური ზომებია საჭირო მათი გამოყენებისას [6].

ახალი ბიოლოგიურად აქტიური ფოსფორორგანული ნაერთების კვლევის სფეროში ყურადსაღებია ის გამოკვლევები, რომლებიც ეხება ფოსფორორგანული ნაერთების ფიზიოლოგიურ მოქმედებასა და ქიმიურ აღნაგობას შორის დამოკიდებულების განსაზღვრის საკითხს.

შრადერის [7] მრავალრიცხოვანმა ცდებმა შეეცვალათ მეთილპარათიონის (მეტაფოსი) მოლეკულა ისე, რომ მიეღოთ ნაკლებტოქსიკური ნაერთი თბილსისხლიანი ცხოველებისათვის (მაგრამ ინსექტიციდური მოქმედების), შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა ისინი: მეთილპარათიონის მოლეკულაში მეთილის ჯგუფის შეყვანა ორთო-მდებარეობაში ნიტროჯგუფის მიმართ იწვევს ტოქსიკურობის შემცირებას და ნაწილობრივ ინსექტიციდური მოქმედების დაკარგვას; მეორე მეთილის ჯგუფის შეყვანა იწვევს როგორც ერთი, ისე მეორე თვისების შემცირებას; ორი ნიტროჯგუფის შეყვანამ მოლეკულაში (ორთო- და პარა-მდებარეობაში) არ გამოიწვია ინსექტიციდური მოქმედების გაძლიერება, ხოლო დისულფიდურმა ხიდმა ფოსფორსა და ფენილის რადიკალს შორის ინსექტიციდური მოქმედების საერთოდ დაკარგვა გამოიწვია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ფოსფორორგანულ ნაერთებში ჩაგვერთო შერეული, ალიფატურ-არომატული (არალკილური) ჯგუფები, რომლებშიც გვერდითი ჯაჭვის სიგრძის ვარიირება, მასში არომატული ბირთვის მდებარეობა, და აგრეთვე ბირთვში ჩამნაცვლებლის ბუნება, რაოდენობა და მდებარეობა, საშუალებას მოგვცემდა ახალი ეფექტური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ძიებისა. ამ მიმართულებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული სინთეზის ლაბორატორიაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ რ. ლაღიძის ხელმძღვანელობით ახალი ფოსფორორგანული ნაერთების მისაღებად წარმატებით იქნა გამოყენებული ლაბორატორიაში პირველად სინთეზირებული არალკილჰალოგენიდები – 3-არილ-1-ბრომბუტანები, სადაც არილი (Ar) – ბენზოლი და მისი ჰომოლოგებია. არბუზოვის [8] ცნობილი რეაქციის მიხედვით ჩვენს მიერ სინთეზირებული იქნა რიგი 3-არილბუტილფოსფონის მჟავას ეთერები – O,O-დიეთილ-3-არილბუტილფოსფონატები [9]. აღნიშნული ფოსფონატების გასაპვნით მიღებული და დახასიათებული იქნა შესაბამისი არალკილფოსფონის მჟავები ოთხი ნახშირბადატომით გვერდით ჯაჭვში:



(1 - 2)

(1) Ar = C_6H_5-; (2) Ar = CH_3-C_6H_4-.

<u>ექსპერიმენტული ნაწილი</u>

<u>3-ფენილბუტილფოსფონის მჟავა</u> (1). 7 გ (0,026 მოლ) 0,0-დიეთილ-3-ფენილბუტილ ფოსფონატისა და 30 მლ მარილმჟავას ნარევს ადუღებენ უკუმაცივრის თანაობისას 130-150^0-ზე 14 სთ განმავლობაში. სარეაქციო მასა გადააქვთ ფაიფურის ჯამზე და აორთქლებენ. მიღებულ მყვითალო-მოყავისფრო ზეთოვან მასას ხსნიან 10%-იან NaOH ხსნარში, გადააქვთ გამყოფ ძაბრში და ექსტრაგირებას უკეთებენ სამჯერ, ჯერ ბენზოლით, შემდეგ ეთერით (3 x 20 მლ) ნეიტრალური მინარევების მოსაცილებლად. შემდეგ ტუტე ხსნარს ამჟავებენ მარილმჟავით სუსტ მჟავა რეაქციამდე. გამოვარდნილ ზეთოვან მასას ექსტრაგირებენ ეთერით (5 x 20 მლ), რეცხავენ წყლით და აშრობენ Na_2SO_4-ზე. გამხსნელის დაცილების შემდეგ პროდუქტი წარმოადგენს ბლანტ მასას, რომელიც დაყოვნების შემდეგ კრისტალდება ნემსისებური კრისტალების სახით. პრაქტიკული გამოსავალი 4,99 გ (90%). ლღ. ტემპ. 106-107^{0}C.

ნაპოვნია %: C 56.19, 56.30; H 7.17, 7.26; P 14.45, 14.35. $C_{10}H_{15}O_3P$.

გამოთვლილია %: C 56.07; H 7.00; P 14.48.

ანალოგიურად იღებენ *3-პ-ტოლილბუტილფოსფონის მჟავას* (2), ლღ. ტემპ. 86-87^{0}C.

ნაპოვნია %: C 57.32, 57.60; H 7.43, 7.51; P 13.58, 13.71. $C_{11}H_{17}O_3P$.

გამოთვლილია %: C 57.88; H 7.45; P 13.59.

აღნიშნული ნაერთების ინფრაწითელ სპექტრებში აღინიშნება დამახასიათებელი შთანთქმის ზოლები: P=O ჯგუფის 1150 სმ$^{-1}$, P-O ბმის 1000 სმ$^{-1}$ და ჰიდროქსილის ჯგუფების 2700 – 2500 სმ$^{-1}$ ზონაში.

ბიოლოგიური გამოკვლევების შედეგად, რომლებიც ჩატარებული იქნა მცენარეთა დაცვის საკავშირო ინსტიტუტში, ნაჩვენები იქნა, რომ ფოსფორორგანული ნაერთი №2 აფერხებს ტომატის ფიტოფტოროზის განვითარებას 85%-ით და ამავე დროს ხელს უწყობს წყალმცენარე Chlorella Vulgaris-ის უჯრედების ზრდას 160%-ით (კონტროლი 100).

ლიტერატურა:

1. გ. ალექსიძე. მცენარეთა დაცვა. თბილისი, 217, 2014.
2. G. Schrader. Die Entwicklung neuer Insektizide auf Grundlage organischer Fluor-und Phosphorverbindungen, Monographie Nr. 62, 2. Aufl., Verlag Chemie, Weinheim/Bergstr., 1952; пат.ФРГ 814152 и 814297.
3. Ван Везер, Фосфор и его соединения. пер. с англ., т.1, Издатинлит, 1962.
4. В.И. Никитина, М.Н. Измайлова, А.М.Кургузова, А.Н. Пудовик. Высокомол. соед., 6,2145(1964).
5. D.F. Heath. Organophosphorus Poisons. Anticholinesterases and Related Compounds, Pergamon Press Ltd., Oxford, 1961.
6. Ю.С. Каган. Токсикология фосфорорганических инсектицидов и гигиена труда при их применении, Медгиз, 1963.
7. G. Schrader. Angew. Chem., 73, 331, 1961.
8. Б. А. Арбузов, в сб. „Реакции и методы исследования органичесих соединений“, кн. 3, Изд.-во Химия “, 9, 1954.
9. Р.М. Лагидзе, Д. Р. Лагидзе, Э. И. Цкриалашвили. Синтез некоторых новых 0,0-диэтил-3-арил-бутилфосфонатов. Сообщения АН ГССР, 62, I, 65, 1971.

Esma Tskrialashvili

Gori State Teaching University

SYNTHESIS OF SOME PHOSPHORORGANIC INSECTICIDES ANALOGS

RESUME

A very important task facing chemistry is biologically active compounds of the structure, properties and physiological action between the union and regularity estimate, based on the new, effective compounds in the search. In this regard, in order to create a wide range, insecticides were synthesized having two aliphatic-aromatic chain with phosphonic acid: 3-phenilbutilphosphonic acid and 3-p-tolilbutilphosphonic acid which are considered as analogs of the phosphororganic insecticides.

ინგა აბულაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარებისათვის

1. შესავალი

საქართველოში ტურიზმის აღორძინება დაიწყო 2010 წლიდან და ეს დარგი ნელ-ნელა ვითარდება. ქვეყნის ტურიზმის ბიზნესის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა გადაიჭრას ის ძირითადი პრობლემები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ამ დარგის ეფექტურ განვითარებას. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას წარმოადგენს არაინფორმირებულობა, ან ინფორმაციის მიწოდების სისწრაფე. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა არის ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ტურიზმის სფეროში, რომელთა დანერგვა მნიშვნელოვნად აამაღლებს ვირტუალური ტურების მაძიებელთათვის სერვისის ხარისხს.

გეოინფორმაციული სისტემა (გის) ტურისტისათვის საინტერესო ობიექტის შესახებ ოპერატიულად ინფორმაციის შეგროვების, გადაცემისა და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი მეთოდოლოგიის დამუშავების საშუალებას იძლევა [1].

2. ძირითადი ნაწილი

ტურიზმი ეკონომიკური და სოციალური მოვლენაა და გულისხმობს მოგზაურობას დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დასათვალიერებლად ან ბიზნეს მიზნებით [2]. ტურიზმი ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროების სიმბიოზურ გამოყენებას გულისხმობს. ტურიზმი სერვისის (მომსახურების) სფეროს განეკუთვნება და გულისხმობს ადამიანის თავისუფალი დროის ეფექტურ გამოყენებას.

ზემოხსენებული პრობლემის გადასაწყვეტად ავტორის მიერ შემოთავაზებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ***MapInfo Professional*** სისტემა [3].

MapInfo Professional სისტემა საშუალებას იძლევა განვახორციელოთ:

- მარშრუტების დიგიტალიზაცია: შესაძლებელია ტექსტური, ფოტო და **GPS** ციფრული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება-ანალიზი და მათი შეტანა მონაცემთა ბაზაში; შესაბამისად ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მარშრუტებზე ობიექტების დატანა. შემდეგ შესაბამისი ინფორმაციის განთავსება როგორც ვებ საიტზე, ასევე მობილურში აპლიკაციის სახით;
- ტურისტულ მარშრუტებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განთავსება;
- ხალხური რეწვის, ან ფოლკლორული ანსამბლის შესახებ ინფორმაციის განთავსება;
- რეგიონების მასშტაბით რაიმე კრიტერიუმით გამორჩეული სკოლების განთავსება;
- პირველადი სამედიცინო პუნქტებისა და დაწესებულებების განთავსება.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრის მიერ შექმნილი ტურისტული პროდუქტი ***TravelGIS.ge*** და მისი ძირითადი ფუნქციების მიმოხილვა [4]. აღნიშნული პროდუქტის საფუძველზე მოდელების დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის ბიზნესის განვითარებას. ამ ვებ პორტალზე საქართველოს ტურისტული მარშრუტების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სამ ენაზე: ქართულად, ინგლისურად და რუსულად. ასევე, შესაძლებელია ***TravelGIS.ge*** მობილური აპლიკაციის გამოყენება. ***TravelGIS.ge*** ვებ პორტალზე მოცემულია 80 ვირტუალური ტური საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მიმართულებით და ამ ტურების რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

TravelGIS.ge ვებპორტალი შესაძლებლობას გვაძლევს ვირტუალურად ვიმოგზაუროთ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში და მივიღოთ დეტალური ინფორმაცია ტურისტული ობიექტების შესახებ. ამ ვებ პორტალზე ნაჩვენებია როგორც ტურისტული მარშრუტები, ასევე ამ ტურისტულ მარშრუტამდე მისასვლელი გზა და სხვა ატრიბუტები: გზის სირთულე, სატრანსპორტო საშუალება,

რომელ რეგიონს მიეკუთვნება, როგორი ტიპის ტურია და სხვ. დამატებითი ინფორმაცია. ამასთან ერთად, თითოეულ ტურისტულ მარშრუტზე მოცემულია როგორც ფოტო, ასევე ტექსტური ინფორმაცია ეკლესია-მონასტრების და სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილების; ზღვის დონიდან მათი სიმაღლის შესახებ და ა.შ., რაც, ბუნებრივია, აადვილებს რომელიმე ვირტუალური ტურის რეალურ ტურად განხორციელების პროცესს. ***TravelGIS.ge*** მობილურ აპლიკაციას აქვს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, შეგიძლიათ მოგზაურობის დროს თქვენი მობილურის საშუალებით გააკონტროლოთ თქვენი ადგილმდებარეობა რუკაზე [4].

TravelGIS.ge ვებ პორტალი უნიკალური შესაძლებლობაა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის აღმოაჩინონ საქართველო, რაც შემდგომში განაპირობებს მათ დაინტერესებას ჩვენი ქვეყნით. უცხოელი ტურისტების მოზიდვა ქვეყნის აღმშენებლობის მანიშნებელია და რაც ბუნებრივია მკვეთრად გააუმჯობესებს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

1-ელ ნახაზზე გთავაზობთ ზემოაღწერილი ***TravelGIS.ge*** ვებპორტალის ბაზაზე საქართვე-ლოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის კახეთის, კერძოდ, სიღნაღის ვირტუალური ტურის მოდელს [4]. ამისათვის, შევიდეთ ***TravelGIS.ge*** ვებ პორტალზე და მის საძიებო სისტემაში ავრიფოთ სიტყვა „სიღნაღი“ (ნახ. 1) ან წმინდა გიორგის ეკლესია და შემდეგ ავირჩიოთ ინკლუზიური ტური სიღნაღში. ტურის მარჯვნივ i ღილაკის მონიშვნის შემდეგ გამოვა ინფორმაცია ამ ტურის შესახებ (ნახ. 2).



ნახ. 1. სიღნაღის ინკლუზიური ტურის მოდელი 1



ნახ. 2. სიღნაღის ინკლუზიური ტურის მოდელი 2

1-ელ და მე-2 ნახაზებზე თქვენ ხედავთ სიღნაღის ინკლუზიური ტურის მარშრუტს, რომლებზეც დატანილია ყველა ღირსშესანიშნავი ადგილები: ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, შემაღლებულ ადგილას მდგარი წმინდა გიორგის ეკლესია, კვების სერვის-ცენტრი და სხვ.

მე-3 ნახაზზე წარმოდგენილია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ როგორც ფოტო, ასევე ინფორმაციული ხასიათის მასალა. როგორც სურათიდან ჩანს, ეს ტური მართლაც ინკლუზიურია, რადგან მისი მონახულება შესაძლებელია მათთვისაც, ვინც ეტლით გადაადგილდება.

ცხადია, რომ ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ტურიზმის სფეროში ემსახურება საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარებას და საქართველოს ტურიზმის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით.



ნახ. 3. წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ ფოტო და ინფორმაციული მასალა

3. დასკვნა

ავტორის მიერ შემოთავაზებულია ინოვაციურ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი გზა. ამისათვის, რეკომენდაციის სახით გთავაზობთ შემდეგი პუნქტების განხორციელებას:

- ხელი შეეწყოს ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია;
- გაიზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე;
- ამაღლდეს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა უნარ-ჩვევების (კომპეტენციის) დონე;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა რეგიონებში.

ამრიგად, ნაშრომში ავტორის მიერ ინოვაციურ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული *TravelGIS.ge* ვებ პორტალის ბაზაზე დამუშავებულია საქართველოში ტურიზმის ბიზნესის განვითარების მოდელები საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის კახეთის, კერძოდ, სიღნაღის მაგალითზე.

ლიტერატურა:

1. ზ. გასიტაშვილი, ი. აბულაძე. საგზაო მოძრაობის ქსელის მონიტორინგი გეოინფორმაციული სისტემის გარემოში. სტუ, შრომები, 2007 #2(464).
2. http://www2.unwto.org/content/why-tourism.
3. ს. ცირამუა. გეოინფორმაციული სისტემა MapInfo Professional. სალექციო კურსი, თბილისი, 2011, გვ. 125.
4. www.travelgis.ge.

Inga Abuladze

Georgian Technical University

TO USE INNOVATIVE INFORMATION TECHNOLOGY FOR TOURISM BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

RESUME

The article discusses the ways of solution the main problems of our country's tourism business, which should contribute to the efficient functioning of this sector. For this purpose is discussed MapInfo Professional geographic-information system (GIS) based on innovative information technologies . In addition, is processed development models of tourism business in Georgia on the base at the web portal of *TravelGIS.ge.*

Key Words: Tourism business, Innovative information technologies, Geographical-information system, Virtual tours.

მაია აზმაიფარაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარინა მეტრეველი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ხოლო ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას ტურისტული რესურსების პოტენციალი წარმოადგენს. რესურსული პოტენციალის მნიშვნელობის მხრივ საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, რომლის მიმართაც ინტერესი უძველესი დროიდან არსებობდა. მას თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამო ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი გააჩნია.

ტურიზმი სწორედ ის სფეროა, სადაც წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ტურისტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, შთაბეჭდილებების მოხდენას და მათი უფლებების უზრუნველყოფას. ჩვენი ქვეყანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოიზიდოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ვიზიტორები. აღსანიშნავია, რომ შედეგებიც არსებობს, ქვეყანაში 6 მლნ-ზე მეტი საერთაშორისო მოგზაური შთამბეჭდავია, დასახული მიზანი 11 მლნ-მდე ვიზიტორთა გაზრდა მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ჩვენი ქვეყნის ყოველი რეგიონი თავისებურად უნიკალურია. ადეკვატური ტურიზმის განვითარებისათვის და საჭირო ბაზის განსაზღვრისათვის აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: სხვა ტერიტორიასთან შედარებით რა რესურსებით არის უნიკალური კონკრეტული ტერიტორია? და კონკრეტული ტერიტორიის რესურსები (მემკვიდრეობა) როგორ შეიძლება გამოყენებული იქნას ტურიზმის მიზნებისათვის?

ქართული ტურისტული პოტენციალის გამდიდრებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს შიდა ქართლი. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (World Travel and Tourism Council - WTTC) მონაცემებით, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მონახულებად ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს მიეკუთვნება უფლისციხე და სტალინის სახლ-მუზეუმი. გორის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უფლისციხის არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალი ყოველწლიურად 200 000-მდე ტურისტს მასპინძლობს, სტალინის სახლ-მუზეუმს 2017 წლის იანვარ-სექტემბრის თვის მონაცემებით 60042 საერთაშორისო მოგზაური ეწვია.[1] შიდა ქართლში კიდევ მრავალი ტურისტული ადგილის „აღმოჩენაა“ შესაძლებელი მოგზაურთა და დასვენების მოყვარულთათვის. ჩვენ მიერ შესწავლილია შიდა ქართლში ატენის ხეობის ტურისტული რესურსები, როგორც რეგიონული ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

GIZ-ის მიერ ჩატარდა კვლევა ატენის ხეობაში, თვისებრივი კვლევის თანახმად ირკვევა, რომ ატენის ხეობის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების დეტერმინანტები მდგომარეობს შემდეგში: 1. ატენის ხეობა მოიცავს მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკად ტანას აუზს, რომელიც თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე საცხენისისა და წერეთის შტოქედებს შორის არის მოქცეული. მდინარე ტანას საერთო სიგრძე 46 კმ-ია. აუზის ფართობი 382 კმ^2, ხოლო საშუალო სიმაღლე 1400 მზ. დ.-დან. მდინარე ტანას სათავე დაახლოებით 2000 მ. ზ.დ-დან სიმაღლეზე მდებარეობს. იგი ჯამჯამას მთიდან (ზ.დ.-დან 2400მ) მოედინება და მტკვარს სოფელ ხიდისთავთან უერთდება. როგორც ცნობილია, ატენის ხეობა ისტორიულად იწოდება როგორც „ტანას ხეობა“. "ტანის ხევის" სახელით ეს ადმინისტრაციული ერთეული ცნობილია IV - VII საუკუნეებში. ატენის ხეობის სამეურნეო-კულტურული განვითარებისა და მნიშვნელობის დამადასტურებელია ადრინდელი ფეოდალური ციხესიმაგრეების მშენებლობა. ტანა წარმოდგება სიტყვისაგან ტინი, რაც ნიშნავს სალ კლდეს. ატენის ხეობის მჭიდროდ დასახლებულობას მოწმობს აქ არსებული ისტორიული ძეგლები, ციხე-კოშკები და ეკლესია-მონასტრები. ამ პატარა და ვიწრო ხეობაში 50-მდე ძველი ეკლესია და დაახლოებით 25 სოფელია, უმეტესობას ძველი სახელი შემოუნახავს.[2]

2. ხეობა განსაკუთრებული ბუნებრივი პირობებით ხასიათდება: ატენის ხეობის კლიმატი სუბტროპიკულია, მდინარე ტანას დაბლობში კლიმატი ზომიერად მშრალი და საშუალოდ ტენიანობისკენ არის მიდრეკილი, რის გამოც ზაფხული ცხელია და ნალექების მცირე რაოდენობა მხოლოდ წელიწადის ორ პერიოდზე მოდის. ატენის ხეობაში წელიწადში საშუალოდ 202 მზიანი დღეა, რაც გაცილებით მეტია ბორჯომის ხეობის იგივე მონაცემზე.

3. რელიეფის თვალსაზრისით, ატენის ხეობა დაბალმთიან ზონას წარმოადგენს, სადაც უმთავრესად მთაგორიანი რელიეფის ნაზი ფორმებია. ხეობის ქვედა ზოლი მშრალი და ნახევრადმშრალი მდელოებია ღვიის ბუჩქებით და ფართოფოთლოვანი მუხნარი ტყეებით. უფრო მაღალ მდელოებზე წიფლის, რცხილას, ნეკერჩხლის, ცაცხვისა და ნაძვნარის შერეული ტყეებია, რომელიც სუბალპურ ზონაში არყისა და წიწვოვან მასივებში გადადის.

4. ზღვის დონიდან სიმაღლის მნიშვნელოვანი ვარიაციის გამო (400-2000 მ) ატენის ხეობაში ეკოსისტემათა მრავალფეროვნებას აქვს ადგილი. ხეობის ქვემო ნაწილს მშრალი მდელოები, ღვიის ბუჩქნარები და ფართოფოთლოვანი ტყეები შეადგენს. შუა ნაწილში შერეული ტყეები გვხვდება (წიფელა, რცხილა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ნაძვი, სოჭი და ფიჭვი), რაც სიმაღლის მატებასთან ერთად წიწვოვანი ტყეებით იცვლება.

5. ხეობაში სოფელ ბიისთან ახლოს 2 ბუნებრივი მინერალური წყაროა, რომელიც გამოუყენებლად ჩაედინება მდინარე ტანაში. გასათვალისწინებელია ბოლო პერიოდში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის შედეგები,

[1] http://places.georgia.travel

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს გეოგრაფია“, 1904

რომლის მიხედვით, მხოლოდ ერთ-ერთი ჭაბურღილის წყლის გამოყენებაა შესაძლებელი გამაჯანსაღებელი და სამკურნალო მიზნებისათვის, რადგან აღნიშნული წყაროს წყლის მინერალიზაცია აღწევს 1000mg/l-ს, რაც სამკურნალო წყლის მინიმუმად ითვლება. ხოლო მეორე ჭაბურღილის წყალი, წყალბადის სულფიტის მაღალი შემადგენლობის გამო, არ არის მიზანშეწონილი გამაჯანსაღებელი და სამკურნალო მიზნებისათვის. [1]

ხეობის ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მახასიათებლები საუკეთესო პირობებს ქმნის ხეობაში მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულებების განვითარებისათვის: 1. დიდ ქალაქებთან და ტურისტულად მნიშვნელოვან ობიექტებთან (უფლისციხე, სტალინის სახლ-მუზეუმი) სიახლოვე; 2. ულამაზესი პეიზაჟები და ბუნება, გამორჩეული კლიმატი; 3. მრავალფეროვანი და მიმზიდველი ლანდშაფტი: ტყეები, მინდვრები, მდინარის ნაპირები, მშვიდი და ბუნებრივი საპიკნიკე და სარეკრეაციო გარემო; 4. მდიდარი ფლორა და ფაუნა: გადამფრენი ფრინველების, პეპლების, ცხოველებისა და მცენარეების ნაირსახეობა; 5. ბუნებრივი მინერალური წყარო; 6. ხეობაში არსებული კულტურულ-ისტორიული ობიექტები, მათ შორის 12 განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი (მათ შორისაა ატენის სიონი); 7. ცნობილი და აღიარებული ღვინო - ატენური; 8. ატენის ხეობის ტრადიციული დღესასწაულები.

შიდა ქართლში ატენის ხეობაში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. ატენის ხეობის მიმზიდველი ბუნება, მდიდარი ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა საინტერესოს ხდის მას ქართველი და უცხოელი ვიზიტორებისათვის. გამორჩეულია მისი მრავალფეროვანი გარემო, განსხვავებული კლიმატური ზონები, სამკურნალო და მინერალური წყლები, გამაჯანსაღებელი ჰავა. აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კარგი შესაძლებლობები არსებობს მოკლე და გრძელვადიანი დასასვენებელი და გასართობი (პიკნიკები, ლაშქრობები და ექსკურსიები, თევზაობა, ნადირობა, ფრინველებზე დაკვირვება, ფოტო ნადირობა), სათავგადასავლო (საფეხმავლო, სამთო, საცხენოსნო, ველო, კვადრო და ჯიპ ტურები), პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი (მინერალური წყლები) და ექსტრემალური (ყინულზე ცოცვა, მეკლდეურობა, საჰაერო ბუშტი, პარაპლანით ფრენა, პარაშუტით ხტომა, ჯამპინგი) ტურიზმის მიმართულებების გასავითარებლად; 2. ატენის ხეობას მეღვინეობის საკმაოდ ძირძველი ტრადიციები აქვს. ის მაღალი ხარისხის ატენური ღვინის სამშობლოა. ამ ფაქტორის გამოყენებით შესაძლოა ღვინის ტურიზმის განვითარება (მარნების და ვენახების მონახულება, ღვინის დეგუსტაცია, ღვინის ფესტივალში მონაწილეობა, ატენური ღვინის მუზეუმის დათვალიერება); 3. სხვა უძველეს ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან ერთად ატენის ხეობა ცნობილია ატენის სიონის ტაძრის - როგორც განსაკუთრებული ეროვნული საგანძურის უნიკალურობითაც, რაც შესაძლოა ძლიერი მოტივაცია გახდეს რელიგიურად მოტივირებული ტურისტებისათვის ერთი ან ორდღიანი პილიგრიმული ტურების მოსაწყობად. ატენის სიონის გარდა ხეობაში 300-მდე ისტორიულ-კულტურული ძეგლია, რომელთაგან 12-ს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული; [2] 4. ხეობაში არსებული ბუნებრივი და ტურისტული რესურსების კომბინაცია, ბაზარზე არსებული მოთხოვნები კარგ შესაძლებლობებს ქმნის ხეობაში ტურიზმის განვითარების პროცესში ბიზნეს ინტერესების ჩართვისა და საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის; 5. ძირითადი ტურისტული ობიექტები (უფლისციხე, გორი) და დედაქალაქისკენ მიმავალ მთავარ მაგისტრალთან სიახლოვე ვიზიტორის ატენის ხეობით დაინტერესებას უწყობს ხელს; 6. ატენის ხეობა საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა, სადაც ბიომრავალფეროვნება ჯერ კიდევ შენარჩუნებულია. აქ არსებული უნიკალური კლიმატური პირობები ხელს უწყობს მრავალფეროვანი და ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხეობაში ტურიზმის განვითარებას; 7. ატენის ხეობის მოსახლეობას მცირე გამოცდილება აქვს ტურისტების, ვიზიტორების მასპინძლობაში.

[1] https://www.giz.de/

[2] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

წარმოდგენილი SWOT-ანალიზი ასახავს არსებულ ვითარებას:

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<u>ტურიზმი:</u> – მრავალფეროვანი და მიმზიდველი ლანდშაფტი; – მდიდარი ფლორა და ფაუნა; – მაღალი რეკრეაციული ღირებულება; – ბუნებრივი საპიკნიკე და რეკრეაციული ადგილები; – ბუნებრივი მინერალური წყაროები; – მდიდარი და საინტერესო ისტორია; – დიდ ქალაქებთან სიახლოვე (გორამდე 15-30 წთ., თბილისამდე 75-90 წთ.); – მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილებთან სიახლოვე (სტალინის სახლ-მუზეუმი, უფლისციხე); – უძველესი ისტორიულ-კულტურული ძეგლები, უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლი - ატენის სიონის ტაძარი; – ღვინის ცნობილი და აღიარებული სახეობები; – ადგილობრივი ტრადიციები და დღესასწაულები; – მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა.	**<u>ტურიზმი:</u>** – ზოგადი ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით ხეობის მთავარი გზის სავალალო მდგომარეობა; – ტურისტული ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი მომსახურების არარსებობა; – გზებსა და ტურისტული დანიშნულების ადგილებზე დასუფთავების მომსახურების არ არსებობა; – ისტორიულ-კულტურული ძეგლების უმეტესობის სავალალო მდგომარეობა; – მივიწყებული ტრადიციები და დღესასწაულები; – ხეობის შესახებ სარეკლამო და მარკეტინგული მასალების არ არსებობა; – ადგილზე კერძო ტურისტული სააგენტოების არარსებობა – ატენის ხეობაში ინვესტიციების მოზიდვის სირთულე.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
– გორის მიმართ მზარდი ტურისტული ინტერესი; – გორში ღამისთევით დაინტერესებულ ტურისტთა გაზრდილი ნაკადი; – სამოქალაქო საზოგადოების ინტერესი ატენის ხეობის განვითარების მიმართ; – მოთხოვნა გამაჯანსაღებელ და პროფილაქტიკურ პროდუქტებზე; – მოთხოვნა ბუნებაში, ღია ცის ქვეშ აქტიურ დასვენებაზე, ბიოლოგიურად სუფთა, ნატურალურ საკვებზე, ოჯახურ ღვინოებზე.	– რეგიონში არსებული სასაზღვრო ზოლი (კონფლიქტის ზონა); – ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის საჭირო დიდი ფინანსური დანახარჯები; – ტყის მასივების ჭრითა და ბრაკონიერობით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები; – ტერიტორიის ავთენტურობისა და რეკრეაციული დანიშნულების დაკარგვა.

ატენის ხეობაში ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს მიეკუთვნება:

პრიორიტეტი 1: გარემოს დაცვა;
პრიორიტეტი 2: ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
პრიორიტეტი 3: ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარება;
პრიორიტეტი 4: ტურისტული მომსახურების განვითარება;
პრიორიტეტი 5: საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;
პრიორიტეტი 6: ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;
პრიორიტეტი 7: ატენის ხეობის მარკეტინგი.

მნიშვნელოვანია ატენის ხეობისათვის „დაცული ლანდშაფტის“ სტატუსის მინიჭება; ბუნებრივ და კულტურულ გარემოს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ატენის ხეობის განვითარების სტრატეგიაში: ტყის ეკოსისტემის და ბიომრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა, ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილება; კატასტროფული კერებისა და მოვლენების კონტროლი, სტიქიური მოვლენების პრევენცია; განახლებადი ენერგიის გამოყენება.

უმნიშვნელოვანესია ატენის ხეობის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, რომელიც არა მხოლოდ ატენის ხეობის განვითარებას, არამედ მომავალში შიდა ქართლის ბაკურიანთან და ასპინძასთან

დაკავშირებას შეუწყობს ხელს, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ხეობის ეკონომიკურ მნიშვნელობას. ტურისტული ჯგუფების უსაფრთხოებისთვის აქვე გასათვალისწინებელია ფეხით, ველოსიპედით ან ცხენით გადაადგილების მსურველთათვის სპეციალური ბილიკების მოწყობა; საჭიროა ხეობის სოფლების გაზიფიცირება, რადგან ადგილობრივი მოსახლეობისათვის გათბობა და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილება ძირითადად სოფლის მიმდებარე ტყეებში მოპოვებული შეშის საშუალებით ხდება. ჩასატარებელია საპროექტო და ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხეობაში სასმელი წყლის ახალი სათავე ნაგებობების მოსაწყობად, ასევე უნდა გადაიჭრას საკომუნიკაციო საკითხები, როგორიცაა ხეობის სისტემატური სატრანსპორტო მომსახურება, ხარისხიანი სატელეფონო, მობილური და ინტერნეტ კავშირი.

ატენის ხეობაში ტურიზმის განვითარებისათვის ხელი უნდა შეეწყოს ტურისტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, დასვენებისა და რეკრეაციისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის შეთავაზებას: 1. ხელი უნდა შეეწყოს ხეობაში საინფორმაციო დაფებისა და საგზაო მანიშნებლების მოწყობას, რაც ტურისტს დამოუკიდებლად გადაადგილებისა და საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემს; 2. ხეობაში უნდა გამოიყოს რამდენიმე დასასვენებელი ადგილი და მოხდეს მისი კეთილმოწყობა; 3. გამოიყოს დროებითი ღამისთევის ბანაკებისათვის შესაფერისი ადგილები; 4. სხვადასხვა პროგრამების დახმარებით ხელი უნდა შეეწყოს მცირე ზომის, კეთილმოწყობილი სასტუმროების მოწყობას, რომლებიც უპირატესად ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილება იქნება და დასასვენებელ, სარეკრეაციო და გამაჯანსაღებელ ფუნქციას შეასრულებს; 5. საჭიროა განთავსდეს ბიოტუალეტები.

ატენის ხეობის განსხვავებული კლიმატური ზონების, გამაჯანსაღებელი ჰავის, მრავალფეროვანი გარემოს, მიმზიდველი ბუნებისა და ლანდშაფტის, სამკურნალო და მინერალური წყლების სახით არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს და ტურისტებისთვის შეთავაზებულ იქნეს მრავალფეროვანი ტურისტული პაკეტები: 1. მოკლე და გრძელვადიანი დასასვენებელი და გასართობი (პიკნიკები, ლაშქრობები და ექსკურსიები, თევზაობა, ნადირობა, ფრინველებზე დაკვირვება, ფოტო ნადირობა) პაკეტები; 2. სათავგადასავლო (საფეხმავლო, სამთო, საცხენოსნო, ველო, კვადრო და ჯიპ ტურები) ტურები; 3. ექსტრემალური (ყინულზე ცოცვა, მეკლდეურობა, პარაპლანით ფრენა, პარაშუტით ხტომა, ჯამპინგი) ტურები; 4. პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი (მინერალური წყლები, სპა სასტუმროები) პაკეტები; 5. ენოტურიზმის განვითარება, ატენური მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციების აღდგენა, რაც გულისხმობს მეღვინეთა ასოციაციებისა და კოოპერატივების შექმნის, ატენური ღვინის ბრენდის პოპულარიზაციისა და ჩამოსხმის, ენდემური ჯიშების გამოყენებით ახალი ვენახების გაშენების ხელშეწყობას. მხარდაჭერა გაეწიოს ადგილობრივი ღვინის მარნების მეპატრონეებს ტრენინგ-სემინარების, საგანმანათლებლო და სხვა მხარდამჭერი პროგრამების, ფესტივალებში მონაწილეობისა და ღვინის რეკლამირების, ღვინის სადეგუსტაციო მარნების გახსნის სახით, რაც გაზრდის ვიზიტორთა ინტერესს „ატენური“ ღვინისა და ზოგადად ხეობის მიმართ; 6. პილიგრიმული ტურიზმის განვითარება; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან და გორისა და ატენის ეპარქიასთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩამოყალიბდეს ერთი ან ორდღიანი პილიგრიმული ტურები და შეთავაზებულ იქნეს შესაბამისი ინტერესის მქონე ტურისტებისა და ტურ-სააგენტოებისვთის. ატენის ხეობის ტურისტული გზამკვლევების შექმნა - საჭიროა მომზადდეს სხვადასხვა სახის ტურისტული გზამკვლევები, ინფორმაცია მომზადდეს რამდენიმე ენაზე და გავრცელდეს ბეჭდური და ელექტრონული სახით.

ატენის ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ტურისტული მომსახურების მარკეტინგი გულისხმობს ქართველი და უცხოელი ვიზიტორებისათვის მოეწყოს სეზონური გამოფენა-ბაზრობები, ფესტივალები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დეგუსტაცია, ტრადიციული სპორტული შეჯიბრებები. ტურისტულ სეზონზე ადგილობრივი პროდუქციის გასაღების მიზნით მოეწყოს მცირე ტიპის ბაზრობები, კვების ობიექტები, „ფაცხები“ და სხვა. დაიბეჭდოს და გამოიცეს ბუკლეტები, ფლაერები და სხვა სახის საიმიჯო და სარეკლამო მასალები ხეობის, იქ არსებული პროდუქტისა და მომსახურების შესახებ.

ამრიგად, „ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ტურისტებისთვის მიმზიდველ ქვეყანას პასუხისმგებლობას და მოტივაციას უზრდის. ორმხრივი და ევროპის დონეზე თანამშრომლობა დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ადგილობრივი თემების, განსაკუთრებით სოფლად, თვითმყოფადობისა და ინტერესების პატივისცემას, ადგილობრივი განვითარების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით; ბ) კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას; გ) ტურიზმსა და გარემოს დაცვას შორის პოზიტიურ ურთიერთქმედებას. ვფიქრობთ, სწორედ ეს გამოწვევები ადეკვატურად უნდა იყოს აღქმული ჩვენს შემდგომ მოქმედებებში. ჩვენ მიერ წარმოდგენილი

ტურისტული პოტენციალი, როგორც რეგიონისა თუ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, არ უნდა დარჩეს გამოუყენებელი და აუთვისებელი.

ლიტერატურა:

1. http://places.georgia.travel
2. „საქართველოს გეოგრაფია“, ვახუშტი ბატონიშვილი, თბილისი, 1904.
3. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. თბილისი, 1990.
4. https://www.giz.de/
5. https://ka.wikipedia.org/
6. http://www.parliament.ge/ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება, 2016.
7. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021
8. გორი და გორის რაიონი - გამომცემლობა ''უნივერსალი''. თბილისი, 2010.
9. საქართველოს გეოგრაფია - პავლიაშვილი ნ. ხარაბაძე კ. თბილისი, 2010.
10. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, www.gnta.ge
11. www.dzeglebi.com
12. www.caucasustravel.com
13. http://www.geostat.ge/

Maia Azmaiparashvili
Gori State Teaching University
Marina Metreveli
Georgian Technical University

TOURISM DEVELOPMENT PERSPECTIVES IN SHIDA KARTLI

RESUME

The work aims at studying, assessing and strategic directions of the Aten's side tourist potential in Shida Kartli. Shida Kartli plays a big role in enriching Georgian tourism potential. To analyze the results of tourism-recreational resources / potential evaluations, we used the research method - SWOT analysis. Determine the factors that have positive and negative impact on the tourism development of the valley. As a result of the survey, the priority activities, such as environmental issues, destructive development on destinations, different directions of tourism, tourism services, etc.

Opportunities for tourism development in Ateni Gorge, Shida Kartli, can be formed as follows: 1. Picturesque landscapes of Ateni Gorge, rich history and cultural heritage makes is interesting for Georgian and foreign tourists. The gorge is famous for its natural biological diversity, different climatic zones, medicinal or mineral waters, a recreation climate. Due to the factors there are good opportunities for short and long term leisure and entertaining (picnics, hiking and excursions, fishing, hunting, bird-watching, photo-hunting), adventurous (hiking, mount-climbing, horse riding, bicycle, quarry and jeep tours), prophylactic-recreation (mineral waters) and extreme (ice climbing, rock climbing, air balloon flight, paragliding, parachute jumping, jumping) tours development. 2. Ateni Gorge has quite old traditions of winemaking. It is the home of high quality Atenuri wine. Using these factors, it is possible to develop wine tourism (visiting Marani and vineyards, wine degustation, participation in the wine festivals, visiting Atenuri wine museum). 3. Alongside the ancient historical sight, Ateni Gorge is famous for the uniqueness of the special national treasure of Ateni Sioni Church. It can be a strong motivation for travelers to plan one or two day pilgrim tours. Apart from Ateni Sioni there are up to 300 historical and cultural monuments in the Gorge. 4. Combination of natural and touristic resources of the Gorge, market requirements, creates good opportunities to involve business interests and implement investment projects for the tourism development in the Gorge. 5. Main objects of Ateni (Uplistsikhe, Gori) and the location, close to the main road leading to the capital city, helps the visitor to be interested in Ateni Gorge 6. Ateni Valley is one of the regions of Georgia where biodiversity is still maintained.

თეა ანესაშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ეკონომიკური ტრანსფორმაცია საქართველოში

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოს არაერთი გადაუწყვეტელი პრობლემა ერგო. გაძლიერებულმა საპრეზიდენტო ძალაუფლებამ პოსტრევოლუციურ მთავრობას შეაძლებინა აღედგინა ფინანსური წესრიგი და გაეზარდა საგადასახადო შემოსავლები, დაეძლია საბიუჯეტო კრიზისი, რამაც შესაძლებელი გახადა დაგროვილი საპენსიო და სახელფასო (საბიუჯეტო სექტორში) დავალიანებების დაფარვა. ახალმა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას. მთავრობის ძალაუფლების გაფართოებამ უზრუნველყო ისეთი ამბიციური ეკონომიკური რეფორმების გატარება, როგორიცაა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ბიზნესის ლიცენზირების პრაქტიკის გამარტივება და გადასახადებისა და ტარიფების განაკვეთების შემცირება, რამაც აშკარად მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება. 2007 წლის შემოდგომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა გაუქმებული ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქცია, ხოლო 2006 წლის გაზაფხულზე თავდაცვის მინისტრს დაევალა ქართული ღვინისათვის საზღვარგარეთ ბაზრების მოძიება.

რევოლუციურ ტალღაზე ჩატარებული მთავრობის რეორგანიზაცია არაერთ სამინისტროსა თუ დეპარტამენტს შეეხო. კერძოდ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც რევოლუციამდე როგორც დამოუკიდებელი ერთეული უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, იმისდა მიუხედავად, რომ ეს აშკარად ინტერესთა კონფლიქტს მოასწავებდა. შედეგად პოსტრევოლუციურ საქართველოში სტატისტიკას იგივე პოლიტიკური ფუნქცია დაეკისრა, რაც მას ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჰქონდა; ის კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ფაქტების მიუხედავად, სახელმწიფო სტატისტიკას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ყოველწლიურად უპირობო გაუმჯობესება უნდა გამოექვეყნებინა. მაგალითისათვის გავიხსენოთ 2006 წლის აგვისტო, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტს „შემთხვევით გაეპარა“ და წლიური ინფლაცია ივლისის თვის მდგომარეობით 14.5%-ის დონეზე დააფიქსირა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან მწვავე კრიტიკის შედეგად მთავრობამ დეპარტამენტის თავმჯდომარე გადააყენა და მის შემცვლელს დაევალა ინფლაციის შემცირება. მთავრობის განცხადების თანახმად, 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 9.2%-ის დონეზე დაფიქსირდა, რითაც ფორმალურად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა, ამ უკანასკნელმა მომხდარზე თვალის დახუჭვა არჩია.

2009 წელს სტატისტიკის შესახებ ახალი კანონის მიღების საფუძველზე სტატისტიკის სააგენტო ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, თუმცა, მის უმაღლეს ორგანოში – სამეთვალყურეო საბჭოში გათვალისწინებულ იქნა ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების, ასევე, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელთა მონაწილეობა, რითაც ხსენებული ინტერესთა კონფლიქტი პრაქტიკულად შენარჩუნდა.

საქართველოს ეკონომიკაში გატარებულ ცალკეულ ნაბიჯს, რომელიც არა მხოლოდ, ეკონომიკურ თეორიას, არამედ ელემენტარულ საღ აზრს ეწინააღმდეგება, ძნელია მოეძებნოს რაიმე დასაბუთება და მით უფრო გამართლება. ამ ტიპის ეკონომიკურ ნაბიჯებში განსაკუთრებით გამოირჩევა დასაქმების 50 ათასი კაცით გაზრდის კეთილშობილური მიზნების მქონე ღონისძიება. მის თანახმად, მეწარმეებს იმპერატიულ ტონალობაში ეთხოვათ სამი თვის განმავლობაში დაესაქმებინათ უმუშევრები, რომლებიც ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდნენ 2006 წელს თვეში 150 ლარის, ხოლო 2007-2008 წლებში თვეში 200 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული ათეულობით მლნ ლარის შედეგად ერთეულები მართლაც დასაქმდნენ, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში მოხდა ჩვეულებრივი გარიგება: მეწარმეები თანახმა იყვნენ ხელი მოეწერათ დოკუმენტზე - თითქოს კონკრეტული პირი სამსახურში დადიოდა და რაღაცას აკეთებდა. უმუშევარიც კმაყოფილი დარჩა, რადგან მან ჯერ 450, მოგვიანებით 600 ლარი მიიღო არაფერში. უფრო მახინჯი სიტუაციებიც დაფიქსირდა – ზოგი მეწარმე ხელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აწერდა შესაბამის დოკუმენტზე, თუ უმუშევარი მას თანხის ნახევარს მისცემდა. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაქმების ზრდის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი ათეულობით მლნ ლარის შინაარსობრივი დატვირთვა უმთავრესად უმუშევართათვის შემწეობის გაღებაში გამოიხატა. ეს თანხა ისე გავიდა ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქციის შესაძენად, რომ ადეკვატური რაოდენობის პროდუქცია (და მომსახურება) არ შექმნილა, რამაც ბუნებრივად ინფლაციის ზრდას შეუწყო ხელი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ე.წ. დასაქმების პროგრამასთან

ერთად, წინასაარჩევნოდ სტუდენტებისათვისაც გაკეთდა მსგავსი შინაარსის მქონე ქალაქის დასუფთავების პროგრამა, ხოლო 2007–2008 წლის ზამთარში დარიგდა სხვადასხვა სახეობის საქონლის შესაძენად გამოყოფილი ვაუჩერები, რის შედეგადაც ინფლაციის დონე კიდევ უფრო გაიზარდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტით არაერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი (მაგალითად, ანტიმონოპოლიური სამსახური, კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის სამსახური) გაუქმდა, რამაც, ერთი მხრივ, მოსახლეობა დააზარალა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო დააკნინა.

მთავრობის მხრიდან კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის უგულებელყოფა ყველაზე ნათლად საკუთრების უფლების ხელყოფაში გამოიხატა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტით განსაკუთრებით შემაშფოთებელია დეპრივატიზაციის პროცესი, როცა პრივატიზებული ობიექტები პრივატიზაციის პროცესში დაშვებული (რაც ცალკეულ შემთხვევაში არც კი არის დასაბუთებული) შეცდომების გამოსწორების საბაბით ჩამოერთვა კერძო მესაკუთრეებს და დაუბრუნდა სახელმწიფოს ხელახალი პრივატიზაციის მიზნით. სხვა სიტყვებით, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირება თავიდან დაიწყო, რაც ამ ინსტიტუტის დაუცველობაზე მეტყველებს. საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და განვითარება, როგორც ცნობილია, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიების გარეშე შეუძლებელია. გარდა ამისა, დეპრივატიზაციის საშიში შედეგი რევანშის მოლოდინის ფორმირებაშიც გამოიხატა, როცა საკუთრებაჩამორთმეულები ელოდებოდნენ მათთვის ხელსაყრელ მომენტს, რათა ეს საკუთრება დაებრუნებინათ, რაც, ასევე უთხრის ძირს კერძო საკუთრების ინსტიტუტის სტაბილურობას.

მთავრობის მიერ საკუთრების უფლების დარღვევა ასევე გამოვლინდა კერძო საკუთრებაში არსებული შენობების ნგრევაში, იმისდა მიუხედავად, რომ ხშირ შემთხვევაში მესაკუთრეებს საკუთრებისა და მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები წესრიგში ჰქონდათ. ერთადერთი არგუმენტი, რითაც მთავრობა თავს იმართლებდა იყო ის, რომ ეს ქმედება ვითომდა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებით იყო განპირობებული. სამწუხაროდ, ამ ფაქტებზე დასავლეთს ყურადღება არ გაუმახვილებია. მეტიც, მსოფლიო ბანკის მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ ბიზნესის წარმართვის მოხსენებაში, საქართველოს, მისი მთავრობის მიერ საკუთრების უფლების ხელყოფის არაერთი ფაქტის მიუხედავად, მსოფლიოში მე–18 ადგილი მიენიჭა.

პოსტრევოლუციური მთავრობის ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ ყველა მიესალმებოდა. თუმცა, სინამდვილეში ის კი არ გამქრალა, არამედ მან მხოლოდ ტრანსფორმაცია განიცადა. ბიუჯეტგარეშე ანგარიშებიდან ხარჯვა, რომელიც უშუალოდ მთავრობის პრეროგატივა იყო, საზოგადოებრივ კონტროლს არ ექვემდებარებოდა. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა მთავრობა გადაერთო ბიზნესზე და მას აიძულებდა ამ ანგარიშებზე ე.წ. "ნებაყოფლობითი შენატანები" ჩაერიცხა. თავიდან ამ ანგარიშების არსებობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეგნებულად ხუჭავდა თვალს, რადგანაც მას, მექრთამეობასთან შედარებით, ნაკლებ ბოროტებად თვლიდა. მოგვიანებით კი ის იძულებული გახდა საკუთარი თავისთვის მაინც ეღიარებინა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კორუფციული მეთოდით შეცდომა იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით ბიუჯეტგარეშე ანგარიშები მხოლოდ 2006 წლის გაზაფხულზე დაიხურა.

კორუფციის წინააღმდეგ წარმატებულად განხორციელებული ბრძოლის ფონზე, ელიტარულ ფენაში კორუფცია მაინც დარჩა მთავრობის პრობლემად. ეს კი ზედაპირზე და თანაც ყველაზე რელიეფურად მაშინ ამოტივტივდა, როცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პრეზიდენტის უახლოესი წრის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მას შემდეგ, რაც მან შექმნა ოპოზიციური პარტია და პრეზიდენტის წინააღმდეგ სკანდალური განცხადებები გააკეთა, კორუფციაში იქნა დადანაშაულებული. ეს შემთხვევა იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის არცერთი წევრი სულაც არ არის "დაზღვეული" იმისაგან, რომ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მათი კორუფციული საქმიანობის ფაქტებიც არ გამომჟღავნდება. შედეგად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ არანაკლები წარმატებით პოლიტიკური ოპონენტების გასაჩუმებლადაც გამოიყენება. ეს კი რეალური დემოკრატიისაგან აშკარა უკუსვლაა.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე დააპირა ეროვნული ბანკის რეფორმირების საბურველის ქვეშ მისი, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის, დაკნინება და ამ მიზნით მოამზადა ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებები, რომელთა თანახმადაც საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს უნდა ჩამოშორებოდა. ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგობის შედეგად მთავრობამ საწადელი ვერ აისრულა და ეროვნული ბანკიც გადარჩა.

2007 წლის გაზაფხულზე კი, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გადამდგარი იყო და მის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი ასრულებდა, მთავრობამ დრო იხელთა და პარლამენტის საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად ძირითადში მიაღწია საწადელს: საბანკო

ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს ჩამოაშორა და მას ერთადერთი ფუნქცია – ინფლაციის რეგულირება დაუტოვა. ამასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობა დამოკიდებული გახდა ინფლაციის წლიურ დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე. ეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მთავრობაზე დამოკიდებულს ხდიდა, ვინაიდან მთავრობის ხელთ წლიური ინფლაციის დონეზე ზეგავლენის არანაკლები ძალის მქონე ინსტრუმენტებია, ვიდრე ეროვნული ბანკის განკარგულებაშია.

საქართველოს მაკროეკონიმიკური სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული ეროვნული ბანკის საქმიანობაზე. ამდენად მისი რეგულირების სფეროს განმსაზღვრელი ინდიკატორის მხოლოდ ინფლაციის მაჩვენებლით შემოფარგვლა იმის წინაპირობას ქმნიდა, რომ სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორები (მაგალითად, გაცვლითი კურსი. საგადასახდელო ბალანსი, უცხოური ვალუტის რეზერვები და სხვა) პრაქტიკულად უყურადღებოდ დარჩენილიყო ანუ მათზე ეროვნული ბანკი იზრუნებდა მხოლოდ და მხოლოდ იმ კუთხით, თუ რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონოდა ამა თუ იმ მაკროეკონომიკურ ინდიკატორს ინფლაციის წლიურ დონეზე. რაც შეეხება საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გადატანას ეროვნული ბანკიდან მისადმი დაქვემდებარებულ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოში, ეს იწვევდა ამ ფუნქციის განხორციელებას ინსტიტუციურად უფრო დაბალ დონეზე, რაც ზრდიდა მთავრობის მხრიდან ამ სააგენტოზე ზეწოლის შესაძლებლობებს. ეროვნული ბანკის ინსტიტუციური დაკნინება მას დამოკიდებულს ხდიდა მთავრობაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობდა ცენტრალური ბანკის პოლიტიზაციას და მას ნაკლებად დაცულს ხდიდა, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობის გარანტიებს მნიშვნელოვნად ასუსტებდა.

2009 წელს ეროვნული ბანკის შესახებ ახალი კანონი იქნა მიღებული, რომლის დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამოღებულია ინფლაციის წლიური დონზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხსენებული პასუხისმგებლობის საკითხი. კანონის თანახმად ეროვნულ ბანკში დაბრუნდა ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, რაც აბსოლუტურად გამართლებულია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას არ უღიარებია ეროვნული ბანკის ინსტიტუციურ დასუსტებაში დაშვებული შეცდომები, მისასალმებელია ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა 2009 წელს ამ შეცდომების გამოსწორების მიზნით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თავისუფალი ეკონომიკური ზონის (ანუ იმ ეკონომიკური სივრცის, სადაც, ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებით, სხვადასხვა სახეობის შეღავათები მოქმედებს) საქართველოში შექმნის იდეა.

ქვეყანაში გატარებული ლიბერალიზაციის პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მიზანშეწონილობა კლებულობს, რადგანაც შესაძლო შეღავათების ნუსხა და მასშტაბები სწორედ ამის გამო მცირდება. ეს კი მნიშვნელოვანი არგუმენტია.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსებისა და რეგულირების საქართველოში მოქმედი კანონი სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ უნდა გაუქმდეს. იმ უცხოელ ინვესტორთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეირჩა ფოთში ამ ზონის შესაქმნელად და გასავითარებლად, სათანადო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებითა და იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ სწორედ ფოთის პორტი და ფოთის მიმდებარე ტვრიტორია იყო რუსების მიერ ოკუპირებული და დაზიანებული, საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა გაუქმდეს.

2009 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის პარლამენტს შესთავაზა ე.წ. “ეკონომიკური თავისუფლების აქტი”, რომელიც მოგვიანებით ჩამოყალიბდა როგორც საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი “საქართველოს კონსტიტუციაში დამატებების შეატანის შესახებ” და საქართველოს ორგანული კანონის პროექტი ,,ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ”. ეს იდეა ფსევდორეფორმების “ტრიუმფად” შეიძლება შეფასდეს.

ხსენებული ორგანული კანონის პროექტში ასახული ზოგიერთი წინადადება თავისი არსით “ღია კარის მტვრევას” წარმოადგენს, რადგანაც შესაბამისი პრობლემები საქართველოში უკვე დიდი ხანია გადაჭრილია და დღეისათვის საერთოდ არ არის აქტუალური. ასეთი, უწინარეს ყოვლისა, ლარის კონვერტაციაა. ქვეყანაში ლარის შემოღების პირველივე დღიდან ის კონვენტირვბადია. მეტიც, 1997 წელს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მე–8 პუნქტს, რომლის თანახმადაც, ქვეყანამ ვალდებულება აიღო, რომ ლარის კონვერტაცია არ შეზღუდულიყო, ხოლო 1999 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, რაც ასევე მას ავალდებულებს, რომ ლარის კონვერტაცია არ შეიზღუდოს. საერთაშორისო ხელშეკრულებები კი ქვეყნის კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

ასეთივე სიტუაციაა ფასების სახელმწიფო რეგულირების საკითხშიც. უკვე 14 წელზე მეტია ფასები თავისუფალია: ბოლოს პურის ფასები გათავისუფლდა 1996 წელს. 1999 წლიდან საქართველოს, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას, ვალდებულება აქვს, რომ ფასები აღარ შეზღუდოს.

ასევე, 14 წელზე მეტია ქვეყანაში მოქმედებს კანონი ინვესტიციების შესახებ, რომლის თანახმადაც ინვესტორს მოგების რეპატრიაციის შეუზღუდავი უფლება აქვს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაც ავალდებულებს ამას საქართველოს.

2008 წლის აგვისტოში. რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ, ევროკავშირმა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გასავლის ხელშეწყობა შესთავაზა. ეს კი ნიშნავდა, რომ საქართველო ევროკავშირთან ერთიან ეკონომიკურ სივრცეში იქნებოდა, რაც ევროინტეგრაციის მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია იქნებოდა.

2014 წლის 27 ივნისს, ევროკავშირმა, მისმა წევრმა სახელმწიფოებმა და საქართველომ („მხარეები"), ხელი მოაწერეს ამბიციურ და ინოვაციურ ასოცირების შეთანხმებას (AA), რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტს. შეთანხმება ითვალისწინებს შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ დებულებებს და გაძლიერებულ თანამშრომლობას, რომელიც სცდება ტრადიციულ შეთანხმებათა მასშტაბებს და ვრცელდება ინტერესთა ყველა სფეროზე. სარატიფიკაციო პროცესის დასრულების შემდეგ, ასოცირების შეთანხმება სრულად ამოქმედდა 2016 წლის 1 ივლისიდან.

2014-2016 წლის ასოცირების დღის წესრიგი ასევე განსაზღვრავს ერთობლივი მუშაობის ახალ პრიორიტეტებს 2017-2020 წლების პერიოდში. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს მოკლევადიან პრიორიტეტებსა (რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 2018 წლის დასასრულისთვის) და საშუალოვადიან პრიორიტეტებს (რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 2020 წლის დასასრულისთვის).

2017 წლის 28 მარტს, ბიომეტრიული პასპორტის მფლობელ საქართველოს მოქალაქეებისათვის შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა, რომელიც მიზნად ისახავს, უსაფრთხო და კარგად მართვად გარემოში, ორივე მხარის მობილურობისა და ხალხთაშორისი კონტაქტების არსებით ზრდას, წარმოადგენს ფუნდამენტურ ელემენტს, რაც ამყარებს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ საქართველოს პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირთან.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირსა და ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) შორის თანამშრომლობას. მათ პროგრამებს შორის უფრო მეტ შეთანხმებულობას, რაც საქართველოს მთავრობას აიძულებს უფრო მეტად თანამიმდევრული იყოს თავის ქმედებებში.

ლიტერატურა:

1. ვლ. პაპავა. საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბ. 2015. გვ. 231-236.
2. ეკონომიკური ქრონიკა. ჟურნალი-გადასახადები. #1. მარტი. დამატება #1. თბილისი, 2015. გვ. 5-9.
3. ა. ცერცვაძე. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში". ჟურნალი - ახალი ეკონომისტი. თბ. 2015. გვ. 44-46.
4. ლ. მიქავა. „მუნიციპალური საინვესტიციო პოლიტიკა". ჟურნალი - სოციალური ეკონომიკა. თბ. 2014. #3 გვ. 202-206
5. მ. ჭიპაშვილი. „საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის". სეუ. 2014. #1 გვ. 130-138.
6. თ. კასრაძე. „საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი". ჟურნალი - ეკონომისტი. თბ. 2014 #5 გვ. 33-42.
7. თ. იობაშვილი. „2014 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა". ჟურნალი - აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ. 2015 #4 გვ. 33-37.
8. ნოდარ ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ჟურნალი - მოამბე. #20. თბილისი 2014. გვ. 5-11.
9. ნამჩავაძე ბესო. 2014 წლის საქართველოს ეკონომიკა და 2015 წლის გამოწვევები. ჟურნალი - Forbes Georgia 2015. გვ. 32-34.
10. თ. აბსანძე. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: მოცულობის ცვლილება და საბოლოო შედეგი".
11. Forbes Georgia. - თბ. 2014. N29. გვ. 116-118

https://eqe.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%982017-20201.pdf

Tea Anesashvili
Samtskhe-Javakheti State University

FURTHER ECONOMIC TRANSFORMATION IN GEORGIA AFTER THE "ROSE REVOLUTION"

RESUME

After the ,,Rose Revolution'' there were many unresolved problems got it in Georgia. Enhanced presidential power the post- revolutionary government could resurrect financial order and increased tax revenues budget crisis can be overcome, which made it possible accumulated pension and payroll (in the budget sector) repayment of debts. The new government has been fightion corruption. The expansion of the pawer of the government provided large- scale privatization simplify business licesnsing practices and reduction of taxes and tariff rates.

On June 27, 2014, the European Union, its Member States and Georgia ("Parties") signed an ambitious and innovative Association Agreement (AA), which also includes the DCFTA Component of Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA).

Establishment of free trade regime with the EU is of vital importance for Georgia. In this regard, special importance is given between the EU and Bretton Woods Institutes (International Monetary Fund and the World Bank).

ხათუნა ბებნაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ელექტრონული მართვის აქტუალური საკითხები

სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიებით ტრანსფორმირდება სახელმწიფოს, ბიზნესსა და მოქალაქეებს შორის დამოკიდებულება, თანამშრომლობა, ურთიერთობების ტენდენციები, მართვის კონცეფცია, მომსახურების მიწოდების პირობები და სახეები. ინფორმაციული კომუნიკაციური ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება სახელმწიფოს მართვაში ხორციელდება ელექტრონული მართვის კონცეფციით, რომლითაც მიიღწევა სახელმწიფოს ეფექტიანი და ქმედუნარიანი მართვა. მას ახასიათებენ, როგორც სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მომსახურების ავტომატიზაციის პროცესს, რომლის იმპერატივები მიმართულია მოლოდინის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების სხვადასხვა მონაწილეებს შორის ინტერაქტიულობისაკენ, სადაც ელექტრონული სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბება ტრანსფორმირებული, გამჭვირვალე, ეფექტიანია და წარმოადგენს საზოგადოების დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

ელექტრონული მმართველობა, როგორც მომსახურების წარდგენის უწყვეტი ოპტიმიზაციის პროცესი, ინტერნეტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობითა და ჩართულობით, მიმართულია სახელმწიფო მართვის ორგანოების ეფექტიანი მუშაობის შედეგების ამაღლებასა და მომსახურების/პროდუქტების განვითარებაზე, მოიცავს ბრძანებების მოძრაობისა და კონტროლის მექანიზმს პოლიტიკის იმპლემენტაციის დონეზე. იგი, ერთი მხრივ, იძლევა ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, უფრო საჯაროს ხდის სახელმწიფო ორგანოების მუშაობას. მმართველობის რეჟიმის ელექტრონული საქმიანობა პრინციპულად ცვლის ჩინოვნიკსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედების ატმოსფეროს.

ელექტრონული მმართველობის რეალიზაციის ძირითადი ტექნოლოგიებია: ინტერნეტ-პორტალები, ვებ-საიტები, ე-ფოსტა, შეტყობინების მყისიერი გაცვლა (IM- Instant Messaging), ფორუმი, ჩეთი, ინტელექტუალური აგენტები – ბოტები (Intelligent Agents -BOTS), ნაკადური მულტიმედია (Streaming Media), სოციალური ქსელი და სოციალური პროგრამები, ვიკი (wiki), ბლოგები, მობილური კომერციის დანართები, პოდკასტინგი (podcast), Really Simple Syndication (RSS), ციფრული ტელევიზია და რადიო, სემანტიკური-web, ტელეფონი (ფიქსირებული და მობილური), შეტყობინებების გაცვლის სისტემა (MMS, SMS), ფაქსი, ბიომეტრული იდენტიფიკაცია და სხვა.

ელექტრონული მართვის ფუნდამენტალური მიზანია: მართვის სწრაფი, ეფექტიანი და შემოქმედებითი ფუნქციების ფლობა; ბიზნესისა და სამთავრობო მართვის ასპექტების გამარტივება და სრულყოფა; მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და შერჩეულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთქმედების ხელშეწყობა; ელექტრონული ფედერალიზმი, ელექტრონული დემოკრატია; გონივრული პოლიტიკის გატარებისთვის უკუკავშირის ორგანიზება; საერთაშორისო იმპლიკაცია; ინფორმაციისა და ელექტრონული მთავრობის მართვა.

ელექტრონული მართვის ბირთვის ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორებია: ელექტრონული მთავრობა, ელექტრონული დემოკრატია და ელექტრონული კომერცია. ელექტრონული მართვის, როგორც მეგა მიმართულებების წარმოდგენის საფუძველი გახდა გლობალიზაცია და ბაზრის ლიბერალიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) რევოლუცია, ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლება; ელექტრონული ბიზნესის ფუნქციონალური სფეროებისა და მოდელების განვითარება, მთავრობასა და რეციპიენტს შორის ურთიერთობების ფორმების განვითარება.

„ელექტრონული მართვის“ კონცეფციის ჩარჩოებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ქმნიან ელექტრონული მართვის სისტემას, მის ინფრასტრუქტურას, ინფორმაციულ რესურსებს, ონლაინ მომსახურების სისტემასა და სისტემასთან დაშვების უზრუნველმყოფ პირობებს. ელექტრონული მართვის სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის გეგმაა მთავრობის სტრატეგია, რომელიც ახდენს ორგანიზაციის მიზნის მიღწევისათვის მართვის შესაძლებლობების მაქსიმიზაციას. ეს არის ელექტრონული მთავრობის რეალიზების ბაზისი, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიმართულებას, ამოცანებს, კომპონენტებს, სახელმძღვანელო პრინციპებსა და გზის მაჩვენებლებს. ელექტრონული მართვის სისტემა ითვალისწინებს „მოქალაქე-სახელმწიფოს“, „ბიზნესი-სახელმწიფოს“, „სახელმწიფო-სახელმწიფოს“ ურთიერთქმედების სქემას და მოქმედებს იგივე კონცეფციით, როგორც ელექტრონული ბიზნესი, თუმცა, უფრო დიდი მასშტაბით.

ელექტრონული მმართველობა დაფუძნებულია ოთხ ძირითად პროცესზე: ელექტრონული კონსულტაცია; ელექტრონული კონტროლი; ელექტრონული ურთიერთქმედება და ქსელური საზოგადოების მართვა. ელექტრონული მართვა ცვლის ძალაუფლების ბუნებას, ხდის მას უფრო გამჭვირვალეს, საჯაროსა და საზოგადოების მიერ კონტროლირებადს, უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას მართვაში, მთავრობის დაქვემდებარებას მოქალაქეებისადმი, მოქალაქეების რეალურ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, არჩევნებში, კანონშემოქმედებაში. ელექტრონული მართვა აძლიერებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ზრდის უსაფრთხო ელექტრონული კომერციის წარმოების შესაძლებლობას, სრულყოფს მოქალაქეებისთვის სახელმწიფო მომსახურებისა და ინფორმაციასთან წვდომას, სახელმწიფოს მენეჯმენტის შესაძლებლობებსა და უფლებებს, ეფექტიანობას, ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთქმედებას.

ელექტრონული მართვის დანერგვით მიიღწევა შემდეგი: სახელმწიფო ინფორმაციის საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა; საჯარო სახელმწიფო ინფორმაციასთან მოქალაქეების შეუზღუდავი დაშვება; მოქალაქეებთან მუდმივი დიალოგის უზრუნველყოფა; სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლი; ტექნოლოგიური ინოვაციის მართვა; სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა და სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურების ოპტიმიზაცია, მის შენახვაზე საჭირო ფინანსური და მატერიალური დანახარჯების შემცირება; ეფექტიანი ინტეგრირება რეგიონულ, საერთოეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში; აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტა; სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედება და თანამშრომლობა სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებთან, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა. ელექტრონული მართვის პანორამა მოიცავს ელექტრონული მოქალაქის, ელექტრონული მომსახურების, ელექტრონული საზოგადოების, ელექტრონული მართვის დანართებს და აჩვენებს სიტუაციას, როდესაც სახელმწიფო მომსახურება და პროცესები ხორციელდება ქსელის მეშვეობით, ხოლო სახელმწიფო უფრო მეტად კონტროლისა და კოორდინაციის ცენტრალურ როლს თამაშობს, ვიდრე მომსახურების შექმნისა და უზრუნველყოფის.

ელექტრონული მართვა მთავრობის ინსტრუმენტია საზოგადოების მშენებლობისთვის. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული მართვის სხვადასხვა კომპონენტის განსაზღვრასა და ურთიერთდამოკიდებულებაში. მისი ძირითადი კომპონენტებია: ტექნიკური კომპონენტები ელექტრონული სიდიდით; სოციალური კომპონენტები თანასწორობის სიდიდით; კულტურული კომპონენტები ეთიკური სიდიდით; პოლიტიკური კომპონენტები სამართლებრივი სიდიდით; ფსიქოლოგიური კომპონენტები ექსტენსიონალური სიდიდით; მომსახურების კომპონენტები უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების სიდიდით. ელექტრონული მართვა არ შეიძლება

განვიხილოთ როგორც მთავრობის მექანიკური შეერთება ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, რომელიც მთლიანობაში ქმნის სახელმწიფოს მართვის ფილოსოფიის ფორმირების პირობებს.

ელექტრონული მართვის მეშვეობით საზოგადოებრივი და სოციალური პრობლემების გადაჭრა ხდება IT-ის საფუძველზე, რომელიც დროსა და სივრცეში ათავისუფლებს ყოველგვარ შეზღუდვას. ელექტრონული მართვით იზრდება მთავრობის პასუხისმგებლობა მოქალაქეთა ცხოვრებასა და საკუთრების დაცვაზე. ელექტრონული მმართველობის გზა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული მართვისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას, ინტერაქტიულ ურთიერთობას, ინფორმირებას, იურიდიული ტრანსაქციის შესრულებას, მმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობას, საჯაროობას და ხარისხიან ფუნქციონირებას ყოველგვარი ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე, დროისა და მატერიალური რესურსების ეკონომიას, ფლობს პირდაპირი პოლიტიკური სარგებლის მძლავრ კომპონენტებს. ელექტრონული მმართველობა ელექტრონულ მთავრობასა და ციფრულ საზოგადოებას უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურით და გავლენა აქვს როგორც ელექტრონულ მთავრობაზე, ასევე ციფრულ საზოგადოებაზე. ელექტრონული მმართველობის კონცეფცია შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ქვეკონცეფციისაგან: შიგასამთავრობო ინფორმაციული ინფრასტრუქტურა (კორპორატიული ქსელის ანალოგი) და გარეინფორმაციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ურთიერთობს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებთან, სადაც სახელმწიფო მხოლოდ ერთი სუბიექტია მრავალ სუბიექტთა შორის.

ელექტრონული მართვის სტრუქტურის ფუნქციური ვალდებულებები მოიცავს: მენეჯმენტის მუშაობის ცვლილების მიმართულებას (ორგანიზაციული ცვლილებები, კვალიფიკაციის ამაღლება, ლიდერობის განვითარება, შრომითი ურთიერთობები, ბიზნეს პროცესების რეინჟირინგი), მომხმარებელთა სერვისების მუშაობის მიმართულებას (მომხმარებელთა მოთხოვნილების მართვა, მიწოდების მართვა, შედეგების განმტკიცება, ექსპლუატაციაში მიღება, ფართო სამომხმარებლო მომსახურება), მიწოდების აქტივობის მუშაობის მიმართულებას (მოთხოვნილების ნაკრები, ანალიზი, პროექტირება, მიწოდების სწავლება, ექსპლუატაციაში გადაცემა, კადრებით უზრუნველყოფა) და ელექტრონული მთავრობის მუშაობის მიმართულებას (სტანდარტები, მეთოდოლოგია, ელექტრონული მთავრობის პროექტების ინიცირება და პრომოუშენი, ფინანსური კონტროლი, ურთიერთობის მართვა).

ელექტრონული მართვისგან მიღებული სარგებელია:

- მართვის ეფექტიანობის ამაღლება და შედეგიანობა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია ტექნიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფის ჩარჩოებში;
- კორუფციის შემცირება, გამჭვირვალობის ზრდა, მეტი ხელსაყრელობა;
- კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით მოქალაქეების ინფორმირება, მოქალაქეებსა და მთავრობას შორის ინტერაქტიულობა და ურთიერთობის შესაძლებლობა;
- მოქალაქეების მოზიდვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პრობლემების განხილვისათვის;
- მონაწილეობის მიღება სახელმწიფო მართვაში;
- შემოსავლების ზრდა, დანახარჯების შემცირება, ეკონომიკური განვითარება, მოქნილობა, მასშტაბურობა და ა.შ.

ზემოაღნიშნული ღირსებების კონსტატირების საფუძველზე, სახელმწიფოში ელექტრონული მართვის დანერგვისათვის აუცილებელია:

- ინტერფეისი მოქალაქეებსა და სახელმწიფო ადმინისტრაციას შორის ურთიერთოებისთვის;
- სამართლებრივი, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, საკადრო და ფსიქოლოგიური ასპექტების ფორმირება;
- ელექტრონული მართვის სამოქმედო წესები და პოლიტიკა;
- ელექტრონული მართვის სტრატეგიის ფორმირება;
- სამთავრობო ქსელური ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება და მართვის პროცესის ყველა სისტემის რეინჟირიგი;
- სამთავრობო ქსელური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;
- ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ფორმალიზაცია;
- ინსტიტუციური მექანიზმები;
- ბიუჯეტური დაფინანსება;
- კვალიფიციური კადრები;
- ტექნოლოგიური ინოვაციების, ექსპერიმენტების, ახალი ელექტრონული მოდელების შემუშავების სტიმულირება;
- ბიუროკრატიული სტერეოტიპების მოშლა და სახელმწიფოს მართვის სისტემის მოდერნიზაცია.

ლიტერატურა:
1. Willard T. Social Networking and Governance for Sustainable Development. International Institute for Sustainable Development (IISD) March, 2009. http://www.iisd.org/ pdf/2009/socialnet-gov.pdf
2. Department for Communities and Local Government. Online Social Networks, Research Report. October, 2008. http://www.umic.pt/images/stories/publicacoes2/Online- Social-Networks. pdf
3. Acquisti A., Gross R Imagined Communities: Awareness, Information Sharing, and Privacy on the Facebook, PET 2006. http://privacy.cs.cmu.edu/dataprivacy/projects/facebook/facebook2. pdf
4. Smeyers P., Depaepe M. Educational Research: Networks and Technologies. 33–42. 2007. http://www.danielaraya.com/docs/networks. pdf
5. boyd danah. „Social Network Sites: Public, Private, or What?“ Knowledge Tree 13, May. 2007. http://kt.flexiblelearning.net.au/tkt2007/?page-id=28
6. The Offi ce of the Commissioner of Canada. Social Network Site Privacy, A Comparative Analysis of Six Sites. February 2009. http://www.priv.gc.ca/information/pub/subcomp- 200901-e.pdf

Khatuna Bebnadze
Gori State Teaching University

CURRENT ISSUES IN ELECTRONIC GOVERNANCE
RESUME

The article notes that catalyzation of information and communication technologies is resulting in the transformation of State governance, the need to develop the state administration system for delivering effective and valuable service, automation of service and formation of e-government.

Imperatives of e-Governance are targeted to expectancy, transparency, accountability and interaction among the various parts of society, where the formation of e-government is transformed, transparent, effi cient and serves as a main instrument for a democratic of a society.

The article reviews the changes caused by e-Governance, concepts and benefit of electronic governance. It also provides analysis of panorama of e-governance, a wide range of technologies for realization of electronic governance, the main factors of formation of e-government and mega trends.

The article presents the values caused due to introduction of EGovernance, these are as follows: publicity of information, objectivity, involvement in governance, giving the citizens unlimited access to state public information, interaction of the state with citizens and maintaining constant dialogue with them, control of the activities of governmental institutions and organizations by society, managing technological innovation, improvement of state governance system and optimization of the structures of government institutions, effective integration in regional, general national and world economy; etc.

იზოლდა გაბადაძე, ინეზა წერეთელი, ნინო მუშკუდიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფლაცია და მისი მოდელები

ინფლაცია საბაზრო ეკონომიკის მუდმივი თანამგზავრია. დღეს იგი ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი და თავისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტებით რთული მოვლენაა, რომელიც აისახება: მცირერიცხოვან ფენებს შორის შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებაში; კრედიტებზე რეალური საპროცენტო განაკვეთის ჩამორჩენაში ინფლაციის ყოველწლიურ ტემპთან, რის შედეგადაც ძვირდება სესხები; გადასახადებით მოსახლეობის ფულადი საშუალებების ფარულ სახელმწიფო კონფისკაციაში, სადაც საგადასახადო განაკვეთები მდიდრებსაც კი აღარიბებს; ფულადი სახსრების დაჩქარებულ მატერიალიზაციაში; მყიდველებისა და გამყიდველებისათვის არასტაბილურ და არასაკმარის ეკონომიკურ ინფორმაციაში და ა.შ. ამიტომ ეკონომიკის გაჯანსაღების ყველაზე უფრო ქმედითი პროგრამის შესამუშავებლად აუცილებელია ინფლაციის მკაფიო კონცეფცია. იგი უნდა ემყარებოდეს,

მაკროეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის და ამასთან გასათვალისწინებელია ცალკეული ქვეყნების სპეციფიკური ხასიათი.

,,ინფლაციის" თეორიის გამოყენება პირველად ჩრდილოეთ ამერიკაში სამოქალაქო ომის (1861-1865 წწ) პერიოდში დაიწყეს, თუმც იგი უფრო ადრე მე-16 ს. საფრანგეთში ჯონ ლოს მიერ ქაღალდის ფულის შემოღებისას ფულის მიმოქცევის არხების გადავსებას დაუკავშირდა. ინფლაციის დროს ერთი და იგივე რაოდენობის ფულით, გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელია უფრო ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა ვიდრე ოდესმე, ანუ როგორც ამბობენ, დროთა განმავლობაში ფულის მსყიდველთუნარიანობა მცირდება, ფული უსარგებლო ხდება, რადგან კარგავს რეალური ღირებულების ნაწილს. იგი უნდა განვასხვაოთ ნახტომისებური ფასებისაგან, როგორც ხანგრძლივი მდგრადი პროცესი. ინფლაცია არ ნიშნავს ეკონომიკაში ყველაფერზე ფასების ზრდას, რადგან ფასები ცალკეულ საქონელზე შეიძლება იზრდებოდეს, ან მცირდებოდეს ან უცვლელი რჩებოდეს, არამედ მნიშვნელოვანია ფასების საერთო დონის ცვალებადობა ე.ი. მშპ-ს დეფლატორი. მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში აღინიშნებოდა ფასების მკვეთრი ზრდის ორი შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იყო ოქროზე ფასის დაცემასთან, რომლისგანაც მზადდებოდა ფული: 1. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ევროპაში განსაკუთრებით მექსიკიდან და პერუდან ოქროსა და ვერცხლის შემოდინება გაიზარდა, რის შედეგადაც მე-16 საუკუნის დასაწყისში 50 წლის განმავლობაში ოქროს წარმოება გაიზარდა 60-ჯერ, რამაც საუკუნის ბოლოს ფასები 2,5-4-ჯერ გაზარდა; 2. 1840-იანი წლების ბოლოს კალიფორნიის ოქროს საბადოების დამუშავებამ და ავსტრალიაში ოქროს მასიურმა მოპოვებამ, მსოფლიოში ოქროს წარმოება 6-ჯერ და მეტად გაზარდა, რასაც ფასების ზრდა მოჰყვა 25-50%-ით. ფასების ზრდის შედეგად მიმოქცევაში ჩაერთო ოქროსა და ვერცხლის დიდი რაოდენობა, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული ფულის რაოდენობრივ თეორიასთან, რომლის მიხედვით ფულის რაოდენობის ზრდა გახდა მიზეზი ფასების ზრდისა. ღირებულების თეორიის მიხედვით, ფულის მასის ზრდა ასახავდა ფულის მატერიალური ღირებულების შემცირებას, ვინაიდან საქონლის მუდმივი ღირებულება გამოიხატებოდა ოქროს ან ვერცხლის დიდი რაოდენობით ეკვივალენტური გაცვლის მოთხოვნაზე. მონეტარიზმი თვლის, რომ ინფლაციას იწვევს ძირითადად ფულადი ფაქტორები, როგორიცაა სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა [3]. მილტონ ფრიდმანი ამტკიცებდა, რომ ,,ინფლაცია ყველგან და ყოველთვის მონეტარული მოვლენაა". [4]

თანამედროვე ეკონომიკაში, სადაც ფული ვალდებულების როლს ასრულებს, არ აქვს საკუთარი ღირებულება (ქაღალდის ფული), უმნიშვნელო ინფლაცია ითვლება ნორმად და წელიწადში შეადგენს რამდენიმე პროცენტს. ინფლაციის დონე უმნიშვნელოდ იზრდება წლის ბოლოს, როცა იზრდება საყოფაცხოვრებო საქონლის მოხმარების დონე, ასევე კორპორაციული დანახარჯების დონე. ზრდის ტემპზე დამოკიდებულების მიხედვით ინფლაცია მცოცავია (საშუალო) თუ წელიწადში ფასები იზრდება 10%-მდე. დასავლეთის ეკონომისტები მას უყურებენ, როგორც ეკონომიკის განვითარების ნორმალურ ელემენტს, რამეთუ მათი აზრით უმნიშვნელო ინფლაციას შეუძლია გარკვეულ პირობებში ხელი შეუწყოს წარმოების განვითარებას, მისი სტრუქტურის მოდერნიზაციას. ფულის მიწოდების ზრდას შეუძლია დააჩქაროს საგადამხდელო ბრუნვა, სესხების გაიაფება, ხელი შეუწყოს საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას და წარმოების განვითარებას. წარმოების ზრდა თავის მხრივ იწვევს სასაქონლო და ფულად მასას შორის ბალანსის აღდგენას უფრო მაღალ ფასში. უკანასკნელ წლებში ევროკავშირის ქვეყნებში ინფლაციის საშუალო დონემ შეადგინა 3-3,5%. (დიაგრამა 1.)

რაც შეეხება საქართველოს, მიმდინარე წლიური ინფლაციის დონე 5,4 პროცენტით განისაზღვრა. [6] თუმცა ყოველთვის არის საფრთხე მცოცავი ინფლაციის სახელმწიფო კონტროლიდან გასვლისა, ეს განსაკუთრებით მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს რეგულაციის დადგენილი მექანიზმები, ხოლო წარმოების დონე დაბალია და ახასიათებს სტრუქტურული დისპროპორციები. ზოგიერთი ეკონომისტი ფარულ ინფლაციას ცალკე გამოყოფს, რამეთუ თვლის, რომ იგი უკავშირდება პროდუქციის ხარისხის გაუარესებას უცვლელ ფასებში, ან წარმოებიდან და შესაბამისად მოხმარებიდან იაფი საქონლის ,,გამორეცხვას". სწრაფი ინფლაცია (ფასების ზრდა წელიწადში 10-დან 50%-მდე) საშიშია ეკონომიკისათვის და მოითხოვს სწრაფ ანტიინფლაციურ ზომებს. ძირითადად ის განვითარებად ქვეყნებს ახასიათებს.

დიაგრამა 1



ინფლაციის დონე მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით 2016წ. ოქტომბრის მდგომარეობით

ხშირად ომისა და კრიზისის დროს, ბიუჯეტის დეფიციტის შედარებით ადვილად დაფარვის მიზნით ხელისუფლება ბეჭდავს დამატებით ფულის რაოდენობას, რასაც მოჰყვება სამეურნეო საქმიანობის პარალიზება, რის გამოც ხდება გადასვლა ბარტერულ გაცვლაზე - ეს კი ჰიპერინფლაციური მდგომარეობაა, რომლის წინაშე საქართველო გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური კრიზისის, ხოლო 2008 წელს აგვისტოს ომის შედეგად აღმოჩნდა. ეკონომიკაში ადმინისტრაციული ჩარევით, ინფლაციამ შეიძლება შეიძინოს დათრგუნული ფორმა: ფასები არ გაიზარდოს, მაგრამ გაჩნდეს სასაქონლო დეფიციტი [1] ყოფილ სსრკ-ში ომისწინა ათწლეულში და სტალინის ხელისუფლების ბოლო წლებში მთავრობამ მოიტანა ხანგრძლივვადიან დაბალ საცალო ფასებთან (დეფლაცია) ერთად ხელფასების თანდათანობითი ზრდა [2]. ინფლაცია იმ პირობებში ფარული ხასიათის იყო და ეწოდებოდა დათრგუნული. დათრგუნული ინფლაციის ბუნებრივი შედეგი იყო სასაქონლო დეფიციტი [3], იმის გამო, რომ არ არსებობდა წონასწორობა სასაქონლო და ფულად მასას შორის.

საბაზრო ეკონომიკაში ინფლაცია ვლინდება ღია ფორმით - ფასების ზრდით. მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობა განაპირობებს მისი შესაბამისი ტიპის ინფლაციის წარმოშობას: მოთხოვნის ინფლაციის ბუნება და მიზეზები მომდინარეობს მოთხოვნის და მიწოდების ისეთი მდგომარეობიდან, როდესაც არსებობს ძალიან ბევრი ფული შეთავაზებული საქონლის რაოდენობასთან მიმართებაში, რასაც ეკონომიკა პასუხობს ფასების ზრდით ანუ სახეზეა მოთხოვნის ინფლაცია. ამ სიტუაციაში უზრუნველყოფილია სრული დასაქმება. მას შემდეგ, რაც მრეწველობა სტიმულირდება მაღალი ფასებით და საწარმოო სიმძლავრეები დატვირთულია სრულად, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა ზემოქმედებს სახელმწიფო (თავდაცვის და სოციალური შეკვეთების) და სამომხმარებლო ხარჯებზე. პროფკავშირები მოითხოვენ სახელფასო განაკვეთების გადახედვას, გარდა ამისა ეკონომიკური ბუმი ზრდის მოთხოვნას საინვესტიციო რესურსებზე, რაც გრაფიკულად გამოისახება ასე (გრაფიკი 1):

გრაფიკი 1.



მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის ბერკეტი

$E_0 \Rightarrow \frac{AS_1}{1} = -\frac{1}{AD_1}$ $E_2 \Rightarrow \frac{AS_1}{1} = -\frac{1}{AD_2}$ $E_4 \Rightarrow \frac{AS_1}{1} = -\frac{1}{AD_3}$

$E_1 \Rightarrow \frac{AS_2}{1} = -\frac{1}{AD_1}$ $E_3 \Rightarrow \frac{AS_2}{1} = -\frac{1}{AD_2}$ $E_n \Rightarrow \frac{AS_2}{1} = -\frac{1}{AD_3}$

სამთავრობო ხარჯები, კერძო სექტორის ინვესტიციები, მოსახლეობის მოხმარება, ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაანაცვლებს AD_1 ზევით და მარჯვნივ AD_2 მდგომარეობაში. ეკონომიკა ახლოსაა წარმოების პოტენციურ მდგომარეობასთან Yп-საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვისა და სრულ დასაქმებასთან. ჭარბი მოთხოვნით გამოწვეული გავლენა ზრდის ფასებს და რეალურ მშპ-ს, რაც საბოლოოდ ზრდის ფასებს და ინფლაციას. თუმც ეს არის მოკლევადიანი. მას შემდეგ, რაც ადამიანები გააცნობიერებენ, რომ მათი ხელფასების მსყიდველუნარიანობა დაეცა, დღის წესრიგში დადგება შრომითი ხელშეკრულებების გადასინჯვის აუცილებლობა და AS მრუდი გადაინაცვლებს მარცხნივ AS_2 მდგომარეობაში. ასე რომ, გაიზრდება ფასები და გამოშვების წონასწორობის დონე უბრუნდება პოტენციურს.

მიწოდების ანუ დანახარჯების ინფლაცია წარმოიშობა მაშინ, როცა ფასები იზრდება წარმოების დანახარჯების ზრდის გამო, საწარმოო სიმძლავრეების გამოუყენებლობის შემთხვევაში. ფასების ზრდა მიწოდებაზე (წარმოების დანახარჯებზე) მიწოდების AS მრუდს გადაანაცვლებს ზევით და მარცხნივ AS_2 მდგომარეობაში. შედეგად მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდება მაღალი ფასების და დაბალი მშპ წერტილში Y_n. იმისათვის, რომ აღვადგინოთ წარმოების მოცულობა Y_n, ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს მოთხოვნის სტიმულირება, რის შედეგადაც შესაძლებელია ყველა მოთხოვნა განმეორდეს. თუ მთავრობა არ შეეცდება გავლენა მოახდინოს მიწოდების ინფლაციისას მოთხოვნაზე, მოსალოდნელი დაცემის გამო, თუ იგი ცდილობს შეინარჩუნოს სრული დასაქმება მოთხოვნის სტიმულირებით, ის სავარაუდოდ წარმოშობს ინფლაციურ სპირალს (გრაფიკი 2).



მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის ბერკეტი

$E_0 \Rightarrow \frac{AS_1}{1} = -\frac{1}{AD_1}$ $E_2 \Rightarrow \frac{AS_2}{1} = -\frac{1}{AD_2}$

$E_1 \Rightarrow \frac{AS_2}{1} = -\frac{1}{AD_1}$ $E_3 \Rightarrow \frac{AS_1}{1} = -\frac{1}{AD_2}$

განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში რეცესია შეიძლება აღმოიფხვრას წარმოების პირველადი ხარჯების (კონკურენცია და საწარმოს გაკოტრება, რენტაბელობის დაბალი დონე და დიდი დანახარჯები) ლიკვიდირებით. თანამედროვე ეკონომიკაში მიწოდების ინფლაციის წყაროები გამოიხატება მონოპოლიზმში, რომელიც შეიძლება იყოს დანახარჯების ზრდის წყარო. ის ვლინდება სამი ფორმით. მისი წყაროა - სახელმწიფო ქმედება, პროფკავშირი და ფირმები.

სახელმწიფო ფასების ზრდას ხელს უწყობს პირდაპირ და ირიბად. სახელმწიფოს თავისი საფინანსო-საკრედიტო მექანიზმით შეუძლია დაეხმაროს ინფლაციას. საპროცენტო განაკვეთის ზრდით სახელმწიფო ცენტრალური ბანკის საშუალებით ამცირებს კრედიტს. ფირმები უარს არ ამბობენ კრედიტზე, რომ გადაიხადონ გაზრდილი პროცენტი, ზრდიან ფასებს საქონელზე და სესხს ფარავენ მომხმარებლების ხარჯზე. ამავე მიმართულებით მუშაობს მაღალი საგადასახადო განაკვეთები. ეს განსაკუთრებით ეხება არაპირდაპირ გადასახადებს (დღგ).

მონოპოლიის შემდეგი სახე, რომელიც წარმოების ხარჯების ზრდის მაპროვოცირებელია, პროფკავშირია. ის გავლენას ახდენს წარმოების ხარჯების ზრდაზე ხელფასით, რომელიც მნიშვნელოვანი დანახარჯია. საქმე ეხება ხელფასის მაღალ ზრდას, ვიდრე ამას ეკონომიკური პირობები იძლევა. ხელფასის ზრდის საზღვარი გრძელვადიან პერიოდში განისაზღვრება შრომის მწარმოებლურობის ზრდით. როცა მოგება დაბალია, ხელფასის ზრდის საზღვრებიც დაბალია. ეს შეიძლება იყოს ,,ინფლაციური სპირალი“: ხელფასის ზრდა, ზრდის დანახარჯებს - იზრდება საქონლის ფასი - ძალიან გაძვირებული საქონლის გამო პროფკავშირები ითხოვენ ახლიდან ხელფასების ზრდას - პასუხად მეწარმეები ახლიდან წევენ ფასებს ზევით და ა. შ. ფასები იზრდება ,,თოვლის გუნდასავით“. წარმოიშობა წინააღმდეგობა. მეწარმეები ადანაშაულებენ პროფკავშირებს და მოითხოვენ მიიღონ ანტიმონოპოლიური კანონი, პროფკავშირები და პოლიტიკური პარტიები კი - მეწარმეებს. თუმცა ზოგჯერ პროფკავშირები არაპირდაპირ იჭერენ მოთხოვნის ინფლაციას. მას შემდეგ, რაც გადაიხედება შრომითი ხელშეკრულებები, ეს შეიძლება განხორციელდეს დროის გარკვეულ პერიოდში (ერთი წლის განმავლობაში, სამი წლის განმავლობაში და ა.შ.)

მოთხოვნის ინფლაციის მესამე წყარო გვთავაზობს ფირმების მონოპოლიას ფასების დაწესებაზე. ფასწარმოქმნით გამოწვეული ინფლაციის ტიპი ანუ დაწესებული ფასის ინფლაციაა, როდესაც რამდენიმე ბიზნესმენი გადაწყვეტს, მოუმატოს ფასებს საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ოლიგოპოლიური ინფლაციაა. ოლიგოპოლიებს შეუძლიათ დააწესონ საკუთარი ფასები და გაზარდონ ეს ფასები, როდესაც მოესურვებათ - ე.წ. კარტელური გარიგებებით; რაც შეეხება სექტორულ ინფლაციას, იგი წარმოიშობა, როდესაც ერთ დარგში ფასების ზრდა სხვა სექტორებში ზრდის ფასებს. დღეისათვის ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა საკვებისა და სხვა სექტორებში ფასების ზრდას იწვევს. ინფლაციის ამ ტიპების გარდა, იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, ადგილი აქვს იმპორტირებულ ინფლაციას (მიწოდების შოკები), რომელიც სხვა მიზეზთა შორის ერთ-ერთი გავრცელებული ფაქტორია და იწვევს ინფლაციის დონის ზრდას. საქართველოში ინფლაცია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულმა ფაქტორმა განაპირობა, ამიტომ იგი მრავალგანზომილებიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ინფლაციის მაღალი დონე იმპორტისა და დაუბალანსებელი ბიუჯეტის (მკვეთრი ცვლილებები სოციალურ ხარჯებში) შედეგია, ვიდრე მონეტარული პოლიტიკისა.

ინფლაციური პროცესებისა და დონის რეგულირებისათვის გამოიყენება ინფლაციის შემდეგი მოდელები:

- ფრიდმენის მოდელი შემოთავაზებული იქნა გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ. იგი ეფუძნება ფულზე რეალურ მოთხოვნას, როგორც მოსალოდნელი ინფლაციის და რეალური შემოსავლის ფუნქციას. უფრო მეტიც, მოლოდინი მიჩნეულია განსაკუთრებულ რაციონალურობად, რომელიც უტოლდება ფაქტიურ ინფლაციას. ამ მოდელით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ინფლაციის დონე, სადაც რეალური სენიორაჟი მაქსიმალურია - მაშასადამე ინფლაცია ოპტიმალურია. სხვა თანაბარ პირობებში ინფლაციის ეს დონე უფრო დაბალია, ვიდრე ეკონომიკური ზრდის ტემპი. თუ ფაქტიური ინფლაცია მაღალია, ვიდრე ,,ოპტიმალური", მაშინ დამატებითი ფულის ემისია მხოლოდ დააჩქარებს ინფლაციას და შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი რეალური სენიორაჟი. ფულის ემისია შეიძლება, თუ ფაქტიური ინფლაცია დაბალია ,,ოპტიმალურზე".
- სარდჟენტ-უოლესას ინფლაციის ეს მოდელი ეფუძნება რაციონალურ მოლოდინს. იგი შემოთავაზებული იქნა ნ. უოლესის და ტ. სარდჟენტის მიერ. ამ მოდელის თეორიის მიხედვით, მიმდინარე ინფლაცია დამოკიდებულია როგორც მოქმედი, ისე მომავალი ფულადი (მონეტარული) პოლიტიკისგან. კერძოდ, მოდელი ვარაუდობს, რომ შემაკავებელი პოლიტიკის დროს ინფლაცია შესაძლებელია უფრო მაღალი იყოს, ვიდრე ნაკლებად მჭიდრო ფულად-საკრედიტო პოლიტიკისას. მოდელი ასევე ითვალისწინებს ემისიით და ბიუჯეტის დეფიციტის ვალით დაფინანსების შესაძლებლობას, თუმცა გამოდის ის, რომ ვალის გაზრდის შესაძლებლობა შეზღუდულია სახელმწიფო ობლიგაციებზე მოთხოვნით. საპროცენტო განაკვეთი აღემატება გამოშვების ზრდის ტემპს, ამიტომ რაღაც მომენტში დეფიციტის ფინანსირება შესაძლებელია მხოლოდ სენიორაჟის ხარჯზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მზარდი ტემპით იზრდება ფულის მასა და ინფლაცია. მოდელი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მონეტარულ პოლიტიკას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს რეალური გამოშვების ზრდის ტემპზე და რეალურ საპროცენტო განაკვეთზე (ისინი დგინდება ეგზოგენურად მოდელში). მოდელის მთავარი დასკვნა ერთი შეხედვით პარადოქსულია და ეს არის მონეტარული პოლიტიკის შემაკავებელი როლით გარდაუვლად გამოწვეული ფასების დონის ზრდა დღეს, ხვალ და უფრო მეტიც, ამან შეიძლება გამოიწვიოს მიმდინარე ინფლაციის დონის ზრდა. ეს დასკვნა გამომდინარეობს იქედან, რომ ეკონომიკური აგენტები ელოდებიან ხელისუფლების მიერ მომავალში ვალის დაფინანსებას ფულის ემისიით. ფულის მიწოდების ზრდის დაბალი მაჩვენებელი დღეს არის ზრდის მაღალი ტემპი მომავალში, რაც გამოიწვევს ინფლაციას. მომავალში ინფლაციის მოლოდინი შეიძლება გამოიწვიოს დღევანდელმა ზრდის ტემპმა, მიუხედავად მონეტარული პოლიტიკის დაჭერისა. ამგვარად, ინფლაცია ვალის დაფინანსებისას შეიძლება იყოს მაღალი, ვიდრე ემისიისას. ერთადერთ საიმედო საშუალებას წარმოადგენს ბიუჯეტის პროფიციტის მიღწევა.
- კეიგანის ჰიპერინფლაციის მოდელი. ეს არის ინფლაციის მათემატიკური მოდელი, რომელიც გამარტივებული სახით აღწერს ინფლაციის დინამიკას იმ პირობით, რომ ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია მხოლოდ ინფლაციური მოლოდინისგან. ამიტომ ეკონომიკურ ზრდას არა აქვს ადგილი. ეს მოდელი შემოთავაზებული იქნა 1956 წელს და ფაქტიურად აღწერს ჰიპერინფლაციის ისეთ სიტუაციას, რომელშიც ინფლაციის მოლოდინი იწყებს გადაჭრას ყველაფერი ეკონომიკაში. თუ მოლოდინის ადაპტაციის სიჩქარე დაბალია და ფულზე მოთხოვნის ელასტიურობაც დაბალი, ეს მოდელი აღწერს სიტუაციას, როცა ინფლაცია ტოლია ფულის მასის მიმდინარე ტემპისა. აქედან შეიძლება ვიპოვოთ გამოსავალი და ინფლაციის დონის შესაჩერებლად მივიღოთ ზომები, რომელიც შეამცირებს ეკონომიკური სუბიექტების ინფლაციურ მოლოდინს.

- ბრუნო-ფიშერის მოდელი ასახავს ფულზე მოთხოვნის დამოკიდებულებას არა მხოლოდ ინფლაციის მოლოდინით, არამედ მშპ-თი, უფრო ზუსტად იგივე ფუნქციით, როგორც კეიგენის მოდელი, მაგრამ ამ მოდელში ფულის მასის ზრდის ტემპის გარდა ჩანს მშპ-ს ზრდის ტემპი. გარდა ამისა მოდელში დანერგილია ბიუჯეტის დეფიციტი, გაანალიზებულია ბიუჯეტის დეფიციტის გავლენა და მისი ფინანსირების მეთოდები (ფულის წმინდა ემისია ან შერეული ფინანსირება ემისიის და სესხის ხარჯზე) ინფლაციის დინამიკაში. ამდენად მოდელი საშუალებას გვაძლევს ანალიზის გაღრმავებით გაიზარდოს მონეტარული პოლიტიკის ეფექტი.

ამგვარად, ინფლაციის მართვის მეთოდები არაერთმნიშვნელოვანია და წინააღმდეგობრივი თავისი შედეგებით. ანტიინფლაციური პოლიტიკა - ეს არის ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს ინფლაციასთან ბრძოლას. ასეთი პოლიტიკის პარამეტრების ქცევის დიაპაზონი ძალზე ვიწროა, რამეთუ, ერთი მხრივ, იგი მოითხოვს ინფლაციური სპირალის დაჭერას, მეორე მხრივ, წარმოების წახალისების შენარჩუნებას, შექმნას ბაზრის საქონლით გაჯერების პირობები. იგი შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

1. დეფლაციური - ფულზე მოთხოვნის რეგულირება ფულად-საკრედიტო და საგადასახადო მექანიზმების მეშვეობით და ამ გზით სახელმწიფო ხარჯების შემცირება, სესხებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, საგადასახადო ტვირთის გაძლიერება, ფულის მასის შეზღუდვა, რაც განაპირობებს ნელ ეკონომიკურ ზრდას.

2. შემოსავლების პოლიტიკით - პარალელური კონტროლი ფასებსა და ხელფასებზე, მათი სრული გაყინვისა ან ზრდის საზღვრის შეზღუდვის დადგენის გზით.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის და ფულის გაუფასურების ხარისხის მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ ფულადი სისტემის სრული ან ნაწილობრივი ტრანსფორმაცია, ფულის მიმოქცევის მოწესრიგებისა და განმტკიცებისათვის მიიღწევა ფულის რეფორმით, რასაც სახელმწიფო ამ ეტაპზე დევალვაციით და მომავალში სხვა მეთოდებით განახორციელებს.

ლიტერატურა:

1. Латов Ю. Преображенский Д. Инфляция и дефляция в истории рыночного хозяйства. Особенности инфляции в СССР и в России Т.1. –Москва:Ресрублика,1992
2. Зверев А. Г. Сталин и деньги. –Москва:Алгоритм, 2012.-310 стр.
3. Shleifer A., Vishny R. Pervasive shortages under socialism
4. Lagassé, Paul. Monetarism // The Columbia Encyclopedia. -6th. -New York: Columbia University Press, 2000. — ISBN 0-7876-5015-3.
5. Friedman Milton. A Monetary History of the United States 1867-1960 (1963)
6. www.geostat.ge

Izolda Gabadadze, Ineza Tsereteli, Nino Mushkudiani

Akaki Tsereteli State University

INFLATION AND ITS MODELS

RESUME

In the thesis “Inflation and its Models” inflation is discussed as the most noticeable and a complex event with its social –economic effects which manifests itself in the market economy in an open form-by the increase of prices. The paper deals with controversial nature of the management methods of inflation. On the one hand, in inflationary spiral maintenance and on the other hand, in keeping production incentives. The nature of demand and supply of inflation are studied. In the work the rate of inflation around the world is analyzed and Friedman’s, Sargent-Olesa’s, keigan’s and Bruno Fisher’s models of inflation are given.

გიული გიგუაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შიდა ქართლის ძირითადი საკურორტო ზონები და სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივა

საქართველოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესებას. თითოეული რეგიონის რეალური ეკონომიკური პოტენციალის საფუძვლიანად შესწავლა, სიღარიბის აღმოფხვრა, დასაქმება, ინფრასტრუქტურის, აგრარული სექტორის, განათლების სისტემის და ტურიზმის განვითარება მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტებს წარმოადგენს. [1]

შიდა ქართლის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი და მცირე კავკასიონების მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს. ტერიტორიის ფართობი - 6200 კვ. კმ (მათ შორის საქართველოს იურისდიქციის ქვეშაა 4807 კვ. კმ), რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 9,2%-ს შეადგენს და თავს უყრის მოსახლეობის 7%. მოსახლეობის სიმჭიდროვე 65.4 კაცი/კმ², ურბანიზაციის დონე 38.7%. [2]

რეგიონის ბუნებრივი პირობები საკმაოდ ხელსაყრელია: კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, ზომიერად თბილი ჰავითა და ზომიერი ტენიანიანობით, რაც სასურველ პირობებს ქმნის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. რეგიონში წარმოდგენილი ხშირი ჰიდროქსელი მდინარე მტკვრის აუზს ეკუთვნის, ეს უკანასკნელი კი რეგიონის მთავარი საწყლოსნო არტერიაა. რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებულია ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ზონები, ვერტიკალური ზონალობის ჩათვლით, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვანი ნიადაგებით და საკმაოდ მდიდარია ტყეებით, ფლორითა და ფაუნით.

შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობა 300 000 კაცს აღემატება, რომელთაგან თითქმის ნახევარი (46%) გორის მუნიციპალიტეტის მკვიდრია. დანარჩენ სამ მუნიციპალიტეტში კი მოსახლეობა თითქმის თანაბრად არის განაწილებული: ხაშურში მოსახლეობის 20 %, ხოლო ქარელსა და კასპში - 17 % ცხოვრობს. [2]

შიდა ქართლის რეგიონი უპირატესად რურალურია (სასოფლოა) და მისი ურბანიზაციის დონე 40%-საც ვერ აღწევს. ასეთი მაჩვენებელი არაინდუსტრიული, განვითარებადი რეგიონებისათვისაა დამახასიათებელი. ქართლის რეგიონში განვითარებულია მევენახეობა–მეღვინეობა. აქ უძველესი დროიდან ტრადიციული ტექნოლოგიით ამზადებენ საუკეთესო ხარისხის სუფრის ღვინოებს, როგორიცაა: ატენური, თავკვერი, ჩინური, მუხამწვანე და სხვა. უძველესი ღვინის კულტურის ნიშნები და ყურძნის წიპწები (მსოფლიოში უძველესი ძვ. წ. 8000 წ.) სწორედ ქართლის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

შიდა ქართლის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. შესაძლებლია გამოვყოთ სოფლის მეურნეობის შემდეგი ძირითადი წამყვანი დარგები: მეხილეობა (ვაშლი, ატამი, გარგარი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი), მევენახეობა, მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, სიმინდი), მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მეცხვარეობა, მეღორეობა).

შიდა ქართლის ტერიტორია განთქმულია თავისი მრავალფეროვანი და არქიტექტურულად უმდიდრესი ძეგლებით. სამკურნალო მინერალური წყლები და კურორტები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები ხელსაყრელ პირობებს ქმნის შიდა ქართლში ტურიზმის განვითარებისათვის. უნიკალური საკურორტო მეურნეობის განვითარება და ქვეყნის ეკონომიკურ სამსახურში ჩაყენება საბაზრო ეკონომიკის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა.

ქართლში მრავლადაა ისეთი სოფლები და საკურორტო ადგილები, სადაც უცხოელ ტურისტებს შეუძლიათ იცხოვრონ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, დატკბნენ პეიზაჟების სილამაზით, გაეცნონ კულტურულ-ისტორიულ და ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს, დააგემოვნონ შესანიშნავი ღვინოები და ეკოლოგიურად სუფთა და მრავალფეროვანი ადგილობრივი სამზარეულო, ითევზაონ მდინარეებსა და ტბებში, გაერთონ ნადირობით ჩვენს ტყეებში. შიდა ქართლის საკურორტო ზონებიდან აღსანიშნავია:

- ბიისი – კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი, მდებარეობს გორის რაიონში, კერძოდ ატენის ხეობაში. მიეკუთვნება მთის კურორტის ტიპს. ზღვის დონიდან 1080 მ სიმაღლეზეა. გამოირჩევა ლამაზი ლანდშაფტით, უნიკალური სამკურნალო-მინერალური წყლით. ჰავა და ულამაზესი ბუნება საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა. ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს მინერალური გოგირდივანი

წყალი, რომელიც თვითდინებით მოედინება და გამოიყენება სამკურნალო აბაზანების მისაღებად. ბიისის მახლობლად მდებარეობს სოფლები ბოშური და ბობნევი, რომლებიც აგრეთვე გამოირჩევიან სამკურნალო ჰავით.

- გორიჯვარი – მდებარეობს ზღვის დონიდან 650 მ სიმაღლეზე. ქალაქ გორთან ახლოს. შერეული სამკურნალო ფაქტორი – კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი. მიეკუთვნება დაბალი მთის ზონის კურორტს. ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს გოგირდწყალბადიანი, სულფიდური მინერალური წყალი, რომელიც დადებით გავლენას ახდენს და განკურნავს გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ძვალ-სახსართა, გინეკოლოგიურ და კანის დაავადებებს.
- ატენი – ეს არის საკურორტო ზონა პროფილაქტიკურ-კარდიოლოგიური სამედიცინო პროფილით. სოფელი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, ატენის ხეობა მოიცავს მდ. ტანას აუზს, ზღვის დონიდან 720 მეტრზე, საშუალო მთის ზონის კურორტი. აქ არის შერეული ტყე. ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა განსაკუთრებული თვისებების მქონე ჰავა. ატენის ხეობა ცნობილია აგრეთვე უძველესი ისტორიული ძეგლებით.
- ფელი – მაღალი მთის კურორტი, მდებარეობს ზღვის დონიდან 1250 მ-ზე, აქ არის შერეული ტყე (ფოთლოვან-წიწვოვანი), ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი – მაღალი მთის ჰავა. ეფექტურია ასთმით დაავადებულებისათვის.
- საყავრე – მთის კურორტი, ზღვის დონიდან 1250 მეტრზე. სამკურნალო ფაქტორი განისაზღვრება განსაკუთრებული თვისებების მქონე ჰავით.
- აბანო – კურორტი მდებარეობს ქარელის რაიონში. ცნობილია ბუნებრივი სამკურნალო წყლებითა და წყაროებით, რომელიც სულფიდური მინერალური წყლის ტიპს მიეკუთვნება. კურორტი სასარგებლოა გინეკოლოგიური, ართრეოლოგიური, ნევროლოგიური სამედიცინო პროფილით დაავადებულ ავადმყოფთა განსაკურნებლად. სოფელი მდებარეობს ზღვის დონიდან 720 მეტრის სიმაღლეზე.
- ტბეთი – ბატეთის ტბა მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე ბატეთის წყლის ხეობაში. განეკუთვნება ალპურ ზონას, ზღვის დონიდან 1250 მეტრზე. ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მაღალი მთის კლიმატი. ტბა გარშემორტყმულია შერეული ტყით.
- ტყემლოვანი – კურორტი გამოირჩევა ნახშირმჟავას მინერალური წყლის ტიპით. კურორტი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე მდ. ტყემლოვანის წყლის ხეობაში (ძამის მარცხენა შენაკადი), ზღვის დონიდან 1030 მეტრის სიმაღლეზე. ამ ზონაში მდებარეობს გუგომის, ტყემლოვანის, ქოზიფას სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის ეკლესიაც. კურორტი გამოირჩევა როგორც განსაკუთრებული თვისებების ჰავით, ისე ბუნებრივი სამკურნალო მინერალური წყლებითა და წყაროებით.
- ხოვლე – კასპის რაიონის ბალნეოლოგიური კურორტი ართროლოგიური სამედიცინო პროფილით, სულფიდური მინერალური წყლის ტიპი. მდებარეობს ზღვის დონიდან 780 მეტრზე. გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ ფუნქციონირებდა გოგირდოვანი წყლების ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი.
- ახალქალაქი – მდებარეობს ზღვის დონიდან 1040 მეტრზე. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია მაღალი მთის კლიმატი.
- გოსტიბე – პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური, ნევროლოგიური სამედიცინო პროფილით. მდებარეობს ზღვის დონიდან 1400 მეტრზე. მთის კურორტზე მკურნალობის ძირითადი საშუალებაა სამკურნალო თვისებების მქონე ჰავა.
- რკონი – ზღვის დონიდან მდებარეობს 950 მეტრის სიმაღლეზე, მაღალი ჰაერის გამო სასარგებლოა ბავშვებისა და მოზარდებისათვის. მდიდარია მინერალური წყლებით.

შიდა ქართლის კურორტების უმრავლესობაში ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს ძირითადად ფერმერული მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. საოჯახო ტურიზმის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწების გონივრულად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმ რაოდენობით წარმოება, რომელიც როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ტურისტების მოთხოვნილებებს სრულად დააკმაყოფილებს. სასტუმრო ინდუსტრია ტურისტული მეურნეობის მძლავრ სისტემას და ტურიზმის ეკონომიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას დიდი როლი ეკისრება ქართულ სოფელში აგროტურიზმის განვითარების საქმეში.

რეგიონული განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული რეგიონის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას. „შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის“ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას. [3] სტრატეგიის მიხედვით, შიდა

ქართლის ტურისტული პოტენციალი, ჩვეულებრივ, მხარეში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტის კულტურულ-ისტორიული თუ რელიგიური ღირებულების მქონე ძეგლების სიმრავლეს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისათვის ტურისტული პოტენციალი განიხილება, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი სფერო. ბოლო წლებში შიდა ქართლის რეგიონში ტურისტებისა და ვიზიტორების ნაკადები საგრძნობლად არის გაზრდილი, რაც დადებითი ტენდენციაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, მარტო შიდა ტურიზმის ფარგლებში 2017 წლის პირველ ორ კვარტალში შიდა ქართლი 121 100-მა ადამიანმა მოინახულა (158 300 ვიზიტი). [4] გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის ოფიციალური ინფორმაციით კი, 2017 წლის 10 იანვრიდან 01 ოქტომბრამდე მარტო გორის მუნიციპალიტეტში შემოსულია 234 462 ტურისტი.

ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობის მატების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია რეგიონულ დონეზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება მსოფლიოს წამყვან მედიაში და სხვ. ამავე დროს, თვალსაჩინოა შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობაც, კერძოდ: არასათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურა; ობიექტების დათვალიერებაზე დაწესებული ტარიფები; ტურისტული ობიექტების არასათანადო დასუფთავება და სხვა. [2]

ზოგადად, შიდა ქართლის რეგიონს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. რეგიონში შესაძლებელია განვითარდეს სამკურნალო ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი, აქტიური და ექსტრემალური ტურიზმი. ვფიქრობთ ყურადღებას იმსახურებს სასოფლო ტურიზმის განვითარების პერსპექტივა შიდა ქართლში. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ეს დარგი სულ რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა საქართველოში და ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. ევროპაში სოფლის ტურიზმი ნეხევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. მსოფლიოში ტურიზმით მიღებული შემოსავლის 20%-დან 40%-მდე სწორედ სოფლის ტურიზმის წილად მოდის. გამოკვეთილია ლიდერი ქვეყნებიც: ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ.

ბოლო წლებში სოფლის ტურიზმის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა განვითარებულ ქვეყნებში. ხმაურიანმა ცხოვრებამ, შმაგმა რუტინამ და სტრესმა ქალაქის მცხოვრებლებს უბიძგა, დროის რაღაც ნაწილი გაეტარებინათ სოფლად, სადაც მათ დახვდებოდათ მეგობრული გარემო, რომელიც ცოტა ხნით დაავიწყებდა ყოველდღიურ ყოფით პრობლემებს. სოფლის ტურიზმი ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენებას გულისხმობს. სტუმრებს საშუალება ეძლევათ იმოგზაურონ სოფელიდან სოფელში, დააგემოვნონ ბიოლოგიურად სუფთა, სახლში მომზადებული სადილები, დაკავდნენ ტრადიციული აქტივობებით და შეიგრძნონ "სოფლის ცხოვრება". სოფლის მძიმე რუტინა უცხოელი ტურისტებისათვის ერთგვარი ეგზოტიკაა.

შიდა ქართლის თითოეული სოფელი განსხვავდება თავისი ბუნებით, ტრადიციებით, საკვებით, ფოლკლორით და ა. შ, რაც ტურისტების მოგზაურობას განსაკუთრებით საინტერესოს და ექსტრემალურს ხდის. სოფლის ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს სოფლებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, სოფელში სამეწარმეო ბიზნესის განვითარებას, კულტურული და ბუნებრივი ძეგლების აღდგენას, სახალხო დღესასწაულების, მივიწყებული ადათ-წესების, ხალხური რეწვის აღორძინებას, ეკოლოგიური გარემოს დაცულობის ზრდას და ა. შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ყველაზე გამორჩეული ღვინოა. მისი გამორჩეული არომატისა და დაყენების ტრადიციებისა და წესების გამო, ეს სასმელი დიდი ხანია იზიდავს უცხოელ სტუმრებს. ღვინის კულტურა განსაკუთრებით გამორჩეულია შიდა ქართლში. აქ გავრცელებული ჯიშებიდან აღსანიშნავია ჩინური, გორული მწვანე, ბუდეშური თეთრი, თავკვერი, შავკაპიტო და საფერავი. [5]

შიდა ქართლი ცნობილია საოჯახო მარნებით. განსაკუთრებით გამოირჩევა „შატო ატენი", ატენის დედათა მონასტრის მარანი, აგრეთვე გოგი დვალიშვილის საოჯახო მარანი სოფელ ხიდისთავში, გიორგი მერებაშვილის ღვინის მარანი კასპში. [6] საოჯახო მარნების გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია აგროტურიზმისა და ღვინის ინდუსტრიის განვითარებისთვის. მათ განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პროექტმა - „საქართველოს ღვინის გზა", რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ყველა რეგიონში არსებული ღვინის კომპანიების, მცირე და ოჯახური მარნების მოძიებას, აღრიცხვას და ტურისტებისთვის განკუთვნილ საინფორმაციო კატალოგებში განთავსებას. ამავე დროს გზებზე მონტაჟდება სპეციალური ნიშნულები, რომლებიც ტურისტს მათ ადგილმდებარეობაზე მიანიშნებენ.

2013 წლიდან საქართველო ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებულ პროექტს ,,ინოვაციური სოფლის ტურიზმის ხელშეწყობა შავი ზღვის აუზის რეგიონში (PIRT)" - ახორციელებს. პროექტი საქართველოს, სომხეთს, ბულგარეთსა და თურქეთს აერთიანებს. მისი მხარდამჭერი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაა. პროექტი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, მათ შორის

სოფლის ტურიზმში ჩართული პირების პროფესიული ცოდნის ამაღლება და ახალი ინოვაციური ტურისტული პროდუქტის შექმნაა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შეფასებით, საქართველოს სოფლის ტურიზმის კუთხით უდიდესი პოტენციალი გააჩნია. [7]

პროექტის პარტნიორებმა: ჰეიფერ სომხეთმა, ჰეიფერ საქართველომ, ვარნას ეკონომიკური განვითარების სააგენტომ (ბულგარეთი) და გუმუშანეს ეროვნულმა საგანმანათლებლო დირექტორატმა (თურქეთი) გააერთიანეს თავიანთი რესურსები და ერთობლივად შექმნეს სოფლის ტურიზმის ქსელი. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ახალი რეგიონული, ტურისტული პროდუქტი სახელად „რეგიონული სტუმრის პაკეტი“, რომელიც წაახალისებს და მხარს დაუჭერს ტურისტების შიდა ნაკადებს შავი ზღვის აუზის რეგიონში, რათა შედგეს პროექტში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური თანამშრომლობა პროექტში მონაწილე ქვეყნებთან და მათ უცხოელ პარტნიორებთან. [8]

შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის საქართველოს ყველაზე მაღალი ტურისტული პოტენციალი გააჩნია სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, განსხვავებული რელიეფი, მრავალფეროვანი და უნიკალური სამზარეულო, სოფლების მრავალფეროვნება, ტრადიციები და და სტუმარმასპინძლობის კულტურა სოფლის ტურიზმის განვითარების წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ.

ევროპის სამეზობლო პროგრამის - სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარებისათვის (ENPARD) ძალისხმევით, დღეისათვის საქართველოს უკვე გააჩნია ცალკეული პოლიტიკა სოფლის განვითარების კუთხით, რომელიც მოიცავს კონკრეტული მხარდაჭერის პროგრამებს. ENPARD III (2017-2020) სოფლის განვითარების ბიუჯეტი 32 მილიონი ევრო. [9]

საქართველოს სოფლების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“. [10] დოკუმენტის მიზანია მომდევნო სამი წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიზნესის განვითარება, სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებს. სტრატეგიის მიხედვით, სოფლის განვითარების და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობას და ტენდენციებს, მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობა. ბუნებრივია, აღნიშნული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების რეალიზაცია ხელს შეუწყობს როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე შიდა ქართლში სოფლების გაძლიერებას და შესაბამისად, მათი ტურისტული პოტენციალის რეალიზაციას.

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, შიდა ქართლის ძირითად პრობლემებსაც უმუშევრობა, სიღარიბე, დევნილთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა, ინფრასტრუქტურის სრულყოფის აუცილებლობა, საგზაო მეურნეობის მოწესრიგება და ა. შ. წარმოადგენს. გამოსავალი ერთია: შიდა ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2021 წწ. სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების თანმიმდევრული გადაწყვეტა. რაც შეეხება საკურორტო და საოჯახო-ფერმერული ტურიზმის განვითარებას შიდა ქართლში, იგი ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას. თუმცა, როგორც აღინიშნა, სასურველი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად აუცილებელია: ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საოჯახო ტიპის სასტუმროების მშენებლობა; ისტორიული და კულტურული ძეგლების რესტავრაცია; ტურისტული საინფორმაციო და მომსახურების ცენტრების შექმნა; ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების მშენებლობა; აგრობიზნესის ხელშეწყობა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია
2. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის http://www.mrdi.gov.ge/ge/news/rdevelopment/52b2e7170cf2f9b6fab6b470
3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო http://www.mrdi.gov.ge/ge/news/rdevelopment/52b2e7170cf2f9b6fab6b470
4. https://bpn.ge/finansebi/38591-2017-tsels-yvelaze-meti-stumari-thbiliss-etsvia-yvelaze-naklebi-ki-afkhazeths.html?lang=ka-GE
5. ღვინის ეროვნული სააგენტო http://georgianwine.gov.ge/geo/text/135/
6. http://georgianwine.gov.ge/upload/file/1486986379-SOS%20Komp.pdf
7. სოფლის ტურიზმის ტრადიცია ევროპაში და მისი პოტენციალი საქართველოში - http://igrovoetv.ru/video/y49WQK0SVbO8/-/ 7 ივნისი, 2015
8. “ინოვაციური სოფლის ტურიზმის ხელშეწყობა შავი ზღვის აუზის რეგიონში (PIRT)” www.blackseatourism.org

9. WWW.ENPARD.GE საინფორმაციო ბიულეტენი, გამოცემა N5 – 2016 წლის ივნისი
10. „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“ - https://drive.google.com/file/d/0B3By27k_VyD8ZGFOcFMxQWlYVzg/view

Giuli Giguashvili
Gori State Teaching University

THE MAIN RESORT ZONES OF SHIDA KARTLI AND PROSPECTS FOR DEVELOPMENT OF RURAL TOURISM

RESUME

In Georgia tourism development is one of the most important parts of the economy raise. Today it is one of the quickly-developing and high-yielding industries in the world which is going on development with quick steps. Tourism’s impact on the economic and social development of a country can be enormous: opening it up for business, trade and capital investment, creating jobs and entrepreneurialism for the workforce and protecting heritage and cultural values. This sphere can bring much profit as to private firms, also to concrete countries, Revenues from tourism sector grow on annual basis and reach record figure. Development of turistical business and involve in the economical service of the country is the most important and active problem of the development of market economics.

In ensuring sustainable development of Georgia, it is crucial to create a favorable environment for socio-economic development of the regions and to improve living standards and conditions of the population. The thorough study of the real economic potential of each region, eradication of poverty, employment, development of infrastructure, agriculture sector, education system and tourism is the priority of the government.

Shida Kartli is a landlocked administrative region (Mkhare) in eastern Georgia. Comprises a central part of the historical-geographic province of Shida Kartli. With an area of 5,729 square kilometres (2,212 sq mi), Shida Kartli is the 8th largest Georgian region by land area. With 300,382 inhabitants, it is Georgia's seventh-most-populous region. Shida Kartli's capital and largest city, Gori, is the 5th largest city in Georgia.

Shida Kartli region is a very profitable place for tourism development because of it’s various natural-climatic conditions. Shida Kartli region has a great tourist potential, it can be developed in the region of tourism, ecotourism, agro-tourism, cultural-cognitive tourism. We think that the development of agricultural tourism in Shida Kartli is worth the attention. It should be noted that this field of tourism appeared several years ago in Georgia. Development of rural tourism will help create new jobs, increase living standards of rural population, create tourism infrastructure, develop entrepreneurship in the village, restore cultural and natural monuments, public holidays, forgotten customs rules, revival of folk art, increase ecological environment and other.

მანია გოგიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფრენშაიზინგის განსხვავებული მახასიათებლები

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა ახალი მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი ეკონომიკური მექანიზმია ფრენშაიზინგი, რომლის საშუალებით შეიძლება ბიზნესის ეფექტურობა გავზარდოთ. ამ ინსტრუმენტის მიმართ ინტერესი გაფართოვდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ფრენშაიზინგი სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართული სამართლისათვის. გამოიყენება საქონლის წარმოების, გასაღების და მომსახურების თითქმის ყველა სფეროში, საცალო ვაჭრობასა და კვების ინდუსტრიაში. ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს მსხვილი კომპანია, ზოგჯერ ტრანსნაციონალური კორპორაციაც (ფრენშაიზის მიმცემი), რომელიც ბაზარზე სარგებლობს საქმიანი რეპუტაციით და გამოირჩევა მაღალი სამრეწველო ან კომერციული პოტენციალით. ასეთებია: კოკა-კოლა, მაკდონალდსი, პროქტერ ენდ გემბელი, კოლგეით-პალმოლივი და სხვები. ეს კორპორაციები თავად კი არ ხსნიან საწარმოებს, არამედ სხვის საკუთრებაში არსებულ დამოუკიდებელ საწარმოებს ხელშეკრულების ვადით გადასცემენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. მეორე მხარედ კი ყოველთვის ფრენშაიზის მიმღები გვევლინება. ფრენშაიზინგი ეხმარება ფრენშაიზის მიმცემს გააფართოოს ბიზნესი სხვისი

კაპიტალის ხარჯზე, ხოლო ფრენშაიზის მიმღებს საშუალებას აძლევს გახდეს დამოუკიდებელი მეწარმე, გამოიყენოს უკვე ნაცადი ბიზნესმოდელი, ბაზარზე კარგად ცნობილი საფირმო სახელწოდება და სასაქონლო ნიშანი, რაც მთავარია ზოგავს დროს, დრო კი ფულია. მაგრამ საქმე ყოველთვის არ ამართლებს. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს: პროდუქტი; მომსახურება; მწარმოებლობითი პროცესი; ბიზნესპროცესი; კომპლექსური საქონელი.

ფრენშაიზინგი არის მეწარმეობის ფორმა, დაფუძნებული ურთიერთობის სისტემაზე, გამყარებული შეთანხმებებით (ხელშეკრულებით), რომლის ძალითაც ერთი ქვეყანა (ფრენშაიზის მიმცემი) სთავაზობს სხვა ქვეყანას (ფრენშაიზის მიმღებს) სასყიდლიან უფლებას იმოქმედოს თავისი სახელით (საქონლის რეალიზაცია), გაყიდვების გაფართოებული ბაზრის საშუალებით. ფრენშაიზინგს ხშირად შეღავათიან მეწარმეობასაც უწოდებენ.

ფრენშაიზინგის სახეების კლასიფიკაციას კიდევ უფრო დეტალურად ახდენენ ცალკეული სახის ფრენშაიზული სისტემის შიგნით, მაგალითად, სარესტორნო ფრენშაიზინგის სისტემაში ანსხვავებენ შემდეგ სახეებს:

ფრენშაიზინგული სისტემით მოქმედი რესტორნების სახეები:

	სეგმენტი	პროცენტი
1	სწრაფი მომსახურება (ბურგერები, ზღვის პროდუქტი, ფრინველი, იტალიური, მექსიკური და დესერტის)	12.8%
2	სენდვიჩები	57%
3	პიცერია	14%
4	სრული მომსახურება (სტეიკი, ყავა, საოჯახო თუ ჩვეულებრივი სასადილო)	14.5%
5	სხვა დანარჩენი	1.7%

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სფეროებს შორის, სადაც ყველაზე მეტად ჰპოვა გავრცელება ფრენშაიზულმა სისტემამ, ლიდერობს სარესტორნო ბიზნესი. მაგალითად, ამერიკული ჟურნალის "Franchise time"-ის 2016 წლის მონაცემებით ფრენშაიზინგის სფეროში გამოიკვეთა შემდეგი წამყვანი დარგები:

ფრენშაიზინგის სფეროში სამეწარმეო საქმიანობის წამყვანი დარგები აშშ-ში (2016 წ)

სამეწარმეო საქმიანობის დარგი	ფრენშაიზული ობიექტები პროცენტულად	დარგების მიხედვით ზრდის პროცენტი
რესტორნები	40%	5%
სამეწარმეო საქმიანობის სხვა დანარჩენი დარგები	21%	16%
საცალო ვაჭრობა (რითეილი)	18%	-5%
კვება ადგილზე მიტანით	8%	9%
სასტუმროები	6%	15%
რიელტორული მომსახურება	4%	22%
ავტოსერვისი და იჯარა	2%	8%
ტურისტული მომსახურება	1%	31%

ფრენშაიზინგის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს ფრენშაიზინგის რაოდენობის მიხედვითაც. კერძოდ, ამ მხრივ განასხვავებენ ორი სახის ფრენშაიზინგს:

1) ცალკეული საწარმოს ფრენშაიზინგი;

2) კორპორაციული ფრენშაიზინგი.

ცალკეული საწარმოს ფრენშაიზინგი აშშ-ში ისტორიულად დაკავშირებულია საოჯახო ბიზნესთან (მაგალითად: "mom and pop"), ფრენშაიზის ინდივიდუალურ მფლობელსა თუ ხშირ შემთხვევაში ოჯახურ წყვილთან, რომლებიც ითავისებენ მმართველი მენეჯერისა და თანამშრომლების ფუნქციებს და რომელთათვისაც მათი ცალკე აღებული ფრენშაიზული საწარმო წარმოადგენს დასაქმების ძირითად ფორმასა და შემოსავლების მთავარ წყაროს.

კორპორაციული ფრენშაიზინგი კი ისტორიულად დაკავშირებულია გარდამავალ პერიოდთან საოჯახო ბიზნესიდან ე.წ. კორპორაციულ ფრენშაიზულ ბიზნესთან (აშშ-ში 1980-იანი წლების პერიოდი),

რომლისთვისაც დამახასიათებელია ფრენშაიზინგის მფლობელთა ახალი სახის შემოსვლა: ეს არის კომპანიები, საინვესტიციო ჯგუფები თუ ცალკეული პირები, რომლებიც არა მარტო მზად არიან ჩადონ ინვესტიციები ცალკეულ ფრენშაიზულ კომპანიებში, არამედ ასევე დაინტერესებულნი არიან შექმნან რეგიონალური ფრენშაიზული ქსელები დაქირავებული შრომის დახმარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული ფრენშაიზინგის ფარგლებში გამოყოფენ განვითარების ორ ძირითად მიმართულებას:

- პირველი მიმართულება - ფრენშაიზული სისტემის განვითარება, როგორც წესი, შემოიფარგლება ერთი რომელიმე სფეროთი, სადაც უმეტეს შემთხვევაში ფრენშაიზინგის მფლობელი უშუალოდ მონაწილეობს, როგორც გენერალური მენეჯერი;
- მეორე მიმართულება - ფრენშაიზის მიმღების საქმიანობა მოიცავს ერთდროულად სამეწარმეო საქმიანობის რამდენიმე სფეროს, რომლის დროსაც ფრენშაიზულ სისტემაში ხშირად ჩართულია ერთდროულად საქმიანი ფორმატისა და საქონლის, ანდა საქმიანი ფორმატისა და წარმოების ფრენშაიზული კომპანიები: სწრაფი კვების რესტორნები, ავტომობილებით მოვაჭრე კომპანიები და ა.შ.

კორპორაციული ფრენშაიზინგის გავლენას სხვადასხვა ფრენშაიზული სისტემის მონაწილეებზე შეიძლება მოყვეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. მაგალითად, ფრენშაიზული სისტემის მფლობელისთვის სარგებელი აშკარაა, ვინაიდან კონკრეტულ რეგიონზე გარკვეული პროფილის ფრენშაიზული საწარმოების სრული კონტროლით მას ეძლევა უპირატესობა კონკურენციაში, მაგალითად, ფასების დადგენისას. თუმცაღა, ფრენშაიზის ცალკეულმა მფლობელებმა შეიძლება უარყოფითი შედეგებიც განიცადონ, ვინაიდან საცალო ვაჭრობაში ინდივიდუალური ფრენშაიზინგის ბაზარი მცირდება, რადგანაც ფრენშაიზის მიმცემები ბოლო პერიოდში ამჯობინებენ ახალ რეგიონში აგრესიული შეჭრის მიზნით, პირველ რიგში, გაყიდონ ფრენშაიზინგი რეგიონალური პაკეტებით ქსელის შექმნაზე და საქმე იქონიონ მსხვილ ინვესტორებთან და არა მცირე მეწარმეებთან, რომლებიც პოტენციურად მხოლოდ ერთი ფრენშაიზული საწარმოს მფლობელები არიან. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკელ ფრენშაიზის მიმცემთა 25% სწორედ რომ კორპორაციული ფრენშაიზინგის ქსელების მფლობელია.

ფრენშაიზული ბიზნესის გაფართოების სტრატეგიის მიხედვით გამოყოფენ ოთხი სახის ფრენშაიზინგს:

- კლასიკური ფრენშაიზინგი ოფციის პირობით (option to purchase franchising);
- კონვერსიული ფრენშაიზინგი (conversion franchising);
- შვილობილი ფრენშაიზინგი (branch franchising);
- მენეჯმენტის ფრენშაიზული ხელშეკრულება (management contract).

კლასიკური ფრენშაიზინგი ოფციის პირობით - ეს არის ბიზნესის წარმოების ისეთი გზა, რომლის დროსაც ფრენშაიზის მიმღები დებს ხელშეკრულებას ოფციის პირობით, და გარდა გარკვეულ ტერიტორიაზე ერთი ფრენშაიზული საწარმოს შექმნისა, უპირატეს უფლებას იძენს, შეღავათიანი პირობებით დააფუძნოს ფრენშაიზის მიმცემის სავაჭრო ნიშნით მოქმედი კიდევ რამდენიმე საწარმო. ფრენშაიზის მიმღების შემდგომი საქმიანობა ფრენშაიზული ბიზნესის გაფართოებასთან დაკავშირებით ბევრად არის დამოკიდებული ფრენშაიზინგის ხელშეკრულების იმ პირობებზე, რომლითაც განისაზღვრება კონკრეტულ რეგიონში ასათვისებელი ტერიტორია, ფრენშაიზული ობიექტის რაოდენობა და მათი გახსნის გრაფიკი.

კონვერსიული ფრენშაიზინგი - ეს არის ბიზნესის წარმოების ისეთი გზა, რომლის დროსაც ფრენშაიზულ სისტემას „ფენშაიზის მიმცემის საფირმო სახელწოდების ქოლგის ქვეშ“ უერთდება დამოუკიდებელი საწარმო (რა თქმა უნდა ანალოგიური ან მომიჯნავე პროფილის მქონე), რომლის მფლობელიც დებს ფრენშაიზის მიმცემის კომპანიასთან ხელშეკრულებას ფრენშაიზინგის გადაცემაზე.

კონვერსიული ფრენშაიზინგის მხრივ პიონერები გახდნენ ნავთობგადამამუშავებელი კომპანიები, რომლებიც 1920-იან წლებში სთავაზობდნენ ტექმომსახურების სადგურებს გამოეყენებინათ მათი საფირმო სახელწოდებები. ამის მაგალითია უძრავი ქონებით ვაჭრობის სააგენტო „სენჩერი 21 რიალ ისთეითი“ (ნიუ ჯერსის შტატი). როგორც წესი, კონვერსიული ფრენშაიზის მიმღებებმა იციან, როგორ მართონ სავაჭრო ობიექტები ბიზნესის საკუთარ სფეროში, ვინაიდან მომცემულ ფრენშაიზულ ქსელში ჩართვამდე ისინი მანამდეც ახორციელებდნენ ანალოგიურ საქმიანობას მრავალი წლის მანძილზე. გარდა ამისა, კონვერსიული ფრენშაიზინგი უზრუნველყოფს სავაჭრო ობიექტს მრავალწლიანი ფუნქციონირების შედეგად მიღებული გამოცდილებით, რაც აუმჯობესებს მისი საქმიანობის ეფექტიანობას.

ფრენშაიზის მიმცემი კომპანია ერთი მხრივ, ამდიდრებს თავის ფრენშაიზულ ქსელს, იძენს რა კომერციულ საქმიანობის გამოცდილებისა და კონკრეტული ბაზრის ცოდნის მქონე ფრენშაიზის მიმღებს

და, მეორე მხრივ, თავიდან იცილებს საშიშ კონკურენტს. პეპსი, კოკა-კოლასა და მაკლდონალდსის გარდა საქართველოში უამრავი ფრენშაიზინგული კომპანია ფუნქციონირებს:

- Snap Fitness–ი ფიტნეს კლუბების საერთაშორისო ბრენდია, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით 1400–ზე მეტი ფილიალი აქვს. Snap Fitness–ი ქართულ ბაზარზე ფრენჩიზის ხელშეკრულებით შემოვიდა და პირველი ფილიალი ერთი თვის წინ თბილისში გახსნა. როგორც ცნობილია, კომპანია ფილიალების გახსნას საქართველოს სხვა რეგიონებშიც გეგმავს. Snap Fitness-თან უკვე გაფორმებულია მასტერ ფრენჩაიზის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს სრულ წარმომადგენლობით უფლებებს საქართველოზე. ხოლო რაც შეეხება პარტნიორებს, ზაზა ფაჩულიასთან ერთად კომპანიის მფლობელები არიან ლევან დიასამიძე, არჩილ ფირიაშვილი და ივანე გაგუა. სნეპ ფიტნესის პირველი ფილიალი 2015 წლის 21 ნოემბერს გაიხსნა, საინვესტიციო გეგმის მიხედვით, 2017 წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 9 ფილიალის გახსნა. სნაპ ფიტნესი ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი იქნება 10 ფილიალით, რომელთაგან 6 განთავსდება თბილისში, ხოლო 4 რეგიონებში. რაც შეეხება ინვესტიციის მოცულობას, ფრენჩაიზის კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, სამწუხაროდ, არ იძლევა საშუალებას საჯარო გახდეს ჯამური ინვესტიციების მოცულობა. რაც შეეხება რესურსების წარმომავლობას, ქართული ინვესტიციის გარდა, რესურსების გარკვეული ნაწილი მოზიდულია საერთაშორისო ბაზრიდან.
- ქართულ ბაზარზე წარმატებით ფუნქციონირებს ფრენშაიზინგული კომპანია „ედრესი", რომელიც 5 ბრენდს Etam, Promod Celio, Gerry Weber-ს და Orsay-ს აერთიანებს. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია „ეტამის" მაღაზიის კონცეფციის შეცვლა, რადგან წელს ამ ბრენდის 100 წლის იუბილეა და ამასთან დაკავშირებით საფრანგეთშიც და შესაბამისად, საქართველოშიც კონცეფციის განახლება მოხდება.
- კიდევ ერთი ფრენშაიზინგული კომპანია „ჯითექსი" ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე, რომელიც 6 ბრენდს წარმოადგენს, მათ შორისაა collezione, OVS, Terranova, English Home, Enza Home Penti.
- საქართველოს ტერიტორიაზე ფრენშაიზინგულ საქმიანობას ეწევა „შერატონი“, „ჰაიტი“, პარფიუმერული სალონი „ივ-როშე“ (საფრანგეთი), „ისი-პარი“, „ვულე-ვუ“. რითეილური (საცალო) მაღაზიები: „ნაფ-ნაფი“, „ლინენსი“, „დავი“ , „ბატა“, ბენზინგასამართი სადგურების ქსელი – „ვისოლი“, „ლუკოილი“ და სხვ.
- ბრენდის ექსკლუზიური ლიცენზიის მფლობელი, „სპარ საქართველო“, ყველა ადგილობრივ საცალო მოვაჭრეს, მაღაზიას თუ მაღაზიათა ქსელს შიდა ფრენჩაიზინგის ლიცენზიის მოპოვებასა და ბრენდის ქვეშ გაერთიანებას სთავაზობს. ლოკალურად სპარის ბრენდის ქვეშ გაერთიანება, დამოუკიდებელ საცალო მოვაჭრეებს ყველა იმ უპირატესობით სარგებლობას სთავაზობს, რითაც თავად სპარი ოპერირებს. საერთაშორისო ექსპერტიზა და ბრენდის 84 წლიანი გამოცდილება ნებისმიერი მსურველისთვის ორგანიზებულ საცალო ვაჭრობის ბაზარზე აქტიურად, ეფექტურად და აგრესიულად შესვლის გარანტია. პროექტში ჩართვა და სპარის ლიცენზიის მოპოვება შესაძლებელია როგორც არსებული მაღაზიებისთვის, ისე ნებისმიერი მსურველი ინვესტორისა თუ მეწარმესთვის. სპარის ყველა ფრენჩაიზი, რომელიც მსოფლიოში რამდენიმე ათასი დამოუკიდებლად მოქმედი მაღაზიისგან შედგება, აღნიშნული მოდელის ეფექტურობის ცალსახა მტკიცებულებაა. სპარ საქართველოს მიზანია მომხმარებლებს შესთავაზოს უკეთესი არჩევანი, საკუთარი ბრენდული პროდუქცია და მასზე მორგებული მომსახურება. პირველი ფრანშიზის მიმღები შპს „ევროფუდია“, რომელიც აღნიშნული პროექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა.
- 2015 წელს თბილისში ამერიკული რესტორების ქსელი, „დანქინ დონატსი“ შემოვიდა და კვების პირველი ობიექტი გახსნა. ბრენდი შტატებში 1950 წლიდან ფუნქციონირებს, ხოლო 1955 წლიდან აქტიურად განავითარა ფრენჩაიზინგი და სწრაფი ტემპით დაიწყო ქსელის გაფართოება სხვადასხვა ქვეყანაში.

ლიტერატურა:

1. ციგრიაშვილი ელენე. საქართველოში მოღვაწე უცხოური კომპანიები ფრენშაიზინგის ხელშეკრულებების არსებობაზე ინფორმაციას არ გასცემენ. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ #413, 29 ივნისი, გვ. 8. თბილისი, 2015.
2. სალომე ჩხაიძე, დავით იმნაძე, ფრენშაიზინგის ცნება და გამოყენების მნიშვნელობა. სამეცნიერო შრომების კრებული: რეფერირებადი და რეცენზირებული სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი. N5. - გვ. 35-51. თბილისი, 2014.
3. თორნიკე ნემსწვერიძე. კონტრაჰენტთა თანასწორობის პრინციპის რეალიზება ფრენშაიზინგულ ურთიერთობებში. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. გვ. 33-44. თბილისი, 2013.
4. მარი ქოქიაშვილი. საქონლის ხარისხის კონტროლი და პასუხისმგებლობის განაწილება ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: აკადემიური მაცნე. Grigol Robakidze University. Academic Bulletin. N1, სამართალი. - გვ. 200-207. თბილისი, 2013.

5. მარი ქოქიაშვილი, თამარ ქოქიაშვილი. ფრენშაიზინგის რეგულირების სამართლებრივი ბაზისი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ცხოვრება და კანონი. Life and Law: საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი / გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი. ნომერი ეძღვნება არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს. - გვ. 74-81. თბილისი, 2013.
6. თინათინ ბეგიაშვილი. ფრენშაიზინგის ხარისხის კონტროლი. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: აკადემიური მაცნე. Grigol Robakidze University. Academic Bulletin. დამატება, სამართალი, ბიზნესი და მართვა. - გვ. 9-15. თბილისი, 2012.

Mania Gogidze
Gori State Teaching University

DIFFERENT FEATURES OF FRANCHISING
RESUME

New mechanisms are needed for the solution of economic problems in the modern era. One of the economic mechanism is franchising, through which it's possible to increase business effectiveness. The interest towards this instrument expanded from the 90s of the last century. Franchising is a completely new institution for the Georgian law. It is used for production, sales, retail, food industry and almost every field of service sector. One side is a large company, sometimes transnational corporation (franchiser), which uses business reputation and characterized by high industrial or commercial potential. Such companies are: "Coca Cola", "MacDonald's", "Procter and Gamble", "Colgate-Palmolive" and etc. This corporations don't have their own enterprises, they give intellectual property rights by terms of the contract to independent enterprises owned by others. The other side is always a franchisee. Franchising is the form of entrepreneurship, based on the system of relations, backed by agreements, according to which one country (franchiser) offers the valuable right to act in its behalf (product sales) through the sales market to the other country (franchisee). Franchising is often called preferential entrepreneurship.

The goal of Georgia is to offer customers a better choice, their own branded products and customer service.

ნინო ვანიშვილი, მერაბ ვანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კორპორაციული მართვის ეროვნული მოდელის თავისებურებანი

შესავალი: კორპორაციული მართვის ეროვნულ მოდელებს გააჩნიათ გარკვეული ღირსებები და შეზღუდვები. მე-20 საუკუნის 50-იანი და 70-იანი წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით (როდესაც გერმანიამ და იაპონიამ გვიჩვენეს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები), მრავალი ავტორი ხაზს უსვამდა კორპორაციული მართვის უპირატესობას, ეყრდნობოდნენ რა უმსხვილეს ბანკებს. მაგრამ, უკანასკნელ პერიოდში, უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ კორპორაციული მართვის ასეთმა ტიპმა შესაძლებელია უზრუნველყოს არასაკმარისად ეფექტიანი კომპანიების ზღვარგადასული დაცვა და, რაც განსაკუთრებით არსებითია, იგი ფლობს რამდენადმე დიდ ინერციულობას და ნაკლებად მგრძნობიარეა რადიკალური ტექნიკური და ეკონომიკური სიახლეებისათვის. ამასთან, დიდი ზეწოლა ხორციელდება მოქნილ საბაზრო მექანიზმებზე და მის მიერ დისციპლინირებული ფუნქციების განხორციელებაზე. ასეთი სახის მრავალი მტკიცებულება გამომდინარეობს საინტერესო თეორიული მოდელებიდან და ეყრდნობა ემპირიული გამოკვლევების შედეგებს.

კვლევის შედეგები: სათანადო კვლევებით დადგენილია, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში სხვადასხვა ქვეყნების მოდელებისაგან დამოუკიდებლად ვერ გადაიჭრება კორპორაციული მართვის ყველა პრობლემა. კონკრეტული მოდელის ფორმირება წარმოადგენს კონცეპტუალური და ვიწრო საგნობრივი დისკუსიების, ახალ-ახალი სამართალდარღვევების გამოვლენის, კორპორაციათა შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების ადეკვატურად სრულყოფის, სამართლებრივი ბაზის და ინვესტორთა დაცვის პერმანენტულ პროცესს. ქვეყნების ეკონომიკური განვითარების რეალიებს ასევე თავისი მოდიფიკაციები შეაქვთ კორპორაციული მართვის პრაქტიკაში.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, „დაემოჩილე და განმარტე“ ანუ „comply or explain“ რეგულირების მექანიზმს მიმართავს. 1992 წლიდან დიდ ბრიტანეთში *ქედბერის კოდექსის* გამოქვეყნების შემდეგ, იგი ადაპტირებული და გადამუშავებული იქნა ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. ამჟამად ევროპული კორპორაციული მართვის მონაცემთა ბაზა დაახლოებით 350 კორპორაციული მართვის კოდექსს მოიცავს [1]. მხოლოდ 2002 წელს 30 ასეთი დოკუმენტი გამოქვეყნდა.

გერმანიაში 2002 წლიდან არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა ყველა საბირჟო კოტირების მქონე სააქციო საზოგადოების გამგეობისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოდექსი ორად არის გაყოფილი: (1) რეკომენდაციებად, ე.წ. აუცილებელ ნორმებად, რომელთა გადახვევის უფლება გამგეობას აქვს, თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებულია ყველა ამ გადახვევის შესახებ ღიად განაცხადოს და; (2) შეთავაზებებად, ე.წ. „შესაძლებელ“ და „სასურველ“ მითითებებად, რომელთა შესრულება ყოველგვარი გაცხადების გარეშეა შესაძლებელი [2, გვ. 291].

ქეთბერის კოდექსმა მასობრივი ცვლილებები გამოიწვია. იგი ფოკუსირებულია ერთსაფეხურიანი მართვის სისტემაზე და აუდიტორების როლზე გაერთიანებულ სამეფოში.

ჰოლანდიური კოდექსი, რომელიც შემუშავებული იქნა 2003 წელს „დაემორჩილე“-ს ანაცვლებს „მიმართე“-თი, რაც მეტი ლავირების საშუალებას აძლევს კომპანიებს. კორპორაციული მართვის პრინციპები აშშ-ში „რბილი სამართლის“ ანალოგს წარმოადგენს და არ ხასიათდება იმპერატივიზმით. გარდა რბილი სამართლისა, აშშ-ის სამართლის სისტემაში გვხვდება ფედერალური აქტები, რომელიც ნორმატიული ხასიათისაა. მათ შემუშავებას საფუძვლად დაედო სწორედ ეკონომიკური პრინციპები და წარმოქმნილი სირთულეები. ამისი ნათელი მაგალითებია 2002 წელს „სარბეინს-ოქსლისა“და 2010 წლის „დოდ-ფრენკის“აქტები. აშშ-ში კომპანიების უმეტესობა დელავერის შტატშია რეგისტრირებული, რადგან ამ შტატის კანონმდებლობა ყველაზე მოქნილად და ხელსაყრელად მიიჩნევა კომპანიებისთვის.

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არცერთი ამ მოდელთაგანი არ წარმოადგენს სრულყოფილს. როგორც გერმანული, ისე იაპონური მოდელი განიცდის კრიტიკას იმის გამო, რომ ისინი „მნიშვნელოვნად ჩაკეტილია და ზღუდავენ მენეჯერებს“.

გერმანიაში ბანკები ექსკლუზიურად ოპერირებენ რა საფონდო ბაზარზე და ფლობენ რა კორპორაციათა აქციების პაკეტებს, სულ უფრო მეტად ექვემდებარებიან კრიტიკას, რადგან ასეთი ფლობა ზიანს აყენებს ბანკის მეანაბრეთა ინტერესებს. ამავე დროს სახეზე გვაქვს რეალური კონფლიქტები:

- ბანკის, როგორც საკრედიტო ორგანიზაციისა და ბანკის, როგორც სტრატეგიული ინვესტორის ინტერესებს შორის;
- ბანკის, როგორც სტრატეგიული ინვესტორის ინტერესებს და წვრილი აქციონერების - ფინანსური ინვესტორების - ინტერესებს შორის.
- წარმომდგენზე აქციების ფლობა წინააღმდეგობებს უქმნის აქციონერებს (განსაკუთრებით უცხოელებს) საკუთარი უფლებების ეფექტიან რეალიზაციაში.

აფილირებული აქციონერების იაპონური სისტემა თავისი არსით ლახავს „დამოუკიდებელი“ აქციონერების უფლებებს. დამატებით პრობლემებს პორტფელური ინვესტორებისთვის იაპონიაში ასევე ქმნის: პირველი, აქციონერებისათვის ყველა კრების ერთ დროს ჩატარების პრაქტიკა, და მეორე, ნეგატიური დამოკიდებულება აქციონერების ინიციატივებისადმი (წინადადებებისადმი).

ანგლო-ამერიკული მოდელისათვის თეორიულ დონეზე დამახასიათებელია საკუთრების თავმოყრა, რომელსაც მივყავართ აქციონერების პასიურობასთან[1]. კომპანიათა შერწყმის (შთანთქმის) ბაზარი ამერიკულ მოდელში განხილულია, როგორც კორპორაციული კონტროლის მნიშვნელოვანი საშუალება; იგი იმსახურებს კრიტიკას კომპანიებში სიტუაციის პოტენციურად დესტაბილიზაციისათვის. ამერიკული მოდელის ტრადიციული კრიტიკა ფოკუსირდება აუტსაიდერების პასიურობაზე დირექტორთა საბჭოებში. გასათვალისწინებელია, რომ: ჯერ ერთი, ამ ტენდენციას უნდა ჰქონდეს შემდგომი განვითარება, და მეორე, აშშ-ის დამახასიათებელ ტენდენციას წარმოადგენს კორპორაციის საქმიანობის თავმოყრა მინიმალური რიცხოვნობის ადამიანების, ანუ მმართველთა ხელში.

ამასთან ერთად, არსებობს პრაქტიკული და სამართლებრივი ხასიათის მთელი რიგი საერთო საკითხები, რომლებიც, როგორც უწინ, დღეისათვისაც რჩებიან დისკუსიის საგნად მოცემულ სფეროში [3, გვ. 66]. მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი:

❒ საკუთრების კონცენტრაციის (კონტროლის) ხარისხი როგორ მოქმედებს კორპორაციის აქციონერთა ურთიერთობებზე და მისი საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე;

[1] ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მსხვილი კომპანიებისათვის, სადაც ბევრი აქციონერია, ფლობა და მართვა მკვეთრად გამიჯნულია და კოლექტიურ ქმედებებზე დანახარჯებიც მაღალია.

❒ როგორია თანაფარდობა კორპორაციაში დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა, დირექტორთა საბჭოში აქციონერთა წარმომადგენლების განაწილებასა და საკუთრების ფაქტიურ განაწილებას (აქციების ფლობას) შორის;

❒ რა ხარისხით უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი დირექტორთა საბჭოები აქციონერების წინაშე, როგორია სტიმულები მათ მიერ აქციონერთა ინტერესების ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელებისათვის, როგორია მათი პასუხისმგებლობის საზომი კორპორაციის სტრატეგიის შემუშავებისას;

❒ როგორია ოპტიმალური თანაფარდობა „შიდა შემსრულებლებსა“ და „დამოუკიდებელ“ დირექტორებს შორის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში, ერთდროულად როგორ უზრუნველვყოთ დამოუკიდებელი დირექტორების შრომისუნარიანობა და სათანადო ინფორმირებულობა და დავადგინოთ მათი ჩარევის გონივრული საზღვრები;

❒ სად იმყოფება ზღვარი კორპორაციაში სტრატეგიულ მართვას (კონტროლს) და ოპერატიულ მენეჯმენტს შორის, მენეჯერთა დირექტორთა საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებასა და მენეჯერთა საქმიანობაში ამ უკანასკნელის ჩაურევლობას შორის;

❒ როგორ უნდა გადავჭრათ (და საჭიროა თუ არა) „უბილეთო მგზავრობის“ ან „მძინარე პარტნიორების“ პრობლემა, როდესაც მსხვილ კორპორაციაში თითოეული წვრილი აქციონერი ცდილობს მენეჯერთა კონტროლი გადააბაროს სხვა აქციონერებს;

❒ როგორ ეფექტურად დავიცვათ წვრილ აქციონერთა უფლებები, რომ არ დავუშვათ მათი მხრიდან იმავდროულად მადესტაბილიზებელი ქცევა;

❒ ვის ინტერესებს (აქციონერები, ყველა ფინანსური ინვესტორი, კორპორაციის ყველა „თანამონაწილე“) უნდა წარმოადგენდეს დირექტორთა საბჭო, რა დანახარჯებს გამოიწვევს ეს, ვინ უნდა გასწიოს იგი, როგორ განაწილდება ეს დანახარჯები „თანამონაწილეთა“ სხვადასხვა ჯგუფებს შორის;

❒ საჭიროა თუ არა ცალკე იყოს წარმოდგენილი წვრილი და მსხვილი აქციონერების, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელების ინტერესები.

არსებული პრობლემების ჩამოთვლილი ნაკრებიც კი საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კორპორაცია, გარკვეული აზრით, წარმოადგენს ინტერესთა სხვადასხვა კონფლიქტების პოტენციურ კომპლექსს. მათ მიეკუთვნება, მაგალითად:

- აქციონერთა და მენეჯერთა ინტერესების კონფლიქტი (შესაბამისად: „მოგება“ -„ხელფასი“, „ეკონომია“ - „პრესტიჟი“, „პორტფელური დაბანდებები“ - „ძირითადი სამუშაო ადგილი“, „მაღალი მოგება“ - „გაუთვალიწინებელი მდგომარეობის თავიდან აცილება“ და ა. შ.);
- ინტერესთა პირადი კონფლიქტი დირექტორთა საბჭოსა და მენეჯერებს შორის (ძალაშია კომპანიის აღმასრულებელ დირექტორთა უფლებამოსილება ნარჩენი პრინციპით);
- ინტერესთა კონფლიქტი (ანგლო-ამერიკულ მოდელში) კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური (აღმასრულებელი) დირექტორის პოსტის შეთავსებისას;
- ინტერესთა კონფლიქტი აქციონერთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მიზნებიდან გამომდინარე (მოკლევადიანი ან გრძელვადიანი მოგება, უსაფრთხოება და უსაფრთხო გრძელვადიანი ინვესტირება, სტრატეგიული კონტროლი ან ფინანსური ინვესტიციები);
- ინტერესთა კონფლიქტი აქციონერთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის აქციათა პაკეტის სიდიდიდან გამომდინარე (მსხვილი აქციონერების მოქმედება წვრილი აქციონერების დასაზარალებლად, ქონების გადანაწილებამდეც კი);
- ინტერესთა კონფლიქტი აქციონერებსა და კორპორაციის ობლიგაციის მფლობელებს შორის (შესაბამისად: „ნარჩენი მოგების მაქსიმიზაცია“ – „ფინანსური შემოსავალი ნასესხებ კაპიტალზე“, „სარისკო ოპერაციებიდან მთლიანი შემოსავალი“ – „ძირითადი ზარალი წარუმატებელი ინვესტირებიდან“);
- ანალოგიური ინტერესთა კონფლიქტია აქციონერებსა და სხვა ფინანსურ ინვესტორებს, სასესხო კაპიტალის წარმდგენებს (ბანკები და ა.შ.) შორის.

წარმოდგენილი კონფლიქტების გადაჭრა ან მათი შერბილება შესაძლებელია განხილული იქნეს კორპორაციული მართვის სისტემის რეფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად, დადგენილი ნორმატივების თანახმად, აქციონერთა ინტერესების დასაცავად.

უკანასკნელ პერიოდში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შეინიშნება კორპორაციული მართვის *მოდელების დაახლოების ტენდენცია* (სხვადასხვა კომპონენტების და მექანიზმების ურთიერთშეთანაწყობით, ანუ, არა ცალმხრივი რეცეპციით, არამედ კონვერგენციით).

აშშ-ში, მაგალითად, იგი ვლინდება „ხმის“ ზეწოლის ზრდის ტენდენციაში ინვესტორთა მხრიდან (ინსტიტუციონალურ ინვესტორთა წილის ზრდის შედეგად). იაპონიაში 80-იან წლებში შეინიშნებოდა კავშირების შესუსტება „კეირეცუს“ ფარგლებში ბანკებსა და ძლიერ კორპორაციებს შორის, რომლებსაც

შესწევთ უნარი მიიღონ დაფინანსება საგარეო ბაზარზე. ამერიკული მოდელის კრიტიკოსები ცდილობენ აქცენტი გააკეთონ „ხმაზე“. გერმანული და იაპონური მოდელის კრიტიკოსები გამოთქვამენ საკუთარ აზრს მათ დიდ გახსნილობაზე, მოქნილობაზე, „შესვლისა“ და „გამოსვლის“ სიმარტივეზე [4, გვ. 51].

მთლიანობაში, შესაძლებელია გამოვყოთ კორპორაციული მართვის მოდელის შემდგომი სრულყოფისათვის დამახასიათებელი მსოფლიო მნიშვნელობის შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- სააქციო საზოგადოებათა ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნების გაძლიერება;
- საზოგადოების მართვის უფლებამოსილი ორგანოების უფლებამოსილებათა გაძლიერებისა და მართვის ორგანოებზე აქციონერთა მხრიდან კონტროლის გაძლიერების პარალელური პროცესი;
- სასამართლო კონტროლის გაფართოვება საზოგადოების საქმიანობაზე;
- კანონმდებლობის განვითარება წვრილ აქციონერთა უფლებების დასაცავად, პრობლემათა ყველა სპექტრის მიმართ[1];
- საზოგადოების კრედიტორთა უფლებების დაცვის კუთხით კანონმდებლობის განვითარება;
- აქციების გამოშვების რეგლამენტის და საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის გამკაცრება, მოთხოვნების შემოღება ძირითადი კაპიტალის ხარჯზე მოგების გადიდების დაუშვებლობის შესახებ;
- აქციისა და ობლიგაციის სამართლებრივი სტატუსის დაახლოება;
- განსაკუთრებული ყურადღების დათმობა სააქციო საზოგადოებების რეორგანიზაციისა და მათი სხვა საზოგადოებებად გარდაქმნის პროცესებისადმი;
- ურთიერთობათა რეგულირების გამკაცრება სხვადასხვა იურიდიულად დამოუკიდებელ, მაგრამ ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებებს შორის.

ამრიგად, სტაბილური კორპორაციული მართვის მოდელის მქონე ქვეყნებშიც კი არსებობს მრავალი პრობლემა, რომლებიც ართულებენ კორპორაციათა ფუნქციონირების ინსტიტუციურ-სამართლებრივ მხარეს. ყველა მათგანი გათვალისწინებული უნდა იქნეს კორპორაციული მართვის მოდელების ფორმირებისას გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

უშუალო გავლენას განხილულ საკითხებზე ახდენს ლტოლვა „21-ე საუკუნის კორპორაციის“ სტანდარტების შემუშავებისაკენ, რომელიც კავშირშია ეკონომიკის გლობალიზაციის ზრდასთან და „ახალი ეკონომიკის“ ფორმირებასთან, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის საფუძველზე [5, გვ. 66].

პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში თანამედროვე კორპორაციული მართვის რეფორმის მამოძრავებელ ძალებად ობიექტურად გვევლინება:

- ❖ ინტერნაციონალიზაცია და კონკურენცია;
- ❖ აქციონერთა რიცხვის სწრაფი ზრდა და მათი სტრუქტურის შეცვლა;
- ❖ ახალი დარგების გაჩენა;
- ❖ საფინანსო ბაზრებისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარება.

ამავე დროს, საკმაოდ გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ „21-ე საუკუნის კორპორაციის“ ფუნქციონირების ეფექტიანობა იქნება მით უფრო მაღალი, რაც უფრო გათვალისწინებული იქნება *ეროვნული მეწარმეობის პრინციპები.* როგორც აღნიშნავდნენ ე. ბერგლოფი და ე. ლ. ფონ ტადენი [6], განზოგადება ხშირად აღმოჩნდება ხოლმე საზიანო, ვიდრე სასარგებლო, ამიტომ ყველა საერთაშორისო კოდექსი უნდა აღიარებდეს ეროვნულ განსხვავებებს. ინსტიტუტების ტრანსპლანტაციის (ინსტიტუტების იმპორტის იმიტაცია) მცდელობები, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოსაზრებებთან და არ ითვალისწინებს რეალურ ეროვნულ ტრადიციებს, ეკონომიკურ-სამართლებრივ თავისებურებებს, ჩვეულებრივ მთავრდება წარუმატებლად.

კორპორაციული მართვის მოდელების განხილული ღირსებები და შეზღუდვები, ასევე მათი დაახლოების ტენდენციები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, დიდ ინტერესს იწვევს საქართველოსთვის, სადაც მიმდინარეობს კორპორაციული მართვის ეფექტიანი მოდელის ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით ფორმირება. დღეისათვის იგი წარმოადგენს მთავარ პირობას ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისათვის და უმნიშვნელოვანეს ელემენტს კონკურენტუნარიანი ქართული კომპანიების ჩამოყალიბებისათვის.

კორპორაციული მართვის ქართული მოდელის ფორმირების ლოგიკა გასული საუკუნის 90-იან წლებში ეფუძნებოდა საფონდო ბაზრისა და კორპორაციული მართვის ანგლო-ამერიკულ მოდელზე

[1] უპირატესად, უფლებების დაცვა ახალი აქციების გამოშვებისას, კვალიფიცირებული უმრავლესობის, შერწყმისა და შთანთქმის წესების, კუმულაციური ხმის მიცემა და სხვ.

ორიენტირებული ინსტიტუტების მასირებულ იმპორტს. საქართველოს პირობებში ამ მოდელის რეალიზაციისათვის გადადგმული იქნა შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯები:

- „ვაუჩერული“ პრივატიზაცია, ყოფილი სახელმწიფო საწარმოების იძულებითი გარდაქმნა ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად და მათი აქციების გავრცელება დიდი რაოდენობის წვრილ აქციონერებს შორის;
- საფონდო ბაზრისა და მისი ინფრასტრუქტურის (ბირჟები, ბროკერები, დეპოზიტარები და რეგისტრატორები) ფორსირებული განვითარება;
- კოლექტიური ინვესტიციების ინსტიტუტების (საჩეკო და საპაიო საინვესტიციო ფონდები, არასახელმწიფო საპენსიო ფონდი) ფორმირება.

რეფორმების ორგანიზატორთა მხრიდან მოიაზრებოდა, რომ *აქციების გაბნევა* დიდი რაოდენობის წვრილ აქციონერთა შორის გახდებოდა საფონდო ბაზრის მაღალი ლიკვიდობის წინაპირობა, ასევე იგი უზრუნველყოფდა გარე ინვესტორების პრივატიზებულ საწარმოთა აქციებზე ხელმისაწვდომობას (მეორად ბაზარზე ოპერაციების საშუალებით). თავის მხრივ, საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება გამოიწვევდა ტრანზაქციათა ხარჯების შემცირებას და წვრილ აქციონერებს საშუალებას მისცემდა „ხმა მიეცათ ფეხით“, მათი კომპანიის ხელმძღვანელობის პოლიტიკასთან უთანხმოების დროს. საინვესტიციო ინსტიტუტებს კი საშუალება მიეცემოდათ, განეხორციელებინათ წვრილ აქციონერთა აქციების აკუმულაცია და უფრო ეფექტურად დაეცვათ მათი ინტერესები, შესაბამისი საწარმოების მენეჯმენტის გაკონტროლებით.

მაგრამ, პრაქტიკაში ამ ვარაუდის რეალიზაცია მხოლოდ ნაწილობრივ გახდა შესაძლებელი. კორპორაციული კანონმდებლობის სფეროში ინსტიტუტების ინტენსიურმა იმპორტმა და საკუთრების გაბნევამ მასობრივი პრივატიზაციის ფარგლებში შეუძლებელი გახადა პრივატიზაციის „ინსაიდერულ“ მოდელზე მოთხოვნის ნეიტრალიზება, ყოფილი სახელმწიფო საწარმოების მენეჯერების მხრიდან გამომდინარე. შედეგად, უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში კორპორაციულ სექტორში ნათლად შეიმჩნეოდა ორი ტენდენცია:

- საკუთრების კონცენტრაცია და კონტროლი აქციების 75%-იანი პაკეტების შეძენამდე;
- სააქციო საზოგადოებების მაქსიმალური დახურულობა და საქმიანობის გაუმჭვირვალობა მსხვილ საწარმოებზე კორპორაციული კონტროლის რთული სისტემის ფორმირების ფარგლებში, მრავალრიცხოვანი აფილირებული ფირმებისა და ოფშორული კომპანიების საშუალებით.

ამ ორი ტენდენციის საფუძველზე ჩამოყალიბებული კორპორაციული მართვის ქართული მოდელის ყველაზე მნიშვნელოვან *სპეციფიკურ მახასიათებლად* შეიძლება გამოვყოთ შემოსავლის ამოღება აქციონერული საკუთრებიდან არა მოგების მეშვეობით (რომელიც დამახასიათებელია „ანგლო-ამერიკული“ მოდელისათვის), არამედ საზოგადოების ფინანსურ მაჩვენებლებზე დომინირებული მესაკუთრის კონტროლის საშუალებით. ტრანსფერტული ფასწარმოქმნის მექანიზმის საშუალებით, მოგება ყოველთვის გამოჰქონდათ წამყვანი კომპანიიდან, დომინირებულ აქციონერთა ან წამყვანი კომპანიის მაღალი დონის მენეჯერის მხრიდან. ამ დროს რეალურად ადგილი ჰქონდა კომპანიის მართვაში არ მონაწილე „უმცროსი“ აქციონერების, მათ შორის მომუშავეების, ინტერესების იგნორირებას.

ამავე დროს, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში იწყება *პროგრესული კორპორაციული კონონმდებლობის* ფორმირება. კერძოდ 1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის საშუალებითაც დარეგულირდა ქვეყანაში მეწარმეობის სფეროში მოქმედი მეწარმე სუბიეტების იურიდიული სტატუსის და საქმიანობის ფორმები. 1998 წლის 24 დეკემბრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, რომლის საფუძველზე ქვეყანაში დაფუძნდა საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების რეესტრი, ცენტრალური დეპოზიტარი და ფასიანი ქაღალდების ბრუნვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. 1996 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“, რომლის რედაქტირებაც განხორციელდა 2007 წლის მარტში და საბოლოოდ კანონმა მიიღო სახელწოდება „გადახდის უუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, რომლის საფუძველზეც სასამართლო ორგანოებს საშუალება მიეცათ დაეწყოთ საწარმოთა გაკოტრების პროცესი.

1995 წლის თებერვალში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა აუდიტორული საქმიანობის წარმართვის წესები და პირობები, სახელმწიფო და კერძო აუდიტორული მომსახურების თავისებურებები. 1999 წლის თებერვალში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, რომლის საფუძველზე ნორმატიულ ჩარჩოებში მოექცა ქვეყნის საწარმოებში აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ხოლო უკვე 2000 წლიდან აქტიურად დაიწყო გადასვლა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, მიღებული 1995 წლის ივნისში. იგი წინგადადგმული ნაბიჯი იყო კორპორაციულ მართვაში. კომერციული ბანკებისათვის 2009 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს *კორპორაციული მართვის კოდექსი.* სამწუხაროდ, საქართველოში მოქმედი კორპორაციული მართვის სისტემის საკანონმდებლო ბაზა დასახვეწი და გასაფართოებელია, რომლის განხორციელებაც ახლო მომავლის პერსპექტივაა.

პერსპექტივაში შესაძლებელია გამოვყოთ კორპორაციული მართვის ქართული მოდელის ფორმირებისათვის დამახასიათებელი შემდეგი *პრინციპული პროცესები:*

- საკუთრებისა და მართვის დანაწილების პროცესის ლატენტური მდგომარეობა („მაკონტროლებელი აქციონერების“ და „მენჯერების“ შერწყმა) შენარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდში;
- გარე აქციონერული დაფინანსების ალბათობა (როგორც ეფექტური კორპორაციული მართვის მეორე პრინციპული ეკონომიკური წინაპირობა) რჩება ძალიან დაბალი;
- საქართველოს საფინანსო სისტემის თანამედროვე ერთგვარი გაურკვეველი მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სავარაუდოდ შევაფასოთ საქართველოს კორპორაციული მართვის სისტემის მიდრეკილება რომელიმე კლასიკური ნიმუშისადმი (უწინარეს ყოვლისა, რომელიმე მათგანთან, გარდა თვითდაფინანსების წყაროების და შესაბამისი ტიპის კონტროლისა);
- აქციონერული კაპიტალის კონცენტრაცია წარმოადგენს თვალნათლივ პროცესს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება არა მარტო კონტროლის კონსოლიდაცია, არამედ კორპორაციული მართვის „თვითსაკმარისი“ მოდელის რეალიზაცია ეკონომიკური მეთოდებით (რომელიც გათვალისწინებულია 90-იანი წლების გარდამავალი პერიოდის სამართლებრივ კონტექსტში);
- სამართლებრივმა ნოვაციებმა საკუთრივ კორპორაციული სამართლის სფეროში (აქციონერთა უფლებების დაცვა), არსებული ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხარისხით მიაღწია თავის ზღვარს;
- აქციონერთა უფლებების დაცვის მეთოდები ვერ პოვებენ შემდგომ განვითარებას სამართლებრივი გამოყენების სფეროში ადეკვატური საერთო ღონისძიებების გატარების გარეშე.

აღნიშნულის შედეგად, მთელი რიგი ემპირიული და სამართლებრივი მონაცემების გათვალისწინებით, დღეისათვის შესაძლებელია ვილაპარაკოთ სტაბილურ და ფუნდამენტურ წინააღმდეგობებზე *კორპორაციულ მართვის ფორმირებად ქართულ მოდელში.* მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჩამოყალიბებულ მოდელში არსებობს ორი პრინციპულად ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომა: (1) სააქციო კაპიტალის კონცენტრაცია, რომელიც ითვალისწინებს მინიმუმ აქციონერთა სამართლებრივი დაცვის საშუალებებს; (2) ანგლო-საქსური სამართლებრივი ტრადიცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მინორიტარული აქციონერების სამართლებრივი დაცვის საშუალებების მაქსიმიზება.

მათმა შერწყმამ მიგვიყვანა ურთიერთნეიტრალიზაციის უნიკალურ სიტუაციასთან: *ერთი მხრივ,* აქციონერული კაპიტალის კონცენტრაციამ და თანდათანობით წვრილი აქციონერების გაქრობამ, პრინციპში, დაბლა დასწია ფართო სამართლებრივი ინსტრუმენტარიის მნიშვნელობა მინორიტარების დაცვის თვალსაზრისით კორპორაციულ სექტორში მთლიანობაში, ხოლო, თავის მხრივ, მცირე აქციონერების დაცვის ინსტრუმენტები ტრანსფორმირდებიან კორპორაციული შანტაჟის ინსტრუმენტებად; *მეორე მხრივ,* აქციონერთა დაცვის სამართლებრივი საშუალებების გაშლილი სისტემის შექმნა, თავის მხრივ, აკავებს კაპიტალის კონცენტრაციის შემდგომ პროცესს (როგორც ეკონომიკურ პროცესებზე უკუ გავლენის ფაქტორი).

კორპორაციებში სხვადასხვა დროს (2004-2012) წლებში ჩატარებული კვლევების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ პერიოდში ერთი მსხვილი აქციონერის წილი საქართველოს კომპანიებში მერყეობს 32-36%, ხოლო 3 მსხვილი აქციონერის წილი კი - 41-47% ფარგლებში. აქვე კვლევებმა დაგვანახა, რომ სამ უმსხვილეს აქციონერს შორის დირექტორატის წევრები დასახელდნენ 74,6% შემთხვევაში და ადგილობრივი პირები (საბჭოს წევრთა გარდა) 56,6% შემთხვევაში. სამ უმსხვილეს აქციონერს შორის საკონტროლო პაკეტის ფლობის თვალსაზრისით დირექტორატის წევრები აღმოჩნდნენ ისინი, ვინც ყველაზე ხშირად დასახელდნენ უმსხვილეს აქციონერებს შორის (36,1%), სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მეორე ადგილზე გავიდნენ (30,6%). აქედან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოქმედი კორპორაციული სამართლის პირობებში (შთანთქმის პირობებში) საშუალო დონის კონცენტრაციამ მიაღწია თავის ფორმალურ ზღვარს.

უფრო ოპტიმისტური ინტერპრეტაციით, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში მიღწეულია ერთგვარი „მოდელური“ ბალანსი კონცენტრაციის დონესა და წვრილი აქციონერების ინტერესების დაცვის ღონისძიებების გარკვეულ ანაკრებს შორის. ოპტიმიზმის ელემენტი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდა სისტემის *ერთგვარი სტაბილიზაცია.*

დასკვნა: საქართველოში არსებული სამეწარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე, როდესაც არ არსებობს კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო პრინციპებიც კი, რთულია მსჯელობა ე.წ. „რბილი სამართლის“ მართებულობაზე, საწყის ეტაპზე გამართლებულად მიგვაჩნია სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების შემუშავება, რომელიც პრაქტიკული გამოყენების შედეგად მოგვცემს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და სრულყოფის საშუალებას. კორპორაციული მართვის ქართული მოდელის აღნიშნული სპეციფიკა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამამულო კომპანიებში კორპორაციული მართვის დონის შეფასების მეთოდიკის შემუშავებისას.

ლიტერატურა:

1. კორპორაციული მართვის კოდექსების მონაცემთა ბაზა: www.ecgi.org./codes.
2. მ. კორტი, სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში. - თბილისი, 2003.
3. Шпотов Б. Корпоративное управления в 20 веке история и перспективы//Проблемы теории и практики управления. – 2001, №11. С. 61-68.
4. Радыгин А. Д. Энтов Р. М. Унификация корпоративного законодательства общемировые тенденции законодательство ЕС и перспективы России//Научные труды Российского – Европейского Центра Экономической Политики. - 2002. С. 48-54.
5. Юданов Ю. Европейские корпорации в условиях глобализации // Мировая экономика и международные отношения. – 2001, №11. С. 63-67.
6. Berglof E., E. L. von Thadden. The Changing Corporate Governance Paradigm: Implications fir Transition and Developing Countries. 1999.

Nino Vanishvili, Merab Vanishvili

Georgian Technical University

PECULIARITIES OF THE NATIONAL MODEL OF CORPORATE MANAGEMENT

RESUME

The article describes the national corporate governance models for a comparative analysis of other countries.

Corporate management models have their advantages and limitations of. 20th century 50s and 70s experience (when Germany and Japan have shown high economic growth rates), many authors emphasized the superiority of corporate governance, based on what's largest banks. But recently, more often said that the lack of effective corporate governance of these companies may provide excessive protection and were victorious, which is particularly essential, it holds a lot of inertia and somewhat less sensitive to radical technical and economic innovations. At the same time, a lot of pressure on a flexible market mechanisms and the disciplined implementation of the functions. This kind of evidence is based on empirical studies and theoretical models to derive interesting results.

თამარ ზირაქაშვილი

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

საბანკო სფეროში მოგების გადასახადის რეფორმების ძირითადი მიმართულებანი

მოგების გადასახადი გვევლინება გადასახადის ერთ-ერთ ძირითად სახეობად, რაც იმითაა განპირობებული, რომ მოგება, როგორც წესი, სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის ძირითადი მიზანი და მათი მუშაობის შედეგიანობის მაჩვენებელია. მოგების გადასახადის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია მდგომარეობს ფინანსური შედეგების გადასახადით დაბეგვრის განსაზღვრებაში, სამეურნეო საქმიანობით მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის სახით, რომლებიც გათვალისწინებულია დანახარჯების შემადგენლობაში ჩასართავად. სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ შემოსავლებზე გადასახადის საგადასახადო დაბეგვრის ბაზა არ მცირდება თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯებით, მაშინ როდესაც მოგების გადასახადზე ამგვარი გამოქვითვები

ხორციელდება. 2016 წლის ბიუჯეტში გადახდილმა მოგების გადასახადმა შეადგინა 8 555 000 მლნ. ლარი, ხოლო ბანკების მოგების გადასახადის წილი აჭარბებს 7 980 000-ს.

ბანკების საგადასახადო დაბეგვრა განიხილება, როგორც ეკონომიკური სუბიექტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზებული პროდუქციის ღირებულებასა და ყველა გაწეულ დანახარჯს შორის, შრომის ანაზღაურების გარდა, დაკავშირებულია ამ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან, ბანკის საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგი ტოლია მოგებისა, რომელიც იზრდება შრომის ანაზღაურების ფონდით. მეორე მხრივ, ბანკების შემოსავალში ყოველთვის იგულისხმებოდა ის თანხები, რომლებიც ასახული იყო ბუღალტრული აღრიცხვის – ანგარიშების შემოსავალში, ანუ კლიენტისათვის გაწეული მომსახურებისათვის მიღებული პროცენტები, საკომისიოები და სხვა ხარჯები. თანამედროვე პირობებში არსებული პრაქტიკა და გამოცემული ნორმატიული აქტები მიღებულ შემოსავლებში გულისხმობენ ამონაგებს ჩვეულებრივი პროდუქციის რეალიზაციიდან, ხარჯების რომელიმე მუხლებით შემცირების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის მიერ მიღებული თანხების მაჩვენებლები (ამონაგები) გამოიყენება გადასახადების გაანგარიშებისას. უკანასკნელ პერიოდამდე შემოსავლები თანხებიდან განისაზღვრება ნორმატივები რეკლამაზე, წარმომადგენლობით ხარჯებზე, აგრეთვე დაზღვევაზე გაწეული დანახარჯები.

მოგების გადასახადის გაანგარიშებისას, როგორც წესი, არა გვაქვს პრობლემები შემოსავლების მუხლების აღრიცხვასთან დაკავშირებით. პრაქტიკულად ბანკის მიერ მიღებული შემოსავლები აისახება შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე და ზრდის გადასახადით დასაბეგრ მოგებას. გადასახადით დასაბეგრის სპეციფიკურ მუხლებს შორის შესაძლოა გამოვყოთ ხარჯების ორი – სპეციალურად გათვალისწინებული – მუხლი. გადასახადით დაბეგვრის მიზნით ბანკის ერთობლივი მოგება გაიზრდება სხვაობის კომპენსაციის თანხით სესხებზე პროცენტებში, რომელიც გაიცა ბანკის მუშაკებზე იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცენტო განაკვეთის დონე ასეთ სესხებზე დაბალია, ვიდრე ჩვეულებრივად გამოიყენება ბანკის მიერ გარეშე კლიენტების მიმართ, აგრეთვე სხვაობის ასანაზღაურებელად ნაღდი უცხოური ვალუტის გაყიდვისას (ბანკის მუშაკებზე ვალუტის მიყიდვის ჩათვლით) შედარებით დაბალი კურსით, ვიდრე ეს დაწესებული იყო იმ დღისათვის გარე მყიდველებისათვის. მითითებულმა მოთხოვნებმა თანამედროვე პირობებში დაკარგეს აქტუალობა, რადგანაც მასში ჩადებული პრინციპები რეალიზებულია საგადასახადო კოდექსით (მუხლი 22), რომელიც აწესებს კონტროლს ორგანიზაციის მიერ გამოყენებულ ფასებზე.

შედარებით დიდ სიძნელეს წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციის თვითღირებულებაში საგადასახადო დაბეგვრის მიზნით სხვადასხვა ხარჯებს ჩართვა. ზოგადი კუთხით, საგადასახადო დაბეგვრისათვის ხარჯების შესაძლო აღიარების მიზნით მთავარ კრიტერიუმად გვევლინება მათი სამეწარმეო მიმართულებანი. სხვადასხვა ხარჯების თვითღირებულებაზე მიკუთვნების დროს, სიძნელეები შეიძლება წარმოიშვას სუბიექტური შეფასებების გამო, რომელი ხარჯები არის საჭირო ნორმალური საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად, და რომელი არის ზედმეტი, რომელიც უნდა დაფინანსდეს მოგების ხარჯზე. მაგალითად ბოლო მომენტამდე არ არის ერთიანი მიდგომა საბანკო საქმიანობისათვის მაცივრების, ტელევიზორების, მიკროტალღიანი საცხობების და სხვა ამგვარი საგნების გამოყენების შესახებ, რაც აუცილებელია ბანკის მიერ თავისი ოპერაციების ნორმალურად შესრულებისათვის. საგადასახადო ორგანოების პოზიცია კი ყველა შემენილ საგანზე ინდივიდუალურ მიდგომაში მდგომარეობს. თუ საგნები გამოიყენება წარმომადგენლობითი მიზნებისათვის ე.ი. ბანკის განყოფილებებში, რომლებიც მუშაობენ კლიენტებთან, მაშინ ხარჯები მათ შემენაზე შეიძლება ჩამოიწეროს მოგების საგადასახადო ბაზის შესამცირებლად. თანამედროვე პირობებში საგადასახადო ორგანოები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა ცვეთა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას გადასახადით დაბეგვრისას, დამტკიცებულ იქნას ეროვნული ბანკის მიერ. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია ანალოგიური სუბიექტური კრიტერიუმები, ხარჯების გადასახადით დაბეგვრის მიზნით აღიარებისათვის და მითითებულია, რომ მოგების შემცირებისათვის ხარჯები უნდა იყოს დასაბუთებული, ეკონომიკურად გამართლებული და დოკუმენტურად დამოწმებული. ამგვარი ინდივიდუალური მიდგომა გვევლინება ერთადერთ შესაძლებლად გაწეული ხარჯების განსაზღვრისათვის.

თანამედროვე პირობებში კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მიმართონ გადასახადით დასაბეგრი მოგების შესამცირებლად, სავალუტო ოპერაციების ყიდვა-გაყიდვით მიღებული ზარალი. ამიტომ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლარზე ძლიერი ზეწოლის პერიოდებში მოგების გადასახადის სრული შემცირება სავალუტო ოპერაციების შესრულებით მიღებული ზარალით აღმოჩნდა არაეფექტური, რადგანაც იქმნებოდა წინაპირობები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სარისკო ოპერაციების გასატარებლად. ამიტომ ზარალი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვით გადასახადის დაბეგვრის

მიზნისთვის მიზანშეწონილია აღვრიცხოთ საანგარიშო გადასახადის პერიოდში სავალუტო ოპერაციებიდან შემოსავლების ფარგლებში, გადაფასებით დადებითი სალდოს გათვალისწინებით. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გადასახადით დაბეგვრის მიზნისათვის არ უნდა იქნას აღრიცხული ძვირფასი ლითონის რეალიზაციიდან მიღებული ზარალი.

თანამედროვე პირობებში ბანკს შეუძლია შეამციროს დასაბეგრი მოგება მხოლოდ თავისი წლიური ანგარიშების აუდიტორულ შემოწმებაზე გაწეული ხარჯებით, აგრეთვე იმ ხარჯებით, რომელიც გაიწევა ემისიის პროსპექტის რეგისტრაციაზე. ჩვენი აზრით, გადახედვას საჭიროებს იმ ხარჯებისადმი მიდგომები, რომლებიც გაიწევა საინვესტიციო აუდიტორიული შემოწმების ჩასატარებლად. პირველ რიგში, აუცილებელია გადავწყვიტოთ შევამციროთ გადასახადით დასაბეგრი მოგება იმ ხარჯებით, რაც საჭიროა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით საინიციატივო აუდიტის ჩასატარებლად. გარდა ამისა, ბანკს შეუძლია გაანაღდოს სხვა ორგანიზაციათა შემოწმებები. კანონმდებლობის შესაბამისად საინიციატივო შემოწმებები შეიძლება ჩატარდეს ორგანიზაციის მესაკუთრეთა ათი და მეტი პროცენტის განაცხადებით. თუ ბანკი ფლობს რომელიმე ორგანიზაციის აქციებს ან და წილებს, მაშინ მას შეიძლება მოუნდეს ინიციატივინი აუდიტის შემოწმების ჩატარება, რათა გამოვლენილ იქნას დარღვევები და განსაზღვროს თავისი აქტივების რეალური ღირებულება. რამდენადაც ინვესტორთა ნდობა, სამუშაოების ეფექტურობა და საქმიანობის გამჭვირვალობა გვევლინება ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობის პრიორიტეტულ მაჩვენებლად, ხარჯების გაწევა ინიციატივიანი აუდიტის დაფინანსებისათვის მოგების გადასახადის შემცირების გარეშე მიგვაჩნია გაუმართლებლად, მაგრამ საჭიროა ეს ხარჯები გადასახადით დაბეგვრის მიზნით საკონსულტაციო მომსახურებასთან ერთად იყოს ნორმირებული.

საჭიროა აგრეთვე შევჩერდეთ ბანკების მიერ სპეციალიზებული დაცვის სამსახურის პრობლემებზე. დღეისათვის ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები გაითვალისწინებენ, რომ მათი ხარჯები დაცვაზე გაიწევა სახანძრო და საყარაულო პირადი დაცვის მომსახურეობის ხარჯების ჩათვლით – ხელშეკრულების შესაბამისად: რომელსაც ბანკები აფორმებენ არასაუწყებო დაცვასთან და სხვა სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან, (რომელთაც აქვთ შესაბამისი სამსახურების ნებართვა აწარმოონ დაცვითი საქმიანობა), ამცირებენ გადასახადით დასაბეგრ მოგებას, ხოლო ხარჯები ბანკის საკუთარ საუწყებო დაცვის შენახვაზე ფინანსირდება მოგებიდან. თუ ბანკს შტატებით გათვალისწინებული აქვს საყარაულო დაცვა, მაშინ ხარჯები მის შენახვაზე ამცირებენ ბანკის გადასახადით დასაბეგრ ბაზას, ხოლო დაცვის სამსახურის (ანდა უშიშროების) ყველა ხარჯი, დაკავშირებული მის შენახვასთან, არ ამცირებენ მოგების გადასახადით დასაბეგრ ბაზას.

ამასთან ერთად ბანკში თავმოყრილია ფულადი და მატერიალურ ფასეულობათა მნიშვნელოვანი ოდენობა. მუდმივად ფართოვდება ბანკების ქსელი, რომლებიც მუშაობენ ძვირფასი ლითონებითა და ქვებით. ბანკების უმრავლესობას აქვს ინდივიდუალური შენახვის სეიფები, რომლითაც სარგებლობენ ფიზიკური და იურიდიული პირები. კლიენტთა საკასო მომსახურების მიზნით ბანკები ინახავენ ნაღდი ფულადი სახსრების ნაშთებს და აწარმოებენ ინკასაციის მომსახურებას. გარდა ამისა, ბანკების ხელმძღვანელობა, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას ფულადი სახსრების ინვესტირებაზე, შეიძლება გახდეს შანტაჟის და ფიზიკური იძულების ობიექტი, რაც იწვევს ასეთ თანამშრომლებზე პირადი დაცვის დანიშვნას. ყოველივე ამისათვის საჭიროა პროფესიონალი მცველები, რომლებიც კარგად არიან ეკიპირებულები და კარგად ფლობენ იარაღს. საიმედო დაცვის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი დაცვის სამსახურის ორგანიზაციის გზით, რომლებიც დაექვემდებარება უშუალოდ ბანკის ხელმძღვანელობას.

მსოფლიოში არსებობს ბანკების მოგების გადასახადით დაბეგვრის პრაქტიკა მათი მუშა აქტივების ოდენობიდან გამომდინარე. ასეთი მიდგომა განაპირობებს იმას, რომ დაბალანსებული ბაზრის პირობებში აქტივების შემოსავლიანობა, ანუ მიღებული მოგების თანხა ყოველ დაბანდებულ ლარზე, შეიძლება წინასწარ იქნას განსაზღვრული. შესაბამისად, თუ ბანკი იღებს ნაკლებ მოგებას, რაც განსაზღვრული იყო ანალიტიკურად, მაშინ ის ან არაეფექტურად იყენებს სახსრებს, ან ახორციელებს რაღაც ფარულ საქმიანობას. ამგვარი კონცეფცია რეალურად გამოიყენება უცხოეთის რიგი ქვეყნების (ე.წ. ვენესუელის) ბანკების გადასახადით დაბეგვრის პრაქტიკაში. უცხოეთის (რუსეთის) მთავრობის მიერ განსაზღვრულია გარკვეული შემოთავაზებანი აქტივების ღირებულების განსაზღვრისათვის, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას გადასახადით დაბეგვრისას, ვალუტის ბალანსიდან გამოირიცხება მხოლოდ შემდეგი მუხლები:

- საკურსო სხვაობები უცხოურ ვალუტაში საკუთარი სახსრების გადაფასებისას;
- სხვა სავალუტო სახსრების გადაფასება;
- მიღებული სახსრები და დანახარჯები განახორციელებენ საობლიგაციო კუპონებზე;
- სახსრები ანგარიშებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საკრედიტო ორგანაზაციების ურთიერთფილიალთაშორის ანგარიშსწორების განსახორციელებლად;

- საანგარიშო და გასული წლის პერიოდის ზარალი;
- წლის განმავლობაში მოგების ხარჯზე, განყენებული სახსრების ჯამი;
- გადახდილი ჯარიმები და საურავები;
- სამეურნეო ინვენტარის შენობებისა და ნაგებობების ღირებულება;
- არამატერიალური აქტივების ღირებულება;
- სამეურნეო მასალების ღირებულება;
- მომავალი პერიოდის ხარჯები;
- მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ღირებულება;
- ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები;
- სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან:
- ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა ანგარიშები;
- ბიუჯეტის მოზიდული სახსრების ხარჯზე დაფინანსება.

გადასახადის საერთო თანხა ბანკების შემოსავლიდან განსაზღვრულ უნდა იქნას, როგორც უდიდესი იმ თანხებიდან, რომელიც გამოთვლილია მსგავსი ან ჩვეულებრივი მეთოდით.

ამგვარმა მიდგომამ გამოიწვია, ბანკირთა საზოგადოების მხრიდან კრიტიკა, რამდენადაც წინასწარმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ ამგვარი სისტემით ზოგიერთ ბანკებს მოუწევთ 10-ჯერ მეტი გადასახადები, ვიდრე ძველი სისტემის დროს. ამიტომ ამგვარმა დებულებამ კოდექსში ასახვა ვერ ჰპოვა. მაგრამ ცალკეულ მომენტებში მითითებული მეთოდიკა ეკონომიკის თვალსაზრისით გამართლებულია. ბანკს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მოგების გადასახადისათვის გადასახდელი თანხების ოდენობა და გააჩნია გაზრდილი დაინტერესება მოგების მიღების მიზნით. ამგვარი სისტემის დროს ადვილია, დავგეგმოთ ბიუჯეტში გადასახდელები, რამდენადაც ბანკებისათვის შეუძლებელი ხდება გადასახდელი გადასახადის მოცულობით ვარირება. თეორიულად მსგავსი გადასახადი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ბანკიდან ერთიანი გადასახადი, რომელიც შეცვლის ყველა გადასახადს. მაგრამ პრაქტიკაში გადასახადით დაბეგვრის მსგავსი სისტემა სტიმულს აძლევს ბანკებს, განახორციელონ მეტი რისკიანი პოლიტიკა, შეამცირონ დაბალშემოსავლიანი აქტივების ოდენობა, რაც საბოლოო ჯამში, შეამცირებს მთელი საბანკო სისტემის საიმედოობას.

ლიტერატურა:

1. თ. ზირაქაშვილი. საქართველოს კომერციულ ბანკებსა და საგადასახადო სისტემას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზები. აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. 2009.
2. გ. ხელაია, ფული, ბანკები და ბირჟები, გამომცემლობა „სამთავისი“, 1996.

Tamar Zirakashvili
Tbilisi Teaching University

MAIN DIRECTIONS OF TAX REFORMS IN BANKING SECTOR
RESUME

The main direction of tex reforms in banking sector can be described as their taxing as an economic individual that results in and is defined as the product of its financial activity. The product is refered as a difference between the sold products and the total amount of expences Beside the payment of employment, it is connected with the production and reali sation. Due to the existing experience, taxing banking sector is defined according to the number of their actives. Such approach causes the fact that in conditions of the balanced market the income and profit of actives on per lari can be defined in advance. Thus, if a bank receives less profit than it was analytically calculated be forehand it means that it uses financial recourses ineffeiently or acts in shade. However the experienu proves that the similar model of taxing encowrages panks act in riskier way, reduce the number of low cost activities that will finally reoluce stability of the total banking sector.

მაია თეთრუაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის გამოწვევები

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს და, მათ შორის საქართველოსთვისაც წარმატების ძირითად საფუძველს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნულს ქვეყანათა მცირე ჩამონათვალი თუ ახერხებს.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვეყნების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სწრაფად მზარდ ქვეყნებს უმეტესად აზიის სახელმწიფოები მიეკუთვნებიან. მაგალითად: სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაილანდი, იაპონია. საყურადღებოა, თუ რა საერთო მახასიათებლები ჰქონდა ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას.

განვითარების საწყის ეტაპებზე ეკონომიკა დარგების მხოლოდ მცირე ჩამონათვალით შემოიფარგლება. პროცესში კი დივერსიფიკაცია იზრდება და შემდგომ კვლავ მცირდება, რაც კონკურენტული უპირატესობის გამოვლენის მიზნით ახალი დარგების მოსინჯვის შედეგია. კონკურენტული დარგების აღმოჩენის შემდეგ ქვეყნები კვლავ სპეციალიზდებიან. საინტერესოა, თუ რა უწყობს ხელს მსგავს დივერსიფიკაციას. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მიზანშეწონილია ზემოხსენებული სწრაფად მზარდი ქვეყნების ბოლო წლების ყველაზე მსხვილი საექსპორტო კატეგორიების განხილვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამხრეთ კორეას რომ არ აერჩია დივერსიფიცირების გზა და ტრადიციულ კონკურენტულ უპირატესობას გაჰყოლოდა, დღეს ის კვლავ ბრინჯის მწარმოებელი ქვეყანა იქნებოდა და არა მსოფლიო ლიდერი ავტომობილებისა და ე.წ. „სმარტფონების“ წარმოებაში. პრაქტიკულად ყველა ასეთი სექტორი არატრადიციულია. მათი განვითარების შესწავლა აჩვენებს, რომ თითქმის ყველა ამ მიმართულების აღმოჩენა და ზრდა დიდწილად განაპირობა სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულმა წახალისების პოლიტიკამ.

სინგაპურში არატრადიციული დარგების განვითარებას საფუძვლად ედო აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერა. მიუხედავად ბუნებრივი რესურსების სიმწირისა, ქვეყნის ეკონომიკა წარმატებული აღმოჩნდა ძალიან ბევრი დარგის განვითარებაში. სწორედ ამიტომ, სინგაპური ინდუსტრიული პოლიტიკისა და კერძო-საჯარო პარტნიორობის კლასიკურ სანიმუშო ქვეყნად არის მიჩნეული. აქ სახელმწიფო, შეღავათის საშუალებით, აქტიურ როლს ასრულებდა მოქალაქეებისა და ინვესტორების სტიმულირებაში. დასახული ეკონომიკური ამოცანების მიღწევისათვის მთავრობა ქმნიდა შესაბამის სააგენტოებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დარგის განვითარების წახალისებაში. ის თანაინვესტირების გზით შედის დამწყებ ბიზნესებში და ყიდის თავის წილს მას შემდეგ, რაც ბიზნესი წარმატებული გახდება და კერძო სექტორი ინტერესდება დამოუკიდებელი მფლობელობით. სახელმწიფომ ასევე აქტიური როლი შეასრულა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაში. განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე, როდესაც ქვეყანა გადავიდა ეკონომიკის უფრო გრძელვადიან დაგეგმვაზე, მაღალტექნოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობების განვითარებას წინ უსწრებდა კადრების შესაბამისი გადამზადება. აღნიშნულ პერიოდში ინვესტიციებისათვის სახსრების მოძიების მიზნით სახელმწიფომ შექმნა სავალდებულო საპენსიო სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში ინვესტიციების ზრდას. სინგაპური დღესაც ერთ–ერთი ყველაზე მაღალი დონის დაზოგვითა და ინვესტიციებით გამოირჩევა. სახელმწიფო ინტერვენციების წარმატების მაგალითს წარმოადგენს ასევე სამხრეთ კორეა. აღსანიშნავია, რომ კორეამ ინდუსტრიული პოლიტიკის დაფინანსებისათვის აირჩია არა მხოლოდ შიდა დანაზოგების ზრდის პოლიტიკა, არამედ, ასევე, აქტიურად მოიზიდა უცხოური სახსრები. სახელმწიფო ხელს უწყობდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებას ისეთი მექანიზმებით, როგორებიცაა: შეღავათიანი სესხები, სტრატეგიული დარგების პროტექცია, ბაზარზე შესვლის რეგულირება, საგადასახადო შეღავათები და სხვ. სამხრეთ კორეაში ინდუსტრიული პოლიტიკის ერთ–ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მეტალურგიის განვითარება.

იაპონიის განვითარებაშიც დიდი როლი სახელმწიფო ინდუსტრიულ პოლიტიკას უჭირავს. ქვეყანაში სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობების მხარდაჭერა პირდაპირი სუბსიდიების, საგადასახადო შეღავათების, იმპორტის შეზღუდვებით, სუბსიდირებული კრედიტების, რიგ შემთხვევებში, კარტელებისა და მონოპოლიების წახალისებით განხორციელდა. სახელმწიფო, მის მიერ შემუშავებული გეგმების ფარგლებში, მნიშვნელოვან სიგნალებს უგზავნიდა ბაზარს და ხშირად ასეთი გზავნილები ავტომატურად აგვარებდა „ბაზრის ფიასკოს“ პრობლემას. წარმატების მრავალი მაგალითი არსებობს მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც.

ხარჯების სტრუქტურის განუსაზღვრელობა ინოვციურ აქტივობაში ინვესტირებისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, რომ ინოვაციურ საქმიანობაში აქ და შემდგომ, არ იგულისხმება ინოვაცია მსოფლიო მასშტაბით. ინოვაციად მოიხსენიება ნებისმიერი საქმიანობის დაწყება, რაშიც ქვეყანას გამოცდილება არ აქვს. ხშირ შემთხვევაში, ახალი/ინოვატორული ბიზნეს-აქტივობის წამოწყება ხარჯების სტრუქტურის იდენტიფიკაციაზე გაწეულ სოლიდურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამასთან, მეწარმეთათვის განუსაზღვრელია ახალი დარგების ძიების პროცესში განხორციელებული ექსპერიმენტების შედეგები. ისინი შესაძლოა წარუმატებლად დასრულდეს, რაც მეწარმის მიერ უშედეგოდ გაწეულ ხარჯებზე მეტყველებს, ასევე წარმატებით, საიდანაც სარგებლის მიღება პოტენციურად, არა მარტო ექსპერიმენტის წამომწყებს, არამედ სხვა პირებსაც შეუძლიათ. შედეგად, ხარჯების სტრუქტურის წინასწარი იდენტიფიკაცია, განუსაზღვრელობა იწვევს მეწარმეების მიდრეკილებას განახორციელონ ინვესტიციები ტრადიციულ დარგებში და მათ ექსპერიმენტების ჩატარების მოტივაციას უკარგავს. ასეთ შემთხვევაში მათ „დიდი ზარალის“ მიღების სცენარის გამორიცხვის შესაძლებლობა მაინც ეძლევათ.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციასთან დაკავშირებული რისკების სრულად საკუთარ თავზე აღების ეკონომიკური საფუძველი კერძო სექტორს, როგორც წესი, არ აქვს, რადგან ხარჯი არის კერძო და სარგებელი – საჯარო.

განვითარებულ ქვეყნებში ეს პრობლემა დაპატენტების გამართული სისტემის მეშვეობით მნიშვნელოვანწილად გვარდება. განვითარებად ქვეყნებში საპატენტო სისტემა არ მუშაობს ან გამოყენებას აზრი არ აქვს, რადგან ბევრი „ახალი“ ტექნოლოგია მცირე მოდიფიკაციებით სხვა ქვეყნებიდან „გადმოღებული“ ტექნოლოგიაა.

ინდუსტრიულმა პოლიტიკამ განვითარებად ქვეყნებში უნდა წაახალისოს ტექნოლოგიის პირველი „იმიტატორი“. ხშირ შემთხვევაში, სამეწარმეო ინიციატივის განხორციელება აქტივობაში სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული პირობის უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული. მხარეების მიერ ერთმანეთის მოძიებისა და დიალოგის გამართვის განუხორციელებლობა კი, როგორც წესი, აღნიშნულ სამეწარმეო ინიციატივას რეალიზების გარეშე ტოვებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სხვადასხვა მეწარმის საინვესტიციო გადაწყვეტილებების კოორდინირება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის მიერ კოორდინაციის პრობლემის აღმოფხვრა, კოორდინირების პრობლემის გადაჭრა ხშირად არ საჭიროებს სუბსიდირებასა და ბიუჯეტისათვის ნაკლებად ხარჯიანია. მიუხედავად ამისა, რიგი ინიციატივები, შესაძლოა, საჭიროებდეს გარკვეულ სამთავრობო გარანტიებს. ასეთი შეიძლება იყოს ჩადებული ინვესტიციების ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული ინვესტიცია არ განხორციელდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის მხარდაჭერა იმ დარგებისათვის, რომლებიც მასშტაბის ან აგლომერაციის ეფექტით ხასიათდება. კოორდინაციის პრობლემის აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ, საკუთარი ანალიზისა და კერძო სექტორთან კომუნიკაციის შედეგად, მოიძიოს ინფორმაცია იმ საინვესტიციო პროექტების შესახებ, რომლებიც განხორციელებისათვის სხვა აქტივობაში ინვესტირებას საჭიროებს. შედეგად, სახელმწიფომ შესაძლებელია გამოავლინოს ერთი დიდი პროექტის შემადგენელ ქვეპროექტებში ინვესტირებით დაინტერესებული ყველა მხარე, რაც მომგებიანი სამეწარმეო პოტენციალის რეალიზებას უზრუნველყოფს. ამასთან, ასევე შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ გარკვეულ აქტივობაში თავად მოახდინოს ინვესტირება.

კოორდინაციის პრობლემის საილუსტრაციო მაგალითად გამართული აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოების სრული ჯაჭვი და ტურიზმის სექტორი გამოდგება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა სწრაფად მზარდი ეკონომიკა ახორციელებს ინდუსტრიულ პოლიტიკას. თუმცა, აღნიშნული ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელებას შეეცდება, სწრაფი ზრდის ტემპებს მიაღწევს. მხარდაჭერის ხერხები უნდა იყოს განახლებადი და მოქნილი – განვითარების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა ინსტრუმენტი და ინდუსტრიული სააგენტოს სხვადასხვა სახის მოწყობა შეიძლება დასჭირდეს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილება, თავის მხრივ, მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, დაბალ კორუფციაზე, ეფექტიან ბიუროკრატიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობაზეა დამოკიდებული.

არსებობს წარუმატებელი სახელმწიფო ჩარევის უამრავი მაგალითი, როგორც ჯამურად ქვეყნების დონეზე, ასევე ზემოთ განხილული წარმატებული ქვეყნების შემთხვევებშიც.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკის საკმაოდ მაღალი, ზრდის ტემპი ფიქსირდებოდა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ქვეყანაში დაბალი ტემპებით ხდებოდა წარმოების ფაქტორების აკუმულირება. საკუთრივ, დასახელებულ პერიოდში ინვესტიციების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან საშუალოდ 25 პროცენტი იყო, მაშინ, როდესაც ზემოგანხილულ სწრაფად მზარდ ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ 40 პროცენტს შეადგენდა. ამასთან,

პრაქტიკულად არ ხდებოდა ადამიანური კაპიტალის გამოყენების ზრდა. შედეგად, ეკონომიკის მატების დიდი ნაწილი პროდუქტიულობის ზრდაზე მოდიოდა. მსოფლიო ბანკის მიხედვით, პროდუქტიულობის ასეთ მაღალ, საშუალოდ 4.8 პროცენტიანი ზრდის ტემპს ე.წ. „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ფაქტორი“ განაპირობებდა. საკუთრივ, ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია საქართველოს მაგალითზე აღნიშნული უკვე არსებული, 1990-იან წლებში, ეკონომიკის კატასტროფული დაცემის შედეგად გამოუყენებადი საწარმოო სიმძლავრეების ეტაპობრივ დატვირთვასა და მათ შედარებით უფრო ეფექტიან გამოყენებაში გამოიხატებოდა. ასეთი სახის რესტრუქტურიზაცია ყველა ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკაში მოხდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი 90-იან წლებშივე დასრულდა. დიდი ალბათობით, საქართველოში ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა, რაც ახალი სამუშაო ადგილების შედარებით ნაკლები დანახარჯების შექმნის მხრივ, შესაძლოა, ეფექტიანი გზა იყოს. ამასთან, რა რესურსიც არ უნდა იყოს დარჩენილი ამ მიმართულებით, თავისთავად იგი მაინც ამოწურვადია. შესაბამისად, ადრე თუ გვიან, უნდა შევეგუოთ საქართველოს მსგავსი ეკონომიკისათვის დამახასიათებელ პროდუქტიულობის მატების დაახლოებით 2–3 პროცენტიან წლიურ ზრდის ტემპს, მაგალითად, განვიხილოთ წყალტუბოში ფუნქციონირებადი სათბური, რომელიც სოციალისტური წყობის დროს დიზელის საწვავზე ფუნქციონირებდა და სადღეისოდ, ენერგიის წყაროდ თხილის ნაჭუჭს იყენებს. ბუნებრივია, უკვე არსებული ძირითადი ინფრასტრუქ-ტურისა და ადამიანური კაპიტალის გათვალისწინებით, სათბურის ფუნქციონირების ხელახალი დაწყება გაცილებით ნაკლებ საინვესტიციო დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ინფრასტრუქტურა და ადამიანური კაპიტალი მთლიანად ახალი ინვესტიციით უნდა შექმნილიყო. ანალოგიურ მაგალითებად გამოდგება კვებისა და სასმელების წარმოება, სამშენებლო საქმიანობა და სხვა. ინვესტიციების უმეტესწილად შიდა წყაროებით დაფინანსების შემთხვევაში, მოკლევადიან პერიოდში სამომხმარებლო ხარჯების შემცირებასა და ცხოვრების საშუალო დონის გაუარესებას გამოიწვევს. ასევე საყურადღებოა, რომ საქართველოში სახეზეა კერძო სექტორის მიერ ძირითადად ტრადიციული სექტორებით დაინტერესების პრაქტიკა. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში, არ მომხდარა ახალი ინდუსტრიული მიმართულებების აღმოჩენა და განვითარება. საინვესტიციო ბუმი კვლავ მხოლოდ ტრადიციულ პოპულარულ სექტორებში გრძელდება, რაც მათ ე.წ. „გადახურებას“ და ინვესტიციების არაეფექტიანობას იწვევს. მათ რიცხვს მიეკუთვნება საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონება, ჰიპერმარკეტები, კომერციული ბანკები, სააფთიაქო ქსელი, ავტოგასამართი სადგურები და სხვ.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვითაც, ახალი კომპანიები უმეტესად უკვე გაჯერებულ, კონკურენტულ ბაზრებზე ხშირად იგივე პროდუქტებით შედიან.

საშუალო მოსახლის ცხოვრების დონის უკეთეს ამსახველს არა მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, არამედ მოხმარება ერთ სულზე წარმოადგენს. მართლაც, მოცემულ დღეს ის ადამიანი იღებს ყველაზე დიდ სარგებელს, რომელიც იმ დღეს მოიხმარს ყველაზე მეტს, თუმცა, დღევანდელი მოხმარების მაქსიმიზაცია შესაძლებელია ხვალინდელი კეთილდღეობის შემაფერხებელი ფაქტორი იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კეთილდღეობის დინამკიური ოპტიმიზაციისათვის, დღევანდელი შემოსავლების ნაწილი ინვესტიციებში ჩაიდოს, რაც წარმოებასა და განკარგვად შემოსავალს გაზრდის. ამ უკანასკნელის ზრდა კი კვლავ მოხმარების ზრდის შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოხმარება მთლიანი შიდა პროდუქტის დიდ ნაწილს იკავებს, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას შედარებით ზრდის.

საერთაშორისო პრაქტიკით, ზრდის ამ მოდელში, სახელმწიფოს გადამწყვეტი როლის გათვალისწინებით, ასევე სათუოა კაპიტალის ბაზრის გადამწყვეტი როლი მიზნობრივი ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ბაზრისა და დანაზოგების სიმცირე, ასევე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა განვითარების მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია. მთლიანობაში შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკა უფრო ფუნდამენტური შესაძლებლობების ჯამური აკუმულირების გზით ვითარდება, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ნელი და ხარჯიანი პროცესია.

ეკონომიკის ზრდის სრუქტურული ტრანსფორმაციის მოდელზე გადასასვლელად კი, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ინდუსტრიული პოლიტიკის არსებობა აუცილებელი წინაპირობაა. მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა ეტაპებზე და რა თანამიმდევრობით უნდა განხორციელდეს დასაქმების ზრდასა და პროდუქტიულობის მატებაზე მიმართული ინდუსტრიული პოლიტიკა. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველომ საწყის ეტაპზე აქცენტი ძირითადად არსებული რესურსების მაქსიმალურ დატვირთვაზე უნდა გააკეთოს. ინდუსტრიული პოლიტიკის წარმატებული განხორციელება საჭიროებს მის ოპტიმალურ ინსტიტუციურ ორგანიზებას. რამდენადაც თვალსაჩინოდ არ უნდა ჩანდეს სახელმწიფო ჩარევის მიზანშეწონილობა, პირველ რიგში, აუცილებელია ინსტიტუციური ჩარჩოს გამართვა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინსტიტუციური

სქემა მაქსიმალურად იცავდეს ბალანსს სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტს შორის (საჯარო სექტორი, კერძო სექტორი, საერთაშორისო ინსტიტუტები). ინიციატივები უნდა მოდიოდეს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მხრიდან. მართალია, მთავრობას არ შეუძლია მოქმედ კომპანიებზე უკეთესად გათვალოს ბაზრის სამომავლო ტენდენციები, მაგრამ ერთობლივი განხილვა ხშირად ბევრად ეფექტიანია, ვიდრე მხოლოდ კომპანიების მიერ მიკრო დონეზე მოსინჯვებითა და საკუთარი შეცდომებით სწავლა. წარმატებული ინდუსტრიული პოლიტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა ხასიათდებოდეს მაღალი პოლიტიკური მხარდაჭერით, ასევე, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების მექანიზმებით.

სამუშაო დონეზე მნიშვნელოვანია აუცილებელი ინფორმაციისა და შესაბამისი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა. მათ შორის, სექტორის ცოდნა მიკრო დონეზე. ინდუსტრიული პოლიტიკის განხორციელების სათავეში უნდა იდგას ისეთი ორგანო, რომელიც შეიმუშავებს ინდუსტრიული პოლიტიკის ზოგად მიზნებს და განსაზღვრავს ინდუსტრიული პოლიტიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხებს. თავისთავად, გათვალისწინებულ უნდა იყოს ზემოთ დასახელებული პრინციპები, წინაპირობები და პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმები.

ინდუსტრიული პოლიტიკის განსახორციელებლად და მისი გამჭვირვალობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია ძირითადი პრიორიტეტების, პრინციპებისა და მეთოდების განსაზღვრა ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში. ასეთი მიდგომა ბევრი ქვეყნის სტრატეგიაში გვხვდება.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ეკონომიკური ზრდა არა ფუნდამენტალური ფაქტორების ჯამური აკუმულირების, არამედ სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზით მიიღწევა, რაშიც გადამწყვეტი როლი ხარჯების იდენტიფიცირებისა და კოორდინაციის პრობლემების აღმოფხვრაზე ორიენტირებულ სახელმწიფო პოლიტიკას ენიჭება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, 2013, საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია.
2. World Bank, 2013, Georgia, Sustaining Rapid Economic Growth, Country Memorandum, Report No. 79532-GE .
3. World Bank: Georgia’s Fight Against Corruption in Public Services. 2013
4. World Bank, Entrepreneurship Survey, Fostering entrepreneurship in Georgia, Conference Materials, Tbilisi, 2013.

Maia Tetruashvili

Tbilisi Teaching University

THE CHALLENGES OF THE SECOND DECADE OF THE TWENTY-FIRST CENTURY

RESUME

Sustaining strong growth in Georgia going forward will require new policies that help support both high investment financed increasingly from domestic sources as well as sustained rapid productivity growth in the tradable sectors.

Given the starting position of Georgia, achieving such an outcome will require effort.

For example, sustaining growth of 5 percent per year during 2013–17 will require combining investment of more than 30 percent of GDP with TFP growth of more than 3 percent per year. Georgia has not established a sustainable

source of financing for investment of 30 percent of GDP in recent years and while productivity growth was faster than 3.5 percent per year over the last decade, most of this was a one-off spurt in productivity from the post-Rose Revolution reforms.

Ensuring a more sustainable source of financing for investment and accumulation will require raising low rates of national savings in Georgia. With a sustainable current account deficit, maintaining growth of 5 percent over an extended period of 15 years (2013–27) will require raising national savings from the current 17.5 percent of GDP to 27 percent by 2017. Reform options to raise national savings will need to target increases in both

public and private savings. Increasing public savings will require a shift in the fiscal framework toward lower growth of current expenditures and higher growth of capital expenditures. Increasing private savings will require

Aygun Chingiz qizi Ismayilova, Farkhad Shirin oglu Azizov
Sheki Regional Scientific Center of Azerbaijan
National Academy of Sciences (ANAS)

THE ROLE AND IMPORTANCE THE DEVELOPMENT OF AGRARIAN SECTOR WITH THE INNOVATIVE WAYS FOR IMPROVING THE SOCIO-ECONOMIC SITUATION OF THE REGION'S POPULATION

Abstract: Today, the economy of Azerbaijan is in transition to the innovation economy. Year after year, millions of jobs need to be created to provide employment and income for a growing population. Agriculture is an important engine of growth and poverty reduction and it is important for employment and prosperity. The agricultural sector is the main employer and the driver of development in rural regions. The main purpose of agrarian reform in a country is to achieve the organization of special economic forms in accordance with the market economy and to develop entrepreneurship in all areas of the agrarian sector. Especially reliable food supply is a key prerequisite for economic stability and social sustainability of each country. For this purpose, the article is talking about the role and importance the development of agrarian sector with the innovative ways for improving the socio-economic situation of Sheki-Zaqatala region's population. The main occupation of the population of an economic-geographical region of Sheki-Zaqatala which is located in the north-west of Azerbaijan Republic, on the southern slopes of the Great Caucasus and in the Qanikh-Ayrichay valley- is agriculture. Nowadays there are some problems with the region`s agriculture which is plagued: some of them are natural and some others are manmade. In the article, some of the major problems of agrarian sector and their possible solutions have been discussed. The article has been analyzed the tasks of the real situation of employment in the agrarian sector, innovative development of the agricultural sector, as well as the socio-economic situation of Sheki-Zaqatala region's population.

Key words: changes in agrarian employment, rural employment, agricultural wages, agricultural development, labour force, employment

Introduction - Innovation policy in the agricultural sector, in every country, is a state of the art. The innovation system in the agrarian sector is a product of the productivity of macro and formation of scientific mechanisms. . With the help of these mechanisms, the process of organizational, economic, technical and technological modernization is being carried out. Research and analysis show that the development of free entrepreneurship in the village, to create a sense of entrepreneurship and productivity on the land, transition to the methods of free progressive farming, forming new property relations, it is possible to increase production through the efficient use of technology, water, and other material resources. In the success of all these purposes, first of all, agrarian science should say its word. Every innovation cannot be considered innovation. Innovation is a novelty that leads to positive changes in the area where it is being implemented and increases effectiveness. If talking about the agrarian sector in particular, innovation should cover all stages from soil plowing to crop rotation, care, irrigation, cultivation and storage. The old methods are not able to handle the new situation in the agricultural sector. Even the old economic system does not allow to meet new demands. In this case, a number of unpleasant situations occur.

The north-western region of Azerbaijan is located in a favorable geographical position, combines six geographical regions and accounts for 17% of the country's economy. It is characterized as an agrarian region. The country is a major producer of agricultural and livestock products, fruit growing, vegetable growing, tea, beekeeping, tobacco, fishery, silkworm breeding, poultry farming, cereal production, livestock breeding. There are favorable conditions for the development of the region. There are enough natural and biological resources for the development of these areas - fertile and productive land resources, underground and surface water resources, plant resources in the forests and favorable climatic resources.

Lowland area at 500-700 m above sea level belongs to subtropical climate zones, but 800-2700 m altitude mountainous and high mountain areas are included in the other climatic zones. There are favorable opportunities for the cultivation of traditional plants and non-traditional subtropical and other organic plants, fruits and vegetables in the region. The annual active temperature in Ganikh-Alazan valley, thermal reserves, and other climatic factors allow the product is harvested twice a year.

There is a large river network in the area. The region includes the following important rivers: Kish, Shin, Balakanchay, Katekh, Damiraparan, Mazhim, Mukhakh, Ganikh, Ayrichay, Alijan, and Turyan. The existence of the boundary Ganikh river, which covers the valley along the border, generates abundant water resources and contributes to the development of agriculture, vegetation, and other areas of the agrarian sector.

Livestock - In the valley, local population benefits from existing plant resources such as winter pastures in winter-summer and autumn, but in the summer months, they use poultry and livestock using mountainous terrain and pasture.

Crop production- In the region, cultivable, useful and chemically valuable back, chestnut, grey, and brownish soils allow cultivating of fruits and vegetables, melon plants, leguminous plants, as well as fruits especially nuts - walnuts, hazelnuts, pheasants, pistachio, and others. Historically, in this region, in large areas, hazelnut plant is widely spread in the forests, as well as in plantations, as its endemic plant and its fruits have been exported abroad as export

goods, causing a large amount of currency to the country. At the same time, the processing and producing of the fruits of this plant and the production of hazelnut kernel, which is the main export product is processed workshops, created and carried out their activities.

Tea and tobacco- Subtropical climatic condition and fertile soils also allow cultivation of subtropical plants, in particular, the development of viniculture, tea growing, tobacco cultivation and mulberry.

Sericulture- Historically, in the region, silk farming was developed. The only one in the Transcaucasia and the second largest Sheki silk factory of the former USSR was supplied with cocoon and quality silkworm products were produced. Unfortunately, this area is forgotten and is not functional. Taking into account that, during the season, cocoon production has a very short period of time, at the end of summer, comes to an end within 0-40 days, do not require a lot of money and in return as soon as possible to ensure the population's income causes. In that case, there is a need for a revival of this area.

Vine-growing- Another very important area is a vineyard, which has been widely spread throughout the region. But later, as a result of a wrong country-wide decision, attention to this area has diminished, existing vineyards have been destroyed, processing enterprises have changed or suspended their activities. However, the increased focus on this area in the years of independence, even if it is not satisfied with the development of the industry at the moment. Taking into account that, in 2013, under the decree of the President of the Republic of Azerbaijan, a special decision was made for the development of viniculture in Azerbaijan, and then there is a need to accelerate the development of this area.

Beekeeping- Existing climate factors, water, and land resources, as well as plant resources, also provide extensive opportunities for the development of beekeeping in the region. The location of the region in plains, mountainous and highland areas also contributes to the diversity of vegetation. From early spring to autumn, there is plenty of varieties of feed for the breeding of bee families, which helps to breed bees, as well as the availability of different types of quality beekeeping products.

Fishing- The abundance of surface and underground water resources allows the development of river, lake and pond fishery in the area. To develop this area, it is necessary to create artificial large furrows and fish farms.

Canned food processing- The forests that surrounding the region, plains and mountainous areas of the region and using the fruits grown in the yard areas, plants that grow in the wild, fruits, as well as the private farms, but also preservatives and jams, juices and medicinal essentials production of non-alcoholic beverages can be organized.

Grains- One of the traditional plants cultivated in the area is the rice paddy. This plant, especially in the Shaki region, has been specially cultivated in large farms in Zeyzid, Baltali and Qohmuk villages. Its product has been used for many years as a very valuable food by all peoples. Unfortunately, then the cultivation of this plant was stopped for unknown reasons and the population was deprived of this valuable and therapeutically important food product. It is believed that the cultivation of this traditional plant in the region should be restored and the population should benefit from this nutritional product as before.

Fruit-growing- In the region, one of the traditional agricultural spheres is fruit growing, previously this area was developed and the canning plants operated in each region. However, these businesses are not functioning now. The development of fruit growing should be prioritized and the activities of these enterprises should be restored. All mentioned factors, using available natural resources, in addition to providing the population with ecologically clean agricultural products in the region, all the seasons of the year constitute the basis for many areas of tourism - ecotourism, agrarian tourism, rural tourism, peasant tourism, medical tourism and so on.

Taking into account that the region and its surrounding regions are located on a large silk road, as well as on many international tourism routes, then it becomes clear that the overall development of the region is relevant. The region's development, as well as improving the socio-economic situation of the people living here, will also have a positive impact on the overall economic development of the region and the country as a whole.

Since 1995, as a result of land reforms carried out in the country, the population has acquired land plots and uses the land independently.

In recent years, considering that the agrarian sector is a priority sphere, in the framework of the state program of socio-economic development of regions for 2009-2013, some improvements in the development of this sphere are noticeable.

Problems:

As mentioned above, despite all the natural resources available in the region, the region's overall economic development, in particular, the development of the agrarian sector is not satisfactory. As a result of research, these are the main reasons for the slowdown in agrarian development in the region.

- Landowners cannot use land because they are located at a distance of 35-40 km far from the land they live in.
- For many years, the land has become useless since it has been used uninterruptedly.
- Land use cannot be used efficiently and productivity falls, as the principle of turnover is not applied in small-scale land plots.
- As the existing irrigation systems and facilities, as well as irrigation systems, are soaring and degrading.
- In soil, against pests and insects, the measures are not adequate.
- Farmers cannot apply modern farming techniques and technologies in their farms.
- Production of ecologically pure agricultural products is not organized, measures are not taken to protect the domestic market.
- In spite of the environmental disaster insurance, the farmers are not paid for damages.

- In Alazan-Haftarah valley soils salinization and desertification processes accelerate, vegetation is destroyed, ecological problems are rising.

Goals and Objectives- Strengthening the development of agrarian sector by using the natural resources of the Ganikh-Eyrichay valley within the framework of the State Program on Socio-Economic Development of the Regions of the Republic of Azerbaijan for 2014-2019, which is planned to be implemented in Azerbaijan, development of production of environmentally friendly agricultural products by applying modern farming methods and forest restoration activities.

To achieve this goal, the following tasks are required:

- By using the Ganik-Ayrichay river water it is useful for preventing degradation of land and salination, installation of pumping stations in several areas and creating irrigation systems
- Taking measures for improving soil fertility, and creating greenhouses for cultivation of organic fruits and vegetables and other plants by using modern farming techniques
- to strengthen forest restoration activities in the area, to take measures for the protection and rational use of existing vegetation
- Giving agricultural entrepreneurs the ability to obtain the vaccination more harvests (products) from less area
- to create modern agro-ecosystems based on international experience in selected areas, and to stimulate the region's population for this purpose
- Strengthening propaganda and advocacy on the organization of production of organic agricultural products among the population of the region

The results of the implementation of the above-mentioned tasks first of all, about 700 000 people living in 6 regions of the region, as well as the improvement of the socio-economic situation of the population in the regions close to the region, at the same time, will lead to the improvement of trade relations and trade turnover with neighboring Georgia.

CONCLUSION - The main results of the work done show that with the creation of many new jobs the level of existing use of natural resources will be a rise in the local population. The population's income will be increased, it will give impetus to the solution of existing local socio-economic and environmental problems, it will also serve the needs of tourists and will be cause for the inciting and promotion of national-moral values belonging to region`s population. It will influence the general socio-economic development of the region and country to a considerable extent.

REFERENCES:

1. Decree of the President of the Republic of Azerbaijan dated 23 January 2007 "On the state support to agricultural products procurement"
2. Azerbaijan's agriculture. Statistical summary. 2014
3. Abbasov A.F. “Food security: World agriculture development main tendency "Azerbaijan Agrarian Science" magazine, Baku, 2004, 4-6.
4. Abbasov A.F. “Some issues of food security and state regulation of the agrarian sector”. Azerbaijan Agrarian Scientific Magazine, 2005, № 1-2, p. 42-48.
5. Aliev İ.H. “Improve the mechanism of economic management in the agrarian sphere in the Republic of Azerbaijan”. Baku, 2003, 315 p. p. 175.
6. Agrarian Reforms in Azerbaijan: Concept, Experience, Perspectives. Baku, "Education" NPM, Volume 2, 2002.

ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავტოსატრანსპორტო და ქონების დაზღვევის განვითარების ტენდენციები

ქონების დაზღვევა დაზღვევის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ქონების დაზღვევის სახეობებია: სამშენებლო რისკების დაზღვევა, მანქანა-დანადგარების დაზიანების დაზღვევა, ელექტრონული მოწყობილობების დაზღვევა და ა.შ. ამ შემთხვევებში დაზღვევის ობიექტია: შენობა-ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, ავტომობილები, კომერციული ობიექტები, საწყობები და ა.შ. ძირითადი რისკებია: ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, თვითმფრინავის ჩამოვარდნა, მიწისძვრა და ა. შ. [4].

საქართველოში თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანია სთავაზობს მძღოლებს ავტოდაზღვევას. იგი ავტოტრანსპორტის მფლობელს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს ავტოტრანპორტის დაზიანების/განადგურების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური დანახარჯები. ავტოდაზღვევასთან ერთად სადაზღვევო კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. იგი გულისხმობს უფლებამოსილი მძღოლის სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რომელიც დგება დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირთა გარდაცვალების ან მათი ჯანმრთელობის/ქონების დაზიანების შედეგად [6].

2015 წელს სადაზღვევო კომპანიების აქტივებმა შეადგინა 542 296 094 ლარი, ხოლო 2016 წელს – 54 244 651 ლარი [5]. 2014 წელთან შედარებით 2015–2016 წლებში სატრანსპორტო საშულებებიდან მოზიდული პრემია გაზრდილია. აღნიშნული სახეობის დაზღვევაში სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის მოზიდული პრემია 2014–2016 წლებში 11 652 790 ლარიდან 16 023 504 ლარამდე გაიზარდა, ხოლო სადაზღვევო კომპანია ალდაგის მოზიდული პრემია აღნიშნულ წლებში 7 155 536 ლარიდან 22 013 422 ლარამდე გაიზარდა [http://insurance.gov.ge/Statistics.aspx]. 2016 წლის მონაცემებით სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური პრემიის დაახლოებით 44,61% სამედიცინო დაზღვევაზე მოდიოდა, ხოლო ქონების დაზღვევაზე კი 16.63%; სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაზე მოდის 15.19% [7].

ევროკავშირში ავტოდაზღვევა და ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა. როდესაც ავტოდაზღვევა სავალდებულოა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ყველა მონაწილე, მათ შორის ქვეითად მოსიარულეც, იღებს გარანტიას, რომ დაცულნი იქნებიან მათ ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეზე და ქონებაზე მიყენებული ზიანის დროს. საქართველოში ავტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო არ არის. თუმცა, მას შემდეგ, რაც 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, დადგა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხი, რაც გულისხმობს ჩვენი კანონმდებლობის მაქსიმალურად დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. სავალდებულო დაზღვევა ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვისაც. სახელმწიფოს ძალიან ხშირად უწევს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგების ანაზღაურება, როდესაც მას ვერ იხდის დამზარალებელი. ექსპერტთა ვარაუდით, სავალდებულო ავტოდაზღვევის შემოღების შედეგად, ავტოსაგზაო შემთხვევისას გარდაცვალების დროს გათვალისწინებული იქნება დაახლოებით 17-18 ათასი ლარის გადახდა, მკურნალობაზე კი 15 ათას ლარამდე თანხა გამოიყოფა. გარდა სავალდებულო ავტოდაზღვევისა, სახელმწიფოს ასევე განზრახული აქვს სავალდებულო ტექდათვალიერების აღდგენა (2018 წლის იანვრიდან), რომლის საფასური, ექსპერტთა ვარაუდით, დაახლოებით 48 ლარი იქნება. აღსანიშნავია, რომ ავტოპარკის ასაკი საქართველოში ძალიან ხანდაზმულია. არსებული ავტომანქანების ნახევარზე მეტი 20 წელს გადაცილებული ავტომანქანაა.

საქართველოში უმრავლესობას მანქანა დაზღვეული არ ჰყავს (85%) [7]. აღნიშნულის მიზეზი კი ფინანსური პრობლემები და სადაზღვევო პაკეტის სიძვირეა, რაც მოსახლეობის უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია. აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებულ უნდა იქნას სავალდებულო ავტოდაზღვევის შემოღების შემთხვევაში სადაზღვევო ტარიფის დაწესებისას. სავალდებულო ავტოდაზღვევის სადაზღვევო შენატანი ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი უნდა იყოს.

ქონების დაზღვევაზე საუბარი მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც სტიქია ან ხანძარი ხდება. გარკვეული პერიოდის შემდეგ დაზღვევა ისევ ავიწყდებათ. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქონების დაზღვევა სავალდებულო არ არის, მაგრამ ყველა აზღვევს ქონებას, ზოგან კი სავალდებულოა. მაგალითად აზერბაიჯანში ქონების დაზღვევა სავალდებულოა, სასურველი იქნებოდა, საქართველოში არსებობდეს მაღალი რისკის ობიექტების დაზღვევის ვალდებულება. ამიტომ, აუცილებელია, რომ საქართველოში ქონების დაზღვევის სავალდებულო წესი ამოქმედდეს. ქონების დაზღვევაზე 2016 წელს გაცემულია 161 410 სადაზღვევო პოლისი, საიდანაც კორპორატიულია 36 356, საცალო (ინდივიდუალური) - 110 063, სახელმწიფო კი 62 [7], რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ამიტომაც, აუცილებელია, რომ ქვეყანაში დაზღვევის სავალდებულო ფორმა ამოქმედდეს. სადაზღვევო სისტემა გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე და ამავე დროს დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე, მოსახლეობის გადახდისუნარიანობასა და ბიზნესის სიძლიერეზე. სადაზღვევო ბაზრის განვითარებისთვის აუცილებელია მსოფლიოში აპრობირებული შემდეგი მეთოდების გამოყენება: ავტოტრანსპორტის მფლობელთა (სამოქალაქო პასუხისმგებლობის) მესამე პირებისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევის (MTPL) სავალდებულო წესით შემოღება. აღნიშნულს ითვალისწინებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად ამ საკითხის დამუშავებაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაც აქტიურადაა ჩართული (საქართველოში აღნიშნულის განხორციელება იგეგმება 2018 წლის იანვრიდან). ასოცირების

შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (2009/103/EC) დირექტივის შესრულებას. იგი ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ კონცეფცია, საქართველოში ადგილობრივი, შიდა ბაზრის განვითარების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს და ასოცირების საბჭოს წარედგინოს 2019 წელს. ასოცირების შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მეორე 2009/138/EC დირექტივის დებულებები, "სადაზღვევო ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ" ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში უნდა შესრულდეს.

"სავალდებულო დაზღვევის შემოღებასთან ერთად გაიზრდება მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა, რაც გულისხმობს სადაზღვევო სისტემის სტაბილურობასა და მყარ გარანტიებს. მინიმალური საწესდებო კაპიტალის ქვედა ზღვრები საქართველოსა და ევროკავშირში განსხვავებულია, მაგალითად, საქართველოში საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობაა: არასიცოცხლის დაზღვევა – 2000000 ლარი; სიცოცხლის დაზღვევა – 2 200 000 ლარი; გადაზღვევა – 2 200 000 ლარი, მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში არასიცოცხლის დაზღვევა – 22 000 000 ლარი; სიცოცხლის დაზღვევა – 3 200 000 ლარი; გადაზღვევა – 3 200 000 ლარი.

ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ე.წ. MTPL ავტოდაზღვევისგან (CASCO) თვისებრივად განსხვავდება. MTPL აზღვევს იმ რისკებს, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის ჯანმთელობის ან მისი ქონების დაზიანებით. CASCO კი სხვა ტიპის რისკებს აზღვევს. საქართველოში მნიშვნელოვანია ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რადგან 2015 წელს 6432 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 7,3%-ით აღემატება, დაზარალებულთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო ამავე წელს - 9187 (7,6%-ით მეტი 2014 წლის მაჩვენებელზე). 2015 წელს ავტოსაგზაო შემთხვევებს 602 ადამიანი ემსხვერპლა, რაც ასევე გაზრდილია 2014 წელთან შედარებით (511)[7]. შსს-ს ინფორმაციით საქართველოს ავტოპარკი 2015 წელს 8,23%-ით გაიზარდა და 1,1 მილიონს გადააჭარბა. 2016 წელს კი საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა 1,2 მლნ-ზე მეტია, რომლის მხოლოდ 4,3%-ია დაზღვეული [7]. MTPL-ის დაზღვევის "სავალდებულობა" მეტ დაცულობას შემატებს მოქალაქეთა ჯანმრთელობას და ქონებას. ამასთან, სავალდებულო დაზღვევის შემოღება შექმნის ახალ ბაზარს სადაზღვევო კომპანიებისთვის, ვინაიდან საქართველოში სადაზღვევო ბაზრის წილი არის ძალიან დაბალი და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ წილებს, აღნიშნული დაზღვევის სავალდებულობა გამოიწვევს უცხოური სადაზღვევო კომპანიების შემოსვლას ბაზარზე, რაც თავის მხრივ ინვესტიციების ზრდას გულისხმობს.

ამგვარად, MTPL-ის სავალდებულო დაზღვევის შემოღება მნიშვნელოვანია სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის. მოქალაქეები იქნებიან უფრო დაცულები, აღმოიფხვრება ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები. ამასთან, ანაზღაურების ლიმიტები უნდა იყოს სწორად შერჩეული და განსაზღვრული თითოეული რისკის (ჯანმრთელობის, სიცოცხლის და ქონების დაზიანება) შემთხვევაში. გარდა ამისა, გაიზრდება სადაზღვევო მოცვა, რაც უცხოური სადაზღვევო კომპანიების დაინტერესებას გამოიწვევს. ამასთან, აუცილებელია დაზღვევის სხვა სახეობების, ძირითადად, პროფესიული (პროფესიული საქმიანობის გამწევი პირები და ორგანიზაციები) და სამოქალაქო პასუხისმგებლობის (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მომატებული საფრთხის საწარმოები) სახეობების სავალდებულო წესით შემოღება, რაც ქვეყნისთვის საინვესტიციო რესურსი იქნება.

ლიტერატურა:

1. არეშიძე ლ., შონია ნ., ღავთაძე გ., სადაზღვევო საქმე. ქუთაისი, 2005;
2. გიგოლაშვილი გ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2010;
3. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2016;
4. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2012;
5. www.insurance.gov.ge
6. http://insurance.org.ge
7. http://insurance.gov.ge/Statistics.aspx

Nato Kakashvili, Khatuna Barbakadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

TRENDS IN THE DEVELOPMENT OF ROAD TRANSPORT AND PROPERTY INSURANCE

RESUME

Almost all insurance companies offer car insurance in Georgia. This allows the vehicle owner to avoid financial losses caused by damage / destruction of the vehicle. Along with car insurance, the insurance company offers clients insurance of motor third-party liability. This implies the civil liability of the authorized driver, who is responsible for the death of third parties as a result of insured vehicles or property damage. In the case of compulsory insurance, insurance companies will impose higher capital requirements, the minimum capital requirements will be increased, which is also part of the association agreement, which means greater stability and firm guarantees of the insurance sector.

Thus, the introduction of compulsory MTPL insurance is important both for social purposes and for the development of the insurance market.

ნათია კახნიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მრავალგანზომილებიანი სიღარიბის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში

სიღარიბე არა მხოლოდ ქრონიკული მოვლენაა, არამედ საზოგადოების **პოლარიზაციის** და **მარჟინალიზაციის** და შესაბამისად, სოციალური დაძაბულობის გაძლიერების ზრდადი ფაქტორია.

დღეისთვის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და სიღარიბის გადალახვა. მსოფლიო განვითარების შესახებ 2001 წლის მოხსენებაში მოყვანილია სიღარიბის გაფართოებული განსაზღვრა, რომელიც მოიცავს: **მატერიალურ სიდუხჭირეს** (იზომება ისეთი კატეგორიების დახმარებით, როგორიცაა შემოსავალი ან მოხმარება), **დაბალ საგანმანათლებლო დონეს, ჯანმრთელობის ცუდ მდგომარეობას, რისკებისა და დაუცველობის მიმართ მიდრეკილებას,** ისევე, როგორც მის შეუძლებლობას ბოლომდე შეინარჩუნოს თავისი ინტერესები და **მისი მდგომარეობის მიმართ უძლურებას.** სიღარიბის განმსაზღვრელი დასახელებული პარამეტრები მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებიან და მრავალ შემთხვევაში ერთმანეთს აძლიერებენ. მისი შედეგია, **ლ. სენის** სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „პიროვნების პოტენციალური შესაძლებლობის, ანუ მისი ძირითადი უფლებების, რომლებიც აუცილებელია ამ პიროვნებისათვის ფასეული ცხოვრების წესით ცხოვრება, შეზღუდვა“.

მსოფლიოში სიღარიბის ძირითადი მაჩვენებელია **მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი** (Multidimensional Poverty Index) – **MPI**. ეს ახალი მაჩვენებელი ითვალისწინებს იმ სერიოზულ დეპრივაციას, რომელსაც ადამიანები ერთდროულად განიცდიან. იგი ასახავს, როგორც მრავალგანზომილებიანი სიღარიბის მასშტაბურობას, ასევე მის სიღრმეს, ანუ იგი წარმოგვიდგება როგორც დეპრივაციის საშუალო რიცხვი, რომელსაც ადამიანები ერთდროულად განიცდიან. MPI-ის დახმარებით იზომება დეფიციტი ჯანმრთელობის, განათლებისა და ცხოვრების დონეში, ამასთან გაითვალისწინება არა მხოლოდ იმ ადამიანთა რიცხოვნობა, რომლებიც დეპრივაციას განიცდიან, არამედ ცალკეული სახის დეპრივაციის ინტენსიურობაც.

მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი, ერთსა და იმავე ოჯახურ მეურნეობაში, მრავალი დეპრივაციის (განათლება, ჯანმრთელობა და ცხოვრების დონე) ამსახველია. მასში გამოიყენება გამოკითხვით მიღებული მიკროდონის მაჩვენებლები.

ოჯახურ მეურნეობაში შემავალი ყოველი ინდივიდი, დეპრივაციის რაოდენობიდან გამომდინარე, ღარიბებად და არაღარიბებად ჯგუფდება. შემდეგ ეს მონაცემები ოჯახური მეურნეობების მიხედვით ჯამდება. ასე მიიღება სიღარიბის ეროვნული მაჩვენებელი. ეს ინდიკატორი ზომავს ჯანდაცვის, განათლებისა და ცხოვრების დონის სფეროებში ადამიანის როგორც დეპრივაციის რაოდენობას, ასევე მისი „გადაკვეთის“ ინტენსივობას. მრავალ ქვეყანაში, სადაც სწრაფი ზრდა შეიმჩნევა,

მრავალგანზომილებიან სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობა, აღემატება შემოსავლის მიხედვით მცხოვრებ ღარიბთა რიცხოვნობას. არადა, შემოსავლის მიხედვით უთანასწორობა მრავალ ქვეყანაში მატულობს. 101 ქვეყნის მოსახლეობის 30%-ზე მეტი (თითქმის 1.6 მლრდ კაცი) მრავალგანზომილებიან სიღარიბეში ცხოვრობს.

მეთოდოლოგია. ყოველ პირს მიენიჭება ქულების განსაზღვრული რაოდენობა. მისი ზღვარი დამოკიდებულია დეპრივაციის თითოეულ 10 კომპონენტურ ინდიკატორზე (**d**). მაქსიმალური ბალი 10 ქულაა. ამასთან ყოველი განზომილების წონადობა თანაბარია, ანუ თითოეული განზომილების მაქსიმალური ბალი 3 $^{1/3}$ – ს შეადგენს. „განათლებას“ და „ჯანმრთელობას“ ორი მაჩვენებელი აქვს. ამიტომ თითოეული კომპონენტის „წონადობა“ 5/3 - ია (ანუ 1/67), ხოლო „ცხოვრების დონის“ განზომილება 6 კომპონენტისგან შედგება, შესაბამისად თითოეულის „წონადობა“ უფრო მცირეა (5/9 ანუ 0,56).

განათლების კომპონენტები არ მოიცავენ იმ ოჯახური მეურნეობის წევრებს, რომლებმაც გაიარეს სკოლაში ხუთწლიანი სწავლება და ყავთ მინიმუმ სასკოლო ასაკის ერთი ბავშვი (რვა კლასამდე), რომელიც სკოლაში არ დადის. ჯანმრთელობის კოეფიციენტები მოიცავენ არანაკლებ ოჯახური მეურნეობის ერთ წევრს, რომელიც არასაკმარისად იკვებება, რომლის ერთი ან რამდენიმე ბავშვი გარდაიცვალა. ცხოვრების დონის კომპონენტებში ჩართულია ელექტრომომარაგების უქონლობა, სუფთა სასმელი წყლის უქონლობა, ნორმალური კანალიზაციის უქონლობა, საჭმლის დასაზამდებლად „ჭუჭყიანი“ სათბობის (ნაკელი, შეშა, ხის ნახშირი) გამოყენება, მსუბუქი, სატვირთო ან ანალოგიური მოტორიზებული ტრანსპორტის უქონლობა და მაქსიმუმ ერთი რომელიმე ტექნიკური საშუალების (ველოსიპედი, მოტოციკლი, რადიომიმღები, მაცივარი, ტელეფონი ან ტელევიზორი) არსებობა.

„მრავალგანზომილებიანი“ სიღარიბის გამოსავლენად ჯამდება ყოველი ოჯახური მეურნეობის დეპრივაციის მაჩვენებლები, რომელიც საბოლოოდ ოჯახური მეურნეობის დეპრივაციის ზოგად მაჩვენებელს (**c**) იძლევა. 3 ბალიანი ზღურბლი, რომელიც ინდიკატორის 1/3 -ის ეკვივალენტია, აღნიშნავს ღარიბებსა და არაღარიბებს შორის გამიჯვნას. თუ c სამი ან მეტია, ასეთი მეურნეობა და მისი თითოეული წევრი მრავალგანზომილებიან ღარიბად ითვლება. ხოლო 2 ან 3-მდე ქულიანი ოჯახური მეურნეობა მოწყვლადია ანუ მრავალგანზომილებიან სიღარიბის ზღურბლზე იმყოფება.

მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსის აგებისას ორი განზომილება გამოიყენება: სიღარიბის მრავალგანზომილებიანი კოეფიციენტი და სიღარიბის ინტენსიურობის (ანუ მასშტაბის) კოეფიციენტი.

სიღარიბის კოეფიციენტი **H** განსაზღვრავს იმ მოსახლეობის წილს, რომელიც მრავალგანზომილიან სიღარიბეში იმყოფება:

$$H = q : n,$$

სადაც **q** - მრავალგანზომილებიანი ღარიბების რიცხოვნობა, ხოლო **n** - მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა.

საქართველოში სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ინდექსი 0,003-ს (2005 წ.) უდრიდა. ქვეყანაში მხოლოდ 36 ათასი ადამიანი იმყოფებოდა მრავალგაზომილებიანი სიღარიბის პირობებში (მთლიანი მოსახლეობის 0,8%). დეპრივაციის ინტენსიურობა მოსახლეობის 35,2%-ს უდრიდა, სიღარიბის მიმართ მოწყვლადი იყო მოსახლეობის 5,3%, სიღარიბის მძიმე პირობებში კი არცერთი პირი არ იმყოფებოდა, დეპრივაციის წილი მთლიან სიღარიბეში ასე გამოიყურებოდა: განათლება - 23,2%, ჯანმრთელობა - 33,8%, ცხოვრების დონე - 43,9%. 2002-2011 წლებში სიღარიბის მიღმა (1,25 $-ზე ნაკლები შემოსავალი) ცხოვრობდა მოსახლეობის 15,3%, ხოლო სიღარიბის ნაციონალურმა ზღვარმა 24,7% შეადგინა.

რა თქმა უნდა, მსგავსი სტატისტიკა აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა საქართველოში ჩამოყალიბებულ რეალურ მდგომარეობას და სინამდვილეში მის უხეშ შელამაზებას ემსახურებოდა. ჩვენი აზრით, სიღარიბის რეალური მასშტაბის დასადგენად, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზის ნახვაა საჭირო, სადაც 2007 წელს დარეგისტრირებული იყო 496 ათასი ოჯახი (1,4 მლნ კაცი) ანუ მოსახლეობის 34% (მაგრამ ამ ბაზაში რეგისტრირებული იყო მხოლოდ უკიდურესად ღატაკი მოსახლეობა, რომელსაც უნდა დაემატოს საარსებო მინიმუმს დაბლა მყოფი მოსახლეობის ის რიცხოვნობა, რომელიც დასახელებულ ბაზაში ვერ მოხვდა - ნ.კ).

საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ჩამოყალიბებულ სოციალურ ფონს განსხვავებულად და წინააღმდეგობრივად აფასებენ. მაგალითად, გაზეთში "ბანკები და ფინანსები" (14.04.2010 წ.) აღინიშნა, რომ 2009 წელს საქართველოში ღარიბების რაოდენობა 125 165 კაცით გაიზარდა. ამავე დროს მსოფლიო ბანკის მტკიცებით, საქართველოში ცხოვრების დონე გაუმჯობესდა. ამ განცხადებას საფუძვლად დაედო მსოფლიო ბანკის მიერ გამართულ კონკურსში - **"ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ცხოვრების გაუმჯობესება"** - ერთ-ერთ გამარჯვებულად საქართველოს დასახელება (გამარჯვებულად დასახელდა, აგრეთვე, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, თურქეთი, ლატვია, მაკედონია, მოლდოვა, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი). მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის **ფილიპ**

დე უერუსის თქმით, კონკურსში საქართველომ რეალური შედეგი აჩვენა, კერძოდ, **გაიზარდა** დასაქმება, **შეიქმნა** მცირე საწარმოები, **გაუმჯობესდა** ფინანსური ხელმისაწვდომობა, **აღდგა** სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, **გაუმჯობესდა** ჯანდაცვის სფერო.

რამდენად არგუმენტირებულია მსოფლიო ბანკის კონკურსში საქართველოს გამარჯვებულად გამოცხადება, მაშინ როცა 2009 წელს ყველა ის მაჩვენებელი, რომლებსაც მსოფლიო ბანკი დაეყრდნო, გაუარესდა? ამ ეჭვს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ **გაეროს განვითარების პროგრამა** სულ სხვა სურათს გვთავაზობს. თვით მსოფლიო ბანკი თავის შეფასებებში არათანმიმდევრულია, კერძოდ, ბანკის გაანგარიშებით, საქართველოში მოსახლეობის სიღარიბის დონე დაახლოებით 50%-ია, მათ შორის 25% - ღატაკი. თვით საქართველოს მომსახურების სააგენტოს მიერ გავრცელებული მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 40% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ამრიგად, თუკი 2008 წლის დეკემბრისათვის, სახელმწიფო შემწეობის მისაღებად **1 636 026** ადამიანი იყო რეგისტრირებული, რომელსაც 2009 წელს 125 165 კაცი დაემატა და საერთო ჯამში **1 761 191** ადამიანი ანუ 539 256 ოჯახი შეადგინა. შეფერხდა ეკონომიკური ზრდაც. ამ ფონზე კი, მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის დირექტორი **ლუკა ბარბინე** საქართველოს მთავრობას საპატიო სიგელით აჯილდოებს სიღარიბესთან წარმატებული ბრძოლის აღსანიშნავად.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დახასიათების მნიშვნელოვანი და ობიექტური მაჩვენებელია მის განკარგულებაში არსებული რეალური ფულადი შემოსავალი. ოფიციალური მონაცემების გაკონტროლება ამ სფეროში ძალზე ნათელია, მაგრამ დასაქმებულ მუშაკთა მეტად დაბალი წილი როგორც მთლიან, ასევე აქტიურ მოსახლეობაში, აშკარად მიუთითებს ქართული სიღარიბის სიმყარეზე. რეალური ფულადი შემოსავლის ზრდა ფაქტობრივად სახელმწიფო მოხელეთა ერთ ჯგუფს შეეხო (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო, ძალოვანი სტრუქტურები, ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები...), რომელთა თვიური შემოსავალი 1000 ლარს აღემატება. სწორედ ამ ჯგუფის „დამსახურებაა“ საშუალო ხელფასის ზრდის ტენდენცია. რაც შეეხება მოსახლეობის სხვა ფენას, მისი უდიდესი ნაწილი „თვითდასაქმებულია“ ანუ თვითუზრუნველყოფაზეა გადაყვანილი (მოსახლეობის 60%), მეორე ნაწილი (800 ათასი კაცი) გარანტირებულ პენსიას იღებს და ნაკლებად რისკულ სიტუაციაში იმყოფებიან, თუმცა ეს პენსია სანახევროდ ვერ უზრუნველყოფს მათი ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებას საზრდოზე, ბინასა და ტანსაცმელზე, ასეთივე მდგომარეობაში, თუ არა უარესში, იმყოფებიან (უკვე თითქმის 25 წლის განმავლობაში) ლტოლვილები, რომელთა რაოდენობა 250-300 ათასი კაცია (ესენი უკვე შეადგენენ სიღარიბის დონის 25 %-ს) და სასოფლო „ფერმერული მეურნეობის“ დიდი ნაწილი. მიზნობრივი სოციალური დახმარება ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას, ამასთან მისი ეფექტი, პროგრამის მცირე მოცულობის გამო, უმნიშვნელოა. ამ მოსაზრების დადასტურებაა **უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში** ასეთი სახის ოჯახების რაოდენობის მატება: 2008 წელს რეესტრში დარეგისტრირებული 502.7 ათასი ოჯახი, აქედან საარსებო შემწეობას იღებდა მხოლოდ 131.2 ათასი ოჯახი, 2012 წელს უმწეო მდომარეობაში მყოფი ოჯახების რაოდენობა გაიზარდა (525.1 ათასი ერთეული), ასევე მოიმატა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა (163.2 ათასი ერთეული).

საგულისხმოა შემდეგი ინდიკატორები: აგი (ადამიანური განვითარების ინდექსი), მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, შობადობის კოეფიციენტი/1000 მოსახლეზე, სიკვდილიანობის კოეფიციენტი/1000 მოსახლეზე, თავდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი, დანახარჯი ჯანდაცვაზე, მძიმე სიღარიბეში მყოფი მოსახლეობა, დასაქმებულთა წილი მთლიან მოსახლეობაში. ყველა დასახელებულ მაჩვენებელს შორის საკმარისი კორელაციური კავშირი არსებობს, რომელსაც შეუძლია **MPI**-ის ცვლილება დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით. აღნიშნული კორელაციურიბის კავშირი შესაძლებლობას იძლევა დავამუშაოთ სიღარიბესთან ბრძოლაში შემდეგი რეკომენდაციები: 1. სახელმწიფო სოციალურ პოლიტიკაში პრიორიტეტული უნდა იყოს ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში (განათლება, ჯანდაცვა); 2. სახელმწიფომ უნდა შეამციროს დანახარჯი ქვეყნის თავდაცვაზე, რადგან მისი ზრდა იწვევს დანახარჯის შემცირებას განათლებასა და ჯანდაცვაზე; 3. აუცილებელია სწავლის საფასურის თანდათანობით შემცირება. ამასთან, ყოველ მსურველს როდი შეუძლია უმაღლესი განათლების მიღება; ჯანდაცვა სულ უფრო მეტად იღებს კომერციულ ხასიათს, რის გამოც ყველა ვერ იღებს ხარისხიან მომსახურებას ამ სფეროში, ეს კი, თავის მხრივ, სიკვდილიანობის გაზრდას იწვევს; 4. სიღარიბის დაძლევაში ასევე უმნიშვნელოვანესია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის დონის შემცირება.

ლიტერატურა:
1. Доклад о мировом развитии 2000/2001. Наступление на бедность.«Весь мир», 2001. გვ. 17;
2. Доклад о развитии человека 2010. М: «Весь мир», 2010. გვ. 161;
3. Доклад о человеческом развитии 2013. М: «Весь мир», 2013. გვ. 162;
4. http:/tavisufleba.ucoz.ru.14.09.2009;
5. http:/politforumi.com

Natia Kakhniashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

DETERMINANTS OF MULTIDIMENSIONAL POVERTY IN GEORGIA

RESUME

This article is devoted to the definition of poverty and the factors influencing it. Was conducted correlation and regression analysis to determine the degree of influence of the factors contributing to the ingress of society in a vicious circle of poverty on the main indicator of poverty in multidimensional poverty index. The analysis, conclusions were drawn and recommendations were made to overcome poverty.

ნინო ლიპარტელიანი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ანდერრაითინგი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

მსოფლიო გამოცდილებით პროდუქციის წარმოების ან მომსახურეობის ბაზარზე წარმატებული პოზიციის შენარჩუნებისათვისა და კაპიტალიზაციის გაზრდისათვის კომპანიები ხშირად მიმართავენ ფასიანი ქაღალდების ემისიას და გადიან საფონდო ბაზარზე. ეს არის წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი ნებისმიერი ბიზნესის განვითარებაში, რომელიც მოგვცემს დამატებით შემოსავლებს და გვასწავლის ახალ ინსტრუმენტებს. ფასიანი ქაღალდების გამოშვება და განთავსება ურთულესი პროცესია, კომპანიების დიდ უმრავლესობას არ ჰყავს ამ პროცესის წარმართვის სპეციალისტები, ამიტომ ისინი მიმართავენ ანდერრაითინგს.

ანდერრაითინგი (underwriting) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტირებული განთავსების ორგანიზაციაა ბაზარზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ პროფესიონალ მონაწილეს, რომელიც ანდერრაითინგს ახორციელებს, ანდერრაითერი ეწოდება. „საინვესტიციო ბანკების ფუნქციაა კერძო კომპანიებისათვის, მთავრობისათვის და სხვა ორგანიზაციებისათვის სახსრების მოზიდვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის დაფინანსების მიზნით. ამ მიზნით, საინვესტიციო ბანკები ახდენენ ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზებას. საინვესტიციო ბანკები ხშირად ახორციელებენ ანდერრაითინგს**,** ანუ ხელმოწერას ფასიან ქაღალდებზე, რომელსაც ათავსებენ ბაზარზე. ანდერრაითინგი, თავისი არსით, წარმოადგენს გარკვეული ტიპის დაზღვევას ემიტენტისათვის, რადგანაც საინვესტიციო ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას ემიტენტის ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტირებულ განთავსებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ფასიან ქაღალდებს არ იყიდის გარე ინვესტორი, საინვესტიციო ბანკი შეიძენს მათ ემიტენტისაგან წინასწარ განსაზღვრულ ან გარანტირებულ ფასად.“ [ბახტაძე, 2012. 2]

განსხვავებული ფორმულირებით თუ ემიტენტმა მიიღო დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვის გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, ეს შეუძლია ორი გზით შეძლოს: დამოუკიდებლად განახორციელოს ემისია ან გამოიყენოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები - ანდერრაითერები.

ტერმინი ანდერრაითინგი (underwriting) წარმოიშვა საზღვაო დაზღვევის ფორმირების პროცესში XVII-XVIII საუკუნეში, როდესაც ვაჭარი მესამე მხარის როლში თანხის ქვეშ (ander) აწერდა ხელს (write) და ადასტურებდა არსებული რისკების პასუხისმგებლობას. ანუ, ამ ტერმინის ქვეშ, საწყის ეტაპზე იგულისხმებოდა გემებით პროდუქციის გადაზიდვებთან დაკავშირებული რისკების მესამე პირის მიერ საკუთარ თავზე აღება.

ანდერრაითინგის ფუნქციებს პირობითად ოთხ ჯგუფად ყოფენ:

- ფასიანი ქაღალდების ემისიის მომზადება;
- ფასიანი ქაღალდების ემისიის განაწილება;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრისშემდგომი მხარდაჭერა;
- ფასიანი ქაღალდების ანალიტიკური კვლევა;

ანდერრაითერის მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის მომზადება გულისხმობს კომპანიის ყოველმხრივ შესწავლას, დაწყებული მისი კაპიტალის სტრუქტურის შეცვლისა და რეორგანიზაციიდან დამთავრებული მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხების განხილვით. ამ ეტაპზე ფასიანი ქაღალდების ანდერრაითინგი გულისხმობს ფასიანი ქაღალდების გამოშვების მოდელის შექმნას, ემიტენტის და თვით ფასიანი ქაღალდების შეფასებას.

შემდეგ ეტაპზე ხდება გამოშვების სახელმწიფო რეგისტრაცია, რის შემდეგაც ანდერრაითერი იწყებს ფასიანი ქაღალდების ემისიის განაწილებას. ფასიანი ქაღალდების შეთავაზება შესაძლოა მოხდეს კონკრეტულ ინვესტორზე ან მომხმარებელთა გაცილებით ფართო წრეზე.

ანდერრაითერის მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრისშემდგომი მხარდაჭერა გულისხმობს იმას, რომ იგი ახდენს განთავსებული ფასიანი ქაღალდების კურსის კონტროლს კაპიტალის მეორადი ბაზრის ყველა ეტაპზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უდიდესია ანდერრაითერის, როგორც სპეციალისტის როლი, რათა მან არ დაუშვას განთავსებული ფასიანი ქაღადების ღირებულების დაწევა, რაც დაკავშირებულია დიდ რისკთან.

ემიტენტის საინფორმაციო და ანალიტიკური მხარდაჭერა გულისხმობს იმას, რომ ანდერრაითერს ბაზრის კონიუქტურა და უამრავი სხვა ფაქტორი, რომლების გავლენას ახდენენ ფასიანი ქაღალდების კურსის ცვალებადობაზე მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავს.

ამრიგად ანდერრაითინგი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე წარმოადგენს მომსახურებათა კომპლექსს, რომლებსაც ასრულებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები. საქმიანობის ეს სფერო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოადგენს მაღალშემოსავლიან და პრესტიჟულ კატეგორიას, ამიტომ ასეთ მომსახურებას ანხორციელებენ მსხვილი და სანდო კომპანიები. მათი მოგებაა სპრედი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას ანდერრაითერის მიერ შეძენილი ფასიანი ქაღალდის ღირებულებასა და ბაზარზე მის გასაყიდ ფასს შორის.

ანდერრაითინგს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახორციელებს არა მხოლოდ ერთი პროფესიონალი მონაწილე, არამედ ჯგუფი ან საემისიო სინდიკატი, რომელიც შესაძლოა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა დროებითი გაერთიანებით შედგეს, ერთი კონკრეტული მიზნის განსახორციელებლად. მსოფლიო გამოცდილებით, მსხვილი ემისიის შემთხვევაში, საემისიო სინდიკატმა შესაძლოა 200 წევრიც გაერთიანოს. საემისიო სინდიკატს ხელმძღვანელობს მსხვილი კომპანია, რომელიც თავის თავზე იღებს ვალდებულებას გამოისყიდოს ემისიის დიდი ნაწილი, ასევე ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- საემისიო სინდიკატის ფორმირება და მისი წევრების საქმიანობის კოორდინირება;
- ანდერრაითინგის ხელშეკრულების მომზადება;
- ემიტენტისათვის და მესამე პირებისათვის საემისიო სინდიკატის წარდგენა;
- პირველადი წარდგენის პერიოდში განსათავსებელი ფასიანი ქაღალდების კურსის სტაბილიზაცია.

ანდერრაითინგის ხელშეკრულება ესაა შეთანხმება ემიტენტსა და საემისიო სინდიკატს შორის ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტირებულ პირველად განთავსებაზე. ხელშეკრულების მთავარი პუნქტებია: ანდერრაითინგის სახე, ფასიანი ქაღალდების გამოშვების მოცულობა და ღირებულება.

მსოფლიო გამოცდილებით ანდერრაითინგის მომსახურებას აჯგუფებენ ორ პრინციპულად განსხვავებულ ჯგუფად:

- ფასიანი ქაღალდების ანდერრაითინგი მყარი (ფიქსირებული) ვალდებულებებით, ამ შემთხვევაში ანდერრაითერი ვალდებულებას იღებს გამოისყიდოს ემიტენტისაგან ფასიანი ქაღალდების გამოშვების უდიდესი ნაწილი ან სრული გამოშვება. ამიტომ ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტირებულ განთავსებასთან დაკავშირებულ რისკებს ანდერრაითერი იღებს საკუთარ თავზე. ასეთი მაღალი რისკის გამო ფასიანი ქაღალდების ანდერრაითინგი მყარი ვალდებულებებით გაცილებით ძვირადღირებული მომსახურებაა. ასეთი სახის ანდერრაითინგს ახორციელებენ მსხვილი, სტაბილური შემოსავლის მქონე კომპანიები.
- ფასიანი ქაღალდების ანდერრაითინგი მაქსიმალური ძალისხმევით. ამ შემთხვევაში ანდერრაითერი თავის თავზე იღებს ჩადოს მაქსიმალური ძალისხმევა ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტირებულ განთავსებაში, მაგრამ არ ახორციელებს ემიტენტისაგან ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვას. აქედან გამომდინარე ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტირებულ განთავსებასთან დაკავშირებული რისკები რჩება ემიტენტს, მასვე უბრუნდება ყველა გაუყიდავი ფასიანი ქაღალდი.

ანდერრაითინგის მომსახურების განსხვავებული ფორმებია: ანდერრაითინგი „Stand by“, ანდერრაითინგი პრინციპით „ყველაფერი ან არაფერი“, მოლაპარაკებითი ანდერრაითინგი, კონკურენტული ანდერრაითინგი და ა.შ.

- ანდერრაითინგი „Stand by“, ამ დროს ანდერრაითერი კისრულობს მომდევნო განთავსებისათვის შეიძინოს ფასიანი ქაღალდების ემისიის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იყო ძველი აქციონერებისათვის და დარჩა გაუყიდავი;
- ანდერრაითინგი პრინციპით „ყველაფერი ან არაფერი“, ამ დროს ანდერრაითინგის ხელშეკრულების მოქმედება ჩერდება თუ მისთვის ხელმისაწვდომი არ არის ფასიანი ქაღალდების გამოშვების მთელი ემისიის გამოსყიდვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანდერრაითერი კისრულობს ფასიანი ქაღალდების გამოშვების მთელი ემისიის დაფარვას;
- მოლაპარაკებითი ანდერრაითინგის დროს ფასიანი ქაღალდების ემისიის საფასო პირობები (ემიტენტის მიერ გამოშვებული აქციის ღირებულება, სპრედი და ა.შ.) დგინდება ემიტენტსა და საემისიო სინდიკატს შორის მოლაპარაკებით;
- კონკურენტული ანდერრაითინგის დროს ფასიანი ქაღალდების ემისიას კონკურენციის პირობების გათვალისწინებით ამზადებს რამდენიმე ანდერრაითერი, თითოეული აყალიბებს საკუთარ საფასო პირობებს და ა.შ. ყველაფერი ხდება ანდერრაითერების ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე. შემდეგ ემიტენტი კონკურსის საფუძველზე ირჩევს მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ ანდერრაითერს.

აშშ-ში კანონი ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების შესახებ ჩამოყალიბდა XX საუკუნის 30-იან წლებში. ეს იყო კანონი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ (The securities act of 1933 და The Trusth in Securitiesliaw), რომელიც გვაძლევს ანდერრაითინგის განმარტებას. ამას მოჰყვა კანონი 1940 წელს „საივესტიციო კონსულტანტების შესახებ“ და „საინვესტიციო კომპანიების შესახებ“. ქვეყანაში ფუნქციონირებს ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომისია (SEC), რომელიც უზრუნველყოფს საფონდო ბაზრის სტაბილურობას და ინვესტორების დაცვას. ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის მუშაობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს „ფასიანი ქაღალდების დილერთა ნაციონალური ასოციაცია“ (National Association of Securities Dealers), Securities Indusrty Association, Put and Call Brokers and Dealers Association და ა.შ. ამრიგად ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები ამერიკული კანონმდებლობით მკაცრად კონტროლირებადია. მსგავსი სიტუაციაა ევროკავშირის საფონდო ბაზრებზე, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეების საქმიანობა საკანონმდებლო აქტებითა და მოთხოვნებითაა განპირობებული. ევროკავშირის მარეგულირებელ ორგანოებს უფლება აქვთ მოახდინონ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონგარეშე ნებისმიერი გარიგების ანულირება და დიდი ფულადი ჯარიმის დაკისრება. არსებული კანონმდებლობა ფინანსური სიმყარისათვის ანდერრაითერს სთხოვს ჰქონდეს მნიშვნელოვანი მოცულობის საკუთარი ფინანსური სახსრები.

პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებმა გამოიყენეს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების არსებული გამოცდილება და ამ პროცესებთან გაცნობა შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებითა და ანდერრაითინგის კლუბების შექმნით დაიწყეს, რომელთა მთავარი მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი კომპანიის გაყვანა საფონდო ბაზარზე, შეიმუშავეს ანდერრაითინგის მეთოდოლოგია, სტანდარტები და მომსახურების პირობები ასახეს ანდერრაითინგის ხელშეკრულებაში, რადგან საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობა ზრდიდა ემიტენტების რისკს და არყევდა ანდერრაითერების საქმიან ავტორიტეტს.

ქართულ სინამდვილეში ფასიანი ქაღალდების ბაზარს არეგულირებს „საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა შორის სახელდებიან: „ინვესტორი, ემიტენტი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე და აუდიტორი. კანონი განმარტავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს, ესენია: საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ანგარიშვალდებული საწარმო, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი (საბროკერო კომპანია ან სხვა შუამავალი, რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესებით)“. როგორც ვხედავთ, ქართულ კანონმდებლობაში ანდერრაითერის ადგილი ნამდვილად არის.

ანდერრაითინგი (underwriting), ფასიანი ქაღალდების გამოშვების გარანტირებული განთავსების ორგანიზაცია ბაზარზე უნდა განხორციელდეს მკაცრად განსაზღვრულ საკანონმდებლო ჩარჩოებში. ამისათვის საჭიროა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული სტანდარტები და რეკომენდაციები. მართალია ანდერრაითინგი ფასიანი ქაღალდების ემისიის პროცესის ნაწილია და ჩვენ გვაქვს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, მუშაობა საქართველოში ანდერრაითინგის სტანდარტების შემუშავების მიმართულებით უნდა დაიწყოს. ეს უთუოდ შეუწყობს ხელს ქვეყანაში საფონდო ბირჟის მუშაობის გაუმჯობესებას. უნდა გამოვიყენოთ მსოფლიო გამოცდილება და ის რეალური შედეგები, რასაც ჩვენი პოზიციების მქონე ქვეყნებმა მიაღწიეს.

ლიტერატურა:
1. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. თბ. 1998 წლის 24 დეკემბერი. #1745 რს.
2. ბახტაძე ლ., ბარბაქაძე ხ., ყანდაშვილი თ., „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“. თბილისი. 2012. გვ. 40.
3. American Institute For Chartered Property Casualty Underwriters. „Fundamentals of Underwriting“. 2012. Pp. 1,3-1,5 (გადამოწმებულია 30.03.2017)
4. Katrina Ellis, Roni Michaely, Maureen Ohara. „When the Underwriter the Market Maker: An Examination of Trading in the IPO Aftermarket.“ June 2012. Forthcoming in Jurnal of Finance pp 18-24 (გადამოწმებულია 27.03.2017)
5. Ayako Yasuda, Department of Economics. Stanford Univesrsity. „Relationship Capital and Competition in the Corporate Securities Underwriting Market.“ January 2010. Pp 40-43. (გადამოწმებულია 21.03.2017)
6. Ejuity underwriting and associated services. An market study. January 2011. Pp 63-86.(გადამოწმებულია 16.03.2017)
7. Alan David Chambers. „How well did the stock market treat industry? Evidence from initial public offerings on the London Stock Exchange over the twentieth century.“ October. 2015. Pp 131-137. (გადამოწმებულია 30.03.2017)

Nino Liparteliani
Gori State Teaching University

UNDERWRITING TO THE STOCKS MARKET
RESUME

The world experience to maintain a successful position on the production or service market and for the increase of their capitalization, the companies often use the emission of securities and go through the stock market. It is the step forward that is important in any business development, which gives us the extra incomes and teaches new instruments. Producing and placement of securities is a very difficult process. The majority of companies don’t have specialists to conduct this process, so they ask for underwriting. Underwriting on the market is done not only by one professional participant but also a group or semi- syndicate. The work should start in Georgia to develop the underwriting standards that will promote the improvement of the stock market in the country. We should use the world experience and the real results that the countries with our position have reached.

The termin underwriting arose in the process of marine insurance in the XVII-XVIII centuries, when the trader signed (ander) the amount of money in the roles of third parties and confirmed the risks of existing risks. That is, in this term at the initial stage meant the risk of sending ships to a third party.

In Georgia, the securities market is regulated by the Law of Georgia on the Securities Market, in which securities market participants are called: "Investor, Issuer, Securities Regulator and Auditor. The law on the securities market, regulated participants, such as the stock exchange, the central depository, the securities registrar, the accountable company, the securities market of the intermediary (brokerage company or other intermediary, whose activities are controlled by the National Bank of the established rules) ", as I see it Georgian legislation place anderraiter actually eats.

Underwriting, the issuer guarantees the issuance of securities in the market in strictly defined legislative frameworks for which standards and recommendations developed by the National Bank of Georgia are required. While underwriting is part of the process of issuing securities, and we have a law on the securities market, but we believe that work should begin in Georgia when developing standards for downgrading lending, this will certainly help improve the performance of the stock market in the country. We must use the world's experience.

თამარ მაკასარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოში სასტუმრო ბიზნესის მართვის ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების დანერგვა-განვითარების ტენდენციები

XXI საუკუნის დასაწყისი საქართველოში ხასიათდება სასტუმრო ბიზნესის ინტენსიური განვითარებით. ბოლო პერიოდში საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად განმტკიცდა საქმიანი და კულტურული კავშირები ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიო თანამეგობრობას შორის, რაც უთუოდ დაეტყო უცხოელ სტუმართა რაოდენობას ჩვენს ქვეყანაში. 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ 6,4 მილიონს გადააჭარბა (2017 წლის იანვარი - ოქტომბრის თვის მონაცემებით, საქართველოს 6 430 824 საერთაშორისო მოგზაური ეწვია), ამასთან, იმ უცხოელი მოგზაურების, ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 3 042 907 შეადგინა.[1] შესაბამისად, გაჩნდა მათი განთავსების აუცილებლობა მაღალი კლასის სასტუმროებში.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობის მიმართულება 2016 წლიდან დაემატა სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“. პროგრამა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის შესაძლებელს ხდის განავითარონ სასტუმრო ბიზნესი, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას. ახალი კომპონენტი რეგიონში სასტუმრო ბიზნესის განხორციელების სურვილის მქონე მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას. გარდა ამისა, პროგრამის მეშვეობით აქტიურად ხდება საქართველოში წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვის სტიმულირება, ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსების გზით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის “აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროექტის მიხედვით, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით დაინტერესებულ მეწარმეს ეძლევა შესაძლებლობა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში თბილისისა და ბათუმის გარდა: ააშენოს ახალი სასტუმრო; მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოება/გადაიარაღება; ასევე გააფორმოს ფრენჩაიზინგის ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე.[2]

თანამედროვე სასტუმრო სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსია, რომელიც რთულ სამეურნეო და მმართველობით ფუნქციებს ასრულებს, უზრუნველყოფს წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მაღალ დონეს, ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებასა და გავრცელებას. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფამ, ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების განვითარებამ, შიდა და საერთაშორისო კონკურენციამ, მოგზაურობის და დასვენების ახალმა შესაძლებლობებმა შეცვალა სასტუმრო ბიზნესის სტრატეგიები და წარმოაჩინა მრავალი ახალი მიდგომა სასტუმროს მართვის თვალსაზრისით. აქტუალური გახდა სერიოზული ევოლუციური ცვლილებები არა მხოლოდ სასტუმროს მართვის პრინციპებისა და მეთოდებისთვის, არამედ თვით სასტუმრო პროდუქტისთვისაც: იგი უნდა იყოს მაღალტექნოლოგიური და მომხმარებელზე სრულად ორიენტირებული.

ჩვენი ქვეყნის ტურისტული ბაზრით დაინტერესდნენ სასტუმროთა ისეთი მძლავრი ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორებიცაა, მარიოტი, რედისონი, ჰილტონი, ჰაიატი, კემპინსკი და სხვ. პარალელურად იზრდება სასტუმრო ინდუსტრიაში მცირე საოჯახო ტიპის სასტუმროების წილიც. მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით იქმნება თანამედროვე კონცეფციები, იხსნება ახალი სასტუმროები. ყოველწლიურად იზრდება სასტუმრო პროდუქტის მომხმარებელთა მოთხოვნა და რაც უფრო მაღალია მომსახურების კულტურა და ხარისხი, მით უფრო მიმზიდველი და ეკონომიკურად წარმატებულია სასტუმრო. მაღალი კატეგორიის თანამედროვე სასტუმრო კომპლექსები სთავაზობენ მომხმარებელს დამატებითი მომსახურების იმდენად ფართო სპექტრს, რომ მათ შეარქვეს „ქალაქი დროებითი ბინადრობის ადგილას“, ვინაიდან აქ თითქმის ყველაფერია - კაფე, რესტორანი, ბუფეტი, სხვადასხვა ბარები (ლუდის, ღვინის, ღამის, სპორტული, ფიტო-ბარი, კოქტეილ-ბარი, დისკო-ბარი, კაზინოს ბარი), სასურსათო და სუვენირების მაღაზიები, სავაჭრო, სათამაშო ავტომატები, ვიდეოთამაშები, დისკოთეკა, კაზინო, ღამის კლუბი, სილამაზის სალონი,

[1] https://gnta.ge/
[2] http://www.economy.ge/

სამედიცინო კაბინეტი, საბილიარდე, კეგელბანი, ლიფტები, შემნახველი საკანი, სეიფი ადმინისტრატორთან, სეიფი ნომერში, ბანკის განყოფილება, ვალუტის გაცვლის პუნქტი, საბილეთო სალარო, სადაც შეიძლება ბილეთების შეკვეთა ყველა სახის ტრანსპორტზე - საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო (რკინიგზის, ავტობუსის), ავრომობილების გაქირავების პუნქტი, გარაჟი, საკონფერენციო და საკონცერტო, საგამოფენო და სადემონსტრაციო, სპორტული, სატრენაჟორო დარბაზები, ღია და დახურული აუზები, ბიზნეს ცენტრები, ტურისტული ბიურო და მრავალი სხვა. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე ტენდენცია მომსახურების სპექტრის გაფართოებისკენაა მიმართული.

დღეს სასტუმრო ბიზნესისათვის განსაკუთრებული სიმწვავით დგას მართვის ეფექტიანობის ამაღლების საკითხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებასთან. სწორედ სასტუმრო ბიზნესის მართვის ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების დანერგვა განაპირობებს მისი ეფექტურობის ამაღლებას.

მას შემდეგ, რაც სასტუმრო დანერგავს ინოვაციურ ტექნოლოგიურ პროდუქტებს და სერვისებს, გაზრდის მომსახურების ხარისხს და შესთავაზებს მომხმარებელს გადიდებულ კომფორტს, ამ სასტუმროსთვის მაღალი ხარისხის სერვისი სტანდარტად იქცევა. მეტიც, მაღალი ხარისხის სერვისი სტანდარტი გახდება არა მარტო სასტუმროს მენეჯმენტისა და დაქირავებული თანამშრომლებისთვის, არამედ კონკურენტი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დაინახავენ, რომ მოცემული სასტუმრო, ახალი ტექნოლოგიური პროდუქტების დანერგვით, უფრო მეტ სტუმარს მოიზიდავს, ასევე გადაწყვეტენ, რომ ამ საფუძველზე გაზრდილი სერვისის ხარისხი მათაც მისცემს ბაზარზე ეფექტურად ბრძოლის საშუალებას. თუ სასტუმრო გამუდმებით იქნება მოწოდებული დანერგოს ახალ ტექნოლოგიური პროდუქტები და სერვისები, ეს მისი ბრენდის შემადგენელი ელემენტი გახდება და მომავალში ის გამორჩეული იქნება სხვა მსგავსი კომპანიებისგან სწორედ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სერვისის ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებით.

სასტუმრო ბიზნესის მართვის ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების დანერგვა საშუალებას იძლევა: გაიზარდოს მართვის სისტემის ეფექტურობა; გაიზარდოს სტუმართა და პირადი ქონების, ასევე სასტუმროს ქონების უსაფრთხოება; გაფართოვდეს სასტუმროს კლიენტთა ბაზა და გადაწყდეს რიგი მარკეტინგული ამოცანებისა; გაიზარდოს სასტუმროს მხრივ დამატებითი მომსახურების შეთავაზების გაფართოებასთან დაკავშირებული შემოსავლები.

ცხადია, რომ ყველა ჩამოთვლილი ამოცანა მოცემული მომენტისათვის აქტუალურია ნებისმიერი სასტუმროსათვის მიუხედავად ნომრების რაოდენობისა, მისი კატეგორიისა და ადგილმდებარეობისა. თუ სასტუმროს ნომრები და დამხმარე სათავსოები აღჭურვილი იქნება ელექტრონული საკეტებით, კომპიუტერის საშუალებით შეიძლება მათი გაერთიანება ერთ ქსელში, რომელიც ასევე განახორციელებს რიგ დამატებით ფუნქციას: ბლოკირება, ერთი ან რამდენიმე ნომრის გახსნა ცენტრალური პულტიდან მიღებული ბრძანების საპასუხოდ; განგაშის სიგნალის მიღება ნომერში არასანქციონირებული შეღწევის მცდელობისას; ინფორმაციის მიღება კარების სტატუსის შესახებ (ღიაა/დაკეტილია როგორი გასაღებით); ინფორმაციის მიღება ამის შესახებ, არის თუ არა ნომერში სტუმარი. თუმცა ასეთი ფუნქცია ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალულია, ვინაიდან სტუმრის პირად ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს.

სასტუმრო ბიზნესისთვის ტრადიციულად მიჩნეული მომსახურების სერვისების გარდა ინოვაციური ტექნოლოგიები შესაძლებლობას ქმნიან დაინერგოს ისეთი პროდუქტები, რომლებიც გააკონტროლებენ ენერგიის ხარჯვას, გარემოს დაბინძურების ხარისხს, ნარჩენების მართვას. შესაბამისად, დაზოგავენ ენერგორესურსებს, მოიტანენ ფინანსურ ეკონომიას, შეამცირებენ გარემოზე ზემოქმედების დონეს. შედეგად კი, რადგან სასტუმრო უზრუნველყოფს ინოვაციური სერვისების დანერგვით გარემოს დაცვის ხარისხის ამაღლებას, მისი ამგვარი მოქმედება სასტუმროს ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახდება.

ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების დანერეგვა საშუალებას იძლევა მიმწოდებელთან მჭიდრო საინფორმაციო-საალრიცხვო ურთიერთობები დამყარდეს და განხორციელდეს სასტუმროსთვის საჭირო სხვადასხვა სერვისისა და პროდუქტის მიწოდების უწყვეტობა, რაც სტუმრისთვის მიწოდებული სერვისის უწყვეტობას და მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. ამგვარი ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა წარმოაჩენს სასტუმროს, როგორც საიმედო პარტნიორს მიმწოდებელთან ურთიერთობაში და წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას იმისთვის, რომ სასტუმროს და მიმწოდებელს შორის ჩამოყალიბდეს გრძელვადიანი ურთიერთობები.

სასტუმროს მაღალტექნოლოგიური სერვისით კმაყოფილი მომხმარებელი გაავრცელებს ინფორმაციას ამ ობიექტში არსებული მომსახურების დონის შესახებ. ინფორმაცია გავრცელდება როგორც პირადი კონტაქტების, ისე სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით. შედეგად კი სასტუმრო დაიმკვიდრებს ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული, გარემოზე მზრუნველი და ხარისხის მაღალი სტანდარტების მიხედვით მომუშავე ორგანიზაციის სახელს, რაც დადებითად აისახება მისი

სტუმრების ნაკადზე. მომხმარებლის კმაყოფილება გადაიზრდება სტაბილურ კლიენტურაში, რაც სასტუმროს შემოსავლებს უფრო მყარს და პროგნოზირებადს გახდის. სასტუმროს ცნობადობის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ დადებით შედეგს წარმოადგენს სასტუმროს დატვირთვის გადიდება, ახალი ტექნოლოგიური პროდუქტები არა მარტო გაზრდის მისი, როგორც მაღალი ხარისხის სერვისის მქონე ორგანიზაციის, იმიჯს, არამედ საშუალებას მისცემს მომხმარებლებს - ამ ტექნოლოგიების გამოყენებით დაგეგმონ ვიზიტები სასტუმროში მთელი წლის განმავლობაში.

სასტუმროს მენეჯმენტისა და მართვის სისტემები მნიშვნელოვნად გაამარტივებს და გააუმჯობესებს სასტუმროს ბიზნესის მართვას, თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენების პირობებში, სულ უფრო მეტი მომხმარებელი სარგებლობს ონლაინ სერვისებითა და გადახდებით. ონლაინ დისტრიბუცია სასტუმროებისათვის გაყიდვების ყველაზე პრაქტიკულ და სანდო წყაროს წარმოადგენს.[1] ეს მეთოდი გულისხმობს ნომრების ონლაინ დაჯავშნასა და გადახდას, რაც სასტუმროებს შემოსავლის მიღების საშუალებას აძლევს. ონლაინ გაყიდვების დროს, პოტენციური სტუმრისათვის განხორციელდება თავისუფალი ადგილებისა და ფასების ობიექტური მიწოდება, შეკვეთის ავტომატური დადასტურება. გარდა ამისა, ინოვაციური ტექნოლოგიური ინსტრუმენტის საშუალებით აკუმულირდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბიზნეს–ორგანიზაციის თითოეული ასპექტის შესახებ, დაეხმარება მმართველ რგოლს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში, რაც მაქსიმალურად შეამცირებს დამატებით ხარჯებს, გაზრდის მომსახურების ხარისხს, მოგვცემს ინვენტარიზაციის სწორ შედეგს და რაც მთავარია, გაზრდის სტუმრის კმაყოფილების დონეს.

სასტუმრო კომპლექსის მართვის კომპიუტერული სისტემები დიდი სასტუმროების მუშაობის კოორდინირების საშუალებას იძლევა დროისა და ძალების განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე.[2] სისტემის დახმარებით შესაძლებელი ხდება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია, ქაღალდის დოკუმენტბრუნვის შემცირება; კონტროლის გაძლიერება სამსახურებისა და პერსონალის საქმიანობაზე; სტუმართა მომსახურების ხარისხის ამაღლება; საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაცია; სტატისტიკური და ანალიტიკური ფუნქციები.

მიუხედავად ამისა, საქართველოში სასტუმრო ბიზნესის წარმომადგენელთა უმეტესობას არ შესწევს ძალა დამოუკიდებლად განახორციელოს ასეთი მსხვილი პროექტი ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში და ამით გაზარდოს სტუმრის მომსახურების ხარისხი, ამდენად თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტური დანერგვისთვის ოპტიმალურ გადაწყვეტილება იქნება გამსხვილების, გაერთიანებისა და ერთიანი ქსელების ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა, რაც საჭირო ფინანსური რესურსების შედარებით მსუბუქად მოკრების, ინვესტირების რისკების შემცირებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში სიახლეების სწრაფად გავრცელების პირობას წარმოადგენს. კლიენტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ მრავალი კომპანიის რესურსების ერთობლივად გამოყენებით გახდება შესაძლებელი.

ჩვენი აზრით, დღეისათვის, განსაკუთრებით საშუალო, მცირე და საოჯახო ტიპის სასტუმრო ბიზნესისათვის, აქტუალური ხდება მობილური პროგრამული პროდუქტის საშუალებით ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების შეთავაზება. კერძოდ კი, ანდროიდის პლატფორმაზე მობილური აპლიკაციის რეალიზაცია, რაც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს სასურველ რეჟიმში ისარგებლოს სასტუმროს მომსახურებით, სასტუმროების პოტენციურ სტუმრებს შეეძლებათ ონლაინ რეჟიმში შეამოწმონ სასურველ სასტუმროში თავისუფალი ნომრები. ასევე, შეეძლებათ ონლაინ დაჯავშნა პლასტიკური ბარათით და გადახდა როგორც პირდაპირი გადახდის, ასევე ადგილზე, მოგვიანებითი გადახდის პირობით. ამჟამად ვმუშაობთ სწორედ ამ პროექტის რეალიზაციაზე და საცდელი ტესტირების რეჟიმში გამოცდას გადის პროტოტიპი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს შიდა ქართლის რეგიონის მასშტაბით მოიძიოს, შეაფასოს, დაჯავშნოს და ისარგებლოს მისთვის მისაღები და საინტერესო სასტუმრო სერვისით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - http://www.economy.ge/ge/minister/ministris-moadgile-325/mewarmeobis-ganvitarebis-saagento, http://www.economy.ge/ge/economic-data/rankings-of-georgia
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – https://gnta.ge/
3. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო – http://www.gita.gov.ge
4. სასტუმროს პროგრამა – www.fina.ge/hotel
5. სასტუმროს პროგრამა – http://www.odissia.ge/

[1] http://www.odissia.ge/

[2] www.fina.ge/hotel

Tamar Makasarashvili
Gori State Teaching University

INTRODUCTION AND DEVELOPMENT TENDENCIES OF THE INNOVATIVE TECHNOLOGICAL SERVICES OF THE HOTEL BUSINESS MANAGEMENT IN GEORGIA

RESUME

The hotel industry is on a high level of competition. The modern hotel - is a socio-economic complex that performs difficult economic and managerial functions. Serious evolutionary changes have undergone not only the principles of hotel management and methods, but as well as the hotel product itself. It became high technological and fully oriented on the customer. As a result of the political and economic changes recently implemented in Georgia, business and cultural ties have been greatly strengthened between our country and the world commonwealth, which definitely had an effect on the number of foreign visitors in our country. It became necessary to place them in high-class hotels, which caused increasing of the investments in hotel business.

Innovative technologies for hotel business make it possible to introduce products that control energy, environmental pollution and waste management. Accordingly, they will save energy, bring financial saving, reduce the level of environmental impact. As a result, since the hotel provides innovative services to increase the quality of the environment, this kind of action will become one of the hotel's visit cards.

The introduction of technological innovations demonstrates the hotel as a reliable partner in the relationship with the supplier and is one of the conditions for establishing long-term relationships between the hotel and the supplier.

The new technological products will increase the hotel as an organization with high quality service, enabling users to plan their visits in the hotel throughout the year with these technologies.

Computer systems of complex hotel management gives the opportunity to coordinate the work of the large hotels without special expenses of time and forces. With the help of the system the following tasks can be resolved: optimizing business processes, reducing paper turnover; strengthening the control on the activities of the services and customers; raising the quality of the guest service; optimizing operating costs; statistical and analytical functions.

At present, most business representatives in Georgia do not have the power to carry out such big projects independently innovative technologies and thus enhance guest service quality. Optimal decision-making for effective technological advances will be the desire to formulate a united, integrated and united network. The satisfaction of the client's needs can only be accomplished with the use of multiple company resources.

Today, especially for medium, small and family type hotel business, it is important to offer innovative technological services through mobile software products, realization of the reservation task through mobile software product becomes actually, namely realization of the mobile application on the android platform, which will enable users to take advantage of the hotel service in the preferable mode.

ლეილა მამულაშვილი, მაკა სოსანიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

განათლება და ინოვაცია - ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის

ეკონომიკური ზრდა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დადებითად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის ზრდაზე, ხშირად დაკავშირებულია მეცნიერების და ტექნიკის განვითარებასთან, რომელიც თავის მხრივ ირიბად ან პირდაპირ აუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებს. მეცნიერების და ტექნიკის განვითარება, როგორც ინტელექტუალური შრომის შედეგი, დამოკიდებულია მომუშავეთა კვალიფიკაციაზე, განათლების დონეზე და ინოვაციური აზროვნების უნარზე. ინოვაციებს გააჩნია შრომის მოტივაციის ამაღლების თვისება, რადგან ნოვატორული საქმიანობის წახალისება ზრდის მომუშავეთა საქმიანობის ეფექტურობას და იმავდროულად ამაღლებს ცხოვრების ხარისხს. ტერმინი „ინოვაცია“ ყველაზე ზუსტად ი. შუმპეტერმა მოგვცა, „ინოვაცია არის კომერციალიზებული გამოგონება“, ინოვაცია ინოვაციური პროცესების საბოლოო შედეგია. შუმპეტერის თანახმად, სწორედ ინოვაციური აქტივობის უნარი არის ქვეყნების და

ტერიტორიების განმსაზღვრელი კონკურენტული უპირატესობა, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლებას.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლებისათვის მრავალი მეცნიერის აზრით, მთავარი რესურსი ხდება ადამიანური კაპიტალი. ადამიანურ კაპიტალზე და მის კონცეფციაზე სხვადასხვა მეცნიერების და პოლიტიკოსების, სახელმწიფოთა და საზოგადოებრივ მოძრაობათა ლიდერების შეხედულების გამოკვლევა მოწმობს, რომ ადამიანური კაპიტალი არის ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი რესურსი, განვითარებული ქვეყნების ეროვნული სიმდიდრე, ბიზნეს-სტრუქტურების კონკურეტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი. ადამიანური კაპიტალის დონესა და საწარმოთა ეფექტიანობას შორის კავშირის გაცნობიერებამ გამოიწვია (ჯერ იაპონურ, შემდეგ ევროპულ და ამერიკულ საწარმოებში) შრომის კონცეფციის ფაქტორის შეცვლა ადამიანური კაპიტალის ფაქტორით. გლობალიზაციის პროცესი კი თავის მხრივ ხასიათდება სახელმწიფოების, საზოგადოებების, ინსტიტუტების, ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგავლენის გაძლიერებით ინტეგრაციის პროცესების დაჩქარების და გლობალური ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მეშვეობით.

მაიკლ პორტერის კონცეფციის თანახმად, ახალი ტექნოლოგიური წყობის ფორმირებისას კრიზისების ძირითადი მიზეზი არის საწარმოო ძალების სრულყოფის აუცილებლობაზე დაგვიანებული რეაქცია, ხოლო ქვეყნები, რომლებმაც პირველებმა შეძლეს ამის გაცნობიერება, გახდნენ მსოფლიოში წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნები. ნოვატორობა შეიძლება გამოიხატოს პროდუქტის ახალ კონსტრუქციაში, ახალ საწარმოო პროცესში, მარკეტინგისადმი ახალ მიდგომაში ან კადრების მომზადების ახალ მეთოდში. ნოვატორობა ყოველთვის გულისხმობს ინვესტიციების განხორციელებას მუშახელის უნარ-ჩვევების და ცოდნის შეძენაში, ასევე მატერიალურ აქტივებსა და ფირმის რეპუტაციაში.

ადამიანურ კაპიტალში არასაკმარისი დაბანდებების შედეგად მსოფლიო რეიტინგებში საქართველო იმყოფება ჩამორჩენილ ეკონომიკათა შორის ცხოვრების დონის და ხარისხის მრავალი მაჩვენებლის მიხედვით, მაგალითად მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობით, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია. იგი წარმოადგენს ქვეყნის მეცნიერებისა და განათლების, მედიცინის, კულტურის, ხელოვნების, თავდაცვისუნარიანობის და შიდა უსაფრთხოების დაფინანსების წყაროს. ის ასევე აჩვენებს მოსახლეობის, სახელმწიფოს ხარჯების და შემოსავლების დონეს. აქედან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს დამოკიდებულების არსებობა ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებსა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს შორის.

ამგვარად, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლებისათვის საჭიროა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება ინოვაციური აქტივობის წახალისების საშუალებით, როგორც ცალკეული საწარმოს ეფექტიანობის ასამაღლებლად, ასევე მთლიანად საზოგადოების ცხოვრების ხარისხის სტანდარტების ამაღლების მიზნით. ინოვაციური აქტივობის მნიშვნელოვანი სტიმულია ადამიანური კაპიტალის განათლების დონის ზრდა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნები მსოფლიო ლიდერებად რჩებიან სწორედ ადამიანური კაპიტალის სწრაფი ფორმირების ხარჯზე ცხოვრების ხარისხის ამაღლებისადმი სისტემური მიდგომის წყალობით. XXI საუკუნეში მთავარი კონკურენტული უპირატესობის, ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციისათვის საჭიროა ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვება განათლების დონის ამაღლების გზით.

განათლების დონის ამაღლებიდან უკუგება შეიძლება იყოს როგორც ფულადი (მაგალითად, ინდივიდის შემოსავლების ზრდა, საწარმოს მოგების ზრდა, ქვეყნის გარკვეული ტერიტორიის ეკონომიკური ზრდა), ისე არაფულადიც - სწავლის დროს ადამიანის ესთეტიკური წარმოდგენების განვითარება, განათლების პროცესში ურთიერთობების წრის გაფართოება, დადებითი ინფორმაცია საწარმოს შესახებ, ერის მორალური და ზნეობრივი პრინციპების ფორმირება). ადამიანური კაპიტალის, განათლებაში ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მეთოდია ხელფასის დონის ზრდა, რომელიც ზრდის ცხოვრების ხარისხს და ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის ამაღლებას. განათლებაში ინვესტირების ხარჯები იყოფა პირდაპირ (მაგალითად, სწავლის, სახელმძღვანელოების ღირებულება და ა.შ.) და ალტერნატიულ ხარჯებად (ხელფასის პოტენციური სიდიდე, რომელიც შეიძლება მიიღოს მოსწავლემ, თუ სწავლას ამჯობინა მუშაობა). განათლების დონის ამაღლება ხელს უწყობს შემოსავლის დონის ზრდას, ასევე საზოგადოებაში გროვდება ინტელექტუალური კაპიტალი, ყალიბდება პროფესიონალთა საზოგადოება.

ინტელექტუალური კაპიტალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თანამედროვე საზოგადოების სიმდიდრის შემქმნელი ფაქტორი. მიღებული უნარ-ჩვევები და ცოდნა-გამოცდილება მნიშვნელოვანწილად არის ინვესტირების პროდუქტი, რომელიც ინვესტიციების სხვა სახეებთან ერთად

ქმნის განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიურ უპირატესობას. განათლების სფეროში ინვესტიციები ხორციელდება სამ სხვადასხვა დონეზე:

1. საბიუჯეტო დაფინანსება - მაკროდონეზე;
2. საწარმოთა ინვესტიციები - მეზოდონეზე;
3. კერძო პირების - მიკროდონეზე.

ა. მასლოუს მიხედვით, განათლების სფეროს განვითარებისას სახელმწიფომ შეიძლება აამაღლოს მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხი ისეთი მოთხოვნილებების ფორმირების გზით, როგორიცაა ესთეტიკური, შემეცნებითი, პატივისცემის და თვითგამოხატვის მოთხოვნილება.

განათლების ამაღლების გარდა სტიმული უნდა მიეცეს არსებულ ადამიანურ პოტენციალს მაღალი ტექნოლოგიების შექმნისა და რეალიზაციისკენ. თანამედროვე პირობებში მხოლოდ კონკურენტუნარიან პიროვნებას შეუძლია გადაწყვიტოს კონკრეტული ადამიანის და მთლიანად საზოგადოების წინაშე მდგარი რთული პრობლემები. სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეს მოეთხოვება მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს პირადი ცოდნა და უნარი არასტანდარტულ სიტუაციებში, აზროვნების კრეატულობა, ინიციატორობა.

მდგრადი განვითარების კონცეფცია გულისხმობს, რომ ადამიანი უნდა მონაწილეობდეს იმ პროცესებში, რომლებიც აყალიბებს მისი სასიცოცხლო ფუნქციების სფეროს, ხელს უნდა უწყობდეს გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზაციაში, აკონტროლებდეს მათ შესრულებას. სახელისუფლებო წრეების ყველაზე შორსმჭვრეტელი წარმომადგენლები არ შეიძლება არ ხვდებოდნენ, რომ ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური წინსვლა შეუძლებელია მომზადებული სპეციალისტების გარეშე, სადაც მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ადამიანის ეკონომიკური ცხოვრების ხარისხი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მეთაურის ხ. სომავიას აზრით შრომის მსოფლიო თანამედროვე ბაზარზე შეიქმნა სერიოზული პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდათა უმუშევრობის დონესთან, რომელიც ორ-სამჯერ აღემატება უმუშევართა რიცხვს ზრდასრულ მოსახლეობაში. ეს გარემოება მოწმობს ეკონომიკური ცხოვრების ხარისხის შეუსაბამობაზე, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს მუშაობის სხვადასხვა ასპექტებით შრომისუნარიანი მოსახლეობის დაუკმაყოფილებლობაში. მომუშავეთა უკმაყოფილება იწვევს შრომისადმი და მისი წარმადობისადმი დაბალ მოტივაციას, როცა ინდივიდი პირველ რიგში ზრუნავს პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ასამაღლებლად საჭიროა მისი შესაბამისობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნილებებთან, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლების გზით, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში უმუშევრობის მაჩვენებლების და სოციალური დაძაბულობის დაქვეითებას. ეკონომიკაში განათლება არის საზოგადოების პირველხარისხოვანი ღირებულება, რომლის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა მეცნიერებაზე, განათლებაზე ხარჯების სტაბილური ზრდა, ხელისუფლების ადგილობრივი, რეგიონული სტრუქტურების მხრიდან ინვესტირება ცოდნის სფეროსა და წარმოებაში. განათლებული ინდივიდები პირველები ითვისებენ ახალ პროდუქტს და ტექნოლოგიებს და იყენებენ მათ თავის საწარმოო და სამომხმარებლო პრაქტიკაში. შედეგად მოგებაში არიან როგორც ისინი, ისე საზოგადოება მთლიანად, რადგან მცირდება ინტერვალი ინოვაციების გაჩენიდან მათ მასიურ გამოყენებამდე.

ამგვარად, პოსტინდუსტრიული საზოგადოების შრომისნაყოფიერების, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების ძირითადი ინსტრუმენტი არის ინტელექტუალური კაპიტალის გაზრდა (კრეატიული, ინოვაციურად მოაზროვნე პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებაში გაჩენილი პრობლემების გადაწყვეტის არასტანდარტული ხერხების შემოთავაზება).

საქართველო კვლავ რჩება ქვეყნად, სადაც დღემდე ვერ აცნობიერებენ, რომ განათლება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკისა და თუნდაც სოციალური განვითარებისთვის. თუ უკუგების თვალსაზრისით მივუდგებით, განათლებაზე პრიორიტეტის გაკეთებას ქვეყნისთვის გაცილებით დიდი უკუგება შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვას ან სუბსიდირების საკმაოდ გავრცელებულ პროგრამებს ქვეყანაში. თუმცა იმის გამო, რომ ეს ხარჯი ეფექტს საკმაოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ იძლევა, მთავრობები ხშირად არჩევანს უფრო პოპულისტური მოკლევადიანი ეფექტის მქონე და მალე ხელშესახებ პრიორიტეტებზე აკეთებენ.

თუ რამდენად გააზრებულია განათლების მნიშვნელობა ქვეყანაში, წარმოდგენას ამაზე საბიუჯეტო ხარჯებიც იძლევა. დღეს განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში 3,2 პროცენტია, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად განვითარებული ქვეყნები მშპ-ს მინიმუმ 4 პროცენტს ხარჯავენ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სტატისტიკის თანახმად, განათლების სფეროში დასაქმებულთა ხელფასები, ყველა სხვა სფეროს საშუალო ხელფასთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალია, რაც უდავოდ აისახება განათლების ხარისხზე.

აუცილებელია მნიშვნელოვანი და ძირეული ღონისძიებების გატარება, რათა განათლების დონემ აიწიოს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის. მთავრობამ უნდა გაატაროს განათლების მნიშვნელოვანი რეფორმები. აუცილებელია ადამიანმა ბავშვობიდანვე ისწავლოს ეკონომიკური, თანამედროვე და ლოგიკური აზროვნება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რათა ნაკლებად მოხდეს ტვინების გადინება საქართველოდან.

საქართველო ინოვაციების ათვისების მხრივაც მეტად დაბალ დონეზეა. ამას ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული 2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის შეფასების მასალები, სადაც საქართველო 138 ქვეყანას შორის 59-ე ადგილზეა. 2015-2016 წლის ინდექსში საქართველოს 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილი უკავია. საქართველოს ყველაზე დაბალი ქულა 2.8 ინოვაციების ნაწილში აქვს მიღებული, ყველაზე მაღალი ქულა 5.9 კი პირველადი განათლებისა და ჯანდაცვის კატეგორიაში.

ყველაზე რთული მდგომარეობა საქართველოს ინოვაციების მიმართულებით აქვს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ის რეიტინგში 116-ე ადგილზე იმყოფება. დაბალი ინოვაციების დონე კომპანიების მხრიდან საკმაოდ დაბალ კვლევის მაჩვენებელს (R&D), უნივერსიტეტების მხრიდან კვლევაზე დახარჯულ მცირე თანხებსა და ქვეყანაში კვალიფიციურ ინჟინერთა და მეცნიერთა მცირე რაოდენობას უკავშირდება.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, სადაც განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები, აქ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად აღიარებულია ინოვაციების დანერგვა და ტექნოლოგიების განვითარება.

2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, როგორც მთავარი მაკოორდინირებელი ორგანო ინოვაციების ხელშემწყობი გარემო სისტემის (ინსტიტუტების) ფორმირების საქმეში. ასევე წინ გადადგმული ნაბიჯია ინოვაციების ხელშეწყობის საქმეში ისიც, რომ 2015 წლის ბოლოსათვის საქართველოში თბილისის მახლობლად, ოქროყანაში, გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია მცირე ინკუბატორები, სასწავლო ცენტრები და ლაბორატორიები, საერთაშორისო მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგცენტრები და საგამოფენო ოთახები, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია.

ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი) უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას და განვითარებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ასევე ხელს შეუწყობს სრული ციკლის წარმოებას იდეიდან პროდუქტამდე. ტექნოპარკი უზრუნველყოფს ღია დაშვებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ცოდნასა და განვითარების პერსპექტივასთან. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა მიიღოს დახმარება იდეის დამუშავებიდან პროტოტიპის ჩამოყალიბებამდე და მის ბიზნესად განვითარებაში. ტექნოლოგიური პარკის საშუალებით სახელმწიფო წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაა.

დღეს საქართველოსთვის არსებითია ქვეყნის ისეთი ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციების საჭირო ამოცანების განხორციელებას, რათა ინოვაციამ შეძლოს ეკონომიკის ზრდასა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში თავისი როლის შესრულება.

ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., კაკულია ე., მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში 2009.

2. შატბერაშვილი ო., საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი მართვა: შესაძლებლობები აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩარჩოებში. წიგნში „ევროგაერთიანების აღმოსავლეთი პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები“, 2010.

3. Авдонина, С. Г. Факторы инновационной активности предприятия // Экономические науки. — 2010. — № 6.

4. Яковец, Ю. В. Инновации: теория, механизм, государственное регулирование: Учебное пособие. — М, 2000. — 193 с

ინტერნეტ წყაროები:

http://www.tabula.ge/ge/topic/ინოვაცია

http://techpark.ge/

http://www.radiotavisupleba.ge/media/...

Leila Mamulashvili, Maka Sosanidze
Gori State Teaching University

EDUCATION AND INNOVATION - FOR THE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY

RESUME

Economic growth is associated with the development of science and technology, which, in turn, indirectly or directly improves the quality of life of the population. The development of science and technology depends on the skills of employees, the level of education and the ability of innovative thinking.

The economic and social transformation of society brought about by globalization actualizes the need to review the priorities of human development and the value orientation of society in order to create positive human capital. This fact means that in the transition to a new technological way investments are needed for renovation of the experience, knowledge, work ethic and entrepreneurship in order to modify the negative human capital into a positive, able to work under the new requirements for systematical improvement of the quality of life.

The analysis of the processes occurring in the global economy shows that periods of growth and accumulation of human capital are positive catalysts for global innovation shifts in consequence of the output level and the quality of life of society to a new, advanced stage. The economic growth which in most cases positively impacts the level and quality of life, is often connected with the development of science and technology, which indirectly and directly improves the quality of life.

It is necessary to take important measures to improve the level of education, which is of vital importance for the country's economy. The government of Georgia should conduct important reforms in the field of education. The state should help talented youth, so that they do not migrate from Georgia.

In order to promote the development of the country's economy, the Government of Georgia has developed a strategy for socio-economic development that identifies priority areas. To enhance the country's competitiveness and improve economic well-being, the introduction of innovations and technologies is recognized.

Today it is important for Georgia to develop such an innovative policy that will ensure fulfillment of the tasks for innovation, to play a role in achieving economic growth and improving the social status of the population.

რუიზან მექვაბიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ: გორის უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მენეჯმენტის ანალიზი, 1997-2017

1. შესავალი

განათლების რეფორმების გააზრება როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში საშუალებას იძლევა დავინახოთ ის კრიზისული სიტუაცია, რაც წამოიჭრა სერიოზული პოლიტიკური კონფლიქტებისა და პოტენციური სოციალური ჩავარდნების ფონზე და რაც გამოიხატა არა მარტო სტუდენტის არასასურველ ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებაში, არამედ ყურადსაღებია ანალიზიც, რამდენიმე მიმართულებით:

1. კრიზისი სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით [1];
2. კრიზისი სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით [2];
3. კრიზისი საგანმანათლებლო რეფორმებთან დაკავშირებით [3,4,5];
4. კრიზისი სწავლა-სწავლების რეგულირებისათვის [6];
5. კრიზისი სწავლა-სწავლება-კვლევის ინტეგრაციისათვის [7];
6. კრიზისი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის [8].

ასეთივე პრობლემები, განსაკუთრებით პუნქტები 1-3 განხილულია გერმანული უნივერსიტეტების ფონზე [9]: „გერმანული უნივერსიტეტების მიმდინარე კრიზისი ილუსტრაციაა იმ პოტენციური სირთულეებისა, რომლებიც გამოიწვია ახალი გლობალური მოდელის დანერგვამ უნივერსიტეტებში

ტრადიციულ უმაღლესი განათლებით".[1] თუ ამ პრობლემას განვიხილავთ გლობალურ კონტექსტში, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ამერიკული უმაღლესი განათლების ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო მის ჰეტეროგენურობაზე [10]. ამერიკული უნივერსიტეტები განაგრძობენ განვითარებას გარედან მოზიდული ტალანტების ნაკადებით. ფაქტობრივად, განვითარებადი ქვეყნები დიდ ლაბორატორიებს წარმოადგენენ განვითარებული ქვეყნებისათვის და აბსორბირებას უკეთებენ მესამე ქვეყნებს. ეს რეალურად ნიშნავს, რომ მესამე ქვეყნებს არ შეუძლიათ გახდნენ განვითარებული ქვეყნები, რადგან განათლება ყველგან ჩამორჩება და რადგან განათლება ეკონომიკური განვითარების ბაზისია, ეს ქვეყნები მხოლოდ სამომხმარებლო ქვეყნების როლს შეასრულებენ[2].

90-იანი წლებიდან გორის უნივერსიტეტის მიზანი ისევე, როგორც საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიზანი დაისახა ეკონომიკური სწავლების გარდაქმნისათვის ახალი მიმართულებით - საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში არა მარტო გორის უნივერსიტეტი, არამედ საქართველოს ყველა უნივერსიტეტი მძიმე პირობებში აღმოჩნდა შესაბამისი სასწავლო პროგრამების, სათანადო ლიტერატურისა და სპეციალისტების უკმარისობის გამო, რასაც დაემატა ფინანსების უკმარისობაც. გამოსავალი უნდა მოძებნილიყო საჭიროებიდან გამომდინარე საგრანტო პროექტების მომზადების, მასწავლებლების ტრენინგებით უზრუნველყოფის, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებითა და კომპიუტერული კლასების შექმნით, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან კომუნიკაციით როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების ჩართვის თვალსაზრისით. არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა სამომავლო პერსპექტივის გაცნობიერება!

ფინანსური რესურსების მოსაძებნად, აუცილებელი იყო საქართველოში არსებული სიტუაციის შესწავლა დონორი ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებების ანალიზით. ამ მიდგომიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო იმ კონკურსებში მონაწილეობა, კონკურსის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისი პროექტების მომზადება და შემდეგ: ლოდინი პროექტის დამტკიცებაზე, პროექტის მართვა და რეალიზაცია, პროექტის დანერგვის შედეგად, წარმატებისა თუ წარუმატებლობის ანალიზი და კვლავ, ძიება.

მრავალფეროვანი იყო პროექტების მიზანი და შინაარსი: ***პროექტები წიგნადი ფონდის გამდიდრებისათვის, პროექტები ახალი სახელმძღვანელოების შექმნისათვის, პროექტები სასწავლო ცენტრების ფორმირებისათვის***, რომლებიც გათვალისწინებული იყო ***საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უფასო სწავლებისათვის*** და ამ მიზნებიდან გამომდინარე - ***საერთაშორისო კონფერენციების ჩატარების იდეის რეალიზაცია,*** უნივერსიტეტის გაზეთის ***„გორის უნივერსიტეტი" დაფუძნება*** და ყველაფერი ეს, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თანაზიარობისათვის, რაც კიდევ, ცალკე, საუნივერსიტეტო სწავლების ტრანს-ევროპული მობილობის პროგრამით (TEMPUS Trans-European Mobility Programme for University Studies) და ერასმუსის პროგრამით - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობის ევროპული აქტივობის სქემით (The **Erasmus Programme** (European Region Action Scheme for the Mobility of University Students) ხორციელდებოდა. ამ პროცესს დაემატა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებმაც 2017 წელს მიგვიყვანა ***ორმაგი დიპლომის გაცემის პროცესის რეალიზაციამდე.*** უნივერსიტეტის რექტორები იცვლებოდნენ, მაგრამ მიზანი - ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თანაზიარობა - უცვლელი რჩებოდა.

ეს, 20 წლიანი პერიოდი, გორის უნივერსიტეტში რეალიზებული პროექტების მიხედვით (ცხრილი 1) შეიძლება ექვს ეტაპად დაიყოს:

ეტაპი 1. უნივერსიტეტის არსებული წიგნადი ფონდის გამდიდრება თანამედროვე ლიტერატურით, განსაკუთრებით, ეკონომიკისა და ბიზნესის სწავლების მიმართულებით 1997-1998; სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ახალი კურსების მომზადება 2001-2017;

ეტაპი 2. საერთაშორისო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ცენტრის დაარსება კომპიუტერული კლასების მოწყობა, გაზეთის - „გორის უნივერსიტეტი" დაარსება 1999-2001;

ეტაპი 3. გორის ინტერნეტ ცენტრის დაარსება (IREX/IATP Gori Internet Center) 2001-2009; საერთაშორისო კონფერენციის ინიცირება, 2007;

---

[1] "The ongoing crisis of the German university illustrates the potential difficulties with implementing the emerging global model of the new research university in a nation where there is a long tradition of higher education".[9]

[2] The American university continues to be enriched by the flow of talent and ideas from abroad, and it increasingly depends on it, just as talent and ideas from abroad increasingly depend on us. In fact, the developed countries have been became the big laboratories which are absorbing from the third world countries. It is natural that the so called **the rest world countries can not become the developed countries as education will be lack everything and as education is the basis of the economic developing, these countries will be rest on the consumer level [10]**

ეტაპი 4. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თანაზიარობა, 2011-2017;

ეტაპი 5. ორმაგი დიპლომის რეალიზაციის მემორანდუმი 2017;

ეტაპი 6. ინგლისურენოვანი პროგრამისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ინდოელი სტუდენტების რეკრუტის ხელის შეწყობა, 2017.

თითოეულ ეტაპს შეესაბამება წლების გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც რეალიზდებოდა შესაბამისი ეტაპის მიზანი და მისი შინაარსი. გარდა ამისა, თითოეული შემდეგი პროექტის მომზადება განპირობებული იყო წინა პროექტთან მიმართებაში და მასთან დაკავშირებულ, ახალი პრობლემის გადაჭრას ემსახურებოდა. სწორედ ამ პირობის დაცვამ და ლოგიკურმა გააზრებამ უზრუნველყო ის ფაქტი, რომ ყველა პროექტი ***(ცხრილი 1),*** ჩემ მიერ ან უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიერ წარდგენილი, რომლის აქტიური მონაწილეც გახლდით, ფონდების მხარდაჭერის ობიექტი ხდებოდა. გორის უნივერსიტეტში ჩემ მიერ რეალიზებული პროექტები შეიძლება დავალაგოთ და შევაფასოთ გაწეული აქტივობა ქვემოთ მოყვანილი ცხრილებით 1, 2.

ცხრილი 1. 1997-2017 წ.წ. რეალიზებულ პროექტები აქტივობის ტიპის მიხედვით (ავტორი/თანავტორი/მენეჯერი/მონაწილე)

აქტივობის დასახელება	**პროექტების რიცხოვნობა**
ავტორი&მენეჯერი& მონაწილე	9
თანავტორი&მენეჯერი	5
მენეჯერი&მონაწილე	8
თანავტორი&მენეჯერი&მონაწილე	3
მენეჯერი	1
მონაწილე	3
სულ	29 პროექტი

ცხრილი 2. გორის უნივერსიტეტში რეალიზებული საგრანტო პროექტები 1997-2017

#	პროექტის დასახელება	ავტო-რი	თანა-ავტორი	მენეჯ-ერი	მონა-წილე	რეალიზა-ციის პერიოდი
1	Erasmus+ programme, Key action 1, -Mobility for learners and staff- Higher Education Student and Staff Mobility between Universities: Gori State Teaching University (Georgia), Opole University of Technology (Poland). http://www.po.opole.pl/		➢	➢		**2017-2019**
2	Erasmus+ programme, Key action 1, -Mobility for learners and staff- Higher Education Student and Staff Mobility between Universities: Gori State Teaching University (Georgia),Varna University of Management (Bulgaria)https://vum.bg/		➢	➢		2016-2017
3	Erasmus+ programme, Key action 1, -Mobility for learners and staff- Higher Education Student and Staff Mobility between Universities: Gori State Teaching University (Georgia), The Podhale State Higher Vocational School in Nowy Targ. http://www.ppwsz.edu.pl/		➢	➢		2017-2019
4	Erasmus+ programme, Key action 1, -Mobility for learners and staff- Higher Education Student and Staff Mobility between Universities: Gori State Teaching University (Georgia), Kahramanmara Suctu Imam University (Turkey) http://www.ksu.edu.tr/		➢	➢		2016-2018
5	Erasmus+ programme, Key action 1, -Mobility for learners and staff- Higher Education Student and Staff Mobility between Universities: Gori State Teaching University (Georgia),Varna University of Management (Bulgaria)https://vum.bg/		➢	➢		2017-2019(21)

6	სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების დამუშავება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის საქართველოსა, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში № 544191 -Tempus 1-2013-1-PT PCR . http://tempus.lmph.eu/			➢	➢	2014-2017
7	კვლევითი უნარების განვითარება კავკასიაში 544047-TEMPUS-1-2013-1-GE TEMPUS -JPGR http://tempuspact.eu/ckfinder/userfiles/files/ISE2015%20Program%20v%201.pdf			➢	➢	15/10/2014-15/10/2016
8	ინტერნაციონალიზაცია ცენტრალურ აზიასა და მეზობელ აღმოსავლეთ არეში (ICAEN) პროექტი 516663-TEMPUS- 1-2011-1-ES-TEMPUS-SMGR-Tempus IV EACEA/32/2010. http://institucional.us.es/tempusicaen/			➢	➢	2011-2014
9	BACKIS - ერასმუს მუნდუსის პროგრამა, აქტივობა 2, მობილობა ევროპის უნივერსიტეტებსა და კავკასიისა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და უკრაინის უნივერსიტეტებს შორის. *გრანტი #: 2012-2741/007001-EM* ***Action 2- Partnerships*** . ***www.backis.univ-montp2.fr/***		➢	➢	➢	15/12/2012 - 15/12/2016
10	ALRAKIS II, ერასმუს მუნდუს აქტივობა 2-ის, გრანტი #2012-2733 (http://www.alrakis2.eu/)				➢	25/09/2013 - 04/11/2013
11	უმაღლეს განათლებაში ცვლილებების მართვა ტემპუს IV, საკონკურსო განაცხადი (530621-TEMPUS-1- 2012-1BG-TEMPUS-JPGR) La MANCH. http://www.lamanche-tempus.eu/			➢	➢	15.10.2012-15.10.2015
12	სასწავლო მოდული: გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში სოციალური მეცნიერებისათ-ვის. (East-West management Institute-G - PAC) CA # 114-A-10-00005(USAID). გრანტი #. 677 11 210 3016 20. https://fusiontables.google.com/DataSource?docid=1lVX_338Qn5WEKeBwtDe51qDswQ4cRvEQzaJCc28#rows:id=1 (#46)	➢		➢	➢	01/11/2011 – 01/05/2012
13	დისტანციური სასწავლო ცენტრის შექმნა. მიზანი: სასწავლო კურსების შექმნა Moodle-ის გარემოში. ა.შ.შ-ს საგანმანათლებლო და კულტურულ საქმეთა დეპარტამენტი 2011. Award number: S-GE800-10-GR-107;		➢	➢	➢	2010-2011
14	**დისტანციური სწავლების დანერგვისათვის (მონაწილენი: აკრედიტაციის ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, გორის უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი, ტალინის უნივერსიტეტი. ფინანსური მხარდაჭერა: East-West Management Institute**				➢	2009-2010
15	ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამა. პარტნი-ორობა საქართველოსა, სომხეთსა, აზერბაიჯანთან და ევროპის უნივერსიტეტებთან ერთად. ***გრანტი #:2010-2368/001-001-EM- Action 2- Partnerships, 2010-2014. http://www.erasmusmundus5.gr/*** .			➢	➢	2010-2013
16	"XPLOIT" ბენეფიციარი აარჰუსის სოციალური და ჯანდაცვის კოლეჯი, პროექტის ნომერი: 504725-LLP-1-2009-1-DK-KA4-KA4MP. ხელშეკრულების ნომერი:-2009-5198/001-001. http://eacea.ec.europa.eu/LLp/project_reports/documents/ka4/2009/final_reports/KA4-KA4MP-504725-Xploit.pdf			➢	➢	2010-2013
17	ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების ხელოვნება. გრანტი:ISET/OSI/HESP				➢	2009-2012
18	განათლება და მეხსიერება. The Council of Europe Pestalozzi training Programme for education. PESTALOZZI.	➢		➢	➢	4/10/2008-10/10/08
19	ქალაქის საგანმანათლებლო ქსელი. (City Learning Net). EACEA, **eacea.ec.europa.eu** (გორის უნივერსიტეტი წარმოდგენილია ასოცირებული პარტნიორის სახით).			➢	➢	2006-2009

20	IREX/IATP გორის ინტერნეტ ცენტრი. გრანტი: №ECAAE-04-GR-085DH. აშშ-ს საგანმანათლებლო და კულტურულ საქმეთა დეპარტამენტი, *2001-2009 https://irex.ge/programs/closed-programs/internet-access-training-program-iatp.*	➢		➢	➢	01/01/2002-04/30/2008
21	ფინანსებისა და საბანკო სწავლების რეფორმისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტსა, პარიზი-8 უნივერსიტეტსა (საფრანგეთი) და ლისაბონის მენეჯმენტის ინსტიტუტთან (პორტუგალია) ერთად. TEMPUS, **კონტრაქტი N CD JEP-21058-2000**			➢	➢	10/2000-06/2002
22	ვებ-საიტი: გორი და გორის რეგიონი. http://gori.iatp.org.ge .გრანტი: IREX/IATP 2000-GG-O7		➢	➢	➢	01/04/2000-01/02/2001
23	გორისა და გორის რეგიონის ინტერნეტ რესურსები. **გრანტი: IA-242-00-G-032**. აშშ-ს საგანმანათლებლო და კულტურულ საქმეთა დეპარტამენტი http://gori.iatp.org.ge	➢		➢		09/05/00-09/05/01
24	ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება. **გრანტი: IA-242-99-017-G**; აშშ-ს საგანმანათლებლო და კულტურულ საქმეთა დეპარტამენტი.	➢		➢	➢	08/11/99-08/11/00
25	ლექციების კურსის მომზადება ეკონომეტრიკაში. **გრანტი: OSGF/HESP/06/00**	➢		➢	➢	O8/02/2001-05/06/01
26	ეკონომეტრიკის სასწავლო ცენტრის შექმნა. **გრანტი: OSGF/HESP/06/99**	➢		➢	➢	08/10/99-08/10/00
27	ეკონომეტრიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები. **გრანტი: OSGF/HESP/06/98**	➢		➢	➢	01/06/98-01/06/99
28	მობილობის გრანტი მოსკოვის ახალი ეკონომიკის სკოლაში. ეკონომეტრიკის, ეკონომიკური და მათემატიკური მეთოდების და მოდელების დეპარტამენტი. მხარდამჭერი: **გრანტი: OSI/HESP**	➢		➢	➢	10/10/98-18/10/98
29	გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება თანამედროვე ეკონომიკური **ლიტერატურით. გრანტი # : C97-1036, ევრაზიის ფონდი**	➢		➢	➢	29/09/97-29/09/98

2. *პრობლემები და მათი არსი.*

არ შეიძლება არ აღვნიშნო ის პრობლემები, რომლებიც უნივერსიტეტში, საგრანტო პროექტების რეალიზაციით მიღებული შედეგების დანერგვას უკავშირდებოდა. პირველი, რასაც შევეჯახე, ეს იყო ეკონომეტრიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის ჩართვა ეკონომიკური სპეციალობების მიმართულებით. ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა და „ეკონომეტრიკა“ ხან ჩართულ და ხან ამორთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა სტუდენტებისათვის. ამ ფაქტს დაწვრილებით არ შევეხები, თუმცა, ერთი რამ უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი მიდგომა გაუცნობიერებლობის ნიშანია. მნიშვნელოვანი ფაქტორი, პრობლემასთან დაკავშირებული, ეხებოდა სასწავლო პროგრამით სტუდენტის სასწავლებლად გასვლას ევროპის უნივერსიტეტებში. 2006 წელს, როდესაც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ცენტრის თანამშრომელმა - ფიქრია მექვაბიძემ სამაგისტრო პროგრამაზე ერასმუს მუნდუსის სტიპენდია მოიპოვა სორბონას უნივერსიტეტში (საფრანგეთი), არა, თუ დახმარება, უფასო შვებულება ვერ გაუგრძელეს და დაბრუნებამდე სამსახურიდან გაათავისუფლეს. მას შემდეგ, ფიქრია მექვაბიძემ, საერთოდ, უარი თქვა უნივერსიტეტში ნებისმიერ სამსახურზე.

ეს ფაქტი იმას მოწმობდა, რომ სამომავლო პერსპექტივის ხედვიდან ჯერ კიდევ შორს ვიყავით, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა. 2007 წელს, როდესაც ორი უნივერსიტეტის გაერთიანების შემდეგ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელის ქვეშ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თითქმის 98% ისე გაანთავისუფლეს, არავინ დაინტერესებულა მათი გამოცდილება დასჭირდებოდათ, თუ არა. ეს მაშინ, როდესაც ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკრედიტებული არ იყო და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს აკრედიტაცია გავლილი ჰქონდა. ჩემი აზრით, გაერთიანებამ სარგებლობა ვერ მოიტანა, რაც გამოიხატა უკვე გაერთიანებული გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის დაქვეითებაში, რის შედეგადაც მას, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი მიანიჭეს.

2011 წლიდან, ახალი დისციპლინების ჩართვის თვალსაზრისით სასწავლო პროგრამებში, უკეთესი შედეგი გვაქვს, რადგან დაცულია პროექტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა და პროექტების

ჩარჩოებში დამუშავებული დისციპლინები ასახულია შესაბამისი სპეციალობების სასწავლო პროგრამებში.

და, კიდევ: 20 წლის მანძილზე ჩემი მიდგომა საგრანტო პროექტების დამუშავების, მართვისა და გამოყენების მიმართულებით, უნივერსიტეტის ინტეგრაციისათვის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში, არ შეცვლილა, თუმცა შემხვედრმა პრობლემებმა ნიჰილისტური ხედვა მეც შემომაპარა და კიდევ მეტი კითხვები გამიჩინა. დღეს, ცხადია, რომ გორის უნივერსიტეტი, თუ ასეთად გვინდა მისი დარჩენა, (არა სასწავლო უნივერსიტეტად, რადგან უნივერსიტეტები ასეთი სახელით, მსოფლიოში არ არსებობენ) მეტის გაკეთება გვჭირდება, რადგან დღის წესრიგშია უნივერსიტეტის რანჟირების პროცესი, უცხოენოვანი პროგრამების შემოტანა, ინდექსირებული ჟურნალის დაარსება, საერთაშორისო კონფერენციის დაბრუნება პირველადი ჩარჩოების პრინციპებში ...

3. ეკონომიკის თანამედროვე სწავლების ხელშემწყობი პროექტები

ახალი გარემოებების გათვალისწინებით, გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის წინსვლა, ისევე, როგორც საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის, თანამედროვე წიგნადი ფონდის გამდიდრებას უკავშირდებოდა, რაც, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო ეკონომიკური სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. პირველი ნაბიჯი, სწორედ ამ მიმართულებით უნდა გადადგმულიყო. ინსტიტუტის ფინანსები კი, საკმაოდ მწირი იყო. დავიწყე ამ პრობლემასთან დაკავშირებული კონკურსების მოძიება, რომლებიც ამ საკითხს უკავშირდებოდნენ. სამხრეთ კავკასიის მასშტაბით, სწორედ ამ პერიოდისათვის, ევრაზიის ფონდმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი უმაღლესი სასწავლებლებისათვის საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრების შესახებ. წარვადგინე პროექტი „ბიბლიოთეკის გამდიდრება ეკონომიკის სწავლებისათვის“. კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს შორის გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტიც აღმოჩნდა და ინსტიტუტმა მიიღო გრანტი $20000 ოდენობით (***პროექტი (ცხრილი 2,# 29)*** , **გრანტი:##C97-1036, The Eurasia Foundation).** ეს იყო პირველი პროექტი.

THE EURASIA FOUNDATION

CERTIFICATE

ECONOMICS EDUCATION COMPETITION

In recognition of **Gori State Economic-Humanitarian Institute's** receipt of a grant from the Eurasia Foundation in support of the project "Library Enhancement for the Study of Economics," this certificate is awarded to Project Director **Ruizan Mekvabidze**. This grant was awarded through the Eurasia Foundation's first Economics Education Competition in Georgia.

December 8, 1997

Larry Kerr
Charge d'Affaire
Embassy of the
United States of America
in Georgia

Paula Feeney
Country Representative
United States Agency
for International Development
In Georgia

Lisa Kaestner
Deputy Regional
Director, Eurasia
Foundation
Caucasus

შედეგები, რომელიც ამ პროექტის რეალიზაციამ უზრუნველყო, შეიძლება შემდეგი მიმდევრობით დავალაგოთ:

1. გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის ბიბლიოთეკა აღიჭურვა ინგლისური და რუსულენოვანი თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურით;
2. შეიქმნა **საერთაშორისო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ცენტრი (სსსც)** აღჭურვილი 4 პერსონალური კომპიუტერით ***<u>(ამ პერიოდისათვის გორში 2 კომპიუტერი არსებობდა, მხოლოდ).</u>*** პრინტერით, სკანერით და საოფისე ავეჯით. სსსც-ს მოვალეობაში შედიოდა აკადემიური პერსონალის/სტუდენტების დახმარება საინფორმაციო ტექნოლოგიების გაცნობიერებაში - პირველი ნაბიჯების გადადგმა საინფორმაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო არენაზე.

საერთაშორისო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ცენტრისთვის, გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარულმა ინსტიტუტმა გამოყო ფართი, სადაც განთავსდა ტექნიკური აღჭურვილობა (პერსონალური კომპიუტერები, პრინტერი, სკანერი) და ავეჯი (მაგიდები, სკამები, კარადა), პროექტის ჩარჩოებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი: დოც. რუიზან მექვაბიძე - დირექტორი, მაყვალა გამისონია - ბუღალტერი, ტექნიკური პერსონალი: ფიქრია მექვაბიძე, გიორგი გალაშვილი (გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის კურსდამთავრებულები). ცენტრის სამუშაო პროგრამა ითვალისწინებდა: პერსონალური კომპიუტერების გამოყენების სწავლებას; ინტერნეტის შემსწავლელი

ტრენინგების ჩატარებას; კონსულტაციებს, ინტერნეტის სწავლებას, ვებ გვერდების მომზადებასა და მის დიზაინს.

გაფორმდა ხელშეკრულება ტელე-საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებაზე (SLIP/PPP) კომპანია შპს "სანეტ"-თან (თბილისი, რუსთაველის გამზ. 37, გენერალური დირექტორი გ. კაშია), ვადით: 23/03/1998-31/03/1999, რომლის მიხედვით აბონენტის მომსახურეობა ითვალისწინებდა ინტერნეტის სტანდარტული რესურსებისა (www, Gopher, Telnet, FTP, IPC, Talk) და ელექტრონული ფოსტის გამოყენებას (მისამართი: gori@access.sanet.ge). ამ ცენტრის ფუნქციონირების წარმატებების გათვალისწინებით, მივიღე აშს-ს საელჩოს დემოკრატიის კომისიის გრანტი საერთაშორისო და საკომუნიკაციო ცენტრის აქტივობების გასაფართოებლად.

ბუნებრივია, სირთულეებს ვერ ავცდებოდით, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ პერიოდისათვის ინტერნეტ-პროვიდერი გორს ჯერ არ გაკარებოდა. ინტერნეტის შემსწავლელი მომსახურების ტრენინგები ჩაატარა „ღია-საზოგადოება საქართველოს ფონდმა (OSGF)", სადაც ინტენსიური ტრენინგ-კურსები გაიარა ცენტრის პერსონალმა, რომელიც მოტივირებული იყო მსგავსი ტრენინგების ჩასატარებლად გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის აკადემიური/ადმინის-ტრაციული პერსონალისა და სტუდენტებისათვის. პერსონალური კომპიუტერების გამოყენების სწავლება და ინტერნეტის გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის, რომლის მთავარი მიზანი საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად აქტივობების შერჩევაა თანამედროვე სასწავლო პროგრამების დასამუშავებლად, არსებული გამოცდილებების გათვალისწინებით, სტუდენტების ჩართვისათვის გაცვლით პროგრამებში. ეს აუცილებლობა, სამომავლოდ, გამოწვეული იყო ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის შემოტანით, რომლის საფუძველზე საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ, რეფორმების შედეგად, ახალი სახე შეიძინა.

განსაკუთრებით, აღსანიშნავია ***პროექტი IREX/IATP გორის ინტერნეტ ცენტრის დაარსება (ცხრილი 2, # 20) .*** გორის ინტერნეტ ცენტრის შექმნა მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საერთაშორისო კომუნიკაციის განვითარებისა და ინფორმაციის თავისუფალი წვდომის თვალსაზრისით. ინტერნეტში დაშვებისა და სწავლების პროგრამა (IREX/IATP ("აი-ეი-თი-ფი")) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა იყო, რომელსაც ადმინისტრირებას უწევდა საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭო (IREX). "აი-ეი-თი-ფი"-ს ინტერნეტ ცენტრების ქსელების მეშვეობით, ყოველთვიურად მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაკადი სარგებლობდა ინტერნეტში თავისუფალი დაშვებითა და სხვადასხვა შინაარსის კომპიუტერული ტრენინგებით ევრაზიის 10 ქვეყანაში. "აირექსი"-ს მიერ ადმინისტრირებული "აი-ეი-თი-ფი"-ს ცენტრები ფუნქციონირებდნენ შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ბელორუსია, უზბეკეთი და უკრაინა. "აი-ეი-თი-ფი"-ს საქმიანობა 90-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო. იმ დროისათვის, პროგრამის მიზანი იყო ევრაზიიდან აშშ-ს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამების მონაწილე მკვლევრების ინტერნეტში დაშვებითა და ტრენინგებით უზრუნველყოფა. "აი-ეი-თი-ფი"-ს დახმარებით გაცვლითი პროგრამის მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაემყარებინათ და შეენარჩუნებინათ კონტაქტები დარგობრივ კოლეგებთან აშშ-ში. დროთა განმავლობაში "აი-ეი-თი-ფი"-მ ინტერნეტში თავისუფალი დაშვება და ტრენინგები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებსაც შესთავაზა: ჟურნალისტებს, იურისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სტუდენტებს. "აი-ეი-თი-ფი"-ის ოფისი გორის უნივერსიტეტში, ისევე, როგორც სხვაგან, აღჭურვილი იყო კომპიუტერული ტექნიკით, ინსტრუქციებით, ავეჯით და სპეციალიზებული წიგნადი ფონდით. ამ ოფისის ადმინისტრირება ევალებოდა "აირექსი"-ის თანამშრომელს გორის უნივერსიტეტში. ამ მოვალეობას ასრულებდა ***ფიქრია მექვაბიძე.*** სარეალიზაციო პროგრამების მიხედვით, რადგან მოთხოვნა საკმაოდ მაღალი იყო, ოფისს დამატებით მომსახურეობას უწევდნენ ***მარინა ტერტეროვი,*** ინგლისური ენის სწავლების პროგრამისათვის, ***მანანა ჯაფიაშვილი*** პერსონალური კომპიუტერის სწავლებისათვის. ***"აი-ეი-თი-ფი"-ს ცენტრის მიერ უსასყიდლო საქმიანობა ხუთ ძირითად მიმართულებას მოიცავდა:***

- ***ინტერნეტში დაშვება.*** ინტერნეტ ცენტრებში კომპიუტერსა და ინტერნეტზე თავისუფალი დაშვება უზრუნველყოფდა მომხმარებლის ხელმისაწვდომობას ინფორმაციაზე და ზოგადად, ზრდიდა მის შესაძლებლობებს;
- ***ტექნიკური ტრენინგები.*** "აი-ეი-თი-ფი"-ს ტექნიკური ტრენინგების სტანდარტული სია მოიცავდა კომპიუტერის საწყისებს, ინტერნეტის საწყისებს, ბლოგებს, ვებ-დიზაინს, wiki, გრაფიკულ რედაქტორებს, და სპეციალიზებულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტრენინგებს სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისა, ჟურნალისტებისა და მასწავლებლებისთვის;

- ***ვებ-რესურსების განვითარება:*** "აი-ეი-თი-ფი"-ს კურსების შედეგად შექმნილი ახალი ვებ-რესურსები ამდიდრებდნენ ადგილობრივ ენაზე უკვე არსებულ ვებ-რესურსებს, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში ინტერნეტის უფრო ეფექტურ გამოყენებას უწყობდა ხელს;
- ***ონლაინ ფორუმები:*** დაინტერესებული პირები, ექსპერტები და გადაწყვეტილების მიმღები პირები ვირტუალურად უცვლიდნენ ერთმანეთს მოსაზრებებს, რაც ხელს უწყობდა დედაქალაქსა და რეგიონებს შორის კავშირის გამყარებას;

4. დისციპლინები სასწავლო პროგრამების დასახვეწად

ეკონომიკის სწავლებას ინსტიტუტის აკადემიური პერსონალი უკვე არსებული თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებით თუ თავს გაართმევდა, დღის წესრიგში ეკონომეტრიკის სწავლება აუცილებლად დადგებოდა. მიზნად დავისახე ***ეკონომეტრიკის სწავლების თანამედროვე მეთოდების სალექციო კურსი*** მომემზადებინა, რომელიც მნიშვნელოვნად წაადგებოდა თანამედროვე ეკონომიკის სწავლების პროგრამას. ამ მიზნის მიღწევაში, თანმიმდევრობით, 4 პროექტის ჩარჩოებში (ცხრილი 2, #28,27,26,25) მომზადდა ეკონომეტრიის სალექციო კურსი [**11**], შემდეგ - ეკონომეტრიკის პრაქტიკული კურსი, რომლის საბოლოო ვერსია [**12**] გამოიცა პროექტის (ცხრილი 2,#17) ჩარჩოებში.

მნიშვნელოვანი იყო პროექტების ჩარჩოებში ახალი დისციპლინების მომზადება და მათი ჩართვა სასწავლო პროგრამებში. აღმოსავლეთ-დასავლეთის მენეჯმენტის ინსტიტუტის (East-West management Institute-G – PAC) პროექტების ჩარჩოებში (ცხრილი 2, #12) მომზადდა სასწავლო მოდული: გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში სოციალური მეცნიერებისათვის, რომლის განვითარების შედეგად შეიქმნა ორსემესტრიანი დისციპლინა „გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში (შესავალი კურსი და რაოდენობრივი მეთოდები და მოდელები)" [13,14] (ცხრილი 2, #10,9) ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის სპეციალობის სტუდენტებისათვის სამაგისტრო სწავლების დონეზე, 2013-2014. ასევე, პროექტის ჩარჩოებში მომზადდა სასწავლო ბაზა აკადემიური დისციპლინის - გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში. გათვალისწინებული იყო დისციპლინის სირთულე, რადგან გადაწყვეტილების მიღებას, როგორც კვლევის მიმართულებას, აქვს ორი ნიშანი, რომელიც განასხვავებს მას სხვა დისციპლინებისაგან, როგორიცაა ეკონომიკა და ოპერაციული კვლევა: განუსაზღვრელობის ელემენტი, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკლებობასთან და სუბიექტური მოდელის აგება, რომელიც ასახავს გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკის შერჩევას მოცემულ სიტუაციაში.

პროექტების ბაზაზე მიმდინარეობდა არა მარტო ცალკეული დისციპლინების მომზადება, არამედ ახალი სასწავლო პროგრამის დამუშავებაც. უნივერსიტეტის შერჩეულ სამუშაო ჯგუფთან ერთად, ტემპუსის პროექტის ჩარჩოებში (ცხრილი 2, #6) დამუშავდა სასტუმრო მენეჯმენტის სასწავლო პროგრამები საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დონეებზე. პროგრამებმა გაიარეს აკრედიტაცია და 2017-2018 წელს უნივერსიტეტმა გამოაცხადა მიღება ახალ სასწავლო პროგრამებზე. ამავე პროექტის ჩარჩოებში დამუშავდა სამი სახელმძღვანელო [15, 16, 17].

5. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროექტები

გორის უნივერსიტეტი გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობისათვის თითქმის მზად იყო (ყოველ შემთხვევაში, ადმინისტრაციის მხრიდან მზაობა იყო, მსგავსი პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობისათვის), თუმცა, დამატებით, აუცილებლობა იქმნებოდა ინგლისური ენის სწავლების პროგრამებისათვის: მეტი ყურადღების მიქცევა და აკადემიური პერსონალისათვის ინგლისური ენის სწავლების სპეციალური კურსების შეთავაზება, სტუდენტების მომზადება არანაკლებ B1 დონეზე საბაკალავრო სწავლების სტუდენტებისათვის და B2 დონეზე მომზადება სამაგისტრო სწავლების სტუდენტებისათვის. ასეთი მიდგომა, ბუნებრივია, ითხოვდა ინგლისურ ენის სწავლების სასწავლო პროგრამის დახვეწას. ეს საკითხი დღესაც დღის წესრიგშია. უნივერსიტეტის მხრიდან გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა და ინგლისური ენის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფებიც შეიქმნა აკადემიური პერსონალისათვის, ხოლო სტუდენტებს გაუზარდეს ინგლისური ენის სწავლების პერიოდი.

6. ერასმუს მუნდუსი და ერასმუს +

პროექტი 1. (ცხრილი 2, #15). კოორდინატორი: თესალონიკის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო ინსტიტუტი (საბერძნეთი). ეს პროექტი პირველი გაცვლითი პროექტია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობისათვის, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის უნივერსიტეტებთან პარტნიორობას საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანისთვის. პროექტში 19 პარტნიორი უნივერსიტეტი და 24 ასოცირებული პარტნიორი მონაწილეობდა ევროპისა და სამხრეთ კავკასიიდან. ეს იყო პირველი პროექტი, რომლის ჩარჩოებშიც დაიწყო მობილობა ევროპის უნივერსიტეტებთან: სვონსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), რუსეს უმაღლესი სკოლა.

პროექტი 2. (ცხრილი 2, #9) პროექტის კოორდინატორი მონპელიეს უნივერსიტეტი (საფრანგეთი). პროექტის მთავარი მიზანი იყო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების

რეალიზაცია მესამე ქვეყნის უნივერსიტეტებსა და ევროპის უნივერსიტეტებს შორის და პირიქით, კონკურსის პირობების გათვალისწინებით. პროექტი საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა გორის უნივერსიტეტისათვის. პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა 1, 2 და 4 სემესტრიანი სასწავლო წლის პერიოდით და სამმა აკადემიურმა პერსონალმა, მათ შორის ორმა პოსტ-დოქტორმა, 6 თვის ხანგრძლივობით, კვლევების მიმართულებით. პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტების მოტივაციის ამაღლება გაცვლითი პროგრამების მიმართ. ამ პროექტით მთავარი მიზანი მიღწეული იყო. ევროპულ განათლებასთან თანაზიარობისათვის. აქტივობამ სტუდენტებს განუვითარა მოთხოვნა სწავლა-სწავლების მიმართ. კონკურსში მონაწილეთა შორის, პოსტ-დოქტორის პოზიციაზე, კვლევის ჩატარების მიზნით, როგორც პროფესორმა, მონაწილეობა მივიღე კვლევით პროგრამაში, რომელიც საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა (***მოვამზადე ინოვაციური მიდგომის - ბიზნესის მოდელირებიდან ბიზნესის მენეჯმენტისკენ - მეთოდოლოგია სასწავლო კურსის სილაბუსებით ვილნიუსის გედიმინას ტექნიკურ უნივერსიტეტში.*** წავიკითხე ლექციები გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიაში, მქონდა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრები და 2015 წელს, გამოვაქვეყნე 2 საინტერესო სტატია ჟურნალებში: http://www.aasmr.org/jsms https://europeourhouse.weebly.com/uploads/9/7/0/4/9704859/ejts_2015_vol._3_no._2.pdf

2014 წლიდან, ევროკომისიამ ერასმუს მუნდუსის ნაცვლად, ახალი პროგრამები შესთავაზა მსოფლიოს უნივერსიტეტებს - ***ერასმუს +*** ჩარჩოებში, რომლის მოქმედებაც 2020 წლის ბოლომდე განსაზღვრა. საერთოდ, ერასმუს+ (Erasmus+) ევროკავშირის საგრანტო პროგრამაა, რომლითაც ხორციელდება პროექტები განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებებით. 2014-2020 წლებში საგრანტო პროგრამების მთავარი მიზანი განათლების მოდერნიზებაა.

პროექტი 3 (ცხრილი 2, #1). *ერასმუს+ პროგრამა, აქტივობა 1, უნივერსიტეტების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ოპოლეს ტექნოლოგიის უნივერსიტეტებს (პოლონეთი) შორის, 2017-2019.* პროექტში მონაწილეობენ უნივერსიტეტები ქვეყნებიდან***:*** მალაიზია, აშშ, რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, ინდოეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, სერბეთი, ვიეტნამი.

პროექტი 4 *(ცხრილი 2, #2, 5) ერასმუს+ პროგრამა, აქტივობა 1, უნივერსიტეტების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტებს შორის, 2015-2019.*

პროექტში მონაწილეობს 43 უნივერსიტეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის, საქართველოდან მონაწილე უნივერსიტეტებია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი. გორის უნივერსიტეტი ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი პარტნიორია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის პროექტში. გორის უნივერსიტეტი მასთან განიხილავს მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც ეხება ორმაგი დიპლომის რეალიზაციას ამ უნივერსიტეტებს შორის. გაცვლით პროექტებთან მიმართებაში, გორის უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია ჩართულობა ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტთან, რომელიც მოქმედებს 2015-2016 სასწავლო წლიდან და განხორციელებულია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლის 5 ნაკადი.

პროექტი 5 *(ცხრილი 2, #3) ერასმუს+ პროგრამა, აქტივობა 1, უნივერსიტეტების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და თურქეთის კაჰრამანმარა სუქტუ იმამ უნივერსიტეტებს შორის, 2018-2020.*

პროექტი 6 *(ცხრილი 2, #4). ერასმუს+ პროგრამა, აქტივობა 1, უნივერსიტეტების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ნოვი ტარგის უმაღლეს პროფესიულ სკოლას შორის, 2018-2020.*

7.რეზიუმე

1997-2017 წლებში განხორციელებული საგრანტო პროექტების ბაზაზე, გორის უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის შედეგებია:

1. ორმაგი დიპლომის რეალიზაცია: *გაფორმდა მემორნადუმი ჟირონას უნივერსიტეტთან (ესპანეთი) 2018 წლიდან სამაგისტრო პროგრამის „სასტუმრო მენეჯმენტი“ -ს ჩარჩოებში*

2. 47 აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა ევროპის უნივერსიტეტებში:

2.1. *სტუდენტების მობილობა 2011-2017 წლებში:* ***35 სტუდენტი***

2.2. *აკადემიური პერსონალის მობილობა 2012-2015 წლებში:* ***9 აკადემიური პერსონალი,*** *მათ შორის პოსტ-დოქტორის მობილობა კვლევის განსახორციელებლად 2012-2015 წლებში:* ***3 პროფესორი***

3. დისციპლინები და დამხმარე სასწავლო მასალა რესურსებით, ჩართული სასწავლო პროგრამებში

3.1. ეკონომეტრიკის სალექციო კურსი
3.2. ეკონომეტრიკა პრაქტიკაში
3.3. ეკონომეტრიკის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება პრაქტიკული მეცადინეობისათვის STATA
3.4. კვლევის მეთოდები ბიზნესსა და ეკონომიკაში
3.5. ბიზნეს მენეჯმენტის თავისებურებები (ელექტრონული ვერსია)
3.6. გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში (შესავალი კურსი)
3.7. გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში (რაოდენობრივი მეთოდები და მოდელები)
3.8. კვლევის მეთოდები და მოდელები ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესში
3.9. ევროპელი და ამერიკელი მოგზაურები საქართველოში (XIX-XX სს).
3.10. ფინანსური ანალიზი და სასტუმრო შემოსავლების მართვა. (თ. ხორგუაშვილი, ხ. ჩიტაძე)
4. სასწავლო ცენტრები და რესურს ცენტრები
4.1. საერთაშორისო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ცენტრი (1999-2000)
4.2. პერსონალური კომპიუტერებისა და ინტერნეტის წიგნიერების შესწავლა, მისი გამოყენება სასწავლო პროცესსა და საქმიანობაში და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისათვის უფასო მომსახურებით (2000-2001)
4.3. ინტერნეტში დაშვებისა და ტრენინგების ცენტრი (IREX/IATP) (2001-2009)
4.4. ეკონომეტრიკის სასწავლო ცენტრი (1997- 2007)
4.5. დისტანციური სწავლების ცენტრი (2010-2011)
4.6. ტემპუს&მუნდუსის ცენტრი (2011-დღემდე)
4.7. საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი (2011- დღემდე)
4.8. რესურს ცენტრი ქართულენოვანი და იგლისურენოვანი წიგნადი ფონდით და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით 2017-დან
5. ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის იდეის რეალიზაცია 2007 წლიდან
6. გაზეთის „გორის უნივერსიტეტის“ დაარსება 1999 წელს

ლიტერატურა:

[1] Mekvabidze R. (2007). Curricula, Syllabi Design and Teaching Methods for the Module "Quantitative Economic Methods and Models".4th International Silk Road Symposium "New Trends in Higher Education", International Black Sea University by supported of the Ministry of education and Science of Georgia. Tbilisi, Georgia, 4-6 May, , pp.317-324.

[2] Mekvabidze R. (2013). Thinking about learning environment of the 21th century. 5th International conference on education and new learning technologies. EDULEARN13 Proceedings. *ISBN: 978-84-616-3822-2; ISSN: 2340-1117;* Barcelona,1-3 July,. Pages: *4972-4980*

[3] Lemke L.(2005) Globalisation and science education: Rethinking science education reforms (*J Res Sci Teach* 38:296–316, 2001) 24 MAR 2005 DOI: 10.1002/tea.2006

[4] Ruizan Mekvabidze**.** Folowing educational reforms:Analysis of the problems regarding economic research of education. International conference og Gori University „Education and Innovation", 16-18 November, 2012. 7A4 (in Georgian)

[5] The Crisis of Higher Education in Georgia: Issues and Problems of Educational Reforms (2013). EDULEARN14 Proceedings. ISBN: 978-84-617-0557-3; ISSN:: 2340-1117. Pages**:** 5164-5171

[6] Baker D. Gero Lenhardt, (2008) The Institutional Crisis of the German Research University Higher Education Policy 21, 49–64. doi:10.1057/palgrave.hep.8300178

[7] Ruizan Mekvabidze (2015). Teaching Tomorrow-Today: Knowledge as an Integration of Teaching-Learning-Research. 10th International Silk Road Conference on EU Association Agreement: Perspectives and Challenges PROCEEDINGS. May 22-23, ISSN 1512-2549; UDC: 378.4 (479.22) (063) C-74, Tbilisi, Georgia Pages:71-77

[8] Ruizan Mekvabidze (2014). On Raising Standards of T/L and T/L/R Through Internationalization at Gori State Teaching University. Tempus ICAEN. Publishing House "UNIVERSAL". ISBN: 978-9941-22-418-8, pages:93-99

[9] David P Baker. Gero Lenhardt, (2008) The Institutional Crisis of the German Research University Higher Education Policy 21, 49–64. doi:10.1057/palgrave.hep.8300178

[10] Harold T. Shapiro, (2009). Higher Education and Society. UNESCO 2009 World Conference on Higher Education. Trends in higher education. Published with support from SIDA/SAREC

[11] მექვაბიძე რ. ეკონომეტრიკის სალექციო კურსი. გორის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. ISBN: 99926-896-9-1, 2001, პროექტი : HESP 13/01/2001

[12] https://ru.scribd.com/doc/179179154/ეკონომეტრიკა პრაქტიკაში

[13]ftp://146.255.229.150/Gori%20University%20FTP/saxelmzgvanelo/gadawyvetilebis%20miRebis%20teqnologia%20praqtikaSi.pdf

[14] https://ru.scribd.com/document/126200946/Study-Modul-Decision-Making-Technology-in-Practice-for-Social-Policy-Analysis-ENGLISH

[15] რუიზან მექვაბიძე (2017), კვლევის მეთოდები და მოდელები ტურიზმსა და სასტუმრო მენეჯმენტში. გამომცემლობა „უნივერსალი“, e-mail: universal@internet.ge, UDC: 338.488.2:640.41+519.87+005.642+004.415.2; ISBN: 978-9941-26-039-*1*

[16] გიორგი სოსიაშვილი (2017). *ევროპელი და ამერიკელი მოგზაურები საქართველოში (XIX-XX სს). გამომცემლობა „უნივერსალი“, e-mail: universal@internet.ge UDC: 94(479.22)+910.4(479.22); ISBN:978-9941-26-037-7*

[17] თეა ხორგუაშვილი, ხალიანა ჩიტაძე (2017). ფინანსური ანალიზი და სასტუმრო შემოსავლების მართვა. გამომცემლობა „უნივერსალი“, e-mail: universal@internet.ge, UDC: 657.15+336.2; ხ-753; ISBN: 978-9941-26-043-8

Ruizan Mekvabidze

Gori State Teaching University

FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS: ANALYSIS OF MANAGEMENT OF INTEGRATION OF GORI UNIVERSITY INTO THE INTERNATIONAL EDUCATION AREA, 1997-2017

RESUME

In this work are considered the challenges of the problems of the educational reforms from 90s, in Georgia. In spite of the requirements according to the various situations the accent is stressed on the economic education because it was more problematic regarding of importance of changes in economic study process – transition from planned economy to the market economy. For solving this problem there are realized 29 grant projects in the period of 1997-2017. These projects helped me to provide internationalization and integration into the international education area of Gori University on the basis of formation, realization and management of the prepared the grant projects. My activities by these projects in the period of 1997-2017 can be considered by six steps: 1. Library enhancemen for the study of economics, 1997-1998 and then the worked out the text books in 2001-2017; 2. Creation the international information and communication center and its management in 1999-2001; 3. Creation IREX/IATP Gori internet center in 2001-2009; 4. Mobility of academic personnel and students in 2011-2017; 5. Memorandum with realization of dual diploma; 6. Providing the recruit of students for English language IT program.

Key words: Educational reform, grant projects, European educational area, integration, internationalization, dual diploma, recruit of students for English language IT program.

ნანა ნადირაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მცირე და საშუალო მეწარმეობის SWOT ანალიზი და განხორციელებული პროექტები

2014 წლის ივნისიდან, საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" განხორციელება დაიწყეს. სამთავრობო პროგრამა მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ, რომლის მთავარ მიზანს მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროგრამას ახორციელებენ:

- სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო;
- სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

პროგრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. პროგრამა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში. პროგრამა გამიზნულია: ახალი ბიზნესის წამოწყებისათვის და არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისათვის. პროგრამა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება:

➢ პირველ ეტაპზე ხდება ბიზნესიდეის წარდგენა, ონლაინ აპლიკაციის შევსება, განაცხადის გადარჩევა პროგრამის კომისიის მიერ, შერჩეული ბიზნესიდეების ავტორების გადამზადება ბიზნესიდეის ბიზნესგეგმად გარდასაქმნელად;

➢ მეორე ეტაპზე ხდება ბიზნესგეგმის წადგენა. ბიზნესგეგმის განაცხადის შევსება ვებგვერდზე, განაცხადების გადარჩევა პროგრამის კომისიის მიერ, საუკეთესო ბიზნესგეგმების გამოვლენა, საუკეთესო ბიზნესგეგმების ავტორების მიერ 20%-ის თანამონაწილეობის თანხის დაფარვა, საუკეთესო ბიზნესგეგმების ავტორებზე მიკრო გრანტების გაცემა.

სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, 4 წლის მანძილზე 170-მდე პროექტი დაფინანსდა, მათმა ჯამურმა ინვესტიციამ კი 400 მილიონი ლარი შეადგინა. მხოლოდ ამ ინვესტიციების საშუალებით ჩვენს ქვეყანაში 7 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი გაჩნდა. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ამ პროგრამის ფარგლებში 100 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში დაფინანსდა 20-ზე მეტი პროექტი და ჯამური ინვესტიციების ოდენობა 34 მილიონ ლარს შეადგენს.

კინოინდუსტრიის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 7 მილიონზე მეტი ლარის ინვესტიცია. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი კომპონენტის ფარგლებში გადამზადებული იქნა 9 ათასამდე ბენეფიციარი. თანადაფინანსება მიიღო 5 ათასამდე ბენეფიციარმა და შეიქმნა 5 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი სოფლად.

მცირე და საშუალო ბიზნესის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარე:	**სუსტი მხარე:**
- ხელსაყრელი ბიზნესგარემო; - გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და განვითარებული სახელმწიფო სერვისები; - ბიზნესის დაწყების მარტივი პროცედურები; - მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საკონსულტაციო მომსახურება; - მთავრობა კორუფციის გარეშე; - მცირე საგადასახადო ტვირთი და შეღავათიანი საგადასახადო სისტემა მიკრო და მცირე ბიზნესებისათვის; - რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის სიმარტივე და დაბალი ხარჯი; - ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმები; - კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა; - მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტიტუტები; - მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები; - ელექტრო ენერგიაზე დაბალი ხარჯი და ა.შ.	- სამეწარმეო უნარების და გამოცდილების ნაკლებობა; - კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; - დაბალი პროდუქტიულობა; - ფინანსებზე, გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე შეზღუდული წვდომა; - ინოვაციების და კვლევის დაბალი დონე; - კვლევისა და განვითარების ინსტიტუტების და კერძო სექტორის არასაკმარისი თანამშრომლობა; - ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები; - ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა; - უცხოური ბაზრების შესახებ ცოდნის დაბალი დონე; - ექსპორტისა და ინტერნაციონალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა.
შესაძლებლობები:	**საფრთხეები:**
- კარგად განვითარებული ალტერნატიული დაფინანსება; - შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა; - კარგად განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურა; - შემცირებული ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში; - წარმოების დივერსიფიკაცია; - საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; - კარგად განვითარებული საკონსულტაციო მომსახურება; - ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის პოტენციალის გაძლიერება; - თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა.	- საგარეო ეკონომიკური ფაქტორების გაუარესება (ფინანსური კრიზისი, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირება); - ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება; - პოლიტიკური არასტაბილურობა; - მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში ინვესტიციების დაბალი დონე; - არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები; - საერთაშორისო კონკურენციის ფონზე მცირე და საშუალო საწარმოთა დაბალი შესაძლებლობები; - ბიზნეს-საგანმანათლებლო პროგრამებში მცირე და საშუალო საწარმოების არასაკმარისი მონაწილეობა.

ახალ სამთავრობო პროგრამას „აწარმოე საქართველოში" აქვს რამდენიმე მიმართულება: ინდუსტრიული მიმართულება, სოფლის მეურნეობის მიმართულება, ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, ტრენინგები და კონსულტაციები.

- ინდუსტრიული მიმართულების პრიორიტეტებია: სამშენებლო მასალების წარმოება, რეზინის, პლასტმასის, მუყაოს და ქაღალდის პროდუქციის წარმოება, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება და ხის დამუშავება, საკვები პროდუქტებისა და მინერალური წყლის წარმოება და ა.შ.
- სოფლის მეურნეობის პრიორიტეტებია: ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების, მწვანილის და სოკოს მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობის შექმნა, მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ან მეღორეობის ფერმის ჩამოყალიბება, მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის ძვირფასბეწვიანი ცხოველების ფერმის დაფუძნება, თევზის წარმოება, მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება, საჩითილეებისა და სანერგე მეურნეობების გამართვა, მატყლის, ტყავის გადამუშავება, დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავება, ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება, მარცვლეულის საშრობების გამართვა და ა.შ.

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო მხარდაჭერა უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გამოიხატება იმაში, რომ დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მთელი რიგი პირობებით, კერძოდ:

- საწარმოს შექმნისა და წარმოების დაწყების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად თბილისში შესაბამისი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ ექვსმაგი, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში არანაკლებ ოთხმაგი ინვესტიციის განხორციელება;
- პროგრამის ბენეფიციარის სტატუსის მოსაპოვებლად მეწარმე სუბიექტი წარადგენს შესაბამის განაცხადს და საინვესტიციო თანხის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, რომლის ვადა განისაზღვრება 30 თვით და ა.შ.

2015 წლის 15 მარტიდან საქართველოს რეგიონებში „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში დაწყებულია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უწყობს საკუთარი საქმის წამოწყებაში და დადებით გავლენას ახდენს რეგიონის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას მეწარმეების დაფინანსებისა და ცოდნის ამაღლების გზით. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ თანადაფინანსება იდეის განსახორციელებლად (5,000 ლარამდე 1 მეწარმე, 10,000 ლარამდე 2 მეწარმე, 15,000 ლარამდე 3 მეწარმე).

2016 წლიდან სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში" ახალი კომპონენტი დაემატა, რომელიც მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, შექმნას სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას. ახალი კომპონენტი მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ „ფრენჩაიზინგის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსებით. „აწარმოე საქართველოში“ ძალიან წარმატებული პროგრამაა. იმ პერიოდის განმავლობაში, რაც პროგრამა ფუნქციონირებს, 200-ზე მეტი საწარმოა შექმნილი. დღეს პროგრამამ 400 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიციის პოტენციალი შექმნა და 10,000-ზე მეტი ადამიანი დაასაქმა, განხორციელებულ პროექტებს შორისაა:

1. შპს „ისეკო“ ფოლადის მილებს აწარმოებს, რომლებიც როგორც გაზისა და წყლის გაყვანილობებსა, ასევე სამშენებლო კონსტრუქციებში გამოიყენება. კომპანიას პროდუქცია ექსპორტზე უკვე გააქვს სომხეთში, თუმცა ახლო მომავალში პროდუქციის აზერბაიჯანში ექსპორტსაც გეგმავს.
2. შპს „დენოლას“ კომპანია პარალონსა და აქაფებულ პოლიურეტანის წარმოებაზეა კონცენტრირებული და ავეჯის კომპანია „ემბავუდს“ ამარაგებს, რომელსაც მზა პროდუქცია გააქვს აზერბაიჯანში.
3. შპს „შარავანდის“ საქმიანობა ეტიკეტებისა და სხვადასხვა სახის პოლიმერული შესაფუთი მასალების წარმოებას მოიცავს; კომპანია უკვე 15 წელზე მეტია არის ქართულ ბაზარზე და სახელმწიფოს დახმარებით მოახდინა საწარმოს გადაიარაღება.
4. შპს „ჯორჯიან პროდაქტსი“ ცხოველების ავეჯის წარმოებას ახორციელებს და ახდენს წარმოებული პროდუქციის 100%-ის ექსპორტს ევროკავშირის ბაზრებზე. კომპანიამ შექმნა 360-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

5. შპს „ჯეოკეპი“ კი კავკასიის რეგიონში პირველი, პლასტმასის საცობების, პრეფორმებისა და პლასტმასის ბოთლების მწარმოებელი მაღალტექნოლოგიური საწარმოა.

6. შპს „G&A GROUP“-ს საწარმო, რომელმაც სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება და ახალი ბაზრების ათვისება შეძლო. კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობის მართვა და გაყინული ხორცპროდუქტების, ასევე თევზის იმპორტი წარმოადგენდა, ხოლო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით კომპანიამ ნახევარფაბრიკატებისა და თევზეულის წარმოებაც შეძლო. საწარმო, სადაც ამჟამად 70 ადამიანია დასაქმებული, ყოველთვიურად 15-20 ტონა ნახევარფაბრიკატსა და თევზს აწარმოებს, ხოლო სულ რაღაც 6 თვეში კომპანია წარმოების ზრდას გეგმავს, კერძოდ, თვეში პროდუქციის წარმადობა 100 ტონამდე გაიზრდება.

7. შპს „LG Glass“-ის განახლებული საწარმოს სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ მონაწილეობამ კომპანიას ბიზნესის ახალი მიმართულების განვითარების საშუალება მისცა. კერძოდ, შპს „LG Glass“-ი, რომლის ძირითად საქმიანობასაც მინაპაკეტის წარმოება წარმოადგენს, ბუნებრივი ქვის მოპოვებასა და გადამუშავებას იწყებს. სწორედ მოცემული მიმართულების განვითარებისათვის კომპანიამ წარმოებისათვის საჭირო ძირითადი საშუალებები შეიძინა და წარმოების ზრდას გეგმავს. შპს „LG Glass“ წარმატებით ახორციელებს მინის თერმულ დამუშავებას, კერამიკულ დაფარვას, ალუმინისა და მეტალოპასტმასის ნებისმიერი სახის ვიტრაჟების მოხატვას, ფანჯრების, კარების და სხვა სამშენებლო კონსტრუქციების აწყობასა და მონტაჟს. თუკი ადრე მსგავსი პროდუქცია მხოლოდ უცხოეთიდან შემოდიოდა, დღეს მისი წარმოება ადგილზე არის შესაძლებელი. კომპანიას ასევე დაგეგმილი აქვს გაფართოება და მალე შეძლებს მინის, ქვისა და ლითონის დიდი საწარმოს შექმნას და ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. კომპანიაში ამჟამად 25 ადამიანია დასაქმებული.

8. სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმო „დარ კაპიტალი“, რომელმაც პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში შეძლო წარმოების გაფართოება. კომპანიის საწარმოო პროფილი წყლისა და კანალიზაციის მილების, შეკიდული ჭერის, მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების წარმოებას მოიცავს. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 5 300 000 ლარს შეადგენს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 150 ადამიანს უტოლდება.

9. შპს „მილი“ რუსთავის გზატკეცილის #36-ში მდებარეობს და პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს, ხოლო სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 318 500 ლარს შეადგენს. კომპანია ამჟამად ეკალმავთულს, ლურსმანს და მავთულბადეს აწარმოებს,

მცირე ბიზნესის განვითარებაში წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყოველმხრივი და სტაბილური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ფორმით. პირველ რიგში საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღავათიანი საბანკო კრედიტები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონმდებლობის მიღება და მისი დაცვა. მცირე მეწარმეობის განვითარების კორექტული კომპლექსური პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

ლიტერატურა:

1. მიხეილ ჯანელიძე. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. საქართველოს ევროპული გზა. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. აპრილი. N4. გვ. 28-31. - თბილისი, 2015.
2. მადონა ხუსკივაძე. მცირე ბიზნესის განვითარება დასავლეთ საქართველოს ხის დამამუშავებელ მრეწველობაში. ქუთაისი. 2014.
3. თამარ კილაძე, თამარ რუხაძე. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. [ტ.] VII. გვ. 496-500. თბილისი, 2014.
4. ნანი მამფორია. მცირე და საშუალო ბიზნესი - ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფაქტორები. ბიზნეს-ინჟინერინგი ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია. N1. - გვ. 64-66. თბილისი, 2014.
5. ხათუნა თოდუა. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები. ბიზნეს-ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია. N1. გვ. 44-46. - თბილისი, 2014.

6. ქეთი დორეული. მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა საქართველოს რეგიონების განვითარებისათვის. სოციალური ეკონომიკა: XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები: საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, თბილისის ახალი უნივერსიტეტი და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ივნისი. - N2(32). - გვ. 162-164. - თბილისი, 2014.
7. ვალერი კატუკია. მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური უზრუნველყოფა, პრობლემები და შემაფერხებელი გარემოებები. სოციალური ეკონომიკა: XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები: საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, თბილისის ახალი უნივერსიტეტი და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. იანვარი-თებერვალი. - N1(31). გვ. 69-71. თბილისი, 2014.

Nana Nadirazde
Gori State Teaching University

SMALL AND MEDIUM ENTERPRISES SWOT ANALYSES AND IMPLEMENTED PROJECT RESUME

Since June 2014, by the prime minister initiative, the ministry of Economy and Agriculture started the new government program “Produce in Georgia”. The program includes the micro and small enterprise promotion of financial and technical support in the regions of Georgia. The program is carried out in the regions of Georgia. The program is: for the extension of existing business. In the state program “Produce in Georgia” about 170 projects were financed during 4 years, and their total investment was 400 million GEL. Within this program, in our country more than 7000 jobs have been created. More than 100 million GEL, investment has been made during this program. In hotel industry has financed more than 20 projects and the number of total investment is 34 million GEL.
Among the implemented projects:
1. OOO "Alco" produces stainless steel pipes, which are used as gas and water pumps and building structures. The company already exports its products to Armenia, but plans to export its products to Azerbaijan in the near future.
2. Denola concentrates on the production of a polaron and a polyurethane manufacturer and supplies the furniture company Embawood, which produces finished products in Azerbaijan.
3. The activities of the company "Sharkand" includes labels and various polymer packaging materials; The company has been on the Georgian market for more than 15 years, and with the help of the state the enterprise was re-equipped.
4. LLC "Georgian goods" carries out the production of furniture for animals and exports 100% of the products to the EU markets. The company has created more than 360 new jobs.
5. Geocopy LLC is a high-tech enterprise for the production of plastic containers, preforms and plastic bottles in the Caucasus region.
6. OOO G & A GROUP, which was able to expand the range of products and use new markets within the state program "Production of Georgia". The main activities of the company were management of warehouse and refrigeration farms and frozen meat products, as well as fish imports, and with the support of the "Products in Georgia" program, the company managed to produce semi-finished products and fish. The company, which now employs 70 people, produces 15-20 tons of semi-finished products and fish and plans to increase production in just six months, namely, the productivity per month will increase to 100 tons.

ნინო ორჯონიკიძე, მანანა ჯაფიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სახელმწიფო საწარმოები და მათი კლასიფიკაცია

ქვეყნის სიდიდის, ეკონომიკური მდგრადობისა და ადმინისტრაციული რესურსების გათვალისწინებით, საქართველოში, მასზე მასშტაბით უფრო დიდ და განვითარებულ სახელმწიფოებთან შედარებით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რაოდენობა საკმაოდ დიდია. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) 2014 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით 344 სახელმწიფო საწარმო ფუნქციონირებს, აქედან 24 საწარმო მართვის უფლებით აქვს გადაცემული სხვადასხვა სამინისტროს თუ კერძო ინვესტორს, 10

საწარმო – სს საპარტნიორო ფონდს, ხოლო 11 საწარმო იმყოფება ლიკვიდაციის რეჟიმში. 2014-2015 წლებისათვის განხორციელდა კიდევ 50–მდე სახელმწიფო საწარმოს ლიკვიდაცია.

სახელმწიფო ქონების (მათ შორის სახელმწიფო საწარმოების) მართვაში/განკარგვაში შეიძლება მოვიაზროთ სარგებლობა, პრივატიზება, მართვის უფლებით გადაცემა, რეალიზაცია, ლიზინგის ფორმით გადაცემა და რეგისტრაციის გაუქმება/ლიკვიდაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ პოლიტიკას განსაზღვრავს და წარმართავს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“. სააგენტო სახელმწიფო საწარმოებში ახორციელებს პარტნიორის უფლებამოსილებებს, აგრეთვე, იღებს გადაწყვეტილებებს საწარმოს კაპიტალში ცვლილების განხორციელებისა და კომპეტენციის ფარგლებში სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება თავიანთი საქმიანობის სფეროებით. ყველაზე მნიშვნელოვან სექტორებად უნდა მივიჩნიოთ:

- სამედიცინო მომსახურება - 88 საწარმო;
- ტრანსპორტი, ტრანსპორტირება - 16 საწარმო;
- კომუნიკაცია - 3 საწარმო;
- წყალმომარაგება - 2 საწარმო;
- სამშენებლო სერვისები - 17 საწარმო;
- ტურიზმი - 13 საწარმო.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო საწარმოს წილები/აქციები მართვის უფლებით შეიძლება გადაეცეთ სხვა სუბიექტებს. დღესდღეობით, 17 საწარმო მართვის უფლებით გადაცემული აქვს სხვადასხვა სამინისტროს მათი მმართველობის სფეროსა და კომპეტენციის შესაბამისად (4 საწარმო გადაცემულია ფონდის, ხოლო 13 უშუალოდ სააგენტოს მიერ). 5 საწარმო გადაცემულია სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირებისთვის, 6 საწარმო კი სააგენტოს მიერ მართვის უფლებით გადაცემულია კერძო ინვესტორებზე.

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი და ფინანსურად გამართული საწარმოები საკუთრებაში გადაცემული აქვს სს საპარტნიორო ფონდს (შემდგომში – ფონდი). ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.)· ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი კომპანიებისგან:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი;
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი;
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100%;
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - 100%;
- სს თელასი - 24,5% წილი.

გარდა აღნიშნული საწარმოებისა, ფონდის საკუთრებაში არის კიდევ 5 კომპანია და ამ კომპანიების დაქვემდებარებაში მყოფი 12 კომპანია.

2012 წელს ქვეყანაში არსებული სახელმწიფო საწარმოების რიცხვი 1129–ს აღწევდა [მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში]. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში სააგენტომ დაიწყო არამომგებიანი, ვალაუვალი და ფიქციურად არსებული (არაფუნქციონირებადი) საწარმოების ლიკვიდაცია, გაკოტრება, შერწყმა; ზოგიერთი საწარმო მართვის უფლებით გადაეცა კერძო სუბიექტებს, განხორციელდა მრავალი საწარმოს პრივატიზება. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მათი რაოდენობა 2013 წლის ბოლოსთვის მნიშვნელოვნად შემცირდა და 373 შეადგინა. სააგენტო დროულად და ოპერატიულად ახორციელებს აღნიშნულ პროცესს, რაც ქმნის წინაპირობას, რომ მალევე მოხდეს წამგებიანი და სახელმწიფოსთვის არამნიშვნელოვანი საწარმოების ან/და მათი ქონების განკარგვა, ხოლო დარჩენილი საწარმოების შენარჩუნება და მათი შემდგომი ეფექტიანი გამოყენება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია 2012-2013 წლებში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის შესახებ:

მმართველი/წელი	2012	2013
სახელმწიფო (სააგენტო)	1129	373
ადგილობრივი თვითმმართველობები	103	111
აჭარა	97	63

მომდევნო ცხრილში კი წარმოდგენილია ინფორმაცია სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საწარმოების ფინანსური მდგომარეობის, მათში დასაქმებულ პირთა რაოდენობებისა და გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ:

საწარმოები:	მოგება-ზარალი (მლნ ლარი)		დასაქმებულ პირთა რაოდენობა		გაცემული შრომის ანაზღ. (მლნ ლარი)	
	2012	2013	2012	2013	2012	2013
სახელმწიფო (სააგენტო)	-9.8	25.3	7,334	7,235	60.2	63.6
ადგილობრივი თვითმმართველობები	-1.7	-6.3	3,246	3,468	11.2	14.6
აჭარა	-3.6	-0.4	4,472	671	25.9	4

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი 373 საწარმოდან ფუნქციონირებდა 74, ხოლო ინფორმაციას აწვდიდა მხოლოდ 66 საწარმო. 2012 წელს კი – 64 საწარმო 1129–დან (ფუნქციონირებდა 71). აღსანიშნავია, რომ ცხრილში არ არის შეტანილი შპს მარაბდა–კარწახის რკინიგზის მონაცემები, რადგან მიმდინარეობს კომპანიის მშენებლობა და 2013 იგი იმყოფებოდა 49.5 მილიონის ზარალზე. თანამედროვე ეტაპზე ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია უტარდება 153,4 კმ, ხოლო შენდება 27 კმ, რაც საერთო ჯამში 180,4 კმ-ია. ამავე ეტაპში შედის გვირაბი, სასაზღვრო-სარკინიგზო გვირაბის საერთო სიგრძე 4 470 მეტრია. მათ შორის, საქართველოს მხარეს - 2 070 მეტრი. მისი მშენებლობა საქართველოს მხრიდან 2013 წლის დეკემბერში დაიწყო და გაყვანილია 40 მეტრი, სამუშაოები მიმდინარეობს.

სახელმწიფო საწარმოებში, მათი სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ის საწარმოები, რომლებშიც უშუალოდ სახელმწიფო პირდაპირ ფლობს წილს. გარდა აღნიშნული ტიპის საწარმოებისა, ფუნქციონირებს საწარმოები, რომლებიც წმინდა სამართლებრივად სახელმწიფო საწარმოებად არ ითვლებიან, მაგრამ ისინი სახელმწიფო საწარმოებიდან თვისობრივად დიდად არ განსხვავდებიან, რადგან:

- ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დაფუძნებული საწარმოები - საწარმოში წილი შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივ თვითმმართველობას ან საქართველოს შემადგენლობაში შემავალ რომელიმე ავტონომიურ რესპუბლიკას, რომლებიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ერთეულებია და მათ მიერ დაფუძნებული საწარმოები სამართლებრივად სახელმწიფო საწარმოების კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, თუმცა ისინი ემსახურებიან ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ ავტონომიური რესპუბლიკის მიზნებს, ეს უკანასკნელნი კი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილებია;

- სახელმწიფო საწარმოების შვილობილი კომპანიები - აღნიშნული კომპანიები არ ითვლებიან სახელმწიფო საწარმოებად, რადგან მათში წილის უშუალო მესაკუთრე არის არა სახელმწიფო, არამედ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი. თუმცა, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ფაქტიური კონტროლი განახორციელოს აღნიშნულ კომპანიებზე მათ მიერ დაფუძნებული სახელმწიფო საწარმოების მეშვეობით.

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები - აღნიშნული ტიპის ორგანიზაციები საწარმოებად არ ითვლებიან, რადგანაც არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას (არ არიან მოგებაზე ორიენტირებულნი), თუმცა მათ საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს კერძო საწარმოები, რომლებზეც სახელმწიფოს კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა აქვს.

- სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სსიპ-ების მიერ დაფუძნებული კერძო საწარმოები - აღნიშნული საწარმოები, აგრეთვე არ ითვლებიან სახელმწიფო საწარმოებად, რადგანაც სსიპ დამოუკიდებელი სამართლებრივი ერთეულია და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი, როგორც იურიდიული პირის, სტატუსით/სახელით.

სახელმწიფო საწარმოების მართვის 2014-2015 წლების სტრატეგიის თანახმად, სააგენტოს მისიაა სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ ფასეულობებად გარდაქმნა, რისთვისაც აუცილებელია საწარმოთა ქმედითი მმართველობის უზრუნველყოფა, რის შედეგადაც უნდა მოხდეს არამომგებიანი და არაფუნქციონირებადი საწარმოების რაოდენობის შემცირება (ლიკვიდაცია, გაკოტრება, შერწყმა (რეორგანიზაცია), მნიშვნელოვანი და მომგებიანი საწარმოების სახელმწიფოს მართვაში დარჩენა;

დანარჩენების მიმართ კი უნდა განხორციელდეს რეორგანიზაციის პროცედურები, მათი პრივატიზებისა ან/და სხვა ფორმით განკარგვის მიზნით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო დაარსდა 2012 წლის 17 სექტემბერს და წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს და მრავალფუნქციური მიდგომების საშუალებითა და სერვისების შეთავაზებით ემსახურება საზოგადოებას. ორგანიზაციის ფუნქციაა უზრუნველყოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი მოვლა-პატრონობა, განკარგვა და სახელმწიფო საწარმოების მართვა. სააგენტო საქმიანობას ახორციელებს სამი ძირითადი მიმართულებით: სახელმწიფო უძრავი/მოძრავი ქონების მართვა, სახელმწიფო ქონების განკარგვა და სახელმწიფო საწარმოთა მართვა. აღნიშნული ფუნქციების სრულყოფილად განსახორციელებლად სააგენტო მუდმივად მუშაობს არსებული პროცედურების გაუმჯობესებაზე და ზრუნავს საკუთარი სერვისების სრულყოფასა და გამარტივებაზე, ასევე ისეთი ინოვაციური სერვისების დანერგვაზე, რაც დაინტერესებული პირებისთვის უფრო გამჭირვალეს და ხელმისაწვდომს გახდის სააგენტოს პროდუქტებს.

გასული პერიოდის განმავლობაში სააგენტო მრავალი გამოწვევის წინაშე იდგა. 2013 წლის ბოლოს ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე სააგენტომ შეიმუშავა 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი საქმიანობის სრულყოფისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით. 2014 წლის დასაწყისში სააგენტომ საკონსულტაციო კომპანიის „სინერჯი ჯგუფის“ დახმარებით შეიმუშავა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ვერტიკალურიდან ჰორიზონტალური მართვის მოდელზე გადასვლას ითვალისწინებს და სააგენტოს დასახული მიზნების მიღწევისა და შესაძლებლობების ეფექტური რეალიზების საშუალებას აძლევს. სააგენტოს მართვის ბერკეტები გადანაწილდა თავმჯდომარის სამ მოადგილეზე, რომლებსაც ფუნქციურად დაექვემდებარა სააგენტოს ყველა დანარჩენი სტრუქტურული ერთეული; 8 დეპარტამენტი, მათზე დაქვემდებარებული 17 სამსახური და 7 მომსახურების ცენტრი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა არსებული პროცესების ოპტიმიზაციის მიმართულებით. ჩატარებული სამუშაოების შედეგად მთლიანად აღიწერა სააგენტოს (დეპარტამენტები, სამსახურები) ბიზნეს-პროცესები, შემუშავდა რეკომენდაციები და ინსტრუქციები.

ინფორმაციის გაცვლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც, საბოლოოდ, დადებითად აისახა სახელმწიფო ქონებით დაინტერესებულ პირთა მომსახურებაზე. საჯარო რეესტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის დახმარებით შეიქმნა ახალი პროგრამულ უზრუნველყოფა - CRP, რომელიც მნიშვნელოვნად აჩქარებს და ამარტივებს სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლის სისტემას. სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვისა და განკარგვის უზრუნველყოფისათვის 2013 წლის მარტიდან სააგენტომ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის საპილოტე პროექტი დაიწყო, ხოლო რეგიონებში სრულმასშტაბიანი პროექტის განხორციელება დაიწყო 2015 წლის მარტიდან.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში სააგენტომ ასევე გარკვეული ნაბიჯები გადადგა მომხმარებლის ნდობის მოსაპოვებლად. 2014 წელს განვითარდა საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახური, ამოქმედდა online chat-ის მომსახურება, საქმისწარმოების მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე განმცხადებლის ინფორმირებულობის მიზნით ამოქმედდა მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მომსახურება. აგრეთვე 2014 წლის მარტიდან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდის **www.nasp.gov.ge**-ს მეშვეობით, ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მიიღოს სააგენტოსთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მონაცემი, მათ შორის - სააგენტოს მიერ შეთავაზებული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული და მიმდინარე პერიოდში საპრივატიზებოდ წარმოდგენილი ობიექტების შესახებ ინფორმაცია. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდის მიმართულებით - დაკომპლექტდა გაყიდვების სამსახური. სამსახურის მთავარი ფუნქცია ქონების პოტენციური შემძენ(ებ)ის ან მართვის/სარგებლობის უფლებით მიმღები პირების მოძიება და მათთან მოლაპარაკებების წარმართვა, ინფორმაციის გავრცელების არხების განსაზღვრა და ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელებაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების რაოდენობა წლების მიხედვით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სააგენტოს პრიორიტეტს წარმოადგენს იყოს ხელმისაწვდომი და მოქალაქეებს შესთავაზოს სწრაფი და ეფექტური მომსახურება ქვეყნის მასშტაბით. მომსახურების რეგიონული ცენტრების გარდა, დელეგირების საფუძველზე, სააგენტოს სერვისები ხელმისაწვდომი გახდა სსიპ - „იუსტიციის სახლის“ ფილიალებში, აღნიშნულის შედეგად დაინტერესებულ პირებს მიეცათ შესაძლებლობა დაზოგონ როგორც დრო, ასევე ფინანსური რესურსები. გარდა ამისა, სერვისების დელეგირება ემსახურება ღია

მმართველობის პარტნიორობის (OGP) პროგრამაში საჯარო მომსახურების გაუმჯობესების მიზანს.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვა. გასული პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული მოქმედი საწარმოების რეალური მდგომარეობის შესაფასებლად და შემდგომი მონიტორინგის სისტემის დასანერგად. უწყვეტად მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მინიმიზაცია,

ოპტიმიზაციის კუთხით. ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების პროცესში მნიშვნელოვანია საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ეფექტური მონიტორინგი. შესაბამისად, სააგენტო მუდმივად ზრუნავს შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენის და რეაგირების ისეთი სისტემის განვითარებაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მოიჯარეების და ინვესტორების კანონიერი ინტერესები. სააგენტოს საქმიანობის სრულყოფის მიზნით, საჯარო რეესტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის დახმარებით, მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიანი ელექტრონული პორტალის შექმნაზე. ახალი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად შესაძლებელი იქნება როგორც სხვადასხვა პროცესების გამარტივება, ასევე შრომითი რესურსის დაზოგვა. პორტალის გამოყენების კიდევ ერთ დადებით ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სააგენტოს შესაძლებლობა მიეცემა დანერგოს დაჩქარებული ელექტრონული სერვისები.

2015 წლის ბოლოს სააგენტოს წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისად განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის ეფექტურ განვითარებას. 2016 წლის განმავლობაში სააგენტოს განზრახული აქვს წარმატებას მიაღწიოს 5 მიმართულებით და, შესაბამისად, 2016 წლისათვის განისაზღვრა ხუთი ძირითადი ამოცანა და ამ ამოცანების შესაბამისად მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა.

ლიტერატურა:

1. თეა ლაზარაშვილი, სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. N[ტ.]IV. - გვ. 137-146. თბილისი, 2011.
2. სოლომონ პავლიაშვილი. სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფისათვის. მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი. ეკონომიკა და ბიზნესი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივლისი-აგვისტო. N4. გვ. 129-136. თბილისი, 2010.
3. სახელმწიფო საწარმო როგორც მეწარმეობრივი საქმიანობის ფორმა. "მეტეხი": ინტერდისციპლინარული სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისის საერო უნივერსიტეტი "მეტეხი". თბ., 2009. ტ. II. - გვ. 26-29. თბ., 2009
4. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ”;
5. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ”;
7. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ”;
8. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”.

Nino Orjonikidze, Manana Japiashvili

Gori State Teaching University

STATE-OWNED ENTERPRISES AND THEIR CLASSIFICATION

RESUME

Given the size, economic sustainability and administrative resources of the country, the number of enterprises established by the Partnership for the Participation of States is relatively large compared to the larger and more developed countries in Georgia. According to data for October 2014, 344 state enterprises operate in the country, including 24 business management rights, various ministries or private investors, 10 enterprises and 11 enterprises are in liquidation mode, according to the National Agency of State Property (hereinafter - the Agency). More than 50 state enterprises were liquidated for 2014-2015.

Important and financed enterprises were transferred to the Partnership Fund of JSC (hereinafter - the Fund). The main purpose of the fund is to encourage investments in Georgia through participation in the initial stage of investment projects (joint investment in shares, subordinated loans, etc.). The portfolio of fixed assets includes the following companies:

- Georgian Railway - 100%;
- Georgian Oil and Gas Corporation - 100%;
- Georgian State Electricity System - 100%;
- commercial operator of the electric power system - 100%;
JSC Telasi - 24.5%.

In addition to these enterprises, the fund has 5 more companies and 12 companies under the control of these companies.

The main direction of the National Agency of State Property is the management of enterprises on the basis of state share participation. During the past period, important work was done to assess the real state of existing enterprises and implement an additional monitoring system. Minimize the enterprises created by the state share participation, From the point of view of optimization. Effective monitoring of the implementation of investment commitments is important for improving the business environment and improving the investment environment. Accordingly, the Agency constantly cares about the development of a system for detecting and responding to unfulfilled obligations, when the legitimate interests of tenants and investors are taken into account. With the help of the Department of Information Technologies of the State Register, in order to improve the activities of the Agency, work is underway to create a single electronic portal for accounting and disposal of state property. The use of new software will facilitate the simplification of various processes, and will also save labor resources. Another positive aspect of mobile use is the fact that the agency will be able to implement accelerated electronic services. By the end of 2015, the tasks facing the Agency are determined by strategic goals and objectives that will contribute to the effective development of the organization. During 2016, the Agency intends to succeed in five directions, and accordingly, in 2016 five main tasks and an action plan for the current year were identified.

ლალი ოსაძე, სოფიო ცეცხლაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კონკურენციის პოლიტიკა და საქართველო

საქართველოში არსებულ რთულად მოსაგვარებელ საკითხთა შორის ერთ-ერთი კონკურენციის პოლიტიკაა. თავისუფალი კონკურენციის განვითარება ბაზრის წარმატებით ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, ამიტომ ქვეყანაში მისი არსებობა ცალკეული დარგებისა, თუ კომპანიების ეფექტური განვითარების ინდიკატორია, რაც მომხმარებელთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას, მათი კეთილდღეობის ზრდასა და, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას განსაზღვრავს. გამართული კონკურენციის პოლიტიკის არსებობა (როგორც უწყების, ასევე კანონმდებლობის) არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს, არამედ ქვეყნის საერთაშორისო არენაზე ღირსეულად წარმოჩენისა და ინტეგრაციისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. [1. გვ. 2]

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური თავისუფლების და საკუთრების უფლების განუხრელ პატივისცემას და დაცვას. ამავდროულად სახელმწიფო შეასრულებს ეკონომიკურ პროცესებში სამართლიანობის დაცვის გარანტორის ფუნქციას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა მცირე, ეფექტიანი და გამჭვირვალე მთავრობის პირობებში. ეს გულისხმობს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, სადაც კერძო სექტორი თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას კერძო სექტორი წარმოადგენს. სახელმწიფო მინიმალურად ჩაერთვება სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ გაუწევს კერძო სექტორს. სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმიანობით, სადაც კერძო სექტორი სუსტი და არაეფექტიანია.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას განიხილავს, როგორც ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას. კონკურენციის არსებობა როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი

პირობაა. უზრუნველყოფილ უნდა იქნას საერთაშორისო ვაჭრობისადმი ორმხრივი გახსნილობა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების არეალის გაფართოება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ადგილი ჰქონდა ეკონომიკური რეფორმების ორ ტალღას. პირველი ტალღა, რომელმაც ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძველი შექმნა, განხორციელდა 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ. ამ პოლიტიკამ რეფორმების პირველ ეტაპზე მოახდინა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს შეფერხდა. 2004 წელს დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რაც, მათ შორის, გამოიხატა გადასახადების, ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებაში. ამ წლებში არსებული ბიზნესის გარემოს ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ქვეყანაში ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას, რამაც შეაფერხა ჯანსაღი ბიზნეს გარემოს განვითარება. ამასთან, კონკურენციის სუსტი რეგულირება და მარეგულირებელი გარემოს სხვა ჩავარდნები არ ქმნიდა კონკურენტულ გარემოს, რაც, მათ შორის, უარყოფითად აისახა ინოვაციების და მწარმოებლურობის ზრდაზე კერძო სექტორში. თანდათან ჩამოყალიბდა ისეთი ეკონომიკური გარემო, რომელსაც არ გააჩნია შესაძლებლობა ხელი შეუწყოს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და საბოლოო ჯამში, ეკონომიკა მიიყვანა სისტემურ კრიზისამდე. [2. გვ. 4-5].

ცნობილია, რომ კონკურენციის განვითარების და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კონკრეტული პირობების შესრულება, უპირველეს ყოვლისა, კი ბაზარზე შესვლა უნდა იყოს თავისუფალი. თუმცა, თავისუფალი შესვლის შემთხვევაშიც, შეიძლება ფირმა ვერ გახდეს მიმწოდებელი, რადგან ზოგიერთ დარგში, მათი მაღალი კაპიტალტევადობის გამო (ენერგეტიკული სექტორი, ფოლადის წარმოება, მანქანათმშენებლობა), მოთხოვნაა დიდ კაპიტალზე, რაც ცალკეული მწარმოებლისათვის ძნელად მისაღწევია. იმ სფეროებშიც კი, სადაც, შედარებით მცირე კაპიტალია საჭირო, შეიძლება წარმოიშვას შესვლის დაბრკოლება (მაგალითად, ბანკების მხრიდან კრედიტზე უარის თქმის შემთხვევაში).

კონკურენციის პოლიტიკა დამოკიდებულია არა მარტო ბაზრის სტრუქტურაზე (ბაზრის ფორმები), ის მოიცავს აგრეთვე ბაზრის შედეგებსაც (ინოვაციური მიღწევები, ადაპტაციის უნარი, მწარმოებლურობა). კონკურენტული ბაზარი დაცული უნდა იყოს. გასათვალისწინებელია, რომ მეთვალყურეობა საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე, არის გამანეიტრალებელი პირობა კონკურენციის პოლიტიკაში, რადგან არსებული საბაზრო სტრუქტურა საკუთრების დაცვის მიზეზების გამო, ძნელად იცვლება, თუ კონკურენციის პოზიტიურად მიჩნეული ფუნქციები სრულდება. მაგრამ კონკურენცია, რადგან ის შეიძლება იყოს "არასასიამოვნო" (უარყოფითი შედეგების გამომწვევი), მაშინ საჭირო ხდება სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელის როლის გამოყენება.

კონკურენციის პოლიტიკა მიმართულია წესრიგის ჩარჩოსა და მისი შესრულების მეთვალყურეობის შექმნით მიაღწიოს ეფექტიან კონკურენციას. იგი ხორციელდება:

- კონკურენციის ხელის შეწყობით;
- კონკურენციის დაცვით;
- საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე ზედამხედველობით.

კონკურენციის უპირატესობა განისაზღვრება კონკურენტებთან შედარებით უკეთესის, უფრო რაციონალურის შეთავაზება, რომელმაც სამი პირობა უნდა დააკმაყოფილოს:

- მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს;
- საქონელი მომხმარებლის მიერ ადვილად აღქმული უნდა იყოს;
- ხანგრძლივობით უნდა ხასიათდებოდეს.

მაგალითად, თუ პროდუქცია შესაბამისად არ არის შეფუთული, ბუნებრივია, არ გამოდგება კონკურენტუპირატესობის ნიშნად, როგორც არ უნდა "სიცოცხლისუნარიანობით" ხასიათდებოდეს - მომხმარებელი ამ სიკეთეს ვერ აღიქვამს, და ესეც ვერ ჩაითვლება კონკურენციის უპირატესობად. ამრიგად, სამი კრიტერიუმის: "მნიშვნელოვანი - აღქმადი - ხანგრძლივი", ერთდროული განხორციელება დიდი მოთხოვნაა. [4, გვ. 84]

კონკურენციის უპირატესობანი რომ შექმნა და თავის დაცვაც შეგეძლოს, კარგად უნდა იცნობდე შენს კონკურენტებს, უნდა იცოდე კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეები და ითვალისწინებდე საკუთარი სტრატეგიის შემუშავებისას. "ლიდერი საწარმოები" ურთიერთობენ არა მარტო მომხმარებელთან, არამედ, თავის კონკურენტებთანაც. ბაძავენ მათ, ან აგროვებენ ინფორმაციას მათი საქმიანობის შესახებ. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში საწარმოები ასაიდუმლოებენ ინფორმაციას თავიანთი წარმატების შესახებ.

მსოფლიო ბაზრის "უცნობი მმართველები" არ არიან თავიანთი კონკურენტების იმიტატორები, მრავალი მათგანი უკვე უარს ამბობს კონკურენტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე, რადგან არ

სურთ, თავი კონკურენტებს შეადარონ. ისინი ამბობენ: კონკურენცია არ არის ჩვენი სტანდარტი, ჩვენ თვითონ ვაყალიბებთ საკუთარ სტანდარტებს. "ლიდერი საწარმოებისათვის" კონკურენციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია იმდენად, რათა შეამოწმოს აქვს თუ არა მას წინსვლა და ინოვაციური იდეები და პრობლემების ახლებურად ხედვის და გადაწყვეტის საშუალებები.

"სუპერ საწარმოები" საკმაოდ კარგად ითვალისწინებენ კონკურენციის უპირატესობის პრინციპებს. "უცნობი ლიდერები" მიზანდასახულად იყენებენ ყველა შესაძლებლობას კონკურენციის უპირატესობების შესაქმნელად. ისინი ნათლად ახდენენ კონცენტრირებას ძირითად საქონელზე, მომსახურებასა და სერვისზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის ფორმას საზოგადოებასთან.

გლობალიზაციის შედეგად, ინტეგრირებული ბაზრების პირობებში, შეიძლება ისეთი ჰიპოთეზის შექმნა, რომ საწარმოები საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის განსამტკიცემლად "დიდები" უნდა იყვნენ, მაგრამ ბაზრის დაპყრობამ არ უნდა მიგვიყვანოს კონკურენციის შეზღუდვამდე. ბაზრის პოზიცია შეიძლება ბოროტად (საკუთარი ინტერესების გატარება, სხვათა ინტერესების დათრგუნვის საფუძველზე) იქნას გამოყენებული. ასეთი მდგომარეობის გამო არსებობს საშიშროება, რომ ბაზარზე შესვლა შეუზღუდავი აღარ იქნება. იმისათვის, რომ დავადგინოთ, რამდენად შესაძლებელია ასეთი მოქმედება, ბაზრები უნდა გავმიჯნოთ.

ზოგადად, ძნელია საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრა. როდის აქვს მიმწოდებელს უპირატესობა და რა კრიტერიუმებს იყენებენ ბაზრის წილის განსაზღვრისას. უნდა დადგინდეს ბაზარზე შესვლის ბარიერები.

ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკაში რელევანტური ბაზრის გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ევროკავშირის კომისიამ კონკურენციის პოლიტიკის უფრო დიდი ტრანსპარენტულობისათვის რელევანტური ბაზრის დეფინიცია შემოგვთავაზა.

საგნობრივი და სივრცობრივი ხედვით უნდა განისაზღვროს, თუ რომელ კონკურენტ საწარმოს შესწევს ფაქტიურად ძალა, შეზღუდვები დაუწესოს სხვა საწარმოებს. სივრცითი რელევანტური ბაზრის გამიჯვნის დროს ითვალისწინებენ რეაქციებს: ფასების ცვლილებებზე, მოთხოვნა - მიწოდების ცვლილებაზე, მყიდველთა და კონკურენტთა რაოდენობაზე, ბაზარზე შესვლის შეზღუდვებზე, სატრანსპორტო ხარჯების ცვლილებაზე და სხვა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ბაზრის დეფინიცია არის საფუძველი რომელიმე სფეროში ბაზრის დინამიკის გამოკვლევისათვის.

რადგანაც დღევანდელ მსოფლიოში ოლოგოპოლიებია გაბატონებული, ამიტომ კონკურენციის შესახებ არსებულ წარმოდგენებს პრობლემები შეექმნა. სრულყოფილი კონკურენცია დღეს არარეალისტურია და არც მთლად სასურველი. განსაკუთრებით ნათელია ეს ინოვაციის ფუნქციასა და მის პროდუქტიულ მოქმედებასთან მიმართებაში.

დღეს ეკონომიკური აგენტები აღარ ცდილობენ დაამკვიდრონ ეკონომიკური და პოლიტიკური ნორმები, ამის ნაცვლად ისინი ორიენტირებულნი არიან კონცეფციებზე, რომლებსაც მტკიცე კავშირი აქვს რეალობასთან და ახლოს დგანან კონკურენციის პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტებთან.

კონკურენციის პოლიტიკით ხელი უნდა შევუწყოთ ეკონომიკურ თავისუფლებას: მეწარმეთა საქმიანობის თავისუფლება, პროფესიის და სამუშაო ადგილის არჩევის თავისუფლება, სამომხმარებლო საქონლის ყიდვის თავისუფლება და ა. შ. კონკურენციის თავისუფლება არის ინდივიდუალური თავისუფლების გამოხატულება და ამდენად აქვს ინდივიდუალური საფუძველი, რომელიც, მაგალითად, პიროვნების თავისუფალ განვითარებაში ვლინდება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ეკონომიკური თავისუფლება არ შეიზღუდოს.

მეორე მიზანია კონკურენციის ხელშეწყობა (მაგალითად მონოპოლიების შემთხვევაში), და თუ ვერ მოხერხდება საწარმოების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, მესამე მიზნად დავასახელებთ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვას.

კონკურენციის პოლიტიკამ შესაძლებელი უნდა გახადოს ბაზრებზე სამეწარმეო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის საჭირო მოქნილობის დამკვიდრება და რესურსების ქმედითუნარიანი ალოკაცია. ამით ხელი ანდა შეუწყოს ევროკავშირის ხელშეკრულებაში ჩადებული ერთობლივი მიზნების განხორციელებას. კერძოდ:

1) ეკონომიკური ცხოვრების ჰარმონიულ და დაბალანსებულ განვითარებას;

2) მდგრად ეკონომიკურ ზრდას გარემოს დაცვის გათვალისწინებით;

3) დასაქმების მაღალ დონეს;

4) სოციალური დაცვის გაუმჯობესებას;

5) ცხოვრების დონის და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას და მისი თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის ამაღლებას.

კონკურენციის პოლიტიკის ფარგლებში მიზანთა იერარქიის სხვადასხვა დონეზე შეიძლება

მიზანთა კონფლიქტებს ჰქონდეს ადგილი. ეს ძალაშია არა მარტო კონკურენციის, არამედ სხვა მიზნებისთვისაც - სამრეწველო პოლიტიკის, სამუშაო ადგილების შექმნის, შრომის ბაზრის და სხვა მიზნების შესრულებისას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებულ კვლევაში, „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“, გაანალიზებულია საქართველოში არსებული კონკურენციის ინსტიტუციური ჩარჩო და ნავთობპროდუქტებისა და სურსათის ბაზრებზე კონკურენციის თვალსაზრისით არსებული პრობლემები. კვლევაში ასევე მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ბაზარზე არსებული კონკურენციის ეფექტიანი რეგულირება:

- საქართველოს ეკონომიკა ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით და ფორმალური (საკანონმდებლო, ადმინისტრაციული) ბარიერების სიმცირით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, ბაზრის ზოგიერთ სეგმენტს კონცენტრაციის მაღალი ხარისხი ახასიათებს;
- საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი სტრუქტურული პრობლემა ბაზარზე კონკურენტული გარემოს და, ზოგადად, კონკურენციის სათანადო ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობით შეიძლება იყოს განპირობებული, ვინაიდან ლიბერალიზაციისა და დერეგულაციის პროცესი კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის გარეშე წარმატებული ვერ იქნება;
- საქართველოში კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა 2005 წელს გაუქმდა. შესაბამისად, კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ქმედითი ზედამხედველობა აღარ ხორციელდებოდა. ყოველივე ამან ბაზარზე უკვე დამკვიდრებული სუბიექტების ანტიკონკურენტული ქმედებების და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკები შექმნა;
- საქართველოში ახლახან შემუშავებული კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობით შემოტანილ იქნა კონკურენციის პოლიტიკის არსებობისათვის აუცილებელი საბაზისო რეგულაციები, რაც ეკონომიკური რეფორმების კუთხით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს;
- კონკურენციის შესახებ ახალი კანონით გათვალისწინებული გამონაკლისები, რომლებზედაც კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები არ ვრცელდება, არ შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციებს და ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ კონკურენცია საერთოდ გამოირიცხოს;
- რეალურად კონკურენტული ბაზრის სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ბაზარზე კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება, რაც ჯერჯერობით არ დაწყებულა.

<u>ნავთობპროდუქტების ბაზარი</u>

- ფორმალური ბარიერების სიმცირის მიუხედავად, დღეისათვის ნავთობპროდუქტების ბაზარზე ჩამოყალიბებულია ოლიგოპოლიური სტრუქტურა;
- ნავთობპროდუქტების ბაზარზე შეინიშნება, ერთი მხრივ, ბაზარზე მოქმედი კომპანიების რიცხვის შემცირების და, მეორე მხრივ, ფასების ზრდის ტენდენცია;
- ქართულ ბაზარზე საწვავის ფასების დინამიკას ერთგვარი ანომალია ახასიათებს, საერთაშორისო ბაზრებზე „პლატსის“ ფასების ზრდას ქართულ ბაზარზე საწვავის ფასის მატება მოსდევს, თუმცა საერთაშორისო ბაზრებზე „პლატსის“ ფასების კლებისას უმეტეს შემთხვევაში ქართულ ბაზარზე საწვავის ფასის შემცირების ტენდენცია არ შეინიშნება;
- ნავთობპროდუქტების ბაზარზე შეინიშნება პარალელიზმი როგორც სხვადასხვა კომპანიის მიერ დაწესებულ ფასებს შორის, ისე ამ ფასების ცვლილების დროს, რაც შეიძლება ამ სუბიექტებს შორის კომერციული სტრატეგიის კოორდინირების მცდელობაზე მიუთითებდეს;
- იტალიის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ რეგისტრირებულ იმ მონაცემებს შორის, რომლებიც იტალიიდან საქართველოში საწვავის იმპორტს ეხება, მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. მსგავს სურათს იძლევა ბულგარეთის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მონაცემების შედარებაც.

<u>საკვები პროდუქტების ბაზარი</u>

- საქართველო მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სურსათის იმპორტზე. ამიტომ 2010 წლის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო ბაზარზე კვების პროდუქტების ფასების ზრდამ საქართველოზეც მოახდინა გავლენა;
- რადგანაც სურსათზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში მაღალია (2007–2009 წლებში ეს წილი 43% იყო, ხოლო 2010-2011 წლებში – 38,8%), მნიშვნელოვანია, რომ კვების პროდუქტების ბაზარზე არაკონკურენტული გარემო არ ახდენდეს ფასებზე გავლენას;
- საქართველოში რძის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ნატურალური რძის და წარმოებული ხორცპროდუქტების ოდენობა ვერ აკმაყოფილებს ქართულ ბაზარზე არსებულ მოთხოვნას.

დანაკლისი იმპორტით ივსება. რძის პროდუქტების შემთხვევაში ასევე გამოიყენება რძის ფხვნილი და მცენარეული ცხიმი;

• რძის პროდუქტების ბაზარზე არსებულ პრობლემებს შორის პროდუქციის ფალსიფიკაციას და ეტიკეტირების წესების დარღვევას გამოყოფენ; ხორცპროდუქტების ბაზარზე კი ძირითადად პროდუქციის უვნებლობის პრობლემა გამოიყოფა. პრობლემაა ასევე ხორცპროდუქტებში საკვები დანამატების გამოყენება და მათი კონტროლის სისტემის არარსებობა;

• ქართულ ბაზარზე ბოლო პერიოდში რძის პროდუქტებისა და ხორცპროდუქტების ფასების ზრდის მკვეთრად გამოხატული დინამიკა შეინიშნება. ამასთანავე, ბაზრის წამყვანი ფირმების მიერ მიწოდებული ერთგვაროვანი პროდუქტების ფასებზე დაკვირვება მათი პარალელიზმის მკვეთრად გამოხატულ ტენდენციას ავლენს;

• სურსათის ბაზარზე არსებული კონკურენციის დინამიკაზე გავლენას ახდენდა ინსტიტუციური ფაქტორები. 2004 წელს სურსათის უვნებლობის სფეროში დაწყებული რეფორმა 2006 წელს შეჩერებულ იქნა. შედეგად, აღარ არსებობდა სტაბილური სახელმწიფო ზედამხედველობა სურსათის უვნებლობაზე, რაც მომხმარებლის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს სერიოზულ რისკს უქმნიდა; 2009 წელს სურსათის უვნებლობის სფერო და კონკურენციის სფერო ევროკომისიამ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA) მოლაპარაკებების დაწყებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებად დაასახელა;

• საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 8 მაისს მიღებული კოდექსი წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს. [2]

რეკომენდაციები

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

• კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება, რათა განხორციელდეს კონკურენტული გარემოს ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობა და შეიქმნას კონკურენციის ხელშემწყობი უკეთესი პირობები;

• საქართველოსა და ევროკავშირის ბაზრების თავსებადობის გაზრდის მიზნით მოხდეს კანონმდებლობის დახვეწა, რათა მოხდეს ბაზრის ეფექტიანი რეგულირება;

• კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და ბიზნესის სხვადასხვა სექტორში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციების ეფექტიანი გამიჯვნა;

• საქართველოში იმპორტირებული ნავთობპროდუქტების რაოდენობების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით შემოსავლების სამსახურის მიერ ამ რაოდენობების იმპორტიორი ქვეყნების საბაჟო ორგანოების მიერ რეგისტრირებულ შესაბამის მონაცემებთან შედარების უზრუნველყოფა;

• რეალურად კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით ნავთობპროდუქტებისა და სურსათის ბაზრებზე კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს – ჩარევა, კონკურენტული გარემოს შეფასება და მოკვლევის დაწყება, არიან თუ არა მოცემულ ბაზარზე მოქმედი კომპანიები კონკურენციის მიღმა.

როგორც აღვნიშნეთ, კონკურენციის განვითარების და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კონკრეტული პირობების შესრულება. კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობით შემოტანილ იქნა კონკურენციის პოლიტიკის არსებობისათვის აუცილებელი საბაზისო რეგულაციები, რომლებიც არ შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციებს. აუცილებელია ბაზარზე კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება.

ლიტერატურა:

1.http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/22256/კონკურენციის_მოხსენება_საბოლოო_21_10_2013_21_06_2013, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისი კონკურენციის პოლიტიკის დამკვიდრება, თბ. 2013.

2. https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, თბ., 2013.

3. http://www.transparency.ge/ge/content/stub-650
„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“, 2012

4. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, I ნაწ., თბ., 2012.

Lali Osadze, Sophio Tsetskhladze
Gori State Teaching University

COMPETITION POLICY AND GEORGIA

RESUME

Competition policy is one of the most challenging issues of Georgia. Georgian Government aims to implement the economic policy, which is based on the economic freedom and respect of the ownership rights and ensures the sustainable development of the country.

In the study of "Transparency International - Georgia" it is noted that the legislation governing the completion in Georgia was abolished in 2005 and hence, there was no due supervision whether companies have been following the rules and principles of fare competition. This created the risk of market power abuse by the well-established companies. Competition governing legislation adopted in 2012 introduces the necessary market regulations for fare market competition, but it also includes some exemptions, which are not in line with European Union regulations and create possibilities for significant part of the market not to follow the rules.

Competition policy should stimulate economic freedom: freedom of business operations, freedom of profession and job choice, freedom to buy consumer goods etc. Fair Competition is an expression of freedom of individual and hence, has the individual bases that for instance, shows up in free development of individual. Everything possible should be done to prevent the restriction of economic freedom.

Competition policy should make the establishment of necessary flexibility and effective resource allocation possible required for development of entrepreneurial and innovative initiatives. And thus, promote achievement of the following mutual goals stipulated in the Agreement with European Union:

- Harmonic and balanced development of economic life;
- Sustainable economic growth taking into account environmental concerns;
- High level of employment;
- Improved social security;
- Higher living standards.

It is necessary to have an effective government supervision over enforcement of competition rules and principles for the formation of competitive market structures.

ლია ოტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები

საქართველო ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, სადაც მიწათმოქმედებასთან ერთად ვითარდებოდა ხელოსნობა და თაობიდან თაობებს გადაეცემოდათ შრომის კულტურის საიდუმლოება. საქართველოში ძირითადად განვითარებული იყო საოჯახო სწავლება. თუ დავეყრდნობით ბერძნულ წყაროებს, საქართველოში უნდა ყოფილიყო სასკოლო სწავლებაც, რომელსაც ადასტურებს კოლხეთში არსებული გიმნაზიები. სკოლები ძირითადად მონასტრებთან არსებობდა. განათლებას საზღვარგარეთაც იღებდნენ ქართველები - კერძოდ პალესტინაში, ბიზანტიასა და სხვა საგანმანათლებლო კერებში. მე-5 საუკუნეში სირიაში არსებობდა ქართველთა განათლების ცენტრი, რომლის დამაარსებელიც იყო პეტრე იბერი (1).

საგულისხმოა ფერეიდანში და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ქართველთა მიერ სკოლების გახსნა. 1921 წელს ქართველი თავადი ჩასულა ფერეიდანში, სადაც დაჰყო გარკვეული დრო და გაეცნო იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ყოფას. თბილისში დაბრუნების შემედგ შეხვდა წიგნიერს და გავლენიან სეიფოლა ხან იოსელიანს. ერთი წლის შემდეგ სეიფოლა წიგნებით და სასწავლო ნივთებით ჩავიდა ფერეიდანში, რათა გაეხსნა სკოლა (4). გზად ირანში, შეხვდა სამხედრო მინისტრს რეზა ხან ფეჰლევის, რომლისგანაც მიიღო ნებართვა სკოლის გახსნაზე. იოსელიანი სასწავლო პროცესს წარმართავდა ქართულ, რუსულ და სპარსულ ენებზე. მის მიერ დაარსებული სკოლა მართალია მცირე ხნით ფუნქციონირებდა, მაგრამ მაინც მოასწრო, რომ ქართული ესწავლებინა 15-20 აღსაზრდელისათვის,

ასევე ასწავლა ქართული სოფელ ბოინის 4-5 ქართველს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართული ენის სწავლა შეძლო სეიფოლას ვაჟმა ფათულა ხანმა.

1928 წელს მარტყოფში არსებობდა პრიმიტიული საერო სკოლა, სადაც სწავლება მხოლოდ სპარსულ ენაზე ხორციელდებოდა. უსახსრობის გამო გლეხის შვილებს აღნიშნულ სკოლაში არ შეეძლოთ სწავლა.

40-იან წლებში 11 ქართულ სოფელში მხოლოდ 2 სკოლა ფუნქციონირებდა. ამჟამად, როგორც ფერეიდუნშაჰრში (მარტყოფი), ისე დარანში (ფერეიდანი) დაარსებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც თითოეულში სწავლობს ათასამდე სტუდენტი (4).

საქართველოში საგანმანათლებლო სისტემა ბოლო პერიოდში განიცდის რადიკალურ გარდაქმნას, რომელიც შეუქცევადი პროცესია და მიმდინარეობს აღმავალი ტემპით. აღნიშნულ რეფორმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. რეფორმის ძირითადი მიზანი იყო მეცნიერების განვითარება, რომელიც ძირითადად დამოკიდებულია უმაღლესი განათლების განვითარებაზე.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, განათლების უფლება ადამიანის ბუნებით მინიჭებული და კონსტიტუციით განმტკიცებული ფუნდამენტური ღირებულებაა. განათლების უფლებამ აღიარება პოვა ჯერ კიდევ პირველ კონსტიტუციაში (1921.21.02. მუხლი 109-112).

განათლების უფლება, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სოციალური უფლებების კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც განპირობებული არის სახელმწიფოს ვალდებულებებით, რომ შექმნას განათლებისათვის საჭირო პირობები (ინფრასტრუქტურა, პროგრამების ჰარმონიზაცია, განათლების ხარისხის კონტროლი და სხვ.) და მისცეს ფინანსური შესაძლებლობა ნიჭიერ და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს მიიღონ შესაბამისი განათლება (5).

საქართველოში, რეფორმის შემდგომ, თანამედროვე განათლების სისტემა მიმზიდველი გახდა უცხოელი სტუდენტებისათვისაც, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში კვალიფიციური განათლების მისაღებად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეფორმირების პროცესს საფუძველი ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩაეყარა. 1991 წლის 14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით დამტკიცდა დებულება ,,საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“, რომელიც გამოქვეყნებისთანავე შევიდა ძალაში. (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი). აღნიშნული დებულების ძირითადი მიზანი იყო არასახელმწიფო კერძო უნივერსიტეტების დაფუძნება. კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე როგორც სასწავლო პროცესის კუთხით, ისე ფინანსური კუთხით ქაოტურ სიტუაციაში უწევდათ ფუნქციონირება. დროთა განმავლობაში კერძო უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი იზრდებოდა. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეფორმის ერთ-ერთი მეტად საგულისხმო და შეიძლება ითქვას, რომ დადებითი ცვლილებაა სამინისტროს მიერ კერძო უმაღლესი განათლების ოფიციალურობა. ანუ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოექცა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ (2) 1(42) (გვ. 38,39, 40).

ძირითადი პრობლემა ამ პროცესისა, მდგომარეობს კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯმენტის სრულყოფაში, - წერს ისმაილ მურღუზოვი.

შესწავლილმა კვლევებმა მართლაც აჩვენა, რომ როგორც ყველა ორგანიზაციაში, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტიც კომპლექსურად უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული.

სიტყვა ბიუჯეტი მომდინარეობს ინგლისური სიტყვისგან Budget, რაც ტომარას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანობას წარმოადგენს (3).

როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტის შედგენას, შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრას მონიტორინგის პროცესში, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და შესაბამისი დარგის თანამშრომლებთან ერთად სასურველია ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული დეპარტამენტები და სტუდენტური თვითმმართველობები.

აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის მსურველები მეტ-ნაკლებად უნდა ფლობდნენ ბიუჯეტის დაგეგმვისა და შედგენის მეთოდებს, აუცილებელია იცოდნენ, რა ფინანსური და სტრატეგიული გეგმა გააჩნია უნივერსიტეტს და რა გავლენას ახდენს იგი უნივერსიტეტის განვითარებაზე, აგრეთვე საჭიროა ფლობდნენ ინფორმაციას, რამდენად ეფექტურად იხარჯება უნივერსიტეტის ფინანსური ფონდები.

სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო პროცესები უნდა იყოს საჯარო, კერძოდ ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები უნდა იყოს ყველა მსურველისათვის საჯარო და ხელმისაწვდომი.

ბიუჯეტი წარმოადგენს ფინანსურ გეგმას, რომელიც გამოიყენება კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ბიუჯეტი დაგეგმილი უნდა იყოს სწორად, რომელიც საშუალებას მისცემს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს:

- განახორციელონ წინასწარ დაგეგმილი ამოცანები და მიზნები;
- ეკონომიურად გამოიყენონ და გადაანაწილონ მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსები;
- მიიღონ ფინანსური შემოწმების (აუდიტის) ,,სუფთა“ შედეგები.

ბიუჯეტის დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით მუდმივად უნდა იქნეს გაკონტროლებული დანახარჯები. შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტთან შედარების შედეგად შეიძლება შეფასდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობა და საჭიროებისამებრ შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები ბიუჯეტში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურმა მდგომარეობამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულება, რომელიც დადასტურებული არის ფინანსური ანგარიშებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური რესურსები ორიენტირებული უნდა იყოს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სწავლა-სწავლების, კვლევების ადამიანური რესურსების, ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსება. ბიუჯეტიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აუცილებელია გამოეყოს ფინანსური სახსრები სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, პოსტდოქტორანტების ისეთი აქტივობების დასაფინანსებლად, როგორებიცაა: კონფერენციებში მონაწილეობა და საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის პუბლიკაცია და ა.შ.

ლიტერატურა:

1. დობორჯგინიძე რ., განათლების მენეჯმენტი, 2005;
2. მურღუზოვი ი., კერძო უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯმენტის თეორიული საფუძვლები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ინტელექტი“, თბ., 2012;
3. ვ. მოსიაშვილი, მ. ჭელიძე, ფინანსები, თბ., 2016;
4. სონღულაშვილი ა., ირანში ქართველთა ნაკვალევზე, თბ., 2005;
5. ქანთარია ბ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (თავი მეორე) საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მუხლი 35. 2013.

Lia Otiashvili

Georgian Technical University

ISSUES REGARDING REFINEMENT OF BUDGET PLANNING MANAGEMENT OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS

RESUME

The main source of funding the state and municipal education institutions are budgetary funds and tuition fee of students of commercial groups. Taking it into account, the mentioned organizations are maintaining two parallel accounts: with budgetary records and ordinary scheme of accounting records, which is acceptable for business subjects. As usual, the share of budgetary funding is rather smaller than of the commercial funding. Sources of financing non-state education institutions are, firstly, incomes foreseen in the contract of education service execution, and for the accredited ones existence of an additional source in the form of budgetary funding is also admissible.

Proper planning, composing and correct distribution of expenses of higher education institutions has special importance. Budget planning basically depends on the people who are involved in the process and take decisions. Distribution of resources should be reasonable – focusing on the fields that conduce education processes is essential.

თამაზ ქობულაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შიდა ქართლის ეკოტურისტული პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები

შიდა ქართლი, საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ტერიტორიის ფართობი 6200 კმ^2, რომელთა შორის საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მხოლოდ 4800 კმ^2 მოქცეული.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რეგიონის შემადგენლობაში შედიან გორის, ქარელის, ხაშურის და კასპის მუნიციპალიტეტები, რომელთა შორის ადმინისტრაციულ ცენტრს გორი წარმოადგენს.

ტურიზმის მიმართულებებიდან, რეგიონის ფარგლებში, უმთავრესად ეკოტურიზმის და აგროტურიზმის განვითარებაა შესაძლებელი.

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, რეგიონის ტერიტორია პირობითად, ორ ჩრდილო და სამხრეთ ზონებად შეიძლება დავყოთ, რომელთა საზღვრად მდინარე მტკვარი უნდა იქნეს მიჩნეული.

ჩრდილოეთი მხარე ვაკე ტერიტორიებს წარმოადგენს, სადაც რეგიონის მუნიციპალური ცენტრები და სოფლების უმეტესი ნაწილია განლაგებული, ხოლო სამხრეთი ზონა თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთის დაბალი და საშუალომთიანი სისტემით არის წარმოდგენილი, რომელიც ეკოტურიზმის განვითარების კარგ საშუალებას იძლევა.


მდინარე
ძირითადი ქედები
ტბა
ქალაქი
ტურისტული მარშრუტი
საავტომობილო გზები
გამოქვაბულები
რუსეთი
ცხინვალი
ზესტაფონი
ხაშური
ბორჯომი
ბაკურიანი
ახალციხე
ასპინძა
ახალგორი
დუშეთი
ბანანდელის ტბა
ჯავა
ბორჯომი
ბაკურიანის
ბორჯომის
ბაზალეთის
ტბილისი
ალგეთი
ალაზანი
ბოდბისხევი
ბაზალეთის
ალაზანი
ალგეთი
ბოდბე
ბაზალეთი
ალაზანი
ალგეთი
ბოდბე
ალაზანი
ალგეთი
ბოდბე
ალაზანი
ალგეთი
ბოდბე

გორის მუნიციპალიტეტში ეკოტურიზმის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებად თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე განვითარებული თვითმყოფადი ლანშაფტები შეიძლება ჩაითვალოს. მდინარე ტანას მაგისტრალური ხეობა შემდინარე მცირე ზომის ხეობებით ეკოტურიზმის განვითარების კარგ საშუალებას იძლევა.

ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მდინარე ტანას ხეობაში სამი დაბალი საშუალო და მაღალი ზონები უნდა იქნეს გამოყოფილი.

ზონების გამოყოფის აუცილებლობა თვითმოყოფადი რელიეფის, ტურპროდუქტის განლაგების და ლანშაფტური თავისებურების ვითარებამ გვიკარნახა.



მდინარე ტანას ხეობის საფეხმავლო და საცხენოსნო მარშრუტების სქემატური გეგმა

დაბალი ზონა მდინარე ტანას შესართავიდან, მდინარე ათრევას ხეობის ჩათვლით, ს. ბობნევის მიდამოებამდე ვრცელდება. აქ ეკოტურიზმის პარალელურად აგროტურიზმის განვითარებაც არის შესაძლებელი. ქვედა ზონაში წარმატებით შეიძლება განვავითაროთ საფეხმავლო, საცხენოსნო, რეკრეაციული, პილიგრიმული, ღვინის, ველო, ჯიპტური, კულტურული და ბერდვოჩინგის მიმართულების ტურები, შესაძლებელია აგროტურიზმის განვითარებაც.

მდინარე ათრევას ხეობა - დაბალ ზონაში განსაკუთრებული ადგილი უნდა მიენიჭოს, რომლის ტერიტორია ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით სრულიად აუთვისებელია. მდინარე ათრევას ხეობა მდ. ტანას ხეობის დასავლეთი განშტოებაა, რომლის სიგრძე 12-13 კილომეტრს არ აღემატება. ხეობის მაგისტრალი ანთროპოგენური ლანდშაფტებით, ხოლო ზედა უბნები ლამაზი ბუნებით და რბილი კლიმატური პირობებით გამოირჩევა. მდინარე ათრევას ხეობის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გორთან ახლოს არის განლაგებული, სადაც ქალაქის ცენტრიდან მოხვედრა სულ რაღაც 10-15 წუთშია შესაძლებელი. ხეობაში წარსულში უხვად იყო წარმოდგენილი მესამეული პერიოდის გაქვავებული ხეების უნიკალური ფორმები რომელთა ცალკეულ წარმომადგენლებს დღესაც ვხვდებით. ხეობაში წარმატებით შეიძლება განვითარდეს საფეხმავლო, საცხენოსნო, ველო ჯიპტურები, რეკრეაციული, კულტურული და გასტრონომიული ტურიზმი. განსაკუთრებულ ინტერესს ორდღიანი - 35 კილომეტრის სიგრძის, წრიული საფეხმავლო, ველო და საცხენოსნო მიმართულების მარშრუტის დაგეგმვა წარმოადგენს, რომელიც ხიდისთავის, ატენის, წედისის, ოლოზის, კოშკების, ბეთლემის და სკრის მიდამოებში გაივლის. მარშრუტის ფარგლებში წყლით და საკვები პროდუქტებით მომარაგება ხეობის ზედა მონაკვეთის სოფლებში, ხოლო ღამისთევა კი ადგილობრივი მოსახლეობის ბინებში და კარავში არის შესაძლებელი.

გორი-ატენი-წედისი-ბნავისი-ზემო ქსოვრისი-ბეთლემი-კოშკები-სკრა-გორის ტურის სქემატური გეგმა.

დრეს ხეობა - მდ. ტანას ხეობის აღმოსავლეთი განშტოებაა, რომელიც მას ხიდისთავი-ბოშურის ავტოსაგზაო მაგისტრალის მე-15 კილომეტრზე უერთდება. ხეობის სიგრძე 7-8 კილომეტრს არ აღემატება. ხეობის მდებარეობა საშუალებას იძლევა დაიგეგმოს წრიული მარშრუტი, რომელიც ტურისტებს საშუალებას მისცემს ტანას ხეობის ობიექტების მონახულების შემდეგ ფეხით, ცხენებით, ველოსიპედით ან მაღალი განვლადობის ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადავიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ტურისტული ობიექტების მოსანახულებლად, დაათვალიერონ რკონის სამონასტრო კომპლექსი, ერთაწმინდა, ჩაჩუბეთი, კასპი, სამთავისი, გრაკლიანის გორას არქეოლოგიური ძეგლი და სხვა.



ჩვენი აზრით, ტურისტების არანაკლებ ინტერესს ზემო წერეთში მდებარე ,,გოლიათ ჯაფირის“ საფლავის მონახულება, მის ირგვლივ არსებული ლეგენდა და მახლობლად, მისივე ,,დახმარებით“ აშენებული ეკლესია გამოიწვევს. დღეს ზემო წერეთში მისასვლელი გზა, სიმბოლურ გზად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან რამდენიმე მონაკვეთის გავლა მაღალი განვლადობის მანქანებისთვის, კარგ ამინდშიც კი გართულებულია. გორი-ბოშურის საავტომობილო მაგისტრალის წერეთის მონაკვეთის რეაბილიტაცია და სათანადო რეკლამირება ტურისტების ნაკადის ზრდას შეუწყობს ხელს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახება.

უფლისციხე - შიდა ქართლის ტურისტულ ობიექტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი ბრენდია, რომელიც შიდა ქართლის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე, უფლისციხეში ტურისტების გადაყვანა გორი - ს. ქვახვრელის შემაერთებელი ავტომაგისტრალით ხდება. ტურისტების მოზიდვის მიზნით, აქ მეორე, უფრო ეკზოტიკური, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ საფეხმავლო, ველო, ჯიპტური და ბერდვოჩინგის მიმართულებების მარშრუტის განვითარებაც არის შესაძლებელი. მარშრუტის სიგრძე 8-9 კილომეტრია, ხოლო ხანგრძლივობა 3-4 საათს არ აღემატება. მარშრუტი კვერნაქების სერის გავლით, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გაუყვება და უფლისციხის ქვაში ნაკვეთ ქალაქს დასავლეთიდან უერთდება. მარშრუტის განხორციელების ხელშემშლელ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს: 1. მარშრუტი არ არის მარკირებული და რეკლამირებული; 2. სვლაგეზის გასწვრივ მრავლად არის კერძო მესაქონლეობის ფერმები, რომელთა კუთვნილი სადარაჯო ძაღლები ტურისტებს დიდ საფრთხეს უქმნის (დაკბენის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული); 3.

ტერიტორიაზე მრავლად არიან მაწანწალა, უპატრონო ძაღლები, რომლებიც ტურისტებს ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნიან; 4. არახელსაყრელი კლიმატური პირობები.



გორი-უფლისციხის საფეხმავლო, ველო და ჯიპტურის სქემატური გეგმა

ქარელის მუნიციპალიტეტი.

ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ტურისტული ობიექტების განლაგების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყურადსაღები ზონაა. საკმარისია ითქვას, რომ აქ განლაგებულია ისეთი ცნობილი ტურისტული ობიექტები, როგორიცაა ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი, ბატეთის ტბა, ქოზიფას სამონასტრო კომპლექსი, აბუხალოს გამოქვაბულები, აბუხალოს ჩანჩქერი, სამწევრისის ციხე, თრეხვის გამოქვაბულები და ჩანჩქერი და მრავალი სხვა.

ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მდინარე ძამას ხეობის ზედა ზონა, ანუ გვერძინეთ-ტყემლოვანას მიდამოებია საყურადღებო, რომელიც თვალწარმტაცი ბუნების გარდა სუფთა ჰაერით და კულტურის ძეგლების სიუხვით გამოირჩევა.

ქარელის რაიონის ტურისტულ ობიექტებს შორის განსაკუთრებული ადგილი ბატეთის ტბას უნდა მივანიჭოთ, რომელსაც ზაფხულობით მრავალი ქართველი და უცხოელი ტურისტი სტუმრობს. თანამედროვე ეტაპზე, ტბაზე მისვლა კარგ ამინდში, მაღალი განვლადობის ავტოსატრანსპორტო საშუალებით მხოლოდ ზღუდერი-ტყემლოვანას დამაკავშირებელი საავტომობილო გრუნტიანი გზით არის შესაძლებელი, ხოლო ცუდ ამინდში ფეხით გადაადგილებაც კი გართულებულია. ტბის შემოგარენში და მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის გამოყოფილი ავტოკემპინგის, ავტოპარკინგის, საპიკნიკე და კარვების გასაშლელი ადგილები, არ არის ნაგვის საყრელი ყუთები, რაც ტერიტორიის დანაგვიანებას უწყობს ხელს. სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად ზემო ბოშური-ბატეთის ტბის 20-22 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციაც უნდა მოხდეს, სადაც მოძრაობა ყველანაირი ტრანსპორტისთვის უნდა გახდეს შესაძლებელი. ზემო ბოშური-ბატეთის ტბის გზის რეაბილიტაცია საშუალებას მოგვცემს დაიგეგმოს ორდღიანი, წრიული საფეხმავლო, საცხენოსნო, ველო და ავტო მიმართულების მარშრუტები. მარშრუტი დაიწყება გორში, გაივლის ატენს, თხინალას ჩანჩქერს, გოგირდოვანი წყლების აბანოს, ზემო ბოშურს, ბატიურს და ჩრდილო-დასავლეთით, ს. აბუხალოს გამოქვაბულებისა და ჩანჩქერის გავლით ბატეთის ტბას მიადგება. შემდგომ მარშრუტი გაივლის გვერძინეთის და ზღუდერის კულტურულ ძეგლებს, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსს, სამწევრისს და ქარელში დასრულდება. ღამის სათევი ადგილი ზემო ბოშურის საოჯახო სასტუმროები და ს. აბუხალოში სპეციალურად გამოყოფილი კარვების გასაშლელი ადგილები იქნება. მარშრუტის განხორციელება ტურისტებს საშუალებას მისცემს იმოგზაურონ მდინარეების, ტანას და ძამას, ღამაზ ბუნებაში, გაეცნონ ადგილობრივ ადათ-წესებს, დააგემოვნონ ადგილობრივი სასმელები და სამზარეულო, შეიძინონ ადგილობრივი სახალხო რეწვის ნაკეთობები და სხვა. აღნიშნული მარშრუტის დაგეგმვა-განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ზემო ბოშური-ბატეთის ტბის გზის 20 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო რუკა

კასპის მუნიციპალიტეტი.

კასპის მუნიციპალიტეტი რეგიონის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარეა. მრავალრიცხოვან კულტურულ ობიექტებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს რკონის სამონასტრო კომპლექსი, ქვის ხიდი და გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლი იპყრობს. გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლი იგოეთში, თბილისი-გორის ავტომაგისტრალის პირას მდებარეობს. ძეგლის მდებარეობა და ღირებულება მრავალ ქართველ თუ უცხოელ ტურისტს იზიდავს. აღსანიშნავია, რომ ძეგლის მიდამოებში ინფრასტრუქტურის განვითარებითი სამუშაოები დღესაც მიმდინარეობს. კასპის რაიონში ეკოტურისტული მარშრუტების გამოსავლენად კვლევების გაგრძელებაა საჭირო.

ხაშურის მუნიციპალიტეტი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, ლანდშაფტები და ბოჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან სიახლოვე ეკოტურიზმის განვითარებისთვის განსაკუთრებულ პერსპექტივებს იძლევა, სათანადოდ რაიონს ეკოტურისტული პოტენციალი შემდგომ გაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

შიდა ქართლის რეგიონში ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით შემდეგი სამუშაოებია ჩასატარებელი:

1. მოსაგვარებელია ინფრასტრუქურის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური საკითხი;
2. ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარებისთვის სხვადასხვა მიმართულებების სამეცნიერო კვლევებია ჩასატარებელი;
3. ნაშრომში მითითებულ ობიექტებამდე ჩასატარებელია გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
4. მდინარეების თეძამის, ტანას და ძამას ზედა ზონებში განსავითარებელია საოჯახო სასტუმროების ქსელი და კარვების გასაშლელი ადგილები;
5. რეგიონის ეკოტურისტული ობიექტებისთვის დასამზადებელია გზამკვლევები, ბუკლეტები და ვიდეოკლიპები;
6. გორის ცენტრალურ უბნებში, შიდა ავტომაგისტრალებზე, გრაკლიანის ძეგლთან და უფლისციხეში საჭიროა მოზრდილი ზომის ეკოტურისტული ობიექტების ამსახველი სხვადასხვა ბანერების განთავსება, სადაც ეკოტურისტული ობიექტების ფოტოები და სხვა საჭირო ინფორმაცია იქნება განთავსებული;
7. ატენში უნდა შეიქმნას გორის ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალი, სადაც მდ. ტანას და მიმდებარე ხეობებში მოპოვებული სხვადასხვა მიმართულების მასალა იქნება განთავსებული;
8. საჭიროა არსებული ტურისტული მარშრუტების პასპორტიზაცია და მარკირება;
9. გამოსავლენია ახალი, ზაფხულის და ზამთრის მიმართულებების ეკოტურისტული მარშრუტები;
10. საჭიროა მრავალპროფილიანი გიდების მომზადება;
11. ბუნებრივ გარემოზე, ეკოტურიზმის გავლენის დასადგენად, საჭიროა მრავალპროფილიანი გარემოსდაცვითი მიმართულების კვლევების ჩატარება;
12. ახალგაზრდებში ეკოტურიზმის პოპულარიზაციის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, რეგიონის სკოლების მოსწავლეებს შორის, საჭიროა საინტერესო საუბრების ჩატარება და ეკოტურისტული მარშრუტების გავლა. რეგიონის სკოლებს შორის შეჯიბრებების ჩატარება სპორტულ ტურიზმში (ტურისტული ესტაფეტა, ორიენტირება, კარვის გაშლა, ცეცხლის დანთება და სხვა).

ლიტერატურა:

1. მენაბდიშვილი ხ., ქობულაშვილი თ., ბეჟანიშვილი ა., მამიასთვალაშვილი ე., სამნიაშვილი ბ. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში, გორი, 2007.
2. ქობულაშვილი თ., ედიშერაშვილი გ., უფლისციხის ქვაში ნაკვეთი ქალაქის ტურისტული მარშრუტების ოპტიმიზაციისთვის, გორი, 2016.
3. ედიშერაშვილი გ., შიდა ქართლის მოზამთრე ფრინველები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული №9, 2015.
4. Edisherashvili G. Birds of Prey and Owls of The Shida Kartli Region, Georgia. “The Birds of Prey and Owls of Caucasus.” Tbilisi, Abastumani, Georgia. 26-29 October. Pp. 16-1. 2011.

Tamaz Kobulashvili
Gori State Teaching University

ECOTOURIST POTENTIAL OF SHIDA KARTLI AND THE PERSPECTIVES OF ITS DEVELOPMENT

RESUME

The location, climate, landscapes and tours of Shida Kartli, in the northern slopes of the Trialeti Range, give us great perspectives for the development of tourism in different directions. At the modern stage, development of ecotourism in the region cannot be achieved only through the described routes on municipal level. In order to solve the problem we believe that the best option is to create international coordination center whose main task will be to develop, evaluate and plan perspective ecotourism routes in various directions. The main contributing obstacle in the development of ecotourism is the unsolved financial problems.

The author has developed and studied various inter-regional ecotourism routes from which several ones are noteworthy to mention:

1. Ateni-Velebi-Luli-Sakavre-Khovle-Rkoni-Kaspi;
2. Gori-Ateni Sioni-Bobnebi Waterfall-Biisi Sulfur Springs-Zemo Boshuri-Fetviskhevi-Velistsikhe-Bani-Orbodzala-Bateti lake-Qozepa-Kintsvisi-SAmtsevrisi-Kareli;
3. Gori-Uplistikhe;
4. Gori-Ateni-Tsedisi-Bnavisi-Zemo Ksovrisi-Koshkebi-Skra-Gori;

The main contributing factors for ecotourism development are the unresolved financial issues, the deficit of specialists, the deficit of local ecosystems and the absence of infrastructure.

Performance of eleven recommendations in the work will facilitate ecotourism development and attraction of tourists, besides the development of ecotourism it will help to improve the local population's financial situation.

თამაზ ქობულაშვილი, გია ედიშერაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მდინარე ტანას ხეობის დაბალი და საშუალო ზონების საფეხმავლო მარშრუტები

მდინარე ტანას ხეობა შიდა ქართლში, ქ. გორის სამხრეთით მდებარეობს. გეოგრაფიულად ხეობა თრიალეთის სამხრეთ განშტოებას წარმოადგენს, რომელიც მილიონობით წლების განმავლობაში მდინარე ტანას ჩაუჭრია. მდ. ტანა მდ. მტკვარის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს, რომლის სიგრძე 47 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი 380 კმ^2 არ აღემატება.

კლიმატური თვალსაზრისით, ხეობის ჰავა შიდა ქართლის ჰავისაგან ოდნავ განსხვავდება, რაც უმთავრესად ჰიფსომეტრიით აიხსნება. სხვაობა ხეობის ზედა ზონის ზამთრის საშუალო ტემპერატურასა და შიდა ქართლის ვაკის შორის მხოლოდ 2^0–3^0 განსხვავდება, ხოლო ნალექების საშუალო წლიური ოდენობა შიდა ქარლის ვაკისთან მიმართებაში თითქმის იდენტურია.

ხეობაში ძირითადად განვითარებულია საშუალო და დაბალმთიანი ლანდშაფტები რომელზეც ფოთლოვანი, შერეული, წიწოვანი ტყეების და ალპური მდელოების მცენარეულობაა განვითარებული.

ხეობაში და მის განშტოებებში მიწისქვეშა წყლები უმთავრესად ორი ტიპით - დაბალი მინერალიზაციის, ცივი წყაროებით და გოგირდოვანი - თერმული წყლებით არის წარმოდგენილი.

მდ. ტანას ხეობა შიდა ქართლის სხვა ხეობათა შორის ერთ-ერთ ულამაზეს ობიექტს წარმოადგენს, სადაც ეკოტურიზმის განვითარებას ალტერნატივა არა აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი განშტოებების მდ. ათრევას და დრესწყლის ეკზოტიკური ხეობები. მდ. წედისის ხეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ,,გაქვავებული ხეების“ უნიკალური წარმონაქმნები, რომელთა ანალოგების გავრცელების ადგილი, ამერიკიაში (არიზონა) ნაკრძალად არის გამოცხადებული.

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით აქ უხვადაა ტაძრები, ეკლესიები და ნიშები, რომელთა მონახულება მჭიდრო განლაგების გამო ადვილია და დამთვალიერებელთა დიდ რაოდენობას იწვევს.

მდინარე ტანას ხეობა, ეკოტურიზმის განვითარების კლასიკურ ზონას წარმოადგენს, რასაც ხელს უწყობს ჰიფსომეტრიული და კლიმატური პირობები, ლანდშაფტური და ჰიდროლოგიური თავისებურებანი, მცენარეული საფარი, რეკრიაციული რესურსები, ისტორიული ძეგლების სიმჭიდროვე და სხვა. მდებარეობიდან გამომდინარე აქ შეიძლება დავგეგმოთ და განვახორციელოთ როგორც მუნიციპალური და შიდა რეგონალური, ისე რეგიონთაშორისი ეკოტურისტული მარშრუტები.

აღსანიშნავია, რომ ხეობის ფარგლებში, ეკოტურიზმის მიმართულებებიდან პერსპექტიულია: ქვეითი, საცხენოსნო, პილიგრიმული, ექსტრემალური, რეკრიაციული, სათევზაო, ღვინის და სათხილამურო ტურიზმის ტურების დაგეგმვა.

ლანდშაფტური პირობებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ეკოტურისტული მარშრუტები თითქმის ყველა ასაკის მსურველთათვის არის ხელმისაწვდომი. მრავალწლიანმა სამეცნიერო კვლევებმა დაგვარწმუნა, რომ აქ წარმატებით შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთდღიანი, ისე მრავალდღიანი საფეხმავლო მარშრუტები.

ქვეითი ეკოტურისტული მარშრუტების დაგეგმა-განხორციელების თვალსაზრისით, აქ 3 ზონა შეიძლება გამოვყოთ: დაბალი საშუალო და მაღალი.

დაბალი ზონა – 1) მდ. ტანას ხეობა - ატენის, დანახვისის, ველებისა და საყავრეს მიდამოები; 2) მდ. ათრევას ხეობა - ტურისტული მარშრუტები შეიძლება განხორციელდეს სოფლების ატენის, ბნავისის, ზემო ქსოვრისის, ოლოზისა და ღვარების მიდამოები.

საშუალო ზონა - სოფლების ბიისის, ბობნევის, დიდი წერეთების, იკვნევის, ყანდისის, დრეს, ფელის, ჭანჭახასა და გულქანდისის მიდამოები.

მაღალი ზონა – 1) სოფლების - ორმოცის, იფნარას, პატარა წერეთის, ბოშურის, ტუსრების, ბალოვანის, გაგლოანთუბანის ლევიტანას, ახალსოფლის, პიტნარას, დიდი ჭვარების, მღებრიანის, ტამისა და ოქეანის მიდამოებში.

განსაკუთრებით მომხიბლავია მდ. ტანას და მომიჯნავე ძამასა და თეძმის ხეობების ორი და სამდღიანი დამაკავშირებელი მარშრუტები.

ქვემოთ, მაგალითისთვის, ვიძლევით საშუალო ზონის, ანუ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურისტული ცენტრის მიდამოების რადიალურ ეკოტურისტულ მარშრუტებს.



მდინარე თეძამის, ტანას და ძამას ხეობების ეკოტურისტული მარშრუტები

მარშრუტი №1 – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორია – გაყინული ჩანჩქერი.

მარშრუტი ერთდღიანია და ცენტრის მიდამოების გორაკბორცვიან უბნებს მოიცავს, სიგრძე 8,600 მეტრს არ აღემატება. საფეხმავლო კვალიფიკაციისაა. მარშრუტის გასავლელად სპეციალური საჭურველი არ არის საჭირო. დაფარვის დრო 3,5 სთ.

მარშრუტი ცენტრის ტერიტორიაზე ზ. დ. 870 მეტრის სიმაღლეზე იწყება, მიემართება სამხრეთით და დაახლოებით შუა ნაწილში 1769 მეტრს აღწევს, შემდგომ იგი დაბლა ეშვება და 3 კილომეტრის შემდეგ ულამაზესი ჩანჩქერის ქარაფს აღწევს. მარშრუტი მთლიანდ ფოთლოვანი

ტყეების, უმთავრესად რცხილნარისა და წიფლნარის კორომებში გადის. ზაფხულობით მარშრუტის გავლა სიძნელეს არ წარმოადგენს, ხოლო ზამთარში, შედარებით რთულია. აღმართი მთლიანი მარშრუტის 29 % შეადგენს, დაღმართი 29%, ხოლო დანარჩენი დისტანცია სუსტად დახრილი რელიეფის პირობებში გადის.



მატშრუტი №1

მარშრუტი №2 – გორის უნივერსიტეტის ტურისტული ცენტრი – თხინალას ხეობა - გაყინული ჩანჩქერი.

მარშრუტი წრიულია, ერთდღიანი. მარშრუტის ორი მესამედი ცენტრიდან (ზ. დ. 870 მ) დასავლეთით, მდინარე ტანას ხეობას გაუყვება, ხოლო ერთი მესამედი კი სამხრეთი მიმართულებით, გორაკბორცვიან უბნებს გაივლის და გაყინულის ჩანჩქერის ძირში თხინალას ხეობაში მთავრდება. მარშრუტის საერთო სიგრძე 11 კილომეტრს არ აღემატება. გავლის დრო 3,5 სთ. მარშრუტი სუსტად დახრილი რელიეფის პირობებში გადის.

მარშრუტი უმთავრესად მეორადი ტყეების კორომებში გადის.

მარშრუტის გასავლელად რაიმე სპეციალური საჭურველი არ არის საჭირო. ზამთარში მარშრუტის გავლა თხილამურებით თითქმის ყველა ასაკის მსურველებისთვის არის ხელმისაწვდომი.

აღსანიშნავია, რომ ხეობაში ეკოტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:

1. **მარუაშვილი ლ.** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი, 1970.
2. **სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი., ტაბიძე მ., ქუთათელაძე ნ.** საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო მეურნეობა. საქართველოს მაცნე, თბილისი, 2011.
3. **მენაბდიშვილი ხ., ბეჟანიშვილი ა., მამისთვალაშვილი ე., ქობულაშვილი თ., სამნიაშვილი ბ.** ტურისტული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში. გორი, 2006.
4. **მენაბდიშვილი ხ., ბეჟანიშვილი ა., მამისთვალაშვილი ე., ქობულაშვილი თ., სამნიაშვილი ბ.** ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში. გორი, 2007.

Tamaz Kobulashvili, Gia Edisherashvili
Gori State Teaching University

PEDESTRIAN ROUTES OF LOW AND MEDIUM ZONES OF THE RIVER TANA VALLEY

RESUME

Shida Kartli region South part (riv. Mtkvari South zone) represents classic zone in regard of the development of eco-tourism.

Eco-tourism development conditions are: Location, hypsometry, original landscapes, climate, hydrological resources, cultural density, natural agriculture and etc.

Riv. Tana Gorge gives an excellent opportunity to develop such directions of eco-tourism as follows: Hiking, mountaineering, horse-riding, extreme, religious, agricultural and recreational tours.

We have separated three main zones in regard of eco-tourism development in riv. Tana valley: Low zone- village Ateni and Bnavisi Gorge areas; Middle zone- village Bobnevi and Biisi areas and high zone- areas of the following villages: Ormotsi, Boshuri, Okiani.

In this paper there are presented low and middle zone tourism routes for hiking.

Tourism development will promote the level of employment for local population which will be reflected in better economic situation of the region.

გიორგი ყაზიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მომსახურების მარკეტინგი და მომსახურების ბაზარი: თავისებურებები და განვითარების ტენდენციები

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიო ეკონომიკაში შეიმჩნევა მომსახურების სფეროს მზარდი ტემპებით განვითარება. იგი გადაიქცა არაერთი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ, წამყვან სექტორად. ექსპერტების შეფასებებით, სამომავლოდ ყოველი 5 სამუშაო ადგილიდან 4 მომსახურების სფეროზე მოვა. [5, 55]

მომსახურების მარკეტინგის მეცნიერული განვითარება ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. უცხოელმა მეცნიერებმა მომსახურების მარკეტინგის სფეროს ყურადღება გასული საუკუნის 50-60-იან წლებში მიაქციეს. მომსახურების მარკეტინგის აღმოცენების ეტაპზე (1953-1980 წწ.) მომზადდა და გამოქვეყნდა 100-ზე მეტი სამუშაო, რომელთა ავტორები ცნობილი მეცნიერები არიან: ჯ. ბეიტსონი, ჯ. ჩეპიელი, უ. ჯორჯი, კ. გრენროოსი, კ. ლავლოკი, ე. ლანჟარი და სხვები. ამ სამუშაოების აბსოლუტური უმრავლესობა დაიბეჭდა 1970-იან წლებში. მკვლევართა უმრავლესობამ თავიანთი მუშაობა მომსახურების მარკეტინგის სფეროში დისერტაციებით დაიწყეს (მაკდოუელი, 1953 წ.; პარკერი, 1958 წ.). სწორედ მათ შეიტანეს ახლებური აზროვნება მარკეტინგის შესახებ მეცნიერებაში, მაგრამ მხოლოდ ათი წლის შემდეგ ე. ჯონსონის (1969 წ.) დისერტაციაში პირველად იქნა დასმული საკითხი: „განსხვავდება თუ არა ფიზიკური საქონელი და მომსახურება ერთმანეთისაგან? სავარჯიშო მარკეტინგის თეორიაში.“ 1970-იანი წლების ბოლოს დაცულ იქნა ათეულზე მეტი დისერტაცია მომსახურების მარკეტინგის საკითხებზე. 1974 წელს ჟურნალმა „Journal of Marketing“ გამოაქვეყნა უ. ჯორჯისა და ჰ. ბაკსდეილის ნაშრომი მომსახურების მარკეტინგის შესახებ. მომსახურების მარკეტინგი შესახებ პირველი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „European Journal of Marketing“ (1974), ეკუთვნოდა კ. ბლოისს. თავის ნაშრომში ავტორმა შემოგვთავაზა მომსახურების მარკეტინგში სამომხმარებლო ქცევის თეორიის გამოყენება. [8, 5-6]

მომსახურების მარკეტინგის ადრეული გამოკვლევებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ფრანგი მეცნიერების, მარსელის უნივერსიტეტის პროფესორების ე. ლანგეარდას და პ. ეიგლიეს შრომები, რომლებმაც შემოგვთავაზეს მომსახურების მარკეტინგის კონცეფცია. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მომსახურების მარკეტინგის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების საქმეში. მომსახურების მარკეტინგის დისციპლინის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო-პროფესიულ ორგანიზაციებს. ასეთია, მაგალითად,

მარკეტინგის ამერიკული ასოციაცია, რომელმაც 1981 წელს ქ. ორლანდოში (ფლორიდა, აშშ) ჩაატარა კონფერენცია. ის მთლიანად მიეძღვნა მომსახურების მარკეტინგს.

მომსახურების მარკეტინგის შემსწავლელი ცენტრი არიზონის უნივერსიტეტში შექმნა ს. ბრაუნმა, რომელმაც ათ წელიწადში მოიზიდა 25 მსხვილი სპონსორი, ისეთი კომპანიების ჩათვლით, როგორიცაა AT&T, IBM, Xerox, Marriott. ს. ბრაუნის ხელმძღვანელობით ცენტრის ახალგაზრდა მეცნიერებმა დაიცვეს ათეულობით დისერტაცია და წამყვან ჟურნალებში დაბეჭდეს მრავალი სამეცნიერო სტატია. ეს ცენტრი ყოველწლიურად აქვეყნებს თავის სამეცნიერო კრებულს, რომელიც სპეციალიზებულია მომსახურების მარკეტინგის სფეროში.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საზღვარგარეთ ჩამოყალიბდა სამეცნიერო დისციპლინა - მომსახურების მარკეტინგი, რომელიც ცალკე საგნად ისწავლება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად არსებობს დაახლოებით 70 სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი, რომლებიც შეისწავლიან მომსახურების მარკეტინგს. [5, 20-21]

მომსახურების სფეროს მთავარი თავისებურება ის არის, რომ მისი წარმოება მის მოხმარებას ემთხვევა დროსა და სივრცეში, რის გამოც მომსახურების ბაზარს, როგორც სასაქონლო ბაზრის ნაირსახეობას, გააჩნია რიგი თავისებურებები.

თანამედროვე მომსახურების ბაზრის ძირითად თავისებურებებს მიაკუთვნებენ:

– საბაზრო პროცესების მაღალი დინამიკურობას, რაც უკავშირდება მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდების დინამიკას;

– ტერიტორიულ (გეოგრაფიულ) სეგმენტაციას, რაც მომსახურების გაწევის ფორმების, მომსახურების სფეროს საწარმოების ფუნქციონირების პირობების და ა. შ. კონკრეტული ბაზრის მიერ ათვისებული ტერიტორიის თავისებურებებზეა დამოკიდებული;

– ლოკალურ ხასიათს, რაც ტერიტორიული ფაქტორების გავლენით მომსახურების ბაზარს ხდის ლოკალიზებულს ტერიტორიული წარმოშობის ფარგლებში;

– კაპიტალის ბრუნვის მაღალ სიჩქარეს, რომელიც განპირობებულია მომსახურების უფრო მოკლე საწარმოო ციკლით და წარმოადგენს მომსახურების სფეროში ბიზნესის ერთ-ერთ უპირატესობას;

– საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებების მიმართ მაღალ მგრძნობიარობას, გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია მომსახურების შენახვა, დასაწყობება და ტრანსპორტირება. ამასთან, მისი წარმოება და მოხმარება დროსა და სივრცეში ემთხვევა ერთმანეთს, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს ბიზნესში და არაპროგნოზირებადი ცვლილებების გამო ზრდის რისკის ხარისხს;

– მომსახურების მწარმოებლების უდიდესი ნაწილი მიეკუთვნება ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც უფრო ეფექტურები არიან ლოკალური ბაზრის შემთხვევაში. აღნიშნული საწარმოები საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე, მობილურობიდან გამომდინარე, მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ;

– მომსახურების გაწევის პროცესის სპეციფიკას, რომელიც განპირობებულია მწარმოებლისა და მომხმარებლის პირადი კონტაქტით და ქმნის შესაბამის პირობებს საკომუნიკაციო კავშირების გაფართოებისათვის. ამასთან, იზრდება მოთხოვნები მწარმოებლის პროფესიონალიზმის, გამოცდილების, ეთიკისა და კულტურისადმი;

– მომსახურების დიფერენციაციის მაღალ ხარისხს, ანუ მომსახურებაზე მოთხოვნა ხასიათდება დივერსიფიკაციით, პერსონიფიკაციითა და ინდივიდუალიზაციით, რაც ახალი არასტანდარტული მომსახურებების გამოვლენის წინაპირობას წარმოადგენს;

– მომსახურების გაწევისას საქმიანობის შედეგის განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ მომსახურების გაწევისას საქმიანობის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მომსახურების მოხმარების შემდეგ. უმრავლეს შემთხვევაში მომსახურების წარმოებაზე გავლენას ახდენს მწარმოებლის პირადი თვისებები.

თანამედროვე მომსახურების სფეროს განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია: ეკონომიკური ფაქტორები (შემოსავლების, ფასების დონის, ინფლაციის ცვლილება); სამეცნიერო-ტექნიკური ფაქტორები; ფსიქოლოგიური ფაქტორები (საზოგადოებრივი აზრი, მომხმარებლის მიერ უპირატესობის მინიჭება და ა.შ.); სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები (შობადობისა და სიკვდილიანობის დინამიკა, მოსახლეობის მიგრაცია) და სხვ.

თანამედროვე მომსახურების სფეროს ფუნქციები შეიძლება დაიყოს ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციებად. [11, 51] ეკონომიკურ ფუნქციებს მიეკუთვნება: 1) მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესის მომსახურება; 2) სამუშაო ძალის კვლავწარმოება; 3) დამატებითი მატერიალური დოვლათის შექმნა. სოციალურ ფუნქციებს შეიძლება მივაკუთვნოთ: 1) მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომსახურების სხვადასხვა სახეებში; 2) ხარჯების (მუდმივი და ცვალებადი) შემცირების უზრუნველყოფა და შრომის პირობების გაუმჯობესება საოჯახო მეურნეობებში; 3) თავისუფალი დროის

რეალიზაცია; 4) სახელმწიფოს უსაფრთხოების და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

მომსახურების სფეროში მარკეტინგული საქმიანობა მარკეტინგის კომპლექსის (მარკეტინგ-მიქსის) სისტემის პრინციპების – მოქნილობის, კომპლექსურობის, ადაპტურობის შესაბამისად ხორციელდება. აქ სრულდება მარკეტინგის შემდეგი ფუნქციები: 1) ბაზრის კომპლექსური კვლევა; 2) საქონლის ასორტიმენტის განსაზღვრა; 3) საბაზრო სტრატეგიის შემუშავება; 4) ფასწარმოქმნა; 5) გასაღების სტიმულირება. [5, 56]

თანამედროვე მომსახურების მარკეტინგის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი გამიზნულია სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. სოციალური დაკმაყოფილების პროცესი ქმნის მოსახლეობის საარსებო პირობებს. მომსახურების სფეროში მარკეტინგული საქმიანობის სრულყოფა ხელს შეუწყობს ამ სფეროში ასორტიმენტული პოლიტიკის, კონკურენციისა და მარკეტინგული საქმიანობის მიმართულებათა განვითარებას.

ტრადიციულ ფორმებთან ერთად (სატრანსპორტო, ფინანსური, სამედიცინო მომსახურებები, კვების, კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის მომსახურება და სხვ.) თანამედროვე ეტაპზე გაჩნდა მომსახურების ახალი სახეები, როგორიცაა: საინფორმაციო, პოლიგრაფიული, სამეცნიერო, სააუდიტორო, კონსანლტინგური, საბირჟო და ა.შ.

მომსახურების როლი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე გამოიხატება: ადამიანური კაპიტალის განვითარებაში; როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს სექტორად ჩამოყალიბებაში; დროის დაზოგვის, თავისუფალი დროის გაზრდისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის ხელშეწყობაში; მოსახლეობისა და საზოგადოების მოთხოვნილებების უფრო სრულყოფილად დაკმაყოფილისათვის სათანადო შესაძლებლობების შექმნაში.

მომსახურების მარკეტინგის საკითხებში ცნობილი მეცნიერის ქრისტოფერ ლავლოკის აზრით [9, 59], თანამედროვე ეტაპზე მომსახურების სფეროს ასეთი აქტიური განვითარება განაპირობა მრავალი ფაქტორის გავლენამ, რომელთა შორისაა: 1. სახელმწიფო პოლიტიკა; 2. სოციალური ცვლილებები; 3. ბიზნესის განვითარების ტენდენციები; 4. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება; 5. ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

სახელმწიფო პოლიტიკას მიეკუთვნება ცვლილებები სახელმწიფო რეგულირებაში, პრივატიზაცია, მომსახურების სფეროში ახალი კომერციული შეთანხმებები, ახალი კანონები, რომლებიც იცავენ მომხმარებლებს, მოსამსახურეებსა და გარემოს.

სოციალურ ცვლილებებს მიაკუთვნებენ მომხმარებელთა მოლოდინების ამაღლებას, დოვლათის ზრდას, აქტიურ იმიგრაციას, ადამიანების დროში შეზღუდულობას, შთაბეჭდილებებისა და არა საგნების შეძენისკენ სწრაფვის ზრდას, უფრო მეტი ადამიანის მიერ პერსონალური კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების შეძენას.

ბიზნესის განვითარების ტენდენციებში იგულისხმება: მწარმოებლები, რომლებიც სთავაზობენ და, ყიდიან რა მომსახურებას, ისწრაფვიან თავიანთი საქონლის ფასეულობების ამაღლებისკენ; დიდი რაოდენობით სტრატეგიული ალიანსების შექმნა; ყურადღების ამაღლება არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგისადმი; პროფესიული ასოციაციების სტანდარტების შესუსტება; ბრძოლა ხარისხისათვის; ყურადღების გაზრდა მწარმოებლურობისა და ხარისხის ეკონომიისადმი; ფრანჩაიზინგის პოპულარობის ზრდა; პერსონალის დაქირავების ნოვატორული პრაქტიკის გამოყენება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება მოიცავს: კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპირატესობების გაერთიანებას; მოცვის დიდ დიაპაზონს; უფრო სწრაფ და მძლავრ პროგრამულ უზრუნველყოფას; ტექსტის, აუდიო და ვიდეო მასალების, ციფრული აღდგენის (კვლავწარმოების) შესაძლებლობას; ინტერნეტის განვითარებას; მინიატურიზაციის მეშვეობით კომპაქტური მობილური მოწყობილობების შექმნას; უსადენო კავშირის ქსელის გამოყენებას.

ინტერნაციონალიზაციის პროცესმა დააჩქარა უფრო მეტი კომპანიის საქმიანობა საერთაშორისო დონეზე, რამაც გამოიწვია მომხმარებელთა საზღვარგარეთ მოგზაურობების რაოდენობის გაზრდა, ინტერნაციონალური შერწყმები და ალიანსები.

მომსახურების სფეროს განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც განაპირობებს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, კომპიუტერიზაციასთან, კომუნიკაციის ახალ საშუალებებთან დაკავშირებული ფართო სპექტრის ინოვაციური მომსახურებების ბაზარზე გასვლას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი მნიშვნელოვნად ამცირებს ბარიერებს განსაზღვრულ მანძილზე მომსახურების მიწოდებისას.

სხვადასხვა სახის მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა თანამედროვე ეტაპზე შეიძლება აიხსნას შემდეგი ფაქტორების გავლენით:

1. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლებამ, კეთილდღეობის ზრდამ განაპირობა მომხმარებელთა სურვილის გაზრდა – შეიმსუბუქონ დალაგებასთან, საჭმლის მომზადებასთან და ა.შ. დაკავშირებული სამუშაოები, ანუ მათ სურთ თავიანთ ცხოვრებაში შეიტანონ რაც შეიძლება მეტი კომფორტის ელემენტები. სახეზე გვაქვს მომსახურების პროცესების (მოქმედებების) დეზინტეგრაცია, როდესაც მთელი რიგი საოჯახო საქმიანობები სრულდება მომსახურების ფირმებში, ანუ შესაძლებელი გახდა მათი შემენა მომსახურების სფეროს ქსელში;
2. ცხოვრების დონისა და, შესაბამისად, შემოსავლების ზრდამ გამოიწვია დამატებითი სამუშაო დროის გამოთავისუფლება, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა მოთხოვნა მთელ რიგ მომსახურებებზე: საერთაშორისო ტურიზმი, სამედიცინო მომსახურება და სხვ.;
3. მომსახურების საწარმოთა პრივატიზაციამ, რომელიც უმთავრესად პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შეეხო, ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა კერძო საკუთრების, თანამედროვე ბიზნესის, მათ შორის მომსახუ-რების ბიზნესის განვითარებისათვის. მოხდა სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიზმის ლიკვიდაცია;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მაღალ-ტექნოლოგიური საქონლის გამოყენების ზრდა საოჯახო პირობებში (კომპიუტერები, აუდიო და ვიდეოტექნიკა, უსაფრთხოების სისტემები – სათვალთვალო კამერები და სხვ.), რამაც თავის მხრივ გაზარდა მოთხოვნა მსგავსი ტექნიკის მომსახურების სპეციალისტებზე.

ამრიგად, თანამედროვე მომსახურების ბაზარი არსებობს სასაქონლო ბაზართან ერთიანობაში და მის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს, ის ვითარდება საბაზრო ეკონომიკის კანონების ჩარჩოებში და ამ კანონებს ემორჩილება.

მომსახურების სექტორს მკვლევრები ხშირად ეკონომიკის მესამე სექტორს უწოდებენ (სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შემდეგ). [1, 278] მომსახურების სექტორის უმთავრესი მახასიათებელი მომსახურების გაწევაა, ვიდრე პროდუქციის დამზადება. მომსახურების გაწევის პროცესში შესაძლებელია მოხდეს საქონლის გარკვეული ტრანსფორმაცია (მაგალითად, სარესტორნო ბიზნესში და ა.შ.), თუმცა აქ ფოკუსირება ხდება უფრო ადამიანებთან ურთიერთობასა და მომხმარებელთა მომსახურებაზე, ვიდრე საქონლის გარდაქმნაზე.

თანამედროვე პირობებში პოსტინდუსტრიული განვითარების ქვეყნების ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტად სწორედ მომსახურების სფერო გვევლინება. აშშ-ის მომსახურების სფეროში იქმნება მშპ-ის დაახლოებით 75%, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის მშპ-ის 60-65%. განვითარებული ქვეყნების ძირითადი პროდუქტი არა მრეწველობაში, არამედ სწორედ მომსახურების სფეროში იქმნება. ამ მოვლენამ „მომსახურების რევოლუციის“ სახელწოდება მიიღო. [2, 251-252]

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ბაზრების სერვისიზაციის პროცესი.

დღეისათვის მსოფლიო ეკონომიკაში მომსახურების სფერო იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ეკონომიკური განვითარების წინა პერიოდში. მომსახურების სფერო ეკონომიკის ის ნაწილია, რომელიც მოიცავს ყველა სახის (როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ) მომსახურებას. მომსახურების სფეროში დღეისათვის განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს ისეთმა დარგებმა, როგორიცაა ტურიზმი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო, ფინანსური და ბიზნეს-მომსახურებები. [7, 65]

სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მომსახურების სექტორის მკვეთრი ზრდა დასტურდება. თუ 1980 წელს აშშ-ს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მომუშავეთა 3 %, მრეწველობაში – 33 %, ხოლო მომსახურების სფეროში – 64 %, 1999 წელს აშშ-ს ეკონომიკის მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რიცხვმა დასაქმებულთა მთელი რაოდენობის 78,8 % შეადგინა. განვითარებული ქვეყნების მშპ-ში მომსახურების სექტორის ხვედრითი წილი საშუალოდ შეადგენდა: 1950 წელს – 30,4 %, 1960 წელს – 37,2 %, 1973 წელს – 41,9%, 2008 წელს კი – 63 %. [6, 627]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო - WTO) მონაცემებით, 2013 წელს კომერციულმა მომსახურებამ შეადგინა საქონლითა და კომერციული მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის მთლიანი მოცულობის 20%. აშშ იყო ექსპორტის უმსხვილესი მიმწოდებელი 82 მლრდ დოლარით. [13] 2015 წელს კი მსო-ს წევრი ქვეყნების კომერციული მომსახურების ექსპორტმა შეადგინა 4,68 ტრლნ აშშ დოლარი. [12, 15]

ნახაზის სახით წარმოგიდგენთ (იხ. ნახ. 1) კომერციული მომსახურების მსოფლიო ექსპორტისა და იმპორტის 1990-2013 წლების დინამიკას, სადაც უფრო ნათლად ჩანს აღნიშნულ პერიოდში მომსახურების სფეროს განვითარების ტემპები.

ნახ. 1. კომერციული მომსახურების მსოფლიო ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა, 1990-2013



შენიშვნა: ნახაზი შედგენილია ჩვენ მიერ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სტატისტიკის მიხედვით.

რაც შეეხება საქართველოს, მომსახურების სფეროს ზრდა ჩვენ ქვეყანაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შეიმჩნევა, როდესაც მოხდა ქვეყნის გადასვლა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე. პროცესს ჰქონდა რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი. საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი დაემთხვა ქვეყანაში მეტად რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა წარმოების დონე, გაბატონ- და უმუშევრობა და თავი იჩინა სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა, რამაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა მომსახურების სფერო და მისი განვითარება. საბაზრო სისტემამ ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომა მოითხოვა ეროვნული ეკონომიკის დარგთა კლასიფიკაციისა და მატერიალური წარმოებისაგან მომსახურების სფეროს გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენაში, რადგანაც საბჭოთა სტატისტიკა მატერიალურ და არამატერიალურ მომსახურებას შორის გამყოფ ხაზს ავლებდა. მატერიალურ მომსახურებას ძირითადად მატერიალური წარმოების სფეროს მიაკუთვნებდა, არამატერიალურს - არაწარმოებითს. მოგვიანებით, საქართველოს სტატისტიკაში გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემის დანერგვის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მთელი მეურნეობის დაყოფა მატერიალურ-ნივთობრივი წარმოებისა და მომსახურების სფეროებად. საქართველოში საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებამ, ქვეყანაში განხორციელებულმა პრივატიზაციის პროცესმა, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და ა.შ. განაპირობა მომსახურების სფეროს დივერსიფიკაცია, მის ტრადიციულ დარგებთან ერთად, მომსახურების ახალი დარგების ფართოდ განვითარება, რომლებმაც ძირითადად საბაზრო მომსახურებაში ჰპოვა ასახვა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მთლიანი შიდა პროდუქტის 2016 წლის დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია ვაჭრობას (16,3%) და მრეწველობას (17,1%). (იხ. ნახაზი 2). [4]

ნახ. 2.



სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც ეხება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობას, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2015 წელს ყველაზე მეტი (156,8 ათასი კაცი) დასაქმდა ვაჭრობაში, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტზე, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17,7 ათასი კაცით აღემატება, (2014 წელს – 139,1 ათასი კაცი), ანუ ზრდამ 12% შეადგინა. [3]

ზემოაღნიშნული მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს მომსახურების სფეროს, მისი ცალკეული დარგების განვითარების დინამიკაზე. მონაცემებით დასტურდება მომსახურების არაერთი დარგის, განსაკუთრებით კი ვაჭრობის სექტორის, განვითარებისა და ზრდის ტენდენცია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოს კომერციული მომსახურების ექსპორტმა 2016 წელს 3272 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო კომერციული მომსახურებების იმპორტმა – 1680 მლნ. აშშ დოლარი. ამ მაჩვენებლებით იგი ჩამორჩება აზერბაიჯანს (აზერბაიჯანის კომერციული მომსახურებების ექსპორტი 2016 წელს – 4347 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო კომერციული მომსახურებების იმპორტი – 7438 მლნ. აშშ დოლარი) და კომერციული მომსახურების ექსპორტში წინ უსწრებს სომხეთს (სომხეთის კომერციული მომსახურებების ექსპორტი 2016 წელს – 1578 მლნ. აშშ დოლარი), ხოლო კომერციული მომსახურებების იმპორტში სომხეთს მცირედით ჩამორჩება (1703 მლნ. აშშ დოლარი) (იხ. ცხრილი 1). [14]

ცხრ. 1. ვაჭრობის კომერციული მომსახურება

კომერციული მომსახურების ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)				
ქვეყანა	ღირებულება	წლიური პროცენტული ცვლილება		
	2016	**2010-2016**	**2015**	**2016**
საქართველო	3 272	13	4	7
აზერბაიჯანი	4 347	10	4	-2
სომხეთი	1578	8	-7	6
კომერციული მომსახურების იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)				
საქართველო	1 680	9	0	3
აზერბაიჯანი	7 438	12	-16	-13
სომხეთი	1703	5	-7	8

წარმოდგენილი მონაცემები მოწმობს იმას, რომ საქართველოში ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სწრაფად განვითარებადი მომსახურების სფერო წარმოადგენს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მომსახურების სფეროს დარგების განვითარების ძირითად წინაპირობებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი: ახალი სამეურნეო მექანიზმების წარმოქმნა და განვითარება, მათი დაფინანსების მეთოდების ცვლილება; იმ კომერციულ დაწესებულებათა განვითარება, რომელთა ფუნქციონირებაც მომსახურების რეალიზაციიდან მოგების მიღებას გულისხმობს; სადაზღვევო კომპანიების სახით სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი დაფინანსების ახალი წყაროების შექმნა; მომსახურების გამწევი დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების, ახალი დანადგარებისა და საბრუნავი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა; მომსახურების ხარისხისა და სერვისის დონისადმი მოთხოვნის ამაღლება და ა.შ.

საქართველოში მომსახურების მოქმედმა კომპანიებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მომსახურების მარკეტინგის პრინციპებსა და წესებს, მომხმარებელთა ქცევების შესწავლასა და სხვადასხვა მარკეტინგულ კვლევებს მომსახურების სფეროში, გაწეული მომსახურების ხარისხს. უმნიშვნელოვანესია კომპანიების მხრიდან სწორი საფინანსო და საკადრო პოლიტიკის გატარება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ მიეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების რიცხვს, მომსახურების სფეროს როლი და მნიშვნელობა დიდია საქართველოს ეკონომიკაში, რასაც ნათლად მოწმობს ჩვენ მიერ მოძიებული და ზემოთ გაანალიზებული სტატისტიკური ინფორმაცია.

ამდენად, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადად მოწმობს იმას, რომ უკანასკნელ პერიოდში მომსახურების სფეროს როლი და მნიშვნელობა გაიზარდა და მაღალ ფინანსურ მაჩვენებლებს მიაღწია, რაც განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: რევოლუციურმა ცვლილებებმა სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში; სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სფეროში ტექნოლოგიური პროგრამების განვითარების ტემპებმა; მოთხოვნის ზრდამ საფინანსო, საბანკო, სატელეკომუნიკაციო და სხვა მომსახურებებზე და ა.შ.

მომსახურების მსოფლიო ბაზრისათვის და, მათ შორის საქართველოსთვისაც დამახასიათებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას წარმოადგენს ფინანსური მომსახურების ბაზრების განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით განვითარება. როგორც "Mercer Oliver Wyman" ექსპერტები ვარაუდობენ, უახლესი 15 წლის განმავლობაში მსოფლიო ფინანსური მომსახურების სექტორის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად დაჩქარდება და 2020 წლამდე მისი წილი იქნება მსოფლიო მშპ-ის თითქმის 10%. მსოფლიო ფინანსური მომსახურების სექტორის შემოსავლების საერთო მოცულობა 3-ჯერ გაიზრდება (2 ტრილიონიდან 6 ტრილიონ დოლარამდე 2020 წლისთვის). [10, 130-131]

მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე სატელეკომუნიკაციო სფეროში მიმდინარე პროგრესი. დღეისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში არსებული მიღწევებით (ინტერნეტი, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელები – Facebook, Twitter და ა.შ.) მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტი რაოდენობის კომპანია სარგებლობს და წარმატებითაც იყენებს მას. თანამედროვე ეტაპზე ცივილიზებული საქმიანი ადამიანები ხშირად სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტის გამოყენებით აწარმოებენ ბიზნეს გარიგებებს.

ამრიგად, დღეისათვის მომსახურების მსოფლიო ბაზარი წარმოადგენს მთლიან სისტემას, რომელიც შედგება სატრანსპორტო, ფინანსური, ტურისტული, სადაზღვევო, სატელეკომუნიკაციო, საცალო ვაჭრობის და სხვა ქვესისტემებისაგან. ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, მგრძნობიარენი არიან საბაზრო ცვლილებების მიმართ, რაც გამოწვეულია ბაზარზე მომსახურების მოთხოვნასა და მიწოდებაში მუდმივი ცვალებადობით. მომსახურების მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელია კაპიტალის ბრუნვის მაღალი სიჩქარე, რაც უკავშირდება მომსახურების სფეროში მოკლე საწარმოო ციკლს, მომსახურების ახალი სახეების, სახესხვაობების წარმოშობა-განვითარებას, ასორტიმენტის ზრდას და ა. შ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესი ახალი მოთხოვნებისა და გამოწვევების წინაშე აყენებს მომსახურების სფეროს საქართველოშიც. მიმდინარე ტენდენციებში გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სფეროში მარკეტინგული სტრატეგიების სწორად ჩამოყალიბებას. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მომსახურების ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან მოითხოვს დროულ ყურადღებას და მათ გადაწყვეტას. სწორედ ამაზეა დამოკიდებული მისი სამომავლო განვითარების ტენდენციები.

ლიტერატურა:

1. ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი გ. ადეიშვილის და რ. ასათიანის რედაქციით. „სიახლე", თბ., 1998.
2. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა. გამომცემლობა „ვერჟეს" სტამბა, თბ., 2008.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2016, http://geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2016.pdf
4. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2016 (წინასწარი), http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/pres-relizi_2016_GEO.pdf
5. ქათამაძე გ., ქათამაძე დ., მომსახურების მარკეტინგი. „უნივერსალი", თბ., 2013.
6. ქისტაური ნ., მელაშვილი მ., მომსახურების სფეროს განვითარების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე" მასალების კრებული. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2010.
7. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. „მეცნიერება",თბ., 2002.
8. Воронкова О.В., Саталкина Н.И., Маркетинг услуг: учебное пособие, Тамбов, ФГБОУ ВПО «ТГТУ», 2011.
9. Лавлок К., Маркетинг услуг: персонал, технология, стратегия, Пер. с англ., М., «Вильямс», 2005.
10. Международные экономические отношения: теория и политика, Учебное пособие, 2-е изд. перераб. и доп./ под ред. Козака Ю. Г., Киев – Катовице, Центр учебной литературы, 2013.
11. Огаренко Т. Ю., Развитие сферы услуг как необходимое условие перехода к постиндустриальнот экономике, сборник материалов международной научной конференции, Развитие организации и управления хозяйственными образованиями в отраслях экономики: разработка новых и адаптация существующих методов, механизмов и инструментов, Россия, Пермь, 26-28 июня, 2013, Киров, МЦНИП, 2013.
12. World Trade Organization, Word Trade Organization, World Trade Statistical Review 2016.
13. http://www.wto.org/english/news_e/pres14_e/pr721_e.htm
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11.10.2017
14.http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCountryPFView.aspx?Language=E&Country=AM%2cGE%2cAZ
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11.10.2017

Giorgi Kazishvili
Gori State Teaching University

SERVICE MARKETING AND SERVICE MARKET: PECULIARITIES AND DEVELOPMENT TENDENCIES

RESUME

From the second half of the XX century, the service sphere of the world economy is developing at a fastest pace. It has become a prior and a leading economic sector of many countries. At present, the service sphere in the world economy grows more rapidly than in the previous period of economic development.

The service sphere is the part of economics, which comprises all kinds of (commercial, non-commercial) service. Presently, the global marketing service represents a whole system, which consists of transport, financial, tourist, insurance, telecommunication, retail and other subsystems. The high turnover rate of the capital is characteristic for the global marketing service, which is connected to the short production cycle in the service sphere, formation and development of new types and forms of service, increase of assortment etc. The formation process of market economy offers new demands and challenges to the Georgian service sphere.

The stages of formation and development of service marketing are discussed in the paper, main peculiarities of the service marketing and main characteristic features of the service market, the defining factors of its development, the role and importance of the service sphere at the modern stage. Current tendencies of the service sphere in the world and in Georgia are presented on the basis of the obtained materials and analyzed appropriate statistic information; the author`s view and recommendations are also provided.

ხალიანა ჩიტაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოში აქციზის გადასახადის რეფორმის როლი ბიუჯეტის ზრდის საკითხებში და პრობლემები

საქართველოში აქციზი არის ერთადერთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომლის განაკვეთის ზრდა უპირობოდ შეუძლია მთავრობას რეფერენდუმის გარეშე. აქციზის განაკვეთების სიდიდე სხვადასხვაა. განსხვავდება იგი თვით ევროკავშირის ქვეყნებშიც, ამიტომ დიფერენცირებულია თვით აქციზის განაკვეთის ფორმები. იგი სამი სახისაა: ადვალური, ფიქსირებული და კომბინირებული. საქართველოში ძირითადად ფიქსირებული გადასახადის განაკვეთებია დადგენილი.

როგორც ცნობილია, აქციზი ბუნებიდან გამომდინარე არაპირდაპირი გადასახადია, რომელიც დგინდება საქონლის ან მომსახურების ფასზე დანამატის სახით, საქონლის მფლობელს მისი რეალიზაციიდან გადასახადი შეაქვს ბიუჯეტში. საბოლოოდ, მას იხდის მომხმარებელი, ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან მომსახურების შეძენისას. თუმცა ზევით ჩამოთვლილ პროდუქტების მოხმარებაზე საგადასახადო ტვირთი გაიზარდა, რამაც შესაბამისად ფასების ზრდა გამოიწვია რამდენადაც მოთხოვნა ფასში ასეთ საქონელზე არაელასტიურია, ანუ ფასის საგრძნობლად მომატების შემთხვევაში ამ საქონლის მოხმარება მხოლოდ ოდნავ შემცირდა.

საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვანი ადგილი აქციზის სახით მიღებულ სახსრებს უჭირავს. დღეისათვის აქციზი ასრულებს ორ ფუნქციას: იგი არის საბიუჯეტო შემოსავლების წყარო; აქციზური საქონლის მოხმარების შეზღუდვებსა და საქონლის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის რეგულირების საშუალებაა.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების საფუძველზე 2017 წლის პირველი იანვრიდან აქციზის ზრდა განხორციელდა სიგარეტზე, საწვავზე და ავტომობილებზე. აღნიშნულმა ღონისძიებამ სიგარეტის და საწვავის გაძვირება გამოიწვია. ფილტრიან სიგარეტზე აქციზის გადასახადი 60 თეთრით გაიზარდა, უფილტრო სიგარეტზე კი 30 თეთრით, ხოლო 1 ტონა ბენზინზე 250 ლარით.

ცხრილი 1: აქციზის ცვლილება თამბაქოს ნაწარმზე

თამბაქოს პროდუქტები	**დასაბეგრი ერთეული**	**ცვლილებამდე (ლარი)**	**მოქმედი (ლარი)**	**ზრდა (ლარი)**
ფილტრიანი სიგარეტი	20 ღერი	1,1	1,7	0,6
უფილტრო სიგარეტი	20 ღერი	0,3	0,6	0,3
სიგარები	1 ღერი	1,3	1,9	0,6
სიგარელები	1 ღერი	1,5	2,2	0,7
თამბაქო	1 კგ	25	35	10
საღეჭი და საყნოსი თამბაქო	1 კგ	25	35	10
დანარჩენი	1 კგ	25	35	10

წყარო: *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

ცხრილი 2: აქციზის ცვლილება საწვავსა და საავტომობილო ზეთებზე

საწვავი და ზეთები	**დასაბეგრი ერთეული**	**ცვლილებამდე (ლარი)**	**მოქმედი (ლარი)**	**ზრდა (ლარი)**
საავტომობილო ბუნებრივი აირი	1000 კუბმეტრი	80	200	120
ბენზინი	1 ტონა	250	500	250
დიზელი	1 ტონა	150	400	250
საავტომობილო ზეთები	1 ტონა	400	800	400

წყარო: *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

ამ ცვლილებების მიზანი მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ნაწილში მოსალოდნელი დანაკლისის დაბალანსება იყო. ამავდროულად, აქციზის განაკვეთის გაზრდა იმპორტის მოცულობას გარკვეულწილად შეზღუდავდა, რაც, შესაბამისად, გამავალ სავალუტო ნაკადებზეც აისახებოდა.

საქართველოში აქციზიდან მიღებული შემოსავლები ბოლო პერიოდში სისტემატური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად: 2010 წელს აღნიშნული გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 560,8 მლნ ლარი, 2011 წელს - 615,2 მლნ, 2012 წელს - 644,0 მლნ ლარი, 2013 წელს 722 მლნ, 2014 წელს - 810,2 მლნ, 2015 წელს - 871,3 მლნ, 2016 წელს - 1 069 მლნ, 2017 წელს საქართველოს მთავრობა აქციზის გადასახადიდან 615 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებას გეგმავდა. უკანასკნელი სამი კვარტლის მონაცემებით აქციზიდან შემოსავალმა შეადგინა I კვარტალი - 331 106 მლნ ლარი; II კვარტალი - 329 814 მლნ ლარი; III კვარტალი - 386 168 მლნ ლარი; სულ 1 047 088 მლნ ლარი.

ცხრილი 3: აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლების ცვლილების ტენდენცია 2010-2017 წლებში

წელი		**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017 9 თვის**
აქციზის გადასახადი (მლნ. ლარი)	გეგმა	574	621	644	663	739	860	1012	1199
	ფაქტი	561	615	660	722	810	871	1069	1048
	სხვაობა	-13	-6	16	59	71	11	57	-151
საგადასახადო შემოსავლები (მლნ. ლარი)	გეგმა	4,552	5,775	6,300	6,920	6,820	7,520	7,980	6,854
	ფაქტი	4,592	5,802	6,311	6,288	6,847	7,550	7,986	7,186
	სხვაობა	40	27	11	-632	27	30	6	332
აქციზის წილი საგადასახადო შემოსავლებში	გეგმა	12.61%	10.75%	10.22%	9.58%	10.84%	11.44%	12.68%	16.68
	ფაქტი	12.21%	10.60%	10.45%	11.49%	11.83%	11.53%	13.38%	14.57

წყარო: *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

როგორც ვხედავთ, 2010-2017 წლებში აქციზის გადასახადიდან მობილიზებული შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ასევე, ზრდადია მთლიანად საგადასახადო შემოსავლების მოცულობაც. აბსოლუტური მნიშვნელობის ზრდის პარალელურად, აქციზის გადასახადის წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში სტაბილურია და 10.45-დან (2012 წელი) 12.21%-მდე (2010 წელი) მერყეობს. აქციზის გადასახადის ზრდის შემდგომ პერიოდში წილობრივი მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა არ შეიმჩნევა. ამავდროულად, აქციზის გადასახადიდან საბიუჯეტო შემოსავლები 2015 წელს მხოლოდ 61 მლნ ლარით, 2013-2014 წლებში კი შესაბამისად 62 და 88 მლნ ლარით გაიზარდა. აღნიშნული ზრდა, ერთი მხრივ, სრულად განაკვეთის ცვლილებით ვერ აიხსნება, მეორე მხრივ კი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებთან მიმართებაში მიზერული მაჩვენებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის შემოსულობებზე 2014 წლის ბოლოდან დადებითად მოქმედებდა ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რაც იმპორტისას საქონლის ლარში გამოსახული ღირებულების ზრდის ხარჯზე დღგ-სა და იმპორტის გადასახადის მოცულობის ზრდაში გამოიხატა.

ბიზნესისათვის გაწეული შეღავათის დაფინანსება მოქალაქეთა საგადასახადო ტვირთის ზრდის ხარჯზე მოხდა, რაც ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით გამართლებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ აქციზურ საქონელს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა თამბაქო. ამასთან საქართველოში მოხმარებული სიგარეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტულია, რამაც გამოიწვია თამბაქოს ადგილობრივი წარმოების მკვეთრი შემცირება. ასევე აჭარის და სხვა რეგიონებში, სადაც თამბაქოს წარმოება მეტად შემოსავლიანი დარგია, მაღალმთიან სოფლებში მიწის, როგორც წარმოების და ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის დაქვეითება. აქედან გამომდინარე, კარგი იქნებოდა და აუცილებელიც თამბაქოს წარმოების სამამულო ტრადიციების აღდგენა, მისი საწარმოო პოტენციალის სრულად გამოყენების საფუძველზე პირველ ეტაპზე იმპორტის შემცირება და საქართველოს მოსახლეობის სიგარეტზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება, შემდგომში მაღალხარისხოვანი თამბაქოს, რის შესაძლებლობასაც ჩვენი ქვეყნის კლიმატური პირობები იძლევა, წარმოების ზრდის კვალობაზე მისი ექსპორტზე გატანა. აქციზის გადასახადის ზრდა უარყოფითად დააწვა.

აქციზის გადასახადით იბეგრება მობილური კომპანიები, კერძოდ მათი სატელეფონო ხმოვანი მომსახურება. რადგანაც მობილური კომპანიები დაბალ თვითღირებულებაზე მუშობენ და ზემოგებას იღებენ, ამიტომ ბიუჯეტში მეტი უნდა შეიტანონ, რაც გამოიწვევს ამ მომსახურებაზე ფასების ზრდას და შესაბამისად ეს ისევ მომხმარებელზე გადადის, რაც დღევანდელ ეკონომიკურ კრიზისის დროს უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. აქციზით დაბეგვრის გამო სტანდარტული ტარიფები კვლავ მაღალია.

აქციზის გადასახადის ზრდით გამოწვეული პრობლემებიდან ყურადღებას გავამახვილებ საქართველოში ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ადგილობრივი კომპანიებისათვის აქციზით დაბეგვრის შესახებ. კერძოდ, დღეს კონიაკის მწარმოებელი ქარხანა ყიდულობს სპირტს ღვინის საწარმოდან და მას უწევს აქციზის გადასახადის გადახდა 1 ლიტრ სპირტზე 4 ლარი და 60 თეთრის ოდენობით, რაც საკმაოდ მძიმე ტვირთად აწვება მეწარმეებს. მათ სჭირდებათ დამატებითი თანხების მოძიება და გადახდა. ხშირ შემთხვევაში ცდილობენ უცხოეთიდან შემოიტანონ აღნიშნული პროდუქტი.

საგადასახადო სისტემაში აქციზის გადასახადის ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ მისი სრულყოფისათვის საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: დაწესდეს სააქციზო გარკვეული შეღავათები ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებზე; შემცირდეს აქციზის დაბეგვრის სტანდარტული ტარიფები გარკვეული სახეობის პროდუქციაზე; თამბაქოს წარმოების სამომავლო ტრადიციების აღდგენა, მისი საწარმოო პოტენციალის სრულად გამოყენების საფუძველზე.

ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების შემოღება, დაბეგვრის მექანიზმის გამარტივება ხელს შეუწყობს აქციზის გადასახადის ლეგალიზაციას და აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკიდან ქვეყნის გამოყვანის ერთ-ერთ წინაპირობად მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

1. www.rs.ge
2. www.mof.ge
3. www.economi.ge

Khaliana Chitadze
Gori State Teaching University

THE ROLE OF EXCISE TAX REFORM IN THE BUDGETARY ISSUES IN GEORGIA AND PROBLEMS

RESUME

Introduction and aim:

Excise tax as one of the most important tools for growth of tax revenue in Georgia, is considered as an important factor in the growth of budget revenues. On the basis of measures taken by the Government of Georgia to increase excise taxes, positive factors were shown, which increased budgetary revenues, but the above mentioned event caused a number of problems. The rise of excise tax in Georgia has increased the lives of the population. The Georgian tax system is based on excise tax analysis and needs to be taken into account.

It is noteworthy that tobacco is the highest share among excisable goods. Moreover, the important part of cigarettes, which is consumed in Georgia is imported, which led to a sharp decline in tobacco production. Also, in Adjara and other regions where tobacco production is really an income sector, there has been a decrease in the effectiveness of using land and its utilization in highland villages. Therefore, it would be good and necessary to recover the patriotic traditions of the tobacco industry, on the first stage the import reduction and the full satisfaction of cigarette demand, based on its full potential, then the high-quality tobacco afforded by our country's climatic conditions, to export it to the export growth. An increase of excise tax will be laid down negatively. Mobile companies, namely their phone voice service are taxed on excise duty. As mobile companies are employed at low cost and are getting higher profit, they need to add more to the budget that will cause the rising prices for this service, and it will still go to the consumer, which is negatively affecting on the lives of the population during the current economic crisis. Standard tariffs are still high due to excise taxes.

In the paper, the author suggests to carry out the necessary measures on excise tax analysis in the tax system of Georgia, complex study of the necessary problems and seeking ways to eliminate them. The aim of the study is to identify the role of excise in the development of the Georgian economy, reveal existing problems and issue relevant recommendations for economic development in the country.

Research methodology:

The study uses comparative, descriptive and evaluative methods, also data collection, system analysis and forecast.

Results and implications:

The survey revealed that excise increases were made from January 1, 2017. The Income is increased in the budget in comparison with the previous years, but the problems of existing revenue are increasing. The existing problems are directly related to entrepreneurs.

Conclusion:

The main outcome of the study is the coverage and analysis of excise tax problems, the relevant recommendations and conclusions for further improvement of the tax.

Keywords: Excise, Tax, Excise Tax.

თეა ხორგუაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფულის მართვისა და ლიკვიდობის კონცეპტუალური საკითხები და გავლენა საჯარო ფინანსების მართვაზე (PFM)

შესავალი

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები მთავრობის მიერ მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის შესახებ, რომ გამოიყენოთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელი გზები ან ხიდები აშენდება, სად აშენდება ახალი სკოლა, ან როგორ ხდება საავადმყოფოების უზრუნველყოფა, როგორ ემზადება მთავრობა მოულოდნელი მოვლენებისათვის, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არის ფისკალური არჩევანი, რომელსაც სჭირდება შესაბამისი ინსტიტუტების არსებობა და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

და ეს არის საჯარო ფინანსების მართვა PFM.

საზოგადოებრივი ფინანსების ეფექტური მართვა არის მნიშვნელოვანი ელემენტი საჯარო ფინანსებში. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საკუთარი რესურსების მართვა და ანგარიშვალდებული უნდა იყოს თავისი ქვეყნისა და მოქალაქეების წინაშე. მთავრობამ ასევე უნდა უზრუნველყოს დროული და მდგრადი გადაწყვეტილებები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. კარგი PFM აუცილებელია ისეთი ქვეყნებისთვის, რომელთაც სჭირდებათ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა.

საჯარო ფინანსების მართვა მოიცავს რესურსების მართვის ყველა ასპექტს - როგორ ხდება რესურსების ზრდა და გამოყენება, როგორ ხდება შეფასება და ხარჯვის მონიტორინგი, როგორ ახორციელებს მთავრობა თავისის ბიუჯეტის მართვას, როგორ გააძლიეროს ხარჯების კონტროლი, ფულადი სახსრების დაგეგმვა და მართვა, რა ფისკალური მონაცემები უნდა იყოს გამოყენებული და როგორ უნდა იყოს მთავრობა ანგარიშვალდებული.

საჯარო ფინანსების მართვა დაფუძნებულია კარგი პრაქტიკის ელემენტებზე, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო ბიუჯეტი. ფართო თვალსაზრისით საჯარო ფინანსების მართვა ასევე მოიცავს სახელმწიფო სესხისა და ვალის მართვას. სახელმწიფო ბიუჯეტი მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელსაც ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩო გააჩნია.

საჯარო ფინანსების მართვა კრიტიკულია სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად. ესენია, პირველი - როგორ უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას და ეკონომიკურ ზრდას, მეორე - როგორ ანაწილებს მთავრობა არსებულ რესურსებს და მესამე, ზედამხედველობის მექანიზმები და გამჭვირვალობა.

კვლევა და განხილვა

საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ქვეყანას, რომელთაც განახორციელეს არაერთი რეფორმა საჯარო ფინანსების მართვის კუთხით. 2004 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება განვითარება ფისკალური წესებისა და ფისკალური დისციპლინის მიმართულებით. განხორციელებული რეფორმების შედეგია კარგად განვითარებული ელექტრონული მმართველობის სისტემების შემუშავება, რომელიც ეხება სახელმწიფო რესურსების განაწილებას და გადანაწილებას, თანხების მობილიზებას და ეფექტურ ხარჯვას. ეს სისტემები დანერგილია ბიუჯეტირების სფეროში, სახელმწიფო ხაზინაში და სხვა დაკავშირებულ სფეროებთან. ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა შემოსავლების მობილიზების და ადმინისტრირების მიმართულებით, შეიცვალა და დაიხვეწა აუდიტის სამსახურის სამართლებრივი ჩარჩოები, გაფართოვდა და დაიხვეწა ხაზინის ერთიანი ანგარიში.

საჯარო ფინანსების მართვის განუყოფელი ნაწილია გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც ხდება საჯარო მომსახურებისა და პროგრამების საქართველოს მოქალაქეებისათვის მიწოდება. ამ მიმართულების შედეგს წარმოადგენს პროგრამული ბიუჯეტი.

საჯარო ფინანსების ეფექტური მმართველობისა და ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბების მიმართულებით საქართველომ 2017 წელს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რაც არაერთ ავტორიტეტულ რეიტინგში აისახა. ხაზგასმით აღინიშნა სარეიტინგო კომპანიის, „Moody's" ბოლო შეფასება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პოზიცია, ბოლო 7 წლის მანძილზე პირველად გაუმჯობესდა. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში მიღწეული პროგრესი ნათლად ჩანს საერთაშორისო კვლევების შედეგებში. საქართველოს პოზიცია ღია ბიუჯეტის ინდექსში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ის 102 გამოკვლეულ ქვეყანას შორის 16 პოზიციაზეა და მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის. ამ მაჩვენებლით საქართველო წინ უსწრებს რეგიონის ყველა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას.

საჯარო ფინანსების მართვის ყველა მთავარ სფეროში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო პროცესი, გაიზარდა პროცესის გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა. პირველ რიგში, რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქეების მონაწილეობა საჯარო ფინანსურ მენეჯმენტში? არსებობს რამდენიმე მიზეზი. პირველი, ბიუჯეტის გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათ ცხოვრებაში. მეორე, ბიუჯეტში საზოგადოების მონაწილეობას შეუძლია გააუმჯობესოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფისკალური პასუხისმგებლობა. მესამე, მოქალაქეთა მხრიდან პირდაპირი გამოხმაურებაა, საზოგადოების მონაწილეობა ასევე ეხმარება გადაწყვეტილების მიმღები პირებს, შეაფასონ მათი ქმედებების სავარაუდო შედეგები. და ბოლოს, მოქალაქეს შეუძლია ბიუჯეტის პროცესში კონტროლის როლი ითამაშოს, საჯარო ფინანსების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებულია სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების სისტემა. საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის

რეფორმების შეფასება PEFA-ს (სახელმწიფო ხარჯები და ფინანსური ანგარიშვალდებულება) სტანდარტების მიხედვით პირველად ჩატარდა 2007 წელს მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის მხარდაჭერით და გამოქვეყნდა 2008 წლის ნოემბერში. PEFA-ს ანგარიშმა შერეული სურათი აჩვენა, რადგან ინდიკატორების ნახევარი შეფასდა მაღალი ქულებით (4 A ქულა და 10 B ქულა), ხოლო მეორე ნახევარმა არცთუ სახარბიელო შედეგები მოგვცა (6 C ქულა და 8 D ქულა). 2007 წელს ჩატარებული შეფასება აჩვენებდა, რომ საქართველოში დაწყებული იყო მნიშვნელოვანი რეფორმები, საიდანაც უნდა აღინიშნოს საგადასახადო-საბაჟო რეფორმა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის შექმნა.

საქართველოს მეორე PEFA-ს შეფასება ეფუძნებოდა 2012 წლის ბოლოს არსებულ მდგომარეობას და 2013 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა. 2007 წლის PEFA-სთან შედარებით, 2013 წლის PEFA-მ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) მეთოდოლოგია ყურადღებას სხვა ტიპის დოკუმენტებზე ამახვილებს და შეფასების მიხედვით, 6 ელემენტიდან 4 შესრულდა. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო: წლიური საბიუჯეტო დოკუმენტაცია, ბიუჯეტის შესრულების შუალედური ანგარიშები, გარე აუდიტის დასკვნა და რესურსები პირველადი მომსახურების ერთეულებისთვის. PEFA-ში დარჩენილი სუსტი მხარეების იდენტიფიცირების საფუძველზე, აგრეთვე სახელმწიფო ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც აღებულია განვითარების სფეროში/მიმართულების პარტნიორებთან გაფორმებული სხვადასხვა შეთანხმებით (განსაკუთრებით, ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვებისა და საგადასახადო და საბაჟო სფეროებში), ფინანსთა სამინისტრომ განაახლა თავისი სტრატეგია და შეიმუშავა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2014- 2017 წლების სტრატეგია. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული კვლევა 2016 წელსაც ჩატარდა საქართველოში, რომლის მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2017 წლის ბოლოს.

საჯარო ფინანსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უწყებას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებით:



2014 წლიდან დაწყებული მზადდება და ქვეყნდება ფისკალური რისკების ანგარიშგება, სადაც ნაჩვენებია ალტერნატიული სცენარების ანალიზი, ოპტიმისტური, საბაზისო და პესიმისტური მაკროეკონომიკური სცენარების გავლენა ძირითად ფისკალურ აგრეგატებზე. საბაზისო სცენარი წარმოადგენს ბიუჯეტის შედგენის საფუძველს. ფისკალური რისკების ანგარიშგება მოიცავს აგრეთვე: ▯ ფისკალურ რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოებიდან და სახელმწიფო ვალის მდგრადობიდან იმ ფისკალური რისკების გამჟღავნებას, რომლებიც წარმოიქმნება ენერგიის შესყიდვების შეთანხმებებიდან; ▯ პირობით ვალდებულებებს და კვაზიფისკალურ საქმიანობას (მიმდინარე). ბოლო დროს კიდევ უფრო განვითარდა ფისკალური რისკის ანალიზი: 2015 წლიდან ქვეყნდება სენსიტიურობის ანალიზი, სადაც აისახება მაკროეკონომიკური ცვლადების ფართო სპექტრის სხვადასხვა შოკის პირდაპირი გავლენა ძირითად ფისკალურ აგრეგატებზე. 2017 წლიდან ფისკალური რისკის ანგარიშგება მოიცავს სავარაუდო გრაფიკულ პროგნოზებს, რომლებიც გვიჩვენებენ ზრდასა და ინფლაციასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას.

მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის მიმართული კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნაზე, ასევე, ბიზნესის წამოწყებასა და გაფართოებაზე. ყოველივე ეს ხორციელდება როგორც საგადასახადო სისტემის სიმარტივის, სიცხადის, უნივერსალურობის, სამართლიანობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად,

ისე გადასახადის განაკვეთების ოპტიმალური დონის დაწესებით. სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმები აისახება საგადასახადო ადმინისტრირებაში:



კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ფინანსებზე ეს არის სახელმწიფო ვალი. საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვის სისტემა კარგად არის განვითარებული და კარგად რეგულირდება. ამიტომ 2012 წლის PEFA-ს შეფასებით ისევ A ქულა მიიღო. 2011 წელს მიღებული ეკონომიკური თავისუფლების აქტით სახელმწიფო ვალის მშპ-სთან ფარდობა 60%-ით იზღუდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმდა, რომ სახელმწიფო ვალის მშპ-სთან ფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 45%-ს საშუალოვადიან პერიოდში. გასულ წლებში ეს ფარდობა მიღწეული იყო და მოსალოდნელია, რომ შემდეგ წლებშიც მიიღწევა. ვალის მდგრადობის ანალიზს ამჟამად თვითონ ფინანსთა სამინისტრო აკეთებს და ანალიზი თან ერთვის 2016-2017 წწ. კანონს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.



დასკვნა და წინადადებები

საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული, ინტერნეტზე დაფუძნებული, ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა ერთ-ერთი უდიდესი წარმატებაა ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, თან, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ძირითადად შიდა რესურსით იქმნება. საჯარო ფინანსების მართვა არის განუყოფელი ნაწილი გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბების გზაზე, რომლის მეშვეობითაც ხდება საჯარო მომსახურებისა და პროგრამების საქართველოს მოქალაქეებისათვის მიწოდება. ის ასევე არის უფრო ფართო ინსტიტუციური მოწყობის საფუძველი, რომელიც ხელს უწყობს კარგი მმართველობის დამკვიდრებას.

სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემა გახდა ცენტრალიზებული და ხელმისაწვდომი როგორც ყველა ხაზინის მომსახურეობაზე მყოფი ორგანიზაციისათვის, ასევე შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან წვდომა.

გატარებულმა რეფორმებმა და დანერგილმა სისტემებმა უზრუნველყო სახელმწიფო სისტემების კომპლექსური, ეფექტური და გამჭვირვალე მართვა, მომსახურების გაუმჯობესება, ხარჯების შემცირება, პერსონალის ორივე მხრიდან მნიშვნელოვანი შემცირება. სახელმწიფო ხაზინამ ორგანიზაციებს შესთავაზა ურთიერთობის მოხერხებული და გამჭვირვალე ფორმა. ამ სისტემის მეშვეობით მიმოქცევიდან გაქრა ქაღალდის დოკუმენტები, ინფორმაციის მიღება შესაძლებელი გახდა დროის რეალურ რეჟიმში, მინიმუმამდე დავიდა საოპერაციო რისკები.

საჯარო ფინანსების ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში გაერთიანებას და თავმოყრას ელექტრონული სისტემების მეშვეობით ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ცვლილებები შევიდა და დაიხვეწა არაერთი საკანონმდებლო აქტი, შემუშავდა და გამოიცა სახელმძღვანელოები. სახელმწიფომ შეიმუშავა „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“.

ლიტერატურა:

1. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/debulebariskebis_martva.pdf
2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2370383
3. http://www.lari.ge/15-dazghvevis-alqimia/158-riskebis-martvis-metodebi.html
4. https://intimes.wordpress.com/2017/02/15/risk-management-რისკების-მართვა/

Tea Khorguashvili

Gori State Teaching University

CONCEPTUAL ISSUES OF MONEY MANAGEMENT AND LIQUIDITY AND IMPACT ON PUBLIC FINANCE MANAGEMENT (PFM)

RESUME

Effective management of public finances is an important element in public finances. Good PFM is essential for those countries who need management of public finances of sustainable development goals, which is an integral part on the way of formation transparent and accountable budget system, that allows public services and programs to be delivered to Georgian citizens. It is also the basis for a broader institutional arrangement that promotes establishment of good governance. Implemented reforms and systems provided complex, efficient and transparent management of state systems, improvement of the services, reduction of the costs, management of time and public finances, automation of exchange process of information between electronic management systems has resulted significant decrease of time, cost and personnel from the both side required for the processing of the document. State treasury offered organizations convenient and transparent form of communication. With this system the paper documents disappeared from the circulation, it became possible to get information in real regime of time, operational risks went to minimum level.

Management of public finances is based on elements of good practice, where the state budget plays an important role. From a broad point of view management of public finances also includes management of the state loan and debt. The state budget is the most important political document of government, which has the legal framework of the country. Creating and implementing integrated, internet-based, electronic system of public finance management is one of the greatest successes in the framework of the public finance management reform of the country, and, what is more important, it is mainly created by internal resources. Management of public finances is an integral part on the way of formation transparent and accountable budget system, through which the public services and programs are delivered to the citizens of Georgia. It is also the basis for a broader institutional arrangement that promotes establishment of good governance.

მაია ჭანია
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესზე სახელმწიფოს ზემოქმედების მიმართულებები, ტენდენციები და პერსპექტივები

ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს (ხელისუფლებას) წამყვანი როლი ენიჭება. ბიზნესის გარემო არის იმ ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა და ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობაზე, მიმართულებაზე, ტემპსა და მასშტაბზე.

ეკონომისტები ბიზნესის გარემოს კლასიფიცირებას ახდენენ სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. გამოიყოფა ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ–კულტურული, ბუნებრივ-გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ა.შ. გარემო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის კანონზომიერებიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის მეგა გარემოს გამოყოფა. ეს უკანასკნელი გამოხატავს მოწინავე და კონკურენტუნარიანი ფირმების საერთაშორისო (გლობალურ) ბაზრებზე ორიენტირებულობას.

ბიზნესის გარემო ყალიბდება ბიზნესზე, როგორც ზემოქმედების ობიექტზე, მიმართული სახელმწიფოს სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად. ამგვარი ზემოქმედების შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარე მათი დაყოფა შესაძლებელია ბიზნესთან არაპირდაპირ (ირიბად) და პირდაპირ დაკავშირებულ ღონისძიებებად. პირველ ჯგუფში ერთიანდება ის ღონისძიებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფოს ლატერალურ ფუნქციებთან. კერძოდ:

- ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, საზოგადოებრივი წესრიგის, მეწარმის ფიზიკური უსაფრთხოებისა და მისი ქონების დაცვა;
- ეკონომიკური ზრდის წახალისება შესაბამისი მონეტარული, ფისკალური, ინვესტიციურ–სტრუქტურული და სხვა სახის პოლიტიკის საშუალებით;
- კონკურენტული გარემოს შექმნა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ჩარჩოებში;
- ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ცივილიზებული საბაზრო თამაშის წესების შემუშავება და განუხრელი დაცვა.

აღნიშნულ ღონისძიებათა პრაქტიკაში განხორციელება უზრუნველყოფს ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას, რომელიც თავის მხრივ, ყველა ტიპისა და ზომის ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

სახელმწიფოსთან ერთად ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია საზოგადოებას, რაც გამოიხატება მისი მხრიდან ბიზნესმენთა (მეწარმეთა) მიმართ კეთილმოსურნე განწყობის შექმნასა და საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების წევრთა საბაზრო მენტალიტეტის ფორმირებაში.

ამრიგად, ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების წინაპირობები შეიძლება სამ ჯგუფად გაერთიანდეს:

- სახელმწიფოს პოლიტიკა ბიზნესთან მიმართებაში;
- საზოგადოების კულტურა და ფასეულობათა სისტემა;
- სამეწარმეო (ბიზნეს) საქმიანობისადმი ადამიანთა მიდრეკილება და მათი უნარი.

ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიზნესზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესზე, უშუალოდ ორიენტირებულ სახელმწიფო ღონისძიებებს, რომელიც მოიცავს ფინანსურ (საგადასახადო და საკრედიტო), ორგანიზაციულ–ინსტიტუციურ, საინფორმაციო–საგანმანათლებლო და სხვა სახის მექანიზმებისა და ბერკეტების ეფექტიანად გამოყენებას.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

გადასახადები სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმაა. გადასახადები არის ის სავალდებულო, ინდივიდუალური, აუნაზღაურებადი, ძალდატანებითი "შენაწირი", რომელსაც ახორციელებენ ქვეყნის მოქალაქეები და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული იურიდიული და ფიზიკური პირები სახელმწიფოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მათ შორის თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გადასახადების გადამხდელ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადასახადები ის საფასურია, რომელსაც ისინი უხდიან სახელმწიფოს პირადი და კორპორაციული უსაფრთხოებისათვის, პროგნოზირებადი სამეწარმეო გარემოს შექმნისათვის, რისკების მინიმიზაციისათვის და საზოგადოებრივი სიკეთეებით (თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სოციალური მომსახურება და ა.შ.) სარგებლობისათვის.

ამასთანავე, ადამიანთა უმრავლესობა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ბიზნესმენებიც, გადასახადების გადახდას აღიქვამს როგორც საკუთარი შემოსავლისა და სიმდიდრის ნაწილის დაკარგვას ანუ საგადასახადო ტვირთს, რომელიც, მათი წარმოდგენით, უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოსაგან მიღებულ სიკეთეებზე გაცილებით მეტია. ამიტომ გადასახადების მიმართ მათი დამოკიდებულება ნეგატიურია. თუმცა, ეს ნაკლებად გამოიხატება ღია პროცესის სახით, და, როგორც წესი, ვლინდება სხვადასხვა ფორმებში: გადასახადებისგან თავის არიდების მცდელობაში, ეკონომიკური აქტივობის "ჩრდილში" გადატანაში და ა.შ. ამგვარი მცდელობები ერთგვარი პასუხია ქვეყანაში გატარებული საგადასახადო პოლიტიკის მიმართ, რომელიც ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

კერძო ბიზნესის თვალთახედვით გადასახადების გადახდა ზრდის მათ მიერ წარმოებული პროდუქტისა თუ მომსახურების ერთეულის ღირებულებას და აქვეითებს მათ კონკურენტუნარიანობას. სწორედ ამიტომ თვით აშშ–იც კი, სადაც საგადასახადო სისტემა ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა და იხვეწებოდა, ფიზიკური პირები და კორპორაციები სახელმწიფოს ხშირად უმალავენ გადასახადებს. ექსპერტთა შეფასებით, დამალული შემოსავლები ამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ხუთი პროცენტის ფარგლებშია.

გადასახადების მიმართ დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი კატეგორიები, როგორიცაა საგადასახადო მენტალიტეტი და საგადასახადო მორალი. საგადასახადო მენტალიტეტი წარმოადგენს გადასახადებისადმი ადამიანის სუბიექტურ განწყობას და დეტერმინირებულია საზოგადოების საერთო განწყობით. საგადასახადო მორალი გამოხატავს საგადასახადო კანონის დარღვევისადმი ადამიანის დამოკიდებულებას (პოზიციას).

ნებისმიერი ბიზნესი, მისი ზომის მიუხედავად, საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას და ამიტომ ზოგადად ბიზნესი თავად უნდა იყოს დაინტერესებული ეფექტიანი და ქმედითი სახელმწიფო სტრუქტურების არსებობით. აუცილებელია მკვეთრად არ შემცირდეს საბიუჯეტო შემოსავლები, ამავე დროს ბიზნესს არ დაეკარგოს გაფართოების სტიმული და არ გაუჩნდეს ლეგალური სფეროებიდან „ჩრდილოვან ეკონომიკაში" გადასვლის სურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში საგადასახადო პოლიტიკა ეხება სახელმწიფოს, ფირმებსა და მოქალაქეებს, იგი არსად არ წარმოადგენს საზოგადოებაში კონსენსუსის შედეგს. მისი მიღება და განხორციელება ყველგან და ყოველთვის სახელმწიფოს პრეროგატივაა.

საქართველოში საგადასახადო პოლიტიკამ და პრაქტიკამ საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი გზა გაიარა. გვახსოვს ისეთი პერიოდები, როდესაც ქვეყანაში საგადასახადო დისციპლინა უკიდურესად დაბალ დონეზე იმყოფებოდა, ხოლო გადასახადების დამალვა თითქმის წესად იყო ქცეული. ე.წ. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საგადასახადო სფეროში გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული. საგრძნობლად გაძლიერდა საგადასახადო დისციპლინა, გამარტივდა გადასახადების ადმინისტრირება, მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფცია ამ სფეროში, შემცირდა გადასახადების რაოდენობა და ა.შ. ამასთანავე, როგორც მეწარმეთა და ბიზნესმენთა გამოკითხვები გვიჩვენებს, საგადასახადო კანონმდებლობა და მისი განხორციელების წესი სერიოზულ სრულყოფასა და დახვეწას საჭიროებს. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მოქალაქეებში საგადასახადო კულტურისა და პასუხისმგებლობის ამაღლების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გადასახადებისათვის მეწარმეობის მხარდამჭერი ხასიათის მინიჭება, რომელიც შეიძლება რეალიზებული იქნეს შემდეგი მიმართულებებით: საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებაში მცირე მეწარმეებისა და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების აქტიური ჩაბმა, მცირე და საშუალო ბიზნესის ფისკალური მხარდაჭერა, რომელიც საგადასახადო შეღავათების გარდა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სუბსიდიების გაცემას. მეწარმეობის განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ახლადშექმნილი მცირე საწარმოების ფუნქციონირების დაწყებიდან ორი წლის მანძილზე მათი მოგების გადასახადის განახევრება;
- მცირე და საშუალო საწარმოების მთლიანად განთავისუფლება რეინვესტირებულ კაპიტალზე მოგების გადასახადიდან;
- მცირე საწარმოებისთვის უფლების მინიჭება ისარგებლონ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმებით;
- მცირე საწარმოების მიმართ გამარტივებული საბუღალტრო წესის გამოყენება;
- გადასახადების რაოდენობის შემცირება მათი აგრეგირების გზით.

როგორც დავინახეთ, ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან საფინანსო–საკრედიტო და საინვესტიციო მხარდაჭერის გარეშე. გამოკითხულ მცირე და საშუალო მეწარმეთა აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი მათი საქმიანობის მთავარ შემაფერხებელ მიზეზად ასახელებდა საბანკო და არასაბანკო კრედიტებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო რისკის მაღალი ხარისხით და გაცემულ სესხებზე სათანადო გარანტიების არარსებობით. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული მექანიზმის სრულყოფა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით. უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია ბიზნესის მხარდაჭერის ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

• მიკროდაფინანსების არასაბანკო ინსტიტუტების ჩამოყალიბების სტიმულირება;

• საბანკო მომსახურების სფეროს დივერსიფიცირება;

• შეზღუდული ლიცენზიის მქონე მცირე ბანკების განვითარება;

• დისტანციური საფინანსო მომსახურების პრაქტიკის დანერგვა;

• ელექტრონული და მობილური გადახდის საშუალებების, მათ შორის ელექტრონული ფულის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა;

• ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განშტოებული ქსელის შექმნის მხარდაჭერა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე პერსპექტიული მიმართულებაა ინოვაციური ბიზნესი. შესაბამისად, აუცილებელია ახალი, ინოვაციური, რესურსდამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემქმნელი და დამნერგავი პროექტების ფინანსური და საკრედიტო–საგარანტიო სქემების შექმნა. ასეთმა პროექტებმა შეიძლება მოიცვას:

• ვენჩურული ინტელექტუალური ფონდისა და სპეციალიზებული ინვესტიციური ბანკის შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების დაფინანსებისათვის;

• ინტელექტუალური საკუთრებით გარანტირებული მაღალი ტექნოლოგიების ფირმების ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების ბაზრის ჩამოყალიბება;

• ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტების, სალიზინგო კომპანიებისა და საგარანტიო ფონდების ქსელების შექმნა;

• მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების წყაროების შექმნის „ქვევიდან წამოსული“ ინიციატივების (საკრედიტო კოოპერატივები, ურთიერთდაკრედიტების საზოგადოებები) და იმ ორგანოებისა და სტრუქტურების ნუსხა, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მთელ პროცესზე.

ბიზნესთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანია აქტიური სტრუქტურული პოლიტიკის გატარება. იგი გულისხმობს იმ პრიორიტეტული დარგებისა და საწარმოების შერჩევას, რომლებიც სათანადო რესურსებით უზრუნველყოფის პირობებში შეძლებენ მაქსიმალური ეკონომიკური უკუგების მოცემას. ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეს პრიორიტეტები შეიძლება შეიცვალოს, თუმცა შესაძლებელია მეტ-ნაკლებად სტაბილური და მაღალი შედეგების მომტანი შემდეგი სფეროების გამოყოფა:

• სამრეწველო და სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება;

• მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი წარმოება და ინოვაციები;

• საექსპორტო და იმპორტშემცვლელი წარმოება;

• ტურიზმი და ინფრასტრუქტურა.

მეცნიერულ–ტექნოლოგიური პროგრესის თანამედროვე ეტაპის ხასიათიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნოლოგიური ხასიათის ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს:

•თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღების წყაროებისა და საშუალებების განსაზღვრას;

• ტექნოლოგიების შემოტანის ისეთი ფორმების გამოყენებას, როგორიცაა ლიცენზიები და ნოუ–ჰაუ, საწარმოთა კოოპერაცია, ერთობლივი მეწარმეობა და სხვ.

•ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანის ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბება: ტექნიკური და ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნოპარკების, სალიზინგო კომპანიების და ა.შ. შექმნა;

• ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სწავლება და კონსულტაციები;

• წახალისებისა და შეღავათების სისტემის გამოყენება იმ მეწარმეთა მიმართ, რომლებიც ორიენტირებული არიან მოწინავე ტექნოლოგიათა იმპორტირებასა და დანერგვაზე.

მცირე საწარმოთა ტექნოლოგიური მომსახურების თანამედროვე და პერსპექტიულ ფორმად მიჩნეულია ფინანსური და ოპერატიული ლიზინგი. ფინანსური ლიზინგი, ტრადიციული საბაკო დაკრედიტებისაგან განსხვავებით, მეწარმეს საშუალებას აძლევს მიიღოს აუცილებელი ძირითადი საშუალებები ერთდროული დანახარჯების განხორციელების გარეშე. იგი ითვალისწინებს ძირითად

საშუალებებზე საამორტიზაციო ღირებულების მთლიან ან ნაწილობრივ გადახდას, რის შემდეგაც ქონება დამქირავებლის საკუთრებაში გადადის. ამ ინსტრუმენტის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთი სახის წარმოებაში, რომელიც ხასიათდება მაღალი ციკლურობით და სეზონურობით. ფინანსური ლიზინგი მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს აძლევს მეწარმეს. კერძოდ, იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები არ აღირიცხება საბალანსო ანგარიშებში აქტივების სახით, საარენდო შენატანები არ იბეგრება და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ლიზინგით შემოტანილი მოწყობილობები და დანადგარები თავისუფლდება საბაჟო გადასახადებისაგან. ასევე წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ოპერატიული ლიზინგი, რომელიც გულისხმობს ძირითად საშუალებათა იჯარას მათი საამორტიზაციო ვადაზე ნაკლები პერიოდით.

მოწინავე უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე, მეწარმეობის მხარდასაჭერად შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორიცაა ბიზნეს– ინკუბატორები. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლინებას და მეცნიერულ–ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა სწრაფად დანერგვას. ბიზნეს–ინკუბატორი არის სპეციალური ტერიტორია, სადაც თავმოყრილია ახალი საწარმოები. ისინი სარგებლობენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურითა და აუცილებელი მომსახურებით. ბიზნეს–ინკუბატორებში აქტიურად მიიზიდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციები. წარმოება ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე.

ბიზნეს–ინკუბატორების შექმნა საკმაოდ რთული, შრომატევადი და კაპიტალტევადი საქმეა, რომელიც მოითხოვს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას. კერძოდ, აუცილებელია ბიზნეს–ინკუბატორების სტატუსის განსაზღვრა, მართვის სტრუქტურებისა და ფუნქციების დადგენა და სხვ. ბიზნეს–ინკუბატორი სამართლებრივ-ორგანიზაციული წესით არის დამოუკიდებელი და არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობას წარმართავს კოლეგიური ორგანო, მაგალითად საბჭო. მეტად მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურის თანამშრომლობა მცირე მეწარმეობის ხელშემწყობ და განმავითარებელ ადგილობრივ ორგანოებთან, ასევე მოცემულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებად საკონსულტაციო მომსახურების ცენტრებთან. მიზანშეწონილია, რომ საქართველოში ბიზნეს–ინკუბატორების საქმიანობა უმთავრესად წარიმართოს:

ა) მატერიალური წარმოების სფეროში მეწარმეობის მხარდასაჭერად;

ბ) მომსახურების სფეროში მეწარმეობის განსავითარებლად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნეს–ინკუბატორებისათვის ადგილმდებარეობის სწორი შერჩევა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს სათანადო ინფრასტრუქტურების არსებობა, პირველ რიგში კი – თანამედროვე კომუნიკაციების გამოყენების შესაძლებლობა.

აუცილებელია ბიზნეს–ინკუბატორების მიბმა რეგიონალურ პოლიტიკასთან და მართვის ადგილობრივი ორგანოების აქტიური ჩართვა ბიზნეს–ინკუბატორების ფუნქციონირების პროცესში. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მმართველი პერსონალის შერჩევას, მართვის ეფექტიანი პროცედურების შემუშავებას, მენეჯერთა საქმიანობის სწორ შეფასებას და სათანადო სტიმულირებას.

ბიზნესის წარმატებით განვითარების შესაძლებლობას ძალიან დიდი ზომით განსაზღვრავს ბიზნესმენთა და მეწარმეთა განათლების დონე, პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველივე ამის მიღწევა არის რთული პროცესი, რომელიც დიდ დროს, ძალისხმევას და სერიოზული კაპიტალდაბანდებების განხორციელებას მოითხოვს.

გასული საუკუნის 90–იანი წლების დასაწყისიდან, რომელსაც ისტორიულად დაემთხვა განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდა, კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს კომპლექსური სწავლების ცენტრების შექმნა და მასში საკუთარი კვალიფიკაციური კადრების მომზადება. ასეთი ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და აქ დასაქმებულია როგორც კვალიფიციური პედაგოგები, რომლებსაც ძირითადად მიჰყავთ თეორიული კურსები, ასევე საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი, ძირითადად ახალგაზრდა ინსტრუქტორები. შესაბამისად, მსგავს ცენტრებში მიღწეულია ფუნდამენტური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების სინთეზი და მთლიანად სწავლების პროცესი მაქსიმალურადაა დაახლოებული რეალური წარმოების გარემოსთან.

კომპლექსური სასწავლო ცენტრები განსაკუთრებით აქტიურად და ეფექტიანად გამოიყენება ისეთი ცნობილი საავტომობილო კონცერნების მიერ, როგორიცაა: ამერიკული “ფორდი”, ფრანგული “რენო”, იტალიური “ოლივეტი”.

სასწავლო ცენტრები ბევრ ქვეყანაში კორპორაციების ძლიერი ქვედანაყოფებია. კადრების შიდასაფირმო მომზადებასთან ერთად ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს კორპორაციათაშორისი სასწავლო ცენტრები, რომელთა მთავარი ამოცანაა ამ კორპორაციებთან ფინანსურად, ტექნოლოგიურად დაკავშირებული მცირე და საშუალო ფირმებისათვის კადრების მომზადება. ასეთი ცენტრები არსებობს

იტალიურ ნავთობქიმიურ კომპანიასთან „მონტე დისონი“, რამდენიმე კორპორაციათაშორისი სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს საფრანგეთისა და გერმანიის ქიმიურ მრეწველობაში. ამ ცენტრებში თავმოყრილია საუკეთესო აპარატურა და მოწყობილობა; თეორიული მომზადების ხვედრითი წონა საერთო მომზადების პროგრამაში დაახლოებით 30%-ს აღწევს. ზემოაღნიშნულ ცენტრებში კადრების მომზადება მიმდინარეობს ძირითადად ორი მიმართულებით: სამუშაოზე ახლად მიღებული თანამშრომლების სწავლება სპეციალიზებული პროგრამების მიხედვით და კვალიფიკაციის ამაღლება. პრაქტიკაში დამკვიდრებულია პირველი კატეგორიის მუშაკთა დაწინაურების წესი, თუკი ისინი წარმატებით გაივლიან სასწავლო პროგრამას. ობიექტური და სამართლიანი შეფასების მიზნით ახალგაზრდა თანამშრომელთა სასწავლო აქტივობების შეფასებები შეიტანება სპეციალურ დოსიეში და ინახება სასწავლო ცენტრში. ინჟინერ–ტექნიკური და სხვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, დასავლეთის მეცნიერთა აზრით, წარმოების თანამედროვე ხასიათიდან გამომდინარეობს და ეს პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გრძელდებოდეს.

სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც წესი, რეალიზდება სამი მთავარი მიმართულებით: ა) იმ მუშაკთა ცოდნის გაღრმავება-გაფართოება, რომლებიც რჩებიან დაკავებულ თანამდებობაზე; ბ) მუშაკთა მომზადება ხელმძღვანელი თანამდებობების დასაკავებლად, გ) მუშაკთა გადაკვალიფიცირება და ახალი პროფესიის დაუფლება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ წლებში კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის მიღებისათვის დამატებითი სტიმულირების მინიჭების მიზნით, ბევრ კომპანიას საკუთარი სასწავლო ცენტრის პროგრამაში შეაქვს საინჟინრო და მენეჯმენტის მეცნიერებებში ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება.

ამრიგად, სასწავლო ცენტრების შექმნა, სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება დასავლეთში დღეს განიხილება კორპორაციების გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის ორგანულ შემადგენელ ნაწილად, რომელიც კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გზით, უზრუნველყოფს სამეცნიერო–ტექნიკური, საწარმოო, საინვესტიციო, მარკეტინგული რისკების შემცირების და ზოგადად კორპორატიულ განვითარებას.

დასავლეთის ქვეყნების ზემოაღნიშნული გამოცდილება, რა თქმა უნდა, საინტერესოა ჩვენთვის, თუმცა მისი პირდაპირი გადმოტანა საქართველოს რეალურ სინამდვილეში შეუძლებელია იმის გამო, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი ძლიერი ბიზნეს–სტრუქტურები, რომლებიც დამოუკიდებლად მოახერხებენ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მთელი სისტემის საკუთარი ძალებით ფუნქციონირების უზრუნველყოფას. შესაბამისად, ამ პროცესის განხორციელების მთავარი მონაწილე სახელმწიფო შეიძლება იყოს. ამასთანავე, სახელმწიფომ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით უნდა წაახალისოს ბიზნეს–სტრუქტურები აღნიშნულ პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად,

ამრიგად, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერის ღონისძიებათა ეფექტიანი და ქმედითი სისტემის შექმნა და გამოყენება წარმოადგენს ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისა და განვითარების სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობას.

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., მომსახურება და საბაზრო სისტემა. თსუ, 1993.
2. უფლისაშვილი გ., ფიქსირებული დაბეგვრის რეჟიმი საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები“ შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი, 2012.
3. ჭანია მ., მეწარმეობა - როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოსავალი. თბ. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016
4. Engelschalk M. Creating a Favorable Tax Environment for Small Business Development in Transition Countries. Paper presented at Conference on the Hard-to-Tax. Andrew Young School of Public Policy. Georgia State University. 2003.
5. European Commission, Community Research and Development Information Service - www.cordis.europa.eu/fp7/
6. First Section of the Annual Report on EU Small and Medium-sized Enterprises. By David Audretsch, Rob van der Horst, Ton Kwaak, Roy Thurik. Published by EIM, the Netherlands, January 2009.
7. Калинин А., Анализ развития и состояние малого и среднего бизнеса в мире. журн. «Экономика, предпринимательство и право». №4, 2011.

Maia Chania
David Agmashenebeli University of Georgia; Sokhumi State University

STATE OF INFLUENCE ON THE STATE OF BUSINESSES, TENDENCIES AND PERSPECTIVES

RESUME

For the successful functioning and development of business, it is necessary to have an appropriate environment in which the state (government) has a leading role. The business environment is a combination of objective and subjective conditions and factors affecting the possibility of business implementation, direction, size and scale. The prerequisites for business and entrepreneurship development can be combined into three groups:

• State policy towards business
• Society culture and value system;
• People's tendency to entrepreneurial (business) activity and their ability.

Since the beginning of the 90s of the last century, which historically coincided with the emergence of developed industrial industries, companies started to create complex teaching centers and prepare their own qualified staff. These centers are equipped with modern technical means and are employed as qualified teachers who mainly take theoretical courses and enterprise practices, mainly young instructors. Consequently, in such centers, the synthesis of fundamental theoretical knowledge and practical skills is achieved and the process of totally correcting is closer to the real production environment. Establishment and use of an effective and effective system of direct business support from the state is a vital requirement for successful functioning and development of business.

თინა ჯოლბორდი
თბილისის საერთაშორისო აკადემია

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ზოგიერთი საკითხი ბუღალტრულ აღრიცხვაში

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციამ და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციამ მოითხოვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. დასავლეთში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტალურ პრინციპების საფუძველზე შემუშავდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ამჟამად მიმდინარეობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა, მათზე დღესაც მიმდინარეობს მუშაობა. ამ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები აღმოჩნდნენ პრობლემის წინაშე: განუწყვეტლივ მიმდინარეობს ამ სტანდარტების ცვლილება და სრულყოფა, რაც მეტად ართულებს ბუღალტრული აღრიცხვის და საგადასახადო საქმის წარმოებას, როგორც თეორიას, ისე პრაქტიკას. პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ჩვენი ტრადიციული მიდგომა მეცნიერული კვლევებისადმი იყო შემდეგი: ჯერ მუშავდებოდა თეორია, შემდეგ მოწმდებოდა პრაქტიკაში. აქ ნაკლებად იყო დაშვებები, გონივრული განსჯა და სხვ., რომლებიც მრავლად გვხვდება ახალ სტანდარტებში (აქ ყველაფერი ზუსტად იყო განსაზღვრული), მუშავდებოდა მეცნიერული თეორიის ადეკვატური მეთოდოლოგია და მეთოდიკა, შემდეგ ინერგებოდა პრაქტიკაში. ამჟამად ხდება პირიქით, საზღვარგარეთის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე იქმნება სტანდარტები და მუდმივად განიცდის ცვლილებას, რაც ართულებს საგადასახადო კანონმდებლობას და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

ზემოაღნიშნული ცვლილებები ახალ გამოწვევებს უსახავს უმაღლეს სასწავლებლებს, კერძოდ, ვთვლით, რომ აღნიშნული საკითხები მოითხოვს მეცნიერულ დამუშავებას, რაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო პერსონალმა. მათ საზღვარგარეთის მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მეცნიერულად უნდა დაამუშაონ ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები, მისი მეთოდოლოგია და მეთოდიკა, უნდა შეიქმნას ახალი წიგნები, რაც დადებითად წაადგება მეცნიერებას და პრაქტიკას ქვეყანაში. იმავდროულად უნდა მოეწყოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სათანადოდ გადამუშავდეს სტუდენტთა

სახელმძღვანელოები, რათა მომზადდეს თანამედროვე მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური კადრები. უნდა მოხდეს არა მხოლოდ ბიზნესის, არამედ განათლების ინტერნაციონალიზაციაც.

მეორე საკითხია, იყო თუ არა სწორი ერთბაშად არსებული ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების შეცვლა სრულად, დარგობრივი ბუღალტერიების გაუქმება. პრაქტიკამ უჩვენა, რომ ბევრი საკითხი ადრე უფრო ზუსტი და მორგებული იყო პრაქტიკას, ვიდრე ახლა. მაგალითად, ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვა პრაქტიკაში არსებობს, თეორიაში კი მეტად მწირი მასალაა მასზე, ე. ი. პრაქტიკა ითხოვს თეორიულ კვლევას და ახალ ამოცანებს უსახავს ბუღალტრულ აღრიცხვას. დაუზუსტებელი საკითხები, განსჯის უნარის ხშირად გამოყენება ბუღალტერიაში ბევრ გართულებას ქმნის, ხოლო ალტერნატიული მეთოდების გამოყენება ართულებს სიტუაციას:

„შედარებისათვის აუცილებელია ორი მუხლის არსებობა. სხვადასხვა საწარმოების ინფორმაციის შესადარისობა მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდების გამოყენებით. შესადარისობის ხარისხი ეცემა, როცა ბუღალტრულ აღრიცხვის ალტერნატული მეთოდებია ნებადართული“ (1, გვ. 27).

მიგვაჩნია, რომ უსამართლოდ იქნა იგნორირებული ჩვენთან არსებული ბუღალტრულ აღრიცხვის მდიდარი თეორიული ბაზა. მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის დამახასიათებელი ნიშნები: დროში უწყვეტობა, მკაცრად დოკუმენტალურობა, ინფორმაციის დროული ასახვა და სხვა თავისებურებები. ახალ სტანდარტში კი დროულობა წარმოდგენილია შემდეგი სახით: „დროულობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია მის მომხმარებელს მიეწოდოს იმ დროს, როცა შეუძლია გავლენა მოახდინოს მის გადაწყვეტილებებზე. ზოგჯერ შეიძლება ინფორმაცია დროული იყოს დიდი ხნის შემდეგაც, თუ მისი ტენდენციების შესწავლაა მიზანი. განხილვების დროს აღინიშნა, რომ დროულობა არ არის შესაბამისობის თვისება იმავე მნიშვნელობით, როგორც საპროგნოზო და დამადასტურებელი ღირებულებები. დროული ინფორმაცია სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისია და სამართლიანად წარდგენილი. ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი დროულად არ არის წარდგენილი განსაკუთრებით დამადასტურებელი მიზნებისთვის ან ტენდენციების შესწავლისათვის“ (1, გვ. 28).

ასეთივე შემთხვევაა ბუღალტრული აღრიცხვის დაშვებების შესახებ, როცა მიიჩნიეს, რომ ბუღალტრულ აღრიცხვას ორი დაშვება კი არ აქვს, არამედ ერთი – ფუნქციონირებადობის, ხოლო „დარიცხვის პრინციპი კი აღიარებულია არა ფინანსური ანგარიშგების ძირითად დაშვებად, არამედ ბუღალტრულ აღრიცხვის ძირითად მეთოდად, რომელიც სავალდებულოა ყველა საწარმოსთვის შემოსავლების და ხარჯების ბუღალტრულ აღრიცხვაში“ (1, გვ. 30). აქ უკვე გაუგებარია დარიცხვა დაშვებაა, პრინციპი თუ მეთოდი. თუ მეთოდია, მაშინ მეორე მეთოდიც უნდა იყოს, საკასო მეთოდი, იგი უნდა იყოს შემოსავლების აღიარების მეთოდი, ისევე, როგორც დარიცხვის მეთოდი.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევები და ამ სფეროში დიდი წვლილი უნდა შეიტანონ უმაღლესმა სასწავლებლებმა.

ლიტერატურა:

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ლექციების კურსი, ავტორთა კოლექტივი, თსუ, თბ., 2017.

Tina Jolbordi

Tbilisi International Academy

SOME ISSUES OF THE INTERNATIONALIZATION OF HIGHER EDUCATION IN ACCOUNTING

RESUME

The issues of internationalization of accounting is discussed in this work.

The process of globalization and internationalization of business caused changing accounting according to international standards and provision of financial reporting transparency. The problem is that the standards are changing and becoming perfect continuously what makes accounting and tax case difficult. Our traditional approach to scientific research was the following: first theory was developed, then adequate methodology of scientific theory was worked out and practiced in practice.

On the contrary, now standards based on the practical experience of abroad are continuously experiencing changes that complicates tax legislation and hinder business development in Georgia.

The above mentioned changes make new challenges to higher educational institutions, in particular we believe that these issues require scientific processing, which should take active participation of the scientific staff of higher

educational institutions. Based on the rich practical experience of foreign countries, the scientists must study theoretical basics of accounting and its methodology and must create new books that will positively benefit science and practice in the country. At the same time, international scientific conferences must be organized, students' textbooks should be properly processed to prepare adequate qualified staff of modern demands. It is important to internationalize education as well as business.

სოციალური მეცნიერებები და სამართალი
Social Sciences and Law

ნუგზარ აბრამიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

არისტოტელე თეოლოგიის საგნის შესახებ

მეტაფიზიკის მეექვსე წიგნის პირველ თავში (მეტაფიზიკა, VI, 1026 10), არისტოტელე ახორციელებს რა თეორიულ მეცნიერებათა მისეულ, საყოველთაოდ ცნობილ კლასიფიკაციას, თეოლოგიის საგანს ასე განსაზღვრავს: „ეს არის მოძღვრება მარადიულ, უძრავ, ყოველგვარი მატერიისგან თავისუფალ არსებაზე. რამდენადაც ეს არსება წარმოგვიდგება, როგორც რაღაც ღვთაებრივი, მისი შემსწავლელი მეცნიერება, ბუნებრივია, უნდა ატარებდეს ღვთაებაზე მეცნიერების, ანუ თეოლოგიის სახელს.

აანალიზებს რა ისეთი თეორიული მეცნიერებების შესწავლის საგანს, როგორიცაა მათემატიკა და ფიზიკა, არისტოტელე წერს: „ფიზიკა შეისწავლის დამოუკიდებლად არსებულ და მოძრავ საგნებს. მათემატიკა კი, პირიქით - უძრავს, მაგრამ მატერიაზე დამოკიდებულ საგნებს. შეუსწავლელი რჩება საგნები, რომლებიც უძრავნი და მატერიისგან დამოუკიდებელნი არიან. თუ ასეთი საგნები არსებობენ, რაც წინასწარ არაა მოცემული, უნდა არსებობდეს მათი შემსწავლელი განსაკუთრებული თეორიული მეცნიერება - თეოლოგია". (მეტაფიზიკა, VII, 1026 10; 7, XI, 1064 35)

„თეოლოგია სხვა თეორიულ მეცნიერებებთან შედარებით წარმოადგენს უპირველეს და უმაღლეს ცოდნას პირველ რიგში იმიტომ, რომ ის დაკავებულია არსებულის ყველაზე უკეთესი და ღირსეული გვარით; მეორე რიგში იმიტომ, რომ ის თავის თავში შეიცავს ყველა სხვა მეცნიერების საწყისებს, რამდენადაც იკვლევს მთლიანი არსებულის უპირველეს და მთავარ მიზეზებს. მესამე - იმიტომ, რომ ის წარმოადგენს ცოდნის ყველაზე დასაბუთებულ სახეს, რადგან ის ამტკიცებს იმას, რაც სხვა მეცნიერებისთვის დაუმტკიცებელი წინა პირობაა და მეოთხე - ის ასაბუთებს თავისი კვლევის საგნის, როგორც არსს, ისე ყოფიერებას და პასუხობს კითხვებს თუ რა არის ის და არსებობს თუ არა ის, მაშინ როცა სხვა მეცნიერებები საგნის არსებას იღებენ როგორც მოცემულობას და ამტკიცებენ მხოლოდ იმას, თუ რა ახასიათებს მას როგორც არსებულს. (მეტაფიზიკა, VII, 1025b, 8-18)

რამდენადაც თეოლოგია წარმოადგენს უპირველეს და უმაღლეს თეორიულ მეცნიერებას, არისტოტელე მას მოიხსენიებს პირველი ფილოსოფიის სახელითაც, რომელსაც მოგვიანებით მეტაფიზიკა ეწოდა სახელად. როგორც ყველა მეცნიერება თეოლოგიაც უნდა ეფუძნებოდეს დასაბუთებას, ანუ მეცნიერულ სილოგიზმებს, ანუ თეოლოგიის შინაარსს უნდა წარმოადგენდეს აუცილებელი ჭეშმარიტებანი ღვთაებრივის ბუნებაზე, რომლებიც მიიღებიან სწორი სილოგიზმების მეშვეობით.

საინტერესოა მოჭარბებული მეცნიერული ტემპერამენტის მქონე და საღი აზრის პოზიციაზე მდგარი არისტოტელე როგორ მიდის ღმერთის იდეამდე?

არისტოტელე ღმერთთან ბერძნული ფილოსოფიის წინაშე მდგარმა უმთავრესმა პრობლემამ, მოძრაობა-ცვალებადობის ახსნის სიძნელემ მიიყვანა, სიძნელე, რომლის ახსნაც არისტოტელეს ფილოსოფიის უმთავრეს საქმედ მიაჩნია. პარმენიდემ, როგორც ცნობილია, ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა მოძრაობის პრობლემას, საერთოდ უარყო ის. იმავე პრობლემის სირთულისა და გადაუწყვეტლობის გამო, პლატონმა მოძრავი და ცვალებადი სამყარო მოჩვენებად გამოაცხადა და ნამდვილობა მოძრაობა-

ცვალებადობისგან თავისუფალ, ტრანცენდენტურ იდეათა, აბსოლუტურ ფორმათა სამყაროს მიანიჭა, ხოლო ჩვენი გრძნობადი სამყარო ამ აბსოლუტურ ფორმათა სამყაროს ნაწილობრივ და წარმავალ რეალიზაციად გამოაცხადა.

არისტოტელე მოძრაობის პრობლემას წყვეტს, მისი ფილოსოფიისთვის ისეთი ფუნდამენტური იდეების მეშვეობით, როგორიცაა იმანენტური ფორმა, პოტენციური და აქტალური არსი და ტელოსი.

პირველ რიგში ასახსნელია მთლიანი არსებულის ბუნება. ამ საკითხის ახსნას კი აუცილებლობით მივყავართ სამყაროს მარადიულობის საკითხთან. აქვს თუ არა სამყაროს დროში დასაწყისი და დასასრული? მოძრაობის ფაქტობრივი არსებობა იმას გულისხმობს, რომ არსებობს მატერია და არსებობს ფორმა, როგორც გაფორმებული მატერია აქედან კი, არისტოტელეს მტკიცებით, სამყაროს მარადიულობა აუცილებლობით გამომდინარეობს და რომ ეს მარტივად დამტკიცებადია.

„დავუშვათ, რომ არ იყო მოძრაობა და ის რაღაც მომენტში დაიწყო. ეს თეზისი გვაყენებს ალტერნატივის წინაშე: ან ის უნდა ვაღიაროთ, რომ მოძრაობის დაწყებამდე უკვე არსებობდა ფორმა და მატერია, ან ის, რომ მანამდე ისინი არ არსებობდნენ. თუ არ არსებობდნენ, მაშინ წარმოშობილნი არიან, მაგრამ წარმოშობა შეუძლებელია მოძრაობის გარეშე. გამოდის, რომ მოძრაობის წარმოშობამდე არსებობდა მოძრაობა. თუ ფორმა და მატერია უკვე არსებობდნენ მოძრაობის გაჩენამდე, მაშინ აუცილებლობით ვდგებით კითხვის წინაშე: რატომ ვერ დაბადეს მათ მოძრაობა მანამ, სანამ ის გაჩნდებოდა რეალურად? მიზეზი ამისა შეიძლება ყოფილიყო რაღაც წინააღმდეგობა, რაღაცა შემაფერხებელი თუ შემაკავებელი ფაქტორი. მაგრამ ეს წინააღმდეგობა, შეკავება თუ შეფერხება აუცილებლობით გულისხმობს ისევ მოძრაობას. გამოდის, რომ მოძრაობის დაწყებამდე არსებობდა რაღაც მოძრაობა. ორივე ალტერნატივას მივყავართ წინააღმდეგობამდე, აბსურდამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია დავუშვათ, რომ სამყაროსთვის მახასიათებელ მოძრაობას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული ანუ, ის მარადიულია. რომც წარმოვიდგინოთ, რომ სამყაროში მიმდინარე მოძრაობა - ცვალებადობამ დროის რაღაც მომენტში შეწყვიტა არსებობა, მაშინ გამოდის, რომ ეს მოძრაობა შეწყდა რაღაც სხვა მოძრაობის ძალით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვუშვებთ მოძრაობის არსებობას ყოველგვარი მოძრაობის შეწყვეტის შემდეგ.

სამყაროსა და მოძრაობის მარადიულობის მტკიცებას აუცილებლობით მივყავართ სამყაროს მარადიულ მიზეზთან და მარადიულ პირველმიზეზთან ანუ ღმერთთან.

სამყაროში ყოველ არსებულს ჰყავს წარმომშობი მიზეზი, რომელიც ორი მნიშვნელობით არის მისი არსებობის მიზეზი, პირველ რიგში, როგორც შექმნის აქტის შემსრულებელი და, როგორც ნიმუში იმ სპეციფიკური ფორმისა, რადაც ეს შექმნილი ჩამოყალიბდება ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც მოქმედი მიზეზი და როგორც ფორმალური, მიზნობრივი მიზეზი. ყოველი არსებული ადამიანი იქნება ეს, ცხოველი თუ მცენარე, საკუთარი სპეციფიკური ფორმის განამდვილებისთვის იბრძვიან. ამ ფორმისთვის კი ნიმუში მშობელია. რა თქმა უნდა ინდივიდუალური მშობელი, მხოლოდ მიახლოებით, შედარებით სრულყოფილია. თუ ინდივიდუალური ქმნილების გაჩენა საჭიროებს წინასწარ არსებულ ნაწილობრივ და ფარდობით სრულქმნილებას გვარის ფარგლებში, მთელი სამყაროს არსებობაც მოითხოვს აბსოლუტური სრულქმნილების არსებობას. ყოველი არსებული რომ შეძლებისდაგვარად ადეკვატურად ახორციელებს თავის სპეციფიკურ ფორმას, ამით ის, შეიძლება ითქვას, თავისებურად, თავისი შესაძლებლობის კვალობაზე ბაძავს ღმერთის მარადიულ სრულყოფილებას. ესაა მაიძულებელი შინაგანი ძალისხმევა, ანუ საგნები და მოვლენები თავის თავში შეიცავენ მოძრაობისა და ცვალებადობის პრინციპს. სამყაროს უწყვეტი ცვალებადობა იმის მაჩვენებელია, რომ ის არ არის სრულყოფილი. ყოველი არსებული, რომელიც მოძრაობს და იცვლება თავი თავში ავითარებს და სრულყოფს იმას, რაც მასში პოტენციური სახით არსებობდა. ესაა შესაძლებლობის სინამდვილეში გადასვლა, პოტენციურის აქტუალურად გადაქცევა. სინამდვილესთან მიმართებაში შესაძლებლობა ისაა რასაც ჯერ არა აქვს ფორმა, მაგრამ შეუძლია ფორმა მიიღოს. ეს უფორმო შესაძლებლობა კი არის მატერია. არისტოტელე ერთმანეთისგან განასხვავებს პირველ, მეორე, მესამე და ა.შ. მატერიას. მატერიის არისტოტელესეული დეფინიცია შემდეგს გულისხმობს: იმას, რაც ამა თუ იმ ფორმასთან მიმართებით მატერიად გვევლინება, როგორც მაგალითად მარმარილო ქანდაკების მიმართ. მარმარილოს, როგორც მასალას, თავისი ფორმა აქვს. მარმარილო რაღაც მატერიის ფორმაა. მარმარილო რაღაც ელემენტებზე დაიყვანება, რომელთაც თავის მხრივ გარკვეული ფორმა აქვთ და ა. შ, ვიდრე არ მივადგებით რაღაცა სრულიად უფორმოს ანუ წმინდა პოტენციას, წმინდა შესაძლებლობას, რომელშიც ნამდვილი აღარაფერია. ეს არის პირველადი მატერია.

სამყაროს საგანთა არსება მათ ფორმაშია საძიებელი და არა მატერიაში. იმ მატერიის ცოდნა, რისგანაც შედგება სამყარო, ვერ გაგვიმჟღავნებს არსებობის საიდუმლოს, რადგან ერთი და იგივე მატერიას შეიძლება შევხვდეთ სხვადასხვა საგნებში. არსებობის არსებას გაგვიმჟღავნებს არა ის, თუ

რისგან შედგება არსებული, როგორც ფიქრობდა სოკრატემდელ ფილოსოფოსთა უმეტესობა, არამედ ის, თუ რისკენ ვითარდება ეს მატერია, ანუ ფორმა.

სამყაროს საგნები თავისი დინამიკური ბუნების წყალობით განიცდიან მოძრაობა- ცვალებადობას შესაძლებლობიდან სინამდვილისკენ. ცვლილების ყოველი აქტი გარეგან მიზეზს საჭიროებს, რადგან ყოველი საგნის ბუნება მდგომარეობს გარკვეული მიმართულებით ცვლილების და განვითარების შინაგან ტენდენციასა თუ უნარში. არისტოტელე ამ უნარს უწოდებს „დინამის“.

მაგრამ რეალურ ცვლილებას ესაჭიროება გარეგანი სტიმული, ურომლისოდაც შინაგანი პოტენცია ვერ რეალიზდება. სამ მიზეზს, როგორიცაა: მოქმედი მიზეზი, მატერიალური მიზეზი და ფორმალური მიზეზი, უნდა დაემატოს საბოლოო მიზეზი ანუ მიზანი.

სამყაროში მოძრაობა - ცვალებადობის არსებობა, არისტოტელეს აზრით, აუცილებლობით მოითხოვს მიზნის არსებობას, ან ისეთ სრულქმნილებას, რომლის გავლენითაც შესაძლებელი გახდება სამყაროში ნებისმიერი აქტივობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა დავუშვათ ისეთი სრულქმნილება ანუ მიზანი, რისკენაც ყველაფერი მიისწრაფვის. არისტოტელესთვის ეს სრულყოფილება არის ღმერთი.

როგორც პირველმა და უმაღლესმა თეორიულმა მეცნიერებამ, თეოლოგიამ, უნდა დაასაბუთოს ღმერთის ყოფიერება და დაადგინოს მისი ბუნება. სწორედ აქ და ამით არისტოტელეს ფილოსოფია გადაიზრდება თეოლოგიაში.

ასეთ დასაბუთებას ჩვენ ვხვდებით „მეტაფიზიკის“ 12 წიგნსა და „ფიზიკის“ 8 წიგნში, სადაც არისტოტელე მოძრაობის პირველმიზეზის ძიებისას ღმერთის არსებობის აუცილებლობამდე მიდის და ახდენს მის პრედიკაციას, რომ „ღმერთი არის მარადიული, უძრავი, ყოველგვარი მატერიალურისგან თავისუფალი სამყაროს პირველმამოძრავებელი ანუ უძრავი მამოძრვებელი. ის რომ ღმერთი თავისუფალია ყოველგვარი მატერიალურისგან გამომდინარეობს, რომ ის არის წმინდა სინამდვილე, ანუ არ შეიცავს არანაირ შესაძლებლობას და არის წმინდა ფორმა და სრული სინამდვილე“ (მეტაფიზიკა, 12, 7,1072a 26) ღმერთის უძრაობა კი მის უცვლელობას და სიმარტივეს ნიშნავს. ის არის „პირველი მამოძრავებელი, როგორც სურვილის საგანი, როგორც მიზანი, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება მოიყვანოს მოძრაობაში ყოველივე, ისე რომ თვითონ უძრავი დარჩეს.“ (მეტაფიზიკა XII, 7, 1072b:1-5)

უპირველეს ღირებულებად გონება მიიჩნევს სიკეთეს და მშვენიერებას. შესაბამისად ღმერთი ისეთი სინამდვილეა, რომელიც გონებას წარმოუდგება, როგორც უმაღლესი სიკეთე და მშვენიერება. ასეთი სინამდვილე კი შეიძლება იყოს მხოლოდ აზროვნება, გონება, რომელიც ჭვრეტაშია ჩაძირული. მაგრამ რას ჭვრეტს ღმერთი? მატერიალური სამყაროს უმაღლეს არსებაში ადამიანში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საგანში, ჩვენ ვხედავთ მატერიის, რომელიც ამ შემთხვევაში არის მისი სხეული, და ფორმის, რომელიც არის მისი სული, ერთიანობას. სხეული, როგორც მატერია არის სულის შესაძლებლობა. თავის მხრივ სულშიც ვხვდებით ორ მხარეს, უმაღლესს და დაბალს. სულის მაღალი მხარეა გონი, რომელიც იბადება სულის დაბალი ფუნქციებიდან, როგორც შესაძლებლობიდან. არისტოტელეს ღმერთი უმაღლესი სინამდვილეა. ის არის გონება. საერთოდ გონებაში, არისტოტელეს მიხედვით, უნდა განვასხვავოთ აქტიური და პასიური მხარეები. გონების აქტიური მხარეა ქმედითობა. გონების უმაღლესი ქმედითობა ჭვრეტაა. ადამიანის შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავებთ ქმედითობის ორ სახეს - პრაქტიკულს და თეორიულს. თეორიული ქმედითობა ხორციელდება შემეცნებაში, ხოლო პრაქტიკული - რაღაც მიზნის მიღწევაში, მიზნისა, რომელიც იმყოფება ქმედების სუბიექტის მიღმა. ღმერთის აზროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ თეორიული. ღმერთის აზროვნება რომ პრაქტიკულიც იყოს, მაშინ ის უნდა მიემართებოდეს თავის გარეთ მყოფ რაღაც მიზანს, ეს კი ღმერთის შეზღუდულობის, განსაზღვრულობის მაჩვენებელია. ასე რომ ღმერთი შეიძლება იყოს მხოლოდ მჭვრეტელი, წმინდა გონება. ღმერთი, როგორც უმაღლესი, წმინდა ფორმა ყოველგვარი მოძრაობა-ცვალებადობის მიზეზი მატერიალურ სამყაროზე უშუალო, აქტიური ზემოქმედებით კი არ იწვევს მოძრაობის პროცესს. საკმარისია მისი, მხოლოდ სრულყოფილი სახით არსებობა, რომ მან ამით მატერიალურ სამყაროში მისკენ სწრაფვა გამოიწვიოს, როგორც სრულქმნილებამ, როგორც სიყვარულის და ლტოლვის საგანმა, მიზანმა და ამით ფორმათა შესაძლებლობებით დამუხტულ მატერიაში გამოიწვიოს ამ შესაძლებლობათა განამდვილებისა და გაფორმებისკენ სწრაფვა. ასე რომ, ღმერთი იმდენადაა ყოველგვარი არსებულის და მოძრაობის მიზეზი, რომ იგი, როგორც სრულქმნილება, როგორც მიზანი „ტელოსი“ ამოძრავებს ყოველივეს.

ღმერთი არის აზროვნება; მაგრამ აზროვნებაცაა და აზროვნებაც. აზროვნების ხარისხი მისი საგნის ხარისხით განიზომება. უმაღლესი და სრულქმნილი აზროვნების საგანი უნდა იყოს უმაღლესი და სრულქმნილი. ასეთი კი შეიძლება იყოს და არის თავად ღმერთი, ანუ ღმერთის აზროვნების საგანი თავისი თავია, ანუ ის არის აზროვნების აზროვნება.

ლიტერატურა:
1. არისტოტელე,“ მეტაფიზიკა“
2. არისტოტელე, „ფიზიკა“
3. უილიამ გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1983.
4. სავლე წერეთელი, ბერძნული ფილოსოფია, თბ., 1970.

Nugzar Abramishvili
Gori State Teaching University

ARISTOTLE ABOUT THE SUBJECT OF THEOLOGY
RESUME

Aristotle is one of the first and the greatest theologians. He was first who revealed theology as the subject of theoretical science by his well-known classification. His God is neither a God of revelation nor a mystical one, but a rationally substantiated cosmological God.

ივანე ბალახაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გირავნობა

გირავნობის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის 1-ელ ნაწილში: ,,მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში“.

როგორც განსაზღვრებიდან ჩანს გირავნობა წარმოადგენს ისეთ საუზრუნველყოფო საშუალებას, რომლის ძალითაც მოგირავნეს აქვს უპირატესი უფლება, მოვალის სხვა კრედიტორებთან შედარებით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა გირავნობის საგნიდან ამ უკანასკნელის რეალიზაციის ან მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში მის საკუთრებაში მიღების გზით.

გირავნობა ყოველთვის უზრუნველყოფს განსაზღვრულ ვალდებულებას და, შესაბამისად, იგი ამ ვალდებულების გარეშე არ შეიძლება წარმოიშვას და არც არსებობდეს. გირავნობის უფლება აქცესორული უფლებაა, თუმცა 254-ე მუხლში არსებობს ნორმა, რომელიც წარმოადგენს ამ პრინციპიდან გარკვეულ გადახვევას. კერძოდ, იმავე მუხლის მე–3 ნაწილის თანახმად, გირავნობის უფლება შეიძლება დადგინდეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. როგორც სამომავლო, ასევე პირობითი მოთხოვნები არ ითვლება წარმოშობილად განსაზღვრული მომენტის – კონკრეტული ვადის ან მოვლენის დადგომამდე. ვინაიდან არ არსებობს მოთხოვნა, შესაბამისად, არც გირავნობის უფლება არ უნდა ითვლებოდეს წარმოშობილად, მაგრამ ამ შემთხვევაში კანონი უშვებს გამონაკლისს და გირავნობის უფლებას წარმოშობილად მიიჩნევს მოგირავნესა და დამგირავებელს შორის შეთანხმებისა და ნივთის გადაცემის (რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში – რეგისტრაციის) მომენტიდან.

არ არის სავალდებულო, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნა აუცილებლად ფულადი სახით იყოს წარმოშობილი (სესხი, კრედიტი, ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა). დასაშვებია, გირავნობით იქნეს უზრუნველყოფილი არაფულადი მოთხოვნა იმ პირობით, რომ შესაძლო იყოს ასეთი მოთხოვნის გამოსახვა ფულადი ფორმით. ეს წინაპირობა აუცილებელია განსაკუთრებით გირავნობის საგნის რეალიზაციის დროს, ვინაიდან რეალიზაციის შედეგად მოგირავნე იღებს ფულად თანხას, რომელიც მიემართება სწორედ მოთხოვნის დაფარვისათვის.

გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილია არა მარტო (ძირითადი) მოთხოვნა, არამედ მასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები (უფლებები), კერძოდ, ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტები, ვალდებულებების დარღვევებისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლო, მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა გირავნობის საგნის მოვლა–პატრონობისა და რეალიზაციის ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 256–ე მუხლი). თუმცა ეს ნორმა არ არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა და იგი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. მაგ., დამგირავებელმა და მოგირავნემ გირავნობის ხელშეკრულებაში შეიძლება გამორიცხონ გირავნობის უფლებით სესხის (კრედიტის) პროცენტის უზრუნველყოფა.[1]

გირავნობის ინსტიტუტმა რომის სახელმწიფოში განვითარების რთული გზა გაიარა. შეინიშნება ისიც, რომ რომის სამართლის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გირაო სხვადასხვა ტერმინით გამოიხატებოდა. ,,დიგესტებში“ გირაოს აღსანიშნავად უკვე გვხვდება ,,ჰიპოტჰეკა“.

გირაოს საფუძველია დებიტორის ვალდებულება და პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. ეს ვალდებულება – ,,ობლიგაციო'' განმტკიცებულია ნივთობრივად ,,ნივთის პასუხისმგებით''. თუ დებიტორი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს კრედიტორის წინაშე, მაშინ კრედიტორს საშუალება ექნება გირაო ნივთიდან დაიკმაყოფილოს თავი.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით დებიტორის მიმართ. ის პირველ ყოვლისა კრედიტორის ინტერესებს იცავდა.

თავდაპირველად, როგორც ჩანს, წარმოიშვა ე.წ. ,,ფიდუცია'' – გირაოს ისეთი ფორმა, რომლის მიხედვითაც გირაო ნივთი გადაეცემოდა კრედიტორს იმ პირობით, რომ მას შემდეგ, რაც კრედიტორის კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა დებიტორის მიერ, გირაო ნივთს კრედიტორი დებიტორს დაუბრუნებდა.

ჩვენამდე შემონახულია ახ. წ. პირველი თუ მეორე საუკუნის ფიდუციური გირავნობის ტექსტი, საიდანაც ჩანს, რომ თუ დებიტორი კრედიტორს დროზე არ დაუბრუნებდა ნასესხებ თანხას, მაშინ კრედიტორს უფლება ექნებოდა გაეყიდა ხსენებული თანხის ანგარიშში გირაოდ აღებული ადგილ–მამული და მონა.

ჩვენს საზოგადოებაში საკუთრებას დიდ, ზოგჯერ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ქვეყნის მომავალს ხშირად ამ უფლებას უკავშირებენ. საკუთრება უწინარესად, გულისხმობს საზოგადოებაში წესრიგს, წესრიგს ნივთებთან მიმართებაში. ეს წესრიგი საერთო უნდა იყოს ყველასათვის – იქნება სახელმწიფო თუ კერძო პირი.

საკუთრება სანივთო სამართლის ბინადარი, მისი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სანივთო უფლებაა.

მხოლოდ შეთანხმება არ არის საკმარისი. სათანადო სამართლებრივი შედეგების დადგომისათვის აუცილებელია, რომ მას, (ე.ი. შეთანხმებას) გარეგნული ფორმა გააჩნდეს. მაგ. მიწის ნაკვეთების მიმართ – საადგილმამულო წიგნში რეგისტრაცია, ხოლო მოძრავი ნივთების მიმართ ნივთის გადაცემა. მხოლოდ ამ ორი აქტის შეთანხმებისა და მისი გარეგნული გამოხატულების (რეგისტრაცია, ნივთის გადაცემა) არსებობა იწვევს სათანადო სამართლებრივ შედეგებს.

შეთანხმება არის სანივთო ხელშეკრულება. ამიტომ სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის წესები გარიგებათა შესახებ გამოიყენება მის მიმართ, თუკი სანივთო სამართალი არ განსაზღვრავს რაიმე თავისებურებას. კერძოდ, სანივთო ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება უფლებაუნარობა და ქმედუნარობის პირინციპები, ნორმები ნების გამოხატვის ნაცულობის შესახებ კანონის დარღვევის შედეგები. მაგ. თუ კანონი კრძალავს განსაზღვრული ნივთების ექსპორტს, მაშინ ამ წესის საწინააღმდეგოს საკუთრების გადაცემად ჩაითვლება. [2]

გირავნობა კრედიტის (მოთხოვნის) უზრუნველყოფის მეტად გავრცელებული საშუალებაა. იპოთეკისაგან განსხვავებით, ამ დროს მოვალე ან სხვა მესამე პირი ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს მოძრავი ნივთით ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთით.

მოძრავია ყველა ნივთი, რომლებიც არ განეკუთნება სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით განსაზღვრულ ნივთებს, ე.ი. არ წარმოადგენენ უძრავ ნივთებს. თუმცა ყოველგვარი მოძრავი ნივთიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირაოდ. მაგ., პასპორტი, მართვის მოწმობა, დიპლომი და ა.შ. გარეგნულად განეკუთვნებიან ნივთებს, მაგრამ მათი დაგირავება არ შეიძლება. ამიტომ უსვამს ხაზს კოდექსის 254–ე მუხლის პირველი ნაწილი, რომ დაგირავება შეიძლება მხოლოდ იმ ნივთებისა და ქონებრივი სიკეთის, ,,რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია''. იმის გასარკვევად, თუ რისი გადაცემაა დასაშვები და რისი არა, პასუხს იძლევა 147-ე მუხლი, რომელიც ქონების ლეგალურ დეფინიციას განამტკიცებს. ამ

[1] ზურაბ ჭეჭელაშვილი. სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 402, 403, 404, 405.

[2] ლადო ჭანტურია, უძრავი ქონების საკუთრება, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 1994, გვ. 159

მუხლის თანახმად, გირაოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ისეთი სიკეთე, ,,რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად''.

მაშასადამე, გირაოდ მოძრავი ნივთების გამოყენებისას უნდა დაზუსტდეს ეს ნივთი შეესაბამება თუ არა სამოქალქო კოდექსის 254–ე და 147–ე მუხლების მოთხოვნებს.[1]

როდესაც მოვალე რამდენიმე კრედიტორთან იმყოფება ვალდებულებებით ურთიერთობაში, ბუნებრივია გაჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ პირველად რომელი კრედიტორის მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს მოვალემ. თუ სახეზე გვაქვს მარტოოდენ ვალდებულებებითი ურთიერთობა, საკითხიც მარტივად წყდება და თითოეული მათგანის მოთხოვნა დაკმაყოფილდება შესრულების დროის მიხედვით. სხვანაირად წყდება საკითხი, როდესაც რომელიმე მოთხოვნა უზრუნველყოფილია გირავნობით. გირავნობა, ცხადია, ვერ შეცვლის ვალდებულების შესრულების ხელშეკურულებით დადგენილ ვადებს, მაგრამ შესრულების განხორციელებაზე კი მოახდენს გავლენას. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: ერთი პირი სესხულობს ფულს ორი პირისაგან. ერთ–ერთის მოთხოვნას, რომელიც პირველთან შედარებით გვიან წარმოიშვა, იგი უზრუნველყოფს რაიმე საგნით (გირაოთი), ვთქვათ, ავტომობილით. ამ კრედიტორის პრიორიტეტი იმაშია, რომ იგი თავს იზღვევს მოვალის ქონებრივი მდგომარეობის არასასურველი ცვლილებებისაგან და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას სხვებთან შედარებით უპირატესი უფლება აქვს მოთხოვნა დაიკმაყოფილოს დაგირავებული საგნიდან. მარტოოდენ ვალდებულებით ურთიერთობაში მყოფი კრედიტორის ბედ–იღბალი მთლიანად მოვალის გადახდისუნარიანობაზეა დამოკიდებული და ამდენად, იგი მეტი რისკის მატარებელიცაა. ამ შემთხვევაში ურთიერთობა გაცილებით ძლიერად ემყარება ნდობისა და კეთილსინდისიერების ფასეულობებს, ვიდე ამას ადგილი უნდა ჰქონდეს გირავნობით უზრუნველყოფილ ვალდებულებით ურთიერთობაში. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ გირავნობა მარტოოდენ ცალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. მხარეთა შორის ურთიერთობაში გაუთვალისწინებელი რისკისაგან, გირავნობით თავს იზღვევს როგორც მოვალე, ისე კრედიტორი. ამ მნიშვნელობით იგი მოვალის სასარგებლოდაც უნდა მეტყველებდეს, თუმცა ამაზე შეიძლება მხოლოდ არაპირდაპირი აზრით საუბარი. გირავნობა არსებითად მოგირავნისათვის გამოგონილი ფასეულობაა. უკვე ცხადი ხდება, რომ გირავნობის უფლება ძლიერი უფლებაა, ვიდრე წმინდა სახელშეკრულებო უფლება.

დაგირავებული საგნით უპირატესი დაკმაყოფილება სულ არ ნიშნავს იმას, რომ მოგირავნეს მოვალის სხვა ქონებაზე საერთოდ ესპობა უფლებები და აქ მხოლოდ დანარჩენი კრედიტორების უფლებებთან გვაქვს საქმე. მოგირავნე–კრედიტორი ისეთივე უფლებებით სარგებლობს ამ შემთხვევაში, როგორც ყველა დანარჩენი. მოვალის ქონების გირაოდ ინდივიდუალიზაცია – ეს არაა ამ ქონების მარტოოდენ ფიზიკური გამოცალკევება მოვალის სხვა ქონებრივი მასიდან, არამედ ესაა მისი სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში მოქცევა. ამიტომაცაა, რომ ამის შემდგომ, როგორადაც არ უნდა შეთანხმდნენ მხარეები ამ საგნით დაკმაყოფილებაზე, ყველა შემთხვევაში, დაკმაყოფილება უნდა მოხდეს გირავნობისათვის გათვალისწინებული წესებით.[2]

სავალდებულო არ არის გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულება იყოს ფულადი ვალდებულება. მართალია, ფულადი ვალდებულება გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების ყველაზე გავრცელებული სახეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს სხვა ვალდებულებებისათვის გირავნობის გამოყენების დაუშვებლობას. 254-ე მუხლის პირველი ნაწილი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფულადი ვალდებულებებით და იგი საერთოდ ,,მოთხოვნის უზრუნველყოფაზე'' საუბრობს.

გირავნობის უფლება ცალკე ურთიერთობაა. იგი წარმოიშობა დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის. მაგრამ გირავნობის უფლება ყოველთვის აქცესორულია. იგი არ არის დამოუკიდებული ურთიერთობა. გირავნობა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს რაღაც ვალდებულება (მოთხოვნა). თუ ასეთი ვალდებულება არ არსებობს, მაშინ არც გირავნობა არ წარმოიშობა და, პირიქით, თუ ძირითადი ვალდებულება შესრულებულია ან სხვაგვარად შეწყდა, წყდება გირავნობაც. [3]

გირავნობის უფლება, როგორც სანივთო უფლება, ვალდებულებითი უფლების უზრუნველყოფას ემსახურება. ცივილისტურ თეორიაში გირავნობის უფლების აქცესორულობის ხარისხი სამსაფეხუროვნადაა გამოკვეთილი: პირველი, როგორც მკაცრად აქცესორული უფლება; მეორე როგორც მარტივად აქცესორული უფლება; და მესამე, აბსტრაქტულად აქცესორული უფლება. გერმანელი ცივილისტის ვილჰელემ ჰედმანის განმარტებით, გირავნობა მკაცრად აქცესორული უფლებაა, იპოთეკა კი მარტივად აქცესორული.

---

[1] ლადო ჭანტურია. ,,საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფიდ საშუალება", თბილისი, 1999, გვ. 9.

[2] ბესარიონ ზოიძე, ,,ქართული სანივთო სამართალი". ,,ბაკურ სულაკაური", თბილისი. 2003, გვ.283, 284

[3] ლადო ჭანტურია. ,,საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფიდ საშუალება, თბილისი, 1999, გვ. 12,13.

გირავნობის უფლების აქცესორული ხასიათი ვლინდება მისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, წარმოშობით დაწყებული, შეწყვეტით დამთავრებული. თუ არ წარმოიშობა მოთხოვნის უფლება, ისე არც გირავნობა წარმოიშობა. გირაოს პასუხისმგებლობაც მოთხოვნის ,,ამჟამინდელი მდგომარეობა'' განსაზღვრავს. თუ გაიზრდება მოთხოვნის ფარგლები (მაგ, სარგებელზე), შესაბამისად გაიზრდება გირაოს პასუხისმგებლობა. შემცირდება მოთხოვნის ფარგლები (მაგ., განვადებით გადახდით), შესაბამისად შემცირდება გირაოს პასუხისმგებლობაც. თუკი მოთხოვნა გადავიდა ახალ კრედიტორზე შესაბამისად, მასზე გადავა გირავნობის უფლებაც. გირაო არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს შესაბამისი მოთხოვნის გადაცემის გარეშე და ,,გირავნობის უფლება წყდება იმ მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი არსებობს''. გირავნობის ურთიერთობის აქცესორული ხასიათი გამორიცხავს ერთი უფლების მიერ მეორის უსაფუძვლო ,,შევიწროვებას''. ამ აზრით, ორივე უფლება, როგორც დამატებითი, ისე ძირითადი, ერთნაირი დაცვის საგანს შეადგენს.

გირავნობის ურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტებია: მოგირავნე, დამგირავებელი, პირადი მოვალე, მესაკუთრე (მესამე პირი). თავისი უმარტივესი ფორმით ეს ურთიერთობა მარტოოდენ ორი სუბიექტის – მოგირავნისა და დამგირავებლის ურთიერთობაა. ამ შემთხვევაში პირადი მოვალე და მესაკუთრე ერთი პირია და დამგირავებლის მხარეს წარმოადგენს. იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც გირავნობის ურთიერთობა სუბიექტური შემადგენლობის სიჭრელით გამოირჩევა. [1]

გირავნობის ურთიერთობა წარმოიშობა დამგირავებელსა და მოგირავნეს (კრედიტორს) შორის. დამგირავებელი არის პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელიც მოძრავ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს იყენებს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად. დამგირავებელი შეიძლება იყოს როგორც პირადი მოვალე, ისე მესამე პირი – დაგირავებული საგნის მესაკუთრე.[2]

მოგირავნე ამ ურთიერთობის შეუცვლელი მხარეა, იგი მოთხოვნის უფლების სუბიექტია და ამდენად, გირაოს კრედიტორი.

დამრიგებლის ადგილი სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. გირავნობის ურთიერთობაში პირადი მოვალე მოგირავნის პირადი მოვალეა, ვინაიდან იგი ძირითადი ვალდებულებების სუბიექტია და გირავნობაც ამ ვალის გასტუმრებას ემსახურება. მესამე პირი, სწორედ ის პირია, რომელიც, მართალია მოგირავნესთან ვალდებულებით ურთიერთობაში არ იმყოფება, მაგრამ გირავნობით ურთიერთობაში კი შედის იმით, რომ მოვალის მაგივრად დამგირავებლის როლში გამოდის. მოკლედ ეს პირი ორი სახის ურთიერთობაში ებმება: ვალდებულებითში – მოგირავნის პირად მოვალესთან და სანივთოში – ამ უკანასკნელის კრედიტორთან. [3]

გირავნობის წარმოშობა ხდება სანივთო გარიგების საფუძველზე დამგირავებელი და მოგირავნე თანხმდებიან იმაზე, რომ გირაოთი მოხდეს პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუ არ გვაქვს შეთანხმება ან იგი ბათილია, არავითარი გირავნობა არ წარმოიშობა. შეთანხმება ხდება გირაოს მესაკუთრესა (დამგირავებელსა) და მოგირავნეს შორის.[4]

განასხვავებენ შემდეგი სახის გირავნობის უფლებებს: კანონისმიერი გირავნობა, სახელშეკრულებო გირავნობა. კანონისმიერი გირავნობა წარმოიშობა კანონის ძალით და ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველყოფასთან მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 568–ე მუხლის თანახმად, გირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად უძრავი ქონების გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ შეტანილ ნივთებზე. გირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილების მომენტიდან, თუ ეს ხორციელდება ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობის შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634–ე მუხლის თანახმად კი, მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთებზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კანონი გირავნობის უფლების წარმოშობას უკავშირებს არა მხოლოდ მოთხოვნის არსებობას, არამედ კრედიტორის მიერ მოძრავი ნივთის ფლობის ფაქტს. ამასთან, გირავნობის უფლების შენარჩუნებაც დამოკიდებულია კრედიტორის მიერ გირავნობის საგანზე პირდაპირი მფლობელობის განხორციელებაზე.

სახელშეკრულებო გირავნობა ორი სახისაა: მფლობელობითი გირავნობა, რეგისტრირებული გირავნობა. მფლობელობით გირავნობის დადგენა ხდება დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის

---

[1] ბესარიონ ზოიძე. ,ქართული სანივთო სამართალი". ,,ბაკურ სულაკაური" თბილისი, 2003, გვ. 286

[2] ლადო ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 1999, გვ. 12

[3] ბესარიონ ზოიძე, ,,ქართული სანივთო სამართალი". ,,ბაკურ სულაკაური", თბილისი. 2003, გვ. 290. 291

[4] ბესარიონ ზოიძე. ,,ქართული სანივთო სამართალი". ,,ბაკურ სულაკაური", თბილისი. 2003. გვ. 293

დადებული შეთანხმებით გირავნობის დადგენის შესახებ (გირავნობის ხელშეკრულებით) და მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემით (მ. 257.ნ.1). კანონი პირდაპირ საუბრობს გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმებაზე (სანივთო ხელშეკრულებაზე), რომელიც იდება, როგორც წესი, ზედაპირად თუმცა, მხარეებს გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმება შეუძლიათ დადონ წერილობითაც. მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა გირავნობის უფლების წარმოშობის მეორე აუცილებელი წინა პირობაა, რომელიც მიიღწევა ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით. 257–ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, თუ გირავნობის საგანი უკვე იმყოფება მოგირავნის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მფლობელობაში, გირავნობის წარმოშობისათვის საკმარისია მხარეთა შეთანხმება.

მფლობელობითი გირავნობის სპეციალურ სახეს წარმოადგენს ლომბარდული გირავნობა. ლომბარდული გირავნობა სიახლეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

ლომბარდული გირავნობის მიმართ გამოიყენება მფლობელობითი გირავნობის მომწესრიგებელი ნორმები 260–ე მუხლში მოცემული სპეციალური წესების გათვალისწინებით. კანონი, ადგენს ლომბარდული გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმების (სანივთო ხელშეკრულების) სავალდებულო წერილობით ფორმას. ფორმის დაუცველობის გამო ლომბარდული გირავნობის შეთანხმება (ხელშეკრულება) ბათილად მიიჩნევა.

ლომბარდული გირავნობის მიმართ დადგენილი მეორე სპეციალური წესი არ წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას და იგი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. კერძოდ, თუ მხარეები საწინააღმდეგოზე არ შეთანხმდებიან, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგანს რეალიზაციიდან ამონაგები თანხა სრულად ვერ ფარავს ლომბარდის მოთხოვნას.

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან, მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა საჭირო არ არის. რეგისტრირებული გირავნობის დროს პუბლიკაცია მიიღწევა გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, თავად გირავნობის დადგენის შესახებ შეთანხმება (ხელშეკრულება) უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. მსგავსად ლომბარდული გირავნობის მიმართ დადგენილი წესისა, აღნიშნული ფორმის დაუცველობის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმება (ხელშეკრულება) ბათილია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258–ე მუხლის მე–2 ნაწილი შეიცავს იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს გირავნობის ხელშეკრულება: ხელშეკრულების შედგენის თარიღი, მონაცემები მოგირავნის, დამგირავებლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის შესახებ, გირავნობის საგნის ზოგადი ან სპეციფიკური ნიშნებით აღწერა ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა, უზრუნველყოფილი ძირითადი მოთხოვნის ზოგადი ან კონკრეტული აღწერა და მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

გირავნობის უფლებათა ძალით მოგირავნესა და დამგირავებელს შორის წარმოიშობა და არსებობს კანონისმიერი ვალდებულებით–სამართლებრივი ურთიერთობა. ეს ურთიერთობა არსებობს ავტომატურად, კანონის ძალით და მისი წარმოშობისათვის არ არის საჭირო მხარეთა შორის პირდაპირი შეთანხმება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები სხვაგვარად არ ადგენს.

მოგირავნისა და დამგირავებელს შორის უფლებები და ვალდებულებები განსხვავებულად განისაზღვრება იმისდა მიხედვით, მხარეებმა დადეს მფლობელობითი თუ რეგისტრირებული გირავნობა.

მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში მოგირავნის (ან მესამე პირის) უპირველესი ვალდებულებაა ნივთის სათანადოდ შენახვისა და მოვლა–პატრონობის უზრუნველყოფა. ამ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა (მ. 261.ნ.1.ნ.4.) მოგირავნეს არ შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნიდან სარგებლის მიღება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულის თაობაზე მხარეები პირდაპირ შეთანხმდნენ. ივარაუდება, რომ მოგირავნე უფლემებამოსილია, გირავნობის საგნიდან მიიღოს ნაყოფი, თუ ნაყოფის მიღება გირავნობის საგნის თავისებურებიდან გამომდინარეობს. სარგებელი ჩაითვლება გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ანგარიშში (მ. 261.ნ.2.).

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში ნივთის სათანადოდ შენახვისა და მოვალა–პატრონობის ვალდებულება ეკისრება დამგირავებელს, ვინაიდან გირავნობის საგანი რჩება ამ უკანასკნელის მფლობელობაში. მსგავსად მოგირავნის მიერ ანალოგიური ვალდებულებების დარღვევისა, მოგირავნეს უფლება აქვს, მოითხოვოს გირავნობის საგნის მის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა. განსხვავებით მოგირავნის მიერ სარგებლის მიღების წესისა, დამგირავებელი

უფლებამოსილია, მიიღოს სარგებელი გირავნობის საგნიდან, რაზედაც მხარეთა შორის პირდაპირი შეთანხმება აუცილებელი არ არის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 261–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს აქცია ან წილი კომერციულ იურიდიულ პირში, მაშინ დამგირავებული იურიდიული პირის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ან გარიგების დადებისას უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე საკუთარი და მოგირავნის ინტერესების გათვალისწინებით. ამ ნორმის მიზანია, დაიცვას მოგირავნის ქონებრივი ინტერესები დამგირავებლის მიერ დაგირავებული აქციის ან წილის მიმართ ისეთი არაკეთილსინდისიერი ქმედებებისას, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს გირავნობის საგნის ღირებულების შემცირება ან მისი საერთოდ დაკარგვა. როგორც მფლობელობითი, ისე რეგისტრირებული გირავნობის დროს დამგირავებელს შეიძლება დაეკისროს გირავნობის საგნის დაზღვევის ვალდებულება. ასეთი ვალდებულება არსებობს, თუ მას პირდაპირ ადგენს კანონი ან თუ აღნიშნულის შესახებ მხარეები შეთანხმდნენ გირავნობის შეთანხმებაში (ხელშეკრულებაში) (მ.262).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 263–ე მუხლის თანახმად, ,,დამგირავებელს, რომელიც არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, შეუძლია მოგირავნეს წაუყენოს ის შესაგებლები, რომლის წაყენების უფლებაც აქვს პირად მოვალეს, მათ შორის, ისეთი შესაგებლები, რომლებზედაც მოგირავნის პირადმა მოვალემ უარი თქვა გირავნობის წარმოშობის შემდეგ''.

იმ დამგირავებლის ინტერესების დაცვისათვის, რომელიც არ წარმოადგენს მოგირავნის პირად მოვალეს, კანონი ადგენს ერთგვარ ფიქციას: იგი შესაგებლის უფლებას ანიჭებს იმ პირს, რომელიც საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის საფუძვლად არსებული ვალდებულებით–სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ასეთი ფიქციისათვის მიმართვა კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა იმ მოტივით, რომ საშუალება მიეცა სხვა პირის ვალდებულების საუზრუნველყოფოდ საკუთარი ქონების მიმცემ დამგირავებელს, თავიდან აეცილებინა გირავნობის საგნის რეალიზაცია, თუ არსებობს ამის საფუძველი უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე. 262–ე მუხლი საუბრობს ნებისმიერი შესაგებლის წარდგენის უფლებაზე, რომელიც ვალდებულებებით–სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ეკუთვნის მოვალეს, მაგ., დამგირავებელს შეუძლია წარმოადგინოს შესაგებელი გარიგების ბათილობის გამო მოთხოვნის არ არსებობის შესახებ.

დამგირავებელი, რომელიც არ წარმოადგენს მოთხოვნის პირად მოვალეს. შესაგებელს წარმოადგენს უშუალოდ პირადად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მასზე უარი განაცხადა მოვალემ. [1]

Ivane Balakhashvili
Gori State Teaching University

MORTGAGING

RESUME

Mortgaging is a significant institution of property of law. It's interpreted in the first and second parts of 254 article of Georgian Civil Code.

Mortgaging is means of request. according to the law ,a mortgagor is more entitled to meet his/her requirements than creditor.

The main and additional requirements/right are ensured with the right of mortgaging. The types of mortgaging and the issues relating to it are discussed in this work: the rights and duties of the parties, the limits bound of using a mortgage. The object of mortgaging can be personal estate (thing), property requests and rights.

[1] ზურაბ ჭეჭელაშვილი, ,,სანივთო სამართალი", თბილისი, 2009, გვ. 416, 417, 418.

ელენე გერმანოზაშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში

თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვანი გახდა შეჯიბრებითობის პრინციპი, მასზე დამყარებული პროცესი კი გულისხმობს, რომ წარმატების შანსი აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომელსაც მყარი პოზიციები და შესაბამისად მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები გააჩნია. ბრალდებისა და დაცვის მხარე მეტ-ნაკლებად თანასწორნი არიან მტკიცებულებათა მოპოვებაში, წარდგენაში და მათ გამოკვლევაში, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში ბრალდების მხარეს აწევს მტკიცების ტვირთი და იგი ვალდებულია თავად მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი, საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც გაამყარებს საკუთარ პოზიციას და შექმნის უტყუარ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას. რაც შეეხება დაცვის მხარეს, მას მტკიცებულების მოპოვების ვალდებულება არ გააჩნია, თუმცა ეს მის ინტერესებში შედის. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციაც ეხება მტკიცებულებას და ამტკიცებს, რომ არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და რომ მისი ძალის წარმოჩენა სწორედ სასამართლო გამოკვლევის ეტაპზე ვლინდება.

მტკიცებულებათა ცნება იძლევა საშუალებას მოვახდინოთ მტკიცებულებათა დაყოფა ცალკეულ სახეებად. მტკიცებულების სახეებს მიეკუთვნებიან: ბრალდებულის ჩვენება, განსასჯელის ჩვენება, დაზარალებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი მტკიცებულებები, საგამოძიებო მოქმედების, სასამართლოს მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები, სხვა დოკუმენტები და ნებისმიერი სახის აუდიო და ვიდეო ჩანაწერი. ძველი სსსკ-ის მიხედვით, მტკიცებულებად ითვლებოდა ეჭვმიტანილის ჩვენებაც.[1] სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა კალასიფიკაცია, ანუ დაყოფა ცალკეულ სახეებად გარკვეული ნიშნების მიხედვით,[2] რაც ხელს უწყობს დასაბუთებული დასკვნების ფორმირებას სისხლის სამართლის პროცესში. სისხლის სამართლის პროცესში მიღებულია მტკიცებულებათა კლასიფიკაციის 4 სახე: 1. გამამართლებელი და გამამტყუნებელი მტკიცებულებები; 2. პირველადი და წარმოებული მტკიცებულებები; 3. პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები; 4. პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები.

ძველად მოქმედი სსს კოდექსი გვაძლევდა დაუშვებელი მტკიცებულებების სრულ ჩამონათვალს, დღევანდელი კი არ იძლევა ამის შესაძლებლობას. ამიტომ ამ შემთხვევაში მუხლების ინტერპრეტირებას მეტი მნიშვნელობა ენიჭება. დასადგენია ასევე, თუ რა შეიძლება იყოს კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება. „არსებითი დარღვევის“ გამოწვევა შესაძლებელია განზრახი ქმედებით თუ გაუფრთხილებელი შეცდომით. საბოლოო ჯამში თუ რა ჩაითვლება ან არ ჩაითვლება კოდექსის „არსებით დარღვევად“, რაც მტკიცებულების დაუშვებლად მიჩნევის საფუძველი გახდება, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საკითხია და მანამ, სანამ ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ ჩამოყალიბდება, გადაჭრით ამის თქმა ძალზე რთულია.

დღეს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლში მტკიცებულება დამოუკიდებელი სახის მნიშვნელოვან პრინციპადაა აღიარებული და მითითებულია, რომ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, რომ ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი კი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრული ეჭვის მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას. სსსკ-ის ამ მუხლის მოთხოვნების სრული დაცვა შეუძლებელი იქნება, თუ სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული მტკიცებულებები და ობიექტურად შეფასებული. იმისათვის, რომ უფრო უკეთესად ჩავწვდეთ მტკიცებულების არსს და მის დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობას, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მტკიცებულების ცნება, მათი შესახეობა, ელემენტები, მტკიცებულებათა სახეები და კლასიფიკაცია, მტკიცებულებების მოპოვების, მათი გამოკვლევის და შეფასების პროცედურები, ხერხები, საშუალებები და სხვა.

---

[1] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესის (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) თბილისი, 2008. გვ. 361-396

[2] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) თბ.2008, გვ. 397-401

საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად „მტკიცებულებაა კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.“ დოკუმენტი კი მაშინ მიიჩნევა მტკიცებულებად, თუ იგი შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. „დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით, ან/და ფოტო, კინო, ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით“. აღნიშნული მუხლი მტკიცებულების ცნებას და მის წყაროებს დეტალურად აღწერს და უთითებს, რომ ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია, საწყის ეტაპზე არ ითვლება როგორც მტკიცებულება და უტყუარად დადგენილი ფაქტი, არამედ ის აუცილებლად მოითხოვს მხარეების მიერ გადამოწმებას და გამოკვლევას. სასამართლომ კი შეიძლება სრულიად სხვაგვარად შეაფასოს ის და არ მიიჩნიოს მტკიცებულებად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ გამოძიების დაწყების საფუძველს და აღნიშნული ინფორმაციის უტყუარობის შესახებ საბოლოო დასკვნა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სასამართლო განხილვის დასრულებისას, საქმესთან დაკავშირებით შეკრებილ დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით, რაღა თქმა უნდა მათი შეფასების დროს. ამიტომ თითოეული მტკიცებულება განიხილება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

საბჭოთა სისხლის საპროცესო სამართლის კურსის სახელმძღვანელოში, პროფესორი მ.ს. სტროგოვიჩი, მტკიცებულებად მიიჩნევდა ყველა იმ ფაქტობრივ მონაცემს, რომელიც კანონით იყო გათვალისწინებული და რომელიც პროცესუალური ფორმით ადგენდა ან უარყოფდა ყველა იმ ფაქტობრივ მონაცემს, რომელიც ადგენს ან უარყოფს დანაშაულებრივ შემთხვევას, ამხელს ან ამართლებს პასუხისგებაში მიცემულ პირს და ადგენს მათი პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხს.[1] მტკიცებულებების განმარტების თანახმად, მტკიცებულებათა გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებას, დგინდება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით. მტკიცებულებებს მოიპოვებენ და სასამართლოში წარადგენენ მხარეები, თუმცა საბოლოოდ სასამართლო შეაფასებს და მიიღებს გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ზღუდავს მოსამართლეს მტკიცებულებების შეფასებისას, ეს არ უნდა აღიქმებოდეს მოსამართლის მხრიდან, რომ მისი შეფასებები მთავარია და შეუძლია კანონის გვერდის ავლით, ისე რომ წინააღმდეგობში მოდიოდეს კანონის ნორმებთან, მიიღოს ესა თუ ის ინფორმაცია დასაშვებად. მისი შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს კანონიერ დასაბუთებას, რასაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ ავალდებულებს სასამართლოს. პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობისათვის, სისხლის სამართლის საქმეში აუცილებელია მტკიცებულებების არსებობა. მტკიცებულებად მიიჩნევა ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, თუმცა თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისად არ იქნება მიჩნეული მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, რასაც უთითებს ასევე საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-40 მუხლის თანახმად: დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ბრალდების შესახებ დადგენილება და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. წარსულისაგან განსხვავებით, დღესდღეობით ლიბერალური და სამართლიანი მეთოდებით ხდება მტკიცებულებების შეფასება და მათი გამოყენება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს“. ეს დებულება მეორდება სსს კოდექსის მე-7 მუხლში და უშუალოდ უკავშირდება კონსტიტუციის მე-20 მუხლით უზრუნველყოფილი ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითად უფლებებს. საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილება, სასამართლოს გადაწყვეტილება, თანამდებობის პირის გადაწყვეტილება და პროცესის განმავლობაში მხარეთა პოზიცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენილად მიჩნევის ან უარყოფისათვის უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებებს. [2] სსს კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „კოდექსის არსებითი დარღვევით

[1] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) ავტორთა ჯგუფი, სტუ, თბ., 2013. გვ. 230-231.

[2] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2008, გვ. 34

მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია". დასადგენია თუ რა შეიძლება იყოს კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება. არსებითი დარღვევის გამოწვევა შესაძლებელია განზრახი მოქმედებით თუ გაუფრთხილებელი შეცდომით. თუმცა, საბოლოო ჯამში, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ან არ ჩაითვალოს კოდექსის არსებით დარღვევად, რაც მტკიცებულებების დაუშვებლად მიჩნევის საფუძველი უნდა გახდეს, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საკითხია და მანამ, სანამ ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ ჩამოყალიბდება, გადაჭრით ამის თქმა ძალზე რთულია.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

განვიხილოთ დაუშვებელი მტკიცებულებები და მათი დასაშვებობა: ა. დაუშვებელია მტკიცებულება თუ ის ძალადაკარგული განჩინების საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგადაა მოპოვებული. შესაძლებელია სასამართლო განჩინება ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების თაობაზე მოპოვებული იქნას კანონიერად, მაგრამ ჩხრეკა და ამოღება ჩატარდეს დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. მაგალითად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ „ჩხრეკის ან ამოღების განჩინება ძალადაკარგულია, თუ ეს საგამოძიებო მოქმედება არ დაწყებულა 30 დღის ვადაში". შესაბამისად, თუნდაც ბრალდების მხარეს მოპოვებული ჰქონდეს სასამართლოს განჩინება ჩხრეკის და ამოღების ჩატარების შესახებ, თუ ეს საგამოძიებო მოქმედება განჩინების გამოტანიდან 30 დღის შემდეგ ჩატარდა, იგი უკანონო იქნება, ხოლო ასეთი უკანონო საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელი. ბ. დაუშვებელია მოპოვებული მტკიცებულება, თუ ის კანონის დარღვევით გამოტანილი განჩინების საფუძველზეა მოპოვებული. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს განჩინების საფუძველზე კი განხორციელდეს, მაგრამ თვითონ განჩინება არ პასუხობდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. თუ სასამართლო განჩინება არ შეიცავს ნორმის იმპერატიულ რეკვიზიტებს, მაშინ ასეთი განჩინება კანონსაწინააღმდეგო იქნება, ხოლო მის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებაც დაუშვებელი მტკიცებულება. გ. დაუშვებელია მტკიცებულება, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად არის მოპოვებული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ასეთ დროს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში მოსამართლეს უნდა წარედგინოს შუამდგომლობა მისი კანონონიერების შემოწმების შესახებ. თუ ასეთი რამ არ მოხდა, ან 24 საათიანი ვადის დარღვევით, ან/და არ არსებობდა „გადაუდებელი აუცილებლობა", მაშინ საგამოძიებო მოქმედება უკანონოა, ხოლო მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება - დაუშვებელი. დ. დაუშვებელია კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება. სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „ამოღების და ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დადგენილება გააცნოს პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. დადგენილების გაცნობას პირი ადასტურებს ხელმოწერით". თუ გამომძიებელმა არ შეასრულა კანონის ეს მოთხოვნა - მაშინ არსებითად დარღვეულია კანონის მოთხოვნა. შესაბამისად, ასეთ დროს ამოღებული მტკიცებულება ისევ დაუშვებელი მტკიცებულებაა. ე. დაუშვებელია ასევე „დამაგრების" წესის დარღვევით წარმოდგენილი მტკიცებულება. სსს კოდექსის 120-ე მუხლის მე-6 ნაწილი მოითხოვს, რომ ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი კანონით დადგენილი წესით იქნეს ამოღებული, ხოლო თუ აღწერილი პროცედურიდან რომელიმე წესი არ არის დაცული, ამოღებული საგანი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული. ვ. დაუშვებელია მტკიცებულება მისი წარმომავლობის მიუთითებლობის შემთხვევაშიც. საქართველოს სსს კოდექსის 72-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ". აღნიშნული ნორმა აშკარად იმპერატიული ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, თუ მხარე ვერ ან არ მიაწოდებს სასამართლოს ინფორმაციას თუ საიდან, ვისგან ან/და რა გარემოებებში მოიპოვა მოცემული მტკიცებულება, მაშინ ასეთი მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული. აშკარაა, რომ მხოლოდ მითითება კონკრეტულ წყაროზე საკმარისი არ უნდა იყოს. აუცილებელია ასეთი მითითების დასაბუთებაც - ანუ კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენა, იქნება ეს საგამოძიებო მოქმედების სათანადო წესით შედგენილი ოქმი თუ სხვა. მაგალითად, თუ გამომძიებელმა წარმოადგინა დანაშაულის იარაღი, მანვე უნდა წარმოადგინოს ბრალდებულის პირადი ან მისი ბინის თუ სხვა მფლობელობის ჩხრეკის და

ამოღების ოქმიც. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო თქმა იმისა, რომ იარაღი ბრალდებულისაგან იქნა ამოღებული, საკმარისი არ უნდა იყოს. დაუშვებელია კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულებაც, რაც აღნიშნულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლში. აღნიშნული პრინციპი ასახავს ძველ, ბიბლიურ პრინციპს: „არა მოისხას ხემან ბოროტმან ნაყოფი კეთილი“. მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, რომ ირღვევა თუ არა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, როდესაც კანონმდებელი აღნიშნავს, რომ ამგვარად მოპოვებული მტკიცებულება მხოლოდ მაშინაა დაუშვებელი და იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, რომლის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილში აღნიშნულია, რომ „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. ეწინააღმდეგება თუ არა სსსკ-ის ეს 72-ე მუხლი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მოთხოვნებს, ეს მსჯელობას და განხილვას მოითხოვს. შესაძლებელია საქმე გვქონდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის არაკონსტიტუციურობასთანაც.

სსს კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ასევე „არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“. შესაბამისად სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს ე.წ. სამწვეროვან დანაწილებას: პირველ ეტაპზე მოწმდება მტკიცებულების რელევანტურობა; მეორე ეტაპზე - მისი დასაშვებობა; ხოლო მესამე ეტაპზე - მისი უტყუარობა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია მტკიცებულების შეფასება, ეს მსჯელობის საგანია. დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე წყვეტს საკითხს იმის შესახებ, ესა თუ ის საკითხი გადაეცეს თუ არა არსებით განხილვაზე, რაც დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით მოგვცემს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული სწორედ ამ ბრალდებულმა ჩაიდინა (სსსკ, მუხლი 219).

საქართველოს 2013 წლის 14 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსსკ-ში მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ირიბი ჩვენების ცნება, რომელიც განმარტებული იყო 76-ე მუხლის პირველ ნაწილში, ხოლო დღეს მოქმედი სსსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად ირიბი ჩვენება დასაშვების მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად შემოწმება შესაძლებელია. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. შესაბამისად როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში თუ მოწმემ გვერდით ოთახიდან გაიგონა ხმა, მაგრამ კონკრეტულად ვერ ასახელებს ამ ხმის „პატრონს“. უნდა ჩავთვალოთ რომ ინფორმაციის წყაროს მიუთითებლობის გამო ეს დაუშვებელი მტკიცბეულებაა? [1] ვფიქრობ ეს არასწორია და ასეთი ჩვენება სასამართლოს მიერ უნდა იქნეს გაზიარებული.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მოქმედი სსსკ-ის 78-ე მუხლი, რომელიც ეხება სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილი დოკუმენტის მტკიცებულებით ძალას და დასაშვებობას: „მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომამავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარმოდგენამდე“. თუ მტკიცებულების წარმომავლობის თაობაზე მოთხოვნა ძველ კოდექსშიც იყო (იხ. სსსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ავთენტიკურობის მოთხოვნა სრულიად ახალია. ავთენტიკურია დოკუმენტი, თუ იგი არის ნამდვილი, სახეშეუცვლელი, ეკუთვნის კონკრეტულ პირს და ა.შ.

საყურადღებოა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რომელიმე მხარის მიერ ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მეორე მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველს. სიტყვები „ამ მასალის“ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნეული იქნება სრული მასალა, მათ შორის მისი ის ნაწილიც, რომელიც გადაცემული იქნა და ის ნაწილიც, რომელიც გადაცემული არ იქნა.

[1] ირინა აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ. 2010. გვ. 169-170

მნიშვნელოვანი და საინტერესოა დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკის გაცნობა.[1] ჩვენი კანონმდებლობისაგან განსხვავებით ასეთი სამართლის სისტემის მქონე სახელმწიფოებში მოსამართლეები ავტომატურად და ფორმალურად არ უარყოფენ უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს. მაგალითად, შოტლანდიაში მოქმედებს ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყველა მტკიცებულება დასაშვებია, თუ მას შეხება აქვს საქმესთან. განსხვავებულია ჰოლანდიის კანონმდებლობა, სადაც არ არსებობს ნორმა, რომელიც კრძალავს კერძო პირების მიერ უკანონოდ მოპოვებული და სახელმწიფო ორგანოსათვის გადაცემული მტკიცებულების დაუშვებლობას. რაც შეეხება გერმანულ კანონმდებლობას, აქაც გადამწყვეტია მოსამართლის შინაგანი რწმენა, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება კი ავტომატურად დაუშვებლად არ ითვლება. იტალიაშიც მოსამართლეს შეუძლია დაეყრდნოს ისეთ მტკიცებულებას, რომელიც კანონში უშუალოდ არ არის მოხსენიებული, თუ იგი საქმეს უშუალოდ ეხება და არ ხელყოფს ბრალდებულის უფლებებს. ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები კი ყოველთვის დასაშვებია. ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით, მტკიცებულების დასაშვებობის მთავარი კრიტერიუმი მისი საქმესთან შემხებლობაა. მიუხედავად ამისა, საქმესთან შემხებლობის მქონე ყველა მტკიცებულება ავტომატურად არ ითვლება დასაშვებად. დღესდღეობით ინგლისსა და უელსშიც უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს დაუშვებლად ცნობს სასამართლო თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ არა ავტომატურად. ყოველთვის დაუშვებლად კი ცნობენ მტკიცებულებას, რომელიც ზიანს აყენებს დაცვის მხარის ინტერესებს (ანალოგიური პრინციპი მოქმედებს კანადაშიც).

გადავავლოთ თვალი სისხლის სამართლის პროცესს, ნათლად დავინახავთ, რომ მოსამართლე პასიურია, იგი დამოკიდებულია მხარეთა პოზიციაზე, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი პოზიციის მტკიცებულებებს და სწორედ მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მსჯელობს სასამართლო და მათი შეფასების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას. ამიტომ ვფიქრობ არ შეიძლება იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება ჭეშმარიტი მაშინ, როცა თვითონ არ მოიპოვებს მტკიცებულებებს და მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილს ეყრდნობა, რომელიც შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. სასამართლო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უდიდესი შტო, რომელიც სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპზეა ორიენტირებული, უნდა ეძიებდეს ჭეშმარიტებას არა მარტო სხვის მიერ მოპოვებულ და წარმოდგენილი მტკიცებულების ფარგლებში, არამედ, საკუთარი ინიციატივით უნდა მოიპოვებდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, როდესაც ეს აუცილებელია ობიექტურობის დასადგენად.

ნაშრომში განხილული იქნა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, დაუშვებელი მტკიცებულებების თავისებურებები. გაკეთდა შედარება ძველი და ახალი კანონმდებლობის. განვიხილეთ საერთაშორისო მიდგომები და ხედვები მტკიცებულებების დასაშვებობის კუთხით და მათი პრაქტიკული გამოცდილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნათლად არაა განმარტებული მთელი რიგი ნორმები და დებულებები, რომლის თანახმადაც პროცესის მონაწილეს შეუძლია იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. გარკვეული ნორმების ინტერპრეტაციის დროს ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი კანონის განმარტება, ან დეტალურად არ გვაძლევს კანონმდებელი ნორმის ინტერპრეტაციას ან კიდევ მოცემულ შემთხვევას საერთოდ არ ითვალისწინებს თავად კანონი. შესაბამისად, ცალკეულ მუხლებზე მსჯელობით არის შესაძლებელი განისაზღვროს მხარის უფლება სასამართლოს წინაშე მოახდინოს მოცემული ნორმის საკუთარი ინტერპრეტირება და მისეული ვერსიის დასადასტურებლად მოიტანოს ცალკეული ტიპის მაგალითები. ერთი მხრივ, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების გარკვეული ნაწილი ორიენტირებულია კანონის სიზუსტეზე და მის სწორად აღსრულებაზე. ამასთან, სასამართლოს წინაშე მხარის მსჯელობა საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, უნდა ეყრდნობოდეს სამართლებრივად გამართულ და სამართლიან მტკიცებულებებზე დამყარებულ საწყისს. სასამართლოს გადაწყვეტილებაც, სწორედ უტყუარ მტკიცებულებას უნდა ეფუძნებოდეს. მეორე მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შესაძლებელია მხარემ წარმოადგინოს მართლაც უტყუარი და მოცემული სისხლის სამართლის საქმისათვის რელევანტური მტკიცებულება, მაგრამ ეჭვქვეშ დადგეს ამ მტკიცებულების დასაშვებობა. ამ შემთხვევაში სასამართლო განხილვა უძლურია. მოსამართლეს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ შეუძლია შეცვალოს „მტკიცებულების ბედი“ და იგი ცნოს დასაშვებად. შესაბამისად აღნიშნული მტკიცებულება თავიდანვე „განწირულია“, რაც, ჩემი აზრით, არასწორია და იზღუდება მოქალაქის უდანაშაულობის უფლება.

[1] ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები; ლონდონი, 1993 წ. თარგმანი: კახაბერ წიქარიშვილის, თავი 6

ამგვარად, მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა მყარი და ხისტი ნორმატიული ხასიათი მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით გარკვეული კუთხით შესაცვლელია და მოსარგებია კონტინენტური ქვეყნების სამართლებრივი სისტემისათვის.

ვფიქრობ, უმჯობესი იქნება თუ „მტკიცებულების ბედის" განსაზღვრის საკითხს მოსამართლის დისკრეციას მივაკუთვნებთ, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე რომელიმე მხარე მცირე პროცესუალური დარღვევის შედეგად დაკარგავს საქმისათვის უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის ხელში გადავა ბერკეტი, რომლითაც იგი შინაგანი რწმენის საფუძველზე საქმისათვის მნიშვნელოვან მოცემულ მტკიცებულებას დასაშვებად ცნობს, მაშინ ვითარება გარკვეულწილად სამართლიანად შემოტრიალდება სამართლიანი სასამართლოს პრინციპისა და მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, თუმცა, რა თქმა უნდა, მოსამართლის თავისუფლება მტკიცებულების შეფასებისას არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ მოსამართლის შეფასებები და შეხედულებები აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდეს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობასთან. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებს სასამართლოს, რომ განაჩენში ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება და ყველა დასკვნა იყოს დასაბუთებული, რაც მოსამართლის მიერ მტკიცებულებების შეფასების სისწორისა და სანდოობის ერთგვარ კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1) საქართველოს კონსტიტუცია, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2017.
2) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2017.
3) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2017.
4) აქუბარდია ი. „დაცვის ხელოვნება", თბილისი, 2010.
5) გუცენკო კ. გოლოვკო ლ. ფილიმონოვი ბ. „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007.
6) ტრექსელი შ. „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში", თბ., 2009.
7) აბაშიძე გ. „დამცველი სისხლის სამართლის პროცეში", თბ., 2010.
8) ფაფიაშვილი შ. მამნიაშვილი მ. გახოკიძე ჯ. და სხვ. „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი", თბ., 2013.
9) ხარაზიშვილი ბ. „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი", თბ., 1998.
10) გოგშელიძე რ. (რედ) „სისხლის სამართლის პროცესი", ზოგადი ნაწილი, თბ. 2008, გვ. 342-407.
11) ჩხეიძე ი. „მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში", გვ. 5, 2012.
12) მეიშვილი ზ. ჯორბენაძე ო. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები", სეზანი, 2007.
13) Criminal Procedure Systems In The European Community; ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ლონდონი, თარგმანი: კახაბერ წიქარიშვილი, 1993
14) https:/mimomxilveli.wordpress.com/tag/მტკიცებულებები. 16:45, 07.07.2017
15) www.nplg.gov.ge/ .../library. 12:05. 9.07.2017
16) Myadvokat.ge/wp/07/ მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა. 12:30. 09.07.2017

Elene Germanozashvili

David Agmashenebeli University of Georgia

PROBLEMS OF ADMISSIBLE EVIDENCE IN CRIMINAL PROCEDURE

RESUME

Evidence in criminal proceedings is crucial. The Criminal Procedure Code of Georgia is constructed on the principles of competitiveness and equality of the parties, and therefore each party uses the evidence to strengthen its position and, on the contrary, it is possible to develop the position itself through submission of evidences. In contrast to the Soviet approach, today the preparedness, qualifications, and competitions of the parties are given priority; The solution of the case in benefit of a particular party depends on the job the parties have have done to obtain evidences.

The concept and purpose of the evidence is the main cornerstone of the criminal proceedings and therefore the scope of the study of its essence and importance is quite large and laborious in terms of volume. The importance of the issue is due to the changes introduced in the Criminal Procedure Code, based on which new standards of admissibility have been developed. In this work I will discuss all the important factors related to these issues in order to perfectly study the essence of evidence, the issue of its recognition as admissible in the criminal proceedings and review of the

existing shortcomings. The case hearing and consequently, the process of proving, serve the purpose such as assessment of evidences after they have been collected and submitted; the judge's judgment on the criminal case is based on the evidence, jurors are provided with the explanations that their decision should be based on the evidence examined in the trial, and it is therefore important to review and analyze the evidence admissibility problems in the criminal proceedings and to provide recommendations which are preferable to be considered by the legislator.

დავით გეფერიძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მოქალაქეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო-სამართლებრივი საკითხები

მოქალაქეობასთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლის გაგება გულისხმობს პირის სამართლებრივ კავშირს სახელმწიფოსთან, რაც ერთობლიობაში გამოხატავს მათ ურთიერთ უფლებებსა და მოვალეობებს.

მოქალაქეობის ინსტიტუტი შედარებით მოგვიანებით ჩაისახა და ჩამოყალიბდა. ისტორიულად მისი წინამორბედი იყო „ქვეშევრდომობის“ ინსტიტუტი, რომელიც დღესაც არის შენარჩუნებული მონარქიული მმართველობის სახელმწიფოებში. პირველად ცნება „მოქალაქე“ ფორმალურად დაფიქსირდა 1789 წლის 24 აგვისტოს მიღებულ ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში[1].

სამართლებრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისით, მოქალაქეობა უნდა განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო სამართლის ცალკე ინსტიტუტი, რომელიც ერთდროულად რეგულირდება საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმებით. ამავდროულად, მოქალაქეობა წარმოადგენს ცალკეული პირის სუბიექტურ უფლებას. ამ თვალსაზრისით, მოქალაქეობა უნდა განვიხილოთ, როგორც *მოქალაქეობის უფლება.* მოქალაქეობის ამგვარი ინტერპრეტირების გასამყარებლად შეგვიძლია მოვიხმოთ ზოგიერთი საერთაშორისო შეთანხმების დებულება, კერძოდ, 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია[2]; 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, რომელთა მიხედვით *„თითოეულ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება“.*[3] განვიხილოთ მოქალაქეობის მიღების და დაკარგვის არსებული სამართლებრივი კატეგორიები:

<u>მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია დაბადებით (ფილიაცია),</u> ნატურალიზაციის გზით, საერთაშორისო ხელშეკრულების მეშვეობით, რეინტეგრაციის (აღდგენა) გზით და მინიჭებით. დაბადებით მოქალაქეობის მიღება ყველაზე ხშირად ხდება და ის ასახულია ზოგიერთ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში. მათ შორის: 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი[4] და ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის კონვენცია[5]. მასში განსაზღვრულია დებულება, რომლის თანახმად, ბავშვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს პირი, რომელსაც არ ექნება მოქალაქეობა (აპატრიდი).

დაბადებით მოქალაქეობის მიღება ეფუძნება ორ პრინციპს: „სისხლისმიერი უფლება“ (jus sanguinis) და „უფლება დაბადების ადგილის მიხედვით“ (jus soli). „სისხლისმიერი უფლების“ პრინციპიდან გამომდინარე, ბავშვი იღებს მშობლების მოქალაქეობას, განურჩევლად მისი დაბადების ადგილისა. ეს პრინციპი, კანონმდებლობის თანახმად, მოქმედებს ევროპის უმეტეს ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში.

---

[1] იხ. Декларации прав человека и гражданина, принятой 26 августа 1789 г. <http://lawtoday.ru/razdel/biblo/iqipzs/002/DOC_025.php >

[2] იხ. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, < http://www.ungeorgia.ge/geo>

[3] იხ. 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>

[4] იხ. 1966 წლის 16 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>

[5] იხ. 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901>

„უფლება დაბადების ადგილის მიხედვით“ პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ბავშვი იღებს იმ სახელმწიფოს მოქალაქეობას, რომლის ტერიტორიაზეც ის დაიბადა და არ არის დამოკიდებული მშობლების მოქალაქეობაზე. ეს პრინციპი მოქმედებს ლათინური ამერიკის უმეტეს სახელმწიფოში. „უფლება დაბადების ადგილის მიხედვით“ არ ვრცელდება დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლების შვილებზე, რაც გათვალისწინებულია 1961 წლის დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციის[1] და 1963 წლის საკონსულო ურთიერთობების ვენის კონვენციის[2] ფაკულტატურ ოქმებში, დავების სავალდებულო გადაწყვეტის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მშობლები სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, მისი მოქალაქეობა განისაზღვრება მშობლების მიერ სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ რეგისტრაციის ორგანოებში განცხადების შეტანის მეშვეობით. თუმცა, შემდგომში, სრულწლოვნების მიღწევისას, ბავშვს უფლება აქვს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, თუ რომელი მშობლის მოქალაქეობას აირჩევს.

<u>მოქალაქეობის მიღება ნატურალიზაციის გზით.</u> არსებობს ინდივიდუალური ნატურალიზაცია (განცხადების საფუძველზე) და ნატურალიზაცია სამართალმემკვიდრეობით. ინდივიდუალური ნატურალიზაცია გულისხმობს პირის ნებაყოფლობით გამოხატულ სურვილს, მიიღოს კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობა. ნატურალიზაციისთვის სავალდებულოა სახელმწიფოს მხრიდან *თანხმობა*. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართული იქნება მოქალაქეობის იძულებით მიღებასთან, ითვლება ძალადაკარგულად.

სახელმწიფოები, საკანონმდებლო წესით განსაზღვრავენ *მოთხოვნებს* იმ პირებისთვის წარსადგენად, რომლებიც მოქალაქეობას იღებენ ნატურალიზაციის გზით. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა - ბინადრობის (დომიცილია) ცენზის დაცვა. სხვადასხვა სახელმწიფოში ეროვნული კანონმდებლობა ადგენს მუდმივი ბინადრობის სხვადასხვა ვადას (შვეიცარია და ესპანეთი - 10 წელი, საფრანგეთი, რუსეთი, აშშ - 5 წელი, დიდი ბრიტანეთი და ნორვეგია - 7 წელი)[3]. ეს პირობა აგრეთვე ატარებს საერთაშორისო-სამართლებრივ ხასიათს. გაეროს 1961 წლის კონვენციაში მოქალაქეობის არქონის შემცირებასთან დაკავშირებით, შეიცავს დებულებას, რომლითაც უპირატესობა ენიჭება ბინადრობის ცენზს, ხუთიდან ათ წლამდე ვადით[4].

არსებობს ასევე მოქალაქეობის მიღების დამატებითი პირობები, ნატურალიზაციის წესით. მათ განეკუთვნება: სახელმწიფო ენის ცოდნა, გარკვეული ასაკის მიღწევა, მუდმივი შემოსავლის წყაროს ქონა, სახელმწიფოსადმი ერთგულების ფიცის დადება (აშშ, დიდი ბრიტანეთი).

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე, სახელმწიფოების პრაქტიკაში გამოიყენებოდა დებულება იმის შესახებ, რომ „ქალი იღებს თავისი მეუღლის მოქალაქეობას“. თუმცა, 1957 წლის კონვენციაში ქორწინებაში მყოფი ქალის მოქალაქეობის შესახებ და 1979 წლის კონვენციაში ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ[5], განსაზღვრულია დებულებები იმის შესახებ, რომ ქალს აქვს უფლება, სხვა ქვეყნის მოქალაქეზე ქორწინების შემთხვევაში, შეინარჩუნოს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობა ან მიიღოს მეუღლის მოქალაქეობა.

ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით მოქალაქეობის შესახებ, განსაზღვრულია ნატურალიზაცია, კანონის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს პირის მიერ სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებას, როდესაც მის მიმართ ვრცელდება შვილად აყვანის ინსტიტუტი, მეურვეობის დაწესება, მამობის აღიარება და სხვ. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოები დებენ საერთაშორისო შეთანხმებებს ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით (ახალი სახელმწიფოების წარმოშობა, გაერთიანების საფუძველზე, სახელმწიფოს დაშლის შედეგად), დგება იმ პირების მოქალაქეობის საკითხი, რომლებიც ცხოვრობენ ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების ტერიტორიებზე. ასეთ შემთხვევაში, პირები იღებენ ახალი სახელმწიფოს მოქალაქეობას, ამავდროულად, ისინი გამოხატავენ მდუმარე თანხმობას, ამ სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების ფაქტთან დაკავშირებით.

საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე მოქალაქეობა მიიღება ტერიტორიის ნაწილის გადაცემისას ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოს შემადგენლობაში (ცესია), ასევე,

---

[1] იხ. 1961 წლის დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენცია, <http://www.mfa.gov.ge/getattachment/HeaderNav/PublicInfo/>

[2] იხ. 1963 წლის საკონსულო ურთიერთობების ვენის კონვენცია, <http://www.mfa.gov.ge/getattachment/HeaderNav/PublicInfo/>

[3] იხ. საინფორმაციო ფურცელი კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნებში, <www.parliament.ge/ge/ajax/.../28521/moqalaqeobis-Sesaxeb>

[4] იხ. სმიტი რონა კ. ადამიანის საერთაშორისო უფლებები: სახელმღვანელო, მეორე გამოცემა,– რედ. გიორგი ჯოხაძე თარგმანი: მანანა კობიაშვილი, – ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, – „სეზანი“. თბ.2000

[5] იხ. 1979 წლის კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>

ტერიტორიების ნაწილის გაცვლისას ორ სახელმწიფოს შორის. სახელმწიფოს ტერიტორიული ცვლილებების დროს, შესაძლებელია მოქალაქეობის ნებაყოფლობით არჩევა (ოპტაცია) ან მისი ავტომატურად შეცვლა (ტრანსფერტი).

მოქალაქეობის დაკარგვის საშუალებას მიეკუთვნება: ექსპატრიაცია და დენატურალიზაცია. ექსპატრიაცია ნიშნავს მოქალაქეობის ნებაყოფლობით დათმობას. მოქმედებს თავისუფალი და ნების დართვით ექსპატრიაცია. პირის უფლება მოქალაქეობის თავისუფლად დათმობასთან დაკავშირებით, განსაზღვრულია ზოგიერთ საერთაშორისო შეთანხმებაში. მათ შორის: 1930 წლის ჰააგის კონვენცია, რომელიც არეგულირებს მოქალაქეობის შესახებ კანონების კოლიზიებთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს[1]. მე-6 და მე-7 მუხლებში გათვალისწინებულია, რომ: „სახელმწიფოს თავისუფლების შელახვის გარეშე, მიენიჭოს უფრო ფართო უფლებები, საკუთარი მოქალაქეობის დათმობის შესახებ, პირს, რომელსაც გააჩნია ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა, მისი მხრიდან რაიმე ნებაყოფლობითი ქმედების გარეშე, შეუძლია დათმოს რომელიმე მათგანი, იმ სახელმწიფოს ნებართვით, რომლის მოქალაქეობის დათმობაც სურს მას"; აგრეთვე, ევროპის 1997 წლის კონვენცია მოქალაქეობის შესახებ[2]. როგორც აჩვენებს მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენება, ბევრი სახელმწიფო განაპირობებს ექსპატრიაციის თავისუფლებას, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებით.

დენატურალიზაცია წარმოადგენს, კანონის ძალით, მოქალაქეობის *იძულებით ჩამორთმევას.* ეს შესაძლოა მოხდეს ავტომატურად, მოქალაქის განუსაზღვრელი ხანგრძლივი ვადით საზღვარგარეთ ყოფნის შემთხვევაში, ნატურალიზაციის დროს განზრახ მცდარი მონაცემების შეტყობინების შემთხვევაში, მოქალაქის ვალდებულებების დარღვევით და ა.შ. ამჟამად დენატურალიზაცია იშვიათად ხდება, თუმცა, მისი გამოყენება გათვალისწინებულია კანადის, ვენესუელის, უკრაინის, ბულგარეთის და რიგი სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობით. ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი განიხილება ეროვნული სამართლის შესაბამისად, ერთდროულად ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქედ, მას უწოდებენ ორმაგი მოქალაქეობის (ბიპატრიდი) მქონე პირს. მრავლობითი მოქალაქეობის წარმოშობის შემთხვევებს წარმოადგენს: სახელმწიფოს ტერიტორიული ცვლილება, მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია, მოქალაქეობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის კოლიზიები, უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ქორწინება, უცხოელი მოქალაქის შვილად აყვანა, ნატურალიზაცია, მანამდე არსებული მოქალაქეობის შენარჩუნებით და სხვ. მრავლობითი მოქალაქეობის ინსტიტუტი აღიარებულია ზოგიერთ სახელმწიფოში (ინგლისი, ბანგლადეში, ბელორუსი, გერმანია, ისრაელი, რუსეთი, ტაჯიკეთი, საფრანგეთი. ლათინური ამერიკის ქვეყნები). ბიპატრიზმი ნიშნავს იმას, რომ პირს ერთდროულად გააჩნია უფლებები და ვალდებულებები ყველა იმ ქვეყნის მიმართ, რომელთა მოქალაქეობაც მას აქვს. ამ ინსტიტუტის არსებობის ისტორია ადასტურებს, რომ ორმაგი მოქალაქეობა იწვევს გარკვეულ ნეგატიურ სამართლებრივ შედეგებს, რაც გარკვეულწილად ართულებს საერთაშორისო ურთიერთობებს ბიპატრიდის მოქალაქეობის სახელმწიფოებს შორის. მათ განეკუთვნება ბიპატრიდის დიპლომატიური და საკონსულო დაცვის უზრუნველყოფის საკითხები, მესამე ქვეყნების ტერიტორიების ან მოქალაქეობის კუთვნილების, ერთ-ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ძალიან ხშირად დგება საკითხი იმის შესახებ, მოქალაქეობის კუთვნილების რომელი სახელმწიფოს სამხედრო ვალდებულია მრავლობითი მოქალაქეობის მქონე პირი. ნებისმიერი მოქალაქე არის გადასახადების გადამხდელი და ვალდებულია გადაიხადოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები. ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში, ჩნდება კანონზომიერი კითხვა, თუ რომელი სახელმწიფოს გადასახადების გადამხდელია ბიპატრიდი.

სწორედ ზემოთ აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად იქნა მიმართული სახელმწიფოების საერთაშორისო თანამშრომლობა. მე-20 საუკუნეში მათ მიერ დაიდო რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმება, რომლებიც არეგულერებს ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის ზოგიერთ ნეგატიურ შედეგს. მათ შორის: 1930 წლის ჰააგის კონვენცია, რომელიც არეგულირებს მოქალაქეობის შესახებ კანონების კოლიზიებთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს[3], ევროპის 1963 წლის კონვენცია მრავლობითი მოქალაქეობის შემთხვევების შემცირების შესახებ[4]. ამ შეთანხმებების ძირითად დებულებას წარმოადგენს ის, რომ მრავლობითი მოქალაქეობის მქონე პირი განიხილება იმ სახელმწიფოს მოქალაქედ და მას აქვს

---

[1] Конвенция, регулирующая некоторые вопросы, связанные с коллизией законов о гражданстве (12 апреля 1930 г.) <http://base.garant.ru/2541074/#ixzz4oOoD1xvP >

[2] 1997 წლის ევროპის კონვენციის „მოქალაქეობის შესახებ",
<http://conventions.coe.int/treaty/rus/Treaties/Html/166.htm>

[3] იხ. Конвенция, регулирующая некоторые вопросы, связанные с коллизией законов о гражданстве (12 апреля 1930 г.) <http://base.garant.ru/2541074/#ixzz4oOoD1xvP>

[4] იხ.Конвенция о сокращении безгражданства, Принята 30 августа 1961 года,
<http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/statelessness.shtml>

ვალდებულებები იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

თავისი არსებობის მანძილზე, სსრკ-მ მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმება[1] გააფორმა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, რომლებიც მიმართული იყო ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტის ლიკვიდაციისკენ. მათში გამყარებული იყო საერთო წესი იმის შესახებ, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს უფლება ჰქონდათ, დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე, მიეღოთ გადაწყვეტილება ერთ-ერთი მოქალაქეობის მიღების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ გამოიყენებდა ამ უფლებას, ის რჩებოდა იმ სახელმწიფოს მოქალაქედ, სადაც მას ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი.

ამგვარი სამართლებრივი კოლიზიებით განისაზღვრა უმეტესი სახელმწიფოს პოზიცია, რომლებშიც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკუთარი მოქალაქეების უფლებას, იქნიონ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა.

მოქალაქეობის არქონა (აპატრიზმი), საერთაშორისო სამართალში ნიშნავს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, როდესაც ის არ განიხილება რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქედ, მისი ეროვნული უფლების ძალით. აპატრიდების სტატუსის სამართლებრივი დარეგულირებისთვის, 1954 წლის 28 სექტემბერს, ნიუ-იორკში, მიღებული იქნა კონვენცია აპატრიდების სტატუსის შესახებ[2]. სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ: „ისინი გამოიყენებენ კონვენციის დებულებებს აპატრიდებთან მიმართებაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მათი რასობრივი, რელიგიური ნიშნით ან მათი წარმოშობის ქვეყნის მიხედვით“. კონვენცია არეგულირებს აპატრიდების სამართლებრივი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს და უზრუნველყოფს ძირითადად ეროვნულ სამართლებრივ რეჟიმს, კონვენციით დადგენილი უფლებებით სარგებლობასთან მიმართებაში.

1961 წელს, გაეროს ეგიდით შემუშავდა და მიღებული იქნა მოქალაქეობის არქონის შემცირების კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1975 წლის 31 დეკემბერს[3]. აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმების ძირითად მიზანს წარმოადგენს ხელსაყრელი პირობების შექმნა მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობის მისაღებად, რომლის ტერიტორიაზეც ისინი დაიბადნენ და სხვაგვარად მათ არ ექნებოდათ მოქალაქეობა და აგრეთვე, იმ პირობების ჩამოყალიბება იმისთვის, რომ ექსპატრიაციის დროს, მოქალაქეებს არ მიენიჭოთ აპატრიდის სტატუსი. კონვენციის თანახმად, აპატრიდების შვილებს ენიჭებათ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, სადაც ისინი დაიბადნენ, „უფლება დაბადების ადგილის მიხედვით“ პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები დადებენ საერთაშორისო შეთანხმებას ტერიტორიების გადაცემის შესახებ, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს გარანტიები შესაძლო მოქალაქეობის არქონის შესახებ.

მენლი ო. ჰადსონმა, საერთაშორისო სამართლის კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა, გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: „პრინციპში, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები, თითოეული სახელმწიფოს შიდა იურისდიქციას განეკუთვნება“. ასეთი დასკვნისთვის არსებობდა სავსებით საკმარისი საფუძვლები და ეჭვს არ იწვევს ის, რომ მასში გამოხატულია „საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება“[4]. ჰადსონის მიერ ფორმულირებული პრინციპის ფართოდ გაგებას ბიძგი მისცა საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის მიერ გაცემულ საკონსულტაციო დასკვნაში არსებულმა აზრმა, რომელიც შეეხებოდა მოქალაქეობის დეკრეტებს მაროკოსა და ტუნისში: „მიეკუთვნება თუ არა გარკვეული საკითხი, სახელმწიფოს ექსკლუზიური იურისდიქციის სფეროს - ეს პრობლემა, არსებითად, პირობითია; მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე.

მრავალ სახელმძღვანელოში ზუსტად არის მოყვანილი აღნიშნული დებულება ან მათში გადმოცემულია ამ დებულებაზე დაფუძნებული მოსაზრება. ამავდროულად, არსებობს მკვეთრი პრინციპული წინააღმდეგობა სახელმწიფოების ამ საკითხთან მიმართებაში არსებული თავისუფლების დოქტრინის მიმართ. მაგრამ, ვიდრე მათზე ვისაუბრებდეთ, აუცილებელია გავიხსენოთ მოქალაქეობასთან დაკავშირებული კონცეფციის მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალში. სახელმწიფო, რომლის მოქალაქეს მიადგა ზიანი, მეორე სახელმწიფოს ქმედებების გამო, უფლება აქვს უზრუნველყოს ის დიპლომატიური ხელშეუხებლობით. პრეტენზიების წაყენების ეს უფლება, რომელიც

---

[1] იხ. Международные договоры Сборники международных договоров СССР, <https://naukaprava.ru/catalog/159/286>

[2] იხ. Конвенция о статусе апатридов, *Принята 28 сентября 1954 года Конференцией полномочных представителей, созванной в соответствии с резолюцией 526 А (XVII) Экономического и Социального Совета от 26 апреля 1954 года, <http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/apatride.shtml>*

[3] Конвенция о сокращении безгражданства, Принята 30 августа 1961 года, <http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/statelessness.shtml>

[4] ЕЖЕГОДНИК КОМИССИИ МЕЖДУНАРОДНОГО ПРАВА, Документы сорок девятой сессии ОРГАНИЗАЦИЯ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ, 1997 <www.doc.knigi-x.ru/.../137532-1-united-nations-audiovisual-library-international-law >

დაკავშირებულია საკუთარი მოქალაქეების დაცვასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, მიუხედავად, ბოლო პერიოდში აღიარებული ზოგიერთი შეზღუდვისა. უფრო ადრე - თანამედროვე ეპოქაშიც კი, მაშინ როდესაც მოქმედებს გაეროს წესდება - საერთაშორისო სამართალი აღიარებდა სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებით, საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის მიზნით განხორციელებული ინტერვენციის მართლზომიერებას. სახელმწიფოების მიერ ნაკისრი მრავალი ვალდებულება, საომარი ვითარებისა და ნეიტრალიტეტის ფარგლებში, რომლებიც დიდ წილად ეყრდნობა ჩვეულებრივ სამართალს, ფორმულირდება, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, თავიდან აიცილოს და რიგ შემთხვევებში, დასაჯოს მათი მოქალაქეების მიერ ჩადენილი ქმედებები ან უმოქმედობა. სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოელების ყოფნა, ბადებს სამართლებრივი ურთიერთობების მთელ კომპლექსს, რომელიც მომდინარეობს იქიდან, რომ ისინი არ არიან მისი მოქალაქეები. სუვერენიტეტის აქტი, შესაძლებელია გახდეს საერთაშორისო პასუხისმგებლობის წარმოშობის მიზეზი, როდესაც ისინი შეეხება უცხოელების ინტერესებს ან მათ საკუთრებას; საკმარისია გავიხსენოთ მართლმსაჯულების აღსრულებაზე უარის შემთხვევები, ექსპროპრიაცია და ა.შ. უცხოელები შესაძლოა გაძევებულნი იქნან საკმარისი საფუძვლის არსებობისას და მათი საკუთარი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისინი. საკუთარი მოქალაქეების გადაცემა სხვა სახელმწიფოსთვის არ ხდება, მაშინ, როდესაც შესაძლებელია უცხოელების გადაცემა. მოქალაქეობა ჩვეულებრივი (და არა განსაკუთრებული) საფუძველია სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელებისთვის, მათ შორის ისეთ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილია საზღვრებს გარეთ. თავიდანვე შესაძლებელი იყო ეფექტურობის პრეზუმპციის და რეგულარობის მიღება, რომელიც ზოგად ჩარჩოებში საშუალებას იძლევა, რომ გადაწყვეტილიყო აშკარა კონფლიქტი მრავალი სამართლებრივი ინსტიტუტის მოქალაქეობის კონცეფციაზე დამოკიდებულობას შორის, რაც შეეხება მათ გამოყენებას და იძულებით აღსრულებას, და ასევე, სახელმწიფოების ვითომდა არსებული თავისუფლება, მოქალაქეობის მინიჭების საკითხში. მოქალაქეობა, გარკვეულწილად, წარმოადგენს *სახელმწიფოებრივი კუთვნილების პრობლემას.* ის მსგავსია სამართლებრივი კატეგორიებისა, რომლებიც შეეხება ტერიტორიულ სუვერენიტეტს. შიდა უფლება ადგენს სახელმწიფოს ტერიტორიის სივრცით საზღვრებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სასამართლოს, რომელიც იყენებს საერთაშორისო სამართალს, გადაწყვიტოს სამართლებრივი ტიტულის საკითხები თავისებურად, საერთაშორისო სამართლის კრიტერიუმების გამოყენებით. არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, რომ სუვერენიტეტი შესაძლოა არაფრით არ იყოს შეზღუდული (თუნდაც სხვა სახელმწიფოების არსებობით), იმის მიუხედავად, ხორციელდება თუ არა სუვერენული ძალაუფლება სახმელეთო ტერიტორიაზე, საზღვაო ან საჰაერო სივრცესა ან მოსახლეობაზე.

ანალოგიურ საკითხზე, ტერიტორიული ზღვის საზღვრების დადგენის შესახებ, საერთაშორისო სასამართლომ, ინგლისურ-ნორვეგიულ საქმეში თევზჭერასთან დაკავშირებით, აღიარა, რომ სანაპირო სახელმწიფო, რომლის სანაპირო ზოლი დასერილია, როგორც ჩანს, უკეთეს პირობებშია, ადგილობრივი პირობების შეფასების თვალსაზრისით, რომლებიც კარნახობენ ათვლის საწყის ზოლს; თუმცა, გადაწყვეტილების შინაარსი არ არის გამყარებული სამართლებრივი ავტონომიის პრინციპით. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „საზღვაო სივრცეების დელიმიტაციას ყოველთვის გააჩნია საერთაშორისო ასპექტი; ის არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ სანაპირო სახელმწიფოს ნებაზე, რომელიც გამოხატულია მის შიდა სამართალში. თუმცა, დელიმიტაციის აქტი ნამდვილად წარმოადგენს, საჭიროების შემთხვევაში, ერთმხრივ აქტს, ვინაიდან მხოლოდ სანაპირო სახელმწიფო არის კომპეტენტური მის აღსრულებაში, და მაინც, სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში, ამგვარი დელიმიტაცია დამოკიდებულია საერთაშორისო სამართალზე“[1]. ეს დებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მოქალაქეობის, როგორც სტატუსის წარმოშობა ძალიან ჰგავს დელიმიტაციის იმ პროცესს, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ. არ უნდა დაეყრდნოთ ზოგად განცხადებებს, რომლებითაც, აბსტრაქტული ფორმით განისაზღვრება შიდა კომპეტენციის რეზერვირებული სფეროს საზღვრები. ყველა გამომდინარეობს, კონკრეტული საკითხის წარმოშობის პირობებიდან. მოქალაქეობას არ შეუძლია შეასრულოს ისეთი როლი, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ შიდა კომპეტენციის ან სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების სფეროთი; მას, პრინციპში, გააჩნია ორი ასპექტი და ნებისმიერი მათგანი შესაძლოა გახდეს დომინანტი, ფაქტობრივი ვითარებისა და დავის ხასიათიდან გამომდინარე. საერთაშორისო სასამართლოს პოზიცია ნოტტებომის საქმესთან დაკავშირებით, ამ გაგებით, სავსებით ლოგიკურია. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „ლიხტენშტაინის სამთავროს კომპეტენციაში, ისევე, როგორც ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის საკუთარი კანონმდებლობით ნორმების დადგენა, რომლებიც შეეხება მისი მოქალაქეობის მიღებას და აგრეთვე,

[1] Я.БРОУНЛИ. МЕЖДУНАРОДНОЕ ПРАВО КНИГА ВТОРАЯ. 1977, Глава XVIII ОТНОШЕНИЯ ГРАЖДАНСТВА, стр. 413

მოქალაქეობის მინიჭებას ნატურალიზაციის გზით, შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, აღნიშნული კანონმდებლობის შესაბამისად. არ არის იმის აუცილებლობა, რომ განისაზღვროს, ზღუდავს თუ არა საერთაშორისო სამართალი მის თავისუფლებას, გადაწყვეტილების მიღებისას ამ სფეროში.... მოქალაქეობა მიუთითებს იმაზე, რომ პირს, რომელსაც ის მიენიჭა, შეუძლია ისარგებლოს უფლებებით და იკისროს ვალდებულებები, რომლებსაც ითვალისწინებს მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობა თავისი მოქალაქეებისთვის. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მოქალაქეობა მიეკუთვნება სახელმწიფოს შიდა იურისდიქციას. თუმცა, საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, არ განეკუთვნება ლიხტენშტაინის სამართლებრივ სისტემას. ლიხტენშტაინის სამართალსა ან გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული, აქვს თუ არა ამ სახელმწიფოს დაცვის განხორციელების უფლება ...", დაცვის განხორციელება, სასამართლოსადმი მიმართვა - ნიშნავს საერთაშორისო სამართალთან გათანაბრებას. სწორედ საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს განახორციელოს დაცვა და მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს".

ამგვარად, საერთაშორისო სამართლის თანამედროვე მდგომარეობით, მოქალაქეობის საკითხი, არსებული პრაქტიკით, პრინციპში, მიეკუთვნება „ექსკლუზიურ იურისდიქციას". როგორიც არ უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის წამოწეული დებულების, როგორც ასეთის, ნამდვილი მნიშვნელობა და ღირებულება, მისი გავლენა დამოკიდებულია მის ინტერპრეტირებაზე, რომლის აზრით, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების **ექსკლუზიური კონტროლი ეკუთვნის სახელმწიფოებს.**

David Geperidze
International Black Sea University

INTERNATIONAL LAW ISSUES OF CITIZENSHIP

RESUME

Understanding of international law in relation to citizenship implies a person's legal connection with the state, which expresses their mutual rights and obligations.

In terms of legal qualifications, citizenship should be considered as a separate institute of international law, which is simultaneously regulated by the norms of international and national law. At the same time, citizenship is the subjective right of a particular person. From this point of view, citizenship should be considered as a *right of citizenship*. To promote such interpretation of citizenship some provisions of the international agreements are discussed.

Citizenship is awarded in accordance with international agreement due to transfer of the land from one state to another, or due to exchange of lands between states. When territorial changes occurre citizenship is chosen (optation) or automatically awarded. (Transfert) ways of citizenship termination are: expatriation and denaturalization. Expatriation means termination of citizenship due to person's own choice. Denaturalization means derogation of citizenship based on legislation requirements.

With the current international law, the issue of citizenship, in accordance with the international practice belongs to the "exclusive jurisdiction". Whatever is the real value of the named provision of the international law, its influence depends on its interpretation that exclusive control of issues related to citizenship belongs to the states.

დავით გუგავა
დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სამართლებრივი აღზრდა როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზა საზოგადოებრივი ურთიერთობის გაუმჯობესებისა და განვითარებით მოიაზრებს ღრმა ხარისხობრივ ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებები უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის აზროვნების ცვლილებებთან. ხალხის ძალისხმევა მიმართულია დაგეგმილი კურსის შესასრულებლად, რომლის რეალიზაციაც პირდაპირ კავშირშია ქართული საზოგადოების მართლშეგნებისა და სამართლებრივი აქტივობის ამაღლებასთან. საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების აუცილებლობა ზრდის მის როლსა და მნიშვნელობას, ხოლო

საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების შემადგენელი ნაწილია მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა, რამეთუ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებელი პირობა - სამართლებრივად აღზრდილი ადამიანია. სამართლებრივი აღზრდის პროცესის მიზანია ადამიანმა გამოიმუშაოს მყარი პიროვნების თვისებები, რაც საერთო ჯამში განიმარტება, როგორც სამართლებრივი კულტურა, რომელიც მოიცავს მართლშეგნებისა და სამართლებრივი ქცევის ყველა ელემენტს, აუცილებელი სამართლებრივი ცოდნის დაუფლებას, სამართლებრივი ქცევის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ფაქტების დამოუკიდებელ სამართლებრივ შეფასებას. სახელმწიფოს ამოცანაა ყოველი მოქალაქის აზროვნებაში გაამყაროს კანონების პატივისცემის შეხედულებები და დამოკიდებულები, სამართალდარღვევებთან შეურიგებლობა, ასევე მაღალი სამართლებრივი აქტივობა, სამართლის ნორმების გამოყენების შემოქმედებითი მიდგომა და მათი დახვეწა, ასევე მართლწესრიგის დაცვა.

სამართლებრივი აღზრდის პრაქტიკული მიზნის მიღწევა უტოლდება ადამიანების მაღალ სამართლებრივ აქტივობას, სამართლებრივი მართლშეგნების ფორმირებას და უაღრესად ორგანიზებულ სამართლებრივ ქცევას.

სამართლებრივი აღზრდა, როგორც სხვა ნებისმიერი სწავლება, მოიცავს ობიექტურ და სუბიექტურ პროცესებს. ერთი მხრივ ადამიანის აღზრდა მიმდინარეობს ცხოვრების ობიექტური გარემოებების ზეგავლენით და მეორე მხრივ აღზრდის პროცესი წარმოადგენს საზოგადოების შეგნებულ მიზანმიმართულ საქმიანობას, რომლის მიზანია ადამიანის ცნობიერების, ხასიათის თვისებებზე ზეგავლენა და მათი ამაღლება.

სამართლებრივი აღზრდის სუბიექტებად გვევლინებიან როგორც სახელმწიფოებრივი, ისე არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია-დაწესებულებები. სამართლებრივი აღზრდის პროცესში ჩართულია განათლების სამინისტროს სისტემა, სამართალდამცავი ორგანოები, მასმედია. სამართლებრივი აღზრდა მოწოდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლება.

მართლშეგნება - ერთგვარი გამწმენდია, რომელშიც ტარდება ის გარემოებები, რაც გავლენას ახდენენ სამართალზე.

მოქალაქეთა მართლშეგნებას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში. სამართლებრივად აღზრდილი ადამიანი არა მარტო არ დაუშვებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების შესრულებას, არამედ აქტიურად აღუდგება წინ დანაშაულის განხორციელებას.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, აუცილებელია აღვნიშნოთ მისი სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც მოცულია იუსტიციის მინისტრის 2010 წლის #181 ბრძანებაში და სისხლის სამართლის პოლიტიკის განმახორციელებლის მიერ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის რწმენის განმტკიცებას მოიაზრებს.[1] ჩვენ განსახილველი საკითხიდან გამომდინარე არ შევუდგებით ხსენებული ბრძანების ცალკეული ნაწილის შინაარსობრივ კრიტიკას, რადგან აღნიშნული განსაკუთრებულ განხილვას იმსახურებს.

უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეთა სამართლებრივი აღზრდა. სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იურისტების აღზრდას. იურისტის მართლშეგნება შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც წარმოგვიდგება სამართლებრივი შეხედულებების სისტემის სახით, ცოდნის ფასეულობათა ორიენტაციით საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების სხვა წარმონაქმნებით, რომლებიც იურიდიული საქმიანობას პროფესიონალურ დონეზე აწარმოებენ, რაც მოითხოვს სათანადო საგანმანათლებლო და პრაქტიკულ მომზადებას.

ჩვენ კვლავაც უნდა გავამახვილეთ ყურადღება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოყენების პრაქტიკული პროცესის მნიშვნელობაზე. ზუსტად ეს ეტაპია უმნიშვნელოვანესი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

ცალსახად ცალკეულ მოქალაქეთა მართლშეგნებაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ადამიანების მართლშეგნებას, რომელთაც გააჩნიათ ძალაუფლება გამოიყენონ სისხლის სამართლის ნორმები. სისხლის სამართლის პროცესში ჩართული გამომძიებლის, პროკურორის თუ მოსამართლის მართლშეგნებაზეა დამოკიდებული სისხლის სამართლის კანონთა სწორი გამოყენება, რომელმაც შემდგომში უნდა უზრუნველყოს კანონიერების პრინციპის, საერთო და სპეციალური სისხლის სამართლებრივი პრინციპების გამყარება, ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას. ბევრია დამოკიდებული გამომძიებლებისა და პროკურორების მართლშეგნებაზე, სწორედ რომ ისინი წყვეტენ ქმედების სწორად კვალიფიკაციის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და არდაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და სისხლისსამართლებრივი

[1] ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/1040547

პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების, განრიდების საკითხებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების პროცესში მეტი პასუხისმგებლობა ენიჭებათ მოსამართლეებს, რამეთუ ჩვენს ქვეყანაში მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანოა სასამართლო, „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“ (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 40)[1] მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 82/3) მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 84/1)[2] ამ დებულებების შესაბამისად კანონი უტოვებს მოსამართლეებს ფართო არეალს სამართალშემოქმედებისათვის. სასჯელის განსაზღვრისას მოსამართლეს შეუძლია აირჩიოს ესა თუ ის სანქცია ალტერნატიული სანქციის შემთხვევაში, სასჯელი განსაზღვროს მაქსიმუმისა და მინიმუმის სანქციის ფარგლებში და ა.შ. ყოველივე ამ გადაწყვეტილებებს მოსამართლე იღებს თავისი მართლშეგნების ზეგავლენით. სასჯელის ზომის განსაზღვრისას მოსამართლე ხელმძღვანელობს მართლშეგნებით, ითვალისწინებს რა ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას, ამსრულებლის პიროვნულ მახასიათებლებს, საქმის გარემოებებს და დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებებს. სწორედ ამიტომ მოსამართლეთა მართლშეგნების ამაღლებას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება.

ძველ საბერძნეთში სამოქალაქო აღზრდის სისტემას ჩაუყარა საფუძველი პითაგორამ[3]. დემოკრიტემ კი არა მარტო განავითარა იდეა აღზრდის მეშვეობით დანაშაულთან ბრძოლის, არამედ გარკვეულ წილად მოგვევლინა ფუძემდებლად დანაშაულის პროფილაქტიკისა აღმზრდელობითი ზომების მეშვეობით. (როგორც ის აღნიშნავდა, სწორი აღზრდით შესაძლებელია უსაფრთხოების კედელი შემოვავლოთ ბავშვს და მის ქონებას.)[4]

სოკრატე ადამიანის ღირსებას უკავშირებდა გონს და აღნიშნავდა, რომ კეთილსინდისიერება წარმოადგენს სიკეთის ცოდნას.[5] მას მიაჩნდა, რომ დანაშაულის ფესვები უნდა ვეძებოთ ახალგაზრდობის ცუდ აღზრდაში, განათლების სისტემის ხარვეზებში. ადამიანი ცუდად იქცევა იმიტომ, რომ არ იცის რაშია მისი სიკეთე. თუ მას განუმარტავ როგორ უნდა მოიქცეს და რატომ უნდა ერიდოს ავ საქმეს, ადამიანი აღარ მოიქცევა ცუდად. სოკრატეს აზრით ადამიანები ბოროტ და ავ ქმედებას ჩადიან საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, როცა მათ ეუფლებათ უგონობა. ბოროტების მიზეზი - საზოგადოების არასრულყოფილება, ჭეშმარიტი ცოდნის უკმარისობა და ცხოვრების უცოდინარობაა.

სპარტაში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზეგავლენის ორიგინალური სისტემა - სახელმწიფოს ჩარევით ისეთ სფეროში, როგორიცაა ოჯახური ურთიერთობები. ითვლებოდა, რომ ოჯახის და ქორწინების დანიშნულებაა აწარმოოს ფიზიკურად და მორალურად ჯანმრთელი მოქალაქეები. სახელმწიფო არა მარტო აკონტროლებდა და წარმართავდა საზოგადოების სასარგებლო მიმართულებით მოზარდი ახალგაზრდობის აღმზრდელობით პროცესს, არამედ ახდენდა ოჯახის შემქმნელ წყვილების მეტად ხისტ შერჩევას. თუ ქორწინებაში არ შეეძინებოდათ ბავშვი, ის ქორწინება ბათილად ითვლებოდა. მოქალაქე ვალდებული იყო ხელახლა ექორწინა, უქორწინობა დანაშაულად ითვლებოდა.[6]

ძველ საბერძნეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა სახელმწიფო მოწყობას როგორც ფაქტორს, რომელიც განაპირობებდა მოქალაქეთა პატივისცემას კანონებისადმი და მათ შესრულებას.

ახალგაზრდობის აღზრდის მხრივ არისტოტელეს მიაჩნდა უმთავრესად ადამიანში ჩამოყალიბებულიყო კანონისადმი მორჩილების უნარები, სიკეთისადმი მგრძნობიარობა და კანონმდებლისადმი მორჩილება.[7]

ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით ოჯახური სიმტკიცე წარმოშობს დანაშაულზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ძალას.

სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ სამართლებრივი აღზრდაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სწორედ რომ მცირე ასაკიდან. აუცილებელია განათლების სისტემის ფარგლებში შეიქმნას სპეციალიზებული პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი თაობის სამართლებრივად აღზრდაზე. ახალი თაობის აღზრდაში მოიაზრება როგორც რიგითი მოქალაქეების, ასევე პროფესიული

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია

[2] საქართველოს კონსტიტუცია

[3] С М. Иншаков, Зарубежная криминология, Издательская группа ИНФРА• М—НОРМА Москва, 1997

[4] Соломон Яковлевич Лурье, Демокрит. Ленинградское отделение издательства «Наука», 1970

[5] С М. Иншаков, Зарубежная криминология, Издательская группа ИНФРА• М—НОРМА Москва, 1997

[6] С М. Иншаков, Зарубежная криминология, Издательская группа ИНФРА • М—НОРМА Москва, 1997

[7] Аристотель. Большая этика // Аристотель. Сочинения: В 4 томах. М, 1983. Т. 4. С. 295—627

ნიშნით სახელმწიფო მოხელეების სამართლებრივი მართლშეგნებით აღზრდა. სწორედ, რომ არსებული არასაკმარისი სამართლებრივი მართლშეგნება უბიძგებთ და ხიბლავს ახალგაზრდობას დანაშაულებრივი სამყაროს მისტიციზმით. დღესაც საქართველოს შუაგულში, იმერეთში ჯერ კიდევ მძლავრობს ქურდული ტრადიციებისადმი მოწიწება და ხშირ შემთხვევაში პატივისცემა. მცირეწლოვანი ბავშვები თამაშობენ ე.წ. „ქურდულ ზონას“ და უფროსი ასაკის ადამიანებისგან ისმენენ ქურდული სამყაროს მისტიციზმით სავსე ისტორიებს. სწორედ, რომ ასეთი ასაკიდან ხდება დანაშაულებრივი სამყაროს მხრიდან მოზარდი ახალგაზრდობის გონების დაბინდვა. ქუთაისში ბავშვის მიმართ დასმულ ბანალურ კითხვაზე: „ვინ გინდა გამოხვიდე, რომ გაიზრდები? მიიღებთ პასუხს „ქურდი“ და ეს ხდება მაშინ, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის პროცესი. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი არ არის ერთადერთი, მსგავსი პრობლემა დგას საქართველოს სხვა რეგიონებშიც, მეტ-ნაკლებად. თუ გავიხსენებთ საქართველოს ისტორიას, ზოგადად ქართველებს გვაქვს მიდრეკილება დანაშაულებრივი საქმიანობის მიმდევარი ადამიანები ავიყვანოთ გმირების ხარისხში, მაშინ როდესაც ხშირად არც ვინტერესდებით უამრავი ადამიანის გმირობაზე, რომლებმაც თავი შესწირეს სახელმწიფო ინტერესის აღსრულებას. ამ პრობლემას ჩვენ ვუკავშირებთ არასაკმარის განათლებას, რომელმაც ადამიანში არ გააღვივა სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი აზროვნება. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება დაიწყოს მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის გზით. მოქალაქეების სამართლებრივმა აღზრდამ, როგორც სოკრატე იტყოდა, ადამიანს უნდა აუხსნას რაშია მისი სიკეთე, რამეთუ სამართლებრივი მართლშეგნებით აღზრდილი ადამიანი წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის გარანტს.

დასკვნის სახით მინდა შემოგთავაზოთ განხილული პრობლემატიკის დაძლევის გზები. პირველ რიგში წარმატებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა შეუძლებელია სამართლებრივად აღზრდილი საზოგადოების გარეშე. ადამიანების მართლშეგნების ჩამოყალიბება უნდა დაიწყოს სკოლამდელი აღზრდის პროგრამების შემუშავებით. მართლშეგნების ჩამოყალიბების სასწავლო პროგრამები უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის მასმედიას. აუცილებელია სათანადო მართლშეგნების ამაღლების (კვალიფიკაციის ამაღლების) სპეციალური სისტემის შემუშავება პროფესიული ნიშნით შერჩეული პროფესიონალებისათვის.

ლიტერატურა:

1. Соломон Яковлевич Лурье Демокрит. Ленинградское отделение издательства «Наука», 1970;
2. С М. Иншаков, Зарубежная криминология, Издательская группа ИНФРА • М—НОРМА Москва, 1997;
3. Аристотель. Большая этика // Аристотель. Сочинения: В 4 томах. М, 1983. Т. 4. С. 295—627;
4. საქართველოს კონსტიტუცია;
5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1040547

David Gugava

David Agmashenebali University of Georgia

LEGAL UPBRINGING AS PART OF CRIMINAL LAW POLICY

RESUME

The way of creation of legal state is considered with deep qualitative changes in the improvement and development of public relations. These changes are directly related to changes in people's thinking. People's efforts are aimed at fulfilling the planned course, which is directly related to the increasing awareness and legitimacy of the Georgian society. The necessity of raising public awareness increases its role and importance, while the legal upbringing of citizens is a part of raising public order. As much as the necessary condition for creation of the legal state is - a legally upbringing person.

The aim of the legal upbringing process is to develop a personality that is commonly defined as a legal culture that includes all elements of sense of justice and legal behavior, the ability to acquire the necessary legal knowledge, the development of legal behavior skills and independent legal Evaluation. The target of the State is to strengthen the views and attitudes of respect for laws of the citizen, incompatible with the offenses, as well as the high legal activity, the creative approach to using the norms and the improvement of the law.

The practical goal of legal education is equal to the high legal activity of people, the formation of legal justice and the highly organized legal behavior. Legal upbringing is aimed at raising the sense of justice of citizens. Legal cognizance of citizens is an important role in the implementation of criminal law policy. The legally trained person will not only allow the execution of any of the actions provided by the Criminal Code but actively stand up against the crime. We are believing that the crucial task of criminal policy will be the implementation of criminal justice policy through legal education of citizens.

Key Words: Legal upbringing, criminal law, criminal law policy, justice, legal cognizance, legal literacy;

თეიმურაზ დარსანია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი იტალიის სისხლის სამართალში

დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი. თუმცა, მიუხედავად სხვაობისა, არის ბევრი მსგავსებაც. ძირითადი განსხვავება შეიმჩნევა ანგლოსაქსურ და კონტინენტურ სამართლის სისტემებს მიკუთვნებულ ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია, რომ განსხვავება თვითონ ამ სისტემაში შემავალი ქვეყნების კანონმდებლობაშიც გვხვდება.

ევროპაში, დაუმთავრებელი დანაშაულის ანუ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დასჯადობის შესახებ, პირველი ზოგადი დებულებები შემუშავებულ იქნა შუა საუკუნეებში იტალიელი იურისტების (გლოსატორების) მიერ (მე-12 საუკუნის ბოლოსა და მე-13 საუკუნის განმავლობაში). გლოსატორები იყენებდნენ ტერმინს „მცდელობა“ და მოგვცეს მისი განმარტებაც, რომელიც მათ საკმაოდ ფართოდ ესმოდათ. მცდელობად მათ მიაჩნდათ არა მარტო თვითონ მოქმედება, რომლითაც სრულდებოდა დანაშაულის შემადგენლობა, არამედ ყველა ის საქმიანობა, რომელიც მანამდე ხორციელდებოდა და უადვილებდა დამნაშავეს მიზნის მიღწევას (მოსამზადებელი საქმიანობა). თავიდან მცდელობა მხოლოდ მძიმე დანაშაულისათვის ისჯებოდა, მოგვიანებით კი მცდელობა დასჯადად გამოცხადდა ყოველგვარი დანაშაულისათვის (მე-16 საუკუნე). გლოსატორების დებულებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯდობის შესახებ შუა საუკუნეების იტალიური სამართლის მოქმედ ნორმებად იქცა.

იტალიის 1930 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქცია დასჯადად აცხადებს დანაშაულებრივი საქმიანობის მხოლოდ ერთ სტადიას - მცდელობას. მცდელობა, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, იწვევს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს დანაშაულის მცდელობას. სისხლისსამართლებრივი გადაცდომის მცდელობა არ იწვევს პასუხისმგებლობას.

მცდელობის საკანონმდებლო განმარტება მოცემულია იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლში: „ის, ვინც ჩადის ქმედებას, რომელსაც შეუძლია ზიანის მიყენება ან უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე, პასუხს აგებს მცდელობისათვის, თუ ქმედება ბოლომდე არაა მიყვანილი ან შედეგი არ დადგა[1]“.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ბევრ, ეგრეთ წოდებულ, „შეკვეცილი შემადგენლობების“ დანაშაულებს, რომლებისთვისაც პასუხისმგებლობა დგება როგორც მოსამზადებელი საქმიანობისათვის, ასევე განზრახვის აღმოჩენისას. განსაკუთრებით ბევრია ასეთი შემადგენლობა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში.

იტალიის სისხლის სამართლის თეორიის მიხედვით, მცდელობას ადგილი აქვს: პირველი - მაშინ, როდესაც სუბიექტის საბოლოო მიზანი ემთხვევა ზიანს, რომელსაც კანონი ითვალისწინებს, როგორც დანაშაულს. მეორე - ქმედების შედეგი წარმოადგენს არა ზიანს, რომელსაც კანონი თვლის დანაშაულად, არამედ ასეთი ზიანის მიყენების საშიშროებას. მესამე, როდესაც სხვაობა შედეგსა და სუბიექტის მიზანს შორის არ შეიძლება განისაზღვროს პირის განზრახვის ცვლილებით, რომლის დროსაც მცდელობის მაგივრად ადგილი ექნებოდა დანაშაულზე ხელის აღებას[2].

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსისათვის დამახასიათებელია მცდელობისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა ზოგადი ნაწილის ნორმაში. ამასთან კანონით გათვალისწინებულია მცდელობისათვის სასჯელის შემსუბუქება დამთავრებული დანაშაულის სასჯელთან შედარებით. სასჯელი მცდელობისათვის უნდა შეადგენდეს დამთავრებული დანაშაულისათვის სასჯელის 1/3-დან 2/3-მდე, ხოლო დანაშაულისათვის, რომლისთვისაც სასჯელი ითვალისწინებს უვადო პატიმრობას, მცდელობისას სასჯელი არ უნდა იყოს 12 წელზე ნაკლები.

სუბიექტური მხრიდან დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულებზე. რაც შეეხება მცდელობის საკითხს არაპირდაპირი განზრახვისას, ეს იტალიის სამართლის თეორიაში დისკუსიის საგანია. მცდელობა არ შეიძლება იყოს გაუფრთხილებელი დანაშაულისას, ასევე მცდელობა არ შეიძლება იყოს პრეტერინციონალური ბრალის ფორმის შემთხვევაში.

იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცნობს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ჩადენილი

---

[1] Amato A. Criminal Law in Italy .Publisher: Kluwer Law International (2011); Pellegrino F. II dolo del tentative (2001); Pertucci R. Diritto penale, parte generale, (Edizioni Giuridich Simone) (2007).

[2] Уголовное право зарубежных государств, ред. И. Д. Козочкина, с. 538.

ქმედება მხოლოდ მაშინ იწვევს პასუხისმგებლობას, თუ თვითონ წარმოადგენს დანაშაულს. ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი ქმედება წყდება სუბიექტის ნებით. ბევრი იტალიელი ავტორის აზრით, ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობისას. უმოქმედობით ჩადენილი მცდელობისას ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა ჩაითვალოს იმ მოქმედების შესრულება, რომელიც ევალებოდა სუბიექტს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია თანამონაწილის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება, მაგრამ ეს ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილე სრულად გამორიცხავს საკუთარ წვლილს საერთო დანაშაულებრივი მიზნის მიღწევაში, ან იმოქმედებს ასეთი მიზნისთვის ხელის შესაშლელად.

იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს ქმედითი მონანიების ინსტიტუტსაც. ის მდგომარეობს ნებაყოფლობით ისეთი მოქმედებების შესრულებაში, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას, ქმედების ბოლომდე მიყვანის შემდგომ. ქმედითი მონანიება ითვლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად და მისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება დამთავრებული დანაშაულისთვის დადგენილი სანქციის 1/3 - დან ნახევრამდე. იტალიის სისხლის სამართლებრივი დოქტრინა შეიცავს უვარგისი მცდელობის ანუ „შეუძლებელი დანაშაულის“ ცნებას. დანაშაული შეუძლებლად მიიჩნევა ორ შემთხვევაში:

პირველი - ისეთი ქმედების ჩადენა, რომელსაც არ შეუძლია დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა;

მეორე - სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის არარსებობა.

კანონით „შეუძლებელი დანაშაული“ არ ითვლება დანაშაულად, მაგრამ პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას, ეგრეთ წოდებული, უსაფრთხოების ზომები.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის კანონმდებლობა იცნობს აბსოლუტურად შეუძლებელ და შედარებით შეუძლებელ დანაშაულს. შეუძლებელი დანაშაულებრივი ქმედება ეს არის დელიქტი, რომელიც თავიდანვე იყო შეუძლებელი ხელყოფის საგნის, საშუალების და გამოყენებული მეთოდის უვარგისობის გამო, რომელიც, რა თქმა უნდა, დამნაშავისათვის უცნობი იყო. მაგალითად, გარდაცვლილი ადამიანის მკვლელობა, აბორტის გაკეთება ქალისთვის, რომელიც ფეხმძიმედ არ არის, გასროლა დაუტენავი იარაღიდან, აქ მთავარია ის, რომ მისაღწევი მიზანი თავიდანვე შეუძლებელია.

აბსოლუტურად შეუძლებელია დანაშაული მაშინ, როდესაც ქმედებას თავიდანვე არანაირად არ შეეძლო გამოეწვია დანაშაულებრივი შედეგი. შედარებით შეუძლებელი დანაშაულისას კი ქმედება უფრო ზუსტად და მოფიქრებულად რომ შესრულებულიყო, შეიძლებოდა გამოეწვია დანაშაულებრივი შედეგი. იტალიელი იურისტების აზრით, აბსოლუტურად შეუძლებელი დანაშაულისას პირი უნდა განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო შედარებით შეუძლებელი დანაშაულისას, რომელიც თავისი ბუნებით ძალიან ახლოს დგას წარუმატებელ დანაშაულთან, რომლის ქვეშაც იგულისხმება დამთავრებული მცდელობა, უნდა დაისაჯოს ისევე, როგორც ეს უკანასკნელი.[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულის მცდელობის სახეებად დაყოფას ვხვდებით ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. იმ პერიოდის იტალიელი კრიმინალისტები მცდელობას ჰყოფდნენ ორ სახედ - შორეულ და უახლეს მცდელობებად. საინტერესოა, რომ შორეულ მცდელობას აკუთვნებდნენ ისეთ ქმედებას, რომელიც დღეს დანაშაულის მომზადებად მიიჩნევა. ამ ორ სახეს მოგვიანებით დაემატა მესამეც. ის გამოიყო ახლო მცდელობის ცნებიდან და ნიშნავდა ისეთ მცდელობას, როდესაც დამნაშავემ გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრიდან საჭირო იყო დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, ანუ სასურველი შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგი არ დადგა. მცდელობის ეს სამსახოვანი დაყოფა დროთა განმავლობაში გაუქმდა, რადგან უარყოფილ იქნა დანაშაულის მომზადების დასჯადობა. გერმანულ ლიტერატურაში შრეტერის შემდეგ, დარჩენილ ორ სახეს ეწოდა დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა. ასეთი დაყოფა მე-19 საუკუნის სისხლის სამართლის კოდექსებში იქნა შეტანილი. ამას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დამთავრებული მცდელობა უფრო კარგად ისჯებოდა, ვიდრე დაუმთავრებელი. მაგრამ 1871 წლის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი განსხვავება გაუქმებულ იქნა. დამთავრებულ მცდელობას მე-20 საუკუნის დასაწყისის სამართლის ლიტერატურაში ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც უშედეგო დანაშაულს. მაგალითად, შვეიცარიის 1937 წლის კოდექსი განასხვავებს მცდელობას და უშედეგო დანაშაულს. მცდელობად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც ვინმე დაიწყებს დანაშაულს, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანს მას. ხოლო უშედეგოდ მიიჩნეოდა დანაშაული, როდესაც დამნაშავე ბოლომდე შეასრულებს დანაშაულებრივ ქმედებას, მაგრამ ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს, ზუსტად ასევე განასხვავებს მცდელობის სახეებს იტალიის ბოლოდროინდელი სისხლის სამართლის კოდექსი[2].

---

[1]Amato A. Criminal Law in Italy .Publisher: Kluwer Law International (2011); Pellegrino F. II dolo del tentative (2001); Pertucci R. Diritto penale, parte generale, (Edizioni Giuridich Simone) (2007).

[2] Уголовное право зарубежных государств, ред. И. Д. Козочкина, с. 539.

ლიტერატურა:
1. წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბ., 1961
2. Уголовное право зарубежных государств, ред. И. Д. Козочкина, М. 2000.
3. Amato A. Criminal Law in Italy .Publisher: Kluwer Law International (2011);Pellegrino F. II dolo del tentative (2001); Pertucci R. Diritto penale, parte generale, (Edizioni Giuridich Simone) (2007);
4. Ramacci G. Istitucioni di dirito penale. – Torino, 1988, P. 232-233;

Teimuraz Darsania
Georgian Technical University

CRIME ATTEMPT RESPONSIBILITIES IN ITALIAN CRIMINAL LAW
RESUME

The Italian edition of the actual Criminal Code being adopted in 1930 declared attempt – as a single stage of criminal activity. Attempt causes responsibility only in case, if it is an attempt to commit a crime. Attempting to commit a criminal offense does not lead to responsibility. The Italian Criminal Code contains many, so called crimes " of compressed staff" responsibility for which will be stated as for the preparation of criminal activities and of the intent of crime as well. There are especially a lot of such things in the crimes against the state. According to the Italian criminal theory, there appears an attempt, when: first - the subject's final goal of the subject coincides with the damage, which the law provides as an offense. The second - the outcome of the action is not a damage, that the law considers to be a crime, but a threat to such damage. Third, when the difference between the outcome and the objective of the subject can not be determined by the change of the person's intent during which the giving up the offense would be held instead of an attempt.

The outcome of the action is not a damages that the law considers to be a crime but a threat to such damage. Third, the difference between the outcome and the objective of the subject can not be determined by the change of the intent of the person during which the offense would be held instead of an attempt. Punishment for the attempt should be from 1/3 to 2/3 of the complete crime and for the crime, for which according to the criminal code is considered being termless imprisoned, the punishment should not be less than 12 years.

ნოდარ დარსანია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების კვლევისათვის

ამჟამად საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების კვლევა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას როგორც სამეცნიერო და სასწავლო მუშაობაში, ასევე ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ განვითარებაში. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ საზოგადოებრივი მეცნიერება მხოლოდ აფიქსირებდა, ხშირად კი საერთოდ თავს არიდებდა, პრაგმატული პოლიტიკის ანალიზს, პოლიტიკური პროცესების შესახებაც ობიექტური ცოდნის დაგროვებას თითქმის უგულებელყოფდა.

საერთოდ, საზოგადოებრივი მეცნიერება, კერძოდ კი, საზოგადოებრივი დისციპლინები ვერ იარსებებს რეალური, სასიცოცხლო პროცესებისაგან, საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობისაგან მოწყვეტილად. მოვლენები, ფაქტები და საზოგადოებრივი პრობლემები გამუდმებით თან გვდევს და, რაც მთავარია, ყოველთვის საჭიროებს ჩვენი შეხედულებების, თეორიებისა და პარადიგმების განახლებას.

პოლიტიკური სინამდვილე, სწრაფადცვალებადი ობიექტური რეალობა თავისთავში მოიცავს მეცნიერული ანალიზის უდიდეს შესაძლებლობებს. ამ მხრივ, მუშაობას მნიშვნელოვნად ართულებს ის გარემოება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია კარგად შემუშავებული ინსტრუმენტული და პოლიტიკური პროცესების კვლევის მეთოდები. არ არის საკმარისი სამეცნიერო კადრებიც, რომელთაც სათანადო მეთოდოლოგიურ დონეზე შეუძლიათ წარმართონ მუშაობა პოლიტიკური ანალიზის სფეროში. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა იმ სამეცნიერო

და სასწავლო ცენტრებისა და დაწესებულებების ამოცანას, რომლებიც ეწევიან პოლიტიკური და სოციალური პროცესების კვლევას. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობაა გასაწევი. საჭიროა პოლიტიკის სფეროში გაიზარდოს კვლევათა რაოდენობა, შემუშავდეს ახალი სამუშაო პროგრამები, გადაისინჯოს სასწავლო და სამეცნიერო ცენტრების სტრუქტურა, შეიქმნას შესაბამისი კვლევითი ცენტრები სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებთან. საუკეთესო შემთხვევაში მეტად თვალსაჩინო და დროული იქნებოდა პოლიტიკური მეცნიერების ინსტიტუტის შექმნა. ამ სფეროში მუშაობამ ახლო მომავალში, და ყოვლად შესაძლებელია დღესაც, მოგვიტანოს მეტად საგრძნობი შედეგები იმ მიმართულებით, რომლებიც ჩვენთვის აუცილებელია ცხოვრების წინსვლის გზაზე ქვეყნის განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკურ მეცნიერებათა განვითარების საკმაოდ პოზიტიური პროცესი. ერთი მხრივ, ეს გამოიხატება იმაში, რომ უდიდესი პატივისცემით ვეპყრობით საზოგადოების გამოჩენილ მოღვაწეთა, მოაზროვნეთა იდეურ-თეორიულ და შემოქმედებით მემკვიდრეობას. მაგალითად, ისეთი გამორჩეული პიროვნებებისა, როგორებიც იყვნენ: ალექსანდრე ამილახვარი, ილია ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოში ქართული პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებასა და ქართველი ხალხის მოდუნებული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

რასაკვირველია, არ შეიძლება მოვწყდეთ და თვითიზოლირებული ვიყოთ მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნებისაგან. საჭიროა მისი საფუძვლიანად ათვისება, შესწავლა, გათვითცნობიერება. დასავლეთის პოლიტოლოგებიდან სათანადოდ უნდა გაავანალიზოთ ტალკოტ პარსონსის, დევიდ ისტონის, გაბრიელ ალმონდის, უელს მიტჩელის, კარლ დოიჩის, ნილ რიმერი დივაინის, ჰანც მორგენთაუს, ჟან მარი დენკენისა და სხვათა ნაშრომები. ასევე რუსი პოლიტოლოგების: ვ. პუგაჩოვის, ა. სოლოვიოვის, ა. დემიდოვის, ა. ფედოსევის. კ. გაჯიევისა და მათ მიმდევართა ნაწერები.

ამავე დროს უკიდურესად არასწორი იქნებოდა, უბრალოდ უკრიტიკოდ გადატანა ჩვენს სინამდვილეში იმ გამოცდილებისა, რომლებიც დაგროვდა სხვა ქვეყნებში, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. ამას კი თან ახლავს განსაკუთრებული საფრთხე გაუბრალოებისა და მიმბაძველობისა.

ჩვენ უნდა გავხდეთ თვითმყოფადი, დამოუკიდებელი და კარგი ანალიტიკოსები პრაგმატული პოლიტიკისა და ამას შევძლებთ სწორედ მაშინ, როცა ვისწავლით დამოუკიდებლად, ზემოდან მითითებებისა და დირექტივების გარეშე მუშაობას. გავისიგრძეგანებთ ამა თუ იმ მოვლენისა და საზოგადოებრივი მოძრაობის მსვლელობის, განვითარების ძირითადი მიმართულებების სისტემატიზირებასა და განჭვრეტას. ასევე ვისწავლით რაიმე განსაკუთრებული პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმების წინასწარ მოსინჯვას და მის პრაქტიკაში განხორციელებას ან მის შეთავაზებას ცხოვრებაში დასანერგად. ამით გამოიხატება როგორც პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენელთა, ისე პოლიტიკოსთა საქმიანობის ფასდაუდებელი ღირებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ჩვენგანი პოლიტიკური პროცესების შეფასებისას ექცევა ხოლმე რაღაც სუბიექტური მიდგომის, შეფასებისათვის უპირატესობის მინიჭებისა და ემოციების გავლენის ქვეშ, რაც ყოვლად მიუღებელია. პრაგმატიკოსი პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების შეფასებისას არა მხოლოდ უნდა ინარჩუნებდეს გარკვეულწილად მიუკერძოებლობას და სისადავეს, არამედ უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერების მონაცემებს, რომელიც გამოხატულია პოლიტიკური აზროვნების ცნებებსა და კატეგორიებში. ეს არის ის, რაც განასხვავებს პროფესიონალურ პოლიტიკას პოლიტიკანობისგან.[1] ზოგადად ცნება პოლიტოლოგიის როგორც მეცნიერებისა, პოლიტიკისა და პოლიტიკური განვითარების დინამიკისა და, საერთოდ, ამ პროცესების კანონზომიერებათა შესახებ, ცხადია, არ ბადებს არავითარ კითხვებს და ეჭვებს. ე.ი. ერთი მხრივ, პოლიტოლოგიის საგნის გარკვევა ერთობ ძალიან მარტივია. მეორე მხრივ, პრობლემები წარმოიშობა საკმარისზე მეტად. საქმე ის არის, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური პროცესი ჩვენში განიხილებოდა მომიჯნავე დისციპლინების მხრიდან სხვადასხვა პროფესიონალური პოზიციისა და თვალსაზრისიდან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, თუ უბრალოდ შევაჯამებთ ყველა იმ განსხვავებულ თვალთახედვას, შეხედულებას თვისობრივად ახალ ერთიან მთლიან დისციპლინას ვერ მივიღებთ [2].

აუცილებელია საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების ანალიზისას გამოვავლინოთ გარკვეული კანონზომიერებანი, ტენდენციები იმ სახით, რომ მსჯელობა პოლიტიკაზე ატარებდეს მეცნიერულ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, პოლიტიკის შესწავლისას საჭიროა დიალექტიკის

[1] Политология и современный политический просесс, С. 3.
[2] Загладин, Н. В. Политология в системе обшественных наук,см. Политология и современный политический просесс, с.3.

ზოგად კანონებზე დაყრდნობა. მეორე მხრივ, პოლიტიკა სპეციფიკური სფეროა და აი აქ უდავოდ, მას გააჩნია კანონზმიერებათა შეცნობის ელემენტები, რაც აშკარად გავლენას ახდენს მისი შედეგის ხარისხზე[1].

ცნობილია რამდენიმე ფრთიანი გამონათქვამი, რომელიც განმარტავს ისტორიისა და პოლიტიკის კავშირს: „ისტორია არის წარსულის პოლიტიკა, ხოლო პოლიტიკა არის დღევანდელობის ისტორია“.[2] ასეთი განმარტებანი გარკვეულწილად სწორად უნდა მივიჩნიოთ. თუ მთლიანობაში ავიღებთ, შეიძლება სულ მთლად ზუსტიც არ იყოს, რამდენადაც ისტორია არ შემოიფარგლება მარტოდმარტო პოლიტიკით. მხოლოდ ნაწილი ისტორიული პროცესისა და მისი გამოკვლევები განეკუთვნება პოლიტიკის სფეროს. ამ ნაწილის გარკვევა კი ზუსტად შეიძლება მხოლოდ ცოდნით, საკუთრივ, პოლიტიკური მეცნიერების იმ საკითხთა წრით, როგორიცაა: პოლიტიკური სფერო, იდეოლოგია, ინსტიტუტები, პოლიტიკური პროცესები და ა.შ. ისტორიკოსებისთვის კი, რასაკვირველია სასარგებლოა და სრულიად მისაღები ცოდნა, გარკვევა იმის, თუნდაც ზოგადად პოლიტიკური მეცნიერების სტრუქტურისა, რომ ცალკე გამოყონ პოლიტიკური გარემო, სფერო, იდეოლოგია, პოლიტიკური პროცესები, პოლიტიკური სისტემა და ა.შ. ისტორიკოსებისთვის კი აუცილებელია იმის ცოდნა თუნდაც საერთო სქემისა, სტრუქტურისა პოლიტიკური მეცნიერების, რომ ისტორიული მეცნიერებიდან გამოცალკევდეს პოლიტიკური სფერო და მიეწოდოს პოლიტიკურ მეცნიერებას სწორედ ის მასალა, რომელიც სჭირდებათ პოლიტოლოგებსა და პოლიტიკოსებს.[3] შეხების ერთ-ერთი წერტილი პოლიტოლოგიასა და ისტორიას შორის დაკავშირებულია იმასთან, რომ პოლიტიკურ აზროვნებას გააჩნია თავისი ისტორია, რომელსაც საკმაოდ ხშირად ასწავლიან, როგორც პოლიტიკური მეცნიერების დამოუკიდებელ დისციპლინას. პოლიტიკური აზროვნების ისტორია კი მეტად მდიდარი და აქტუალურია. [4]

კიდევ ერთ პირდაპირ შეხების წერტილს პოლიტოლოგიასა და ისტორიულ მეცნიერებას შორის, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ისტორიკოსების კუთვნილი ფუნქცია, უზრუნველყოფა პოლიტოლოგებისა შემოწმებული ისტორიული მონაცემებით, ისტორიის მეცნიერული ცოდნით, არა მხოლოდ პოლიტიკური აზროვნებისა, არამედ პოლიტიკური ბრძოლის ისტორიისა, ისტორიული პროცესების და ა. შ. პოლიტოლოგიისთვის ნიშანდობლივია ცოდნა იმისა, თუ როგორ წარმოიშვნენ პოლიტიკაში „მემარცხენეები და „მემარჯვენეები“. როგორ იქმნებოდა პარლამენტები, თანამედროვე პოლიტიკური პარტიები და ა.შ. ცოდნის უტყუარობა, ჭეშმარიტება - მეცნიერების საყოველთაო ნიშანია. ამ თვალსაზრისით პოლიტოლოგია გამონაკლისი არ არის და ისტორიულ მონაცემთა მნიშვნელობა რომ მისთვის შეუნაცვლებადია, ცხადია[5].

ტრადიციული ცივილიზაციები უხვად უშვებდნენ ლიტერატურას, რომელიც მოწოდებული იყო შეემუშავებინა და ესწავლებინა მეცნიერება პოლიტიკის შესახებ. თუ ამ პრობლემას მივუდგებით პრაგმატული ისტორიის პოზიციიდან საპირისპიროდ უნივერსალური ისტორიისა, მაშინ ნათელი ხდება, რომ ნაშრომები უნივერსალურ ისტორიაში ესწრაფვიან გამოყონ კაცობრიობის ისტორიის დიდი ტენდენციები და თითქმის ერწყმიან ისტორიის ფილოსოფიას. პრაგმატული ისტორიის სფეროში შესრულებული ნაშრომები კი ესწრაფვიან წარსულის ფაქტების გამოყოფას, მისგან უნივერსალურად გამოსადეგი გაკვეთილების გამოტანას, რომელთაც გამოიყენებენ პოლიტიკოსები. ამის წყალობით მათ შეეძლებათ თავიდან აიცილონ ის უსიამოვნებანი, რომელთაც აწყდებოდნენ მათი წინამორბედები[6].

საერთოდ, პოლიტოლოგია არის მეცნიერება საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ და ამ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისა და მასში მოქმედი ინსტიტუტების შესახებ. ჩვენ გვმართებს შევისწავლოთ მათ პოლიტიკურ ურთიერთჭრილში კლასები, ერები, სახელმწიფოები, პარტიები, საზოგადოებრივი მოძრაობები, ორგანიზაციები, პოლიტიკური ინსტიტუტები და სხვა, რათა უკეთ გავერკვეთ ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და პერსპექტივების არსში.

ვფიქრობთ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სულ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარე სოციალური განშრევება მალე გვაიძულებს ძირფესვიანად გავიხსენოთ კლასების, კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი ბრძოლის ისტორია. ბევრი მოაზროვნე წარსულში ამბობდა და, სავსებით სამართლიანად, რომ პოლიტიკას უნდა შევხედოთ როგორც მეცნიერებას და ამასთანავე, როგორც ხელოვნებას. არ შეიძლება ამ ორი მიდგომის ერთმანეთისადმი დაპირისპირება, რადგან მათი ურთიერთკავშირი უდავოდ შეიცავს რამდენადმე განსხვავებულ ნიშანდობლივ ნიუანსს. ჯერ ერთი, ეს იქნება პოლიტიკის მეცნიერულად დასაბუთების აუცილებლობა და მეორე, იმის მოთხოვნილება, რომ არა მხოლოდ

---

[1] Там же.с.8

[2] Фримен Е, Методи изучения истории, Главные периоды европеисской истории, ст, 32.

[3] Романовский Н.В. Политология и исторические науки, с.м. Политология и современный политический просесс, с.11.

[4] Там же.с.11-12.

[5] Романовский Н.В. Политология и исторические науки, с.м. Политология и современный политический просесс, с. 13.

[6] ჟან მარი დენკენი, პოლიტიკური მეცნიერება, გვ. 58.

სანდოობა კმარა თეორიული პოსტულატებისა, არამედ საჭიროა მოქმედება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. მესამე, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, პრაქტიკულად გამოყენება და არა უგულებელყოფა გამოვლენილი პოლიტიკური კანონზომიერებებისა თუ მდგრადი ტენდენციებისა. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს იმის შესახებ, რომ პოლიტიკური მოღვაწეობა უკვე მრავალი ათეული წელია ეყრდნობა პოლიტიკურ მეცნიერებათა თეორიულ და ემპირიულ გამოკვლევათა ტრადიციულ მიღწევებს.

ლიტერატურა:

1. ჟან მარი დენკენი, პოლიტიკური მეცნიერება, თბ., 2002.
2. Политология и современный политический процесс, М. 1991.
3. Загладин, Н. В. Политология в системе обшественных наук, М, 1990.
4. Фримен Е, Методи изучения истории, Главные периоды европеисской истории, М, 1893.
5. Романовский Н.В. Политология и исторические науки, М. 1991.

Nodar Darsania

Sokhumi State University

FOR RESEARCH OF POLITICAL PROCESSES AND EVENTS

RESUME

Political reality involves the greatest possibilities of scientific analysis. In this regard, the work has significantly complicated by the circumstances, that we still do not have the research methods of the well-developed political processes. There are not enough scientific personnel who will be able to work in the field of political analysis at the appropriate methodological level. Solution of this problem is the task of all scientific and training centers and institutions of social science who conduct research on political and social processes. It is important to increase the number of research in the political sphere of life, develop new research programs, revise the structure of education and scientific centers, create new research centers with scientific and educational institutions. It would be more visible and timely to establish the Institute of Political Science. The work in this field in close future, and it is quite possible today, it will bring us significant results to the direction which is necessary for the development of the country and society, for the well-being of our country.

კლარა ელჩიბეგაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

აღორძინების ეპოქა საქართველოში და ქართული ნეოპლატონიზმი

რენესანსის ეპოქა ანტიკურობის აღდგენად უნდა გავიაზროთ ალბათ, გარკვეული მნიშვნელობით, ოღონდ ეს აღდგენა უნდა გავიაზროთ ახალ იდეურ საფუძველზე, რომელიც შუა საუკუნეების აზროვნებამ შემოიტანა. სამყაროში არსებული სრულყოფილება ღვთაებრივია თავისი წარმომავლობით და განსაზღვრულიც არის მიწიერის ღვთაებრივ სრულყოფილებაში მონაწილეობით. სწორედ ამ ერთიანობაშია რუსთაველის მიერ ამქვეყნიურ სიკეთეთა პოეტური ხორცშესხმის სიდიადე.

ალ. ლოსევის აზრით, „რენესანსი ზოგადად არის რა თქმა უნდა მიწიერი ადამიანის მცდელობა განამტკიცოს თავისი სწორედ მიწიერი არსებობა. რენესანსის ეპოქის ადამიანს უნდოდა დაეფუძნებინა თავისი თავიც და საკუთარი მატერიალური გარესამყაროც“, მაგრამ განაგრძობს ავტორი „ეს დაფუძნება შესაძლებელი იმიტომ გახდა, რომ მან სამყარო წარმოადგინა მაქსიმალურად გასულიერებული, მაქსიმალურად ფერადოვანი, მხედველობისა და სმენისათვის მიმზიდველი სახით. რენესანსული ბუნება სავსე იყო ღვთაებრივი ძალებით და იყო პირველ ყოვლისა თავისთავად საკმარისი და უანგარო ჭვრეტის საგანი.“[1] მიწიერისა და ზეციერის სინთეზის დასაბუთებას წარმოადგენდა ნეოპლატონიზმი, როგორც დასავლეთის, აგრეთვე ქართული რენესანსის ეპოქაში.

[1] ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტ I. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2013. გვ. 21-22.

შ. ნუცუბიძის გამოკვლევა ფსევდო-დიონისეს საიდუმლოების ამოცნობის თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია. ამ ნაშრომში სრულიად ახალი გაშუქება პოვა პრობლემამ, რომლის გადაწყვეტასაც მსოფლიო მეცნიერება დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა, აგრეთვე პეტრე იბერის მნიშვნელობამ ქართული და უფრო ფართოდ - აღმოსავლეთისა და დასავლეთის აზროვნებაში. შ. ნუცუბიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ იოანე ლაზის „ზმანება“, აღწერილი პეტრე იბერის მიერ ორივე „ცხოვრებაში“ ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, კერძოდ ფსევდო-დიონისეს თხზულებაში წარმოდგენილ მსოფლიო სურათსა და ანგელოზთა სამყაროში ტრიადულად განლაგებულ ძალებს. თავის დროზე შ. ნუცუბიძის მოსაზრებებს მრავალი მეცნიერი შეხვდა დადებითად.

საყურადღებოა, რომ ბელგიელ მეცნიერს, ერნს ჰონიგმანს ჯერ კიდევ 1940 წელს ჰქონია ჩამოყალიბებული აზრი, რომ დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებების ავტორი პეტრე იბერი უნდა ყოფილიყო და ამის შესახებ მოუხსენებია ბიზანტიურ-სლავურ-ორიენტალისტური კონგრესისათვის ნიუ-იორკში. თუმცა ბელგიელი მეცნიერის ყურადღება იმ გარემოებას მოუპყრია, რომ დიონისეს საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში არსებობს ორი ფსევდონიმური პიროვნება. ერთი დიონისე არეოპაგელი, რომლის უკან იგი მოიაზრებს პეტრე იბერს და მეორეც ფსევდონიმურადაა დამოწმებული იეროთეოსიც, რომელსაც ფსევდო-დიონისე ხშირად იმოწმებს, როგორც მოძღვარს და მასწავლებელს. ჰონიგმანი ადასტურებს, რომ ასეთი საკუთარი სახელი ამ დროს არ არსებობდა და იეროთეოსი ისეთივე ხელოვნურად გამოგონილი სახელწოდებაა, როგორც დიონისე არეოპაგელის სახელი. ამგვარად წარმოდგა ორი წყვილი ფსევდონიმური პიროვნება: რეალურად არსებულნი: პეტრე იბერი და მისი მასწავლებელი და მოძღვარი იოანე ლაზი, მეორე მხრივ, დიონისე არეოპაგელის და იეროთეოსის ფსევდონიმებით.

შ. ნუცუბიძისაგან განსხვავებით ე. ჰონიგმანი ფიქრობს, რომ არეოპაგისტური თხზულებანი ორ ავტორს ეკუთვნის: პეტრე იბერს და იოანე ლაზს, რომელთაც წერის დროს გაინაწილეს შრომა მათი პიროვნების ცოდნის და მიდრეკილების შესაბამისად. „ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია და პეტრე იბერის პრობლემა ამის შემდეგ მსოფლიო მეცნიერების ინტერესთა არეში მოექცა“.[1]

პეტრე იბერი, ნათლობის სახელის მიხედვით მურვანი, დაბადებულა 411 წელს ახალი წ. აღრიცხვით, ქართლის მეფის ვარაზ-ბაქარის ოჯახში. პოლიტიკური ვითარების გამო ვარაზ-ბაქარი იძულებული გახდა ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მურვანი მძევლად გაეგზავნა კონსტანტინოპოლში, კეისარ თეოდოს II-ის კარზე, ამასთან ერთად, მურვანს გააყოლეს მისი ნათლია და აღმზრდელი იოანე ლაზი (ერისკაცობაში მითრიდატე ლაზი). „მურვანმა სწავლის დიდი ნიჭი გამოავლინა - შეისწავლა ბერძნული (შემდეგ სირიული) ენა, შეითვისა ყოველივე სწავლულობა საეკლესიო და საფილოსოფოსო.“[2] მიუხედავად ბრწყინვალე მდგომარეობისა, რომელსაც ქართველმა უფლისწულმა მიაღწია იმპერიის კარზე, მან სასახლის კარი მალულად დატოვა და პალესტინაში გაემგზავრა. ბიოგრაფები დაბეჯითებით აღნიშნავენ მის მიდრეკილებას „სულიერი სიმშვიდისა“ და „მეცნიერული ჭვრეტისადმი“. სირიაში გადასახლების დროიდან (დაახლოებით 430 წელს) მურვანი ცნობილი გახდა პეტრე იბერის სახელწოდებით. ამ დროს მიიღო მან მაიუმის ეპისკოპოსის თანამდებობა, ფართოდ გაშალა ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობა და იმპერიაში დიდი მოღვაწის სახელი მოიხვეჭა. „როგორც იოანე რუფუსი გვამცნობს, პეტრემ იერუსალიმში საგანგებოდ შეარჩია ადგილი და ააგო მონასტერი, რომელსაც დღესაც იბერთა მონასტერი ჰქვია.“[3] ეგვიპტე, სირია და პალესტინა, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პეტრე იბერი, მრავალი ათეული წლის განმავლობაში წარმოადგენდა სოციალური და რელიგიურ-იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზს, ინტელექტუალური ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრს.

იმდროინდელ სირიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ქალაქი გაზა, რომლის მახლობლადაც მაიუმში პეტრე იბერი საეპისკოპოსო კათედრას ხელმძღვანელობდა. გაზაში ელინურმა კულტურამ იმდენად მაღალ დონეს მიაღწია, რომ ათენელები აქ ჩამოდიოდნენ პლატონის ენისა და ფილოსოფიის შესწავლის მიზნით.

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის I ტომში განხილულია ის იდეები, რომელთა ანალოგიების დადგენა პეტრე იბერის ბიოგრაფიული წყაროების მიხედვით მოხერხდა: „ერთია თეოზისის დეიფიკაციის, ანუ ადამიანის გაღმერთების იდეა, რომელიც ხორციელდება ადამიანის მიერ არსის იერარქიულად განლაგებული საფეხურების გავლით საწყისთან (ღმერთთან) უკუდაბრუნების დროს. აქ თვით ადამიანი იქცევა ღმერთად, რამდენადაც საწყისიდან, როგორც მიზეზებიდან, დაბლა დაშვების შემდეგ არსის საფეხურების თანდათანი უკუგავლით და თანდათანი ამაღლებით, საწყისს უერთდება და ერწყმის. მეორე - სიკეთის სუბსტაციალობის, ანუ სიკეთის მონიზმის იდეაა, რომლის

[1] ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტ I. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2013. გვ. 57
[2] ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტ I. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2013. გვ. 45
[3] ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტ I. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2013. გვ. 47

მიხედვითაც ნამდვილი, სუბსტანციური, საწყისისეული არსებობა მხოლოდ სიკეთეს აქვს. ბოროტება მხოლოდ ემპირიულად არსებობს და არსებითად სიკეთის კლებას წარმოადგენს.“[1]

მიხეილ მახარაძე და შალვა ხიდაშელი ნაშრომში „არეოპაგიტიკა და ქართული ფილოსოფიური აზრის საკითხები“ წერენ: „პროკლეს თვალსაზრისი განსაკუთრებულად არეოპაგიტული მოძღვრებისათვის გახდა ახლობელი. ფსევდო-დიონისე არეოპაგელთანაც უფრო მტკიცედაა ხაზგასმული ბოროტების არასუბსტაციურობის შესახებ. აქ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის დამსახურება სულ სხვა მიმართებით უნდა დავინახოთ, კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ არეოპაგიტული მოძღვრების ხასიათს, იგი ქრისტიანული მოძღვრებაა და ნეოპლატონიზმთან ქრისტიანობის შეგუებას ცდილობს, მაშინ გასაგები უნდა იყოს მისი ღვაწლიც ქრისტიანულ სინამდვილეში სიკეთისა და ბოროტების მიმართების ნეოპლატონური გაგების დამკვიდრება. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიხედვით სიკეთე აბსოლუტური პრინციპია, ხოლო ბოროტება „უარსოა“, მას არ გააჩნია თავისი პირველსაწყისი, რასაც ჩვენ ბოროტებად მივიჩნევთ, ეს სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის კლება.“[2]

პლატონ-არისტოტელესეული მოძღვრება იდეების შესახებ შეითვისა ნეოპლატონიზმმა და ახლებურად, ბოლომდე გაიაზრა ეს რთული თეორია. ნეოპლატონიზმმა დაასრულა მთელი ანტიკური ფილოსოფია, ალექსანდრე ლოსევის აზრით, ის წარმოადგენს ყველაზე გააზრებულ სისტემას. მისივე აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ნეოპლატონიზმი - სხვა არაფერია, თუ არა იგივე პლატონიზმი, ოღონდ ღრმად გააზრებული და ღრმად რეფლექსირებული. არ ყოფილა არცერთი კულტურა, რომელსაც არ გამოეყენებინოს ნეოპლატონიზმი, ანტიკური ეპოქა იყო ეს თუ შუა საუკუნეები, აღორძინების ეპოქა თუ ახალი დრო. ალექსეი ლოსევი სვამს კითხვას: „აღორძინების ეპოქის ნეოპლატონიზმი რაღაა? საინტერესო რამ გახლავთ, მას შემდეგ, რაც კაცობრიობა მთელი ათასწლეულის მანძილზე თაყვანს სცემდა ბუნებას, მას შემდეგ, რაც ამის მერე, კაცობრიობა მთელი ათასწლეულის მანძილზე თაყვანს სცემდა აბსოლუტურ პიროვნებას, ამის შემდეგ, აღორძინების ეპოქა სულ სხვა გზას დაადგა. მან წინა პლანზე წამოსწია ადამიანი, ვის გამოც დაიწყო მსჯელობა სულისა და ბუნების პრობლემებზე. ამას მე ვუწოდებ ანთროპოცენტრიზმს, ესეიგი ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც ყველაფრის საფუძველი არის ცნება ადამიანისა. ყველაფერი ადამიანისთვის არსებობს, ადამიანი ნუბენაზე მაღლა დგას, ადამიანი დგას აბსოლუტურ სულზე მაღლა. იგია ყველაზე უკეთესი ბუნება, ყველაზე მაღალი აბსოლუტური სული და ადამიანი პიროვნების ეს აბოლუტიზირება არის ის ახალი, რასაც აღორძინების ეპოქაში ვხვდებით. ეს არის ანთროპოცენტრიზმი.“[3]

ვიკტორ ნოზაძე თავის დიდებულ ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ წერს: „ვეფხისტყაოსანში დახატული სილამაზე არის - ქანდაკებებით გარდმოცემული, ძველი ბერძნული ანტიკური ელინური სილამაზე, საქართველოში ცოცხალი ადამიანით განამდვილებული. ვეფხისტყაოსნის სილამაზე არის ნამდვილი ქართული სილამაზე, ქართველი ერის ტიპიური სილამაზე. ვეფხისტყაოსანი სილამაზის ხოტბაა და თაყვანისცემა. ვეფხისტყაოსანი - სილამაზეზე და სიყვარულზე მუდმივი გალობაა.“[4]

სილამაზის ქებისა და სიყვარულის გალობის მოსასმენად სმენად მხეცნი მოვიდიან... წყლით ქვანიცა გამოსხდიან... ესაა საქართველოში სილამაზისა და სიყვარულის გაღმერთება შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნით“, აღმოსავლური რენესანსის უკვდავი ქმნილებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ ალექსეი ლოსევის აზრით ნეოპლატონიზმი - სხვა არაფერია, თუ არა იგივე პლატონიზმი. სიკეთის სუბსტანციალობის ანუ სიკეთის მონიზმის იდეაა, რომლის მიხედვითაც ნამდვილი, სუბსტანციური, საწყისისეული არსებობა მხოლოდ სიკეთეს აქვს. სულმნათი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, ავთანდილის ანდერძში, ეს აზრი დიდებულადაა გაჟღერებული:

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა,
კაცი ბრძენი ვერ გსაწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა,
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.“
რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.“[5]

---

[1] ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტ I. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2013. გვ. 51

[2] მ. მახარაძე, შ. ხიდაშელი, არეოპაგიტიკა და ქართული ფილოსოფიური აზრის საკითხები. თბ., 1991, გვ. 33

[3] ალექსეი ლოსევი, „აღმოსავლური რენესანსი“. ბათუმი, 2005. გვ. 55

[4] ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, ტ. I, თბ., 2004. გვ. 515

[5] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1951. გვ. 168

ალექსეი ლოსევის თვალსაზრისით ქართული ნეოპლატონიზმიც ანთროპოცენტრიზმი გახლავთ, სადაც ადამიანი ყველაფრის საფუძველია. აქაც არის მისწრაფება ადამიანის უკვდავყოფისა და მისთვის ამქვეყნად ბედნიერების მინიჭებისა, მაგრამ არსებობს განსხვავება ქართულ ნეოპლატონიზმსა და იტალიურ ან გერმანულ ნეოპლატონიზმს შორის. ნეოპლატონიზმი, რასაც იზიარებდნენ ქართული აღორძინების ეპოქის წარმომადგენლები - იოანე პეტრიწი და რუსთაველი - ანთროპოცენტრიზმი გახლავთ, მაგრამ ის არ უარყოფს ბუნების მბრძანებლობას, რომელსაც თაყვანს სცემდა ანტიკურობა, მის ვარსკვლავებს, მის სწორ მოძრაობას. აქ ბუნება, ანუ კოსმოსი კი არ ისპობა, პირიქით, იზრდება ინტერესი სულიერი ცხოვრებისადმი. ბუნება არა მარტო ღვთაებრივი ქმნილებაა, არამედ ისიც არის, რასაც გულით და გონებით განიცდის კაცი, რაც შეუძლია თავისი ძალებით შეიცნოს და ბოლომდე განსაჯოს. ყოფიერების სულიერი საფუძვლის მიწვდომა შეიძლება, ის ადამიანურია. ქართული აღორძინება წარმოუდგენელია ნეოპლატონიზმის გარეშე. სინამდვილეში ნეოპლატონიზმი რა თქმა უნდა, სულიერი მოძღვრებაა, მოძღვრება სულის გარდაქმნის შესახებ. ლოსევის აზრით საქართველო ის ადგილია, სადაც შეიძლება ვისწავლოთ, თუ როგორ ვიკვლიოთ ნეოპლატონიზმი.

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მასსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს.“[1]

ქართული ნეოპლატონიზმი არის კეთილშობილი და ამაღლებული კულტურა გრძნობებისა. ჭვრეტა ქართულ ნეოპლატონიზმში სიცოცხლის, როგორც ჰარმონიული მთლიანობის, წვდომას ერწყმის. ასეთია ქართული აღორძინების ეპოქის ნეოპლატონიზმი.

ლიტერატურა:

1. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტ I. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2013. გვ. 21-22. გვ. 57, გვ. 45;
2. მ. მახარაძე, შ. ხიდაშელი, არეოპაგიტიკა და ქართული ფილოსოფიური აზრის საკითხები. თბ., 1991. გვ. 33
3. ალექსეი ლოსევი, „აღმოსავლური რენესანსი“. ბათუმი, 2005. გვ. 55
4. ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, ტ I, თბ., 2004. გვ. 515
5. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“. თბ., 1951. გვ. 168

Klara Elchibegashvili

Gori State Teaching University

THE EPOCH OF REVIVAL IN GEORGIA AND GEORGIAN NEOPLATONISM

RESUME

In the view of Alexey Losev Georgian Neoplatonism is also Anthropocentrism, where human is the bases of everything. There also is the aspiration for human immortality and giving happiness in this world, but there is a difference between Georgian and Italian or German Neoplatonism. Neoplatonism that was shared by Joane Petritsi and Rustaveli is Anthropocentrism, but it doesn't deny the domination of nature, that adored the antiquity. Here nature or space doesn't lose but increases the interest in spiritual life. The time of Georgian revival is unimaginable without Neoplatonism. Losev thinks that Georgia is the place where we can learn how to research Neoplatonism.

[1] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1951. გვ. 310

ანა იმნაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კომუნიკაციის ტექნიკა ოპერატიული მუშაობის მიმდინარეობისას (არსი, ფუნქცია, სტრუქტურა)

კომუნიკაციის პროცესში ადამიანები გადასცემენ ერთმანეთს ცოდნას, გამოცდილებას, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას. ცდილობენ მიაღწიონ ურთიერთგაგებას, ემპატიას, ფაქტების მიმართ ერთნაირ დამოკიდებულებას, ერთიანი ღირებულებითი სისტემის შექმნას და ა.შ. ნებისმიერი კომუნიკაციის პროცესს ახასიათებს ერთი თავისებურება: მიაღწიო რაღაც „საერთოს“. კომუნიკაციის გარეშე ვერ იარსებებდა ადამიანური საზოგადოება, საზოგადოების გარეშე კი შეუძლებელია კომუნიკაცია.

ცხოვრებაში ადამიანები თვლიან, რომ სხვებთან კომუნიკაცია აქვთ უშუალოდ საკუთარი საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, თვით ძალიან ფორმალურ სიტუაციებშიც კი (მაგალითად, სამსახურში) პიროვნებისათვის საჭიროების ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველდღიურობიდან გამომდინარე ჩვენთვის ურთიერთობას ძალიან გასაგები სახე აქვს და ხშირად ამაზე არც ვფიქრობთ ხოლმე, იმდენად მარტივად გვეჩვენება კომუნიკაციის პროცესი, როდესაც კარგად არ მიდის კომუნიკაცია, მხოლოდ მაშინ ვაკვირდებით, რომ თურმე რამდენი რამ ყოფილა დამოკიდებული კომუნიკაციის პროცესზე, და რამდენად საჭიროა „სწორი“ კომუნიკაცია, როგორც ინდივიდებისათვის, ასევე ზოგადად საზოგადოებისათვის.

კომუნიკაცია - ეს რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს როგორც ინფორმაციულ პროცესს, ასევე ინდივიდების ურთიერთქმედებას.

საჭიროა ყურადღება მიექცეს კომუნიკაციის მიმდინარეობის პირობებს, ანუ რა სიტუაციაში მიდის საუბარი (გავიხსენოთ, რომ კორპორაციულ წვეულებებზე საუბრის გაბმა არ არის რთული, თუმცა გადაჭედილ ავტობუსში საუბრის დაწყებას არავინ ცდილობს).

კომუნიკაციის პირობები შეიძლება იყოს:

1) ხელსაყრელი;

2) არახელსაყრელი;

3) ნეიტრალური.

ხელსაყრელი პირობები: კომუნიკაციის პროცესს ახლავს მინიმალური ხარვეზები გარემოდან - მოსაუბრეთა სიახლოვე, სხვა ადამიანების არარსებობა, ინტიმური გარემო, ტემპერატურა, მინიმალური გამღიზიანებელი ხმაური და ა.შ. არახელსაყრელი პირობებია: ხმაური, ყვირილი, სიცივე, და ა.შ. ამ ორ პოლუსს შორის არსებობს ნეიტრალური პირობები, რომლებიც კომუნიკაციაზე არც მასტიმულირებელი ეფექტი აქვთ და არც ხელისშემშლელი. ესეთი გარემო ძირითადად არის სახლში, სტადიონზე და ა.შ.

როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, კომუნიკაციისათვის საჭიროა გარემო წინასწარ შეიქმნას. შესაბამისად ხდება გარემოს კიდევ არაერთი კლასიფიცირება:

1. მომზადებული;

2. მოუმზადებელი.

მომზადებული გარემოში იგულისხმება, რომ სუბიექტი ამზადებს იმ სივრცეს, სადაც შეხვედრა უნდა მოხდეს (მაგალითად, დიასახლისი, რომელიც ელოდება სტუმრებს).

კომუნიკაცია არ არსებობს კომუნიკაციის საშუალებების გარეშე. კომუნიკაციის საშუალებები შეიძლება იყოს:

1. ვერბალური(ლექსიკური, სინტაქსური, რითმულ-მელოდიური);

2. არავერბალური (მიმიკა, ჟესტები, პანტონიმა).

კომუნიკაციის მიმდინარეობისას უპირატესობა ეძლევა მეტყველებით ფორმას (ვერბალური ნაწილი).

კომუნიკაციის კანონზომიერებები

ოპერატიული მუშაობის მიმდინარეობისას ოპერმუშაკი და მისთვის საინტერესო პიროვნება ცვლის ინფორმაციას, განცდებს, ემოციებს, განწყობებს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ადამიანთა ურთიერთობა არ შემოიფარგლება მარტო ინფორმაციის გაცვლით. ოპერატიული მუშაობისას ინფორმაცია არა მარტო გადაეცემა, არამედ ფორმირდება, ზუსტდება და ხშირად იქმნება კიდეც. კომუნიკაცია არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა - მიღებად. კომუნიკაციისას საქმე გვაქს მინიმუმ ორ აქტიურ სუბიექტთან და ინფორმაციასთან ერთად ხდება ამ „აქტიურობის გაცვლაც“. ოპერატიული

მუშაობისას კომუნიკაცია შეიძლება მოიცავდეს ოპერმუშაკის მიერ პარტნიორის ქცევაზე ზეგავლენის მოხდენას. მეტყველება ახდენს ინდივიდის ქცევის შეცვლას. კომუნიკაციური ზეგავლენა - წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ზეგავლენას კომუნიკაციის პროცესში არსებულ ინდივიდზე, მისი ქცევების და განწყობების შეცვლის მიზნით. კომუნიკაციის ეფექტურობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად მოხდა ეს ზეგავლენა, როგორ შეიცვალა კომუნიკაციის ტიპი მოსაუბრეებს შორის.

კომუნიკაციური ზეგავლენა შესაძლებელია, როდესაც ოპერმუშაკი და სამიზნე ობიექტი იყენებს ერთი და იმავე ნიშნების სისტემას. სრული ურთიერთგაგება მიიღწევა, როდესაც მოსაუბრეები საუბრობენ „ერთ ენაზე“ და ერთნაირად აღიქვამენ გარკვეულ სიტუაციებს.

კომუნიკაციის პროცესში ხშირად შეიძლება წარმოიქმნას „კომუნიკაციური ბარიერები“, რომლებიც შეიძლება განპირობებული იყოს ინდივიდთა ფსიქოლოგიური ან სოციალური თავისებურებებიდან (განსხვავება ოპერმუშაკსა და სამიზნეს შორის). ეს განსხვავებები შეიძლება იყოს სოციალური, რელიგიური, პოლიტიკური, პროფესიული. ამ განსხვავებებმა შეიძლება მოახდინოს საუბარში არსებული ფაქტების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება (იურისტი სხვაგვარად იგებს, ეკონომისტი სხვაგვარად). ასევე, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური თავისებურებები: მათ შორის მორცხვობა, ჩაკეტილობა, უნდობლობა.

ოპერმუშაკის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება იყოს:

მასტიმულირებელი: გამოიხატება ბრძანებაში, რჩევაში, თხოვნაში. როგორც წესი, ეს ინფორმაცია ახდენს ქცევითი აქტიობების პროვოცირებას.

დამაზუსტებელი: ეს არის უბრალოდ შეტყობინება, რომელიც არ ახდენს არანაირი ქცევითი აქტიობების პროვოცირებას.

ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემა ხდება ნიშნების საშუალებით. გამოიყოფა ვერბალური ნიშნების სისტემა, სადაც კომუნიკაციისათვის გამოიყენება მეტყველება და არავერბალური ნიშნების სისტემა, სადაც ნიშნებად გამოიყენება არასამეტყველო ნიშნები.

არავერბალურ ნიშნებში გამოიყოფა ოთხი კლასიფიკაცია:

1. ოპტიკურ-კინესტეტიკური;
2. პარალინგვისტური;
3. ექსტრალინგვისტური;
4. პროქსემიკა და ვიზუალური კომუნიკაცია.

ვერბალური კომუნიკაცია: ეს ყველაზე ბუნებრივი ხმოვანი ენაა. მეტყველება წარმოადგენს კომუნიკაციის უნივერსალურ საშუალებას. საუბრის აღქმა და საბოლოოდ გაგება შესაძლებელია „კომუნიკაციური როლების“ შეცვლით, როდესაც ინდივიდი გვაწვდის ინფორმაციას და მეორე მხარე აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ გაიგო ეს ინფორმაცია, შედეგად კი ვიღებთ ინტერაქციას კომუნიკაციაში. დიალოგი სწორედ ამ როლების გაცვლის პროცესს წარმოადგენს.

ოპერმუშაკისა და ინდივიდის კომუნიკაციის პროცესის გასაანალიზებლად არ არის საკმარისი მხოლოდ კომუნიკაციის სტრუქტურის ცოდნა, ასევე საჭიროა მოხდეს მოსაუბრეთა მოტივის, მიზნების, განწყობების ანალიზი. ამისათვის საჭიროა განვმარტოთ ის არავერბალური ნიშნებიც, რომლებიც ჩართულია მეტყველების პროცესში. ოპერატიული მუშაობის მიმდინარეობისას აუცილებელია არა მარტო ინფორმაციის გაცვლა, არამედ გასახორციელებელი „აქტიობების“ დაგეგმვა/გაცვლაც. ოპერმუშაკისათვის არა მარტო საუბარია საჭირო, არამედ აქტიობაც, როგორც უშუალო შედეგზე გასვლის საშუალება.

პრაქტიკაში გამოიყოფა, ურთიერთქმედების ორი ტიპი: კოოპერაცია (თანხმობა, შეთავსება, ასოციაცია) და კონკურენცია (კონფლიქტი ოპოზიცია, დისოციაცია). პირველი ტიპის დროს ხდება იმ ფაქტორების ანალიზი, რომელიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციას. მეორე ტიპის დროს კი აანალიზებენ ხელის შემშლელ ფაქტორებს.

ჩვენთვის საჭირო ადამიანის გაგებისას ირთვება რამდენიმე პროცესი: პირის ემოციური შეფასება, მისი ქცევების არსის გარვევა, მისი ქცევის შეცვლისათვის საჭირო სტრატეგიის შემუშავება, საკუთარი ქცევების სტრატეგიის შეცვლა. აქედან გამომდინარე ოპერმუშაკმა უნდა შეძლოს არა მხოლოდ სამიზნის ინტერესის გარკვევა, არამედ უნდა შეძლოს გაერკვეს სამიზნის მოსაზრებებში საკუთრივ ოპერმუშაკის ინტერესების შესახებ (რა უნდა სამიზნეს? რა ჰგონია რომ მე მინდა მისგან?). ასეთი ტიპის შემეცენებითი პროცესების განსავითარებლად საჭიროა ოპერმუშაკმა განივითაროს შემდეგი პიროვნული თვისებები:

იდენტიფიკაცია: იდენტიფიკაცია ეს არის სხვა ადამიანის გაგების ხერხი, მის მახასიათებლებთან თვითონ სუბიექტის გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი მიმსგავსების გზით. ეს არის მიდგომა, რომლის მიხედვითაც ოპერმუშაკმა უნდა შეძლოს საკუთარი თავის სამიზნის ადგილზე წარმოდგენა.

იდენტიფიკაციის საშუალებით შესაძლებელია გაკეთდეს შემდგომი კომუნიკაციისათვის საჭირო მონახაზი.

ემპათია: ეს არის სხვისი განცდის და ემოციური მდგომარეობის განცდის უნარი, ოპერმუშაკს უნდა შეეძლოს უთანაგრძნოს სამიზნეს. ემპათიის თავისებურება არის ის, რომ კი არ „გაუგო“ ადამიანს ფაქტობრივ დონეზე, არამედ შეძლო მისი ემოციური მხარდაჭერა. მისი ემოციური გაგება ყოველგვარი შეფასებების და გააზრებების გარეშე.

რეფლექსია: რეფელქსია წარმოადგენს უნარს, რომ შეგეძლოს საკუთარი თავის დანახვა „გარედან - სხვისი თვალებით“. ოპერ მუშაკს მუდმივად უწევს სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან ურთიერთქმედება. სხვადსსხვა ტიპის ადამიანები კი ზოგადად სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ერთი და იმავე ფაქტებს, საუბრებს და ა.შ. ოპერმუშაკს უნდა შეეძლოს წარმოიდგინოს საკუთარი თავი რამდენად ადეკვატურია შესაბამის სიტუაციაში და როგორ ხედავენ მას სხვები.

ადამიანების მიერ ურთიერთაღქმა დამოკიდებულია როგორც ოპერმუშაკის, ასევე თვით კონკრეტული სამიზნის თავისებურებებზე. ნებისმიერი აღქმა კომუნიკაციის პროცესში ძალაუნებურად ნიშნავს ურთიერთქმედებასაც, ურთიერთქმედებას კი ყოველთვის ორი მხარე ჰყავს. ურთიერთქმედებისას ოპერმუშაკი და სამიზნე ცდილობს საკუთარი ქცევების ინტერპრეტირებას, საერთო სისტემის შექმნას. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადამიანებმა არ იციან სხვების აქტიობათა ნამდვილი მიზეზები (ან ძალიან ცუდად იციან). შესაბამისად ამ მიზნების ძიების პროცესში ისინი ცდილობენ ერთმანეთს მიაწერონ სხვადასხვა თვისებები ან ქცევითი მოდელები. ოპერმუშაკი კომუნიკაციის პროცესში მიაწერს ხოლმე სამიზნეს იმ თვისებებს, რომელიც უკვე გამოცდილებაში არსებულ მოდელს ახასიათებდა ან საკუთარი მოტივების შესაბამისად. ზოგადად ესეთი თვისებების მიწერის დროს ადამიანები ძალიან სტერეოტიპულები არიან და „კარგ ადამიანებს კარგ თვისებებს მიაწერენ“, ხოლო „ცუდ ადამიანებს - ცუდ თვისებებს“. ეს არღვევს კომუნიკაციის პროცესს, განსაკუთრებით კი ოპერმუშაკისათვის. ოპერმუშაკს უნდა შეეძლოს ადამიანის სწორი ამოცნობა, რათა არ დაუშვას შეცდომები კომუნიკაციისას.

ოპერმუშაკის მიერ ინდივიდის აღქმა პირველ ეტაპზე (პირველი შეხვედრისას) დიდად დამოკიდებულია განწყობაზე.

ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების ორ ჯგუფს აჩვენეს ერთი და იგივე ადამიანის ფოტო. ერთ ჯგუფს ამ სურათზე აღნიშნულ პერსონაზე უთხრეს, რომ რეციდივისტი იყო, მეორე ჯგუფს კი უთხრეს, რომ ეს დიდი მეცნიერი იყო. შემდეგ კი ორივე ჯგუფს სთხოვეს დაეწერათ ამ ინდივიდის ფსიქოლოგიური პორტრეტი. ორივე ჯგუფში მიიღეს შემდეგი შედეგები: იმ ჯგუფში, სადაც უთხრეს, რომ ეს რეციდივისტი იყო, პიროვნება აღწერეს შესაბამისად და პირიქით.

ადამიანების აღქმის თავისებურებების გასაგებად საჭიროა გარკვეული ეფექტების გათვალისწინებაც. მაგალითად „შევარდენის ეფექტი“, „პირველადობის ეფექტი“, „სიახლის ეფექტი“. როგორც წესი, პირველად მიწოდებული ინფორმაცია ადამიანს ყველაზე კარგად ამახსოვრდება. ამ ეფექტს ეწოდება „პირველადობის ეფექტი“ და ის შეინიშნება უცხო ადამიანების პირველი აღქმის დროს. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ნაცნობი ადამიანის აღქმა, რომელთანაც კონტაქტი არ გვქონია დიდი დროის განმავლობაში, მუშაობს „სიახლის ეფექტი“ - ყველაზე ახალი (ბოლო ინფორმაცია) ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ადამიანები აღქმისას ხშირად ეყრდნობიან სტერეოტიპებს. სტერეოტიპი ეს არის მყარი და ხშირად დამახინჯებული მოლოდინი გარკვეული მოვლენის ან ადამიანის მიმართ. როგორც წესი, სტერეოტიპები ყალიბდება წარსული გამოცდილების შედეგად. წარსულ გამოცდილებაში ძირითადად იგულისხმება გარკვეული მოვლენის ან ადამიანის მიმართ მწირი ინფორმაცია და ამ მწირი ინფორმაციის განზოგადება. ხშირად სტერეოტიპი წარმოიქმნება ჯგუფური მიკუთვნებულობის გამო. მაგალითად, პროფესიული მიკუთვნება. მაგალითად, იღებენ ხოლმე პროფესიის ყველაზე აშკარა ნიშანს და აზოგადებენ მთლიანად პროფესიაზე. (გამომძიებელი - ეჭვიანი, საბაჟო მოხელე - ყურადღებიანი). სტერეოტიპები ქმნის ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ადამიანს ეზარება ფიქრი და ცდილობს გამოიყენოს უკვე არსებული განწყობები ახალი სიტუაციის შეფასებისას. ეს იწვევს ინდივიდის არასწორ აღქმას და შესაბამისად ირღვევა კომუნიკაციის მთელი პროცესი.

კომუნიკაციის ტექნიკა ოპერატიული მუშაობის მიმდინარეობისას

კომუნიკაცია შეიძლება იყოს კომუნიკაციური, ინტერაქციული, პერცეპციული. კომუნიკაციის პროცესში შეიძლება ხან ერთი ასპექტი წამოიწიოს წინ, ხან მეორე. მიუხედავად კომუნიკაციის პროცესის კლასიფიკაციისა, არსებობს ზოგადი მახასიათებლები, რომლებიც ნებისმიერ კომუნიკაციის

სახეს უნდა ჰქონდეს. ეს მახასიათებლებია ტაქტი, იუმორის გრძნობა, მიმღებლობა. ოპერმუშაკების მომზადებისას აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს ამ მახასიათებლებზე, თუმცა მხოლოდ ასეთი ზოგადი უნარებისა და მახასიათებლების ტრენინგი არასაკმარისია ოპერატიული მუშაობის მიმდინარეობისას (სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე). აღსანიშნავია, რომ არარეგლამენტური ყოველდღიური ურთიერთობისათვის ჩამოყალიბებული კომუნიკაციური სკალები შეიძლება სავსებით უვარგისი იყოს საქმიანი ურთიერთობის წარმოებისათვის. აუცილებელია სხვადასხვა დონის კომუნიკაციური უნარების განვითარება, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს სამიზნე ობიექტის სტატუსის მდგომარეობის და სხვა მახასიათებლებიდან გამომდინარე. ზოგადად კომუნიკაციის ხერხები ვითარდება სტიქიურად, უშუალოდ კომუნიკაციის პროცესიდან გამომდინარე, თუმცა მათ ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს უშუალოდ კულტურა და სოციალური ჯგუფების თავისებურება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოპერმუშაკი ვირტუაზულად უნდა ფლობდეს კონტაქტის დამყარებისა და ეფექტური კომუნიკაციისათვის საჭირო უნარებს. მას უნდა შეეძლოს არა მარტო მის მიმართ დადებითად განწყობილი ადამიანებისაგან ინფორმაციის მიღება, არამედ მათგანაც, ვინც მტრულად არის განწყობილი. განსაკუთრებით რთულდება ინფორმაციის ამოღება იმ პირებისაგან, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ სიტუაციაში იმყოფებიან (სხვა სოციალური ჯგუფი, სხვა სტატუსის მქონე პიროვნება). როდესაც სამიზნე თვლის, რომ ოპერმუშაკი წარმოადგენს სხვა სოციალურ კატეგორიას, რა თქმა უნდა ეს ხელს არ უწყობს ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებას და არც სანდო ურთიერთობის დამყარებას, შემდეგად კი საჭირო ინფორმაციის ამოღება ვერ ხერხდება. ამ შემთხვევაში ოპერმუშაკმა უნდა იცოდეს ის ძირითადი სოციალური როლები, რომლებსაც იყენებს სამიზნე და უნდა ეცადოს, რომ სამიზნე ჩააყენოს იმ როლურ სიტუაციაში, საიდანაც უფრო შესაძლებელი იქნება კონტაქტის დამყარება (კონტაქტი შეიძლება ვერ დაამყარონ ერთი და იგივე პროფესიის წარმომადგენელმა, თუმცა შეიძლება გამოიყენო მისი მეოჯახის როლი). ოპერმუშაკმა უნდა მოახდინოს სამიზნის პიროვნების შესწავლა (მისი გატაცებები და ინტერესი) და ყველაზე მოსახერხებელი პოზიციიდან მოახერხოს ინდივიდთან კონტაქტის დამყარება.

ოპერმუშაკი არ უნდა ელოდოს „იღბლიან დამთხვევებს“, მან უნდა იცოდეს სპეციალური ტექნიკები, რომლებიც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას. საუბრის „კლიმატის“ გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ოპერმუშაკმა გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

გამოიჩინეთ კეთილმოსურნეობა და ტაქტი: ზოგადად საუბრის დასაწყისში იყენებენ ღიმილს, გულღია მიმართვას, პოზიტიურ დამოკიდებულებას. აუცილებელია მუდმივად შევინარჩუნოთ „თვალების კონტაქტი“, გამოვავლინოთ ემპათია სამიზნის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ან ინტერესებთან მიმართებაში. ასევე, დავიცვათ გარკვეული დისტანცია ურთიერთობისას, რომ სამიზნეში არ გამოვიწვიოთ რეაქცია „ნუ მიძვრებით სულში“. კეთილგანწყობა მოითხოვს ნიუანსებზე ყურადღების გამახვილებას. ხმის ინტონაციის ცვლილება და ჟესტების ცვლილება არ უნდა გამორჩეს ოპერმუშაკს. ხელების მოძრაობა ამ დროისათვის თავისუფალია და თითქოს ავსებს მეტყველების პროცესს. ნეგატიური დამოკიდებულების შემთხვევაში კი ხელების მოძრაობა და მიმიკა „გაყინულია“.

შეძლებისდაგვარად იყავით კომფორტის ზონაში: ყველა ადამიანს გააჩნია თავისი კომფორტის ზონა ნაცნობებთან და უცნობებთან საუბარში. ოპერმუშაკმა უნდა იცოდეს, რომ ამ დისტანციის დარღვევის შემთხვევაში შეიცვლება სამიზნის დამოკიდებულებაც თქვენს მიმართ. უმრავლეს შემთხვევაში ეს მაჩვენებლები აშკარაა: პარტნიორი იხევს ნაბიჯით უკან, გადაჯდება სხვა მხარეს, გადადგამს სავარძელს. თუკი თქვენ იწვევთ სიმპათიას და ნდობას, ის იჭერს თქვენთან იმ დისტანციას, რომელსაც ის იყენებს მეგობრებთან და მისთვის საინტერესო ხალხთან ურთიერთობისას.

ეცადეთ მიიღოთ დადებითი პასუხები: კონტაქტის დაწყებისას შეეხეთ ნეიტრალურ თემებს და დასვით ისეთი ტიპის შეკითხვები, რაზეც მიიღებთ დადებით პასუხს.

სამიზნის საუბრის პროცესში ჩათრევა: თუკი ოპერმუშაკი გამუდმებით გამოიჩენს აქტიობას საუბარში და არ მისცემს საშუალებას სამიზნეს აიღოს ხელში ინიციატივა, მაშინ კონტაქტის დამყარება გართულდება. ურთიერთობა სამიზნეს ხელს უნდა უწყობდეს, რომ მან ისაუბროს. ამ დროს საჭიროა, რომ პატივი ვსცეთ სამიზნის მოსაზრებებს და მის პოზიციებს.

ოპერმუშაკი უნდა ხსნიდეს ფსიქიკურ დაძაბულობას: სანამ დაძაბულობა მოხსნილი არაა, სასურველია მანამდე საუბარი მიდიოდეს ისეთი საკითხების შესახებ, რომელიც სამიზნეს განსაკუთრებით აინტერესებს ან სიამოვნებს. გამოხატეთ სამიზნესთან თანხმობა არა მარტო ვერბალურად, არამედ მიმიკებით ჟესტების, ხმის ინტონაციით. გამოიჩინეთ კრიტიკულობა საკუთარი ქცევის მიმართ: როგორც კონტაქტის დამყარებისას, ასევე მისი მიმდინარეობისას საჭიროა, რომ ოპერმუშაკმა აკონტროლოს საკუთარი რეაქციები და ქცევები. არ უნდა უარყოს ოპონენტის მოსაზრებები, არ უნდა გააკეთოს შეუსაბამო კომპლიმენტები, არ უნდა იჩქაროს „დაახლოებაში“. ზოგჯერ საჭიროა, რომ ოპერმუშაკმა გამოავლინოს ნაკლები თავდაჯერება.

ოპერმუშაკს უნდა შეეძლოს ინიციატივის კონტროლი კომუნიკაციაში: მას უნდა ახსოვდეს, რომ არა მარტო ინიციატივის აღება არის საჭირო კომუნიკაციაში, არამედ ხშირად მომგებიანია რომ ეს ინიციატივა სამიზნემ გამოიჩინოს (მისცე ლიდერობის საშუალება ზოგჯერ სხვას, განსაკუთრებით იმ საკითხებში, სადაც სამიზნე სპეციალისტია). ავტორიტარული სტილი კომუნიკაციაში დასაშვებია მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციებში, მაშინ როდესაც სამიზნემ არ უნდა იცოდეს სამოქმედო გეგმის შესახებ. როგორც წესი, კომუნიკაციის დემოკრატიული სტილი ყველაზე ეფექტურია კომუნიკაციის პროცესში.

ლიტერატურა:

1. რ. ნათაძე, სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიური საფუძვლის პრობლემა; გამომცემლობა „ხელოვნება“; თბილისი, 1970;
2. ი. ი. ამინოვი; ნ. დ. ერიაშვილი, საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია. სამართლიანი საქართველო. თბილისი, 2009;
3. Л. Хьелл, Д. Зиглер, Теории личности, «ПИТЕР», Санкт-Петербург, Москва-Харьков-Минск, 2003;
4. Филип Зимбардо, Майкл Ляйппе, Социальное влияние, „ПИТЕР“, Санкт-Петербург, Моква-Харьков-Минск, 2000;
5. Роберт Чалдини, Психология влияния, „ПИТЕР“, Санкт-Петербург, Москва-Харьков-Минск, 2002.
6. Tony Malim and Ann Birch, Introductory psychology, Palgrave, 1998.

Ana Imnadze

Gori State Teaching University

COMMUNICATION TECHNIQUES DURING OPERATIVE WORK (ESSENCE, FUNCTION, STRUCTURE)

RESUME

There are: Communicative model, Interactive model and Perceptive model and they can be accentuated or varied depending the necessity of the process. In spite of process classification, there are some basic features, characterized to all kinds of communication. They are: Good manners, Sense of humor, open-mindedness etc. When we train policeman/policewomen it is crucial to highlight those characteristics. However, to rely on only aforementioned features will be insufficient and callous from our part because of the strenuous and demanding nature of their work. Besides, Unrestricted and casual communication scales might be useless or unfit for formal communication and vice versa. It is necessary to develop communication skills well suited to various levels of persons' status or their characteristics and peculiarities of the situation. Methods of general communication develop spontaneously, right out of the communication process, however culture, social status and group characteristics may have huge influence on their formation.

ირმა კეცხოველი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დემოგრაფიული სიდუხჭირე თანამედროვე საქართველოში

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება, მონაცემებისა და ანალიზის მიხედვით, ყველაზე მძიმეა პოსტსაბჭოთა და მეზობელ ქვეყნებთან შედარებით; ქვეყანაში ავტოქტონური მოსახლეობის პერმანენტული შემცირებისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ძალიან გაუჭირდება თავისი სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და, საერთოდ, ეროვნული ამოცანების განხორციელება; საფრთხე შეექმნება მის სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობას, მიმზიდველობას დაკარგავს ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ისტორიული მემკვიდრეობა და ა.შ.

ასეთ ვითარებაში გარდაუვალი იქნება ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი _ ერის გენოფონდის ცვლილება.

ქართველი დემოგრაფები, ანალიტიკოსები და სპეციალისტები კარგა ხანია აღნიშნავენ ქვეყანაში შექმნილ კატასტროფულ დემოგრაფიულ ვითარებას. ამას მოწმობს 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემები, რომელთა მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 1992-2014 წლებში 5,4 მლნ-დან 3,7 მლნ-მდე შემცირდა.

საქართველოში შექმნილ მწვავე დემოგრაფიულ ვითარებას ეძღვნება ცნობილი ქართველი დემოგრაფის, ანზორ თოთაძის ნაშრომი „რად არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენება, ანუ თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება ეროვნული კატასტროფის ტოლფასია“, რომელშიც სიზუსტით არის გადმოცემული და გაანალიზებული საქართველოს მოსახლეობის წარსული და თანამედროვე მონაცემები. ჩვენც შევეცდებით, მივყვეთ ამ პროცესებს და განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტები და მონაცემები, რომლებიც არაერთხელ აღინიშნება როგორც სამეცნიერო ნაშრომებში, ასევე მედიაში.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო XIII საუკუნის შუა წლებში _ 1254 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 8 მლნ კაცს აღწევდა; 1770 წელს კი, გამუდმებული შემოსევების შედეგად, 761 ათასამდე შემცირდა, ხოლო 1800 წელს _ 675 ათასამდე. ამ პერიოდში (1811-1813 წლები) შავი ჭირის გავრცელების შედეგად საქართველოს მოსახლეობა თითქმის განახევრდა. ბაგრატ ბატონიშვილის (1776-1841) ცნობით, შავმა ჭირმა „მოსრნა მრავალნი სულნი ქართლს, კახეთს და იმერეთს, ვიდრე ნახევარ ხალხადმდე“. მისივე ცნობით, იმერეთში შავი ჭირი სამ წელიწადს მძვინვარებდა. ანალოგიური ცნობები სხვა წერილობით წყაროებშიც მოიპოვება. ამ სენმა 1811 წელს იმერეთში 32 750 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იმერეთიდან შავი ჭირი გავრცელდა სამეგრელოსა და გურიაში. ამის უშუალო მომსწრე ნიკო დადიანი წერს: „წელსა ამას, 1811, გაჩნდა იმერეთსა შინა, ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსვრელი სენი (ე.ი. ჟამი)... ქვეყანანი მრავალნი და სოფელნნი დაშთენ ოხრად“...

1897 წელს რუსეთის იმპერიის იმჟამინდელ საზღვრებში 1 352 500 ქართველი ცხოვრობდა, მათ შორის, კავკასიაში _ 1 350 000, საქართველოში – 1 336 700. ქუთაისის გუბერნიაში თითქმის 2-ჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა (868 800), ვიდრე თბილისის გუბერნიაში (467 600). ამრიგად, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები, შეიძლება ითქვას, თავიანთ ქვეყანაში ბინადრობდნენ (98,85%).

1814 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან 31 წლის თავზე, საქართველოში დაახლოებით 400 ათასი კაცი ცხოვრობდა. ასეთი მცირე რაოდენობის მოსახლეობა საქართველოში მისი არსებობის განმავლობაში არასოდეს ყოფილა. 1897 წელს კი, რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ იმდროინდელ საზღვრებში 2 მილიონ 109 ათასი კაცი შეადგინა, ანუ 83 წლის განმავლობაში 5-ჯერ მოიმატა.

ცხრილი №1

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა XIII-XXI საუკუნეებში

წლები	რაოდენობა (ათასი)
1254	8000
XVII ს. დასაწყისი	2500
1770	761
1880	675
1814	400
1897	2109
1926	2667
1959	4 044
1979	4993
1989	5400
2002	4371
2014	3714

დღეს ყველაზე მეტი კლება ქვეყნის ყველაზე ხალხმრავალ რეგიონში – იმერეთში აღირიცხა. გასული 12 წლის განმავლობაში მისი მოსახლეობა 165 760 კაცით შემცირდა. ასე რომ გაგრძელდეს, 30 წელიწადში და შეიძლება გაცილებით ადრეც, იმერეთი მოსახლეობისგან დაიცლება. ანალოგიური ბედი ელის სამეგრელოს, გურიასა და სხვა რეგიონებსაც. აღარაფერს ვამბობთ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე, რომელიც, ფაქტობრივად, გაუკაცრიელდა. განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით მეორე ქალაქის – ქუთაისის – მოსახლეობის ყოველწლიური კლება. 2014 წელს ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობა

148 ათას კაცს შეადგენდა, 2002 წელს – 186 ათასს, ხოლო 1989 წელს – 233 ათას კაცს. ამრიგად, 2014 წელს ქუთაისის მოსახლეობა 85 ათასი კაცით შემცირდა 1989 წელთან შედარებით. ქუთაისს უკვე მოსახლეობის რაოდენობით გაუსწრო ბათუმმა.

თანამედროვე სტატისტიკური მონაცემების მიხედვით და, საერთოდ, ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო 1992 წელს – 5 467 000 კაცი. ცნობილი მიზეზების გამო, 1990-იანი წლებიდან საქართველოში მოსახლეობა განუწყვეტლად მცირდებოდა, ხოლო 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 3 713 804 კაცი შეადგინა.

მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას, ძირითადად, მიეკუთვნება ისეთი ბუნებრივი პროცესები, როგორიც არის შობადობა და სიკვდილიანობა, აგრეთვე, ქორწინება და განქორწინება. ამჟამინდელი მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი. 1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1991-2010 წლებში – 55 ათასი. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო და 2005 წელს საქართველოში მხოლოდ 43 ათასი ბავშვი დაიბადა, ანუ შობადობა, წინა წლებთან შედარებით, 2-ჯერ შემცირდა (იხ. ცხრილი №2).

ცხრილი №2

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემების დინამიკა 1950-2009 წლებში

წლები	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება
1950-1959	799 453	248 048	551 405
1960-1969	850 908	276 034	574 874
1970-1979	792 624	339 014	453 357
1980-1989	833 624	400 560	433 064
1990-1999	623 013	495 258	127 755
2000-2009	502 296	448 712	53 584

ბოლო წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატებაც. მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი, კერძოდ, 1941-1945 წლებში, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 135 ათას კაცს შეადგენდა.

საქართველოში შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა. 2000-2009 წლებში საქართველოში 502 296 ბავშვი დაიბადა, მაშინ, როდესაც 1960-1969 წლებში ეს მაჩვენებელი 850 908-ს უდრიდა (1993 წლამდე დემოგრაფიულ მონაცემებს გამოკლებულია აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაბამისი მაჩვენებლები). ამ პერიოდში გარდაცვლილთა რაოდენობამ 276 034-დან 448 712 კაცამდე მოიმატა. შესაბამისად, შემცირდა ბუნებრივი მატება. 2000-2009 წლებში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 53 584 კაცი შეადგინა და 10,7-ჯერ შემცირდა 1960-1969 წლებთან შედარებით. შეფარდებითი მონაცემებიც ნათლად გვიჩვენებს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ კრიზისს. მაგალითად, 1960-1969 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 14,8 კაცი იყო, ხოლო 2000-2009 წლებში – 1,2 კაცი.

კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი საგრძნობლად დაირღვა, განსაკუთრებით – ბოლო წლებში. კავკასიის მოსახლეობის რაოდენობამ XX საუკუნეში, მიუხედავად ცალკეულ პერიოდებში უმძიმესი პირობებისა (კავკასიელ ხალხთა დეპორტაციამ და ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა კავკასიის ხალხთა ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება), საგრძნობლად მოიმატა, კერძოდ, 1926-2016 წლებში 7,6 მლნ-დან 24,0 მლნ-მდე და ზრდის ტემპმა 315,5 პროცენტი შეადგინა. მოსახლეობამ ჩრდილოეთ კავკასიაში 1,7 მლნ-დან 7,3 მლნ-მდე მოიმატა; სამხრეთ კავკასიაში – 5,8 მლნ-დან 16,6 მლნ-მდე.

კავკასიაში დემოგრაფიული ბალანსი, ძირითადად, დაირღვა საქართველოს ხარჯზე. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ 1926-2016 წლებში 2,6 მლნ-დან მხოლოდ 3,7 მლნ-მდე მოიმატა და ზრდის ტემპი კავკასიაში ყველაზე ნაკლები იყო. თუ წინათ სამხრეთ და, საერთოდ, კავკასიაში, ქართველები და საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი და თავისი ქვეყნის ბინადარი იყო, დღეისათვის ვითარება არსებითად შეიცვალა.

1926 წელს კავკასიის მოსახლეობის 35,1 პროცენტი, ანუ ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. 2016 წელს კი ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 15,5 პროცენტი შეადგინა, სამაგიეროდ, 1926-2016 წლებში აზერბაიჯანის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 30,4-დან 41,3 პროცენტამდე მოიმატა. 1926-2016 წლებში სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებით შემცირდა საქართველოს მოსახლეობის წილი – 45,5-დან 22,3 პროცენტამდე, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანის ანალოგიურმა მაჩვენებელმა აღნიშნულ პერიოდში 39,4-დან 59,7 პროცენტამდე მოიმატა (იხ. ცხრილი №3).

ცხრილი №3

საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის მატების დინამიკა 1926 და 2010 წლებში და 2016 წლის იანვრისთვის

რეგიონები და ქვეყნები	1926		2000		2016		მოსახლეობის მატების ტემპი 1926-2016 წლებში, %
	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%	
კავკასია	7917	100.0	23437	100.0	24034	100.0	315.5
ჩრდ. კავკასია	1745	22.9	7083	30.2	7368	30.7	422.2
აღიღე	114	1.5	440	1.9	451	1.9	395.6
ყარაჩაი-ჩერქეზეთი	102	1.3	478	2.0	468	2.0	458.8
ყაბარდო-ბალყარეთი	204	2.7	860	3.7	862	3.6	422.5
ჩრდ. ოსეთი	152	2.0	713	3.0	704	2.9	463.1
ინგუშეთი	75	1.0	413	1.8	473	2.0	630.7
ჩეჩნეთი	310	4.1	1269	5.4	1394	5.8	449.7
დაღესტანი	788	10.3	2910	12.4	3016	12.5	382.7
სამხრეთი კავკასია	5872	77.1	16354	69.8	16666	69.3	283.8
საქართველო	2677	35.1	4436	18.9	3720	15.5	139.0
აზერბაიჯანი	2315	30.4	8900	38.0	9947	41.3	429.7
სომხეთი	881	11.6	3018	12.9	2999	12.5	340.4

საქართველოში შექმნილ უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებას ისიც ადასტურებს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მეტად დაზარალდა და შემცირდა ცნობილი მოვლენების გამო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა. სსრკ-ის არსებობის ბოლო პერიოდში – 1989 წელს, საქართველოში 5 401 000 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი ქვეყნის იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია, 3 720 000 კაცი ცხოვრობს, ანუ საქართველოს მოსახლეობა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში 1 681 000 კაცით – 31,1 პროცენტით შემცირდა; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა რომ მივათვალოთ, სადაც ჯერჯერობით ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცდელდება, საქართველოს მოსახლეობა პროცენტულად ასევე ძალიან შემცირებულია.

1989-2016 წლებში პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ადამიანების უმრავლესობა მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებს, მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, სამაგიეროდ, ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მოსახლეობა შემცირდა. 1989-2016 წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ცხრა ქრისტიანულ ქვეყანაში მოსახლეობა 14,3 მლნ-ით შემცირდა, ხოლო მაჰმადიანური აღმსარებლობის 6 ქვეყანაში 23 მლნ-ით მოიმატა. მაგალითად, უზბეკეთში მოსახლეობის რაოდენობამ 11,7 მლნ-ით მოიმატა, ტაჯიკეთში – 3,4 მლნ-ით, აზერბაიჯანში – 2,9 მლნ-ით და ა.შ. (იხ. ცხრილი №4)

ცხრილი №4

მოსახლეობის რაოდენობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 1989 წელს და 2016 წლის 1 იანვრისთვის

ქვეყანა	მოსახლეობის რაოდენობა		სხვაობა 1989-2016 წლებს შორის	ქვეყანა	მოსახლეობის რაოდენობა		სხვაობა 1989-2016 წლებს შორის
	1989 წ.	2016 წ.			1989 წ.	2016 წ.	
რუსეთი	147022	146545	-477	მოლდოვა	4335	3553	-782
უკრაინა	51452	42761	-8691	ლატვია	2667	1960	-698
ბელარუსი	10152	9498	-654	ყირგიზეთი	4258	6020	1762
უზბეკეთი	19810	31600	11790	ტაჯიკეთი	5093	8547	3454
ყაზახეთი	16464	17671	1207	სომხეთი	3305	2999	-306
საქართველო	5401	3720	-1681	თურქმენეთი	3523	5400	1877
აზერბაიჯანი	7021	9947	2926	ესტონეთი	1566	1316	-250
ლიტვა	3675	2853	-822				

საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებასთან შედარებით მეზობელ ქვეყნებში გაცილებით უკეთესი დემოგრაფიული ვითარებაა. მოსახლეობის ბუნებრივი მაჩვენებლები უკეთესია აზერბაიჯანში, თურქეთსა და სომხეთშიც კი, ვიდრე საქართველოში.

ცხრილი №5

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 1980-1989 და 2000-2009 წლებში, ათწლეულების მიხედვით საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

ქვეყნები	დაიბადა		გარდაიცვალა		ბუნებრივი მატება	
	1980-1989	2000-2009	1980-1989	2000-2009	1980-1989	2000-2009
საქართველო	833624	502296	400560	448712	433064	53584
თურქეთი	15206000	12609209	4858000	3774000	10348000	8835209
აზერბაიჯანი	1737889	1330176	443895	500165	1293994	830011
სომხეთი	76400	372700	201832	252230	562568	120470

ცხრილი 5-ის მონაცემები მეტყველებს საქართველოში უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებაზე. 2000-2009 წლებში საქართველოში მცირე ბუნებრივი მატებაც კი (53 584 კაცი) არაქართველი მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. მაინც აღვნიშნავთ: 2000-2009 წლებში მოსახლეობის აბსოლუტური ბუნებრივი მატების მაჩვენებელი თურქეთში 165-ჯერ მეტი იყო, ვიდრე საქართველოში; აზერბაიჯანში – 15-ჯერ, ხოლო სომხეთში – 2-ჯერ მეტი.

2000-2009 წლებში, 1980-1989 წლებთან შედარებით, საქართველოში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაუარესდა, ხოლო მეზობელ ქვეყნებში, სომხეთის გარდა, მაღალი დარჩა. სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა თურქეთში, აგრეთვე, აზერბაიჯანში, ხოლო საქართველოსა და სომხეთში გაიზარდა. საბოლოოდ, თურქეთის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი 11-ჯერ მეტია საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე, აზერბაიჯანისა – 8-ჯერ, ხოლო სომხეთისა – 3-ჯერ.

საქართველო, რომელიც განსაკუთრებულ და მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც იკვეთება ზესახელმწიფოების ინტერესები, დღეისათვის უფრო და უფრო ძნელდება საკუთარი ინტერესების დაცვა მრავალმხრივი მნიშვნელობით.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ბოლო წლებში, ძირითადად, ქართველებით დასახლებულ რეგიონებში შემცირდა მოსახლეობა. თუ ეს პროცესი გაგრძელდება და რადიკალური ზომები არ მიიღება, დაახლოებით 10 წელიწადში თავს იჩენს არასახარბიელო შედეგები, ხოლო პიკს 2020-იანი წლების შუაში მიაღწევს. ამის მიზეზია სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებაც.

ცხრილი №6

	დაიბადა		გარდაიცვალა		ბუნებრივი მატება	
	1977-1986	1997-2006	1977-1986	1997-2006	1977-1986	1997-2006
გურია	25 920	13 639	16 859	18 400	9 061	-4 761
იმერეთი	121 853	74 698	69 308	87 642	52 545	-12 944
კახეთი	76 397	34 713	41 961	47 934	34 436	-13 221
მცხეთა-მთიანეთი	20 779	11 660	10 376	13 841	10 403	-2 181
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	9 027	3 130	10 109	7 732	1 082	-4 602
სამეგრელო-ზემო სვანეთი	71 100	42 717	38 141	45 473	32 959	-2 756
სულ	325 076	180 557	186 754	221 022	138 322	-40 465

ცხრილი №7

საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა 1989, 2002 და 2014 წლებში (2002-2014 წლები – ქვეყნის იურისდიქციაში არსებული ტერიტორია)

	1989		2002		2014		სხვაობა 1989-2014 წლებში	სხვაობა 2002-2014 წლებში
	აბსოლუ-ტურად	%	აბსოლუ-ტურად	%	აბსოლუ-ტურად	%		
საქართველო	5 400841	100.0	4 371 534	100.0	3 713804	100.0	-1 687037	-657 731
თბილისი	1 246936	23.1	1 081678	24.7	1 108717	29.9	-138 219	+27 039
ქვემო ქართლი	608 491	11.3	497 530	11.4	423 986	11.4	-184 505-	-73 544
კახეთი	441 045	8.1	407 182	9.3	318 583	8.6	122 462	-88 599
შიდა ქართლი	321 598	6.0	314 039	7.2	263 382	7.1	-58 216	-50 657
სამცხე-ჯავახეთი	235 512	4.4	207 598	4.7	160 504	4.3	-75 008	-47 094
მცხეთა-მთიანეთი-	121 791	2.2	125 443	2.9	94 573	2.5	-27 218	-30 870
ცხინვალის რეგიონი	98 527	1.8	-	-	-	-	98 527	-
აღმოსავლეთ საქართველო	3 073900	56.9	2 633470	60.2	2 369745	63.8	-704 155	-263 725
იმერეთი	766 892	14.2	699 666	16.0	533 906	14.4	-232 986	-165 760
აფხაზეთის არ	525 061	9.7	კოდორი 1956	0.0	-	-	-525 061	-1956
სამეგრელო-ზემო სვანეთი	424 746	7.9	466 100	10.7	330 761	8.9	-93 985	-135 339
აჭარა	392 432	7.3	376 016	8.6	333 953	9.0	-58 479	-42 063
გურია	158 053	2.9	143 357	3.3	113 350	3.0	-44 703	-30 007
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	59 757	1.1	50 969	1.2	32 089	0.9	-27 668	-18 880
დასავლეთი საქართველო	2 326941	43.1	1 738064	39.8	1 344059	36.2	-982 882	-394 005

2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 3 713 804 კაცი შეადგინა და წინა (2002 წლის) აღწერასთან შედარებით, 657 731 კაცით შემცირდა. საგრძნობლად გაიზარდა თბილისის მოსახლეობა (2/5%-27039 კაცით), რაც განაპირობა მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ზოგიერთი სოფლის თბილისთან შემოერთებამ.

მოსახლეობის ბოლო ორ აღწერას შორის პერიოდში (2002-2014 წლები) მნიშვნელოვნად შემცირდა ქალაქის და განსაკუთრებით – სოფლის მოსახლეობა. 2014 წელს ქალაქის მოსახლეობამ 2 122 623 კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ 1 591 181 კაცი შეადგინა და 2002 წელთან შედარებით, შესაბამისად, 162 173 და 495 558 კაცით შემცირდა.

აღნიშნულ პერიოდში თითქმის 500 ათასი კაცით შემცირდა სოფლის მოსახლეობა, ხოლო 1989 წელთან შედარებით – 818 308 კაცით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელი დაიცალა ფერტილური ასაკის მოსახლეობისგან – მათი დიდი ნაწილი ქალაქში გადასახლდა, ხოლო ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა. ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდა სოფლად დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა, შედეგად – სახლ-კარი და მარჩენალი მიწაც უპატრონოდ დარჩა, სოფელი გაჩანაგდა. 1970-1979 წლებში საქართველოში 792 371 ბავშვი დაიბადა, მათგან სოფლად – 390 721, ანუ ნახევარი – 50,7 პროცენტი. 2000-2009 წლებში, ისევ ათ წელიწადში კი საქართველოში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ 502 296 ბავშვი შეადგინა, მათგან სოფლად 153 379 ბავშვი დაიბადა, ანუ 30,5 პროცენტი. კახეთში ამავე პერიოდში სოფლად დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 60 943-დან 20 614 ბავშვამდე შემცირდა.

2002-2014 წლებში განსაკუთრებით შემცირდა სოფლის მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, 283 157 კაცით, მაშინ, როდესაც ამ მაჩვენებელმა აღმოსავლეთ საქართველოში 210 445 კაცი შეადგინა.

2002 წელს საქართველოში 28 დიდი სოფელი აღირიცხა, რომელთა მოსახლეობა, ცალ-ცალკე აღებული, 5 ათას კაცს ჭარბობდა. ამჟამად ასეთი სოფლების რაოდენობა 12-მდე შემცირდა. თუ 2002

წელს 143 სოფელი იყო გაუკაცრიელებული, 2014 წელს ასეთი სოფლების რაოდენობამ 223 შეადგინა: 1-5 კაცი ცხოვრობს 157 სოფელში, ხოლო 6-10 კაცი – 98 სოფელში.

2002 წელს 905 სოფელში 100 კაცამდე ცხოვრობდა (სოფლების 24,7 პროცენტი), ამჟამად 1306 სოფელში (36,0 პროცენტი) ცხოვრობს 100 კაცამდე. ისინი, ძირითადად, მოხუცები არიან. უაღრესად ძნელია ასეთ მცირერიცხოვან სოფლებში ინფრასტურუქტურის განვითარება – გზის, წყლისა და გაზის გაყვანა, მცხოვრებთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. ისიც სათქმელია, რომ მეტად რთული პროცესია შიგა მიგრაციის შედეგად სოფლის მოსახლეობის ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრება, მათი ადაპტაცია, გარკვეულწილად, თავისუფლების დაკარგვა, უმეტესად ქალაქური ცხოვრების წესზე გადასვლა.

ამჟამად საქართველოში გაუკაცრიელებული 223 სოფლიდან ყოველი მესამე, ანუ 75 სოფელი (33,6 პროცენტი) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარეობს. ეს პროცესი აქ დიდი ხნის წინათ დაიწყო. კახეთში – 53, ხოლო შიდა ქართლში 44 გაუკაცრიელებული სოფელია. მხოლოდ გურიაში არ არის გაუკაცრიელებული სოფელი. მცირერიცხოვანი სოფლების რაოდენობითაც პირველ ადგილზეა მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სადაც 72 სოფელში 1-5 კაცი ცხოვრობს, ხოლო 6-10 კაცი – 39 სოფელში (სულ 111 სოფელი). აგრეთვე ბევრია მცირერიცხოვანი (1-10 კაციანი) სოფლები სამეგრელო-ზემო სვანეთის (37 სოფელი), შიდა ქართლის (29 სოფელი), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (27 სოფელი) რეგიონებში. ამ სოფლების დიდი ნაწილი საქართველო-რუსეთის საზღვრის პირას მდებარეობს და დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისითაც ეს მეტად პრობლემური საკითხია. ამჟამად საქართველოში 39 ერთკაციანი სოფელია (მცხოვრებთაგან 28 მამაკაცია და 11 ქალი), 46 – ორკაციანი (57 მამაკაცი და 35 ქალი), (27 – სამკაციანი (58 მამაკაცი და 26 ქალი)... საქართველოს 157 სოფელში 1-5 კაცი ცხოვრობს (255 მამაკაცი და 157 ქალი). ცხრილი 8.

დემოგრაფიული ვითარება სოფლებში

მცირერიცხოვანი სოფლები	2002				2014			
	სოფლების რაოდენობა	მოსახლეობის რ-ბა			სოფლების რაოდენობა	მოსახლეობის რ-ბა		
		სულ	მათ შორის			სულ	მათ შორის	
			მამაკაცი	ქალი			მამაკაცი	ქალი
გაუკაცრიელებული სოფლები	143	-	-	-	223	-	-	-
ერთკაციანი	16	16	12	4	39	39	28	11
ორკაციანი	19	38	19	19	46	92	57	35
სამკაციანი	11	33	20	13	27	84	58	26
ოთხკაციანი	7	28	13	15	23	92	52	40
ხუთკაციანი	10	50	24	26	21	105	60	45
1-5 კაციანი	63	165	88	77	157	412	255	157
ექვსკაციანი	18	111	52	59	23	138	68	70
შვიდკაციანი	11	77	39	38	16	112	63	49
რვაკაციანი	12	96	45	51	23	184	98	86
ცხრაკაციანი	14	126	64	62	18	162	85	77
ათკაციანი	14	140	70	70	18	180	96	84
6-10 კაციანი	69	550	270	280	98	776	410	366
1-10 კაციანი	132	715	358	357	255	1188	665	523

საგანგაშოა ისიც, რომ მოსახლეობისგან იცლება საქართველოს ისტორიული კუთხეები – რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სხვა მთიანი რეგიონები. მაგალითად, 1939 წელს რაჭაში 37 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი იქ მხოლოდ 17,3 ათასი კაცი ცხოვრობს – ძირითადად, უფროსი ასაკის ადამიანები. ამასთანავე, დროებითმა და სეზონურმა მიგრაციამ ამჟამად მუდმივი და შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ძალიან ცოტანი დარჩნენ ე.წ. მოზამთრე რაჭველებიც. რაჭის მოსახლეობისაგან დაცლას კიდევ უფრო მეტად იწვევს მოსახლეობის ბუნებრივი კლება, ანუ გარდაცვლილთა სიჭარბე ახალშობილებთან შედარებით, 1990-2015 წლებში რაჭაში მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ 9762 კაცი შეადგინა, ანუ 9762 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. არანაკლები მძიმე ვითარებაა სვანეთში – როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი №9

მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის რაოდენობა 1959-2014 წლებში (მოსახლეობის აღწერების მიხედვით)

მუნიციპალიტეტები	წლები					
	1959	1970	1979	1989	2002	2014
მესტია	16 311	17 801	17 584	14 709	14 248	9 316
ლენტეხი	14 692	13 479	12 974	11 411	8 991	4 386
ჯამი	31 003	31 280	30 558	26 120	23 239	13 702

XX საუკუნეში სვანეთის მოსახლეობის რაოდენობა შედარებით სტაბილური იყო, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში, 2002-2014 წლებში, მისი მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. მესტიისა – 14248-დან 9316 კაცამდე, ანუ 4932 კაცით, ხოლო ლენტეხისა – 8991-დან 4386-მდე, ანუ 4605 კაცით. ე.ი. ლენტეხის მოსახლეობა 12 წელიწადში განახევრდა. სულ რაღაც 10 წელიწადში ლენტეხი მოსახლეობისგან დაიცლება და იარსებებს მხოლოდ როგორც გეოგრაფიული ტერმინი, მით უმეტეს, უაღრესად დაბერებული მოსახლეობის პირობებში.

სვანეთში მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება, სხვა დემოგრაფიულად მძიმე რეგიონებისგან განსხვავებით, მეტად ინტენსიურმა მიგრაციულმა პროცესებმა გამოიწვია.

ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა არნახულად შეიცვალა, მაგრამ ეს მხოლოდ საქართველოში არ მომხდარა. ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში ანალოგიური პროცესები აღინიშნა.

ქართველები XIX საუკუნესა და თითქმის მთელ XX საუკუნეში დასავლეთ საქართველოში უფრო მეტი რაოდენობით ცხოვრობდნენ, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. 1886 წელს რუსი მოხელეების მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 1 731 449 კაცი იყო, მათგან 1 218 696 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 70,4 პროცენტი, ქართველი გახლდათ. თბილისის გუბერნიაში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში, 396 673 ქართველი ცხოვრობდა, ქუთაისის გუბერნიაში კი 2,1-ჯერ მეტი – 822 023 ქართველი. ეთნოგრაფიული ჯგუფების მიხედვით იმერლების რაოდენობა 422 877 კაცს უდრიდა, მეგრელებისა – 245 422 კაცს და ა.შ. 1897 წელს რუსეთის იმპერიის იმჟამინდელ საზღვრებში 1 352 500 ქართველი ცხოვრობდა, მათ შორის, კავკასიაში – 1 350 000, საქართველოში – 1 336 700. ქუთაისის გუბერნიაში თითქმის 2-ჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა (868 800), ვიდრე თბილისის გუბერნიაში (467 600). ამრიგად, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები, შეიძლება ითქვას, თავიანთ ქვეყანაში ბინადრობდნენ (98,8 პროცენტი). იხ. ცხრილი №10

ცხრილი №10

ქართველების რაოდენობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში 1886-2014 წლებში (ათასი)

	1886	1897	1939	1979	1989	2002	2014
საქართველო	1219	1337	2174	3433	3788	3661	3225
პროცენტობით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
აღმოსავლეთ საქართველო	397	468	875	1636	1894	1969	1902
პროცენტობით	32.6	35.0	40.2	47.7	50.0	53.8	59.0
დასავლეთ საქართველო	822	869	1299	1797	1894	1692	1323
პროცენტობით	67.4	65.0	59.8	52.3	50.0	46.2	41.0

XX საუკუნის დასასრულამდე დასავლეთ საქართველოში მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მხოლოდ 1989 წელს გათანაბრდა მათი რაოდენობა – როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში 1894 ათასი ქართველი ცხოვრობდა.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 3 224 504 ქართველი ცხოვრობს, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ. მათი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1989 წელთან შედარებით (16,7 პროცენტული პუნქტი). ამასთანავე, 2014 წელს ქართველების რაოდენობა, 1989 წელთან შედარებით, 562889 კაცით შემცირდა, ხოლო 2002 წელთან შედარებით – 436669 კაცით. ქართველების რაოდენობა, ძირითადად, 2002-2014 წლებში შემცირდა. ბოლო ორ აღწერათა შორის პერიოდში ქართველების რაოდენობა ყველა

რეგიონში შემცირდა, თბილისის გარდა (მოიმატა 86 092 კაცით). განსაკუთრებით შემცირდა ქართველების რაოდენობა იმერეთის (159 202 კაცით), სამეგრელოს (130 952 კაცით), შიდა ქართლისა (38 903 კაცით) და გურიის (27 674 კაცით) რეგიონებში.

საქართველოს მოსახლეობაში 2014 წლის აღწერამდე, ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით სომხები ცხოვრობდნენ. იმის გამო, რომ ბევრი სომეხი წავიდა საქართველოდან (1989 წელთან შედარებით სომხები შემცირდნენ 269 109 კაცით, ხოლო 2002 წელთან შედარებით – 80 827 კაცით), მეორე ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ აზერბაიჯანელებმა გადმოინაცვლეს. ამჟამად საქართველოში 233 ათასი აზერბაიჯანელი და 168 ათასი სომეხი ცხოვრობს. განსაკუთრებით შემცირდა საქართველოში მცხოვრები რუსების რაოდენობა: 1989 წელთან შედარებით – 315 ათასით და 2002 წელთან შედარებით – 41 ათასი კაცით. რუსების რაოდენობა ამჟამად მხოლოდ 26 ათას კაცს შეადგენს და მათი ნახევარი თბილისში ცხოვრობს. თბილისში ცხოვრობენ იეზიდები და ქურთები. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში 232 000 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ხოლო დასავლეთში – 645, სომხები კი შესაბამისად – 160 ათასი და 8 ათასი.

2014 წელს საქართველოში 3 097 600 კაცი (83,4 პროცენტი) მართლმადიდებელი იყო, 398,7 ათასი (10,7 პროცენტი) – მაჰმადიანი, 109 ათასი (2,9 პროცენტი) გრიგორიანელი, კათოლიკე იყო 19,2 ათასი (0,5 პროცენტი), იეჰოვას მოწმე – 12,4 ათასი (0,3 პროცენტი), სხვა აღმსარებლობას 13,9 ათასი კაცი (0,4 პროცენტი) მისდევდა. საქართველოს 19,1 ათასი მცხოვრები (0,5 პროცენტი) არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებდა და, ფაქტობრივად, ათეისტი იყო. წინა აღწერის მონაცემებთან შედარებით აჭარის მოსახლეობაში გაიზარდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევართა წილი, როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. 2002 წელს აჭარაში მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებდა 115 161 კაცი (30,6 პროცენტი), ხოლო 2014 წელს – 132 852 (40,0 პროცენტი). ამ მაჩვენებელმა განსაკუთრებით მოიმატა ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში (იხ. ცხრილი №11).

ცხრილი №11

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989, 2002 და 2014 წლებში

ეროვნება	1989		2002		2014		ცვლილება 2014 წელს 1989 წელთან შედარებით	ცვლილება 2014 წელს 2002 წელთან შედარებით
	აბსოლუ-ტურად	%	აბსოლუ-ტურად	%	აბსოლუ-ტურად	%		
სულ	5400841	100.0	4371634	100.0	3713804	100.0	-1687037	-657731
მათ შორის: ქართველი	3787393	70.1	3 661 173	83.8	3 224 504	86.8	-562 889	-436 669
აზერბაიჯანელი	307 556	5.7	284 761	6.5	233 024	6.3	-74 532	-51 737
სომეხი	437 211	8.1	248 929	5.7	168 102	4.5	-269 109	-80 827
რუსი	341 172	6.3	67 671	1.5	26 453	0.7	-314 719	-41 218
ოსი	164 055	3.0	38 028	0.9	14 385	0.4	-149 670	-23 643
იეზიდი[1]	-	-	18 329	0.4	12 174	0.3	-	-6 155
უკრაინელი	52 443	1.0	7 039	0.2	6 034	0.2	-46 409	-1 005
ქისტი[2]	-	-	7 110	0.2	5 697	0.2	-	-1 413
ბერძენი	100 324	1.9	15 166	0.3	5 544	0.1	-94 780	-9 622
ებრაელი	24 795	0.5	3 772	0.1	1 405	0.0	-23 390	-2 367
დანარჩენი	55 892	1.0	19 557	0.3	16 482		-169 410	-3 075

შობადობის ოპტიმალური დონის პირობებში ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული ოჯახისა და საზოგადოების ინტერესები. ვერავის დავაძალებთ მეტი ბავშვის ყოლას, თავს ვერ მოვახვევთ მათთვის მიუღებელი ოჯახური ქცევის ნორმებს, მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ ასეთ პირობებში დაჩქარდეს დეპოპულაციის პროცესი მით უმეტეს როდესაც გაანალიზებულია დემოგრაფიული კრიზისი, რომელმაც თითქმის ტრაგიკული ფორმა მიიღო და საქმე ეხება ერის, ქვეყნის არსებობას.

[1] 1939 წლის აღწერის შემდეგ იეზიდები აღირიცხებოდნენ ქურთებთან ერთად, 2002 წლის აღწერისას ისინი ცალკე გამოიყვნენ იეზიდთა ცენტრ „რაზიბუნის“ მოთხოვნით.

[2] 2002 წლის აღწერამდე ქისტები „დანარჩენი ეროვნებებიდან“ არ გამოიყოფოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე საკითხები, რომლებიც ძირითადად ეხება საქართველოში დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას, თავისთავად მოითხოვს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დასაცავად კიდევ ერთხელ უნდა გადაიხედოს დემოგრაფიული პოლიტიკა; შეიქმნას სამუშაო-დემოგრაფიული ცენტრი, რომელიც შექმნის ბაზას შობადობის წახალისების და ამაღლების განსახორციელებლად. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა გატარდეს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, რომელიც დადებით შედეგს ორ ათეულ წელიწადში მოგვცემს და ხანგრძლივ პერიოდშიც გარკვეული დადებითი შედეგების მომტანი იქნება.

Irma Ketskhoveli
Georgian Technical University

DEMOGRAPHIC DISTRESS IN MODERN GEORGIA
RESUME

According to the data analysis, the demographic situation in Georgia is in the hardest condition in comparison with other post-soviet countries. Accordingly, in case of demographic disbalance developed in the South Caucasus region and permanent reduction of the indigenous population, Georgia will have difficulties to carry out its strategic, geo-political economic and, in general, national goals; Its spiritual and territorial unity will be in danger. Our national traditions, ceremonies and historical inheritance will lose their attractiveness. In such a situation, degradation of the national consciousness and finally, change to the gene pool of the nation will be inevitable.

The analysis is carried out according to the statistical data, which are taken from the works of a famous scientist and demographist, Anzor Totadze and from the media materials. Also, a comparative analysis is carried out according to the data, which are about the population of Georgia and about the Caucasian peoples for the last years as well.

ნუნუ კვანტალიანი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მტკიცების პროცესის თავისებურება საოჯახო დავებში
სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

1. შესავალი
2. ზოგადად მტკიცების პროცესის შესახებ
3. მტკიცების პროცესი საოჯახო დავებში
3.1 მტკიცება ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე
3.2. მტკიცებითი საქმიანობა ალიმენტის გადახდის დაკისრების საქმეებზე
4. დასკვნა
ლიტერატურა

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი, სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ელემენტს - ოჯახის კეთილდღეობას და დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას განამტკიცებს.

ამ ნორმით კონსტიტუციურ დონეზეა დაცული და განმტკიცებული ისეთი ტრადიციული და საზოგადოებისათვის სასიცოცხლო ეთიკური და ეგზისტენციალური მნიშვნელობის ინსტიტუტები და ფასეულობები, როგორიცაა ქორწინება და ოჯახი. კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისაგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ

არსს, მნიშვნელობას, უმთავრეს პრინციპებს.[1] კონსტიტუციის დასახელებული ნორმა ავალდებულებს სახელმწიფოს თანაბრად იზრუნოს ყველა ოჯახის და მისი წევრების კეთილდღეობაზე. სახელმწიფოს ეს მიზანი ადეკვატურად უნდა ასახოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ოჯახის, დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას და მათთვის სათანადო სამართლებრივი გარანტიების შექმნას.

საოჯახო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში - საოჯახო სამართალში, რომელიც ეფუძნება ამ სფეროში საერთაშორისო აქტებით და საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვის პრინციპებს. იგი მკაფიოდ ასახავს საოჯახო ურთიერთობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რაც ვლინდება ქალისა და მამაკაცის ქორწინებისა და განქორწინების თავისუფლებაში, მეუღლეთა თანასწორობაში, ბავშვის უფლებების საუკეთესოდ დაცვის ვალდებულებაში და ოჯახის წევრების უფლებების დაცვაში. საოჯახო სამართლის ნორმებით დადგენილი უფლება-მოვალეობათა თავისებურება განაპირობებს სასამართლოს მეშვეობით ამ უფლებათა დაცვის მოწესრიგების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე კარით გათვალისწინებულ განსხვავებულ წესს.

ნაშრომის მიზანია საოჯახო დავათა განხილვის თავისებურებათა განხილვა უპირატესად მტკიცების პროცესის კუთხით.

2. ზოგადად მტკიცების პროცესის შესახებ

მტკიცების პროცესს სამოქალაქო საპროცესო სამართალში ცენტრალური ადგილი აქვს დაკავებული, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან სამოქალაქო დავის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია მტკიცებით საქმიანობაზე.

სასამართლო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმების და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა.[2] მტკიცების საგანი სამოქალაქო პროცესში სარჩელის საფუძვლისა და შესაგებლის იურიდიული ფაქტების ერთობლიობაა, რომელზედაც მიუთითებს მატერიალური სამართლის ნორმა.

მტკიცებით საქმიანობა რამდენიმე სტადიისაგან შედგება, კერძოდ: მტკიცების საგნის განსაზღვრა, მტკიცებულებათა შეგროვება, მტკიცებულებათა შეფასება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლის პირველი ნაწილით, მხარეთა მტკიცებითი საქმიანობა ეფუძნება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპს, რაც ნიშნავს მხარეთა უფლებას (ამავდროულად ვალდებულებას[3]), მოთხოვნის საფუძვლად მიუთითონ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებზე და ამ ფაქტების დასამტკიცებლად წარადგინონ მტკიცებულებები.

ყველაზე მოკლედ მტკიცება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისათვის იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების საქმიანობა.[4] მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს[5]. მტკიცებითი საქმიანობა პრაქტიკულად იგივე წესით ხორციელდება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლით.[6]

სასამართლოს როლი მტკიცებით საქმიანობაში შეზღუდულია და მისი აქტიურობის ფარგლებს განსაზღვრავს სსსკ მე-4 მუხლის მეორე ნაწილი, რომლითაც საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს (მაგ. სსსკ 103-ე, 128-ე, 203-ე მუხლები და სხვ.). კანონის ეს დანაწესი გამორიცხავს

---

[1]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

[2]თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, თბილისი, გვ.208; შდრ. შ.ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2012, თბილისი,, გვ.206-209; თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 1 ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 262

[3] მხარეთა მოვალეობებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, 2005, თბილისი, გვ.144-147

[4] თ. თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბილისი, 2011, გვ.204

[5] სუსგ ას-1294-1214-2015 27 ივნისი, 2016 წელი.

[6] ნ. ხოფერია, მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული 75, გვ. 340-347

სასამართლოს სრულ პასიურობას და ადგენს სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოებას უპირატესად შეჯიბრებითობის პრინციპით სამძებრო ელემენტების შეზავებით.[1]

როგორც წესი, სასამართლო მტკიცების ტვირთის მატარებელი არ არის, მაგრამ დავის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის ნორმის მოცემულობიდან გამომდინარე[2] (მაგ. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით საკუთრების დაცვის მოთხოვნის უფლება მესაკუთრეს აქვს, რომლის უფლება ნივთზე უნდა დადგინდეს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებით) სასამართლოს, სწორი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, მტკიცებით საქმიანობაში ჩართვა ეკისრება.

3. მტკიცების პროცესი საოჯახო დავებში

მტკიცება საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავათა განხილვისას მტკიცების ზოგადი წესისგან რადიკალურად განსხვავებულია, რაც მტკიცებით საქმიანობაში სამძებრო პრინციპს ეფუძნება და სასამართლოს აქტიურ ჩართულობას ადგენს.

საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავათა განხილვას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს, კერძოდ:

ა. სსსკ-ის 354 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

ბ. სსსკ 355-ე მუხლით, საოჯახო დავათა განხილვისას სასამართლოს, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია მიიღოს დროებითი განკარგულება საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ზუსტად გაწერილია კანონით და მათი არსიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებენ. ამასთან, ამავე სასამართლოს უფლება აქვს შეცვალოს ან გააუქმოს მის მიერ მიღებული დროებითი განკარგულება.

გ. ამ წესით განიხილება მხოლოდ საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები და საოჯახო დავებთან სხვა სახის მოთხოვნათა გაერთიანება დაუშვებელია (სსსკ 354.2).

დ. მეუღლეთა შორის დავებზე, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს (სსკ 353-ე მუხლი).

საოჯახო საქმეთა განხილვის ერთ-ერთი ძირითად თავისებურებას მტკიცების პროცესში სასამართლოს აქტიური ჩართულობა წარმოადგენს. „აქედან გამომდინარე, სასამართლოს, რომელიც იხილავს საოჯახოსამართლებრივ დავას მინიჭებული აქვს უფლება, თვითონ თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება“.[3] ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სახის საოჯახოსამართლებრივ დავებში მტკიცების პროცესის სამძებრო (ინკვიზიციური) ხასიათი განსხვავებულად ვლინდება.

საკასაციოს სასამართლოს განმარტებით, სსსკ 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება ამავე კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია: ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად. საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს აძლევს უფლებას, „წარმართოს საქმის წარმოება“, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგზე. სასამართლომ საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები.

---

[1] დაწვრილებით სამძებრო პრინციპის შესახებ იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, თბილისი, გვ. 84; თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 1 ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 89; ი. გაგუა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ინოვაციური განაწილების თავისებურებათა ანალიზი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ #3. 2010 წ. გვ. 77

[2] თ. თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბილისი, 2011, გვ. 307-310

[3] ი. გაგუა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ინოვაციური განაწილების თავისებურებათა ანალიზი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ #3. 2010 წ. გვ. 76.

სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს. შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა აქ დგება ამ ორი პრინციპის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპების პროპორციის საკითხი. ამიტომაც, შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოს უკიდურესი პასიურობა. საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს არ ერთმევა უფლება, შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.[1]

ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება საოჯახო დავების განხილვის თავისებურებიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის თაობაზე. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება იმ დასაბუთებას, რომ საოჯახო საქმეების განხილვისას, სხვა სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ იძლევა მის მიერ სარჩელზე უარის თქმის ვარაუდის საფუძველს, ვინაიდან სასამართლომ თავად უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას. სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვის გამო, მოპასუხის მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა არ წარმოშობს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების აღიარებისა და სარჩელის ცნობის ვარაუდს. ამიტომ სასამართლომ გამოუცხადებელი მხარის გარეშე, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საოჯახო საქმე. თუ საქმის მასალები არ იძლევა დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს შესაბამისი მტკიცებულებები, გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის და მოცემულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით ყველა მტკიცებულების მოპოვების შემდეგ არსებითად გადაწყვიტოს დავა, ჩვეულებრივი და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით.[2]

ამდენად, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვაში. მითითებული დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIII თავიდან, რომელიც აწესრიგებს რა საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს, 354-ე მუხლის პირველი პუნქტით ადგენს, სასამართლოს ვალდებულებას, აქტიურად ჩაერთოს მტკიცებით საქმიანობაში. უფრო მეტიც, სასამართლო კანონით გათვალისწინებულ (მათ შორის ბავშვის უფლებების დადგენის) შემთხვევებში, ამავე კოდექსის 354-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მიიღოს დროებითი განკარგულებაც, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამონაკლისს წარმოადგენს და უზრუნველყოფს ამ სფეროში უფლებების დარღვევაზე სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას.

საოჯახო დავებში მტკიცებითი საქმიანობის წესის თვალსაჩინოებისთვის მიზანშეწონილია, განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკა ისეთ დავებთან დაკავშირებით, რომლებიც პრაქტიკის ანალიზით უფრო ხშირია, კერძოდ, ბავშვის უფლებებთან და ალიმენტის გადახდის დაკისრებასთან დავებზე მტკიცების საკითხები.

3.1 მტკიცება ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე

სსსკ 354-ე მუხლით გათვალისწინებული სამძებრო პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული დავის განხილვისას. ბავშვთა ინტერესების უპირატესი დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, რაც ავალდებულებს სახელმწიფოს იმპერატიული რეგულაციებით მაქსიმალურად აღმოფხვრას ბავშვთა უფლებების დარღვევა.

ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას, რომლებიც ეხებათ ბავშვებს ან ბავშვთა ჯგუფებს. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება - მთავრობამ, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელობამ თუ თვით ოჯახმა. კონვენცია მხედველობაში იღებს რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“, ადგენს სახელმწიფოების ვალდებულებას ცხოვრების სათანადო დონის შექმნაზე, ხოლო ოჯახურ გარემოს

[1] სუსგ 2016 წლის 6 ივლისის #-ას-53-51-2016 განჩინება

[2] ი. გაგუა „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“ თბილისი, 2013, ფ. ბასილაია, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, „მართლმსაჯულება და კანონი“ 2009 წ. #4

მოკლებული ბავშვისათვის განსაკუთრებულ მფარველობასა და დახმარებაზე (კონვენციის მე-20, 27-ე მუხლები). აღსანიშნავია კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

ბავშვის ინტერესების დაცვისას სრულად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომლითაც ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ბავშვის საცხოვრებელ გარემოს ეხებოდა მიუთითა, რომ სასამართლო აღიარებს რომ ასეთი საკითხის გადაწყვეტისას, ადგილობრივი სასამართლოები აწყდებიან ისეთ ამოცანას, რომელიც ძალიან რთულად გადასაწყვეტია. მათი მხრიდან მკაცრი, მოუქნელი პროცედურების დაცვის მოთხოვნა, უფრო მეტ პრობლემებს წარმოშობს. ამიტომ, მათ უნდა მიეცეს ფართო დისკრეციული მოქმედების საშუალება ასეთი საკითხების გადაწყვეტისას.[1] იგივე მოსაზრებაა გამოთქმული ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში,[2] რომლებითაც კანონით დადგენილი მშობლისა და სხვა კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების საწინააღმდეგოდ პრიორიტეტი ბავშვის ინტერესს ენიჭება, თუკი კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ამა თუ იმ გარემოდან მოცილება ან მის ცხოვრების წესის შეცვლის აუცილებლობა და უკეთესობა მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის.

ევროპულმა სასამართლომ ერთერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასება ევროსასამართლოსაგან მოითხოვს, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს მოწმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს); აგრეთვე დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მიეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.[3]

საქართველოს სასამართლოს პრაქტიკით, ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მტკიცებით საქმიანობა სასამართლოს აქტიური ჩართულობით ხორციელდება. [4]

სასამართლო პრაქტიკით, არასრულწლოვანის ქონებრივი უფლებების დარღვევისას, მაშინაც, როდესაც ეს დარღვევა მშობლებისაგან მომდინარეობს, უნდა იმოქმედოს სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავისი ინიციატივით განესაზღვრა საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დადგენის შემდეგ ჩამოეყალიბებინა მიკუთვნებითი მოთხოვნა და ისე განესაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებსაც პასუხი უნდა ეგოთ სარჩელზე (სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი). გარდა ამისა, მას შეეძლო, თვითონ გამოეთხოვა მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.[5]

ამდენად, არასრულწლოვანის უფლებებთან დაკავშირებული საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო არ არის შეზღუდული შეჯიბრებითობის პრინციპით, მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ. კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით სასამართლომ უნდა იმოქმედოს სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპით - თავისი ინიციატივით ყოველმხრივ და სრულად უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ფაქტები, რაც ბავშვის უფლებებზე გავლენას ახდენს და შეუქმნის მყარ რწმენას, რომ მიღებული გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილია ბავშვის დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვა.

3.2. ალიმენტის გადახდის დაკისრება

არასრულწლოვანის რჩენისათვის ალიმენტის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს შეუძლია მიმართოს საოჯახო დავების განხილვისათვის კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებას, მათ შორის მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით.

---

[1] **CASE OF W. v. THE UNITED KINGDOM –** *Application no.9749/82;* 8 July 1987

[2] **CASE OF KEEGAN v. IRELAND –** Application no.16969/90; 26 May 1994; **CASE OF CHEPELEV v. RUSSIA** - (Application no.58077/00; 26 July 2007

[3] Case of Johansen v. Norway, 24/1995/530/616; Case of N.TS. and others v.Georgia (Application no.71776/12)

[4] სუსგ 2015 წლის 9 ოქტომბრის #ას 476-450-2014 განჩინება

[5]სუსგ 2016 წლის 20 მაისის # ას-1221-1146-2015 განჩინება

სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის თანახმად, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ ყველა გარემოება ობიექტურად უნდა შეაფასოს და მშობელს (მიუხედავად იმისა, თუ როდის დადგინდა ბავშვის წარმომავლობის შესახებ ფაქტი[1]) კანონით დადგენილი ვალდებულება - არასრულწლოვანის რჩენა უნდა დააკისროს. მშობელს შვილის სარჩენი ალიმენტი ბავშვის აღზრდისა და რჩენის საჭიროების მიხედვით უნდა დაეკისროს და არა მშობლის ფინანსური მდგომარეობის პროპორციულად.

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით, კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.[2]

ერთ-ერთ საქმეში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საოჯახო საქმეთა განხილვისათვის სასამართლოს აქტიურ როლს აკისრებს, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის შესაძლებლობა - წარმოედგინა მოპასუხის, როგორც გადასახადის გადამხდელის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. სასამართლოს შეეძლო თავადაც მიეღო გადაწყვეტილება სადავო მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობდა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენას.[3]

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის გათვალისწინებით, სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. მითითებული ნორმის ანალიზი გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ალიმენტის ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.

დასკვნა

სამოქალაქო დავათა განხილვისას სასამართლოს როლი მტკიცებით საქმიანობაში შეზღუდულია. მტკიცების პროცესი მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპით - მხარეები თვითონ უნდა დაამტკიცონ მათ მიერ მითითებული ფაქტები და წარმოადგინონ ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

მტკიცების ზოგადი წესისგან რადიკალურად განსხვავებულია საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავათა განხილვისას იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების წესი, რაც მტკიცებით საქმიანობაში სამძებრო პრინციპს ეფუძნება და სასამართლოს აქტიურ ჩართულობას ადგენს. სსსკ 354-ე მუხლით სასამართლოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, საოჯახო დავათა თავისებურებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩაერთოს მტკიცებით საქმიანობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 352-ე და 354-ე მუხლებით კანონი გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზად მხარის მიერ მტკიცებულების წარუდგენლობაზე მითითებას და სასამართლოს უფლებას აძლევს, თავისი ინიციატივით დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებანი და გამოითხოვოს მტკიცებულებანი.

ლიტერატურა:

თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005,

თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 1 ნაწილი, თბილისი, 2014.

შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2015

თ. თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბილისი, 2011.

ნ. ხოფერია, მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული 75, თბილისი, 2004.

[1]სუსგ 2011 წლის 31 მაისის #ას 2-2-2011 განჩინება

[2]სუსგ 2011 წლის 27 ივნისის #ას-58-49-2011 განჩინება, სუსგ 2015 წლის 21 მაისის # ას-218-205-2015 განჩინება

[3]სუსგ 2014 წლის 20 ოქტომბრის #ას-204-191-2014 განჩინება

ი. გაგუა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ინოვაციური განაწილების თავისებურებათა ანალიზი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2010 წ. #3

ი. გაგუა „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“ თბილისი, 2013.

ფ. ბასილაია, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2009 წ. #4

სასამართლო გადაწყვეტილებები

CASE OF W. v. THE UNITED KINGDOM – *Application no.9749/82;* 8 July 1987

CASE OF KEEGAN v. IRELAND – Application no.16969/90; 26 May 1994;

CASE OF CHEPELEV v. RUSSIA - (Application no.58077/00; 26 July 2007

Case of Johansen v. Norway, 24/1995/530/616;

Case of N.TS. and others v.Georgia (Application no.71776/12)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის #2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სუსგ 2016 წლის 6 ივლისის # ას-53-51-2016 განჩინება

სუსგ 2015 წლის 9 ოქტომბრის #ას 476-450-2014 განჩინება

სუსგ 2011 წლის 27 ივნისის #ას-58-49-2011 განჩინება,

სუსგ 2015 წლის 21 მაისის #-ას-218-205-2015 განჩინება

სუსგ 2014 წლის 20 ოქტომბრის #-ას-204-191-2014 განჩინება

სუსგ 2016 წლის 20 მაისის # ას-1221-1146-2015 განჩინება

სუსგ 2016 წლის 27 ივნისის #-ას-1294-1214-2015 განჩინება

Nunu Kvantaliani

Gori State Teaching University

THE PECULIARITY OF A PROOF PROCESS IN FAMILY DISPUTES (ANALYSIS OF COURT PRACTICE)

RESUME

When discussing the civil dispute the role of court in the proof business is limited. Generally, the proof process is held through competition principle – parties should prove the submitted facts themselves and present the appropriate evidence.

The discussion and proof of family disputes is drastically different from general rule of proof, it is based on prosecution principle and the court gets actively involved in it. Based on peculiarities of family disputes, according to article 354 of civil procedure code of Georgia, the court has the discrete right to get involved in proving activity. According to articles 352 and 354 of civil procedure code the law excludes to satisfy the claim if the reason for declining the claim is the absence of evidence, and gives the right to the court to find out the circumstances and ask for evidence. The mentioned ensures the defence of rights, guaranteed by the Family Constitution, and creates appropriate legal guarantees for them.

ქეთევან კვინიკაძე
ახალი უმაღლესი სასწავლებელი

კონსტიტუციური რეგულირების ფარგლები მუნიციპალურ დონეზე საარჩევნო უფლების მოწესრიგებასთან დაკავშირებით

„კონსტიტუცია ჩვეულებრივი კანონისაგან იმის გამოა განსხვავებული, რომ მას მხარს უჭერს და ეთანხმება მთელი ხალხი და იგი ფაქტობრივად ან თეორიულად მაინც, მისაღები შეთანხმებაა საზოგადოების შემადგენელი მთელი ხალხისათვის.“[1] „კონსტიტუცია არის საზოგადოების მცდელობა შეიზღუდოს თავი იმ ღირებულებების დაცვით, რომლებიც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მისი მეშვეობით საზოგადოება თვითონ იბორკავს ხელებს, რათა არ გამოიჩინოს სისუსტე და ძირი არ გამოუთხაროს იმ ღირებულებებს, რომელსაც ასე სათუთად უვლიდა. კონსტიტუცია საზოგადოების მცდელობაა დაიცვას თავი საკუთარი თავისაგან.“[2] საქართველოს კონსტიტუციაც, რომელიც ასევე მთელი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს, უარს აცხადებს უცხოელისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებაზე. გამომდინარე იქედან, რომ სამყარო თანდათან უფრო და უფრო მობილური ხდება, ამდენად სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა: ხომ არ არის დრო, რომ გადაიხედოს ზოგიერთი უფლება ისე, რომ მისით სარგებლობის შესაძლებლობა გარანტირებულ იქნეს არა მარტო მოქალაქისათვის, არამედ უცხოელისთვისაც? ამ კითხვაზე საზღვარგარეთის ქვეყანათა უმეტესობამ დადებითი პასუხი გასცა, რის შედეგადაც მათი ქვეყნის ძირითად კანონებში გაჩნდა ჩანაწერები უცხოელთათვის ადგილობრივ დონეზე აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით (ეს უფლება ძირითადად მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისთვისაა გარანტირებული). ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ არ გამართულა საპარლამენტო დისკუსია, თუმცა უცხოელისათვის აქტიური მუნიციპალური საარჩევნო უფლების მინიჭების თემატიკა ასე თუ ისე აქტუალურია იურიდიულ წრეებში, საარჩევნო კორპუსის ამ გზით გაფართოების მომხრეები ძირითადად აღნიშნული საკითხის დასასაბუთებლად თეორიულ მომენტებს უფრო მიმართავენ (ადამიანის უფლებათა კუთხით ნამდვილად ანგარიშგასაწევი და დასაბუთებული პოზიციაა გამოხატული, თუმცა უფლება, რომელიც თავისი შინაარსით პოლიტიკურია, სხვა კუთხითაც მოითხოვს კვლევას) და ნაკლებად ახორციელებენ კვლევას სამომავლოდ მოსალოდნელ პრაქტიკულ შედეგებთან დაკავშირებით.

რამდენად არის უცხოელისათვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ სხვა ქვეყანაში საარჩევნო უფლების ქონა და წარმოადგენს თუ არა მისი უქონლობა სახელმწიფოს მხრიდან პირისათვის ცხოვრების ღირსეული პირობებით უზრუნველყოფაზე უარის თქმას? შესაძლოა, ერთ დღესაც შეიცვალოს ხალხის ნება და დღის წესრიგში დადგეს საკითხი უცხოელისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევისათვის ნაშრომში წარმოვადგინე ის საარჩევნო ცენზები, რომელთა დაკმაყოფილებამაც უცხოელს საარჩევნო უფლება უნდა წარმოუშვას. ნაშრომის ეს თავი შესაძლო სამომავლო ცვლილებების არასრული წინასწარი სამართლებრივი შეფასებაა.

საყოველთაო საარჩევნო უფლება - საარჩევნო უფლება ყველასთვის? „შექმნილი“ უფლებების გარდა, რომლებიც პოზიტივიზმის თეორიის შედეგია, არსებობს ბუნებითი უფლებებიც, რომლებიც ადამიანს თავისთავად ეკუთვნის. საარჩევნო უფლება არის სახელმწიფოს მიერ „მოგონილი“ უფლება თუ უბრალოდ ადამიანის თანდაყოლილი უფლების - არჩევანის თავისუფლების საკანონმდებლო დახვეწა? ნებისმიერი უფლების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, მისი რეალიზაციის ლოგიკურ შეზღუდვებს დაქვემდებარება, ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიაა და ეს არ აკნინებს ამ უფლებას. საკუთრების უფლების, როგორც ოდითგანვე ადამიანის ყველაზე უფრო „მოთხოვნადი უფლების“, გარკვეული დოზით ვალდებულებად ქცევა, არ უკარგავს უფლებას აბსოლუტურ ხასიათს და მას არც ბუნებით წარმომავლობას ართმევს. საარჩევნო უფლება, როგორც პოლიტიკური უფლება, განსხვავებული მოწესრიგების საგანია თითოეულ ქვეყანაში. იგივე შეიძლება ითქვას საკუთრებაზეც. მოწესრიგების განსხვავება თვალშისაცემი არამოქალაქე პირების მიმართ კონსტიტუციური უფლებების რეალიზების დროს ხდება. ზოგიერთი უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადია, როგორც წესი, უცხოელებს შეზღუდული აქვთ ან საერთოდ არ აქვთ სხვა ქვეყანაში მათით სარგებლობის შესაძლებლობა. ეს შეზღუდვები არ ეხება მხოლოდ საკუთრების ან საარჩევნო უფლებას, თუმცა აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ ყველაზე „მოთხოვნადი“ მაინც ამ უფლებათა რეალიზაციის შესაძლებლობის მინიჭებაა.

---

[1] შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 21.
[2] Erwin Chemerinsky, Constitutional Law, Principles and policies, Fifth Edition, Wolters Kluwer, 2015, 15.

საარჩევნო უფლება საყოველთაოა, მაგრამ არა ყველასათვის. არავინ დავობს იმაზე, რომ ადამიანები თანასწორნი არიან კანონის წინაშე, მაგრამ უხეშად რომ ვთქვათ, მოქალაქე უფრო თანასწორია მისი ქვეყნის კანონის წინაშე, ვიდრე უცხოელი და ეს ლოგიკურიცაა. „კანონმდებელი არ ესწრაფვის ტოტალურ თანასწორობას. თანასწორობის პრინციპის მოქმედება შეზღუდულია რეალური სინამდვილის საგნობრივი მოცემულობებით.“[1] მოქალაქესა და არამოქალაქეს შორის უფლებრივი მდგომარეობის განსხვავების აუცილებლობა სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილ თუ დახვეწილ უფლებებში, ისევ და ისევ ამ სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით არის განპირობებული. საარჩევნო უფლების სწორი გაგება, მისი მნიშვნელოვნების გააზრება დაგვეხმარება გავიგოთ უცხოელთათვის აღნიშნული უფლების რეალიზაციის შეზღუდვის ლოგიკური სამართლებრივი საფუძვლები და ის მიზნები, რასაც ასეთი შეზღუდვა ემსახურება.

საარჩევნო უფლება საყოველთაოა, რაც გულისხმობს მის ხელმისაწვდომობას საამისოდ დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. საარჩევნო უფლების საყოველთაო ხასიათი მდგომარეობს მის ბუნებაში, რომ არცერთი პირი არ შეიძლება რაიმე ნიშნით გამოირიცხოს იმ პირთა წრიდან, რომლებიც სარგებლობენ ასეთი უფლებით ანუ არსებითად თანასწორ პირთა მიმართ არ განხორციელდეს განსხვავებული მოპყრობა.

საზღვარგარეთის ქვეყნების გარკვეული ნაწილი, ისევე როგორც საქართველო, საყოველთაო საარჩევნო უფლებას არ აქცევს აბსოლუტურად საყოველთაოდ. პირველ რიგში, ამით ხდება ხაზგასმა სახელმწიფოებრიობაზე და მის მოქალაქეთა უფლებაზე - გარეშე ძალთა „დახმარების“ გარეშე მოაწესრიგონ საკუთარი ქვეყნის და, შესაბამისად, მათი ცხოვრება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი სამყარო სულ უფრო და უფრო მობილური ხდება. ადამიანები ტოვებენ მათ ქვეყნებს სხვადასხვა მიზეზით და რაც უფრო ხანგრძლივია ეს „განშორება“, მით უფრო მეტია მოთხოვნილება, რომ რაც შეიძლება მაქსიმალური კომფორტი შეიქმნან მათ ახალ ადგილსამყოფელზე. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში კი მხოლოდ არჩევნების გზითაა შესაძლებელი გაიუმჯობესო შენი მდგომარეობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა მოწესრიგებაც სახელმწიფოს კომპეტენციას განეკუთვნება. ყველა სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია ღირსეული ცხოვრების პირობები შეუქმნას არა მხოლოდ თავის მოქალაქეებს, არამედ მის ქვეყანაში მცხოვრებ ნებისმიერ პირს. მმართველობის დეცენტრალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, რაც მუნიციპალურ დონეზე მოქალაქეებთან (ზოგიერთ ქვეყანაში მაცხოვრებლებთან) დაახლოებულ მმართველობას გულისხმობს, ხშირ შემთხვევაში, უცხოელებს შესაძლებლობა ეძლევათ მათმა ხმამ უფრო ძლიერად და ოფიციალურად გაიჟღეროს, ადგილობრივ დონეზე მაინც.

მაშასადამე, საარჩევნო უფლება, ძირითადად, ყველასი არაა, რაც არ მოდის წინააღმდეგობაში მის საყოველთაო ხასიათთან. თითოეული ადამიანის უფლება - გააკეთოს არჩევანი, როგორც წესი, შემოსაზღვრულია იმ ქვეყნით, სადაც ის ცხოვრობს. შეუზღუდავი უფლებებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პირი მხოლოდ მოქალაქის სტატუსით თუ ისარგებლებს. უცხოელის სტატუსის ქონა კი მას გარკვეული უფლებების შეზღუდვის „თმენის ვალდებულებას“ აკისრებს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური დონის არჩევნებში კრძალავს უცხოელთა მონაწილეობას და ეს აკრძალვა შეეხება როგორც პასიურ, ისე აქტიურ საარჩევნო უფლებას. უცხოელთა საარჩევნო უფლების არსებობა წარმოადგენს კონსტიტუციური დონის აკრძალვას. საქართველოს კონსტიტუციის 101[1] -ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებზე, როგორც აქტიური საარჩევნო უფლების მატარებელ ერთადერთ სუბიექტებზე. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებიც აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის განმახორციელებელ ერთადერთ სუბიექტებად საქართველოს მოქალაქეებს მიიჩნევენ.

უცხოელთა მიმართ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დადგენა სრულიად ლოგიკური და ბუნებრივი მოვლენაა ნებისმიერი სახელმწიფოს სამართალში. ადამიანის ძირითადი უფლებების უნივერსალურობა, არ გამორიცხავს ზოგიერთი ძირითადი უფლების უცხოელთათვის იმაზე უფრო მეტად შეზღუდვას, ვიდრე ეს დასაშვებია კონკრეტული ქვეყნის მოქალაქისათვის. დღეისათვის არსებული მზარდი ტენდენცია, რომ უფლებების რეალიზაციის კუთხით უფრო მეტად შემცირდეს სხვაობა მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის, საფრთხისშემცველია. საკითხი იმდენად სენსიტიურია, რომ არამიზანშეწონილი და რისკებშეუფასებელი გადაწყვეტილების მიღებამ შესაძლოა სახელმწიფოს ზიანი მოუტანოს. მანამ სანამ არსებობს სახელმწიფოები და დადგენილია საზღვრები, მანამდე იარსებებს განსხვავებაც ადამიანთა შორის, რომლებიც ყოველთვის დაუდგენენ ერთმანეთს საზღვრებს მათ ტერიტორიაზე გარკვეული უფლებების გამოყენებაში.

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 95.

ჯერ კიდევ 1967 წელს პარლამენტთაშორისი კავშირის მიერ განხორციელებულ კვლევაში აღინიშნა: „იმისათვის, რომ გქონდეს ხმის უფლება, უნდა იყო ქვეყნის მოქალაქე. არც ერთ ქვეყანაში ხმის უფლება არ ენიჭებათ უცხოელებს.“[1] ქვეყნების განვითარების კვალდაკვალ ამ თეზისმა აბსოლუტურობა დაკარგა. სხვადასხვა სახელმწიფოებში საარჩევნო კორპუსი გაფართოვდა, რაც მასში უცხოელების ჩართვით განხორციელდა. ეს ძირითადად მუნიციპალურ საარჩევნო უფლებას შეეხება. „ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას უცხოელ რეზიდენტებს/მაცხოვრებლებს მიანიჭონ ხმის მიცემის უფლება იმ დათქმით, თუ ისინი აკმაყოფილებენ იმ წინაპირობებს რა წინაპირობების დაკმაყოფილებაც მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლებას წარმოუშობს და თუკი ისინი არჩევნების დანიშვნის დღემდე ქვეყანაში კანონიერად ცხოვრობენ. აქვეა გაკეთებული დათქმა აღნიშნული ვალდებულებიდან გადახვევის შესახებ მე-9 მუხლის 1-ლ პუნქტზე მითითებით, რომელიც საშუალებას იძლევა შეიზღუდოს უცხოელის საარჩევნო უფლება ომის ან იმ შემთხვევებში, როცა საფრთხე ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას (ხალხის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას), თუმცა ეს შეზღუდვა შეუთავსებელი არ უნდა იყოს მხარის სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან.[2]

უცხოელისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების გარანტირება როგორც წესი კონსტიტუციურ დონეზე მოწესრიგებული საკითხია, ვგულისხმობ იმას, რომ ჩანაწერი ამის შესახებ კონსტიტუციაშივეა, რაც მის მაღალ მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს. რიგი სახელმწიფოების ძირითად კანონებში უცხოელთა საარჩევნო უფლება კონკრეტული შემზღუდველი პირობების გარეშე იქნა ჩაწერილი.

მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობა უცხოელთათვის გარანტირებულია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: არგენტინა, ავსტრალია, ბარბადოსი, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, ბულგარეთი, ჩილე, კოლუმბია, ესტონეთი, იტალია, ლიტვა, ლატვია, ესპანეთი, ურუგვაი, პორტუგალია, ნიდერლანდები, ფინეთი, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი.[3] აკრძალვას ვხვდებით შემდეგ ქვეყნებში: იაპონია, უკრაინა, საქართველო. კანადაშიც ფედერალურ დონეზე არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მოქალაქეებისათვისაა გარანტირებული. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ქვეყანათა უმეტესობა მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის ახდენს მუნიციპალური საარჩევნო უფლების გარანტირებას.

აღნიშნულ ქვეყანათა უმეტესობა მოითხოვს შესაბამის რეზიდენტობის ცენზს საარჩევნო უფლების წარმოშობისათვის, რომელიც ან 3 ან 5 წელია. ენისა და სამართლის საფუძვლების ცოდნის ცენზი მხოლოდ რამდენიმე მათგანშია. აღნიშნული ქვეყნების უმეტესობა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ადგენს საარჩევნო უფლებას, ზოგიერთმა ქვეყანამ კი არაკავშირი წევრი ქვეყნების მოქალაქეებითაც „გაამდიდრა“ საარჩევნო კორპუსი, ასეთია მაგალითად ბელგია, სადაც ევროკავშირის რეზიდენტებს პირველად 1994 წელს მიეცათ საარჩევნო უფლება, 2004 წელს კი იგი არაკავშირი წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვისაც გახდა გარანტირებული, თუმცა ბინადრობის 5 წლიანი ცენზის დაკმაყოფილებით. ისინი სარგებლობენ მხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლებით. ფორმალურად დებენ ფიცს, ხელს აწერენ კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციას, რომ დაიცავენ მათ. აღნიშნული, რა თქმა უნდა, სიმბოლური გამოხატულებაა იმისა, რომ ქვეყნის „სიკეთეს“ უცხოელმაც „სიკეთითვე“ უპასუხოს. უნდა აღინიშნოს ბრაზილიის, ასე რომ ვთქვათ, დუალისტური მიდგომა ამ საკითხისადმი, კერძოდ, ბრაზილიის კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პარაგრაფი უცხოელებს და სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირებს მათი სამსახურის პერიოდში გამორიცხავს საარჩევნო უფლებიდან, თუმცა მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი იქვე ადგენს, რომ ბრაზილიის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პორტუგალიის მოქალაქეები სარგებლობენ ბრაზილიელების მსგავსი უფლებებით თუ ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ბრაზილიელების მიმართ, გარდა კონსტიტუციით

---

[1] ჭიღლაძე ნ., უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, ჟურნალი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“, სტატიათა კრებული, თბილისი 2011, 303, იხ. ციტირება: П. Кожемякин, Избирательное право зарубежных стран, Днепропетровск, 2007,10.

[2] Convention on the Participation of Foreigners in Public Life at Local Level, Strasbourg, 5.II, 1992, Article 6.1 - Each Party undertakes, subject to the provisions of Article 9, paragraph 1, to grant to every foreign resident the right to vote and to stand for election in local authority elections, provided that he fulfils the same legal requirements as apply to nationals and furthermore has been a lawful and habitual resident in the State concerned for the 5 years preceding the elections; Article 9.1 - In time of war or other public emergency threatening the life of the nation, the rights accorded to foreign residents under Part I may be subjected to further restrictions to the extent strictly required by the exigencies of the situation, provided that such restrictions are not inconsistent with the Party's other obligations under international law.

[3] ამასთან დაკავშირებით იხ. ჭიღლაძე ნ., უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, ჟურნალი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“, სტატიათა კრებული, თბილისი, 2011, 298-300.

გათვალისწინებული შემთხვევებისა.[1] იაპონიის კონსტიტუცია, რომელიც კრძალავს უცხოელთა საარჩევნო უფლებას, ამის მიზეზად უცხო ხმების ქვეყნის საწინააღმდეგოდ გამოყენებას ასახელებს. გარდა ამისა, თუკი შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა წინააღმდეგია, რაც რეფერენდუმის გზით დგინდება, ხელისუფლება ვერ მიიღებს ამ ტერიტორიასთან დაკავშირებულ სპეციალურ კანონს.[2]

როგორც შესავალში აღინიშნა, აღნიშნული თავის მიზანია იმ სამართლებრივი წინაპირობების შემოთავაზება, რომელთა დაკმაყოფილებაც უცხოელთათვის სამომავლოდ საარჩევნო უფლების მიღების გარანტია გახდება. დღეისათვის თემის ან ნაწილის მნიშვნელობა ნაკლებად რელევანტურია, თუმცა თუკი დღის წესრიგში მაინც დადგა ეს საკითხი, წინამდებარე ცენზები უნდა იყოს ის მინიმუმი, რომელთა დაკმაყოფილებაც არამოქალაქისათვის „შექმნის“ ამ უფლებას. შემოთავაზებული ცენზები, ვფიქრობ, გარკვეულწილად მაინც შეამცირებს იმ რისკებს, რაც უცხოელებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებამ შეიძლება წარმოშვას, რადგან თუკი უცხოელი საბოლოოდ, ერთ დღესაც, მაინც მიიღებს საარჩევნო უფლებას, მაშინ მისი მიღება არ უნდა მოხდეს ისე მარტივად, როგორც ეს მთელ რიგ ქვეყნებშია, არამედ უფლების მიღების სტანდარტი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მაღალი.

საარჩევნო ცენზები არის კანონით დადგენილი შეზღუდვები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობის წინაპირობებს განსაზღვრავენ. თუკი პირი ვერ აკმაყოფილებს რომელიმე საარჩევნო ცენზს, მაშინ იგი გამოირიცხება საარჩევნო უფლებიდან. უცხოელთათვის მუნიციპალურ დონეზე საარჩევნო უფლების მინიჭების შესაძლებლობაზე მსჯელობისას, ბინადრობის ცენზის, როგორც უფლების წარმომშობი ერთ-ერთი ფაქტორის განხილვა აუცილებელია. „ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ“ კონვენციაში უცხოელებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების პირობად ხაზგასმულია ბინადრობის მოთხოვნა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.“[3] ბინადრობის ცენზი სრულიად ლოგიკური მოთხოვნაა სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების კუთხით, რამდენადაც პირს სულ მცირე რამდენიმე წელი მაინც სჭირდება იმისათვის, რომ გაიგოს შესაბამისი ქალაქის სპეციფიკა, მისი პრობლემები. მას რეალური წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმ პრობლემებზე, რაც ადგილობრივ დონეზე არსებობს.

საარჩევნო უფლების მიღებისას მსჯელობა მხოლოდ აქტიურ და არა პასიურ საარჩევნო უფლებას უნდა შეეხოს. პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაცია მუნიციპალურ დონეზეც კი გამორიცხული უნდა იყოს უცხოელთათვის, რადგან ეს სახელმწიფო მმართველობაში თანდათან უცხო ელემენტების შესვლას გამოიწვევს, არსებობს საფრთხე, რომ ეს რაოდენობა გაიზრდება, არსებობს საფრთხე, რომ შემდგომი საარჩევნო უფლება გასცდება მუნიციპალურ დონეს და უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლებს, ეს კი საფრთხისშემცველია ქვეყნისათვის.

და მაინც, რამდენწლიანი ბინადრობის ცენზია საკმარისი ადგილობრივ დონეზე აქტიური საარჩევნო უფლების მისანიჭებლად? „ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ“ კონვენციით 5 წლიანი ცენზია შემოთავაზებული, კერძოდ უცხოელი შესაბამის სახელმწიფოში მიმდინარე არჩევნებამდე 5 წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს. ვფიქრობ, საარჩევნო უფლება მხოლოდ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით, მუდმივ ბინადრობის ნებარვას იღებს პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქის მეუღლე, მშობელი და შვილია. ასევე პირი, რომელმაც საქართველოში ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ბოლო 6 წლის განმავლობაში იცხოვრა, რა ვადაშიც სწავლის და მკურნალობის, ასევე დიპლომატიური მუშაობის პერიოდი არ ითვლება. მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელსა და შვილზე, ლოგიკურია, თუმცა ის ავტომატურად არ უნდა წარმოადგენდეს აქტიური საარჩევნო უფლების მოპოვების წინაპირობას. ბინადრობის ცენზის გარდა იგი სხვა ცენზებსაც უნდა აკმაყოფილებდეს და მარტოოდენ ფაქტი იმისა, რომ პირს მუდმივი ბინადრობის ნებართვა აქვს, არ უნდა წარმოშობდეს საარჩევნო უფლებას. მუხლის ჩანაწერის მიხედვით, ბინადრობის ნებართვას იღებს პირი, რომელიც ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში. ამ შემთხვევაშიც, მუდმივი ბინადრობის ნებართვის ფლობა ავტომატურად არ უნდა იწვევდეს საარჩევნო უფლების წარმოშობას. სრულიად შესაძლებელია, პირი ბოლო 6 წელი ცხოვრობდეს საქართველოში, თუმცა არ ფლობდეს ენას, არ ჰქონდეს წარმოდგენა სამართლის საფუძვლებზე და ვერ აცნობიერებდეს

---

[1] ბრაზილიის კონსტიტუცია იხ. ვებგვერდზე: www.web.mit.edu, გონაშვილი ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 2007, ტ. IV.

[2] იაპონიის კონსტიტუცია იხ. ვებგვერდზე: www.japan.kantei.go, გონაშვილი, ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 2007, ტ. V.

[3] ჭიღლაძე ნ., უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, ჟურნალი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“, სტატიათა კრებული, თბილისი, 2011, 303.

იმას, თუ რა ღირებულება აქვს თუნდაც ერთ ხმას ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის განსაზღვრისათვის. რა თქმა უნდა, არათუ უცხოელს, არამედ მოქალაქესაც კი ვერ მოვთხოვთ სამართლის საფუძვლების ცოდნას, თუმცა უცხოელისათვის ამ მოთხოვნის დაწესება აუცილებელია, რადგან პირმა უნდა იცოდეს იმ „პოლიტიკური საჩუქრის“ ფასი და მისი გამოყენების შედეგები, რომელსაც მას სახელმწიფო აძლევს. შესაძლოა მოქალაქეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდეს იმაზე, თუ რა არის ადგილობრივი თვითმმართველოს არჩევნები, თუმცა მაინც მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ მისი ეს უფლება გარანტირებულია იმ ფაქტით, რომ იგი ქვეყნის მოქალაქეა და სრული უფლება აქვს მიიღოს თუნდაც გაუაზრებელი გადაწყვეტილება და „ითამაშოს“ საარჩევნო უფლებით, რისი შესაძლებლობაც ასევე აქვს უცხოელს მის ქვეყანაში, სხვა ქვეყანაში კი მისი პასუხისმგებლობა უფრო გაზრდილია, მას არ აქვს უფლება ისე გამოიყენოს „მხოლოდ მოქალაქის უფლება“, როგორც ბავშვი იყენებს სათამაშოს. შესაბამისად, ბინადრობის ცენზის დაკმაყოფილება, როგორც აქტიური საარჩევნო უფლების წარმომშობი წინაპირობა, უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: უცხოელს უნდა მიეცეს ადგილობრივი თვითმმართველოს არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ფლობს მუდმივი ბინადრობის ნებართვას, ჩაბარებული აქვს ქართული ენის გამოცდა და ფლობს სამართლის საფუძვლებს, რაც ასევე უნდა ექვემდებარებოდეს საგამოცდო შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუკი პირის მიერ მუდმივი ბინადრობის მიღების საფუძვლები ავტომატურია (ოჯახის წევრობის ფაქტი), გარდა ენისა და სამართლის საფუძვლების ცოდნისა, უცხოელი დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, შესაბამის ტერიტორიაზე ცხოვრების 5 წლიან ვადასთან დაკავშირებით. საკითხის აღნიშნული მოწესრიგება სრულიად ლოგიკურ „ტვირთს“ აკისრებს უცხოელს. ასეთი წინაპირობები არ ხდის უფლებას ილუზორულს, მარტოოდენ პოსტულატს, იგი რეალიზებადი უფლებაა.

ბინადრობის ცენზი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უცხოელმა საარჩევნო უფლება მოიპოვოს. მხოლოდ ცხოვრების ფაქტი ვერ იქნება საკმარისი პირობა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ამისათვის დამატებით აუცილებელია იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნა, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს პირი. ამ ცენზის მოწესრიგებაზე შესაძლოა გავავრცელოთ მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები მოქალაქეობის მინიჭების აუცილებელ წინაპირობებთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი წინაპირობაცაა დადგენილ ფარგლებში სახელმწიფო ენის ცოდნა. სულ მცირე ამომრჩეველი მისთვის სასურველი კანდიდატის გვარს მაინც უნდა კითხულობდეს. გარდა ამისა, პირის მონდომება ისწავლოს იმ ქვეყნის ენა, სადაც ცხოვრობს და მაქსიმალურად კარგად გაერკვეს გარემოში, კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მის სურვილს, რომ თავი შესაბამისი ქვეყნის ღირსეულ წევრად იგრძნოს, რაც მოტივაციას წარმოადგენს სახელმწიფოსათვის, რომ ეს პირი კიდევ უფრო მყარი სამართლებრივი გარანტიებით აღჭურვოს. მაშასადამე, სახელმწიფო ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა ის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა უნდა იყოს, რომელიც უცხოელს საარჩევნო უფლების მოპოვების შესაძლებლობას მისცემს.

„სამართლის ცოდნა“, როგორც საარჩევნო ცენზი, გულისხმობს იმ შეზღუდვას, რომელიც უცხოელი ამომრჩევლისათვის ადგენს სამართლის საფუძვლების ცოდნის სავალდებულოობას. უცხოელი სულ მცირე იმას მაინც უნდა აცნობიერებდეს, თუ რას ნიშნავს საარჩევნო უფლება და რა შედეგების მოტანა შეუძლია მას ქვეყნისათვის, რა განსხვავებაა ადგილობრივ, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისაგან, რას „მოხმარდება“ მისი ხმა და ა.შ. ამ შემთხვევაზე შეგვიძლია გავავრცელოთ ის წინაპირობა, რაც დადგენილია მოქალაქეობის მოსაპოვებლად „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ისტორიის სავალდებულო ცოდნის გამორიცხვით, რადგან მუნიციპალური უფლების მოპოვებისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო ისტორიის ცოდნა.

საარჩევნო უფლება თავისი არსით პოლიტიკურია, რამდენადაც ის სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის მიღების გარანტიაა. საარჩევნო უფლება არ ყოფილა ყოველთვის ისეთი სახით მოცემული, როგორც ის დღესაა წარმოდგენილი. დღევანდელი სახით ფორმირებისათვის მან დიდი გზა განვლო, რაშიც თანაბრად მიიღო მონაწილეობა როგორც სამართლებრივმა, ისე პოლიტიკურმა პროცესებმა. პოლიტიკასა და სამართალს შორის ნამდვილად არსებობს გარკვეული კავშირი. „მართლწესრიგი ვერ ჩამოყალიბდება პოლიტიკისაგან თავისუფალ სივრცეში. სამართალი ვერ შეასრულებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიული რეგულატორის ფუნქციას, თუ არ გაითვალისწინა სოციალური სინამდვილისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებები. სოციალური სინამდვილის დიდი ნაწილი კი სწორედ პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება.“[1] თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოელთათვის საარჩევნო უფლების გარანტირება პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხი უფროა, ვიდრე წმინდად

[1] ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 125.

იურიდიული, მარტო უფლებრივი. თუკი მხოლოდ უფლებრივი კუთხით ვიმსჯელებთ უცხოელთა საარჩევნო უფლებაზე, ვნახავთ, რომ იგი არ წარმოადგენს არამოქალაქისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ უფლებას, ისეთს, როგორიცაა დანარჩენი უფლებები, რომლებიც იმანენტურია ადამიანისათვის მიუხედავად ადგილსამყოფლისა. მოქალაქისათვის კი ის იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც უკავშირდება მის მოქალაქედ ყოფნის ფაქტს და აღიარებს პირის კუთვნილებას კონკრეტული სახელმწიფოსადმი. არსებობს სულ რამდენიმე უფლება, რომლებიც სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, უფლებრივი თვალსაზრისით ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებს მოქალაქეობრივი ნიშნით და ეს არ არის დისკრიმინაციული. უცხოელებს ყოველთვის შეუძლიათ მათი ხმებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საარჩევნო შედეგებზე, საარჩევნო სუბიექტების მხრიდან კი ყოველთვის არსებობს ასეთი ხმებით მანიპულირების საფრთხე.

მიუხედავად მზარდი ტენდენციისა იქცეს საარჩევნო უფლება არა მხოლოდ მოქალაქის უფლებად, საქართველოს კონსტიტუციით იგი კვლავ მხოლოდ მოქალაქის უფლებად რჩება. ადგილობრივი მმართველობა რა თქმა უნდა მოქალაქეებთან დაახლოებული და იდეაში მათი მმართველობაა, თუმცა ის მაინც სახელმწიფოებრივი მმართველობაა, რომელიც ქვედა დონეზე ხორციელდება. მუნიციპალური მმართველობა საუკეთესო საშუალებაა სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის. მისი დახმარებით საჯარო უფლებამოსილებები ხორციელდება იმ ხელისუფლების მიერ, რომელიც უფრო ახლოსაა ხალხთან, რომელიც ადგილზეა. ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ პრეამბულაში განმარტავს, რომ მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის.[1] ქარტია მითითებას აკეთებს მოქალაქის უფლებაზე მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მმართველობაში.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე დღის წესრიგში ჯერ არ დამდგარა უცხოელისათვის მუნიციპალური საარჩევნო უფლების გარანტირების საკითხი, თუმცა ქართველი კონსტიტუციონალისტები თანდათან უფრო და უფრო აქტიურად განიხილავენ საარჩევნო უფლების გაფართოების საკითხს.

ბიბლიოგრაფია:

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

ანდრაშ შაიო, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003.

გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2015.

ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 2007.

Erwin Chemerinsky, Constitutional Law, Principles and policies, Fifth Edition, Wolters Kluwer, 2015.

<u>სამეცნიერო ნაშრომები:</u>

ნანა ჭიღლაძე, უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, ჟურნალი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“, სტატიათა კრებული, თბილისი, 2011.

<u>ნორმატიული მასალა:</u>

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

Convention on the Participation of Foreigners in Public Life at Local Level, Strasbourg, 5.II, 1992 („ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ“ კონვენცია)

<u>გამოყენებული ვებ-გვერდების მისამართები:</u>

www.matsne.gov.ge

www.web.mit.edu

www.japan.kantei.go

[1] ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 15.X.1985, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004 წლის #515 – IIს დადგენილებით.

Ketevan Kvinikadze
New University

THE FRAMES OF CONSTITUTIONAL REGULATION ON THE MUNICIPAL LEVEL IN CONNECTION WITH THE SETTLEMENT OF ELECTORAL RIGHT

RESUME

The theme deals with the suffrage of foreigners. Gradually it becomes more and more worldwide actual issue to provide foreigners with the same rights they have in their own country. This issue is supported in EU countries and in these countries foreigners can enjoy with suffrage. Herewith the right of vote is guaranteed not only for citizens of EU countries, but also for non-citizens. Georgia is one of the countries, that excludes the suffrage of foreigner on the constitutional level. In this topic I have tried to represent the feasible dangers with respect to creation of such right for foreigners. Because of the fact that the suffrage is the right which has moreover political nature, than legal, in consideration should be taken a lot of moments while discussing the reviewed topic. I have chosen this theme to represent because nowadays in Georgia many constitutionalists are discussing openly this issue. So, one day may will change the will of people and foreigners maybe guaranteed by suffrage. For this case I have presented the electoral censuses, which should satisfy the foreigner to gain the suffrage. Hence, this work is an incomplete preliminary legal assessment of possible future changes.

ალექსანდრე ლეკიშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პატივი და ღირსება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების გვირგვინი

ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ცნება სათავეს შორეულ წარსულში იღებს, მასზე მრავალი შეხედულება, ცნება, ფაქტი და არაერთი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი აქტია მიღებული, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ისტორიის ნაყოფია, რომელმაც მრავალჯერ იცვალა სახე, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია, მათ შორის განსაკუთრებულია პატივი და ღირსება, მიუხედავად იმისა, რომ პატივი და ღირსება სამოქალაქო უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება, იგი ადამიანის უფლებების და თავისუფლებების გვირგვინია, ყველა უფლებათა და თავისუფლებათა წყაროა, ის სახელმწიფოზე, ეროვნებასა და იდეოლოგიაზე მაღლა დგას, ერთნაირად აქვს ახალშობილსაც, ძლიერთაც და ჩამოყალიბებულ დამნაშავეთაც. იბადება კითხვა რას გულისხმობს პატივის და ღირსების თავისუფლება?

ზოგადად ფილოსოფიური გაგებით პატივი და ღირსება არის ბუნებისა და საზოგადოებრივი განვითარების კანონების შეგნების საფუძველზე სუბიექტების ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა.

პატივი და ღირსების უფლება რაიმე შეზღუდვების, შევიწროების არარსებობაა.

მსოფლიო კონსტიტუციალიზმის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ კანონმდებლობით განმტკიცებამდე პატივის და ღირსების უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობა დომინირებდა ადამიანთა შეგნებაში, იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა ადათების და ჩვევების სახით.

ცნობილი მეიგავარაკე ეზოპე (VI ს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე) ოქრო-ვერცხლზე წინ თავისუფლებას და ღირსებას აყენებდა, როცა მან უარი უთხრა ქსენფის შემოთავაზებულ წინადადებაზე - ნაშოვნი ფული გაენაწილებინათ, მან თავისუფლება და ღირსება მოითხოვა.

ალექსანდრე მაკედონელმა არ შეურაცხყო დამარცხებული დარიოსის ოჯახი, მათ წინანდელი პატივი და ღირსება შეუნარჩუნა და არ მოიქცა იმ დროსათვის გაბატონებული მოსაზრებით, რაც გულისხმობდა დამარცხებულთა ოჯახის წევრების შეურაცხყოფას, დამცირებას, სასტიკ, უხეშ და არაადამიანურ მოპყრობას.

ღირსეულად დასაფასებელია ასი ათასი ქართველის, სამასი არაგველის, ცოტნე დადიანის, ცხრა ძმა ხერხეულიძის და სხვათა თავგანწირვა. პატივი და ღირსების წარმოჩენის უბადლო მაგალითია ქართული ჭიდაობა.

თამარ მეფის ისტორიკოსების ჩანაწერები გვამცნობენ, რომ „თამარის განგების მანძილზე არავინ დაუსჯიათ ღირსების შეურაცხმყოფელი იმგვარი სასჯელით, როგორიც მათრახით ცემა, მისთვის უცხო

იყო აგრეთვე სასჯელები დაბრმავება, ასოთა მოკვეთა და დასახიჩრება, რაც ღირსებას ართმევდა პიროვნებას (აღსანიშნავია, რომ ასეთი სასჯელების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროისათვის მთელ მსოფლიოში).

არ დაუკარგავს ისტორიული მნიშვნელობა თორნიკე ერისთავის სიტყვებს: „ნურვინ გაბედავს დატყვევებულებს, რომ მიაყენონ შეურაცხყოფა, ვაჟკაცს, რომ ბედი სხვას დაამონებს დასატანჯავად ისიც ეყოფა“.

გამოუსწორებელი მოღალატე ამირას (ლიპარიტი) დავით აღმაშენებელი სიკვდილით დასჯიდა, მაგრამ ჰუმანურობის, ღირსების და გონივრული ლმობიერების პრინციპმა სახელმწიფო უშიშროების და სახელმწიფო აუცილებლობის იდეას სძლია, იგი იყო „შეცოდებულთა სამართლიანად მწურთელი“.

ჯონ ლოკი ამბობდა: „თავისუფლება ნიშნავს იყო შეზღუდვებისაგან და ძალადობისაგან თავისუფალი“.

ბერძენი ფილოსოფოსი ალკიდამი კი მიუთითებდა, რომ „ღვთაებამ ყველა თავისუფალი გააჩინა, ბუნებას მონებად არავინ შეუქმნია“.

ასეთი და მრავალი მსგავსი ფაქტები შემოგვინახა კაცობრიობის ისტორიამ, რომლებიც დაედო საფუძვლად ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, განსაკუთრებით პატივისა და ღირსების უფლების კანონმდებლობით განმტკიცებას.

მრავალი საკანონმდებლო აქტიდან, რომელთა ძალით განმტკიცებულია ეს უფლებები განსაკუთრებით გამორჩეულია **გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**, სადაც ვკითხულობთ: „ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წყარო არ არის სახელმწიფო, კანონმდებლობა ან საზოგადოება, ისინი თანდაყოლილია, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს დაფიქსირებულია თუ არა ეს უფლებები კონსტიტუციაში ან სხვა საკანონმდებლო აქტებში, ვინაიდან ჩვენი კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციაზე და კანონმდებლობაზე მაღლა დგას. ისინი წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია და არ შეიძლება შეილახოს სხვა ღირებულებებით. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის ისეთი რამ, რასაც შეიძენ, დაიმსახურებ ან მემკვიდრეობით მიიღებ, ისინი სახელმწიფოს მიერ ბოძებული წყალობა არ არის და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ, მათი დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა, ისინი ხელშეუხებელი არიან, საერთოა ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად რასის, ფერის, სქესის, ენის, სარწმუნეობის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონების წარმოშობის თუ სხვა სტატუსისა.

ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ხელშეუვალობასა და ფუნდამენტალურ მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს **„თავისუფლებათა დიდი ქარტია**“ (ინგლისი, 1215 წ.) **„არბოთის დეკლარაცია“** (შოტლანდია, 1320 წ.), სადაც განსაკუთრებულად ხაზგასმულია თავისუფლების აბსოლუტურ უფლებაზე, რომელიც დიდებაზე, სახელსა და სიმდიდრეზე უფრო მაღლა დგას. **„საქართველოს კონსტიტუცია“ მუხლი17** - 1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. 2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება; 3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფისიკური ან ფსიქიკური იძულება.

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ **მუხლი 1.** ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი თავისი ღირსებით და უფლებებით თანასწორი. **მუხლი 5.** არავის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ – **მუხლი 5** არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობას თუ სასჯელს, კერძოდ, არცერთ პირზე თუ არ იქნება მისი თავისუფალი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდის ჩატარება, არავინ არ უნდა ცხოვრობდეს დაბეჩავებულ მდგომარეობაში. **მუხლი 10.** ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია” - **მუხლი 3. წამების აკრძალვა** არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

ეს ის მოკლე ჩამონათვალია იმ მრავალ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში, რომლებიც დღემდეა მიღებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების მიმართულებით.

მითითებულ და სხვა საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. იგი დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური ღირებულებაა, პატივი და ღირსება ერთმნეთისაგან განუყოფელი ცნებებია.

„პატივი“ არის პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივი შეფასება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას კონკრეტული პირის მიმართ.

„ღირსება“ გულისხმობს პიროვნების მიერ საკუთარი თავის, მორალის თუ სხვა თვისებების სუბიექტურ თვითშეფასებას. ყველა ადამიანი თავისუფალი და საკუთარი ღირსებით და უფლებით თანასწორი იბადება. ადამიანის ღირსება მისი განუყოფელი და თანდაყოლილი თვისებაა. არ შეიძლება ადამიანის პატივის და ღირსების შელახვა გახდეს საშუალება რაიმე სხვა მიზნის მისაღწევად, რადგან ეს დაცული სფერო ხელშეუვალია.

ემანუელ კანტს მიაჩნდა, რომ თითოეული ადამიანი ფლობს ღირსებას თავისი გონიერებისა და ადამიანის მოდგმისადმი მისი კუთვნილების გამო, ყველა ადამიანი თანასწორია საკუთარი ღირსებით და ამ აზრით მათ შორის არ არის მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი ადამიანი.

ღირსების უფლების ფუნდამენტალური მნიშვნელობა იკვეთება იმითაც, რომ იგი არა მხოლოდ ნეგატიურ-დამცავი ან პოზიტიურ-მფარველობითი ძირითადი უფლებაა, არამედ მას აქტიურ-უფლებააღმჭურველი უფლების სტატუსიც გააჩნია, ვინაიდან სახელმწიფოსაგან მოითხოვს ადამიანების ელემენტარულ სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფას. ადამიანებს არ შეიძლება მიენიჭოთ მაღალი ან დაბალი რანგის სამართლებრივი სტატუსი. (კუბლაშვილი - ძირითადი უფლებები თბ. 2008 წ გვ. 89)

გამომდინარე ზემოთქმულიდან ადამიანის ღირსება შეიძლება შეილახოს ისეთი ქმედებებით, როგორიცაა მონობა, რასობრივი დისკრიმინაცია, ადამიანებით ვაჭრობა, წამება, არაჰუმანური და სასტიკი მოპყრობა, ფიზიკური სასჯელი, სისტემატური დამცირება, ფიზიკური და ფსიქიკური იძულება და სხვა.

ღირსების უფლება რაიმე შეზღუდვების, შევიწროების არარსებობაა,

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. იგი დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური ღირებულებაა.

ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. ღირსება უნივერსალური ცნებაა, იგი არის ზეიდეოლოგიური, ზენაციონალური და ზესახელმწიფოებრივი ცნება, იგი ყველა უფლებათა და თავისუფლებათა წყაროა, გვირგვინია. ღირსების სფერო არ ექვემდებარება ანგარიშგებას. არ არსებობს ინსტანცია, საკუთარი გონებისა და სინდისის გარდა, რომლის წინაშეც ადამიანმა ანგარიში უნდა წარადგინოს იმ საკითხებზე ან ქმედებებზე, რომლებიც ამ სფეროს შეეხება.

წმიდა წერილში ვკითხულობთ: „ეკრძალე თავსა შენსა“ (გალ. 6,1). ეს ნიშნავს - უპირველესად მოერიდოს ადამიანი საკუთარ თავს და არ აკადროს უკადრებელი, არ მიაყენოს შეურაცხყოფა თუ გინდ სიტყვით, თუ გინდ უკეთური საქმით; არა და ცოდვის ჩადენით ხომ უპირველესად საკუთარ თავს, ჩვენს ქრისტიანულ ღირსებას შეურაცხვყოფთ. ასე, რომ ყველა ადამიანს გააჩნია ვალდებულება, დაიცვას თავისი ღირსება უღირსობისგან და პატივი სცეს სხვის ღირსებას.

„არავის არც ცალკეულ ადამიანს, არც ჯგუფს, არც ავტორიტეტს და არც სახელმწიფოს პატივის და ღირსების შეცვლა ან გაუქმება არ შეუძლია, რადგან ისინი უშუალოდ ღვთისაგან მომდინარეობენ“ (იოანე პავლე მე-2 სამოციქულო ეპისტოლე 1988 წ.).

არ არსებობს ადამიანის ნებისმიერი, როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო, უფლება და თავისუფლება, რომლის დარღვევით არ შეილახოს მისი ღირსება.

მაგალითად: თუ ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, რასაც ვფიქრობთ, ან, თუ ჩვენ გვაიძულებენ ვთქვათ ის, რასაც არ ვეთანხმებით, ამით შეურაცხყოფენ ჩვენ ღირსებას. თუ დაუსაბუთებლად უარს გვეუბნებიან გადაადგილების თავისუფლებაზე, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებაზე, არჩევნებში და რეფერენდუმში მონაწილეობაზე, ეს ასევე შეურაცხყოფს ჩვენ ღირსებას. როდესაც ადამიანს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე უსმენენ ან ტექნიკური საშუალებებით აკვირდებიან მის პირად ცხოვრებას, ესეც მისი ღირსების შელახვაა. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანს ტელევიზორს რომ აჩუქებენ და შემწეობას მოუხსნიან, ესეც ღირსების შელახვაა, განათლებასა და მკურნალობის სახსრებს მოკლებული ადამიანიც ღირსებაშელახულია. როდესაც სასჯელმოხდილ და ნასამართლობა გაქარწყლებულს ან ნასამართლობა მოხსნილს, შეახსენებენ მის წარსულს, ესეც ღირსების შელახვაა. შეუძლებელია მაგალითად მოვიყვანოთ, ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ პროცესიალური უფლები, რომელთა დარღვევა არ შეურაცხყოფდეს

ადამიანის პატივსა და ღირსებას, ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენ ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ზოგიერთი უარყოფითი მომენტები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით, შემდგომი კონსტიტუციური კანონებით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანების უფლებების და თავისუფლებების გარანტიებს, დემოკრატიის თანამედროვე სტანდარტებს, სასამართლო რეფორმას და სხვა აქტუალურ საკითხებს, 2012 წლის არჩევნებამდე ხელისუფლებაში მყოფმა ძალებმა მეტ-ნაკლები დოზით უგულებელყვეს სამართლებრივი სახელმწიფოს თითქმის ყველა ატრიბუტი - საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლება დაექვემდებარა ერთი პოლიტიკური ძალის, ერთი პირის დიქტატს, სამართლებრივი აქტები მორგებული იყო ხელისუფლების ტირანულ მიზნებს, ამან კი განაპირობა უკანონობა და ტრაგიკული მოვლენები (ასეთ საშიშროებაზე მიუთითებდა შ. მონტესკიე თავის კანონთა გონში). ხელისუფლებაში დაწინაურდნენ დაბალი პროფესიული და ზნეობრივი დონის ადამიანები, სასამართლო დამოკიდებული იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, ირღვეოდა მართლმსაჯულების ის ფუნდამენტური პრინციპი, რომ სასამართლო ორგანოები საზოგადოებრივი წესრიგის საყრდენია, რომელიც უზრუნველყოფს კანონის ბატონობას, აფუძნებს სამართლიანობას, ამყარებს მშვიდობას საზოგადოების წევრებს შორის, განუმტკიცებს მათ ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვისა და პირადი თავისუფლების უზრუნველყოფის რწმენას, რომელთა გარეშეც გარდაუვალია ღირებულებათა გაუფასურება. 2012 წლამდე განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა საპირისპირო - სასამართლო ორგანოები წარმოადგენდნენ პარტიული ბოსების და პროკურატურის მაღალჩიმოსნების ნების ამსრულებელ ორგანოს (როდესაც ინგლისში ჯერ კიდევ 1328 წლის ნორთჰემტონის სტატუსში მითითებულია, რომ სახელმწიფოს არანაირ განკარგულებას არ შეუძლია ზემოქმედება მართლმსაჯულებაზე), მანკიერად და ხარვეზებით მიმდინარეობდა სამართალწარმოება და სასამართლო პროცესები (ცხრა წლის განმავლობაში წარმოებული სასამართლო პროცესებიდან მხოლოდ ერთ პროცენტ საქმეებზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი), ათეულ ათასობით ადამიანს შეულახეს ღირსება, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ხელყოფილი იქნა პირადი ქონება, ითრგუნებოდა ყოველგვარი საპირისპირო აზრი. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უსმენდნენ და ერეოდნენ ოპონენტების პირად და ინტიმურ ცხოვრებაში და სხვა. (ამ დროს იყო ასეთი მოცულობა - პროკურატურა ამტკიცებს საბრალდებო დასკვნას და იმავდროულად მხარს უჭერს ბრალდებას, სასამართლო კი სახელს უცვლის საბრალდებო დასკვნას - განაჩენით.) ასეთ დროს უცილობლად ეჭვქვეშ დგება სამართლიანობის და კანონიერების პრინციპი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, სხვა ფუნდამენტური ღირებულებები.

2012 წლის არჩევნების შედეგად ახალმა ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული და სხვა მანკიერი მოვლენების დასაძლევად გადადგა შესამჩნევი ნაბიჯები - განთავისუფლებული იქნა ყველა პოლიტიკური და უკანონო პატიმარი, უზრუნველყოფილი იქნა სიტყვის, შეკრების, მანიფესტაციის უფლებები, აღარ იდევნება საწინააღმდეგო აზრი, არ ხდება უკანონო მოსმენა და თვალთვალი მეტ-ნაკლებად დაბალანსდა ფუნქციები ხელისუფლების შტოებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მოზომილი და თანმიმდევრული მოქმედებები სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით, რაც მიმდინარეობს კანონიერების, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების სრული გარანტიით დაცვით.

ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, მის მხრიდან მათი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით და სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ან როცა ირღვევა სხვათა უფლებები, (ეს შეზღუდვები არ ეხება ღირსებას.)

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ ხაზგასმულია, რომ ადამიანი თანასწორია თავისი ღირსებით, იგი თან ახლავს ადამიანთა ოჯახის ყველა წევრს, ხოლო სახელსა და მდგომარეობას, საზოგადოებაში თითოეული ადამიანი ღირსებას თავად მოიპოვებს, ამიტომ ღირსების ცნება გამოტანილია აღნიშნული დეკლარაციის პრეამბულაში, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი უმაღლესი ფასეულობაა და ყველა უფლებისა და თავისუფლების საფუძველთა საფუძველია.

საყოველთაოდ ცნობილმა გამოთქმამ - **დასაჯე, მაგრამ ნუ დაამცირებ,** ასახვა ჰპოვა **„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში“, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ საერთაშორისო პაქტში „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ „საქართველოს კონსტიტუციაში“ და სხვა.** ყველა მათგანში ხაზგასმული მოთხოვნა, რომ არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

მსოფლიო კონსტიტუციალიზმის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებების აღიარება მოცემულია, როგორც გაეროს წესდების, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო სამართლებრივი აქტის პრეამბულაში, საქართველოს კონსტიტუცია კი უფრო შორს მიდის და მე-17 მუხლში მიუთითებს, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია და აქ არანაირი

დათქმა არ არის მის შესაძლო შეზღუდვის შესახებ, ასეთი შეზღუდვის შესახებ არაა მოხსენიებული იმ უფლებათა შორისაც, რომელთა შეზღუდვა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დასაშვებია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს:

- მუხლი მე-18, ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია, თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე;

- მუხლი მე-20, ყოველი ადმიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია;

- მუხლი 21-ე, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია, დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება;

- მუხლი 22-ე, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება;

- მუხლი 24-ე, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება;

- მუხლი 25-ე, ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროთ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ;

- მუხლი 30-ე, შრომა თავისუფალია, ... აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა,

- მუხლი 33-ე, გაფიცვის უფლება აღიარებულია, ...კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს;

- მუხლი 41-ე, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე;

ჩამოთვლილ მუხლებში მითითებული უფლებანი და თავისუფლებანი იზღუდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, ამ ჩამონათვალში ვერსად შევხვდებით ადამიანის პატივის და ღირსების შეზღუდვაზე, რაც დასტურია იმისა, რომ ადამიანის პატივის და ღირსების ხელშეუვალობა აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიაა და შეზღუდვას არ ექვემდებარება.

მთელი ისტორიის მანძილზე თავისუფლებას და ღირსებას მოკლებულნი იყვნენ არა მარტო ცალკეული ადამიანები, არამედ მთელი ხალხები და რასები. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობამ სწრაფი ტემპით განიცადა პროგრესი მონობის გაუქმება მხოლოდ მე-20 საუკუნეში მოხდა, წლების განმავლობაში ავსტრალიის აბორიგენი მოსახლეობა მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მათი უფლებები აღდგენილი იქნა მხოლოდ 1968 წელს, რეფერენდუმის გზით, 2008 წელს კი ავსტრალიის პრემიერ მინისტრმა ბოდიში მოუხადა აბორიგენული ოჯახებიდან წაყვანილ ე. წ. „მოპარულ თაობას“.

ადამიანის შრომის მონურ გამოყენებას დღესაც აქვს ადგილი. „ტრეფიკინგი; ანუ თეთრი მონობა; დღესაც გვხდება. გუანტანამოს ციხეებში ტერორიზმის ბრალდებით, გაუსამართლებლად იმყოფება რამდენიმე ასეული ადამიანი, რომლებიც განიცდიან არაადამიანურ მოპყრობას (ტერორიზმის ბრალდებით დაპატიმრება არ უნდა იყოს არაადამიანური მოპყრობის საფუძველი).

ადამიანი არასოდეს არ შეიძლება იყოს საშუალება მიზნის მისაღწევად, იგი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს (კუბლაშვილი - ძირითადი უფლებები თბ. 2008 წ გვ 90).

ადამიანის უფლებები ირღვეოდა და დარღვეულია შეიარაღებული კონფლიქტებისას: ხელის ერთი მოსმით განადგურდა 150 000 ადამიანი იაპონიაში ატომური ბომბის ჩამოგდების შედეგად. ოსვენციმოს ბანაკში კი კაცთმოძულე ექიმი იოსებ მენდელე პატიმრებზე ატარებდა სამედიცინო ექსპერიმენტებს, რომელსაც ორი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

„საკონცენტრაციო ბანაკში ყველაფერი დამამცირებელი და ღირსების შემლახველი იყო“. (მაგდალენა კუსეროვ–როიტერი, ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმარი).

გაეროს მონაცემებით 2000-2016 წლებში მოკლულია - 5 მილიონზე მეტი ბავშვი, მძიმედ დაშავებული ან სამუდამოდ დასახიჩრებულია - 10 მილიონზე მეტი, დაობლებული ან ოჯახს მოწყვეტილია - 3 მილიონზე მეტი. ფსიქოლოგიურად ტრავმირებულია - მილიონობით ადამიანი, (ზუსტი მონაცემები უცნობია.) 760 მილიონი ადამიანი ჯერ კიდევ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

600 მილიონზე მეტი ბავშვიდან ყოველ ოთხიდან ერთი - ცხოვრობს საშიშ, არასაიმედო და არამყარ სიტუაციაში, 2016 წელს 155 მილიონ ბავშვს ზრდის შეფერხება შეენიშნებოდა, ამავე წელს მშობიარობისას 30 ათასი ქალი გარდაიცვალა. ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი ანუ დევნილია - 60 მილიონზე მეტია.

არსებობს ღირსების ორი სახე: **პირადი და ადამიანური ღირსება; პირადი ღირსება** კეთილშობილური საქციელით, კეთილი საქმეებით მიიღწევა და ილახება უღირსი სულმდაბალი მოქცევისას. იგი გვინერგავს საკუთარი თავის პატივისცემას და სხვისი ღირსების დაფასებას, ლტოლვას კეთილი საქმეების, სიყვარულისა და მშვიდობისაკენ, რომელსაც არ სურს აგრესია და მტრობა.

ადამიანური ღირსება თავად კაცობრიობის ბუნებიდან გამომდინარეობს. იგი ერთნაირად აქვს მომადლებული ახალშობილს, ამქვეყნად რომ არაფერი შეუქმნია, ძლიერთა ამა ქვეყნისა და თავზეხელაღებულ ბოროტმოქმედთაც.

ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს წარმოადგენს გაეროს მოქალაქეობრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტები, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო და ადამიანის უფლებათა კომისარი.

ჩამოთვლილი ფაქტების, გაეროს წესდების, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტების და საქართველოს კონსტიტუციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რომლებიც შეზღუდვებს არ ექვემდებარება, ისინი კანონმდებლობით განმტკიცებული პრინციპებია, რომელთაგანაც გამომდინარეობს სხვა ძირითადი უფლებები, ნებისმიერი ხელყოფა კავშირშია ამ უფლებებთან და იწვევს მათ ხელყოფასაც. ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა დემოკრატიის შეფასების ერთ-ერთი აუცილებელი კრიტერიუმია.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 2013.
2. ვ. აბაშმაძე ; ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან; თბ., 1997.
3. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994.
4. შ. ლ. მონტესკიე, რჩეული ნაწარმოები, მ., 1955.
5. გ. ლობჟანიძე, ადამიანის უბლებათა სამართალი. თბ., 2005.
6. პლატონი ადრეული დიალოგები თბ., 1997.
7. იოანე პავლე მე-2, სამოციქულო ეპისტოლე, 1988.
8. კონსტანტინე კუბლაშვილი - ძირითადი უფლებები, თბ., 2008.
9. გაეროს ადამიანის უფლებათა დოკუმენტები თბილისი, 1999- 2004 წწ.
10. Цицерон, Диалоги. М., 1996.

Aleksandre Lekishvili

Samtskhe-Javakheti State University

HONOR AND DIGNITY – THE CROWN OF HUMAN RIGHTS AND FREEDOMS

RESUME

Human Rights and Freedoms especially honor and dignity among them are the everlasting and supreme human values. Although, honor and dignity belong to the category of Civic Rights' they are the crown of the Human Rights and Freedoms and are the source of every rights and freedoms. Honor and dignity stand above the State, Nationality and Ideology. They are equally spread among the newborns, authorities and criminals. Even an unborn baby and a person who has passed away already have this constitutional. The inviolability of human's honor and dignity belongs to the category of the absolute rights and does not substitute to any restriction. Honor and dignity is the absence of any restrictions and maltreatments.

ნესტან ლომაია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერის პრობლემა და ევოლუცია თანამედროვე საზოგადოებაში

საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის პრობლემა ყოველთვის იყო მსჯელობის საგანი ისტორიაში, ფილოსოფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სადაც სხვადასხვანაირად აისახებოდა ქალისა და მამაკაცის ადგილი საზოგადოებაში. გენდერის პრობლემებზე მსჯელობისას ყოველთვის გვიწევს კაცობრიობის გამოცდილების გათვალისწინება.

გენდერული თანასწორობის ცნების მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულების და თანასწორობის იდეისადმი წინააღმდეგობის შემცირების მიზნით, შესაძლოა უფრო შედეგიანი აღმოჩნდეს ტერმინი „გენდერული სამართლიანობა“, რაც ფაქტიურად ნიშნავს გენდერულ თანასწორობას სოციალური სამართლიანობისათვის.

ხალხის ცნობიერებაში ფესვგადგმულია აზრი იმის შესახებ, რომ ქალის სოციალური და საზოგადოებრივი აქტივობა უარყოფითად მოქმედებს ბავშვებზე, ურთიერთობებზე ოჯახში, რაც ქალებში გარკვეული დანაშაულის გრძნობას იწვევს და მათ პროფესიულ განვითარებას უშლის ხელს.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. ქალი და კაცი თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და ასევე თანაბრად სარგებლობდნენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას. პირიქით – დემოკრატიულ პლურალისტურ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი. მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით, შესაძლებლობებით და ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. გენდერული თანასწორობა, როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი შედარებით ახალი ფენომენია, რომელიც ძალიან შრომატევადია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს სათანადო გარემოს შესაქმნელად.

გამუდმებით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს კამათი ქალის, როგორც ადამიანის, საზოგადოების წევრის და როგორც ინტიმური ურთიერობების ობიექტის ჭეშმარიტი ღირებულებების შესახებ.

ქალის როლი საზოგადოებაში, სხვადასხვა ეპოქაში, აბსოლუტურად განსხვავებული იყო და მის საქმიანობასა და დანიშნულებასაც ბუნებრივია შეფასებებიც სხვადასხვანაირი ჰქონდათ.

სწორედ, ჩვენი მიზანიც ის გახლავთ, რომ წარმოვაჩინოთ, თან დავახასიათოთ ქალის ადგილი და როლი ყველა სოციალურ- პოლიტიკური განვითარების ჭრილში.

პირველყოფილი საზოგადოების დროს, როცა ადამიანები გამოქვაბულში ცხოვრობდნენ, მამაკაცების ძირითად საქმიანობას ნადირობა წარმოადგენდა, რომელიც ბუნებრივია სახლში მოჰქონდათ, აგრეთვე ისინი იცავდნენ ოჯახს გარეული მხეცებისაგან. ქალებს დანიშნულება კი ოჯახის გამრავლება და საჭმლის მომზადება წარმოადგენდა. ფუნქციათა მსგავსი გადანაწილება მამაკაცის ფიზიკურმა შესაძლებლობებმა განაპირობა, რადგან იგი ძლიერი იყო, უფრო მძიმე და რთული სამუშაოს შესრულება შეეძლო, ქალი კი „სახლში“ იჯდა, საჭმელს აკეთებდა და შვილებს უვლიდა.

დროთა განმავლობაში ყველაფერი ნელ–ნელა იცვლებოდა, აშკარა გახდა, რომ ქალსაც შეეძლო იმავე ფუნქციების საკუთარ თავზე აღება, რასაც კაცი აკეთებდა, მაგრამ ძირითადად, არავინ ითვალისწინებდა მათ აზრს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მტკიცედ იდგამდა ფესვებს, ის დამახინჯებული დამოკიდებულება, რომ მამაკაცი არის ყველაფრის წარმმართველი და ქალი უნდა დაემორჩილოს მას. საუკუნეთა განმავლობაში ასეთი დამოკიდებულების არსებობამ კიდევ უფრო განამტკიცა და დანერგა საზოგადოებაში მსგავსი აზროვნება.

შუასაუკუნეების ეპოქას თავისი გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ქალის შესახებ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ლაჩარი და უღირსი მამაკაცების სული სიკვდილის შემდეგ ქალებში გადაინაცვლებდა.

რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქაში გაჩნდა იმედი, რომ ეს პერიოდი მაინც შეცვლიდა ქალის, როგორც საზოგადოების სრულყოფილი წევრის, ჭეშმარიტი ღირებულების შესახებ წარმოდგენას. ამ დიდებულმა ეპოქამაც ვერ შეცვალა ქალისადმი დამოკიდებულება, საზოგადოებაში და მხოლოდ მისი

ესთეტიკური თაყვანისცემით შემოიფარგლა, ხოლო ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია.

კაპიტალიზმის ეპოქა, ქალის დანიშნულებაზე და მნიშვნელობაზე საზოგადოებაში, თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაგალითად ნაპოლეონ ბონაპარტმა ახალი კოდექსი შექმნა ქალების სასარგებლოდ, რომელიც მიმართული იყო აღზრდის გაუმჯობესებისაკენ. მიუხედავად ამისა ქალი საზოგადოებაში მაინც რეპროდუქციის უნარის მქონე არსებად მიიჩნეოდა. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ წარმოაჩინა მრავალი ფსევდოთეორია, რომლებიც ქალის არასრულფასოვნებას უსვამდა ხაზს. ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, ო. ვეინენგერი ამტკიცებდნენ, რომ ბუნებამ ქალი მხოლოდ თვალთმაქცობით, ცბიერებით და ღალატისადმი მიდრეკილებით დააჯილდოვა. „დაბალი ტანის, ვიწრომხრებიან, ფართო–თეძოებიან სქესს ლამაზი შეიძლება უწოდოს მხოლოდ სექსუალური ვნებით თავბრუდახვეულმა მამაკაცმა. ქალი თავისი ბუნებით განწირულია მორჩილებისათვის, მას ბატონი სჭირდება, რომელსაც იგი უსიტყვოდ დაემორჩილება. ქალთა სქესის წარმომადგენლებს არაფერი ჭეშმარიტად დიდი და თვითმყოფადი არ შეუქმნიათ“. შოპენჰაუერის ეს სიტყვები, მისი სულისა და ეპოქის გამოძახილია, რომელიც კარგად ასახავს მამაკაცთა ტირანიასა და მათ დამოკიდებულებას ქალებისადმი.

ნიცშეც უარყოფითი აზრის იყო ქალებზე, მათში იგი არც ჭკუას და არც ტალანტს არ ხედავდა. „მამაკაცებმა ქალებს დასაკუთრების სურვილით უნდა შეხედონ, როგორც საკუთრებას, რომელსაც უნდა დაეუფლო“. ქალებისადმი განსაკუთრებული უარყოფითი შეხედულებებით გამოირჩევა და მათში ვერცერთ დადებით თვისებას ვერ ხედავს გერმანელი ფილოსოფოსი ო. ვეინგერი. მისი აზრით, გენიალობა ქალისათვის სრულიად მიუწვდომელია. მას არ გააჩნია „ცნობიერების ორიგინალობა, იგი მას ქმრისაგან იღებს. ქალი ცნობიერების გარეშე ცხოვრობს, კაცი კი ცნობიერად“. ქალები აბსოლუტურად მოკლებულნი არიან ლოგიკას. ჭეშმარიტად ქალურმა არსებამ არ იცის არც ლოგიკური, არც ზნეობრივი იმპერატივი. ქალური ემანსიპაციის ყველაზე უფრო დიდი და ერთადერთი მტერი – თვით ქალია.

მამაკაცთა და ქალთა როლების თეორიული ახსნა შეიძლება ზ. ფროიდისა და ტ. პარსონსის ნაშრომებში. მაგალითად ზ. ფროიდი ამბობდა: „ანატომია – ეს ბედია“, ხოლო ამერიკელი სოციოლოგი სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ავტორი პარსონსი კი თვლიდა, რომ მამაკაცი მომპოვებლის ანუ ინსტრუმენტულ ფუნქციას ასრულებს, ხოლო ქალი, როგორც ოჯახის კერის შემნახავი – ექსპრესიულს. იმისათვის, რომ ნამდვილი მამაკაცი იყო, ერთადერთი გზა არსებობს – გქონდეს პრესტიჟული სამსახური და მოიპოვო საარსებო სახსრები. ქალის რეალური სტატუსი კი მეუღლეობა, დედობა და ოჯახის დიასახლისობაა. როლების ასეთი დანაწილება პარსონსის აზრით, საზოგადოების სტაბილურობის საწინდარია.

ქალებისადმი დამოკიდებულების ცვლილებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს უტოპისტებმა ფურიემ, სენ-სიმონმა. მაგალითად, ფურიე თავის წიგნში „სამყაროსა და საზოგადოების ბედი“ აღნიშნავდა, რომ იმის მცდელობა, რომ ყველა ქალი დიასახლისად გადაიქცეს, სოციალური მექანიზმის მანკიერებაზე მეტყველებს. იგი აკრიტიკებდა ყველა იმას, ვისაც მიაჩნდა, რომ ქალის დანიშნულება მხოლოდ ოჯახური საქმიანობით ამოიწურებოდა.

შ. ფურიე იყო პირველი მოაზროვნე და პროგრესული ამ მიმართულებით, რომელიც თვლიდა, რომ საზოგადოებაში ქალების ემანსიპაცია მთლიანი საზოგადოების ემანსიპაციის საზომად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო საზოგადოების ცივილიზაციის დონე ამ საზოგადოებაში ქალების მდგომარეობის პირდაპირპროპორციულია.

სენ–სიმონი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის საზოგადოებრივ საქმიანობას. თავის მოძღვრებაში, წყვილის შესახებ, იგი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივი მოღვაწე უნდა ყოფილიყო არა ცალკეული პირი, არამედ ქალი და მამაკაცი ერთად, ანუ „წყვილი“, რომელსაც უფლება ჰქონდა გადაწყვეტილებები მიეღო და ქალთა - მამაკაცთა ურთიერთობებში ჩარეულიყო.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ბელინსკი, ჩერნიშევსკი, რომლებიც ობიექტურად აფასებდნენ ქალის როლს აზოგადოებაში, აღნიშნავდნენ, რომ „ქალი მამაკაცის თანასწორი უნდა იყოს“. თანასწორობის იდეა ასე აღიქმებოდა ჩერნიშევსკის მიერ, რომ პირველ რიგში უნდა მოისპოს ძალადობა საზოგადოებაში, რომელიც ქალს საშუალებას მისცემს თავისი ინტელექტის გამოვლინებისა და განვითარებისა.

თეორია სქესთა თანასწორუფლებიანობის შესახებ შემდგომში მარქსიზმმაც განავითარა. კ. მარქსი, კუგელმანისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „ვინც რამდენადმე გაცნობილია ისტორიას, იცის, რომ დიადი საზოგადოებრივი გადატრიალებები ქალური ფერმენტის გარეშე შეუძლებელია. კ. მარქსი სრულიად ეთანხმებოდა შ. ფურიეს იმაში, რომ კონკრეტული საზოგადოებრივი პროგრესი ამ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის მიხედვით შეიძლება შევაფასოთ.

ინგლისელი მეცნიერი ა. ბარნეტი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქალისადმი ნეგატიური დამოკიდებულება არ დამკვიდრდებოდა, საზოგადოება, თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ცივილიზებული რომ ყოფილიყო. ბარნეტი ამბობს, რომ „საკითხში ტიპიურისა და უცვლელის“, მამაკაცისა და ქალის დამახასიათებელი ნიშნების, მათი ტემპერამენტისა და შესაძლებლობების შესახებ განუხრელად არის დამკვიდრებული დოგმატური, სრულიად აუხსნელი შეხედულებები.

უმრავლეს საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის საზოგადოებრივი მდგომარეობა განპირობებულია კვლავწარმოებაში მათი სხვადასხვა როლით, ცხოვრების პირობებით. ქალის ქცევასა და აზროვნებაზე თავის დაღს ასვამდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ისინი სახლისა და ოჯახის საქმით იყვნენ დაკავებულნი, მაშინ როდესაც მამაკაცებს თავისი მოღვაწეობის სფერო შეუზღუდავი ჰქონდათ. მათ ასეთ მდგომარეობას მეცნიერებიც ამართლებდნენ. მკვიდრდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ქალს არ შეუძლია აითვისოს ტრადიციული მამაკაცური საქმიანობა. მაგ. საუკუნის წინ არ იყვნენ ექიმი ქალები და თავისთავად ითვლებოდა, რომ ამ პროფესიის ათვისება ქალებს არ ძალუძთ. დღეს კი მსოფლიოში უფრო მეტი ქალია ექიმი.

XXI საუკუნე გლობალიზაციის ეპოქად მოიაზრება, რომელიც თავის თავში ბევრ კომპონენტთან ერთად ინფორმაციულ ხანასაც მოიცავს, რომელმაც უკვე ცხოვრებაში დანერგა სრულიად ახალი, ძველისაგან რადიკალურად განსხვავებული სქესთა ურთიერთობები.

ქალები თანამედროვე საზოგადოებაში თავისუფალი და საუკეთესო ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ისინი აქტიურად ჩაებმებიან ახალ ცხოვრებაში, ეზიარებიან და გაითავისებენ ახალ ღირებულებებს, მოხდება მათი რეალური ემანსიპაცია. ამ ამოცანის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხებში. აღსანიშნავია, რომ ხშირად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, მათ შორის საკანონმდებლო, ძირითადად შრომით საქმიანობას და სოციალურ სფეროებს ეხება თუმცა ეს მცირედი გადაწყვეტილებებიც კი ხშირად მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

თანამედროვე საზოგადოებაში მეცნიერები ქალთა დანიშნულების შესახებ ოთხ ძირითად შეხედულებას გამოყოფენ: პატრიარქალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეგალიტარული.

პატრიარქალური შეხედულების მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სამყარო ე.წ. „ბუნებრივ საფუძვლებს ემყარება, ხოლო მათ ნგრევას საზოგადოების ნგრევისაკენ მივყავართ. „ბუნებრივ საფუძვლებში“, ისინი გულისხმობენ საზოგადოებაში ფუნქციების განაწილებას, რომლის თანახმადაც, ქალი ოჯახის დიასახლისი და ოჯახის კერის შემნახავია, ხოლო მამაკაცი – მომპოვებელი, საზოგადოებრივი მოღვაწე და ოჯახის საზოგადოებასთან დამაკავშირებელი. როლების ასეთი განაწილება მათ კანონზომიერებად მიაჩნიათ, რადგან თვლიან, რომ სქესობრივი სხვაობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდუალური და პირადი თვისებები. აქედან გამომდინარეობს მათი დასკვნაც: ქალების ჩაგვრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე მოგვიტანა ნეგატიური შედეგები ოჯახში და გამოიწვია დედობრივი ინსტინქტების რღვევა, მორალური აღვირახსნილობა, ოჯახის ნგრევა და ღირებულებათა ცვლა.

ეკონომიკური შეხედულების მიმდევრებიც დაახლოებით იზიარებენ პატრიარქალური მიმდინარეობის აზრს და ისინიც ქალების დასაქმების შემცირებას უჭერენ მხარს. მათი დასაბუთების მთავარი არგუმენტი შემდეგში მდგომარეობს: ქალებს უფრო ნაკლები კვალიფიკაცია აქვთ, ვიდრე კაცებს, ასევე არაეფექტურია ბავშვიანი ქალების დასაქმება, რადგან ისინი შემდგომში ითხოვენ გარკვეულ შეღავათებს მაგ. ადრე წასვლა ან სამსახურში გვიან მოსვლა, ასევე ბავშვის ავადმყოფობის დრო გარკვეულ უფლებებს, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით მიუღებელია დამსაქმებლისათვის.

დემოგრაფების აზრით, ქალი რეპროდუქციის ფუნქციის მატარებელია. ისინი ფიქრობენ, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული და აქტიური ქალები ნაკლებად მეოჯახენი არიან, რომელიც საბოლოო ჯამში შობადობაზე უარყოფითად აისახება, ხოლო მისი შემცირება კი საზოგადოების განვითარებაზე ცუდად მოქმედებს.

ეგალიტარული აზროვნების მომხრეები ეჭვქვეშ აყენებენ პატრიარქალურ მოსაზრებებს და ფუნქციების ე.წ. „ბუნებრივ“ განაწილებას სოციალურ ილუზიად მიიჩნევენ. მათი აზრით, პატრიარქალური კონცეფცია შესაბამისი სოციალური პირობების შედეგია და მას მომავალი არა აქვს.

სქესთა შორის ეგალიტარული ურთიერთობა მამაკაცებისა და ქალების ურთიერთგაგებაზე და ურთიერთშევსებაზეა დამყარებული ოჯახსა თუ საზოგადოებაში. ორივე მათგანისათვის უნდა არსებობდეს თავისუფალი არჩევანი. ამ შეხედულების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ნორმალური განვითარებისათვის საჭიროა თანაბარი სოციალური პირობების და მათი რეალიზაციისათვის სათანადო გარემოს შექმნა, აგრეთვე მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის საკითხის პოლიტიკურ საკითხად გადაქცევა.

XXI საუკუნეში, როდესაც ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და ფუნქციებიც თანაბრად აქვთ გადანაწილებული, მაინც აქტუალურია გენდერის საკითხი საზოგადოებაში. ეს პრობლემა

ძირითადად ტრადიციულ ქვეყნებში დგას, სადაც ადათ–წესებს და ზნე–ჩვეულებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოში გენდერის პრობლემა ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. მსგავს პრობლემას დამკვიდრებული ტრადიცია უფრო ამყარებს, რადგან ქართველი მამაკაცისათვის საკმაოდ რთულია იმის გააზრება, რომ დრო იცვლება და შეუძლებელია ყველაფერი იმ სახით შენარჩუნდეს, როგორც ეს ოდესღაც იყო. დროის ცვლილებას უარყოფითი მოვლენებიც ახლავს თან, რომელთა დამკიდრება, შესაძლოა არ იყო სასურველი, მაგრამ თავიდანაც ვერ ავიცილებთ. მაგალითად, კაცმა და ქალმა თანაბარი წვლილი უნდა შეიტანონ შვილების აღზრდაში, რაც დამეთანხმებით, იმას სჯობს, რომ მთელი ცხოვრება ცოლს ეჩხუბო, რატომ მუშაობ, შვილები გაზარდეო. ხშირად, მამაკაცები საკუთარი უფლებების შელახვად აღიქვამენ წარმატებულ ქალებს და ჰგონიათ, რომ ქალები იჭრებიან მათ სფეროში და ლიდერობის სათავეებს ართმევენ. გასაგებია, რომ არის სფეროები, სადაც მამაკაცი უკეთ ახერხებს გარკვეული საქმის გაკეთებას და პირიქით. მაგრამ თუ ქალი გარკვეულ საქმეს თავს ვერ ართმევს, რატომღაც ყოველივე ამის გამართლებას იმით ცდილობენ, რომ ის ქალია და არა იმით, რომ ის უბრალოდ ვერ ერკვევა ამ საქმეში, რაც მას დავალებული აქვს. შესაძლოა, ზუსტად იგივე სიტუაციაში მამაკაციც ყოფილიყო, მაგრამ მას არავინ ახსნიდა მისი სქესით, აუცილებლად მხოლოდ საქმის უცოდინარობას დააბრალებდნენ. მაგალითად, საზოგადოებაში ხშირად გავრცელებული აზრის შესახებ მინდა მოგახსენოთ. ქალი მძღოლი, და მამაკაცი მძღოლი. კაცებისაგან ყოველთვის ისმის ფრაზა, შორიდან ვხვდები, რომ საჭესთან ქალია. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ მძღოლი ქალები სცოდავენ, მამაკაცი მძღოლები ისეთ შეცდომებს უშვებენ და ისე არღვევენ მოძრაობის წესებს თითქოსდა ასეა მიღებული. სტატისტიკური მონაცემებით კი ავარიათა 92% კაცებზე ფიქსირდება, ხოლო მძღოლი ქალები მაინც უფრო ფრთხილები არიან. მსგავსი და უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც ქალისა და მამაკაცის ქცევის ახსნა სქესის მიხედვით არ იქნება განპირობებული, მაგრამ სამწუხაროდ არსებული სტერეოტიპები ხელს უწყობენ ქალების მიმართ არასათანადო დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ვფიქრობთ, რომ თუ ადამიანს გარკვეული საქმის გაკეთება არ შეუძლია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მისი სქესის ბრალია. მართალია ქალების როლი თანამედროვე საზოგადოებაში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში იზრდება, თუმცა დამკვიდრებული სტერეოტიპის მიხედვით, მათ არ შეუძლიათ იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებები. საქართველოში ქალებს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებთ, გარკვეული წახალისება სჭირდებათ. ექსპერტების შეფასებით, ქალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია და, შესაბამისად, წარმატებისკენ სწრაფვა მისი უფლებაცაა. მას უნდა ჰქონდეს კარიერული წინსვლის საშუალება, რათა თავი რეალიზებულად იგრძნოს.

დიასახლისი ქალისაგან განსხვავებით, საზოგადოებაში ჩაბმული აქტიური ქალები აბალანსებენ და ერთმანეთს უხამებენ საოჯახო და საზოგადოებრივ საქმიანობას, რასაკვირველია ეს არ არის ადვილი საქმე, მაგრამ შეუძლებელიც არ არის. ჩვენ ამით შეურაცხყოფას კი არ ვაყენებთ დიასახლის ქალებს, რომლებიც დღედაღამ შრომობენ ოჯახის საკეთილდღეოდ, პირიქით ჩვენ მოუწოდებთ ქალებს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმისაკენ, რამეთუ ვფიქრობთ, რომ დიასახლისი ქალი თავის შვილს უკეთ ვერ გაზრდის, ვიდრე საზოგადოებაში ჩართული წარმატებული ქალი. მიგვაჩნია, რომ ჩართულობა არის სწორედ ის ძალა, რომელიც შემდგომში ოჯახისა და შვილებისაკენ იქნება მიმართული.

როგორც წესი, შვილებს აქტიური და შემოქმედებითი დედები უფრო მოსწონთ, ვიდრე დიასახლისი დედები. ეს იმას ნიშნავს, რომ ნელ–ნელა იმსხვრევა სტერეოტიპები და საფუძველი ეყრება ახალ მიდგომებსა და ხედვებს.

საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სტრატეგიებით ებრძვიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრობებისა და საზოგადოებების დიდმა ნაწილმა გააცნობიერა, თუ როგორი მასშტაბური და დამანგრეველია უთანასწორობის შედეგები.

ლიტერატურა:

1. თამარ კიკნაძე, ნათელა დონაძე, გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. თბ. 06წ.
2. გენდერული თეორიების ანთოლოგია ბაკურ სოლაკაურის გამოცემა, თბ., 2002.
3. ქალის ადამიანის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ. გამომც. „ლოგს პრესი“, თბ., 2001.
4. Кикнадзе Т.Р., Социально!культурная и духовная трансформация современного общества Гендерный аспект. „Социально!гуманитаррые знания“, М., 2002.
5. Lorber J., Gender Inequality, Feminist Theories and Politics. Roxbary Publishing C ompany. Los Angeles, California. 1994.
6. Lindsey L.L., Gender Roles. A Sociological Perspective, Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey 07458. 2012.

7. Women, Culture and Society, A Reader, Edited by B.B Ballet, P.McDaniel. For The Women's Studies Program. Rutgers University – New Brunswick. 2013.

Nestan Lomaia
Sokhumi State University

GENDER PROBLEM AND EVOLUTION IN MODERN SOCIETY
RESUME

There is no mystery about gender differences occurring around the world. The paper touches upon the gender problem, the evolution of the modern society and speaks about the equality of women and men who are part of a democratic society. Our survey discusses the place and role of women in all socio-political perspectives. The thoughts of J. Fourier, A. Saint-Simon, K. Marx, I. Barnett and others on sex equalityare also reflected.

It has been emphasized that there are four main points of view in modern society: patriarchal, economic, demographic and egalitarian.

Finally, in conclusion there has been summarized that Georgia is a patriarchal country and it needs a great deal of work to restore the infringed equality.

მაკა სალხინაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მომსახურების კომერციული ხარისხის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში

საქართველოში ორი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული ორგანოა: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში ,,კომისია") და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. კანონი ,,ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" მიღებულია 2002 წლის 13 სექტემბერს.

საქართველოს კანონის ,,ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას. კომისიის დადგენილებით მტკიცდება: კომისიის დებულება; ადმინისტრაციული წარმოების დებულება; სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები; რეგულირების საფასურის ოდენობა და გაანგარიშების წესი; ლიცენზირების წესები; მიწოდებისა და მოხმარების წესები; ტარიფების მეთოდოლოგია; ტარიფები (მათ შორის, ზღვრული); ნორმატიული დანაკარგების ოდენობა და გაანგარიშების წესი; ქსელის წესები.[1] ამ ჩამონათვალში მართალია არ წერია, რომ კომისიას უფლება აქვს მიიღოს მომსახურების კომერციული ხარისხის წესების შესახებ დადგენილება, თუმცა 2016 წლის 25 ივლისის #13 დადგენილებით დამტკიცებულია ეს წესები და დღემდე ძალაშია.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ჯერ კიდევ 2009 წლის 1 აპრილს დაამტკიცა #3 დადგენილებით „ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქცია".[2] ეს დადგენილება შეეხებოდა მხოლოდ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატებს და სამწუხაროდ ვერ შეასრულა მისთვის ,,ნაკისრი ვალდებულება", თითქმის არ სრულდებოდა ამ ინსტრუქციის მოთხოვნები და მალევე, 2012 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა. 2012 წლის 5 ივლისის #6 დადგენილებით სემეკმა დაამტკიცა ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული

[1] საქართველოს კანონი ,,ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", მე 5 მუხლის პირველი პუნქტი, 1997 წლის 27 ივნისი

[2] „ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქცია" სემეკის 2009 წლის 1 აპრილის #3 დადგენილება

მომსახურების კომერციული ხარისხის წესები.[1] ეს წესები ძალაში იყო 2016 წლის 31 აგვისტომდე, თუმცა არც ამ წესების შესრულება ხდებოდა ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ ინსტრუქციაც და წესებიც მხოლოდ კომისიის რეგულირების სფეროში შემავალ მხოლოდ ერთ დარგს ელექტროენერგიას შეეხებოდა და არათანაბარ პირობებში აყენებდა რეგულატორის სხვა ლიცენზიატებს, რაც თავის მხრივ არასწორი ნაბიჯი იყო. ეს იმით იყო განპირობებული, რომ კომისიის რეგულაციაში თავდაპირველად ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიები იყო, ხოლო შემდეგ შეუერთდა გაზის და მოგვიანებით კი წყალმომარაგების კომპანიები.

2016 წლის 25 ივლისის #13 დადგენილებით[2] დამტკიცებულია მომსახურების კომერციული ხარისხის წესები, რომელიც კომისიის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა საწარმოს შეეხება. მომსახურების კომერციული ხარისხის წესების (შემდგომში – წესები) მიზანს წარმოადგენს საწარმოს მიერ მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესება წესებში ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მომსახურების კომერციული ხარისხის წესები ადგენს ერთიან მოთხოვნებს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით:

ა) მომსახურების კომერციული ხარისხის სტანდარტები;

ბ) მოთხოვნები და კრიტერიუმები მომსახურების კომერციული ხარისხის მიმართ;

გ) კომპენსირების, დაჯარიმებისა და წახალისების მექანიზმები, ასევე, მომხმარებლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობა საწარმოს მიერ მომხმარებლისთვის ამ წესებით დადგენილი სტანდარტების დარღვევით მომსახურების გაწევის შემთხვევაში;

დ) საწარმოს მიერ მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ მონაცემების აღრიცხვა;

ე) საწარმოს მიერ მომხმარებლებისათვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის შესახებ ინფორმაციის წარდგენა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში.[3]

წესების თანახმად, ლიცენზიატები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ კომისიას ჟურნალების და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვაში. ეს ელექტრონული ჟურნალები 2016 წლის ბოლოდან ამოქმედდა და სემეკი ახორციელებს ერთგვარ მონიტორინგს ამ კუთხით, რაც გამოიხატება რეგულატორის ყოველდღიურ კონტროლში.

მომხმარებლებისათვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება კომპანიას ეკისრება 2017 წლის 1 ივლისიდან, ხოლო ფინანსური წახალისება/სანქცირების მექანიზმების პირველ სატესტო წლად განისაზღვრა 2017 წელი.

წესების მიხედვით დადგენილია 2 სახის სტანდარტი: **საერთო და გარანტირებული.**

ა. **საერთო სტანდარტი** არ არის დაკავშირებული კონკრეტულ მომხმარებელთან. საერთო სტანდარტით განისაზღვრება სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც მიღწეული (დაცული) უნდა იყოს კომპანიის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში.

საერთო სტანდარტის სახეებია:

ა. ა. გეგმიური წყვეტის თარიღისა და ხანგრძლივობის თაობაზე მომხმარებელთა ინფორმირება;

ბ. ბ. არაგეგმური წყვეტის გამო გამორთული მომხმარებლებისათვის მომარაგების აღდგენა;

გ. გ. ქოლცენტრის ოპერატორის მიერ შემომავალ მომხმარებლის ზარზე პასუხის გაცემა.

მომსახურების კომერციული ხარისხის საერთო სტანდარტის შეუსრულებლობის შემთხვევაში ლიცენზიატის მიმართ გამოყენებული იქნება ფინანსური მექანიზმები დანართის შესაბამისად.[4]

---

[1] ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის წესები. სემეკის 2012 წლის 5 ივლისის #6 დადგენილება.

[2] ,,მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“ სემეკის 2016 წლის 25 ივლისის #13 დადგენილება

[3] ,,მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“ სემეკის 2016 წლის 25 ივლისის #13 დადგენილება, მუხლი 1.

[4] ,,მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“ სემეკის 2016 წლის 25 ივლისის #13 დადგენილება, დანართი #1

ფინანსური მექანიზმები

მომსახურების კომერციული ხარისხის საერთო სტანდარტის შეუსრულებლობის შემთხვევაში

საერთო სტანდარტი		
N	**მომსახურება**	**წლიური სამიზნე მაჩვენებლები**
1	მომხმარებელთა წინასწარი ინფორმირება მიწოდების გეგმური შეწყვეტის თარიღისა და ხანგრძლივობის თაობაზე	სტანდარტის შესასრულებლად გამორთვების საერთო რაოდენობიდან 90% უნდა იყოს დროულად ინფორმირებული. იმ შემთხვევაში, თუ ხდება წლიური სამიზნე მაჩვენებლის გაუმჯობესება/გაუარესება, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შესაბამისად გაიზრდება/შემცირდება ყოველ გაუმჯობესებულ/გაუარესებულ 1 პროცენტზე რეგულირებადი დანახარჯების ბაზის 0.01%-ით. საწარმოს მიერ აღნიშნული სტანდარტის შესრულება გამოითვლება წლის განმავლობაში დროულად ინფორმირებული გეგმური წყვეტებისა და გეგმური წყვეტების საერთო რაოდენობის თანაფარდობით. წყვეტა მიიჩნევა ინფორმირებულად, თუ ინფორმაცია ამ წესების შესაბამისად გაეგზავნა ყველა იმ გამორთულ მომხმარებელს, რომელსაც საკონტაქტო მონაცემები მიწოდებული ჰქონდა საწარმოსათვის (ამ წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ინფორმაცია აგრეთვე გავრცელდა მედიასაშუალებით).
2	არაგეგმური წყვეტის გამო გამორთული მომხმარებლის ინფორმირება და მიწოდების აღდგენა	სტანდარტის შესასრულებლად გამორთული მომხმარებლების 80%-ს მიწოდება უნდა აღუდგეს დროულად. იმ შემთხვევაში, თუ ხდება წლიური სამიზნე მაჩვენებლის გაუმჯობესება/გაუარესება, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შესაბამისად გაიზრდება/შემცირდება ყოველ გაუმჯობესებულ/გაუარესებულ 1 პროცენტზე რეგულირებადი დანახარჯების ბაზის 0.01 პროცენტით (%).
3	ქოლცენტრის ოპერატორის პასუხის გაცემის დრო სატელეფონო ზარზე	სტანდარტის შესასრულებლად შემოსული ზარების 80%-ს პასუხი უნდა გაეცეს დროულად. იმ შემთხვევაში, თუ ხდება წლიური სამიზნე მაჩვენებლის გაუმჯობესება/გაუარესება, საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შესაბამისად გაიზრდება/შემცირდება ყოველ გაუმჯობესებულ/გაუარსებულ 1 პროცენტზე რეგულირებადი დანახარჯების ბაზის 0.01 პროცენტით (%).

ბ. **გარანტირებული სტანდარტი** უკავშირდება ინდივიდუალურ მომხმარებელს და მისი შესრულება ფასდება ამ კონკრეტულ მომხმარებელთან მიმართებაში.

გარანტირებული სტანდარტის სახეებია:

ბ. ა. დავალიანების გადაუხდელობისთვის გათიშული მომხმარებლებისთვის მომარაგების აღდგენა;

ბ. ბ. მომხმარებელთა წერილობით მიმართვებზე დასაბუთებული წერილობითი პასუხის გაცემა ან/და რეაგირება;

ბ. გ. მომხმარებელთა მიმართვის საფუძველზე აღრიცხვის ხელსაწყოების ადგილზე შემოწმება;

ბ. დ აბონენტად დარეგისტრირება და მოთხოვნილი პირობებით მომარაგების უზრუნველყოფა;

ბ. ე. ახალი მომხმარებლის მიერთება;

ბ. ვ. მომხმარებელთა მიმართვის საფუძველზე მომარაგების ტექნიკური ხარისხის ადგილზე შემოწმება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

- კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს გადაუხდელობისთვის გათიშული მომხმარებლისთვის მომარაგების აღდგენა დავალიანების გადახდის ასახვიდან ან მომხმარებლის მიერ ამ დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენიდან, ან კომპანიასა და მომხმარებელს შორის დავალიანების ეტაპობრივ გადახდის გრაფიკის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არა უმეტეს 3 საათისა, თუ გადახდის ასახვა, გადახდის დადასტურება ან გადახდაზე შეთანხმება მოხდა 09:00 საათიდან 16:00 საათამდე. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის ასახვა, გადახდის დადასტურება ან გადახდაზე შეთანხმება მოხდა 16:00 საათის შემდეგ – მომარაგების აღდგენა უნდა მოხდეს შემდგომი

კალენდარული დღის არაუგვიანეს 12:00 საათისა. მომარაგების აღსადგენად საჭირო დრო აითვლება მომხმარებლის მიერ გადახდის ასახვიდან, მომხმარებლის მიერ ამ დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენიდან ან ეტაპობრივად გადახდის გრაფიკის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან მომარაგების აღდგენის თარიღამდე.

- კომპანია ვალდებულია წერილობით მიმართვაზე გასცეს დასაბუთებული წერილობითი პასუხი ან/და მოახდინოს რეაგირება მიმართვის მიღებიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა. ამასთან, მომხმარებლის წერილობით მომართვაზე არ არის აუცილებელი წერილობითი ფორმით პასუხის გაცემა, თუ ამ მოთხოვნაზე მოხდება სათანადო რეაგირება და მომხმარებელი აღნიშნულს ადასტურებს შესაბამის აქტზე ხელმოწერით.
- კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს აღრიცხვის ხელსაწყოს ადგილზე შემოწმება მომხმარებლის მიმართვიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა. ამასთან, თუ მომსახურების გასაწევად საჭიროა მომხმარებლის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე შესვლა, მომხმარებელი ვალდებულია, უზრუნველყოს კომპანიის წარმომადგენლების დაშვება თავის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე წინასწარ შეთანხმებულ დროს. აღრიცხვის ხელსაწყოს შემოწმებისათვის საჭირო დრო აითვლება მომხმარებლის მიმართვის თარიღიდან შემოწმების შედეგის მომხმარებელისათვის წერილობითი ფორმით წარდგენის თარიღამდე, ხოლო მომხმარებლის შემოწმების ადგილზე არყოფნის შემთხვევაში – მომხმარებლისათვის შემოწმების შედეგის გაგზავნის თარიღამდე.
- კომპანია ვალდებულია დაარეგისტრიროს პირი აბონენტად და უზრუნველყოს მისი მომარაგება აბონენტად რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ განაცხადის მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ეს სტანდარტი ვრცელდება მხოლოდ იმ საცხოვრებელი ბინის, საწარმოს ან სხვა ობიექტის მომარაგებაზე, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება მომარაგება. აბონენტად დარეგისტრირებისა და მომარაგების უზრუნველყოფისთვის საჭირო დრო აითვლება აბონენტად დარეგისტრირების მსურველის მიერ განაცხადის წარდგენიდან მოთხოვნილი პირობებით მომარაგების დაწყების თარიღამდე.
- კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ახალი მომხმარებლის სისტემაზე მიერთება და მომარაგების დაწყება იმ დროში, რაც მოთხვნილი მიერთებისათვის დადგენილია კომისიის მიერ (სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით). სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების თანახმად დადგენილია 40 სამუშაო დღე 15 ან 20 მმ დიამეტრის წყალმომარაგების და 100 მმ დიამეტრის წყალარინების შემთხვევაში, ხოლო 50 სამუშაო დღე სხვა დანარჩენ შემთხვევებში. ახალი მომხმარებლის მიერთებისთვის საჭირო დრო აითვლება ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ შესაბამისი განაცხადის მიღებიდან ახალი მომხმარებლის მოთხოვნილი პირობებით მომარაგების დაწყებამდე.
- კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მომარაგების ტექნიკური ხარისხის (წნევის) ადგილზე შემოწმება მომხმარებლის მიმართვიდან არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა. ამასთან, თუ მომსახურების გასაწევად საჭიროა მომხმარებლის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე შესვლა, მომხმარებელი ვალდებულია, უზრუნველყოს საწარმოს წარმომადგენლების დაშვება თავის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე წინასწარ შეთანხმებულ დროს. მომარაგების ტექნიკური ხარისხის შემოწმებისთვის საჭირო დრო აითვლება მომხმარებლის მიმართვის თარიღიდან შემოწმების შედეგის მომხმარებლისთვის წერილობითი ფორმით წარდგენის თარიღამდე, ხოლო მომხმარებლის შემოწმების ადგილზე არყოფნის შემთხვევაში – მომხმარებლისათვის შემოწმების შედეგის გაგზავნის თარიღამდე.

ე.წ. კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ეკისრება ლიცენზიატს იმ შემთხვევაში, თუ დაარღვევს გარანტირებულ სტანდარტს. კომპენსაციის რაოდენობა ეკისრება ქვემოთ მითითებული ცხრილის შესაბამისად.[1]

[1] ,,მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“ სემეკის 2016 წლის 25 ივლისის #13 დადგენილება, დანართი #2

კ ო მ პ ე ნ ს ა ც ი ა

მომსახურების კომერციული ხარისხის გარანტირებული სტანდარტის შეუსრულებლობის შემთხვევაში

გარანტირებული სტანდარტი		
N	**მომსახურება**	**კომპენსაციის ოდენობა**
1	დავალიანების გადაუხდელობისთვის გათიშული მომხმარებლებისთვის მომარაგების აღდგენა	საყოფაცხ. მომხმარებელი – 5 ლარი არასაყოფაცხ. მომხმარებელი – 10 ლარი
2	მომხმარებელთა მიმართვებზე დასაბუთებული პასუხის ან ტექსტური შეტყობინების გაგზავნა ან/და რეაგირება	საყოფაცხ. მომხმარებელი – 5 ლარი არასაყოფაცხ. მომხმარებელი – 10 ლარი
3	მომხმარებლის მიმართვის საფუძველზე აღრიცხვის ხელსაწყოების ადგილზე შემოწმება	საყოფაცხ. მომხმარებელი – 5 ლარი არასაყოფაცხ. მომხმარებელი – 10 ლარი
4	აბონენტად დარეგისტრირება	საყოფაცხ. მომხმარებელი – 5 ლარი არასაყოფაცხ. მომხმარებელი – 10 ლარი
5	მომხმარებლის მიმართვის საფუძველზე მომარაგების ტექნიკური ხარისხის ადგილზე შემოწმება	საყოფაცხ. მომხმარებელი – 5 ლარი არასაყოფაცხ. მომხმარებელი – 10 ლარი
6	სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთება	1. ბუნებრივი გაზის ან/და წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების შემთხვევაში: ა) კომისიის მიერ დადგენილი პაკეტით განსაზღვრული (სისტემაზე) მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის პირველივე გადაცდენაზე მიერთების საფასური მცირდება იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია „მიწოდებისა და მოხმარების წესებით; ბ) იმავე ვადის ხელმეორედ გასვლის შემთხვევაში, თუ ისევ არ იქნება დასრულებული ქსელზე (სისტემაზე) მიერთების სამუშაოები, მიერთების საფასური ნულდება.
		2. ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელზე (სისტემაზე) მიერთების შემთხვევაში: ა) კომისიის მიერ დადგენილი პაკეტით განსაზღვრული ქსელზე (სისტემაზე) მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის პირველივე გადაცდენაზე მიერთების საფასური მცირდება იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია „მიწოდებისა და მოხმარების წესებით; ბ) იმავე ვადის ხელმეორედ გასვლის შემთხვევაში, თუ ისევ არ იქნება დასრულებული ქსელზე (სისტემაზე) მიერთების სამუშაოები, მიერთების საფასური ნულდება; გ) ქსელზე (სისტემაზე) მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის მესამედ და მეტჯერ გადაცდენის შემთხვევაში ლიცენზიატი ვალდებულია, ყოველ გადაცდენაზე კომპენსაციის სახით გადაუხადოს მიერთების მსურველს მიერთების საფასურის 50%.

საინტერესოა დასახელებული დადგენილების მიღების შემდეგ რამდენად გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი მომხმარებლებისათვის. ამას მომავალი გვიჩვენებს, რადგან იდეა ძალიან კარგია, თუმცა ამ იდეის განხორციელებას გარკვეული დრო სჭირდება, რაც პრაქტიკამ უნდა აჩვენოს. ის კი ცხადია, რომ ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზი და წყალმომარაგების კომპანიები აქტიურად არიან ჩართულნი ამ მიმართულებით.

ჩვენი აზრით, საკანონმდებლო დონეზე ზემოაღნიშნული რეგულაციების შემოღება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხს. დადგენილების პროექტის მომზადებისას კომისიამ გაითვალისწინა საერთაშორისო პრაქტიკა. ასევე, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, სემეკმა, არაერთი შეხვედრა და კონსულტაცია გამართა ევროპელ პარტნიორებთან და ექსპერტებთან.[1]

ამ დადგენილების საფუძველზე კომპანიებმა მოუწოდეს მომხმარებლებს დაეხმარონ მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესებაში, მაგ, უმსხვილესმა კომპანიამ ს.ს. ,,თელასმა“ კომისიის სტანდარტების შესაბამისად დანერგა ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც ონლაინ რეჟიმში ფიქსირდება მომხმარებელთა შეტყობინებები, პრეტენზიები და ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი რეაგირება მოახდინა კომპანიამ აბონენტის ამა თუ იმ პრეტენზიაზე. SMS შეტყობინებების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, სს „თელასი“ მოსახლეობას მიმართა თხოვნით, მიაწოდონ კომპანიის თანამშრომლებს აბონენტების მობილური ტელეფონების ნომრები. მობილურის ნომრები კომპანიას სჭირდება SMS-შეტყობინებების დასაგზავნად, რომელთა მეშვეობით აბონენტები შეძლებენ მიიღონ ინფორმაცია გეგმიური და ავარიული გათიშვების, ელექტროენერგიის, წყალმომარაგების, დასუფთავების დავალიანების და გადაუხდელობის შედეგად ელექტრომომარაგების შეწყვეტის შესახებ. აბონენტებს შეუძლიათ მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია კომპანიის თანამშრომლებს, რომლებსაც თან ექნებათ „თელასის“ წარმომადგენლის დამადასტურებელი საბუთი. ამასთანავე, აბონენტებს შეუძლიათ თავისი მობილური ტელეფონების ნომრები მიაწოდონ კომპანიას ვებ-გვერდზე „აბონენტის პირადი კაბინეტის“ გამოყენებით, დარეკონ კომპანიის call-ცენტრში ან ბიზნეს ცენტრში.[2] ს.ს. ,,თელასის“ მსგავსად მოიქცნენ ასევე წყალმომარაგების[3] და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლები.

ლიტერატურა და ინტერნეტ-გვერდები:

1. საქართველოს კანონი ,,ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, 1997 წლის 27 ივნისი;
2. ,,მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“ სემეკის 2016 წლის 25 ივლისის #13 დადგენილება.
3. „ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქცია“ სემეკის 2009 წლის 1 აპრილის #3 დადგენილება.
4. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის წესები. სემეკის 2012 წლის 5 ივლისის #6 დადგენილება.
5. http://gnerc.org/ge/siakhleebi/11242/11242
6. http://www.telasi.ge/ge/news/6029
7. http://www.gwp.ge/ka/users

Maka Salkhinashvili

Gori State Teaching University

LEGISLATION REGULATING THE COMMERCIAL QUALITY OF THE SERVICE IN GEORGIA

RESUME

On April 1, 2009 the Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (hereinafter referred to as "Commission") approved the Resolution # 3 of the Resolution on "Monitoring of Commercial Quality Indicators for Service Provided by Electricity Distribution Licensee". This resolution concerns only electricity distribution licenses and unfortunately failed to fulfill its obligations, it was almost impossible to fulfill the requirements of this instruction, and soon it was declared invalid in 2012. According to the Resolution # 6 of July 5, 2012, GNRC approved the Commercial Quality Rules of Service Provided by Electricity Distribution Licensee. These rules were valid until 31 August 2016, although these rules were not fulfilled. It is noteworthy that only the regulations and regulations of the

[1] http://gnerc.org/ge/siakhleebi/11242/11242 (უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 29 სექტემბერს)

[2] http://www.telasi.ge/ge/news/6029 (უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 29 სექტემბერს)

[3] http://www.gwp.ge/ka/users (უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 29 სექტემბერს)

Commission regulation were related to electricity and unequal conditions for other regulator's licenses, which in turn was a wrong step.

The Resolution No. 13 of July 25, 2016 has been approved by the Commercial Quality Rules of Service, which concerns all enterprises under the Commission. The purpose of the Commercial Quality Rules of Service (hereinafter - Rules) is to improve the commercial quality of the services provided by the enterprise in compliance with the standards established in the Rules.

The introduction of the abovementioned regulations at the legislative level will significantly improve customer service quality. During the preparation of the draft resolution, the Commission has enjoyed international practice. In addition, the Commission has held a number of meetings and consultations with European partners and experts regarding this issue.

ბექა ტოლიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

არაცნობიერის არსი კარლ იუნგის თეორიის მიხედვით

როდესაც ფსიქოლოგია ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდა, მისი მიზანი იყო ჯანმრთელი ზრდასრული ადამიანის ფსიქიკის ძირითადი ელემენტების აღმოჩენა და კვლევა ინტროსპექციის მეთოდით. ეს მიმართულება დააარსა ვილჰელმნ ვუნდტმა, მისი აზრით, ფსიქოლოგიის ძირითადი ამოცანა იყო ცნობიერების პროცესების ძირითად ელემენტებად დაშლა და მათ შორის არსებული კავშირების კანონზომიერებათა შესწავლა. ცნობიერება გაიგებოდა, როგორც სტრუქტურული ელემენტებისაგან შემდგარი რამ, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა გრძნობის ორგანოებში მიმდინარე პროცესებს.

ზიგმუნდ ფროიდი დაუპირისპირდა ფსიქოლოგიის ტრადიციულ გაგებას. მან ფსიქიკა შეადარა აისბერგს, რომლის მხოლოდ მცირედი ნაწილი მოჩანს წყლის ზედაპირზე – ეს ცნობიერებაა, მისი გაცილებით დიდი მასა კი წყლითაა დაფარული – ეს არაცნობიერი სფეროა. არაცნობიერის ამ უზარმაზარ სივრცეში, შეიძლება აღმოვაჩინოთ ლტოლვები, მისწრაფებები, განდევნილი აზრები და გრძნობები, რომლებიც აკონტროლებენ ინდივიდის ცნობიერ აზრებსა და ქცევებს. ამ თვალსაზრისით ფსიქოლოგია, რომელიც ცნობიერების ანალიზითაა შემოფარგლული, სრულიად არაადეკვატურ და უძლურად შეიძლება ჩაითვალოს, ადამიანის ძირითადი ქცევის მოტივების გაგებისთვის.

ფროიდის მიხედვით პიროვნება სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება, ესენია: იდი, ეგო და სუპერ-ეგო. ამ სამი კომპონენტისგან, იდის სფერო მთლიანად გაუცნობიერებელია, მაშინ როცა ეგო და სუპერ-ეგო ცნობიერების სამივე დონეზე მოქმედებენ. ცნობიერება მოიცავს სამივე პიროვნულ სტრუქტურას, თუმცა, მისი ძირითადი ნაწილი იდისგან მომდინარე იმპულსებით ფორმირდება. იდი არის პიროვნების ის ნაწილი, რასაც ჩვენ ქვეცნობიერს ვუწოდებთ. ფროიდი ასე განმარტავს მას, რომ იდი პიროვნების პირველსაწყისი სისტემაა: ეს არის მატრიცა, რომელშიც შემდგომში დიფერენცირდება ეგო და სუპერ-ეგო. იდი მოიცავს ყველაფერს იმას, რაც თანდაყოლილია და მოცემულია დაბადებისას, ინსტინქტების ჩათვლით. იდი მთლიანად არაცნობიერში ფუნქციონირებს და მჭიდროდ უკავშირდება ინსტინქტურ ბიოლოგიურ მისწრაფებებს (შიმშილი, ძილი, გამოყოფა). იგი თავისი ბუნებით ბიოლოგიურია, მჭიდროდ უკავშირდება სხეულებრივ პროცესებს, საიდანაც იღებს ენერგიას. იდი წარმოადგენს ამ ენერგიის ერთგვარ რეზერვუარს, საიდანაც ენერგიით მარაგდება პიროვნების სტრუქტურის ყველა ინსტანცია. ფროიდი იდს განიხილავს, როგორც შუამავალს ორგანიზმში მიმდინარე სომატურ და ფსიქიკურ პროცესებს შორის. იდის შინაარსი თითქმის მთლიანად არაცნობიერია. ის მოიცავს არაცნობიერ აზრებს, რომლებიც არასოდეს ცნობიერდება და აზრებს, რომლებიც უარყოფითად და მიუღებლად მიიჩნია ცნობიერებამ. ფროიდის მიხედვით, უარყოფილი და განდევნილი განცდები იმავე ინტენსივობით მაინც ზემოქმედებენ ადამიანის ქცევაზე ცნობიერის ყოველგვარი კონტროლის გარეშეც.

ფროიდის მსგავსად კარლ გუსტავ იუნგმა, რომელიც ზიგმუნდ ფროიდის მოსწავლე და გარკვეულ დრომდე უახლოესი მეგობარი იყო, თავი მიუძღვნა ადამიანის ქცევასა და გამოცდილებაზე არაცნობიერი ლტოლვების გამოვლენის შესწავლას. მაგრამ იგი ფროიდის ხედვისგან განსხვავებით არაცნობიერის

შინაარსს უფრო მეტად მიიჩნევდა, ვიდრე პრიმიტიული არაპროგნოზირებად ცნობიერების ნაწილს. იუნგის თეორიის თანახმად, რომელიც ცნობილია როგორც ანალიტიკური ფსიქოლოგია, ინდივიდები მოტივირებულნი არიან ინტრაფსიქიკური ძალებით და ხატებით, მათი წარმომავლობა ევოლუციის ისტორიის სიღრმეებიდან მოდის. ეს თანდაყოლილი ცნობიერი მოიცავს სულიერ მასალას, რომელიც ხსნის მთელი კაცობრიობისთვის მახასიათებელ სწრაფვას თვითგამოხატულებისა და ფიზიკური სრულყოფილებისაკენ.

იუნგის მიერ ფსიქოანალიზის გადამუშავების შედეგად გაჩნდა რთული იდეების მთელი კომპლექსი. ინტელექტუალური ძიების ასეთმა სტილმა, მისი ფსიქოლოგიური თეორია ძნელად გასაგები გახადა. მისი მტკიცებით ფსიქიკა იგივე სული, შედგება სამი ცალკეული, მაგრამ ურთიერთქმედებაში მყოფი სტრუქტურისაგან. ესაა პირადი არაცნობიერი და კოლექტიური არაცნობიერი, ეგო ცნობიერების სფეროს ცენტრია, იგი წარმოადგენს ცნობიერების კომპონენტს, რომელიც მოიცავს გრძნობას, მოგონებას და შეგრძნებას, რომელთა წყალობითაც ჩვენ მთლიანობას შევიგრძნობთ და საკუთარ თავს ადამიანებად აღვიქვამთ. ეს წარმოადგენს ჩვენი ცნობიერების საფუძველს და მისი წყალობით შეგვიძლია ჩვენი ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგების დანახვა.

პირადი არაცნობიერი მოიცავს კონფლიქტებს და მოგონებებს, რომლებიც ოდესღაც გონებაში ცოცხლობდა, მაგრამ ამჯერად დათრგუნული და დავიწყებულია. მასში შედის ის გრძნობადი შთაბეჭდილებები, რომელსაც არ ჰყოფნის სიცხადე, რათა ცნობიერებაში იყვნენ შენიშნულნი, თითქოს იუნგისეული კონცეფცია რაღაც კუთხით ჰგავს ფროიდისეულს, მაგრამ იუნგი უფრო წინ წავიდა, მისი მიხედვით პირადი არაცნობიერი თავის თავში შეიცავს კომპლექსებს ანუ ემოციონალურად დამუხტულ აზრებს, გრძნობებისა და მოგონებების მთლიანობას, რომლებიც ინდივიდის მიერ გამოტანილია მისი წარსული პირადი გამოცდილებიდან ან გვაროვნული, მემკვიდრეობითი გამოცდილებიდან. იუნგის თანახმად ამ კომპლექსებს, რომლებიც ჩვეულებრივი საკითხების ირგვლივაა თავმოყრილი, შეუძლიათ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინონ ინდივიდის ქცევაზე. მაგალითად, ძალაუფლების კომპლექსის მქონე ადამიანი შეიძლება ხარჯავდეს ფსიქიკური ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს საქიანობისთვის, რომელიც პირდაპირ ან სიმბოლურად დაკავშირებულია ძალაუფლების მიღებასთან. იუნგი ამტკიცებდა რომ თითოეული ჩვენგანის არაცნობიერი მასალა ლოგიკურია და როგორც წესი, ექვემდებარება გაცნობიერებას. შედეგად, კომპლექსის კომპონენტები ან თუნდაც მთელი კომპლექსი ცნობიერდება და მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენს ინდივიდის ცხოვრებაზე.

იუნგი ვარაუდობს, რომ არაცნობიერი ყოველთვის და ყველგან ქმნის გარკვეულ სქემებს, რომელიც აპრიორულად აყალიბებს ადამიანის წარმოდგენებს. ამ სქემებს იუნგმა „არქეტიპები" უწოდა, ხოლო მის მოძღვრებას საკმაოდ ხშირად არქეტიპოლოგიას უწოდებენ. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ მას მხედველობაში აქვს სწორედ სქემები და არა წარმოდგენები (წარმოდგენებს ეს სქემები აყალიბებენ). მათი ზოგადი დახასიათება ასეთია: „არქეტიპებს აქვთ არა შინაარსული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ნიშნები, და ისიც უაღრესად შეზღუდული სახით. შინაარსულ ნიშნებს „პირველსახე" ანუ არქეტიპი მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც ის ცნობიერებაში შეაღწევს და ცნობიერი გამოცდილების მასალით ივსება. არქეტიპი თავისთავად არის ცარიელი, სქემატური ფორმა, წარმოდგენების გაფორმების აპრიორულად მოცემული შესაძლებლობა. თავიანთი არა–შინაარსეულობის მიუხედავად არქეტიპები წარმოადგენენ შინაარსს კოლექტიური არაცნობიერის მიმართ. „არქეტიპი – წერს იუნგი – არის სიმბოლური ფორმულა, რომელიც ყოველთვის იწყებს ფუნქციონირებას იქ, სადაც ცნობიერი ცნებები არ არიან, ანდა შინაგანი და გარეგანი საფუძვლების მიხედვით საერთოდ შეუძლებელნი არიან. კოლექტიური არაცნობიერის შინაარსები ცნობიერებაში წარმოდგენილია მკვეთრად გამოხატული მიდრეკილებებითა და შეხედულებებით. ინდივიდი როგორც წესი თვლის, (რაც მცდარია), რომ ისინი განპირობებულნი არიან ობიექტებით. ისინი წარმოიშობიან სულის არაცნობიერ სტრუქტურაში და ობიექტების მეშვეობით მხოლოდ ვლინდებიან ანუ ობიექტები მათი გამოვლენის საშუალებაა.

ამრიგად არქეტიპები, ერთი მხრივ აზოგდებენ არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ, საყოველთაო შინაარსს, მეორე მხრივ, ისინი არსებობენ როგორც მხოლოდ სიმბოლოები, როგორც სიმბოლური ფორმულები, რის გამოც ხშირად გაუგებარნი არიან არა–მცოდნეთათვის. მაგრამ ამ მოჩვენებითი გაუგებრობის იქით ყოველთვის დაფარულია უაღრესად მნიშვნელოვანი შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ წარმოადგენენ სუბიექტისა და ობიექტის უშუალო კონტაქტის პროდუქტს და მხოლოდ ვლინდებიან გარე სინამდვილის ზემოქმედების შედეგად, მათი ფსიქიკური რეალურობა და მნიშვნელადობა ეჭვს ქვეშ არ შეიძლება დავაყენოთ. და ბოლოს სწორედ არქეტიპი აძლევს თანამედროვე ადამიანს საშუალებას ჩააღწიოს დროისა და ადამინური სულის ყველაზე ღრმა ფენებში და გადააქციოს იქიდან ამოტანილი შინაარსი თავის საკუთრებად.

მიუხედავად თავიანთი ფორმალურობისა, არა–შინაარსეულობისა, უკიდურესად ზოგადი განსაზღვრულობისა არქეტიპებს ახასაითებს შემდეგი თავისებურებანი. იმის შესაბამისად თუ რამდენად უფრო გამოკვეთილნი ხდებიან, მათ ახლავთ არაჩვეულებრივად ცოცხალი ემოციური ფონი, მათ შეუძლიათ იყვნენ შთამბეჭდავნი, შთამაგონებელნი, გატაცების გამომწვევნი. არქეტიპებში მყოფი ეს შთამაგონებელი ძალა ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ხელოვნებისა და მისი აღქმის მექანიზმების იუნგისეული გაგების ანალიზის დროს. იუნგის აზრით ყველა დ ყოველგვარი „შთაგონება", რომელიც ხელოვნების ნაწარმოებს ქმნის, ხორციელდება მხოლოდ არქეტიპების მეშვეობით.

ძალიან მნიშვნელოვანია მეორე მომენტიც – არქეტიპებში აკუმულირებული ფსიქიკური ენერგია, მსგავსად ყოველგვარი ფიზიკური ენერგიისა, სრულიად ნეიტრალურია სიკეთისა და ბოროტების მიმართ. არქეტიპი თავისთავად არც მორალურია და არც იმორალური, არც მშვენიერია და არც მახინჯი, არც საზრისიანი და არც უსაზრისო. მაგრამ მასში მოცემულია გარკვეული ღიაობა. სიკეთისა და ბოროტების უკიდურეს გამოვლენათა შესაძლებლობა. ამიტომ შთაგონების არქეტიპული ხასიათი გადაჭრით არაფერს ამბობს თვითონ შთაგონების კეთილ თუ ბოროტ ხასიათზე. არქეტიპულია გოეთეს შემოქმედებაც და დეტექტივიც. არქეტიპი ამბივალენტურია თავისი ბიოლოგიური თვალსაზრისითაც. მას გამოიმუშავებს ადამიანის ფსიქოფიზიკური ორგანიზმი, როგორც „ორგანოს", რომელიც გარანტს წარმოადგენს ფსიქიკის წონასწორობისათვის და გარკვეულ დრომდე მართლაც იცავს ინდივიდს საფრთხისაგან, მაგრამ არქეტიპების მოზღვავება ცნობიერებაში ნევროზისა და ფსიქოზის ნიშანიც არის.

იუნგმა „არქეტიპის" სახით თავისი ფილოსოფიური სისტემისათვის შექმნა გაცილებით უფრო კონსტრუქციული ცნება, ვიდრე ფროიდის მიერ შექმნილი – „კომპლექსის" ცნება იყო. არქეტპი იძლევა ერთგვარ გასაღებს და გზას იმ იდუმალი და გამოუცნობი მოვლენების ასახსნელად, რომლებიც თავის მხრივ საბაბი გახდა კოლექტიური არაცნობიერის ცნების შემოტანისათვის. კოლექტიური არაცნობირი ხაზს უსვამს ფსიქიკური მემკვიდრეების არსებობას, რომლის მატარებლებიც არქეტიპები არიან. არქეტიპები თავიანთ თავში ინახავენ ჩვენი ფსიქიქის „წინარეფსიქიკურ" რეალობებს, მსგავსად გენებისა, რომლებმაც ჩვენი უძველესი წინაპრების ფიზიკური სახე და სხვა მემკვიდრული ნიშნები შემოინახეს და ჩვენამდე მოიტანეს. არქეტიპების „ადგილსამყოფელი", იუნგის აზრით, არის არაცნობიერის ყველაზე ღრმა ფენა – კოლექტიური არაცნობიერი – რომელიც ინდივიდუალური ფსიქიკის საზღვრებს სცილდება. კოლექტიურ არაცნობიერს თავის მხრივ რამდენიმე დონე აქვს, რომლებიც მასში ჩაღრმავების მიმართულებით ასე წარმოგვიდგება: უშუალოდ ინდივიდუალური არაცნობიერის /რომელიც ფროიდის მიხედვით შედგება გაუცნობიერებელი ან ცნობიერებიდან გამოდევნილი მასალისაგან/ ქვეშ მდებარეობს ჯგუფური არაცნობიერის შრე – ოჯახის ან სხვა მიკრო–სოციუმის არაცნობიერი, რომელსაც მოჰყვება უფრო მსხვილი სოციალური ჯგუფების არაცნობიერი /ერებისა და ერების ჯგუფების ჩათვლით, რომელთაც საერთო წარსული აერთიანებთ/, შემდეგ მოდის საერთო–საკაცობრიო, ზოგადადამიანური კოლექტიური არაცნობიერი; კიდევ უფრო ღრმად იმყოფება ისეთი არაცნობიერი მასალა, რომელიც ადამიანს საერთო აქვს ცხოველთა სამყაროსთანაც /არაცნობიერის ეს დონე არ განეკუთვნება ფსიქიკურ სამყაროს ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ამიტომ იუნგმა მის აღსანიშნად შემოიტანა ტერმინი „ფსიქოიდური არაცნობიერი"/ აი ამ ურთულესი სტრუქტურის აღმნიშვნელი ცნება – „კოლექტური არაცნობიერი" – არის იუნგის ფსიქოლოგიის ცენტრალური ცნება, თუმცა ეს ზოგჯერ საკამათო ხდება და ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ იუნგის ფსიქოლოგიის ცენტრალური ცნება არის არა კოლექტიური არაცნობიერი, არამედ „არქეტიპი", ვინაიდან კოლექტიური არაცნობიერი თავისთავად არაფერია თუ არა „ადგილსამყოფელი", რომელიც დასახლებულია არქეტიპებით – შესაბამისად, ასკვნიან, რომ უფრო მართებულია იუნგის ფსიქოლოგიას ეწოდოს „არქეტიპოლოგია".

მიუხედავად იმისა, რომ იუნგის კონცეფცია კოლექტიური არაცნობიერის შესახებ სცილდება ფროიდის თეორიას და რთულად გასაგებია, მან გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა პიროვნების შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია მეტი წარმოდგენა შევიქმნათ ადამიანის პიროვნების ქვეცნობიერზე. ცნობიერების სტრუქტურა ახლებურად იქნა გაგებული. იგი შედგება არაცნობიერის, ცნობიერისა და ზეცნობიერისაგან. მათგან:

არაცნობიერი არის უზარმაზარი საცავი კომპლექსების, შიშების, ინსტინქტების, სურვილების, ფანტაზიების, ლტოლვების. მათში განსაზღვრულია სექსუალური და დესტრუქციული ლტოლვები.

ზეცნობიერი არის საზოგადოების მიერ აღიარებული და დადგენილი წესები, ნორმები და ღირებულებები.

ცნობიერება არის მიჯნა არაცნობიერ და ზეცნობიერს შორის. იგი განიცდის ორმხრივ ზემოქმედებას. ცნობიერის ფუნქციაა წარმართოს ადამიანის ყოფიერება.

არაცნობიერი ლტოლვა შეიძლება გამოვლინდეს სიზმარში, უნებლიე სურვილებსა და გამოთქმებში. ადამიანს უნდა ერთი და ამბობს მეორეს, ადამიანს წამოცდება ხოლმე ნამდვილი ზრახვა.

არაცნობიერი და მისი ენერგია შეიძლება გარდაიქმნას მხატვრული შემოქმედების ენერგიად. ეს არის სუბლიმაცია. არაცნობიერი არის მეხსიერების, გამოცდილების და სინამდვილის აღქმის ისეთი ფორმა, რაც ცნობიერებისთვის მიუწვდომელია, ამიტომ იგი მხატვრულ შემოქმედებას უფრო მდიდარს ხდის. იუნგის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს მოსაზრება მის თაობაზე, რომ მთელი ხელოვნების მუდმივ და მარადიულ წყაროს მითები და ლეგენდები ქმნიან, რომლებიც უძველესი დროიდან, არქაული ეპოქიდან მოყოლებული არსებობენ როგორც „კოლექტიური არაცნობიერი". ხელოვანი ამ „არქაულ არაცნობიერს" გამოხატავს და გამოსახავს. სწორედ ეს მომენტი განაპირობებს მისი ხელოვნების სიდიადესა და მომხიბვლელობას.

ლიტერატურა:

1. კ. გ. იუნგი, „ფსიქოლოგია და ალქიმია“, თბ., 2005.
2. კ. გ. იუნგი, „ფსიქოლოგია და რელიგია“, თბ., 2013.
3. ზ. ფროიდი, „ფსიქოანალიზი“, თბ., 1995.
4. Юнг К. М., «Рсихология бессазнателъного», 2012.
5. Юнг К. М., «Архетип и символ», 1997.

Beka Toliashvili

Gori State Teaching University

THE ESSENCE OF THE UNCONSCIOUS ACCORDING TO THE CARL JUNG THEORY

RESUME

Carl Gustav Jung has developed concept of archetypes where the archetypes are sharing myth, faith and opinions which are common for the group of individual and culture in another time and space.

It means that it’s located in collective unconscious. It’s a level of consciousness where, to understand themselves is little and obscure. On this level of consciousness the information consists of the past experience, thoughts and emotions expulsion and rejected by person, with hidden aspirations and wishes, appearances which even individuals can not consider too.

Motivation and formation of opinions to humans behavior depends on archetypes which is in collective unconscious. So, if the person wants to become socially accepted or not, desired or odious, based on archetypes they can become archetypes which is perfect for collective society.

მარი ქუთათელაძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

განრიდება და მედიაცია სისხლის სამართლის პროცესში

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში თითქმის ყველა სახის დანაშაულის მატებას მოჰყვა სახელმწიფოების მხრიდან სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრება. წლების შემდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ ამოწურა თავისი მისია და შესაბამისი შედეგიც გამოიღო. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის წარმატებით გატარების შემდეგ, როგორც წესი, სახელმწიფო გადადის ლიბერალიზაციის ეტაპზე.

მეოცე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა დავის გადაწყვეტის ტრადიციული იურიდიული მიდგომისგან განსხვავებული, ახალი ფორმა. კონფლიქტის გადაწყვეტის ამ ფორმას “დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაციას” აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთ ინსტრუმენტს

უწოდებენ.[1] განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მსოფლიო მასშტაბით ეტაპობრივად დაფუძნდა და განვითარდა.

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამჟამად რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. კანონმდებლობა ვითარდება ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, კაცობრიობა ეძებს სრულიად ახალ გზებს და უარს ამბობს უკვე დრომოჭმულ, მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ინერგება იუვენალური იუსტიციის (არასრულწლოვანთა საქმეებზე) ლიბერალური მოდელები, აღდგენითი სამართალწარმოება (Restorativ justice) - სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების დამთავრება ბრალდებულის და დაზარალებულის შერიგებით, რომელშიც ჩართულია მედიატორი. აღნიშნული შედეგით საქმის დასრულება დამოკიდებულია პროკურორზე, რომელსაც შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების (განრიდება/მედია-ცია) გამოყენების შესახებ და მას კანონი აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებასაც კი არ ავალდებულებს. მსგავსი მიდგომით პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების უკან სუბიექტივიზმის ეჭვი ჩნდება, ირღვევა კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული პრინციპები, რისთვისაც აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს, თუ რა სახის კონტროლი უნდა განხორციელდეს პროკურორის შეუზღუდავ დისკრეციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა შეექმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის პრინციპებსა და ნორმებთან, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტულ წესებთან არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. [2]

მას შემდეგ საქართველოში დაინერგა განრიდების პროგრამა, მსჯავრდებისა და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატივები. მთავრობამ პირველი ნაბიჯები გადადგა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს სათანადო კვალიფიკაცია ჰქონოდათ ისეთ საქმეებზე სამუშაოდ, რომლებიც მოზარდებს შეეხებათ.

დღეისათვის სისხლის სამართალში ერთ-ერთი ყველზე აქტუალური თემაა აღდგენითი მართლმსაჯულება, რამდენადაც ცივილიზებული მსოფლიო თანხმდება, რომ ბრალდებულისათვის თავისუფლების აღკვეთა, განსაკუთრებით თუ იგი არასრულწლოვანია, უნდა ჩანაცვლდეს იმ ზომით, რომელიც არც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას დაემუქრება და ბრალდებულის მდგომარეობასაც მოერგება საიმისოდ, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად მოხდეს მისი რესოციალიზაცია.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ იმ მნიშვნელოვან საკანონმდებლო პრობლემებს ეხება, რომელიც აღდგენითი მართლმსაჯულებისა და უშუალოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების დანერგვამ გამოიწვია ქართულ სისხლის სამართლის პროცესში და რომელიც აქტუალურია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვისაც.

აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხი აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. თითქოს ერთი შეხედვით უწყინარი, ბრალდებულთა და დაზარალებულთა საუკეთესო ინტერესზე მორგებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა "აღდგენითი მართლმსაჯულება" საკმაოდ ბევრ და რთულ საკანონმდებლო პრობლემას ქმნის, ასევე იკვეთება პრაქტიკაში აღნიშნული პოლიტიკის გამოყენების პრობლემებიც. დღემდე პასუხგაუცემელია შემდეგი კითხვები: შეიძლება თუ არა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ხარჯზე ვრცელდებოდეს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, შესაძლებელია თუ არა სასჯელის მიზნების მიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების საფუძველზე და რამდენად სწორად ემსახურება განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენება აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს?

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალგაზრდული პროექტების მიზანს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა რეინტეგრაცია წარმოადგენს. ამ მიზნით პროგრამის ფარგლებში უწყება მჭიდროდ

---

[1] Pelikani Christa, The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009.
Internet publication http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

[2] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, პეკინის წესები;

თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. პროგრამის უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს დამნაშავის საზოგადოებაში დაბრუნებას.[1] კერძოდ წარმატებული განრიდების/მედიაციის შედეგად საქმის შეწყვეტა გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს არ აქვს ნასამართლობა და შესაბამისად, თავს აღწევს მის ნეგატიურ შედეგებს (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმების პროცესში გადატვირთული შრომითი ბაზრის პირობებში).

"სისხლის სამართლებრივი მედიაციის" კანონის ძალით ინსტიტუციონალიზება პირველად ავსტრიაში განხორციელდა. ავსტრიაში სამართალდამრღვევის მიერ დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდის იდეას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ეგრეთ წოდებული "აქტიური სინანულის" (Taetige Reue) ინსტიტუტი ავსტრიაში მოქმედებს 1787 წლიდან და დღემდე გამოიყენება იმ სამართალდარღვევებისათვის, რომელიც კოდექსით არის განსაზღვრული[2]. ბელგიაში კი 1987 წელს დაიწყო პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის. 1996 წლიდან ბელგიის რამდენიმე ქალაქში მედიაციის პროექტები განხორციელდა პოლიციის დონეზე[3]. გერმანიაში კი "სისხლის სამართლებრივი მედიაციის" კანონის ძალით ინსტიტუციონალიზება ოდნავ მოგვიანებით 1990 წელს განხორციელდა. შეიქმნა "სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის შერიგების" ინსტიტუტი (TAO) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, როგორც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, 1994 წელს, TAO სრულწლოვან პირებზეც გავრცელდა[4]. საფრანგეთში "სისხლის სამართლებრივი მედიაციის" კანონის ძალით ინსტიტუციონალიზება 1992 წლის 4 იანვარს განხორციელდა. ჩვენ მიერ განხილული ქვეყნებიდან მედიაციის ინსტიტუტი ყველაზე გვიან ნორვეგიაში დაინერგა, სადაც 1993 წელს შეიქმნა ეროვნული მედიაციის სამსახური[5].

კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებისაგან განსხვავებით ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში (ინგლისი, შოტლანდია, აშშ) მოქმედებს არა კანონიერების, არამედ მიზანშეწონილობს პრინციპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ეტაპზე. ინგლისის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს პროცესუალურ დოკუმენტს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, შესაბამისად ინგლისში არ მიიღება წერილობითი სახით დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების, უკვე დაწყებული დევნის შეწყვეტის, ან სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შესახებ[6]. თითქმის იდენტური წესი არსებობს ქართული კანონმდებლობის თანახმად, მაშინ, როდესაც უფლებამოსილი პირი, პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების (განრიდება/მედიაცია) გამოყენების შესახებ და აღნიშნული გადაწყვეტილება არ მოითხოვს არც წერილობით ფორმას და, მით უმეტეს, არც დასაბუთებას.

საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით ინგლისში მოქმედებს "ოფიციალური გაფრთხილების ინსტიტუტი", რომელიც უფლებამოსილი პირის მიერ გამოიცემა წერილობით და გააჩნია შესაბამისი დასაბუთება, უფრო მეტიც, აღნიშნული აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს სასამართლოში, რითაც შესაძლებელია სასამართლო კონტროლის განხორციელება ბრალდების მხარის შეუზღუდავ დისკრეციაზე[7]. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სამწუხაროდ, მსგავს დათქმას არ იცნობს, რითაც ბრალდებულსაც და დაზარალებულსაც პირდაპირი წესით წართმეული აქვთ კონსტიტუციით

---

[1] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შეახებ.

[2] Nadja Alexander, Harmonisation and Diversity in the Private International Law of Mediation: The Rhythms of Regulatory Reform, Oxford University Press. 2012. P 4. Puvblished Online January 2013. http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0002
(მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

[3] Trenczek T, " Victim-offender- Mediation" in Germany, ADR under the shadow of the Criminal Law. Bond Law Review. P. 20 ინტ. მის.: http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/bondlr13&div=19&id=&page=
(მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

[4] გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი-136.1

[5] ნორვეგიის მედიაციის სამსახურის აქტი (1991) - ნაწილი პირველი

[6] Jens M. Scherpe and Bevan Marten, Mediation in England and Wales: Regulaton and Practice, Oxford University Press. 2012. P. 2 Puvblished Online January 2013. http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006 (მოძიებულია 2017წლის 30 მაისს)

[7] გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2007. გვ.146

გარანტირებული ფუნდამენტური უფლება "მიმართონ სასამართლოს საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად"[1]. განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა, შეიცავდეს სუბიექტივიზმის ნიშნებს და ლახავდეს ან ბრალდებულის, ან დაზარალებულის ინტერესებს, სწორედ ამიტომ კანონის თანახმად აუცილებლად უნდა იყოს გარანტირებული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთჯერადად სასამართლოში გასაჩივრების უფლება როგორც ბრალდებულისათვის, ასევე დაზარალებულისათვის. ჩვენ მიერ განხილული თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს აღნიშნულ უფლებას და ამით გარანტირებულს ხდის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას (საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს).

საბოლოოდ ქვეყნებს, სადაც "მედიაცია" გამოიყენება, ერთი დევიზი აერთიანებთ - "რაც უფრო მძიმეა დანაშაულის შედეგი, მით უფრო საჭიროა მედიაცია".

"სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით." - აღნიშნული ნორმა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილია, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზეა ორიენტირებული.

მართლმსაჯულების სისტემაში, პროკურატურისათვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, აუცილებელია, პროკურორისათვის გარკვეული ზომით დისკრეციის მინიჭება. თუ ეს უფლება სწორად იქნება გამოყენებული, იგი ხელს შეუწყობს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. მით უმეტეს, რომ ქართული კანონმდებლობით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და არა ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და მისი ღირსების დამცირება.

ანგლოსაქსური და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში პროკურატურის სისტემები ერთმანეთი-საგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება პროკურატურის უმთავრესი ფუნქცია და სისხლის სამართლებრივი დევნა - მიზანშეწონილობის თუ კანონიერების პრინციპით, ანუ პროკურორი სისხლის სამართლის დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მტკიცებულებების გარდა ითვალისწინებს თუ არა სხვა ფაქტორებსაც.

პროკურორისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების არჩევანი განვითარებულ ქვეყ-ნებს უკვე გაკეთებული აქვთ და, როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, შედეგიც წარმატებულია.

ქართული თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული წესები, თუ რის საფუძველზე უნდა გამოიყენოს პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნისას ზუსტად შეესაბამება ამერიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედ წესებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი განსაზღვრავს საფუძვლებს, თუ რა შემთხვევებში შეუძლია პროკურორს გამოიყენოს კანონით მინიჭებული დისკრეცია, არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი - განრიდება ან მედიაცია. განრიდებისა და მედიაციის გამოყენებაზე სრულად ვრცელდება პროკურორის დისკრეცია და მხოლოდ მას აქვს უფლება ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება, გამოიყენებს თუ არა აღნიშნულ პროგრამას კონკრეტული პირის მიმართ. პროკურორის გადაწყვეტილება განრიდებისა და მედიაციის გამოყენება/არ გამოყენებაზე არც კანონით და არც სასამართლო წესით არ ექვემდებარება კონტროლს, რაც უდავოდ საკანონმდებლო ნოვაციის არაობიექტურ და არაეფექტურ განხორციელებაზე მიუთითებს. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ეს მიდგომები მეტად დამაფიქრებელია.

განრიდება - ეს არის დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც გააჩნია პროკურორს. ანუ, პროკურორს არ გააჩნია ვალდებულება დაასაბუთოს, რატომ გამოიყენა, ან არ გამოიყენა ესა თუ ის ღონისძიება, კონკრეტულ შემთხვევაში - განრიდება. ლოგიკურია, თუ პროკურორს არ ევალება, დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება, ვერც მისი გასაჩივრების შესაძლებლობა იარსებებს. პროკურორი კანონის თანახმად ვალდებულია, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის და სხვა ფაქტორების არსებობის შემთხვევაში განიხილოს ალტერნატივა - განრიდების პროგრამის გამოყენების, მაგრამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გააჩნია[2].

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 42, ნაწილი პირველი

[2] ინტერვიუ - ალექსანდრე ბარამიძესთან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესახებ, 11.02.2015. ინტ.მის: http://netgazeti.ge/law/38577/ (მოძიებულია 2017 წლის 03 სექტემბერს);

ვინაიდან არ არსებობს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, ამ მხრივ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მნიშვნელოვნად აუარესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას, რადგან ის მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა. გარდა ამისა, სასამართლოსათვის მიმართვის არდაშვება პროცესის მონაწილეების მიერ აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.

არასრულწლოვანი პირის მიმართ მოქმედებს არა მხოლოდ განრიდების, არამედ მედიაციის პროგრამაც, სრულწლოვან პირთა მიმართ, მხოლოდ განრიდების პროგრამის გამოყენება ხდება.[1] თუმცა არსობრივად არ ხდება განრიდების ინსტიტუტის მიერ დაზარალებულის ინტერესის უგულებელყოფა. პირიქით, ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება, როგორც განრიდების ერთ-ერთი შესაძლო პირობა, პირდაპირაა გაწერილი კანონით. ამასთან, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პირი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). არასრულწლოვანი პირი ვერ ისარგებლებს განრიდებით, თუ იგი ერთხელ უკვე იყო განრიდებული, ასევე არასრულწლოვანი განრიდების სუბიექტი შესაძლოა იყოს იმ შემთხვევაში, თუ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სრულწლოვან ბრალდებულთა შემთხვევაში კი ამგვარი დათქმა არ არსებობს. პირის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ჰგავს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს. განრიდებული იხდის ფულად თანხას, ეკისრება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება და საქმე მთავრდება მოკლე დროში. ხოლო არასრულწლოვანი განრიდებისა და მედიაციის დროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ არ იხდის თანხას, ასევე შესაძლოა ზიანი მის მიერ სიმბოლურად იქნას ანაზღაურებული.[2]

მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს შემდეგი საკითხები: სრულწლოვან ბრალდებულებს არასრულწლოვან ბრალდებულთა მსგავსად, მხოლოდ პირველად ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში უნდა მიეცეთ შანსი განერიდონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და თანამდევ შედეგებს. უპირველეს ყოვლისა, დაუშვებელია სრულწლოვან ბრალდებულს ჰქონდეს მეტი უპირატესობა სასჯელის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისა, ვიდრე არასრუწლოვან ბრალდებულს. მოცემული სტადარტი მინიმუმ ერთი და იგივე უნდა იყოს როგორც არასრულწლოვან, ასევე სრულწლოვან ბრალდებულთათვის. განრიდება და მედიაცია არის პროგრამა, რომლის მიზანია ერთი შანსი მისცეს ბრალდებულს განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სასჯელს, ნასამართლობას. ერთი შანსი კი ერთმნიშვნელოვნად პირველად ჩადენილ დანაშაულს ითვალისწინებს. ვინაიდან კანონმდებელი მიდის დათმობაზე სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში და იყენებს სასჯელის ალტერნატიულ ღონისძიებას, მას არ შეიძლება დანაშაულის წაქეზების/პროვოცირების სახე მიეცეს. განრიდების გამოყენების შემთხვევაში პროკურორი არ იწყებს/ან წყვეტს უკვე დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს პირის დანაშაულებრივი წარსული. თუ იგი ნასამართლევია, ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მან წარსულში ჩაიდინა დანაშაული.[3] განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში კი მოცემული საფუძვლები უდავოდ სახეზე გვაქვს.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული ორად ორი მუხლი 168[1] და 168[2] არ გვაძლევს არავითარ სტანდარტს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სრულწლოვან პირთა მიმართ განრიდება. საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს დათქმა სრუწლოვანი ბრალდებული განრიდების პროგრამით სარგებლობს თუ არა განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, ასევე კანონში არ არის გაწერილი დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში შეიძლება თუ არა სრუწლოვანი ბრალდებული გახდეს განრიდების პროგრამის სუბიექტი.

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონია, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2015. გვ. 375

[2] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ს დანართი 3.
ინტ.მის:file:///D:/სადოქტორო/სადისერტაციო%20თემა/სადისერტაციო%20ნაშრომი/დამატებითი%20მასალა/მედიაციის%20წესები%20და%20%20სამუშაო%20დოკუმენტაცია.pdf (მოძიებულია 2017 წლის 03 სექტემბერს);

[3] ალტერნატიული სასჯელები, ნ. ტორიაშვილი, სტატია, თბილისი 2013. ინტ. მისამართი: http://myadvokat.ge/upload/2013/08/ალტერნატიული-სასჯელები.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ძირითად საერთაშორისო სტანდარტებთან. თუმცა არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო წესით რეგულირებასა და შემდგომ დახვეწას.

მიმაჩნია, რომ დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა დავტოვოთ ბრალდებული, რომლის მიერ დანაშაულის განზრახ ჩადენამ დაზარალებულისათვის ასეთი მძიმე შედეგი გამოიწვია. მისაღები და დასაფასებელია კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დანაშაულის განზრახ ჩამდენის მიმართ კანონის უმთავრესი მიზანი მაინც სასჯელის შეფარდებას უნდა წარმოადგენდეს. მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიცხვი საკმაოდ დიდია სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, შესაბამისად თუკი მხოლოდ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას დავეყრდნობით და კანონში ხისტად მივუთითებთ, რომ ყველა სახის მძიმე კატეგორიის დანაშაულზე ვრცელდება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მოქმედება, ჩვენ მივალთ ერთადერთ შედეგამდე, საზოგადოებაში გაჩნდება დაუსჯელობის სინდრომი და ლიბერალური სახელმწიფოს ნაცვლად მივიღებთ კრიმინალური საზოგადოების სახელმწიფოს.

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება არ უნდა იქნას მიჩნეული მხოლოდ სისხლისამართლებრივი დევნისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლებად, აღნიშნული წარმოადგენს სამართალმწარმოებელი პირის მიერ მიღებულ გადაწყეტილებას, რასაც სათანადო შედეგები მოჰყვება და რომელიც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ტოლფას გადაწყვეტილებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპოცესო კოდექსის თანახმად სისხლის სამართლებრივი დევნის მხოლოდ ერთი სახე, საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა არსებობს, რაც გულისხმობს, რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომ საზოგადოების ინტერესთა დაცვას საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს პროკურორი, ხოლო კერძო პირის (დაზარალებულის) მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად დაზარალებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჯარო ინტერესი სისხლის სამართლით, ხოლო კერძო ინტერესი სამოქალაქო სამართლით არის დაცული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გარანტირებული უფლების აღდგენისათვის, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხის დასაყენებლად აუცილებელია არსებობდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი (მტკიცებულებითი სტანდარტი), რომლის თანახმად, პრეიუდიციად ითვლება ზიანის მიყენების ფაქტი. აღნიშნული მიდგომისა და რეგულაციის თანახმად, ჩნდება კითხვა: საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისას, რჩება თუ არა შანსი დაზარალებულს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად მოითხოვოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება?!.. ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისას, ან არ იწყება, ან წყდება უკვე დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ. ასევე ცნობილია, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისათვის. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ განრიდებულ პირთა 30%-ს ისე გაუფორმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების ხელშეკრულება, რომ მათ დაზარალებულისათვის არავითარი სახის ზიანი არ აუნაზღაურებიათ, ასევე საქმეში არ დევს დაზარალებულთა თანხმობა ზიანის ანაზღაურების გარეშე განრიდების ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.[1] მივდივართ ერთადერთ შედეგამდე, დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულ პირს ერთმევა საკანონმდებლო დონეზე გამარტივებულად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რადგან ბრალდებულთან განრიდების ხელშეკრულების გაფორმებით საერთოდ არ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება პროკურორის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, სახეზე ვერ გვექნება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც ერთ-ერთი აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი გახლავთ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხში. გამარტივებული სამოქალაქო სამართალწარმოება კი სასარჩელო წარმოების ალტერნატიული პროცედურაა.

[1] საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში 2012-2016 წლები (28/11/2016)
ინტ. მისამართი: http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს)

მიმაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს საკმაოდ დიდ საკანონმდებლო პრობლემას, რომელიც უსპობს დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას გამარტივებული წესით და აღნიშნული პრობლემა აუცილებლად საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას.

საკანონმდებლო დონეზე განრიდების ინსტიტუტის განმარტებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს ბრალდებული პირის მიმართ განრიდების გამოყენების სამართლებრივი შედეგი დაზარალებულის უფლებების მიმართ. ***კერძოდ: განრიდების განმარტებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არ დაწყების /დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, ნასამართლეობის არ არსებობისა და ბრალდებულისათვის სასიკეთო სხვა შედეგების გასწვრივ, აუცილებლად უნდა გაკეთდეს დათქმა, რომ განრიდების ინსტიტუტის გამოყენება, არ ათავისუფლებს ბრალდებულს აღნიშნული ქმედებით დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ანაზღაურებისაგან.***

რაც შეეხება კონტროლს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე, ვფიქრობ, პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ობიექტური და კანონიერი განსახორციელებისათვის საჭიროა სასამართლო კონტროლი. საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს საკითხი და მხარეს უნდა მიეცეს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული დისკრეციული გადაწყვეტილება განრიდების/მედიაციის გამოყენება/არ გამოყენების თაობაზე.

სრულწლოვან ბრალდებულებს არასრულწლოვან ბრალდებულთა მსგავსად, მხოლოდ პირველად ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში უნდა მიეცეთ შანსი განერიდონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და თანამდევ შედეგებს. უწინარეს ყოვლისა, დაუშვებელია სრუწლოვან ბრალდებულს ჰქონდეს მეტი უპირატესობა სასჯელის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისას, ვიდრე არასრულწლოვან ბრალდებულს. მოცემული სტადარტი კანონიერებისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე თანაბარი უნდა იყოს როგორც არასრუწლოვან, ასევე სრულწლოვან ბრალდებულთათვის. განრიდება და მედიაცია არის პროგრამა, რომლის მიზანია ერთი შანსი მისცეს ბრალდებულს განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სასჯელს, ნასამართლობას. ერთი შანსი კი ერთმნიშვნელოვნად პირველად ჩადენილ დანაშაულს ითვალისწინებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია (მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს), ინტ.მის: http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68 (მოძიებულია 2017 წლის 03 სექტემბერს);
2. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, პეკინის წესები;
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიციაიის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შეახებ. ინტ.მის: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195 (მოძიებულია 2017 წლის 03 სექტემბერს);
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ს დანართი 3. ინტ.მის:file:///D:/სადოქტორო/სადისერტაციო%20თემა/სადისერტაციო%20ნაშრომი/დამატებითი%20მასალა/მედიაციის%20წესები%20და%20%20სამუშაო%20დოკუმენტაცია.pdf (მოძიებულია 2017 წლის 03 სექტემბერს);
5. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (მიღებულია 07/04/1987);
6. ნორვეგიის მედიაციის სამსახურის აქტი (მიღებულია 1991);
7. გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2007;
8. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი.გაბისონია, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი 2015;
9. ალტერნატიული სასჯელები, ნ. ტორიაშვილი, სტატია, თბილისი 2013. ინტ. მის: http://myadvokat.ge/upload/2013/08/ალტერნატიული-სასჯელები.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
10. Jens M. Scherpe and Bevan Marten, Mediation in England and Wales: Regulaton and Practice, Oxford University Press. 2012. P. 2 Puvblished Online January 2013. http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0006 (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);

11. Nadja Alexander, Harmonisation and Diversity in the Private International Law of Mediation: The Rhythms of Regulatory Reform, Oxford University Press. 2012. P 4. Puvblished Online January 2013. http://oxfordindex.oup.com/view/10.1093/acprof:oso/9780199653485.003.0002 (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
12. Pelikani Christa, The Results of Empirical Research into the Issue of Victim-offender Mediation in Domestic Violence Cases. Institute for the Sociology of Law and Criminology, Vienna. 2009.
Internet publication http://restorativejustice.org/10fulltext/pelikan-christa.-victim-offender-mediation-in-domestic-violence-cases-a-research-report.html (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
13. Trenczek T, " Victim-offender- Mediation" in Germany, ADR under the shadow of the Criminal Law. Bond Law Review. ინტ. მის.:
http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/bondlr13&div=19&id=&page= (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს);
14. ინტერვიუ - ალექსანდრე ბარამიძესთან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესახებ, 11.02.2015. ინტ.მის: http://netgazeti.ge/law/38577/ (მოძიებულია 2017 წლის 03 სექტემბერს);
15. საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში 2012-2016 წლები (28/11/2016) ინტ. მისამართი: http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf (მოძიებულია 2017 წლის 30 მაისს).

Mari Kutateladze
David Agmashenebeli University of Georgia

DIVERSION AND MEDIATION IN CRIMINAL PROCEEDINGS
RESUME

After Roses Revolution in Georgia, "zero tolerance" politics acted with full pace, was followed by strict critics from 2009. "Zero tolerance" politics couldn't justify its goal in Georgia. Rate of violent crime had been increasing annually, which showed annoying picture. The new wave and passing to liberal phase of criminal policy became very became necessary. The program of "diversion and mediation" for lawful level of 24th day of September, 2010 is confirmation of transform from "zero tolerance" to "liberal" criminal policy, which was spread for under-age, and later for adults. The program is the best alternative event for criminal prosecution, which successfully and actively used on the whole territory of Georgia. Legislator, to take part in the program of "diversion and mediation", sets radically different standards for under-age and adults. None of the countries have the similar approach, where the mentioned program is active. For taking part in program by the set standards, under-age defendants are under discrimination and the goals of program using are under danger. The mentioned is legislation gap, which has to be sophisticated and regulated.

მაია ყუშიტაშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მტკიცების პროცესის მიზნის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში

მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება მტკიცების თეორიის მტკიცების პროცესისაგან გამიჯვნაზე, კერძოდ, „მტკიცებითი თეორიის ამოცანაა, მაგალითად, ადამიანთა მორალური აღზრდა, ანტიმეცნიერული დებულებების დაგმობა, იურისტ-სპეციალისტების მაღალი თეორიული ცოდნით აღჭურვა... ყველა ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცების თეორია აღწევს თავის მიზანს, ე.ი. უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენას... მაშასადამე, მტკიცებითი სამართლის მეცნიერების ანუ თეორიის მიზანია ჭეშმარიტების ძიება, ჭეშმარიტების მიღწევა[1].

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხოლოდ ზოგადი ფორმითაა გადმოცემული, რომ მისი მიზანია დანაშაულის გამოძიების, სისხლისამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების

[1] ბ. ხარაზიშვილი, ,მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982, გვ.17.

განხორციელების წესების დადგენა, რაც შეეხება სისხლის საპროცესო სამართლის კონკრეტულ მიზნებს, ისინი შეიძლება ძირითადად ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი ჩამდენი პირის დადგენა;
2. კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფა;
3. უდანაშაულო პირის მსჯავრდების დაუშვებლობა;
4. საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების გამოსწორება და აღმოფხვრა;
5. მოქალაქის, ბრალდებულის, დაზარალებულის და სისხლის საპროცესო სამართლით დადგენილი პროცესის ყველა მონაწილის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, მათი ღირსებებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა;
6. კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა და ამ იდეების საზოგადოებაში დამკვიდრება;
7. სისხლის საპროცესო სამართლის კანონით დადგენილი პრინციპების დაცვა-განმტკიცება და ასახვა.[1]

ადრე მოქმედი სსსკ-ის 127-ე მუხლით კი უშუალოდ მტკიცების პროცესის ერთადერთ ნიშად მიჩნეული იყო სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, რაც დღეს საერთოდ იგნორირებულია კანონმდებლის მიერ. მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობამ გამორიცხა გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობა და შეეცადა მის შეცვლას ისეთი „გონივრული ეჭვის“ არსებობით, რომელიც დგინდება კანონით დადგენილი წესით საქმისათვის მოპოვებული მტკიცებულებებით. პირის ბრალდებულად ცნობა და მისი განსჯა „გონივრული ეჭვით“, რაოდენ დამაჯერებლადაც არ უნდა იყოს იგი დადგენილი შესაბამისი მტკიცებულებებით, მაინც არასწორი და მიუღებელია, რადგან ეჭვი მაინც ეჭვად რჩება და იგი ბრალდებულის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ამიტომ საქმის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევით უნდა შევეცადოთ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მთლიანი მექანიზმისა და მისი ჩამდენი პირის ყველა მახასიათებელი გარემოების დადგენა. მხარეთა მიერ წარმართულ მტკიცების პროცესს მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სისხლის სამართლის საქმის განხილვის მიმართულებაზე და სისხლის სამართლის საქმის შედეგზე, ასევე არსებითი სახის კორექტირება შეუძლია შეიტანოს საქმეში არსებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე.

კანონის უზენაესობა სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ელემენტებია. ეს პრინციპები განასახიერებს სამართლის ბატონობის იდეას. სასამართლო ხელისუფლება, ისევე როგორც ხელისუფლების სხვა შტოები, უნდა ხორციელდებოდეს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. შემეცნებისა და მისი შედეგების დამაჯერებლობის ურთიერთანაფარდობის განსაზღვრა ერთნაირად აუცილებელია ყველა სფეროში. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში ჭეშმარიტების მტკიცების მიზანი საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიერ ისეთი დასკვნების მიღებაა, რომლებიც აბსოლუტურად შეესაბამებიან სინამდვილეს და რეალურად ასახავენ მომხდარ მოვლენებს. ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია დანაშაულის ჩადენის და მისი ბრალეულობის უტყუარობის დადგენა.[2]

სისხლის სამართლის პროცესი არის გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს და სისხლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობა, მიმართული კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ იურიდიულ დისციპლინად არსებობას გამართლება ვერ მოეძებნება, თუ მის წინაშე გარკვეული ამოცანების გადაწყვეტა არ დაისმებოდა და არ დაისახებოდა გარკვეული მიზნის მიღწევა. უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა (წინსვლა) საბოლოო ჯამში სისხლის სამართლის პროცესის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას და მიზნის მიღწევას ემსახურება. სისხლის სამართლის პროცესის მიზანი ის მწვერვალია, სადაც სისხლის სამართლის პროცესი თავისი არსებობის გამართლებას პოულობს, ამიტომ უნდა ითქვას სისხლის სამართლის პროცესის მიზანი, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის ბუნებას ავსებს და ამყარებს, უნდა ჩაითვალოს მის ერთ-ერთ ელემენტად.

სისხლის სამართლის პროცესის მიზანთან დაკავშირებით საპროცესო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია წარმოდგენილი, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, გაბატონებული აზრით, სისხლის სამართლის პროცესის მიზანია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, დანაშაულის

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) ავტორთა კოლექტივი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქციით, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, გვ. 32-33.

[2] სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2009, გვ. 344.

ჩამდენი პირის ბრალეულობის დადგენა და სამართლიანი დასჯა, არაბრალეული ადამიანის დაცვა უსაფუძვლო ბრალდებისაგან და მოქალაქეებზე, აღმზრდელობითი ზემოქმედების მოხდენა. „მტკიცებითი სამართლის მიზანია ჭეშმარიტების დადგენა, ე.ი ფაქტების და გარემოებათა იმგვარად დადგენა, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ჭეშმარიტება არის ცოდნის ან მოსაზრების სინამდვილესთან შესაბამისობის აბსოლუტური თანხვედრა“. „მტკიცებითი სამართალი ეწოდება იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებითაც რეგულირდება მტკიცების პროცესთან დაკავშირებული პროცესუალური მოქმედებანი და ურთიერთობანი ჭეშმარიტების დადგენის მიზნით“[1], ხოლო „მტკიცება, ლიტერატურაში მიღებული განსაზღვრებიდან გამომდინარე, არის საქმეზე კანონიერი გზით ჭეშმარიტების დასადგენად ინფორმაციის მოპოვება – შემოწმებასა და შეფასებაში მონაწილეთა მოქმედება და ურთიერთდამოკიდებულება“.[2]

ჭეშმარიტება შემეცნების თეორიასთან არის გაიგივებული ხშირ შემთხვევაში და დიალექტიკის ნაწილადაც კი არის მიჩნეული, ჭეშმარიტება არ არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეშე. ობიექტური სინამდვილის საგნები თავისთავადნი არიან და არაფერი აქვთ საერთო ჭეშმარიტებასთან მანამდე, ვიდრე ადამიანი არ დაუკავშირდება მათ აღქმისა წარმოსახვის ასახვის ფორმით, ცნებების დადგენის პროცესში. ჭეშმარიტება ცნობიერია იმდენად, რამდენადაც შემმეცნებელი სუბიექტია, იგი ასახვაა ადამიანის გონებაში, მაგრამ, როგორც დადგენილია, თვით ეს ასახვაა, სინამდვილის ადეკვატური სურათი იგი სრულებითაც არ არის დამოკიდებული ადამიანის ნება-სურვილზე მის სუბიექტურ ფაქტორებზე: ჭეშმარიტება მუდამ შეპყრობილია ობიექტური სინამდვილით. ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით, თითქოს ყოველთვის გაძნელებულია კონკრეტული დანაშაულისათვის დამახასიათებელი ნიშნების უტყუარად გამოვლინება. როდესაც ლაპარაკია ჭეშმარიტებაზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჭეშმარიტების განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმს ჭეშმარიტების ცვალებადობა წარმოადგენს, რომელიც ეფუძნება პრაქტიკასა და შემეცნების განვითარებითობას.[3]

რენე დეკარტი - „ჭეშმარიტება არის აზრი, რომელიც ცხადი და ნათელია“. ჭეშმარიტება ცნობიერების მიერ სინამდვილის სწორი, ადეკვატური ასახვაა. აზრი, რომელიც საგნობრივ ვითარებას შეესაბამება, ჭეშმარიტია, ხოლო რომელიც არ შეესაბამება, მცდარია. ჭეშმარიტება არ არსებობს ობიექტურად, ე.ი. ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ იგი ობიექტურია. ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტია ცნობიერების ისეთი შინაარსი, რომელიც განსაზღვრულია მხოლოდ საგნობრივი ვითარებით. ჭეშმარიტება დამოკიდებული არ არის ადამიანის სურვილებსა და ნებისყოფაზე. ჭეშმარიტების კლასიკური განსაზღვრება პირველად მოგვცა არისტოტელემ. ჭეშმარიტებას ახასიათებს შეფარდებითობა და აბსოლუტურობა. შეფარდებითობა ნიშნავს, რომ ცოდნა მიახლოებით, პირობით ან გარკვეულ მიმართებაში ზუსტად ასახავს სინამდვილეს. აბსოლუტურობა ნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე და რომელიმე მიმართებით ცოდნა სრულად, ამომწურავად ასახავს საგანს. ჭეშმარიტი ცოდნა, რამდენადაც იგი შეფარდებითია, იცვლება, რასაც განაპირობებს ორი გარემოება: ან საგანი იცვლება, ან მის შესახებ ცოდნა ღრმავდება და კონკრეტდება, მაგრამ ჭეშმარიტი ცოდნა იცვლება არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, მისგან რაღაც უკუიგდება, რაღაც კი რჩება, ამიტომ ჭეშმარიტი ცოდნა შეფარდებითია, მაგრამ შეიცავს აბსოლუტურობის მარცვლებს. იდეალისტურ ფილოსოფიაში არსებობდა ჭეშმარიტების ორი ერთმანეთის საპირისპირო - ობიექტურ-იდეალისტური და სუბიექტურ-იდეალისტური გაგება. პირველის თანახმად, ჭეშმარიტება არსებობს ობიექტურად, იგი იდეალურია. ეს არის ჭეშმარიტება თავისთავად, რომელიც საგნის გარკვეულობას, როგორობას წარმოადგენს. მეორის თანახმად, ჭეშმარიტება სუბიექტურია, ადამიანის ცნობიერების თავისებურებითაა განპირობებეული, მაგრამ ამ თავისებურების კონკრეტული გაგება განსაზღვრავდა ჭეშმარიტების სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისის სხვადასხვა ვარიანტს.[4]

სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა გულისხმობს იმას, რომ თუ, სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედება სინამდვილეში მოხდა, აღდგენილ იქნეს იგი ისეთივე სახით და ფაქტობრივი გარემოებებით, რა ვითარებაშიც მიმდინარეობდა და რა თქმა უნდა დადგენილ იქნეს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პიროვნება. ჭეშმარიტების დადგენა იქნება ასევე არაბრალეული პიროვნების რეაბილიტაცია, მისგან გაუმართლებელი ბრალდების მოხსნა. ჭეშმარიტების მტკიცება მოწოდებულია გაარკვიოს ფაქტების, მოვლენების, გარემოებების რეალურად არსებობა და მათი სიყალბე, რომელთა ძირითადი მიზანია

[1] ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, ნარკვევები, თბილისი, 1982, გვ. 4.

[2] სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, თბილისი, 2008, გვ. 344.

[3] სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2009, გვ. 343.

[4] https://ka.wikipedia.org/wiki/23.03.2017, 13:53.

საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების თავიდან აცილება. შესაძლებელია ჭეშმარიტება დავყოთ რამდენიმე სახედ: 1. მიახლოებით ჭეშმარიტებად - რომელსაც პირობითი ხასიათი აქვს; 2. შეფარდებით ჭეშმარიტებად, რაც უფრო მეტი ინფორმაცია იქნება დაგროვილი ამა თუ იმ საგნის რაობის შესახებ, მით უფრო სრული იქნება ჩვენი წარმოდგენა სინამდვილეზე; 3. ობიექტურ ჭეშმარიტებად - რომელიც, როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, მიიღება შეფარდებით ჭეშმარიტებათა შეჯამებით და არის მტკიცებითი სამართლის ძირითადი მიზანი.[1]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის პროცესი ფუნდამენტურ პრინციპად თვლის "სამართლიანი პროცესის უფლებას", რომელიც აქვს ბრალდებულს. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მხარეებმა, ასევე სასამართლომ იზრუნოს ჭეშმარიტების დასადგენად, ანუ ხელი შეეწყოს მომხდარი ქმედების სრულყოფილად „აღდგენას" და მის საფუძველზე მოხდეს პასუხისმგებლობის განსაზღვრაც. „ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას ჭეშმარიტების ცნების გაგონება საერთოდ აღარ აინტერესებს და იგი „გონივრული ეჭვის" დადგენითაც კმაყოფილდება".[2] როგორც ზემოთ აღინიშნა, ადრე მოქმედი კანონმდებლობით მტკიცების პროცესის ერთადერთ ნიშნად მიჩნეული იყო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, ახალი საპროცესო კანონმდებლობით კი ჭეშმარიტების დადგენის ცნება, საერთოდ იგნორებულია". „გონივრული ეჭვი", რაოდენ დამაჯერებლადაც არ უნდა იყოს იგი დადგენილი შესაბამისი მტკიცებულებებით, ეჭვი მაინც ეჭვად რჩება და იგი ბრალდებულის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

შეჯიბრებითობის თეორიის მიხედვით „ჭეშმარიტების მიგნების საუკეთესო გზა საკითხთან დაკავშირებით ორივე მხარის ძლევამოსილი განცხადებაა, რომელიც ფასდება პასიური და დამოუკიდებელი მოსამართლის მიერ"[3]. ბრალდებულს უფლებისთვის ბრძოლას თვითგადარჩენის ინსტინქტი, თავისუფლებისკენ მუდმივი სწრაფვა აიძულებს. უკეთ აღჭურვილ ბრალდების მხარესთან „ბრძოლა უფლებისთვის", იქცევა მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის საფუძვლად. სიმართლეს ადგენს დამოუკიდებელი სასამართლო („The truth lies somewhere in the middle"[4]

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ე. სენდერსი აღნიშნავს, სისხლის სამართალწარმოების ანგლოსაქსონური მოდელის მკვლევარები ბოლო წლებში საკმაოდ ხშირად აღნიშნავენ ხაზგასმით, რომ შეჯიბრებითი პროცესისთვის დამახასიათებელია მისწრაფება „დამტკიცებისაკენ" და არა „ჭეშმარიტებისაკენ",[5] სისხლის სამართლის პროცესში მხარეებს როგორც წესი მოაქვთ საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სასამართლო სისტემა კი მსჯელობს/იკვლევს მხოლოდ მათ მიერ წამოყენებულ საკითხებთან მიმართებით. სასამართლო როგორც სახელმწიფო ხელისუფლების შტო, ასეთი დიდი მასშტაბის მექანიზმი, არ უნდა კმაყოფილდებოდეს საქმის განხილვისას მხარეთა დადგენილი ფარგლებით, იგი უნდა ეძიებდეს ჭეშმარიტებას ანუ სიმართლეს. „რაც უფრო მეტი ინფორმაცია იქნება დაგროვილი ამა თუ იმ საგნის რაობის შესახებ, მით უფრო სრული იქნება ჩვენი წარმოდგენა სინამდვილეზე და ბოლოს ამ გზით შესაძლებლად ითვლება აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევა".[6]

სამართლის იდეა - საქმეზე ჭეშმარიტების (სიმართლის) დადგენაა, მტკიცების პროცესის არსი და მიზანიც სწორედ ამას ემსახურება. ჩემი აზრით, კანონმდებლის მიერ არ არის სასურველი აღნიშნული პრინციპის უარყოფა. სისხლის სამართლის პროცესის მიზანი უნდა იყოს ჭეშმარიტების ძიება და საბოლოო ჯამში მისი მიღწევა, რაც განაპირობებს მტკიცების არსის განსაზღვრულობას, დანიშნულებას და მიზანს, მტკიცების განხორციელებით როგორც მხარეები, ისე სასამართლო უნდა მოქმედებდეს მთავარი ამოცანით - საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება და აისახოს სასამართლო გადაწყვეტილებაში. მოქმედი კანონმდებლობით - შეჯიბრებითი პროცესის მიმდინარეობა დამოკიდებულია მხარეთა აქტივობაზე, ამ ვითარებაში დაცვის მხარისთვის არასასურველი შედეგები შეიძლება დადგეს უვიცობის და არაკომპეტენტურობის გამო, რაც უფრო დიდი მასშტაბით ხელს უშლის ჭეშმარიტების დადგენას და ეს არ აღიქმება მხოლოდ დაცვის მხარის პრობლემად. სასურველია კანონმდებელმა ცალსახად განსაზღვროს ჭეშმარიტების ძიების სავალდებულოობაა და მის დადგენაზე უნდა ზრუნავდეს როგორც სასამართლო, ისე მხარეები და ყველა პროცესში მონაწილე პირი.

---

[1] სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2009, გვ. 344.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) ავტორთა ჯგუფი,სტუ, თბ., 2013, გვ. 255.

[3] http://fds.oup.com/www.oup.com/pdf/13/9780199541317_chapter1.pdf

[4] http://politics.ryanrenn.com/truth in middle.htm.

[5] ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2007. გვ. 63.

[6] იქვე, გვ.31.

სამწუხაროდ, სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ შემდეგ სიტუაციას: კანონი არ ადგენს ჭეშმარიტების დადგენის საკითხს, სასამართლო პასიურია, დამოკიდებულია მხარეთა პოზიციაზე, მხარეები კი წარმოადგენენ მათი პოზიციის მტკიცებულებებს და მათ მიერ განსაზღვრულ ფარგლებში უწევს სასამართლოს მსჯელობა, ამიტომ საბოლოოდ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება შეფასდეს იმავდროულად საქმეზე ობიექტურად არსებული სინამდვილის, სწორი და ადეკვატური ასახვის დამადასტურებელ დოკუმენტად. „სასამართლო წარმოების დროს ჭეშმარიტების დადგენა – ეს იგივე საქმის კონკრეტულ გარემოებათა სწორი და სრული ასახვაა“[1]. ჭეშმარიტების დადგენის, როგორც მიზნის არარსებობის შემთხვევაში, გარკვეულწილად ალოგიკურია ვისაუბროთ სამართლიანობის პრინციპის არსებობაზე მართლმსაჯულების განხორციელების ეტაპზე.

შევაჯამოთ რას წარმოადგენს მტკიცება და რა მიზანი აქვს მას, „მტკიცების პროცესში შეიძლება სამი მიმართულებით გამოვყოთ: 1. შემეცნება, 2. დადასტურება, 3. დასაბუთება. შემეცნების ეტაპზე საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება ხდება. ამის შემდეგ აუცილებელია ინფორმაციის საპროცესო დამაგრება, შესაბამის საპროცესო დოკუმენტში ასახვა და ყველა შესაძლო ადრესატის დარწმუნება მათთვის მიწოდებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში“.[2]„პროცესის დინამიური ნაწილი კი, კლასიკური თვალსაზრისით ორ ასპექტს მოიცავს: ერთია პროცესის მიზანი, მეორე მისი ფაზები“.[3] ჭეშმარიტების ძიების პროცესი, აძლევს საშუალებას სისხლის სამართლის საქმეს გამოკვლეული იქნას მაქსიმალური სრულყოფილებით, ყოველმხრივ და ობიექტურად აღდგენილი იქნას ობიექტურად ყველა ფაქტობრივი გარემოება, რა ვითარებაშიც სინამდვილეში იქნა ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გამოვლინდეს დანაშაულის ყველა ეპიზოდი, პირობები, ვითარება, გამომწვევი მიზეზები და ა.შ. ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი შესწავლა გულისხმობს მტკიცებულებათა ერთობლიობაში განხილვას, რომელთა მეშვეობითაც საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახდება მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენა.

ბრალეული პირის მსჯავრდება ყოველთვის დაფუძნებული იქნება კანონზე და აქედან გამომდინარე, შესრულებული სისხლის სამართლის პროცესის ისეთი ამოცანა, როგორიცაა - არ დაუშვას უდანაშაულო პირის მსჯავრდება. უდანაშაულო (არაბრალეული) პირის მსჯავრდება აცილებული იქნება, თუ აღდგება ის რეალობა, რომელშიც მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სწორედ აღდგენილი რეალური სურათი ხდება იმის საფუძველი, რომ, თუ ბრალდება წარედგინა არაბრალეულ პიროვნებას, შეწყდეს მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა, ან/და სასამართლომ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.[4] უტყუარად მიიჩნევა ისეთი მტკიცებულება, რომლის ჭეშმარიტებაც საეჭვო არ არის.[5] ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფედერალური ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, იგი, ასევე მოწონებულია სხვადასხვა შტატების უმაღლესი სასამართლოების მხრიდანაც. [6]

შინაგანი რწმენა, როგორც მტკიცებულებათა შეფასების შედეგი, ნიშნავს, რომ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე დარწმუნებული არიან მტკიცებულებების სარწმუნოობაში და იმ დასკვნების მართებულობაში, რომლებამდეც ისინი მივიდნენ სისხლის სამართლის საპროცესო მტკიცების პროცესში. მტკიცების თითოეული პროცესი უნდა დასრულდეს ასეთი რწმენის წარმოქმნით. თუ ასეთი რა არ არის, ეს ნიშნავს, რომ მტკიცება არაა სრულყოფილი, შესაბამისად სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების (სიმართლის) დადგენა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ლიტერატურა:

1. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ქ. ჩომახაშვილი, თ. თომაშვილი, გ. ძებნიაური, ს. ოსეფაშვილი, მ. პატარიძე, თბილისი, 2016.
2. დავის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით, კვლევა და რეკომენდაციები, ფონდი ,,ღია საზოგადოება“, თბილისი, 2016.

---

[1] ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, ნარკვევები, თბილისი, 1982, გვ. 47.

[2] ი. ჩხეიძე, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010, გვ. 30.

[3] ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი: მოკლე კურსი / თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა ; მეცნ. რედ.: თედო ნინიძე. - თბ.: Sani, 1999. გვ. 277.

[4] სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2009, გვ. 23.

[5] იხ. მ. ოშხარელი, „მტკიცების პროცესი და მისი ეტაპები თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში“ თბილისი, 2010, გვ. 165.

[6] სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2009, გვ. 27-28.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015.
4. თ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015.
5. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, მოსამართლეთა კონფერენციის მასალები, თბილისი, 2013.
6. ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე ,,საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარები“, გამომცემლობა სეზანი, თბილისი, 2007.
7. კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007.
8. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, ი. აქუბარდია, რ. გოგშელიძე, ლ. ფაფიაშვილი და ნ.გოგნიაშვილი, თბილისი, 2009.
9. ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, ნარკვევები, თბილისი, 1982.
10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015.
11. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილი და ი. გაბისონია, თბილისი, 2013.
12. ანა გურიელი, ,,მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში“, სტატია, თბილისი, ჟურნალი LAW AND THE WORLD, 2016.
13. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი: მოკლე კურსი/თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა; მეცნ. რედ.: თედო ნინიძე. - თბ.: Sani, 1999.
14. შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009.
15. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის საპროცესო–სამართლებრივი სისტემები, თბ.,2002.
16. ნ. გაბრიჩიძე, გამოძიების ცალკეული პროცესუალური პრობლემები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. „სამართლის აქტუალური პრობლემები“ 2010 წლის 18-19 დეკემბერი, თბილისი.
17. მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2011.
18. მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ჟურნ. „მარჯი“, თბილისი. 2008, N1.
19. George Fisher, Evidence, Foundation Press, Second Edition.
20. James f. Anderson, Bankole Thompson, “American criminal procedures”, Carolina Academic Press (August 1, 2007)
21. LOUIS KAPLOW, Burden of Proof, THE YALE LAW JOURNAL, 2012.
22. Larry J. Siegel, John L. WorrAL, Criminal Justice,2012.
23. Cole. G. criminal justice in America (6 edition) wadsuoth. publishing, 2010.
24. Barbara Shapiro, Circumstantial Evidence: of Law, Literature and Culture, 2013.

Maia Kushitashvili
David Agmashenebeli University of Georgia

THE PROBLEM OF THE PURPOSE OF THE PROOF PROCESS IN CRIMINAL PROCEDURE

RESUME

The Criminal Procedure consideres the "right of fair process" as a fundamental principle, which has the defendant, and in the process of justice is very important as the parties and the court take care to establish the truth, or to facilitate the "restoration" of the action and determine the responsibility on it. The applicable criminal procedure legislation also satisfies the determination of "reasonable doubt", as regards the earlier legislation, the only sign of the trial process was to establish the truth on the case. The "reasonable suspicion" can not be ascertained by the established evidence, the suspicion remains suspicious and the accused may be in favor of the interest. The purpose of the law is to determine the truth in the case, the essence and purpose of the process of evidences and the purpose of the legislation is not to reject the principle. The aim of the criminal process is to find the truth and ultimately its achievement determines the essence, purpose and purpose of the essence of the assertion as the parties and the court must act in the main tasks to determine the truth and reflect on the court decision. The researchers of the Anglo-American Anti-Sensual Model of Criminal Procedures in recent years have often noted that the challenge of the competition is to "endeavor" and not "to the truth." The process of searching the truth allows the criminal case to be examined with the maximum perfection, all the factual circumstances in which all the factual circumstances are restricted, in which case the offense and guilty action prohibited by criminal law has been revealed in all circumstances related to the crime Finally, it is a fair process.

მიხეილ შაყულაშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

კორუფციულ დანაშაულთა კლასიფიკაციის საკითხი

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში ორი მიმართულება გამოიყოფა:

1. ***კორუფციული დანაშაულობის თავიდან აცილების პოლიტიკის საგნის განსაზღვრა.*** კორუფციული დანაშაულობის თავიდან აცილების პოლიტიკის საგანი აღნიშნული კონვენციით მეტად ფართოდ არის განსაზღვრული. კორუფციის თავიდან აცილების სისტემა განისაზღვრება შემდეგ კორუფციულ დანაშაულთა მიხედვით: ფულადი საშუალებების „გათეთრება“, ეროვნულ საჯარო თანამდებობის პირთა მოსყიდვა, უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო თანამდებობის პირთა მოსყიდვა, საჯარო თანამდებობის პირის მიერ ქონების დაუფლება, არამართლზომიერი მითვისება ან სხვა მიზნით გამოყენება, ანგარების მიზნით ზეგავლენის ბოროტად გამოყენება, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, უკანონო გამდიდრება, კერძო სექტორში მოსყიდვა, კერძო სექტორში ქონების გაფლანგვა, დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლის „გათეთრება“, დამალვა.

2. ***კორუფციული დანაშაულობის თავიდან აცილების პოლიტიკის ინსტიტუციური ასპექტები.*** ზემოაღნიშნული კონვენცია ყურადღებას ამახვილებს სამ ძირითად ინსტიტუციურ სფეროზე: ა) საჯარო სექტორზე; ბ) კერძო სექტორზე; გ) სოციალურ სფეროზე. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს.

სტატიაში განხილულია „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მნიშვნელოვანი, აქტუალური მიმართულებები კორუფციის თავიდან აცილების პოლიტიკის კუთხით:

ა) ფულადი საშუალებების „გათეთრების“ (მე-14 მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

ფულის გათეთრება არ არის კორუფციული დანაშაული. იგივე შეიძლება ითქვას „კონვენციის“[1] 23-ე მუხლით განსაზღვრულ ქმედებაზე (დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლის „გათეთრება“). მაგრამ „კონვენცია“ გარკვეულწილად იზიარებს მიდგომას, რომელიც გავრცელებულია ამერიკულ დევიანტოლოგიაში.[2] ამ კონცეფციის თანახმად, დანაშაულობის განსხვავებულ ფორმებს ადგენს საზოგადოება და არა კანონმდებლობა. ასეთ ფორმებს მიეკუთვნება კორუფცია და ფულის გათეთრება. აღნიშნულ კონცეფციას წინ უძღოდა ზოგიერთი საერთაშორისო აქტი, რომლებიც კორუფციას სხვადასხვა დანაშაულს (მათ შორის, ფულის გათეთრებას) უკავშირებდა, კერძოდ, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის დოკუმენტი („საბანკო სისტემის ფულის გათეთრების მიზნით დანაშაულებრივი გამოყენების თავიდან აცილება“) (1988 წლის დეკემბერი),[3] „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (1988 წლის 19 დეკემბერი) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 28 მაისის №732-IIს დადგენილებით)[4] და ა. შ.

წარსულში კორუფციასა და ფულის გათეთრებას შორის კავშირის აქტუალობაზე საქართველოში ყურადღებას არ ამახვილებდნენ. „შავი ფულის“ გათეთრების სფეროში საქართველოს მდგომარეობის შეფასებისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესახებ საკითხი სერიოზულად პირველად დაისვა 2001 წლის 10-13 დეკემბერს ქ. სტრასბურგში გამართულ ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის სხდომის სამუშაო შეხვედრაზე, სადაც ერთ-ერთ ძირითად საკითხად საქართველოს შესახებ

---

[1] „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის აღსანიშნავად აქ და შემდგომ „კონვენციას“ გამოვიყენებთ.

[2] S. Tombs. Workplace harm and the illusions of law – Criminal obsessions: Why harm matters more than crime. Centre for crime and Justice studies. Second edition). 2008, pp. 41–61

[3] Prevention of criminal use of the banking system for the purpose of money-laundering (December 1988): http://www.bis.org/publ/bcbsc137.pdf

[4] United Nations Convention Against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances, 1988: https://www.unodc.org/pdf/convention_1988_en.pdf

მომზადებული ანგარიში განიხილებოდა. ამ მოხსენებაში საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ფულის გათეთრების პრევენციისა და გამოძიების თვალსაზრისით ნეგატიურად იქნა შეფასებული.[1]

ბ) ეროვნულ საჯარო თანამდებობის პირთა მოსყიდვის (მე-15 მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია ორი გარემოება:

1. სისხლის სამართლის დოგმატიკისაგან განსხვავებით, „კონვენციის“ მე-15 მუხლი საჯარო თანამდებობის პირთა მოსყიდვის ინსტიტუტს ფართოდ განიხილავს და შეიცავს ქმედების მოდელს, რომელიც შეიძლება გავრცელდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ ქმედებებზე: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (332-ე მუხლი), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (333-ე მუხლი), კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (340-ე მუხლი), სამსახურებრივი სიყალბე (341-ე მუხლი), სამსახურებრივი გულგრილობა (342-ე მუხლი), ქრთამის აღება (338-ე მუხლი) და ქრთამის მიცემა (339-ე მუხლი);

2. სხვა ქვეყნებისაგან (მაგალითად, დიდი ბრიტანეთისგან) განსხვავებით, „იდენტიფიკაციის თეორიის“[2] პრინციპი საქართველოში დაცულია. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თანამდებობის პირთა წრე მხოლოდ კანონით განისაზღვრება. გამოიკვეთა თანამდებობის პირთა წრის გაფართოების ტენდენცია. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2012 წლის 29 ივნისს შეტანილი ცვლილების თანახმად, თანამდებობის პირთა წრეს მიეკუთვნებოდნენ თვითმმართველი ქალაქის და მუნიციპალიტეტის საკრებულოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივანი, თვითმმართველი ქალაქის მერი, მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის რაიონის გამგებლები და მათი მოადგილეები. ამრიგად, „კონვენციის“ ანტიკორუფციული პოლიტიკის მოთხოვნები განსაკუთრებით მმართველობის საშუალო და დაბალ რგოლებზე ვრცელდება.

გ) უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო თანამდებობის პირთა მოსყიდვის (მე-16 მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

„კონვენცია“ ყურადღებას ამახვილებს ორ გარემოებაზე:

1. *უცხო ქვეყნის საჯარო თანამდებობის პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო თანამდებობის პირთა წრის კანონით განსაზღვრის აუცილებლობა* (მე-2 მუხლი). ქართულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სსკ-ს 339-ე და 339[1] მუხლების მიზნებისათვის მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს).[3] ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება „იდენტიფიკაციის თეორიის“ პრინციპს, რომლის დაცვის აუცილებლობაზედაც მიუთითებს „კონვენციის“ მე-2 მუხლი. „კონვენციის“ თანახმად, „საჯარო თანამდებობის პირი“ განსაზღვრული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით. „კონვენციის“ აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, რომლის 221-ე მუხლი (კომერციული მოსყიდვა), 338-ე მუხლი (ქრთამის აღება), 339-ე მუხლი (ქრთამის მიცემა) და 339[1]-ე მუხლი (ზეგავლენით ვაჭრობა) ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე და მოქალაქეობის არმქონე პირზე.

2. *რისკისა და შიდა კონტროლის მართვის სისტემების აქტუალობა* (მე-9 მუხლი). „კონვენციის“ მე-9 მუხლი ამ მიმართულებას მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს. საქართველოში კომერციული საქმიანობის სუსტი განვითარების პირობებში იზრდება საჯარო თანამდებობის პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო თანამდებობის პირთა მოსყიდვის რისკი. კორუფციის რისკზე მიუთითებს გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ტენდენცია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2013 წლის კვლევის თანახმად, 2012 წლის ბოლოს პირდაპირი კონტრაქტების ოდენობამ იკლო, შემდგომ კი მათი რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა.[4] აღნიშნული პრობლემა საქართველოში მეტად აქტუალურია, განსაკუთრებით დიდ ქალაქში (თბილისში), სადაც თავმოყრილია უცხოური ბრენდების ექსკლუზიურ წარმომადგენლობათა უმრავლესობა. საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკურ

---

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“ და საქართველოს კანონმდებლობა. ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა. USAID. 2006, გვ. 69

[2] M. Polaine. Criminalizing Bribery of National and Foreign Public Officials – ADB/OECD Anti-Corruption Initiative for Asia and the Pacific. 3rd Master Training Seminar – Pakistan, 14-17 February 2005, pp. 16-17

[3] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“ და საქართველოს კანონმდებლობა. ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა. USAID. 2006, გვ. 79

[4] გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები – კორუფციის რისკები: http://transparency.ge/simplified-procurement

ბაზარზე დამკვიდრებისაკენ სწრაფვა, ერთი მხრივ, და სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების უკმარისობა, მეორე მხრივ, ხელს უწყობს საეჭვო კავშირების მოძიებას.

ზემოაღნიშნულ კვლევაში აქტუალურად იქნა მიჩნეული შემდეგი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება:

- მთავრობის მიერ პირდაპირი კონტრაქტების რაოდენობის შემცირება და შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავება;
- დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე შიდა საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერება;
- ხელისუფლების საგამოძიებო უწყებების, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, მიერ მეტი ძალისხმევის გამოჩენა საბიუჯეტო თანხების ხარჯვის უკეთ ზედამხედველობისათვის.[1]

დ) საჯარო თანამდებობის პირის მიერ ქონების დაუფლების, არამართლზომიერი მითვისების ან სხვა მიზნით გამოყენების (მე-17 მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

„კონვენციის“ მე-17 მუხლით განსაზღვრული დანაშაულის ანალოგია თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) და მითვისება ან გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ისევე, როგორც ფულადი საშუალებების „გათეთრების“ შემთხვევაში, საჯარო თანამდებობის პირის მიერ ქონების დაუფლების ან არამართლზომიერი მითვისების შემთხვევაში საქმე არ გვაქვს კორუფციულ დანაშაულთან. მაგრამ „კონვენციის“ მე-17 მუხლი აღნიშნული ქმედების მოდელისა და კორუფციის კავშირს ითვალისწინებს. ამიტომ საჯარო თანამდებობის პირის მიერ ქონების დაუფლების ან არამართლზომიერი მითვისების თავიდან აცილების პოლიტიკის საკითხი ამ კუთხით განიხილება. შეიძლება ითქვას, რომ „კონვენცია“ გამოყოფს რისკის სფეროს, რომელიც ქმნის კორუფციული დანაშაულის გავრცელების ალბათობას. როგორც ქართველი მკვლევრები აღნიშნავენ, ამ სიტუაციაში თავს იჩენს ე. წ. „მბრუნავი კარის“[2] ტენდენცია, როცა ბიზნესიდან სახელმწიფო თანამდებობაზე მოსული პირები თავიანთ მდგომარეობას კონკრეტული კომპანიების სასარგებლოდ იყენებენ, ბიზნესში მყოფი ყოფილი თანამდებობის პირები კი ხელისუფლებაში შენარჩუნებული კონტაქტებისა და გავლენის წყალობით თავიანთ კომპანიებს ბაზარზე უსამართლო უპირატესობის მოპოვებაში ეხმარებიან.[3]

ე) ანგარების მიზნით ზეგავლენის ბოროტად გამოყენების (მე-18 მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

„კონვენციის“ მე-18 მუხლში სისხლის სამართლის დოგმატიკის სიზუსტე დაცული არ არის, რადგან ქრთამის აღება, გამოძალვა და ზეგავლენით ვაჭრობა ერთ სიბრტყეზეა განხილული. კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის მე-12 მუხლში უფრო ზუსტად არის განსაზღვრული ზეგავლენით ვაჭრობის მოდელი, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339[1]-ე მუხლს. კერძოდ, მე-12 მუხლში აღნიშნულია ქმედება, რომელიც გამოიხატება განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში, ან ამ უპირატესობის მიცემის დაპირებაში ან შეთავაზებაში მისთვის, ვინც ასაბუთებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია მოახდინოს უარყოფითი გავლენა მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და მე-9, მე-10, მე-11 მუხლებში აღნიშნული პირების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, იმის მიუხედავად, ეს გაუმართლებელი უპირატესობა ემსახურება ასეთ პირს თუ ვინმე სხვას, ასევე, ამგვარ გავლენასთან მიმართებაში ასეთი უპირატესობის მოთხოვნა, მიღება ან თანხმობა ამგვარი უპირატესობის შეთავაზებაზე ან დაპირებაზე, მიუხედავად იმისა, ეს გავლენა განხორციელდა თუ არა, ან ამგვარ გავლენას შეიძლება თუ არა მოჰყვეს წინასწარ განზრახული შედეგები.[4]

---

[1] „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ სახელმწიფოს შესყიდვების კანონში ცვილებების რეკომენდაცით გამოდის: http://w.bpn.ge/biznesi/2421-qsaerthashoriso-gamtcvirvalobaq-sakhelmtsifos-shesyidvebis-kanonshi-cvilebebis-rekomendacith-gamodis.html

[2] „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ანტიკორუფციული დებულებებიდან ყველაზე მეტ კითხვას ე. წ. „მბრუნავი კარის“ მარეგულირებელი ნორმები (მუხლი 65. სამსახურში შესვლის შეზღუდვა) და მისი პრაქტიკაში აღსრულება ბადებს. კერძოდ, კანონი არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებზე და გაუგებარია, თუ რომელი ორგანოა პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე." (საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელება პრობლემად რჩება: http://www.transparency.ge/node/5692)

[3] ბიზნესმენები პოლიტიკაში და პოლიტიკოსები ბიზნესში. მბრუნავი კარის პრობლემა საქართველოში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. თბ., 2013, გვ. 5

[4] Criminal Law Convention on Corruption (Strasbourg, 27.I.1999): https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168007f3f5

ქართველი კრიმინოლოგები მართებულად აღნიშნავენ, რომ ამ ქმედების დასჯადად აღიარებით კიდევ უფრო გაფართოვდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბები.[1]

3) თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (მე-19 მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

ზოგიერთ ქართველ მკვლევარს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი) კორუფციულ დანაშაულად მიაჩნია.[2] მაგრამ „კონვენციის“ მე-19 მუხლის მოთხოვნა კატეგორიული არ არის. კოდექსის 332-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებაა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ამ შემთხვევაში იგულისხმება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციული დანაშაულის კავშირი. აღსანიშნავია, რომ ამ პოზიციას იზიარებს საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, როდესაც ქრთამის აღება და კომერციული მოსყიდვა ერთობლიობით კვალიფიცირდება.

ზ) უკანონო გამდიდრების (მე-20 მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია სამი გარემოება:

1. აღნიშნულ ინსტიტუტს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს. „კონვენციის“ მე-20 მუხლში მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიჩნეულია საჯარო თანამდებობის პირის აქტივების მის კანონიერ შემოსავლებთან შეუსაბამობა.[3] აღსანიშნავია, რომ, „კონვენციის“ თანახმად, ამ ქმედების კრიმინალიზაცია შესაძლებელია, თუმცა ეს მოთხოვნა კატეგორიული არ არის;

2. „უკანონო გამდიდრება“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია, როგორც სხვადასხვა ქმედების შემადგენლობის ელემენტი;

3. „კონვენციის“ მე-20 მუხლის საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაცია დასაბუთებულია იდეოლოგიურად და არა სამართლებრივად. ამაზე მიუთითებს სამართლებრივი რეაგირების ხერხების ამსახველი ნორმების და საერთაშორისო აქტების მოთხოვნათა შეუთავსებლობა. ასე, მაგალითად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად, სასამართლომ კონფისკაცია შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც დამნაშავედ არის ცნობილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი, თანამდებობის პირისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა შესაძლებელია მის დამნაშავედ ცნობამდე.

თ) კერძო სექტორში მოსყიდვის (21-ე მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

„კონვენციის“ 21-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დანაშაულის ანალოგია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება (კომერციული მოსყიდვა), ხოლო „კონვენციის“ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დანაშაულის ანალოგი – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება (გამოძალვა). კომერციული მოსყიდვა არის კორუფციული დანაშაულის სახეობა, რომელიც განსაკუთრებით ტიპურია საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის.

საქართველოში კერძო სექტორში მოსყიდვის თავიდან აცილების პრობლემა მეტად აქტუალურია, რადგან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ეს დანაშაული 2006 წლიდან 2013 წლამდე 0,21%-დან 1,08%-მდე გაიზარდა.[4]

შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია ანტიკორუფციულ პროგრამებში რისკების განსაზღვრა. ამ მხრივ საყურადღებოა დიდი ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროს ანტიკორუფციული პროგრამა, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. იმ რისკის შეფასება, რომელიც დაკავშირებულია კომპანიასთან, მის შემოსავლებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან ბიზნესის კავშირთან, საზღვარგარეთის ქვეყნებში კომპანიის აგენტებისა და შუამავლების მუშაობასთან;

---

[1] კორუფცია საქართველოში. კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2011, გვ. 305

[2] კორუფცია საქართველოში. კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2011, გვ. 176

[3] „ინტერესთა კონფლიქტის სისტემებში მოწმდება საჯარო მოსამსახურის პერსონალური, ფინანსური ინტერესებისა და მისი თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხი. უკანონო გამდიდრების სისტემებში ხდება იმ ცვლილებებისა და შეუსაბამობების აღმოჩენა, რომელიც არსებობს შემოსავალსა და ქონებას შორის. ასევე, მოწმდება დეკლარაციაში ქონების შესახებ ასახული ინფორმაციის სიზუსტე.“ (თანამდებობის პირთა შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმების მექანიზმები (მსოფლიო პრაქტიკა). საჯარო სამსახურის ბიურო. 2012, გვ. 3)

[4] ფინანსური ხასიათის დანაშაულების სტატისტიკა (2004- 2014): https://opendatablog.wordpress.com/2014/04/03/finansuri_xasiatis_danashaulebis_statistika/

2. კომპანიის მიერ განხორციელებული კორუფციული რისკების შემცირების პოლიტიკის და კონტროლის ანალიზი;

3. კომპანიის ანტიკორუფციული პროგრამის დონის ანალიზი მიმდინარე რისკების გათვალისწინების, დამატებითი რესურსების გამოვლენის და პროგრამის გონივრული გარანტიების დაცვის მიზნით.[1]

ი) კერძო სექტორში ქონების გაფლანგვის (22-ე მუხლი) თავიდან აცილების პოლიტიკა

„კონვენციის“ 22-ე მუხლით განსაზღვრულ ქმედებას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი (მითვისება ან გაფლანგვა) ქონების გაფლანგვის ყველა შემთხვევას ზოგადად ითვალისწინებს. მაგრამ კრიმინოლოგიური თვალსაზრისით „კონვენციის“ მოთხოვნა მეტად მნიშვნელოვანია. მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, რომ „კონვენცია“ უარყოფს „უხილავი ხელის“ კონცეფციას. „კონვენცია“ ყურადღებას ამახვილებს კორუფციის თავიდან აცილების პოლიტიკაში სახელმწიფოს როლზე. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დიდი ქალაქის პირობებში კერძო სექტორის კონტროლის პრობლემა.

კვლევის შედეგად დადგინდა კერძო კომპანიებზე ადგილობრივი ხელისუფლების ზემოქმედების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია:

1. *ადგილობრივი ხელისუფლების მაკონტროლებელი ფუნქციის შესუსტება.* როგორც აღნიშნულია, მთელი რიგი მომსახურებების კერძო სექტორში გადასვლამ, მაშინ, როცა ადგილობრივ ხელისუფლებას კერძო კომპანიებზე ზემოქმედების არავითარი ბერკეტი არ გააჩნია, თვითმმართველობებს მოქალაქეთა ინტერესების დაცვის საშუალება მოუსპო. კომპანიათა ნაწილი (პორტები, რკინიგზის კვანძები და სხვ.) არათუ არ იხდიან გადასახადს ადგილობრივ ბიუჯეტებში, არამედ არავითარ ინფორმაციას არ აწვდიან ადგილობრივ ხელისუფალთ თავიანთი საქმიანობის შესახებ. პრაქტიკაში, მაქსიმალური ცენტრალიზაციის პირობებში, არაეფექტური მენეჯმენტისა და რეალური პრიორიტეტების არცოდნის გამო, ცენტრალური ხელისუფლების ზოგიერთი არაკვალიფიციური მოხელის მიერ განხორციელებული საქმიანობა ძვირი და არაეფექტურია.

ასევე, ზოგადი სახის პრობლემას წარმოადგენს თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის არარსებობა. ამას ხელს უშლის როგორც სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა, ისე კომპეტენციათა გაუმიჯნაობა და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ტოტალური კონტროლის პირობებში თვითმმართველობებში შესაბამისი ნების სიმცირე. კონკრეტული თანამშრომლობის მაგალითები ძალზე ცოტაა (მაგალითად, რუსთავისა და გარდაბნის თანამშრომლობა ერთიანი ნაგავსაყრელის შექმნის მიზნით).[2]

2. *თვითმმართველობის მაკონტროლებელი ფუნქციის ზედმეტი გაფართოება.* როგორც აღნიშნულია, თბილისის თვითმმართველობის, კერძოდ, ქალაქის მერის უფლებების ზრდა კანონმდებლობით არის განმტკიცებული:

2011 წელს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებით (9^1 მუხლის მე-3 პუნქტი)[3] საქართველოს დედაქალაქს არა მხოლოდ სხვა თვითმმართველობებზე მეტი, არამედ, ზოგჯერ, შეუზღუდავი უფლება მიენიჭა: „ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხზე, რომელიც, კანონის თანახმად, არ განეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას და აკრძალული არ არის თვითმმართველი ერთეულისათვის“. ეს კანონი ძალადაკარგულ გამოცხადდა საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

თბილისს სხვა თვითმმართველობებისაგან განასხვავებს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული საგანგებო, გაზრდილი უფლებამოსილებები და მათი რეგულაციები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: თბილისის თვითმმართველობის საბიუჯეტო უფლებამოსილებანი და საბიუჯეტო პროცესი; საკრედიტო და ქონებრივი (მიწა, ბუნებრივი რესურსები, ტყე) უფლებამოსილებები; თბილისის მთავრობის უფლებამოსილება, დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირები. როგორც წესი, ასეთი ცვლილებების ავტორად თბილისის მერია, ხოლო ინიციატორად – საქართველოს პრეზიდენტი გვევლინება.[4]

---

[1] B. Loughman, R. Sibery. Bribery and Corruption. John Wiley & Sons, Inc. 2012, p. 68

[2] ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. 1991-2014. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. თბ., 2015, გვ. 21-22

[3] ეს ცვლილება კანონში შევიდა 2011 წლის 24 ნოემბერს (მე-9^1 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი).

[4] ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. 1991-2014. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. თბ., 2015, გვ. 35-36

დასკვნა

კორუფციის პროცესზე ზემოქმედების მიზნით მომზადებული კრიმინოლოგიური გამოკვლევა თეორიული დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო აქტების მიხედვით კორუფციის განსაზღვრის საკითხისადმი კონცეპტუალური მიდგომების გარკვევა და ამის საფუძველზე კორუფციასთან ბრძოლის სტანდარტების შემუშავება.

1. კორუფციასთან ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საერთაშორისო აქტებში განვითარებულ იმ კონცეპტუალურ მიდგომებს, რომლებიც ამ ბრძოლის მიმართულებებს განაპირობებს. საერთაშორისო ორგანიზაციების კონვენციების მნიშვნელობის განსაზღვრისას მიზანშეწონილია სხვადასხვა მიდგომის გათვალისწინება. ამ მიდგომების საწყისი ფორმაა კორუფციის სამართლებრივ-ეთიკური შეფასება, რომლის მიხედვით, გასაკიცხია თანამდებობის პირის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულება, თუ მას პირადი და არა საზოგადოებრივი ინტერესი ამოძრავებს. უფრო მაღალი ფორმაა კორუფციის გაგება სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ფარგლებში. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, კორუფცია არის სოციალური ურთიერთობა, რომელშიც კერძო პირები და თანამდებობის პირები ერთობლივად მონაწილეობენ. და ბოლოს, უმაღლესი ფორმაა კორუფციის გაგება ინსტიტუციური კონცეფციის ფარგლებში. ამ კონცეფციის მიხედვით, კორუფციის განვითარების საფუძველია სოციალურ ინსტიტუტში არსებული საქმის ვითარება.

2. კორუფციისადმი სამართლებრივ-ეთიკური მიდგომის შესწავლით დგინდება, რომ გასაკიცხია როგორც თანამდებობის პირის მიერ დაკისრებული მოვალეობის საჩუქრის, დაპირების ან სტიმულის მიღების სანაცვლოდ შესრულება, ისე მის მიერ დაკისრებული მოვალეობის საეჭვო შესრულება. „მართლწესრიგის განმტკიცებისათვის თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის“ მე-7 მუხლის კომენტარის „ბ“ ქვეპუნქტის რეკომენდაციის მიხედვით, გასათვალისწინებელია, რომ კორუფცია მოიცავს თანამდებობის პირის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისას ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებას ან განუხორციელებლობას საჩუქრის, დაპირების ან სტიმულის მიღების სანაცვლოდ ან მათ უკანონო მიღებას. კოდექსს „კორუფციის აქტის“ ცნებაში შეაქვს კორუფციის მცდელობაც.

3. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სამართლებრივ-ეთიკურმა მიდგომამ საფუძველი ჩაუყარა კორუფციის ცნების გაფართოებას. „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციამ (2003 წლის 31 ოქტომბერი) კორუფციის ძირითად ფორმებად გამოაცხადა არა მარტო მექრთამეობა და სახელმწიფო სახსრების მითვისება, არამედ ზეგავლენით ვაჭრობა და კორუფციის გზით მიღებული თანხების ლეგალიზაცია. ამის გარდა, დანაშაულის ობიექტად გამოცხადდა კერძო სექტორი. ეთიკური კომპონენტი ნათლად ჩანს „ზეგავლენით ვაჭრობის“ განმარტებისას. აღნიშნულია, რომ გამორჩენის მიღებისას ზეგავლენით მოვაჭრე შეიძლება არც იყოს მოხელე. მაგრამ მნიშვნელოვანია მისი პროფესია და სოციალური მდგომარეობა: შესაძლებელია გამორჩენის მიმღებმა თვითონ ვერ გადაწყვიტოს საკითხი, მაგრამ გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიმღებ პირზე.

4. სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომის კვლევის შედეგად დგინდება, რომ კორუფცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემთავაზებლისა და კორუმპირებული პირის ერთობლივი მონაწილეობით. შეუძლებელია თანამდებობის პირმა კორუფციული აქტი ადეკვატური შეთავაზების გარეშე განახორციელოს. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის (სტრასბურგი, 1999 წლის 27 იანვარი) მე-2 და მე-3 მუხლებში მოცემული კორუფციული დანაშაულის განმარტებები. სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომა ვითარდება აგრეთვე „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის (2000 წლის 15 ნოემბერი) მე-8 მუხლში. სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომა სრულყოფილად ჩამოყალიბდა „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-15 მუხლშიც.

ლიტერატურა:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“ და საქართველოს კანონმდებლობა. ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა. USAID. 2006, გვ. 69;

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“ და საქართველოს კანონმდებლობა. ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა. USAID. 2006, გვ. 79;

3. კორუფცია საქართველოში. კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2011, გვ. 305;

4. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. 1991-2014. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. თბ., 2015, გვ. 21-22;
5. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. 1991-2014. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. თბ., 2015, გვ. 35-36;
6. კორუფცია საქართველოში. კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბ., 2011, გვ. 176;
7. თანამდებობის პირთა შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმების მექანიზმები (მსოფლიო პრაქტიკა). საჯარო სამსახურის ბიურო. 2012, გვ. 3;
8. *B. Loughman, R. Sibery*. Bribery and Corruption. John Wiley & Sons, Inc. 2012, p. 68;
9. Tombs. Workplace harm and the illusions of law – Criminal obsessions: Why harm matters more than crime. Centre for crime and Justice studies. Second edition). 2008, pp. 41–61;
10. Prevention of criminal use of the banking system for the purpose of money-laundering (December 1988): http://www.bis.org/publ/bcbsc137.pdf;
11. United Nations Convention Against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances, 1988: https://www.unodc.org/pdf/convention_1988_en.pdf ;
12. ფინანსური ხასიათის დანაშაულების სტატისტიკა (2004- 2014): https://opendatablog.wordpress.com/2014/04/03/finansuri_xasiatis_danashaulebis_statistika/;
13. გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები – კორუფციის რისკები: http://transparency.ge/simplified-procurement;
14. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ სახელმწიფოს შესყიდვების კანონში ცვილებების რეკომენდაცით გამოდის: http://w.bpn.ge/biznesi/2421-qsaerthashoriso-gamtcvirvalobaq-sakhelmtsifos-shesyidvebis-kanonshi-cvilebebis-rekomendacith-gamodis.html;
15. Criminal Law Convention on Corruption (Strasbourg, 27.I.1999): https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168007f3f5.

Mikheil Shakulashvili
David Agmashenebeli University of Georgia

A PROBLEM OF CLASSIFICATION OF CORRUPTION AND CRIME COMMISSION

RESUME

The presented article is a criminological study which provides possibility to draw theoretical conclusions and practical recommendations. In this regard, an important role is attached to the conceptual approaches developed in the international instruments which stipulate the combat areas. Legal and ethical assessment of corruption is highlighted, according to which, performing duties by official is reprehensible if it is in personal and not in public interests.

The Articles of the United Nations Convention against Corruption (October 31, 2003) are analyzed, according to which the main forms of corruption have been declared not only bribery and misappropriation of public funds, but also trading in influence and legalization of money received through corruption.

Institutional approach research to corruption shows that this approach takes into account the activities of social institutions, which are conditioned by the existing situation in the institutions, by issuing contradictory regulations, by gratuitous complications and other acts. Finally, within the framework of the institutional approach the necessary and practically significant recommendations are worked out, the classification of crimes in the process of combating corruption in compliance with the United Nations Convention is analyzed.

თეა ცაავა
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები

შესავალი

კვლევის თემის აქტუალურობა. თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტების განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი საკითხია. თემა აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობაში არ არის გაწერილი კონკრეტულად სუბიექტთა წრე. მოვალე არათუ არ მოიაზრება სუბიექტებში, არამედ კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელია თავდები პირის შერჩევა მისი ნების საწინააღმდეგოდაც კი.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს კვლევა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ნაშრომის ფარგლებში განხილულია სუბიექტთა ვინაობა და მოვალის ნების უგულებელყოფის შედეგად თავდები პირის შერჩევისას უფლების ბოროტად გამოყენების საკითხი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია განისაზღვროს ვინ არიან თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები, რამდენადაც აღნიშნული იწვევს სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს, განისაზღვროს მოვალის როლი თავდებობის ხელშეკრულებაში, მოვალის ინტერესების დასაცავად დადგინდეს მისი თანხმობის თუ ინფორმირების საჭიროება თავდების პიროვნებაზე.

კვლევის მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია განმარტების, ანალიზის, სინთეზის, შედარებით-სამართლებრივი და სისტემური მეთოდები.

1. ძირითადი ხელშეკრულების სუბიექტები

თავდებობის ხელშეკრულება ვიწრო გაგებით გულისხმობს თავდებსა და კრედიტორს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. ფართო გაგებით თავდებობის ხელშეკრულებაში მოიაზრება: 1. მოვალესა (შემდგომში ძირითადი მოვალე) და კრედიტორს შორის ხელშეკრულება (შემდგომში ძირითადი ხელშეკრულება); 2. თავდებსა და კრედიტორს შორის ხელშეკრულება (შემდგომში თავდებობის ხელშეკრულება) და 3. თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა.

თავდებობის ხელშეკრულების შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი მხარე იღებს პასუხისმგებლობას სხვა პირის ვალდებულებაზე.[1] შესაბამისად, არსებობს თავდებობის ხელშეკრულების საზღვრებს გარეთ სხვა ვალდებულება (გათვალისწინებული ძირითადი ხელშეკრულებით), ურომლისოდაც იგი ვერ იარსებებს. თავდებობა აქცესორული ვალდებულებაა და უნდა განიხილებოდეს არა განცალკევებით, როგორც დამოუკიდებელი წერილობითი ფორმის ხელშეკრულება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ძირითად ხელშეკრულებასთან მიმართებაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ხელშეკრულების განმარტებას. ხელშეკრულება განიხილება როგორც ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგება.[2] კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. ვალდებულებაში მოიაზრება ორი მხარე მოვალე (როგორც ვალდებული მხარე) და კრედიტორი (როგორც უფლებამოსილი მხარე)[3] შესაბამისად, ხელშეკრულება გულისხმობს მინიმუმ ორი სუბიექტის არსებობას.

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას. მისი არაჯეროვანი შესრულება ან საერთოდ შეუსრულებლობა ხდება სწორედ თავდებობის ხელშეკრულების ამოქმედების წინაპირობა. თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ამ შემთხვევაში ძირითადი მოვალე პირნათლად შეასრულებს თავის ვალდებულებას, მაშინ თავდებობის ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ წარმოეშობა არც უფლებები (კრედიტორი) და არც ვალდებულებები (თავდები).

---

[1] *ავტორთა კოლექტივი, რობაქიძე ი.* სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 546; ასევე იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგი IV, ტომი II, 228.

[2] *ხარაზი ი.* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2014, 283; ასევე იხ. *ჭანტურია ლ.* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017, 290; *ავტორთა კოლექტივი, სვანაძე გ.* სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 87.

[3] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლი და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 241-ე პარაგრაფი თითქმის მსგავს განმარტებას აკეთებს ვალდებულების შინაარსთან დაკავშირებით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ყველა ვალდებულებითი ურთიერთობის ამოსავალი წერტილია კრედიტორის მოთხოვნის უფლება და შესაბამისად, მოვალის ვალდებულება საპასუხოდ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

თუ ძირითადი ხელშეკრულება არ არსებობს, არ არსებობს თავდებობის ხელშეკრულებაც.[1] თუმცა პრაქტიკაში არსებობს პირიქითაც, როდესაც თავდებობის არსებობა არის წინაპირობა ძირითადი ხელშეკრულების ამოქმედებისა. ეს მაშინ, როდესაც საკრედიტო დაწესებულება სესხის გაცემაზე იღებს ვალდებულებას მხოლოდ მისი თავდებობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფისას.

ძირითადი ხელშეკრულებისა და თავდებობის ხელშეკრულების კრედიტორი ერთი და იგივეა, ძირითადი მოვალე კი თავდებობის ხელშეკრულების მხარეს უმეტეს შემთხვევაში არ წარმოადგენს. თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულება ფორმდება სამ პირს შორის: თავდები, კრედიტორი და მოვალე.[2]

ძირითადი ხელშეკრულების მოვალის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება კრედიტორის ინტერესებისათვის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სანივთო თუ ვალდებულებით-სამართლებრივი უზრუნველყოფით. ვალდებულებით-სამართლებრივი უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებული ფორმა სწორედ თავდებობის ხელშეკრულებაა.

2. თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები

2.1. ჩვეულებრივი თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 891-ე მუხლის მიხედვით თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი სუბიექტებია თავდები და კრედიტორი.[3] შესაბამისად, საკმარისია ხელშეკრულებაში მინიმუმ ორი სუბიექტის არსებობა. თავდების პასუხისმგებლობა არის სუბსიდიური. კრედიტორის მხრიდან ძირითადი მოვალის მიმართ მხოლოდ აღსრულების იძულებითი მექანიზმების უშედეგო გამოყენების შემდგომ ეძლევა კრედიტორს უფლება შესრულება მოითხოვოს თავდებისაგან.

თუ თავდებობის ხელშეკრულების ცნებას მივყვებით რუსეთის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში რსკ) 361-ე მუხლის მიხედვით ერთი შეხედვით ამ შემთხვევაშიც საკმარისია მინიმუმ ორი სუბიექტის არსებობა. თუმცა დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრებებით და ამავე კოდექსის ცალკე მუხლით სუბსიდიური პასუხისმგებლობის მოწესრიგებას მივყავართ იმ აზრამდე, რომ თავდებობის ზოგადი წესით განსაზღვრული პასუხისმგებლობა სოლიდარულია ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით.[4]

რაც შეეხება ძირითადი მოვალის ადგილს თავდებობის ხელშეკრულებაში, იგი არ წარმოადგენს როგორც წესი ხელშეკრულების მხარეს. შესაბამისად, კანონმდებლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ არათუ მისი ნების გარეშე, არამედ მისი ნების საწინააღმდეგოდაც კი შეიძლება თავდებობის ხელშეკრულების გაფორმება და მისი რეალიზება.

როგორც წესი ასეთი შემთხვევა იშვიათია, თუმცა შესაძლებელი და ამის შესაძლებლობას თავად კანონმდებლობა იძლევა. ერთი მხრივ ასეთი დასაშვებია, მეორე მხრივ კი შეიძლება გახდეს თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი შეგნებულად მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების გამო. მაგ: პირი გამოდის თავდებად ბანკის წინაშე იმ მიზნით, რომ შემდგომში მის მიერ მოვალის ვალდებულების შესრულების გამო მან მიიღოს კრედიტორის მოთხოვნის უფლება და ამით ზეგავლენა მოახდინოს მოვალეზე.[5]

მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას: რომელ პირებს შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომ იგი განიხილებოდეს როგორც მოქმედი ანუ ნამდვილი თავდებობის ხელშეკრულება ანუ ვინ არიან სუბიექტები თავდებობის ხელშეკრულებაში?

სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნათქვამი სუბიექტებზე. აქ მხოლოდ მითითებულია, რომ თავდებობაში მოიაზრება ისეთი ურთიერთობა, რომელშიც ერთი პირი იღებს ვალდებულებას მესამე პირის მოვალეობის შესრულებისათვის კრედიტორის მიმართ. ნორმის ჩანაწერი მიუთითებს რეალურად სამი პირის არსებობაზე: თავდები, კრედიტორი და მოვალე. თუმცა, სამართლებრივი ურთიერთობა

---

[1] *ჭანტურია ლ.* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 183.

[2] *ავტორთა კოლექტივი, რობაქიძე ი.* სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 547.

[3] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგი IV, ტომი II, 228.

[4] ქართული და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით თავდებობას იდენტური განმარტება აქვს და მასში მოიაზრება თავდების მოვალეობა თავდებად დაუდგეს კრედიტორს მესამე პირის ვალდებულების შესასრულებლად. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 891-ე მუხლის პირველი ნაწილი და გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 765-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი.

[5] იქვე, შეად. Гражданский Кодекс Россиической Федерации ст. 169 и ст. 10, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 115-ე მუხლები. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის შემთხვევაში პირდაპირ მითითებულია კონკურენციის შეზღუდვის მიზანზე, როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. ქართული კანონმდებლობით კი ზოგადად უფლების ბოროტად გამოყენებაზეა საუბარი.

იკვეთება უშალოდ თავდებსა და კრედიტორს შორის ჩანაწერით - ერთი პირი იღებს ვალდებულებას (თავდები) კრედიტორის მიმართ.

თავდებობის შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებში არ არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ მოვალე ჩართული უნდა იყოს თავდებობის ხელშეკრულებაში. ასევე არ არის მოთხოვნა ძირითადი მოვალის თანხმობის შესახებ თავდები პირის შერჩევის მიზნით.

თავდების მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ, ეს უკანასკნელი რეგრესის წესით ითხოვს მოვალისაგან შესაბამის ანაზღაურებას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ყალიბდება ახალი სამართლებრივი ურთიერთობა თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მიხედვით კი მხარე თვითონ ირჩევს კონტრაჰენტს, ვისთანაც სურს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა. განსახილველ შემთხვევაში კი აღნიშნული ფუძემდებლური პრინციპი სამოქალაქო კანონმდებლობისა ირღვევა.[1] თუ მოვალეს არ განვიხილავთ თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტად, სხვა შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი ინფორმირება მაინც თავდები პირის ვინაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ იქნება ხელშეკრულების სუბიექტი, არსებობს შანსი, რომ მისი არათუ ნებართვის, არამედ ნების საწინააღმდეგოდაც შეირჩეს თავდები პირი. შანსი საკმაოდ მაღალია კრედიტორების მხრიდან, როდესაც ძირითადი მოვალე არის ფირმა ან საზოგადოება, რომლის ვალდებულების შესრულება არასასურველი თავდების მიერ გამოიწვევს ასევე არასასურველი პირის ხელში კონტროლის მექანიზმის გადაცემას და შესაბამისად ხმის უფლებას აქციონერთა კრებაზე.

ყველაზე პოპულარული და ძლიერი არგუმენტი მოვალის ინფორმირების შესახებ არის შემდეგი. კრედიტორების მხრიდან მოვალის არაინფორმირებულობა შესაძლოა გახდეს კრედიტორთა მხრიდან მათი უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველი. ერთ-ერთი ასეთი მიზანი შესაძლოა იყოს განსჯადობის შეცვლა, ხარჯებისაგან თავის დაღწევა, რამდენადაც მიმართვა უნდა მოხდეს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. თავდებად დაიყენონ ის პირი ან ორგანიზაცია, რომელთა ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადობა მათთვის საუკეთესო სამართლებრივი შედეგის მომტანი იქნებოდა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს კვლევა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში კი არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით ძირითადი მოვალე ჩართულ უნდა იქნეს თავდებობის ხელშეკრულებაში სუბიექტად,[2] რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო კანონდებლობაში არსებული მხარეთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცებას.

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით თავდებობა არის ხელშეკრულება თავდებსა და კრედიტორს შორის.[3] ცხადია, აღნიშნული ეწინააღმდეგება რსკ-ის 361-ე მუხლის ჩანაწერს, სადაც საუბარია, რომ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულება თავდებისა და მოვალისაგან ერთდროულად ან ერთ-ერთი მათგანისაგან.

ამ მოსაზრებას ჰყავს მომხრეებიც, რომელთა მოსაზრებითაც თავდებობის ხელშეკრულება იდება კრედიტორსა და თავდებს შორის. მოვალეს ეს არ ეხება, რამდენადაც მას შეეძლო ყოფილიყო კეთილსინდისიერი, შეესრულებინა ვალდებულება და მის მიერ ვალდებულების შესრულება გამორიცხავდა შემდგომში თავდების მიერ შესრულების საჭიროებას ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი თუ მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას, ის, როგორც დამნაშავე მხარე, ვერ წარუდგენს თავის პრეტენზიებს თავდებს, რომელიც შეასრულებს მის ვალდებულებას. ასევე კრედიტორს სულ აქვს უფლება, თავდებობის არსებობის მიუხედავად შეუძლია დათმოს მოთხოვნა მესამე პირის სასარგებლოდ და ამისთვის მას არანაირი თანხმობა მოვალისგან არ მოეთხოვება.[4]

თავდებობის ხელშეკრულებით საუბარია თავდებზე, კრედიტორზე და მესამე პირზე, მაგრამ შინაარსიდან გამომდინარეც ცხადად ჩანს, რომ საუბარია უშუალოდ თავდების მიერ ვალდებულების კისრებაზე უშუალოდ კრედიტორის მიმართ. შესაბამისად ვალდებული და უფლებამოსილი პირები გამოდიან ხელშეკრულების მხარეებად. მოვალე კი არ არის მოხსენიებული როგორც ვალდებული ან უფლებამოსილი მეორე ხელშეკრულების (თავდებობის) ჭრილში. ხოლო პირველი ძირითადი ხელშეკრულების შემთხვევაში მოვალე ერთ-ერთი მხარეა.[5]

---

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის, პირველი ნაწილი.

[2] იხ. *Анненков К.* Система русского гражданского права. Том III, Права обязательственные, 1899, 37.

[3] *Новицкий Н.Б.* Поручительство, 1927, 4.

[4] *Мейер Д.И.* Русское гражданское право. Часть II, 1997, 187; *Победоносцев К.* Курс гражданского права, Часть III, Договоры и обязательства, 1896, 311; *Исаченко В.Л. и Исаченко В.В.* Обязательства по договорам, 1914, 39.

[5] *ახვლედიანი ზ.* ვალდებულებითი სამართალი, 1999, 94; ასევე იხ. *თუმანიშვილი გ.* ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, 2012, 189.

აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ კი უნდა ითქვას, რომ თუ მოვალე არ იქნება ინფორმირებული თავდები პირის ვინაობის ან საერთოდ მისი არსებობის შესახებ, სასამართლოში დავის წარმართვის შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოვალის გვერდის ავლით დაიწყოს სასამართლოში საქმის წარმოება. ამ შემთხვევაში მოვალეს არათუ საკუთარი ინტერესების დაცვის, არამედ მონაწილეობის უფლებაც კი არ ექნება.

სამოქალაქო კანონმდებლობით მხარე ვალდებულია, რომ საკუთარი ინტერესების დაცვის პარალელურად არ მოხდეს სხვისი ინტერესების შელახვა. უფლება უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. კერძოსამართლებრივი ურთიერთობების კეთილსინდისიერად წარმართვის შესახებ მიუთითებს არა მარტო კონკრეტულად და პირდაპირ სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი ნორმა, არამედ არაპირდაპირაც. [1]

სსკ-ის 115-ე მუხლის მიხედვით სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება **მარტოოდენ** იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. პირმა უნდა დაიცვას კეთილსინდისიერება და მართლზომიერება. ეს მუხლი ავალდებულებს მონაწილე სუბიექტებს რომ უფლებები ბოროტად არ გამოიყენონ.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ სიტყვას „მარტოოდენ“ მისცა ფართო განმარტება, კერძოდ იგი უნდა განიმარტოს - მნიშვნელოვანწილად, დიდწილად. თუ ვალდებულების შესრულება სხვა ალტერნატიული საშუალებითაცაა შესაძლებელი და ამასთან მოვალის ინტერესების გათვალისწინებით უფრო მსუბუქი და ხელსაყრელი ალტერნატივაა.[2]

პრაქტიკაში კრედიტორების მხრიდან ამგვარი უფლების ბოროტად გამოყენებისაგან თავის დაზღვევის მიზნით ნორმებში უნდა დაკონკრეტდეს, რომ კრედიტორს გააჩნდეს ვალდებულება ძირითადი მოვალის მიმართ, მოახდინოს მისი ინფორმირება თავდების პიროვნების შერჩევაზე და მის მიმართ მოთხოვნის წაყენების თაობაზე. თუნდაც იმ მიზნით, რომ მოვალეს ჰქონდეს სასამართლოში თავისი მხარის სასარგებლოდ არათუ დაცვის განხორციელების, არამედ მონაწილეობის მიღების უფლება მაინც.

სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით დაუშვებელია თავდები დაზარალდეს მოვალეზე მეტად, მაგრამ ეს იმის საშუალებას არ იძლევა, რომ მოვალე დაზარალდეს თავდების მიერ უფლების ბოროტად გამოყენების გამო.[3]

თავდების პასუხისმგებლობის ხასიათის მიხედვით უნდა განვასხვაოთ ჩვეულებრივი თავდებობა და სოლიდარული თავდებობა.

2.2. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები

თავდებობის ხელშეკრულება არის ცალმხრივი განსხვავებით ძირითადი ხელშეკრულებისაგან, რაც თავის მხრივ გულისხმობს მხოლოდ კრედიტორის მხარეს უფლების და თავდების მხარეს მოვალეობის არსებობას.[4] თუმცა განსხვავებით სსკ-ის 891-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადი ნორმით დადგენილ ჩვეულებრივი თავდებობისაგან თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად, მაშინ სახეზეა სოლიდარული თავდებობა. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ კრედიტორს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს თავდებს მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც.

სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ თავდებსა და კრედიტორს ან თავდებს კრედიტორსა და მოვალეს შორის ერთდროულად. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი თავდებობისაგან განსხვავებით ხელშეკრულებაში მინიმუმ სამი სუბიექტის არსებობაა აუცილებელი.

რსკ-ის ზოგადი ნორმით დადგენილი ზოგადი წესი არის თავდებობის სოლიდარული ხასიათი, ხოლო სუბსიდიური პასუხისმგებლობა თავდებობისა აქ არის გამონაკლისის სახით. ქართულ კანონმდებლობაში კი ზოგადი წესი არის სუბსიდიური პასუხისმგებლობა, ხოლო გამონაკლისი წესი სოლიდარული თავდებობა.[5]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი წესი და გამონაკლისი რაც თეორიულად არსებობს, პრაქტიკაში თითქმის უგულებელყოფილია. პრაქტიკაში საკრედიტო დაწესებულებები ზოგად წესად იყენებენ

---

[1] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის №2ბ/873-12 გადაწყვეტილება.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 განჩინება.

[3] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის №2ბ/873-12 გადაწყვეტილება.

[4] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგი IV, ტომი II, 228; ასევე იხ. *Новицкий Н.Б.* Поручительство, 1927, 7.

[5] გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის მიხედვით.

სწორედ სოლიდარულ თავდებობას, გამონაკლისი კი, შეიძლება ითქვას, პრაქტიკაში არ გამოიყენება. აღნიშნული მიდგომა რა თქმა უნდა, საკრედიტო დაწესებულებებისათვის ბევრად მისაღები და გარანტირებული ფორმაა.

გამოდის, რომ თუ თავდებობა სოლიდარულია, ძირითადი მოვალე და თავდები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების ერთ მხარეს, მაგრამ ორ სუბიექტს. მეორე მხარე კი თავად კრედიტორია. რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით მინიმუმ სამი სუბიექტია თავდებობის ხელშკრულებაში.[1] ქართულ კანონმდებლობაში კი მინიმუმ ორიც საკმარისია.[2]

ნაშრომში წარმოჩენილი პრობლემა ძირითადი მოვალისათვის თავდები პირის ვინაობაზე თანხმობის მოთხოვნის შესახებ სოლიდარულ თავდებობაშიც აქტუალურია. თუმცა ამ უკანასკნელის გამოყენებისას შეიძლება ნაკლები სიხშირით შევხვდეთ პრობლემას, რამდენადაც საკრედიტო დაწესებულებების მიერ შემოღებული სახელშეკრულებო ფორმულარებში სოლიდარული თავდებობა სამივე მხარის მონაწილეობით ფორმდება.

სოლიდარულ თავდებობაში მოიაზრება როგორც თავდებისა და ძირითადი მოვალის ერთდროული სოლიდარული ვალდებულების არსებობა, ისე რამდენიმე თავდების პასუხისმგებლობა ერთი და იმავე ვალდებულებისათვის.[3]

3. *თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა*

არსებობს მოსაზრება, რომ თავდებსა და მოვალეს შორის შეიძლება არსებობდეს ხელშეკრულება თავდებობის მომსახურების გაწევის შესახებ. თუმცა შესაძლოა და როგორც უმეტეს შემთხვევაში პრაქტიკაშია გავრცელებული ძირითად მოვალესა და თავდებს აკავშირებთ ახლო ნათესაური თუ მეგობრული კავშირები და არავითარ სამართლებრივ ბოჭვის ნებას ადგილი არა აქვს.[4]

მას შემდეგ, რაც თავდები შეასრულებს თავდებობის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, იგი იკავებს ძირითადი ხელშეკრულების კრედიტორის ადგილს. შესაბამისად, მასზე გადადის კრედიტორის ყველა უფლება ძირითადი მოვალის მიმართ.[5] როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდების მიერ ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულების შედეგად ყალიბდება ახალი სამართლებრივი ურთიერთობა. თავდები წარმოადგენს უკვე ახალი სამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორს და ძირითადი მოვალე ახალი სამართლებრივი ურთიერთობის მოვალეს.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ თავდებობის ხელშეკრულებით თავდები ვალდებულია არა მოვალის, არამედ კრედიტორის მიმართ. მოვალეს ხომ თავდებობის არსიდან გამომდინარე არ შეუძლია მოითხოვოს თავდებისაგან მის მაგივრად შესრულება, სხვა შემთხვევაში ჩვენ წინაშე არ არის თავდებობის ხელშეკრულება.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე როგორც წესი, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობათ მხოლოდ კრედიტორსა და მოვალეს. თუმცა, კანონმდებელი მესამე პირსაც ანიჭებს ზემოხსენებულ ვალდებულებით ურთიერთობაში მონაწილეობის უფლებას კრედიტორის ან მოვალის მხრიდან. საუბარია მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაზე.[6]

თავდებობის ხელშეკრულებაში ურთიერთობის საფუძველს მოვალესა და თავდებს შორის მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ხელშეკრულება იდება არა მოვალესა და თავდებს შორის, არამედ მოვალის კრედიტორსა და თავდებს შორის.[7]

დასკვნა

როგორც კვლევამ ცხადყო, სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის განსამტკიცებლად მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი მოვალე ჩართულ იქნეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში ან ყველაზე მინიმუმ მოხდეს მისი ინფორმირება თავდების პიროვნების შესახებ, ასევე თავდების მიმართ კრედიტორის მხრიდან სასამართლოში დავის აღძვრაზე.

---

[1] რუსეთის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმით (361) თავდებობის შესახებ გათვალისწინებული თავდების სოლიდარული თავდებობის გამო, თავდებობის ხელშეკრულებაში განიხილება ერთ მხარეს კრედიტორის, ხოლო მეორე მხარეს ძირითადი მოვალისა და თავდების არსებობა.

[2] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმით (891) თავდებობის შესახებ გათვალისწინებული ჩვეულებრივი თავდებობის გამო, თავდებობის ხელშეკრულებაში განიხილება ერთ მხარეს კრედიტორის, მეორე მხარეს კი თავდების არსებობა.

[3] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგი IV, ტომი II, 233.

[4] *კროპჰოლერი ი.* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 107.

[5] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგი IV, ტომი II, 244.

[6] *კროპჰოლერი ი.* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 107.

[7] *ახვლედიანი ზ.* ვალდებულებითი სამართალი, 1999, 77.

სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით დაუშვებელია თავდები დაზარალდეს მოვალეზე მეტად, მაგრამ ეს იმის საშუალებას არ იძლევა, რომ მოვალე დაზარალდეს თავდების მიერ უფლების ბოროტად გამოყენების გამო. სამოქალაქო ბრუნვა პრაქტიკაშიც უნდა ხორციელდებოდეს სამოქალაქო სამართლის სუბიექტების თანასწორობის საფუძველზე.

ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, სახელშეკრულებო სამართალი, 2014.
2. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგი IV, ტომი II, 2001.
3. ხარაზი ი. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2014.
4. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2017.
5. ჭანტურია ლ. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012.
6. კროპჰოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 2014.
7. ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, 1999.
8. თუმანიშვილი გ. ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, 2012.
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის №2ბ/873-12 გადაწყვეტილება.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 განჩინება.
11. Анненков К. Система русского гражданского права. Том III, Права обязательственные, 1899.
12. Новицкий Н.Б. Поручительство, 1927.
13. Мейер Д.И. Русское гражданское право. Часть II, 1997.
14. Победоносцев К. Курс гражданского права, Часть III, Договоры и обязательства, 1896.
15. Исаченко В.Л. и Исаченко В.В. Обязательства по договорам, 1914.

Tea Tsaava

David Agmashenebeli University of Georgia

SUBJECTS OF GUARANTEE AGREEMENT

RESUME

In a broad sense, the Guarantee Agreement includes: The main agreement, guarantee agreement itself and legal relations between Guarantor and Debtor. In this article is discussed the circle of subjects of these legal relations.

The legislation does not require any direct engagement of the debtor in Guarantee Agreement. The negligence of his will shall be the basis for the abuse of the right by the guarantor or the creditor in the selection of guarantors. Accordingly, the purpose of the article is to protect the interests of the debtor as the subject of the Guarantee Agreement.

ნანული (ნანა) ცხვედაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სინდისი, როგორც ქცევის რეგულაციური მექანიზმი და მორწმუნეობა

,,ადამიანის მიერ თვითგანაჩენთა გამოტანა . . ეს არის სინდისი“. კანტი
,,არფერი გავსებს ისეთი სიამაყით, როგორც განაცხადი - ,,მე ჩემი სინდისის კარნახით მოვიქცევი!““ ერიკ ფრომი

სინდისს, როგორც ქცევის რეგულაციურ მექანიზმს კვლევის ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას იკვლევდნენ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, რელიგია, კულტუროლოგები, ფსიქოლოგები. შესაბამისად, ლიტერატურაში სინდისის მრავალი დეფინიცია არსებობს. წინამდებარე ნაშრომში ვსარგებლობთ, სინდისის ფრომისეული განმარტებით, ორი გარემოების გამო. პირველი, ფრომის

სინდისის დეფინიცია შედარებით სრულად ფარავს სხვა არსებული დეფინიციების შინაარსებს, მეორე, მასში ნაცადია სინდისის მოტივაციური საფუძვლების გარკვევა.

საკითხის აქტუალობა უკავშირდება გლობალიზაციის ეპოქას და მის თანმდევ პროცესებს, რომელმაც თანამედროვე ადამიანი ბევრი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ეგზისტენციალური გამოწვევის წინაშე დააყენა. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება თანამედროვე ადამიანის მორალურ-ზნეობრივი სახის, ღირებულებითი ორიენტირების, ადაპტური რესურსის, თვითრეგულაციური სისტემების, ეთიკის სტანდარტებისა და ქცევის სხვა რეგულაციური მექანიზმების კვლევებისა და ანალიზის საჭიროებაც. სწორედ ამ ამოცანას ემსახურება წინამდებარე შრომა, რომლის მიზანს სინდისის შინაარსების - დამოკიდებულებების, ქცევითი ორიენტაციების, ქცევის დისპოზიციების ან პიროვნული ნიშნების და ამ შინაარსთა განმსაზღვრელ ,,კოინციდენციის" (გარეგანისა და შინაგანის თავდაპირველი, არსებითი და დაუნაწევრებელი ერთიანობის) პრინციპთა აღწერა და არსებითი მახასიათებლების გამოვლენა-დადგენა წარმოადგენს. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ კვლევისა და მიღებული შედეგების ანალიზზე გადავალთ, შევჩერდებით ფრომისეული სინდისის კონცეპტუალურ არსსა და ძირითად დებულებებზე.

ე. ფრომი სინდისს განმარტავს, როგორც სოციალიზაციის შედეგად ინტერიორიზებულ გარეშე ავრორიტეტს - მშობელი, ინსტიტუტები, ეკლესია, საზოგადოებრივი აზრი და ნებისმიერი სხვა, ვისი სანქციები და კანონები კონკრეტულ კულტურაში (ცნობიერად ან არაცნობიერად) აღიარებულია, როგორც ზნეობრივ-მორალური კანონმდებლობა (ე. ფრომი, 1990; ფრომი 1993).

გარეშე ავტორიტეტის კანონებისა და სანქციების გათავისებით, ადამიანში ყალიბდება სუბიექტური ნორმატიული მორალური იმპერატივების სისტემა - ინტერიორიზებული ავტორიტეტი ანუ სინდისი. ეს უკანასკნელი ადამიანის მე-ს ნაწილი ხდება და, განაპირობებს პიროვნება-გარემოს უნიტარული ფუნქციონირების რაგვარობას: ქცევის სელექციურ ანუ შერჩევით მიმართულებას, ქცევის სელექციურ ენერგიზირებას და ქცევის სელექციურ რეგულირებას. ანუ სხვაგვარად, რომ ვთქვათ, სინდისი, ინდივიდს, ქცევის მოტივირებულ სუბიექტად აქცევს, სუბიექტად, რომელიც ქცევის შედეგზე პასუხისმგებლობას არა მისი მე-ს გარეთ არსებული ,,რაღაცის წინაშე", არამედ ,,მის შიგნით არსებული რაღაცის", - საკუთარი სინდისის წინაშე გრძნობს. ფრომის აზრით, სწორედ ეს გარემოება აქცევს ,,...სინდისს, ქცევის უფრო ეფექტიან რეგულატორად, ვიდრე შიში გარე ძალების წინაშე, რადგან თუ ადამიანს შეუძლია თავი აარიდოს უკანასკნელს, ის უძლურია გაექცეს საკუთარ თავს - ინტერიორიზებულ სინდისს, რომელიც მისი მე-ს ნაწილი გახდა" (ე. ფრომი, 1993. გვ. 1140).

ე. ფრომი განასხვავებს სინდისის ორ სახეს: ავტორიტარულს და ჰუმანისტურს. ავტორიტარული სინდისი, სინდისის (ანუ ,,სუფთა" სინდისის, როგორც ფრომი უწოდებს) ფორმირების პირველი საფეხურია. ამ ეტაპზე ის, სუპერეგოს (ფროიდი, 1990) მსგავსი ფენომენია, რადგან ავტორიტარულ სინდისში გარეშე ავტორიტეტი პიროვნების სტრუქტურის ნაწილილადაა ინტერიორიზებული, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი თვითრეგულაციური სისტემა, არამედ სუბიექტური აკრძალვების სისტემა ან შინაგანი ცენზორი, რომლის მოტივაციურს საფუძველს ქმნის დასჯის შიში. რაც შეეხება ჰუმანისტურ სინდისს, მისი მოტივაციური სარჩული თვითეფექტიანობის გრძნობაა. პიროვნებაში ის თვითშეფასების ან მე-ს ცნობიერების სახითაა მოცემული; ამ შემთხვევაში, სინდისი, პიროვნების გარემოში ეფექტიანად ფუნქციონირებაზე რეაქციად გვევლინება, რომელიც რეგულირდება არა შიშით, არამედ ქცევის სუბიექტად განცდის მდგომარეობით - პასუხისმგებლობითა და ღირსების გრძნობით (ე. ფრომი, 1990; ე. ფრომი, 1993; ე. ფრომი 1992).

სინდისის ეს ორი სახე გარემოსადმი ორ განსხვავებულ ღირებულებით ორიენტაციაში ან ორგვარ დამოკიდებულებაში რეალიზდება. პირველს, ფომმა ასიმილაცია უწოდა, მეორეს - სოციალიზაცია. ასიმილაციური ორიენტაცია შეგუებაზე მიმართული ორიენტაციაა; ამ დროს ინდივიდი საკუთარი ამოცანების გადაწყვეტას ან გარემოსთან შერწყმით-სიმბიოზით[1] ან მასთან დაპირისპირება-

[1] სიმბიოზი სოციუმთან ურთიერთობის ფორმაა, რომელშიც ადამიანი ან კარგავს ან საერთოდ ვერ აღწევს დამოუკიდებლობას. სიმბიოზისკენ სწრაფვის მოტივაციურ საფუძველს ქმნის უსაფრთხოების ძიება. ფრომის ,,თავისუფლებიდან გაქცევის" კონცეპტში, სიმბიოზი თავისუფლებიდან გაქცევის მექანიზმია, რომლის დროსაც, ადამიანი, დაცულობის უზრუნველყოფას ცდილობს საკუთარი ინდივიდუალობისგან განთავისუფლებით, სხვებთან შერწყმით. სიმბიოზს აქვს ორი აქტიური და პასიური ფორმა. აქტიური სიმბიოზის დროს ინდივიდუალობიდან განთავისუფლება სხვისი ,,გადაყლპვით" (სხვების დამორჩილებით) მიიღწევა. პასიური სიმბიოზის დროს პირიქით, ინდივიდუალობისგან განთავისუფლების მაძიებელი თვითონ ხდება ,,გადაყლაპული" (სხვა ადამიანის ნაწილი, დაქვემდებარებული).

გაუცხოვებით[1] აღწევს. ამიტომ, უკანასკნელი, არაპროდუქტული ორიენტაციაა, ხოლო სოციალიზაცია - პროდუქტული, რადგან ამ დროს ინდივიდი საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებას, თვითრეალიზებას სოციუმთან ინტეგრაციით ცდილობს (ე. ფრომი 1993; ე. ფრომი 1992).

ორიენტაციათა ან გარემოსადმი დამოკიდებულების მიზნობრიობა განაპირობებს აქტივობაში სინდისის განსხვავებულ როლს და ფუნქციებს. გამომდინარე იქიდან, რომ ასიმილაციურ ორიენტაციაში წამყვანი ავტორიტარული სინდისია, მისი ფუნქციაც, მოცემულ შემთხვევაში, შეგუებითი ქცევების რეგულირებით განისაზღვრება. უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ ,,თავისუფლებიდან გაქცევაზე" ორიენტირებული დაცვითი სტრატეგიების აქტივირებით (ან მოტივირებით). მეორე, პროდუქტულ ორიენტაციაში ანუ სოციალიზაციაში, ვინაიდან წამყვანი როლი ჰუმანისტურ სინდისს ენიჭება, მისი რეგულაციური ფუნქცია პიროვნების ზრდა-განვითარების პროცესთა მოტივირებით განისაზღვრება (ე. ფრომი, 1990; ე. ფრომი, 1993; ე. ფრომი 1992).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ფრომთან სინდისის შინაარსს განსაზღვრავს კონკრეტულ სოცო-კულტურისთვის დამახასიათებელი სამყაროს აღქმისა და განცდის ნიმუშები (რწმენები, ატიტუდები, ღირებულებები, ქცევის სტილი და ა.შ.). ხოლო, სახეს - ინტერიორიზაციის (გარეშე ავტორიტეტების) ინდივიდუალური პროცესი, რაც, აგრეთვე, კულტურისთვის დამახასიათებელი საალმზრდელო სტანდარტებითაა პირობადებული. ამიტომ მივიჩნიეთ, რომ ინდივიდი-გარემოს ერთიანობის ან/უნიტალური ფუნქციონირების პრინციპზე აგებული სინდისის, როგორც ქცევის რეგულაციური მექანიზმის შინაარსების ანალიზით, შესაძლებელი უნდა იყოს როგორც კონკრეტული სოციო-კულტურული გარემოს მორალურ-ზნეობრივი სახის (სინდისის მაფორმირებელი კონტექსტუალური ცვლადი), ისე მოცემულ სოციო-კულტურულ სივრცესთან ადამიანის ინტეგრირებულობის ხარისხისა და ხასიათის აღწერა და შეფასება.

სინდისის შინაარსებიდან, წინამდებარე კვლევაში, ანალიზის ერთეულად გამოვყავით ღმერთისადმი სოციალური განწყობა. ვსარგებლობთ, რა სინდისის ფრომისეული განმარტებით, მორწმუნეობას ან ღმერთისადმი დამოკიდებულებას, განვიხილავთ როგორც ეკლესიის (გარეშე ავტორიტეტი) ინტერიორიზაციის შედეგს. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ ღმერთისადმი სოციალური განწყობის სტრუქტურული მახასიათებლები, უნდა წარმოადგენდეს სინდისის რაგვარობისა და მისი რეგულაციური ფუნქციების ანალიზისა და შეფასების მნიშვნელოვან საკრიტერიუმო ცვლადებს.

აღნიშნული საკითხის კვლევა დახმარებას გაგვიწევს ეკლესიის, როგორც მორალური ავტორიტეტის გავლენის ეფექტების დადგენა-შეფასებისთვის სტანდარტიზებული და ვალიდული საკრიტერიუმო ცვლადების შემუშავებასა და ეკლესიის გავლენების გაცნობიერებაში. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის აქტუალობაც ამ ამოცანებით განისაზღვრა.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

კვლევას მეთოდოლოგიურ საფუძვლად დავუდეთ ფრომის სინდისის კონცეპტი და განწყობის ატროპული თეორია (ნადირაშვილი, 2014). საკვლევ საკითხთან მიმართებაში ამ ორი თეორიის კავშირი სქემატურად დიაგრამა #1 სახით არის წარმოდგენილი (იხ. დიაგრამა #1).

ანტროპულ თეორიაში, ისე როგორც სხვა ატიტუდის თეორიებში, სოციალური განწყობა გაგებულია, როგორც სამკომპონენტიანი შეფასებითი ხასიათის ფსიქოლოგიური ფენომენი (ემოციური-მიღება/მიუღებლობა; კოგნიტური-კარგი/ცუდი და აქტივობის სასიკეთო ან მტრული ქცევები ტენდენცია). იმის მიხედვით, თუ რომელი კომპონენტია უფრო ძლიერი, განწყობა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც კოგნიტური, აფექტური ან მოტორული სოციალურ განწყობა (ბალიაშვილი, 1980; ნადირაშვილი 2014; 2007; 208. არონსონი, 2002). განწყობები არა მხოლოდ კომპონენტების თანაფარდობით, არამედ მათი შექმნის გზების ან საფუძვლების მიხედვითაც განსხვავდება. ასე მაგალითად, არონსონი ამ კრიტერიუმის მიხედვით ერთმანეთისგან ორი განწყობის ტიპს განასხვავებს: განწყობას, რომელიც კოგნიტური გზით არის ფორმირებული (კოგნიტური განწყობა) და განწყობას, რომლის საფუძველი აფექტებია (ემოციური განწყობა). თუ ფრომისეული ,,ინტერიორიზაციის პროცესის რაგვარობა"-ს, ატიტუდების ფორმირების თვალსაზრისით შევხედავთ, ადვილი შესამჩნევია, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე პროცესი იგულისხმება, კერძოდ, დამოკიდებულების შემუშავება სოციალური ობიექტების მიმართ, რომელიც ერთ შემთხვევაში სინდისია. მეორე შემთხვევაში - ატიტუდი, მაგრამ ორივე ღირებულებითი კატეგორიის ფენომენი და ქცევის რეგულატორი ან ადაპტორია.

[1] გაუცხოვება - თავისუფლებიდან გაქცევის მექანიზმია, რომლის დროსაც, ადამიანი, დაცულობის, საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებას ცდილობს სხვებისგან იზოლირებით (პასიური ფორმა) ან სხვების განადგურებით (აქტიური ფორმა).

დიაგრამა #1



აღნიშნული მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ განწყობის სტრუქტურული მახასიათებელი ის კრიტერიუმი უნდა იყოს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება სინდისის სახეების იდენტიფიცირება და შეფასება. ხოლო, ღმერთისადმი განწყობის სტრუქტურის მიხედვით შერჩევის ჯგუფის დაყოფა და სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით მათი შედარებით კი, ავტორიტარული და ჰუმანისტური სინდისის არსებითი მახასიათებლების გამოვლენა-დადგენა.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე კვლევის მეთოდად შეირჩა ტესტირება. ტესტირებაში გამოყენებულია ორი ინსტრუმენტი:

1. ჩვენ მიერ მოდიფიცირებული ფაბრიგანისა და პეტის (Crites, Fabrigar & Petty, 1994) განწყობის ემოციური და კოგნიტური კომპონენტების შესაფასებელი სკალები;

სკალებით შესაძლებელია მსჯელობა განწყობის საფუძვლებზე, ანუ კონკრეტული განწყობის ფორმირების პროცესზე. მეთოდიკის მიხედვით, თუ ემოციური სკალების ჯამი კოგნიტური სკალების მონაცემთა ჯამს აღემატება, მაშინ ასეთი განწყობა ემოციურ განწყობად უნდა ჩაითვალოს და პირიქით, თუ კოგნიტური სკალების ქულათა ჯამი აღმოჩნდება უფრო მაღალი - კოგნიტურად. იმ შემთხვევაში, თუ სკალების ჯამური მაჩვენებლები თანაბარი აღმოჩნდება, ჩვენ ასეთ განწყობას ამბივალენტურ/ან არადიფერენცირებული სტრუქტურის მქონე განწყობად მივიჩნიოთ[1].

2. ე.წ. ,,ღმერთთან ინტერაქციის დიადოგრამა“ (პროექციული მეთოდი, იხ. დიაგრამა). შევნიშნავთ, რომ ,,დიადოგრამა“ ჩვენ მიერ არის შემუშავებული და მოცემული კვლევა ამ მეთოდის ადაპტირებასაც ისახავდა მიზნად;

,,ღმერთთან ინტერაქციის დიადოგრამა“ ოთხსექტორიანი კონცენტრირებული წრეებისგან შედგება. სექტორები მიღებულია კოორდინატთა სისტემით. სისტემის ჰორიზონტალური ღერძის ზედა ნაწილი ღმერთის, როგორც მფარველის/ფარის ან დაცვის ზონაა. ქვედა ნაწილი საყრდენის ან ძალის. ვერტიკალური ღერძის მარცხენა ნაწილი განხილულია კრიტიკის ან მეთვალყურის ზონად (წარსული). ხოლო, მარჯვენა შემწე ან დამხმარე (მომავალი). კოორდინატთა კვეთა განიხილება თანამზრახველად. იმის მიხედვით, თუ რომელ სექტორში ათავსებს ც.პ. ღმერთს, გამოიყოფა ღმერთთან ინტერაქციის ან ღმერთის სოციალური აღქმის სახეები: 1. ღმერთი, როგორც მეთვალყურე-მფარველი; 2. ღმერთი, როგორც შემწე-მფარველი; 3. ღმერთი, როგორც მეთვალყურე-საყრდენი; 4. ღმერთი, როგორც დამხმარე/შემწე-მრჩეველი/საყრდენი და 5. ღმრთი, როგორც თანამზრახველი.

ექსპერიმენტში ც.პ.-ს მივმართავდით ერთადერთი შეკითხვით: ,,წარმოდგენილ სქემაში აღნიშნეთ, თქვენთვის სად არის, რომელ სექტორშია ღმერთი?“

მიღებული შედეგები და დასკვნები

კვლევის შედეგად მთლიანი შერჩევის ჯგუფი სამ ქვეჯგუფად დაიყო. პირველ ჯგუფში (43 ც.პ) გავაერთიანეთ ცდისპირები, ვისთანაც დომინანტური აღმოჩნდა ემოციური კომპონენტი. ამ ც.პ.-ს

[1] ემოციური განწყობა - ეს ემოციაზე ბაზირებული განწყობაა (Affectively Based Attitude), ის პირველ რიგში გამოხატავს ადამიანების გრძნობებსა და მათ მორალურ ღირებულებებს, და არა აზრს საგანწყობო ობიექტის მახასიათებლების შესახებ.

კოგნიტური ან/კოგნიტური გზით ფორმირებული განწყობა (Cognitively Based Attitude) - განწყობაა, რომელიც პირველ რიგში ეფუძნება საგანწყობო ობიექტის შესახებ ადამიანების წარმოდგენებს, არგუმენტებს, აზრებს.

პირობითად ვუწოდებთ ემოციურებს. მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ, ის ცდისპირები, ვისთანაც ღმერთისადმი დამოკიდებულებაში დომინანტი აღმოჩნდა კოგნიტური კომპონენტი (56 ც.პ.). მათ პირობითად კოგნიტურებად მოვიხსენიებთ. ხოლო, მესამე ჯგუფში შევიყვანეთ ცდისპირები, ვისაც ღმერთისადმი თანაბრად აქვს წარმოდგენილი კოგნიტური და ემოციური კომპონენტები (24 ც.პ). მათ პირობითად, ამბივალენტურებს ვუწოდებთ.

წინამდებარე კვლევაში, მონაცემთა ანალიზი და განხილვა ამ სამი ჯგუფის შედარების საფუძველზე მოვახდინეთ. შესადარებელი პარამეტრებია: ღმერთთან ინტერაქციის/მიმართები: 1) დიაგრამის სექტორების მიხედვით პასუხები; 2) პროქსემიკის-ღმერთთან დისტანციის ნიშანი (კონცენტრირებული წრეების მიხედვით პასუხები)

დიაგრამა#2



1. სექტორების მიხედვით განწყობის ტიპების შედარება წარმოდგენილია დიაგრამა #3-ის სახით.

დიაგრამა 3.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ღმერთისადმი:

- ემოციური განწყობის მქონეებისთვის, ღმერთი, დიადაში უპირატესად გამაძლიერებელი/დამხმარე - მეთვალყურე ან გამაძლიერებელი - გზისმკვლევია;
- კოგნიტური განწყობის მქონეებისთვის, ღმერთი, დიადაში, უპირატესად განიხილება, როგორც მფარველი - მეთვალყურე/შემფასებელი ან მფარველი - გზამკვლევის როლში;
- ამბივალენტური განწყობის მქონეებისთვის, ღმერთი, დიადაში რაიმენაირი განაწილების ტენდენციით არ ხასიათდება.

დასკვნა. ამ მონაცემების შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ემოციური განწყობის მქონეებში ღმერთი ძირითადად ძალასთან ასოცირდება; კოგნიტური განწყობის მქონეებში - მფარველობასთან, ხოლო დიფუზური განწყობის მქონეთათვის ამ ნიშნით ღმერთთან ინტერაქციაში რაიმე სახით დიფერენცირების ტენდენცია არ შეინიშნება.

კვლევის მონაცემები -2. *ღმერთთან დამოკიდებულების ტიპები და პროქსემიკის ველის (კონცენტრირებული წრეები) მაჩვენებლები.*

სივრცეში ღმერთის ლოკალიზაციის/მდებარეობის (პროქსემიკის ზონების) შიდა ჯგუფური შედარების შედეგები წარმოდგენილია დიაგრამა #4-ის სახით.

დიაგრამა #4



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ღმერთს:

- ემოციური განწყობის მქონენი, უპირატესად, ძალზე დისტანცირებულად განიხილავენ. მათთვის ღმერთი სამყაროს, დედამიწის მიღმა მყოფად განიცდება, ან მათ შიგნით მყოფ, ინტერიორიზებულ მოცემულობად ანუ შინაგანი გარემოს/მე-ს, ნაწილად;
- კოგნიტური განწყობის მქონეებში პირიქით, ღმერთი უპირატესად მათ გარეთ არსებულია და ინტიმურ ან საჯარო სივრცის დისტანციაზე მყოფად;
- ამბივალენტური განწყობის მქონეებთან ღმერთი უფრო შინაგან მოცემულობად განიხილება, მაგრამ მცირე მონაცემების გამო ამ განსხვავების სანდოობის მაჩვენებელი არ გვაქვს.

დიაგრამა #5 ასახავს სივრცეში ღმერთის ლოკალიზაციის/მდებარეობის (პროკსემიკის ზონების) ჯგუფთაშორისი შედარების შედეგებს.

დიაგრამა #5



როგორც დიაგრამიდან ჩანს,

- პიროვნების შიგნით, ღმერთს, უპირატესად ემოციური და ამბივალენტური განწყობის სტრუქტურის მქონე ცდისპირები ანთავსებენ;
- პირად ან ინტიმურ სივრცეში, - კოგნიტური და ამბივალენტური განწყობის მქონენი ანთავსებენ;
- საჯარო სივრცეში - უპირატესად, კოგნიტური განწყობის მატარებლები;
- სამყაროს/მიღმა ღმერთი ემოციური განწყობის მქონეთათვის განიცდება.

დასკვნა: ლოკალიზების ადგილის მიხედვით როგორც შიდა ჯგუგური შედარება, ისე ჯგუფთაშორისი შედარება აჩვენებს, რომ ამ პარამეტრით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება, მხოლოდ განწყობის ემოციური და კოგნიტური სტრუქტურის ნიშნით განსხვავებული ცდისპირების ჯგუფებში ფიქსირდება. მონაცემთა თანახმად, ემოციური განწყობის მქონეთათვის გამოიკვეთა ღმერთის ლოკალიზაციის ორი არეალი: შიდა და დედამიწის მიღმა. ხოლო კოგნიტურებისთვის - პირადი და საჯარო სივრცეები. ამრიგად, შეიძლება იმის თქმა, რომ:

- ემოციური განწყობის მატარებლები ორ განსხვავებულ კატეგორიად დიფერენცირდება: ადამიანები, ვისთვისაც ღმერთი ინტერიორიზებულია და ადამიანებად, ვისთვისაც ღმერთი ყველაზე დისტანცირებულია;
- კოგნიტური განწყობის მქონეებისთვის, ღმერთი ერთმნიშვნელოვნად მე-ს გარეთ არსებული და საშუალო დისტანციის ველში მყოფად იაზრება.

<u>**განზოგადებული შედეგები და დასკვნები:**</u>

1. კოგნიტური განწყობის მქონენი, ან სხვაგვარად, ადამიანები ვისი „მორწმუნეობის“ ბაზისს ღმერთისადმი უტილიტარული დამოკიდებულება წარმოადგენს:

- ღმერთს უპირატესად განიხილავენ, როგორც მფარველს. ღმერთის, როგორც მფარველის განცდა, ფრომის ინტერპრეტაციით, გარემოსადმი ასიმილაციური დამოკიდებულების გამოვლინებაა. ამიტომ, სავარაუდოა, რომ მათთვის ღმერთი დაცვითი ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს. ხოლო სინდისი, უნდა მიეკუთვნებოდეს ავტორიტარული სინდისის ერთ-ერთ სახეს - ავტომატურ კომფორმულობას;
- ღმერთთან ინტერაქციის პროპსემიკურ თავისებურებად გამოიკვეთა ღმერთის ინტიმური და საჯარო სივრცეში ლოკალიზება. ღმერთთან დისტანციის ეს დიაპაზონები, თავისი მნიშვნელობით, პრაგმატისტულ და ეგოცენტრისტული ორიენტაციის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ. ხოლო, ღმერთის ერთმნიშვნელოვნად მე-ს გარეთ ლოკალიზება, - ინდივიდუალობის შენარჩუნებაზე მიმართულ დაცვითი სტრატეგიის - გაუცხოების ან განადგურებისკენ ორიენტაციას. თუ მხედველობაში ვიქონიებთ, იმასაც, რომ კოგნიტურებისთვის, ღმერთი, უპირატესად დაცვითი ფუნქციის მქონე ინსტანციაა, კიდევ უფრო დამაჯერებელია დაშვება, რომ ღმერთისადმი კოგნიტური განწყობის მქონენი მიეკუთვნებიან ავტომატური კონფორმულობის სინდისის მატარებელთა კატეგორიას, ხოლო ტიპოლოგიურად - გაცვლით ან საბაზრო ტიპებს.

2. ემოციური განწყობის მქონენი, ან სხვაგვარად, ადამიანები ვისი „მორწმუნეობის“ ბაზისს ღმერთისადმი გრძნობადი დამოკიდებულება წარმოადგენს:

- ღმერთს უპირატესად განიხილავენ, როგორც საყრდენს; მათთვის ღმერთი, უპირატესად, ასოცირდება ძალასთან. ამიტომ, მათი სინდისი შეიძლება მივაკუთვნოთ ფრომისეული ავტორიტარული სინდისის კატეგორიას - გარემოსადმი სიმბიოზური ორიენტაციის დაცვითი სტრატეგიის მატარებლებს;

- ღმერთთან ინტერაქციის პროპსემიკურ თავისებურებად მათთან გამოიკვეთა ორი ტენდენცია: ღმერთის ან შინაგან სამყაროში ან გარეგან სამყაროში ლოკალიზება. ღმერთთან დისტანციის ეს დიაპაზონები, თავისი მნიშვნელობით, შეიძლება მივაკუთვნოთ ან სრულ სიმბიოზსს (მე-ს საზღვრების მოშლას, აქტიური სიმბიოზი) ან მორჩილებისკენ მიმართულ დაცვით სტრატეგიას (პასიური სიმბიოზი). ტიპოლოგიურად პირველი შეიძლება განვიხილოთ ექსპლოატატორული ან მიმთვისებელი ორიენტაციის მატარებელად. მეორე - რეცეპტული ან მიმღები ორიენტაციის ტიპად.

დასკვნა

კვლევის შედეგებმა დაადასტურა ჩვენი ვარაუდი, რომ ,,მორწმუნება" ღმერთისადმი დისპოზიციური განწყობის ერთ-ერთი სახეა. შესაბამისად ის, როგორც სოციალიზაციის პროცესში ფორმირებული ქცევის რეგულაციური მექანიზმი, გავლენას ახდენს ადაპტური პროცესების დინამიკაზე. შესაბამისად, საფუძვლიანი აღმოჩნდა ვარაუდი, რომ ფრომის მიერ სინდისის ,,მაფორმირებელი პროცესის რაგვარობა" განწყობის სტრუქტურის მახასიათებლები უნდა ყოფილიყო. კვლევამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ ეს უკანასკნელი მართლაც მადიფერენცირებელი საკრიტერიუმო ცვლადია ადამიანთა ქცევის განსხვავებული მოტივაციებისა და პიროვნების სტრუქტურის ინდივიდუალური აქცენტუაციებისთვის.

კვლევით დასტურდება ისიც, რომ სინდისის, როგორც ქცევის რეგულაციური მექანიზმის შესწავლისა და ანალიზისთვის ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდიკა ,,ღმერთთან ინტერაქციის დიადოგრამა" ეფექტიანი და ვალიდური ინსტრუმენტია, ხოლო მისი სადიაგნოსტიკო და საინტერპრეტაციო სქემების სტანდარტიზება - სამომავლო კვლევის საგანი.

ლიტერატურა:

1. ბალიაშვილი მ. სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა, თბ. 1980.
2. ნადირაშვილი შოთა, განწყობის ანთროპული თეორია. თბ., 2014.
3. ნადირაშვილი ს., განწყობის ორი სახე და სამი დონე, საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე #1, თბ., 2008.
4. ნადირაშვილი ს., განწყობა სამკომპონენტიანი და სამფაქტორიანი ფენომენი. დ. უზნაძის ინსტიტუტის შრომები. ტ. 20. თბ., 2007.
5. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია, ტ. 5, თბილისი, 1967.
6. ცხვედაძე ნ., ეთნოურთიერთობების ანტროპულ-თეორიული მოდელი, ფსიქოლოგიის მაცნე, თბ., 2013.
7. Анненкова А. В. Статус понятия «совесть» как социально-философская категория // Известия Волгоградского государственного педагогического университета. 2010. Т. 47. №3.
8. Э. Аронсон, Т. Уилсон, Р. Эйкерт, Социалъная Психологиа, Маск, 2002.
9. *Белик И. А.* К вопросу об определении понятия «вины» // Синергетика в междисциплинарном подходе современной психологии: Сборник научных трудов. Саратов, 2005. С. 27–32.
10. Ильин Е. П. Психология совести «Психология совести: вина, стыд, раскаяние»: Питер; Санкт-Петербург; 2017 ISBN 978-5-496-01970-5
11. Барсукова С. А. Концептуальное поле феномена «совесть» в психологии // Психологический журнал. 2013. № 1. С. 36–44.
12. Барсукова С. А. О соотнесении понятий «совесть» и «самоосуществление» // Сибирский психологический журнал. 2009. № 33. С. 20–25.
13. Сундуй Г. Д. Понятие «совесть» в религиозной (христианской) литературе в контексте духовно-нравственного воспитания личности // Вестник Бурятского государственного университета. 2012. №1.
14. Фейербах Л. Избранные философские произведения. М., 1955. Т. 1.
15. Франкл В. Человек в поисках смысла. М., 1990.
16. Фрейд З. Психология бессознательного. М., 1990.
17. Фромм Э. Психоанализ и этика. М., 1993.
18. Фромм Э. Бегство от свободы . М., 1990.
19. Фромм Э. Человек для самого себя. Минск, 1992.
20. Фром Э. Анатомия человеческой деструктивности. Москва, Изд. ,,Республика", 1994.
21. Фром Э. Психоанализ и этика. Москва, Издательство ,,Республика", 1993.
22. Хекхаузен Мотивация и деятельностю Т. 1; Т. 2 М. 1986.
23. Хаер Р. Д. Лишенные совести. Пугающий мир психопатов // Psychologies. 2008. №26.
24. Jan E. Stets and Jonathan H.Turner, Handbook of the Sociology of Emotions University of California Riverside, California. Springer 2006.

Nanuli (Nana) Tskhvedadze
Sokhumi State University

CONSCIENCE, AS THE BEHAVIOR REGULATORY MECHANISM AND RELIGIOUSNESS

RESUME

The results of the empirical investigation are analyzed in the present work, which studies the structural features of the social attitudes towards God and organization of the godly social space (proxemics). The conceptual part of the research covers the types of consciousness by E. Fromm and motivational ground of their adaptive functions. The conclusion is that religiousness is the separate form of consciousness and its former is the "process of interiorization of the external authority (church)". This is the process of formation of social attitude towards God, which from its side can be realized in two forms of social attitudes: in the cognitive social attitude or emotional attitude towards God.

The working hypothesis of the research is the suggestion, that the structural d features of social attitude towards God may be the variety of consciousness, its regulatory functions and criteria variables. Consequently, cognitive and emotional attitudes towards God appeared to be the independent variables. As well, as the magnitude of distance of Godly space. For investigation of that latter we have specially invented the projective method "Diadogram of Interaction with God". The aim of our work was also to adapt the Diadgoram.

The results of the study were the following: **Those having the utilitarian attitude towards God see God as their patron angel.** The proxemical feature of their interaction with God is location of God in the intimate and public space. **Those having the emotional attitude toward God mostly associated God with the support.** For the God is power. The proxemical peculiarities of interaction are the following: they locate God either in inner world or outer world.

We can say, that religiousness is one of the types of disposition towards God; The specificity of formation process of consciousness by E. Fromm is the structural determinant of attitude and that latter is the significant differentiating criteria variable for assessing the different motivations and individual accentuation of the personality structure.

The investigation revealed that for studying and analyses of consciousness as the regulatory mechanism of behavior our method "Diadogram of Interaction with God" is effective and valid instrument. As for standardization of its diagnostic and interpretational schemes it is the matter of future study.

ელგუჯა ჭანტურია
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიზინგის ხელშეკრულების ცნება და შინაარსი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში

წინამდებარე სტატიის მიზანია ლიზინგის ხელშეკრულების ძირითადი საკვანძო საკითხების (ლიზინგის ზოგადი დახასიათება და მოკლე ისტორიული ექსკურსი, ლიზინგის საგანი და შინაარსი, მისი იურიდიული ბუნება) განხილვა შედარებით-სამართლებრივი (უმთავრესად ინგლისისა და აშშ-ის მაგალითზე) ანალიზის მეშვეობით. ნაშრომში შესაბამისი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ლიზინგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას.

სამეწარმეო საქმიანობა თავის მონაწილეებისაგან ხშირად საკმაოდ ძვირადღირებული ქონების გამოყენებას მოითხოვს. მრავალწლიანმა კომერციულმა პრაქტიკამ ამ მიზნის მიღწევის სხვადასხვა, მათ შორის, სამართალში ასახული ხერხი გამოიმუშავა.

ცნობილია, რომ თუ პრაქტიკა წარმოშობს გარკვეულ პრობლემას, ადრე თუ გვიან გაჩნდება მისი მომწესრიგრებელი სამართლებრივი ინსტიტუტი. ასეთ ინსტიტუტს წარმოადგენს ლიზინგი (ლიზინგი - ბგერითი კალკა ინგ. Lease - დან (ლიიზ)- "იჯარით აღება და გაცემა")[1]. სწორედ ამ სამართლებრივი მექანიზმის მეშვეობით წყდება პრობლემა. ლიზინგმა საკუთარ თავში გააერთიანა ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მომავალ მოსარგებლეს და იმ ორგანიზაციას, რომელიც გასცემს ქონებას ფლობაში და სარგებლობაში. მაშასადამე ლიზინგის გამოყენება იწვევს საკუთრების ფუნქციის დანაწევრიანებას - ქონების ფლობის უფლება რჩება სალიზინგო კომპანიას, ხოლო მისი გამოყენების

[1] Rapport sur le contrat da credit-(leasing).UNIQOLT,1976, Etude LIX-Doc,1

უფლებას იძენს დაინტერესებული საწარმო. ლიზინგის კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ სალიზინგო კომპანიას უბრუნდება ლიზინგის წესით გაცემული მთელი ქონება.

ამრიგად, ლიზინგი არის ქონებრივი ურთიერთობების კომპლექსი, რომელთა დროსაც ერთი მხარე (მოსარგებლე, ლიზინგის მიმღები) მიმართავს მეორე მხარეს (სპეციალიზებულ კომპანიას, სალიზინგო კომპანიას) ლიზინგის მიმცემს თხოვნით შეიძინოს სპეციალურად მისთვის ზუსტად განსაზღვრული მიმწოდებლისაგან ქონება და გადასცეს ეს ქონება მას დროებით სარგებლობაში.

აქ წარმოდგენილი ურთიერთობის სტრუქტურა მიზანშეწონილია დაიყოს რამდენიმე ეტაპად:

1. ლიზინგის მიმღები მიმართავს სალიზინგო კომპანიას შეიძინოს მისთვის კონკრეტული ქონება გარკვეული მიმწოდებლისაგან. ამგვარად, ხელშეკრულების დადების ინიციატორია ლიზინგის მიმღები, რომელიც განსაზღვრავს მომავალი ნასყიდობის ხელშეკრულების საგანსა და მის მიმწოდებელს (გამყიდველს);
2. სალიზინგო კომპანია ლიზინგის მიმღების თხოვნისა და მისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე დებს ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას ლიზინგის მიმღების მიერ დასახელებული გამყიდველთან, სრულად იხდის ქონების საფასურს და ხდება მისი მესაკუთრე. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას სალიზინგო კომპანია აცნობებს გამყიდველს გარიგების მიზანს - ქონების შეძენა ლიზინგის მიმღებისათვის დროებით სარგებლობაში მისი შემდგომი გადაცემის პირობით;
3. გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად მიჰყიდის ქონებას სალიზინგო კომპანიას - მყიდველს, იღებს ქონების სრულ საფასურს და გადასცემს მას უშუალოდ ლიზინგის მიმღებს (რომელიც არ ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულების მხარედ), და არა სალიზინგო კომპანიას;
4. ამასობაში სალიზინგო კომპანია და ლიზინგის მიმღები დებენ ლიზინგის ხელშეკრულებას, რომლის შესაბამისადაც კომპანია ვალდებულებას იღებს გადასცეს ლიზინგის მიმღებს დროებით სარგებლობაში სპეციალურად მისთვის შეძენილი ქონება. ლიზინგის ხელშეკრულებაში მყარდება ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთობის პირობები - ლიზინგის გამცემის (ინგ -lessor) და ლიზინგის მიმღებისა (ინგლ - lessor). ქონების გადაცემა ხორციელდება მიმწოდებლისა და ლიზინგის მიმღებს შორის ლიზინგის მიმცემის გვერდის ავლით;
5. ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს აქვს უფლება განაახლოს ლიზინგის ხელშეკრულება ახალი ვადით, დაუბრუნოს სალიზინგო კომპანიის ქონება (იშვიათი ვარიანტი), შეიძინოს ქონება საკუთრებაში ნაშთის საფასურად (ამორტიზაციის ფაქტის გათვალისწინებით), თუ შესაბამისი პირობა ჩართულია ლიზინგის ხელშეკრულებაში.

ურთიერთობათა ასეთი სქემა საშუალებას აძლევს ყველა მონაწილეს მიაღწიოს მიზანს, რომ მაქსიმალურად იქნეს შემცირებული ხარჯები და რისკი.

ქონების გამყიდველი აფართოებს საკუთარ კლიენტთა რიცხვს, რომელთა შორის ახლა უკვე სალიზინგო კომპანიებიც არიან.

სალიზინგო კომპანია ფაქტობრივად ახორციელებს საფინანსო ოპერაციას - წარმოადგენს სახსრებს ქონების შესაძენად და იბრუნებს უკან ამ სახსრებს ლიზინგის მიმღების მიერ პერიოდულად გადახდილი საფასურის სახით.

ლიზინგის მიმღებს ენიჭება მისთვის აუცილებელი ქონებით სარგებლობის შესაძლებლობა ისე, რომ თავიდან არ ჩადოს დიდი სახსრები, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ქონება შეიძინოს საკუთრებაში. ქონების შეძენის ასეთი პერსპექტივა აიძულებს მოსარგებლეს ქონებას ყურადღებითა და მზრუნველობით მოეპყროს. იმისათვის, რომ სანაშთო ღირებულება არ იყოს მაღალი, მოსარგებლისათვის უფრო ხელსაყრელია ხელშეკრულება დადოს ისეთი ვადით, რომელიც პრაქტიკულად ტოლი იქნება ქონების „ეკონომიკური ცხოვრებისა“ (სრული ამორტიზაციისა). აღწერილ სქემას უწოდებენ „საფინანსო ლიზინგს“ (financial leasing) - ამით ხაზგასმულია გარიგების საფინანსო ასპექტის მნიშვნელობა და სალიზინგო კომპანიის განსაკუთრებული ფინანსური როლი. თუმცა ლიზინგი არ არის „საბანკო ოპერაციის მსგავსი“ დაფინანსების ფორმა, რომელიც შესაძლოა განახორციელონ სავაჭრო სამრეწველო საწარმოებმა, როგორც დამხმარე ოპერაცია, რამდენადაც ლიზინგური ოპერაცია არის სპეციალურად შექმნილი ლიზინგური საზოგადოებების კომპეტენცია.[1]

თვალშისაცემია ლიზინგის მსგავსება, სულ მცირე, ხელშეკრულებათა ორ სახესთან - ნასყიდობასა და იჯარასთან. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობებიც, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ლიზინგის დამოუკიდებელ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებად აღიარებას.

---

[1] არჩილ ღუდუშაური. ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი. -სამართალი, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი 1993, N11-12, გვ. ელგუჯა ჭანტურია. ფინანსური ლიზინგის იურიდიული ბუნება.- სამეცნიერო ნაშრომთა კრებული თანამედროვე სამეცნიერო აქტუალურ საკითხებზე. გორი: „ლიტერა“ 2008. გვ. 236.

ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც სალიზინგო კომპანია დებს რომელიმე ფირმასთან (გამყიდველთან) ლიზინგის მიმღებისათვის ქონების შეძენის მიზნით, ამ სახის ნებისმიერი ჩვეულებრივი ხელშეკრულებისაგან ლიზინგის ხელშეკრულება განსხვავდება შემდეგით: ხელშეკრულება იდება ლიზინგის მიმღების ინიციატივით, ხელშეკრულების საგანი და გამყიდველი განისაზღვრება ლიზინგის მიმღებით, ხელშეკრულების საგანი დროებით სარგებლობაში გადაეცემა ლიზინგის მიმღებს - სხვაგვარად სალიზინგო კომპანია (მესაკუთრე) ვერაფრით შეძლებს მის განკარგვას. ხელშეკრულების საგანი გადაეცემა უშუალოდ ლიზინგის მიმღებს - სალიზინგო კომპანია მას, როგორც წესი „ვერ ხედავს", ნასყიდობის ხელშეკრულების არასათანადო შესრულებისას (გადავადება, უხარისხო საქონლის მიწოდება და ა.შ.) გამყიდველს ეკისრება პასუხისმგებლობა, როგორც წესი, ლიზინგის მიმღების წინაშე.

სალიზინგო კომპანია, რომელიც გამოდის ლიზინგის მიმცემის (მეიჯარის) როლში, უმეტესწილად ვერ ხედავს ქონებას, რომელსაც დროებით სარგებლობაში გადასცემს და რომლის მესაკუთრედაც ითვლება, ქონებასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება -ტექმომსახურება, რემონტი და ა.შ. - როგორც წესი, ეკისრება ლიზინგის მიმღებს, მასვე ეკისრება ქონებასთან დაკავშირებული ყველა რისკი. ხარვეზების აღმოჩენისას ლიზინგის მიმღები, როგორც წესი, პრეტენზიებს წაუყენებს უშუალოდ გამყიდველს, რომელთანაც არ არის დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობით, და არა ლიზინგის მიმცემს.

ლიზინგი ეკონომიკური კატეგორიაა, თუმცა თავისი არსით და საფუძვლით სამართლებრივი აქტია და ძირითადად რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით. ამიტომ ლიზინგის სხვა მსგავს ხელშეკრულებასთან შედარებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიზინგი არის დამოუკიდებელი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

ლიზინგის აქტიური დანერგვა როგორც ამერიკული, ისე ევროპული კომპანიების პრაქტიკაში აიხსნება იმ მრავალსაუკუნოვანი უპირატესობებით, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ მის მონაწილეებს. მათ შორის აღსანიშნავია საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ვრცელდება სალიზინგო კომპანიებზე ახალი მოწყობილობების შესყიდვისას.

კომერციულ სტრუქტურებს სერიოზული საფუძველი აქვთ იმისათვის, რომ გამოიყენონ ლიზინგი. ირჩევს რა საქონლის შეძენის ხერხს - კრედიტის აღება, განვადებით საქონლის შეძენა, ლიზინგის სქემის გამოყენება - მეწარმე აწონ-დაწონის ყველა გარემოებას: საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას, გეგმებსა და პერსპექტივებს. ლიზინგის სქემის გამოყენებას დიდი უპირატესობა აქვს: არ არის აუცილებელი თავდაპირველი დიდი შენატანები, ხელშეკრულებაში გაუმჯობესებული მოდელების მიწოდების შესახებ პირობის შეტანა მისი მოქმედების პერიოდში, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ - სანაშთო ღირებულებით ქონების შეძენა.

ერთიანი აზრი ლიზინგის გაჩენის დროსა და ადგილთან დაკავშირებით არ არსებობს - სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა დროს ასახელებს, როდესაც პირველად იქნა გამოყენებული ლიზინგი. მეცნიერები ლიზინგური ურთიერთობების წარმოშობას უკავშირებენ ძველი შუმერების სახელმწიფოს, ძველ რომს, ვენეციას, შუა საუკუნეების ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგალითად, ვენეციაში ხორციელდებოდა ლიზინგის მსგავსი ოპერაციები, ვენეციელები ვაჭრებს და სავაჭრო მუშების მეპატრონეებს იჯარით აძლევდნენ ძვირადღირებულ ღუზებს, ხოლო შორეული მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ღუზები უბრუნდებოდათ მფლობელებს.[1] რადგანაც ლიზინგი უშუალო კავშირშია ვაჭრობასთან, არ არის გამორიცხული, რომ ლიზინგის მსგავსი ურთიერთობები არსებობდა ჰამურაბის კოდექსის შექმნამდე მთელი ათასი წლით ადრეც, ქრისტეს დაბადებამდე მესამე ათასწლეულშიც.[2] ისტორიკოსების მოსაზრებით არისტოტელეც შეეხო იდეას ლიზინგის შესახებ ტრაქტატში - „სიმდიდრის არსი არის გამოყენება, და არა საკუთრების უფლება". სამართლის ისტორიის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პირველად ტერმინი „ლიზინგი" გამოიყენეს 1877 წელს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების კომპანია „ბელ"-მა ტელეფონების გაყიდვის ნაცვლად დროებით სარგებლობაში გადაცემა დაიწყო.

ბევრი ავტორი ეთანხმება აზრს, რომ ლიზინგზე ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით შეიძლება ვილაპარაკოთ XIX საუკუნის დასაწყისიდან.[3] ლიზინგის ისტორია პირობითად შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ. პირველი პერიოდი - მოიცავს XIX საუკუნის დასაწყისს და გრძელდება XX საუკუნის შუა წლებამდე.

---

[1] არჩილ ღუდუშაური. დასახ.ნაშრ., გვ.53

[2] გიორგი ნადარეიშვილი. სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საერთაშორისო ვაჭრობა ქრისტეს დაბადებამდე მეთვრამეტე საუკუნეში.- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1992, N2, გვ. 83.

[3] Е.В.Кабатова, договор о лизинге.-В. кн. Гражданское право ред. Е.А.Василев, А.С. Комаров.-и-е, перераб. И доН. В 2-ХТ. II –М: Междунар. Отношения, 2006, გვ. 101.

XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისში ლიზინგის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა სარკინიგზო ტრანსპორტის და ქვანახშირის მრეწველობის განვითარებამ. ქვანახშირის მაღაროების მესაკუთრეებს მადნის მოპოვების გაფართოებასთან ერთად სულ უფრო მეტი და მეტი ვაგონი სჭირდებოდათ მისი ტრანსპორტირებისათვის. ჩნდება პატარა ორგანიზაციები, რომლებიც ყიდულობენ სარკინიგზო ვაგონებს და გადასცემენ შახტებს დროებით სარგებლობაში. ხელშეკრულებაში შეჰქონდათ პირობები ვადის გასვლის შემდეგ ვაგონების შესყიდვის შესახებ. ამის შედეგად მოსარგებლენი გაცილებით აკურატულად და ფრთხილად ეპყრობოდნენ ვაგონებს, რადგან არსებობდა მათი საკუთრებაში შეძენის პერსპექტივა. მაშინ ამ გარიგებებმა მიიღო დასახელება „იჯარა-გაყიდვა“ (ინგლ. hize-purchase) და თავისი სამართლებრივი ბუნებით პრაქტიკულად პირობითი ნასყიდობის იდენტური იყო. გარდა იჯარა-გაყიდვისა, მათ მიეკუთვნებოდა ურთიერთობები გირაოდან, შენახვიდან, გადაზიდვიდან და სხვა. ყველა ამ ურთიერთობას ერთი საერთო ნიშანი აქვს: მესაკუთრე სხვა პირს გადასცემს თავის ქონებას დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში.[1] თუმცა ინგლისის კანონმდებლობის შემდგომმა განვითარებამ მოითხოვა იჯარა-გაყიდვისა და პირობითი გაყიდვის ხელშეკრულების ერთმანეთისაგან განცალკევება.

1989 წლამდე იჯარა-გაყიდვის ხელშეკრულება განისაზღვრებოდა როგორც იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების საგანი გადადიოდა მეიჯარესთან. 1989 წელს მიიღეს კანონი იმ ფაქტორების[2] შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იყო: თუ პირი, რომელიც თანახმაა იყიდოს საქონელი, მაგრამ ჯერ კიდევ არ უყიდია იგი, თუმცა ფლობს მას მესაკუთრის თანხმობით, მიჰყიდოს მას კეთილსინდისიერ მყიდველს ან ჩადებს გირაოში კეთილსინდისერ მეგირავნესთან, ეს უკანასკნელები იძენენ უდავო სამართლებრივ ტიტულს ამ ქონებაზე.

ამრიგად, მეიჯარეს იჯარა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ქონებას ფლობდა მესაკუთრის თანხმობით და თანახმა იყო ეყიდა იგი, მოგვიანებით, შეეძლო კანონის შესაბამისად გადაეცა ამ ქონებაზე საკუთრების უფლება კეთილსინდისიერი მყიდველისათვის. მეიჯარეს ამ შემთხვევაში არ შეეძლო ქონების უკან გამოთხოვა.

შექმნილ სიტუაციაში შესაძლებელი იყო პრობლემის მოგვარების ორი გზა: ან ნასყიდობის ხელშეკრულების და პირობითი გაყიდვის ხელშეკრულების ერთ სახედ (რაც მოხდა კიდეც საერთო სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში), ან სხვაგვარად ფორმულირება იჯარა-გაყიდვის ხელშეკრულებების პირობებისა, რათა მომხდარიყო მისი „ამოღება“ ფაქტორების შესახებ კანონის მოქმედებიდან.

პირველი კანონი იჯარა-გაყიდვის შესახებ ინგლისში 1938 წელს მიიღეს. მისი ძირითადი მიზანი იყო მეიჯარის ინტერესების დაცვა. იმ დროისათვის არსებული საერთო სამართლის ნორმები ვერ აღწევდნენ ამ მიზანს. 1954 და 1964 წლებში მასში გარკვეული ცვლილებები შევიდა, 1965 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელმაც გააერთიანა ყველა წინა რედაქცია, იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მეიჯარედ გამოდის ამხანაგობა, არაინკორპორირებული ასოციაცია ან მომხმარებელი.[3] იჯარა-გაყიდვის ხელშეკრულება მასში განსაზღვრულია როგორც ნებისმიერი თანხმობა საქონლის დამოუკიდებლად ფლობა-სარგებლობაზე არა უმეტეს ორი ათასი გირვანქა სტერლინგისა, რომლის თანახმადაც მოსარგებლეს შეუძლია იყიდოს ის, ან დაარღვიოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს უკანასკნელ პერიოდულ გადახდამდე.

ინგლისში ლიზინგის შემდგომი განვითარება წარიმართა იჯარა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან მისი უფრო მეტად განცალკევების გზით. ინგლისი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ქვეყანათაგანია, სადაც ლიზინგის ხელშეკრულებაში არ შეიძლება იყოს ჩართული შესყიდვის ოფცია. ინგლისის სალიზინგო ასოციაცია (English leasing Association – ELA) ფინანსურ ლიზინგის განსაზღვრავს როგორც ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ლიზინგის მიმცემი აუცილებელი დაურღვეველი პერიოდის განმავლობაში, იღებს რა გადასახადს, ახდენს კაპიტალის ამორტიზირებას და იღებს შემოსავალს. არსებობს იმავე ასოციაციის სხვაგვარი განმარტება: ლიზინგი -ეს არის ხელშეკრულება ლიზინგის მიმცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის იმ სპეციფიკური ქონების დროებით სარგებლობაზე, რომლითაც ლიზინგის მიმცემი ინარჩუნებს უფლებას ამ ქონებაზე, ხოლო ლიზინგის მიმღები ფლობს და სარგებლობს ქონებით, იხდის რა პერიოდულ გადასახადს.

---

[1] ელგუჯა ჭანტურია. ქირავნობის ხელშეკრულების ცნება და მხარეთა უფლებამოვალეობანი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში. - ცხოვრება და კანონი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, 2008, N3, გვ. 76.

[2]ფაქტორი (ლათ. Fastor-მწარმოებელი), ამა თუ იმ პროცესის, მოვლენის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა, რომელიც განსაზღვრავს მის ხასიათს ან მის ცალკეულ თვისებას. ლიპარტელიანი ნინო. ლიზინგი: (თეორია და პრაქტიკა). თბ: „ლამპარი, 2006, გვ. 17.18.

[3] А.В.Кабатова. დასახ. ნაშრომი, გვ. 101, 102.

ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში ლიზინგის განვითარებას ხელი შეუწყო სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ.

ამერიკის შეერთებული შტატებში სარკინიგზო კომპანიები, ცდილობდნენ რა ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილებას, იძენდნენ ლოკომოტივებს, ვაგონებს და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს არა საკუთრებაში ნასყიდობის ხელშეკრულებით, არამედ მხოლოდ სარგებლობაში. შემდგომში ცალკეულმა საფინანსო კომპანიებმა ამ სიტუაციაში დაინახეს კაპიტალის დაბანდების ხელსაყრელი შესაძლებლობა: დაიწყეს გარკვეული მწარმოებლებისაგან სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობის შეძენა იმ ორგანიზაციების თხოვნით, რომლებიც მათ ექსპლუატაციას ახდენდნენ იჯარით[1].

ლიზინგის მეორე თანამედროვე პერიოდი იწყება XX საუკუნის შუახანებიდან, როდესაც ამერიკაში შეიქმნა პირველი სალიზინგო კომპანია. მისი დამფუძნებელი იყო ჰენრი შონფელდი, რომელსაც ამერიკული ლიზინგის მამას უწოდებდნენ. ჰენრი შონფელდის მიერ შექმნილი პირველი ამერიკული სალიზინგო კომპანია - United States Leasing Corporation - შემდგომში გახდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სალიზინგო კომპანია (დღეს - United States Leasing International Inc.). შონფელდს მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა, რომლებიც ლიზინგის უპირატესობაში დარწმუნდნენ.

1959 წელს აშშ-ის სალიზინგო კომპანიამ თავისი ფილიალი შექმნა კანადაში. იმავე წელს ინგლისის სავაჭრო საკრედიტო კომპანიის (Mercantile Credit Company) გენერალური დირექტორი ეწვია აშშ-ის და შეხვდა სალიზინგო კომპანიის წარმომადგენლებს. ეს შეხვედრა გადამწყვეტი აღმოჩნდა ლიზინგის განვითარების ისტორიაში.

1960 წელს შეიქმნა სავაჭრო სალიზინგო კომპანია - Mercantine Leasing Company, - რომელშიც აქციათა 80% ეკუთვნოდა ინგლისის სავაჭრო საკრედიტო კომპანიას და 20% - აშშ-ის სალიზინგო კორპორაციას. კომპანიის სწრაფმა წარმატებებმა მრავალ სახელმწიფოში მიიქციეს ბანკების ყურადღება.[2] ამ დროს დაიწყო, აგრეთვე, სალიზინგო კომპანიების გაჩენა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.

ლიზინგის მონაწილეებად ითვლებიან ლიზინგის მიმცემი, ლიზინგის მიმღები და გამყიდველი. თუმცა შესაძლებელია უფრო რთული ვარიანტებიც, მაგალითად, როდესაც სალიზინგო კომპანია ძვირადღირებული მოწყობილობების შესაძენად მიიზიდავს ნასესხებ სახსრებს, ხოლო კრედიტის ანაზღაურებად შეიძლება მოგვევლინოს ლიზინგის მიმღების მიერ პერიოდულად გადახდილი ფულადი თანხები, მიმართული არა სალიზინგო კომპანიისადმი, არამედ უშუალოდ სესხის მიმცემისადმი.

ლიზინგის გამცემად, როგორც წესი, გამოდის სპეციალიზებული სალიზინგო კომპანია. XX საუკუნის 50-იან წლებში და 60-იანი წლების დასაწყისში ასეთი კომპანიები იყვნენ ამერიკის მსხვილი სამრეწველო ფირმების ფილიალები, რომლებიც ლიზინგს იყენებდნენ დამატებითი რეკლამირებისათვის და საკუთარი პროდუქციის გასაღებისათვის. მოგვიანებით მათ მიუერთდა ბანკებიც (1963 წლამდე მათ არ ჰონდა სალიზინგო საქმიანობის უფლება). სალიზინგო კომპანიები იქმნებოდა, როგორც წესი, მსხვილი ბანკების მხარდაჭერით ან როგორც მათი ფილიალები.

ამრიგად, სალიზინგო კომპანია - ეს არის საფინანსო კომპანია, რომელიც აფორმებს და აფინანსებს ქონების შესყიდვას მომავალი მოსარგებლისათვის მისი თხოვნით დასახელებული მიმწოდებლისაგან. უკანასკნელ პერიოდში ლიზინგის გამცემად გამოდიან სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები.

ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი უძრავი თუ მოძრავი ნებისმიერი მოუხმარი ქონება (მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო დანიშნულების ნაგებობები, საბაღე ინვენტარის ჩათვლით, გარდა მიწის ნაკვეთებისა და სხვა ბუნებრივი რესურსებისა. 1988 წლის ოტავის კონვენცია საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ არეგულირებს მოწყობილობების (სამრეწველო, სამშენებლო, მანქანათმშენებელი და სხვ.) ლიზინგს როგორც ურთიერთობათა ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს.

ლიზინგის სამართლებრივი ბუნების სხვადასხვა კონცეფცია მუშავდება, უმეტესწილად, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში - გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში და სხვ. ლიზინგის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები ამ ქვეყნებში აუცილებლად არ ასახავენ დოქტრინის დასკვნებს. კანონმდებელი თუ სხვა ორგანო, რომელიც ლიზინგის სფეროში მომწესრიგებელ აქტს იღებს, როგორც წესი, არ იძლევა ლიზინგის ზოგად ცნებას, არამედ ჩამოთვლის დახასიათებებს და კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს მომწესრიგებელი ურთიერთობა. მაგალითად, 1988 წელს ოტავის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ფინანსური ლიზინგის გარიგებები არის განსაკუთრებული ხელშეკრულება, რომელშიც: ერთი მხარე (ლიზინგის გამცემი) მეორე მხარის მიერ მოწონებული პირობებისა და სპეციფიკაციის შესაბამისად შედის შეთანხმებაში (შეთანხმება მიწოდებაზე) მესამე მხარესთან (მიმწოდებელთან), რომლის შესაბამისად ლიზინგის გამცემი იძენს სამრეწველო დანადგარს,

[1] ელდარ ნეფარიძე. ლიზინგი. წარმოშობა; განვითარება, შინაარსი,- მეოხი, 2002, N37-38, გვ. 2;

[2] Кабатова Е.В. лизинг: Понятие, правовое регулирование, международная Унификация. М: “Наука”, 1991, გვ. 37

წარმოების საშუალებებს ან სხვა მოწყობილობას, დებს ლიზინგის ხელშეკრულებების, რომელიც ლიზინგის მიმღებს აძლევს საშუალებას ისარგებლოს მოწყობილობით პერიოდულად გადასახადის საფასურად.[1]

აუცილებელია განვასხვავოთ ორი ძირითადი მიდგომა ლიზინგის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისადმი. ზოგი ავტორი ლიზინგს აანალიზებს სამოქალაქო სამართლის ტრადიციული ინსტიტუტების - იჯარის, ნასყიდობის, სესხის, ქირავნობის, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ან თავდებობის ხელშეკრულების - დახმარებით. სხვები ამტკიცებენ, რომ ლიზინგის დროს ჩამოყალიბებული ურთიერთობების სირთულე და ორგინალურობა იძლევა საფუძველს განხილული იქნეს ისინი როგორც განსაკუთრებული ურთიერთობები. ზოგ შემთხვევაში ანალიზის საგნად ითვლება ურთიერთობათა მთელი კომპლექსი, ზოგშიც მხოლოდ ლიზინგის ხელშეკრულება ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის.

ლიზინგის რომელიმე ცნობილ ხელშეკრულებასთან შედარებისას საპირწონედ იღებენ ლიზინგის ერთ რომელიმე ასპექტს: ან მიმწოდებლისა და მოსარგებლის უჩვეულო ურთიერთობას, ან ლიზინგის მიმღების უფლებებისა და ვალდებულებების მოცულობას, რომლებიც პრაქტიკულად უახლოვდება მესაკუთრის უფლებებსა და მოვალეობებს. ამასთან ლიზინგის სამართლებრივი ბუნების უკვე ცნობილი ინსტიტუტების დახმარებით განსაზღვრის სურვილს მივყავართ იქამდე, რომ მისი რომელიღაც ნაწილი რჩება ინსტიტუტის ფარგლებს გარეთ.

ლიზინგის რომელიმე ელემენტის მსგავსებას იჯარის ხელშეკრულებასთან მივყავართ იმ კონცეფციის გაჩენასთან, რომლის თანახმადაც ლიზინგი განიხილება როგორც იჯარის ხელშეკრულება სპეციფიკური ნიშნებით, ან კიდევ - ატიპიური ხელშეკრულება[2] თუმცა ლიზინგის ხელშეკრულების შინაარსი, მისი მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განაწილება, მათი პასუხისმგებლობა საეჭვოა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ როგორც იჯარის ხელშეკრულების სპეციფიკური ნიშნები. იჯარის ხელშეკრულებაში მეიჯარეს დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა მოიჯარეს წინაშე ქონების დროულად მიწოდების, მისი სათანადო ხარისხის და სხვ. გამო. ლიზინგის ხელშეკრულებაში პასუხისმგებლობა იმ პირობების დარღვევის გამო, რომლებიც ხელშეკრულების საგანს ეხება, - მიწოდების ვადები, ხარისხი, კომპლექტურობა და სხვ. - ეკისრება, ჩვეულებრივ, მიმწოდებელს. სხვა სიტყვებით, მოსარგებლის წინაშე პასუხს აგებს არა ლიზინგის ხელშეკრულების მხარე, არა ქონების მესაკუთრე, არამედ მიმწოდებელი, რომელიც არ ითვლება ლიზინგის ხელშეკრულების მხარედ.

ქონების შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი იჯარის ხელშეკრულებაში, როგორც წესი, ეკისრება ქონების მესაკუთრეს. ლიზინგის ხელშეკრულებაში რისკის განაწილების სხვაგვარი სქემა გამოიყენება - საერთო წესის მიხედვით, ასეთი რისკი ლიზინგის მიმღებს ეკისრება, ამასთან იგი არ თავისუფლდება ვალის დაფარვის ვალდებულებისაგან, რადგანაც მეიჯარესაგან განსხვავებით ლიზინგის მიმღები იხდის არა ყოველთვიურ გადასახადს ობიექტით სარგებლობისათვის, არამედ მთელ თანხას საამორტიზაციო ანარიცხებისათვის.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ლიზინგი დავალების ინსტიტუტის ნიშნებს ატარებს. ამ თვალსაზრისმა საკმაო გავრცელება პოვა საფრანგეთისა და გერმანიის დოქტრინაში[3]. ამ კონცეფციის ავტორთა აზრით, ლიზინგის მიმღები ავალებს სალიზინგო კომპანიას შეიძინოს მისთვის ქონება. ეს უკანასკნელი ამ დავალებას ასრულებს მიმწოდებელთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით. ამის შემდეგ სალიზინგო კომპანია და მოსარგებლე თითქოს ადგილებს ცვლიან - ახლა სალიზინგო კომპანია ავალებს მოსაგებლეს მიიღოს ქონება, აგრეთვე ანიჭებს მას უფლებამოსილებას წაუყენოს მიმწოდებელს პრეტენზია ნასყიდობის ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

ლიზინგის დავალების ხელშეკრულებასთან შედარებისას მხედველობის გარეთ რჩება ლიზინგის ძირითადი მიზანი - ქონებით დროებით სარგებლობა და საკუთრებაში შემდგომი შესაძლო შეძენა. თავს იჩენს სხვა პრინციპული განსხვავებებიც. ქონებას სალიზინგო კომპანია იძენს თავის სახელით, თავის სახელზე, ხდება რა მისი მესაკუთრე. თუ დავალების თეორიიდან ამოვალთ, ქონება უნდა შეძენილიყო მოსარგებლის სახელზე, რამდენადაც ის იძლევა შესაბამის დავალებას და გამოდის მარწმუნებლის როლში.

მოსარგებლის უფლებაც, წაუყენოს პრეტენზიები მიმწოდებელს ქონების მიწოდებისა და ხარისხთან დაკავშირებით, ასევე, ვერ ჯდება დავალების სქემაში - მოსარგებლე პრეტენზიას აყენებს საკუთარი სახელით და არა სალიზინგო კომპანიის სახელით.

---

[1] Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран. обьязательственное право. Сборннк нормативных актов. М., 1989, გვ.187

[2] Е.В. Кабатова, დასახ. ნაშრ., გვ.105-106

[3] არჩილ ღუდუშაური. დას. ნაშრომი, გვ.55

არ შეიძლება ლიზინგი განვიხილოთ როგორც ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ. ლიზინგის ხელშეკრულებასთან ამ ხელშეკრულების შედარებისას ადვილად ვრწმუნდებით იმაში, რომ ლიზინგის მიმღები მართლაც არ მონაწილეობს ნასყიდობის ხელშეკრულებაში, თუმცა მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების კონსტრუქცია არ ითვალისწინებს ურთიერთობებს სალიზინგო კომპანიასა და ლიზინგის მიმღებს შორის. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მაგალითია დაზღვევის ხელშკრულება, სადაც დამზღვევს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ. ეს სხვა პირი ხელშეკრულების დადებაში არ მონაწილეობს, თუმცა სარგებელს იღებს. ლიზინგის ხელშეკრულებაში ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე (ლიზინგის გამცემი) ლიზინგის მიმღებისაგან იღებს სარგებელს. ასეთი კონსტრუქცია გამორიცხულია მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში.

ლიზინგის იურიდიული ბუნების გაგებისათვის, მისი ანალიზისა და რეგულირებისათვის, უეჭველია, განხილულ უნდა იქნეს სამ მონაწილეს შორის ურთიერთობების მთელი კომპლექსი, ცალკეულ ფრაგმენტებად მისი დანაწევრების გარეშე. როგორც აღვნიშნეთ, მათი ურთიერთკავშირი რთულ სტრუქტურას წარმოადგენს და მისი შემადგენელი ნაწილების განხილვა ამ ურთიერთკავშირის გათვალისწინების გარეშე მიგვიყვანდა ურთიერთობათა მთელი კომპლექსის, ე.ი. ანალიზის საგნის დაშლამდე. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გარემოება აიძულებს მრავალ სპეციალისტს განიხილოს ლიზინგი როგორც განსაკუთრებული სახის ურთიერთობები, როგორც „ატიპიური“ ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც ლიზინგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. სწორედ ამ სახით „დაბინავდა“ იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

ლიტერატურა:

1. Rapport sur le contrat da credit-(leasing).UNIQOLT,1976, Etude LIX-Doc,1
2. არჩილ ღუდუშაური. ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი. -სამართალი, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი, N11-12, 1993.
3. ელგუჯა ჭანტურია. ფინანსური ლიზინგის იურიდიული ბუნება. - სამეცნიერო ნაშრომთა კრებული თანამედროვე სამეცნიერო აქტუალურ საკითხებზე. გორი: „ლიტერა“, 2008.
4. გიორგი ნადარეიშვილი. სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საერთაშორისო ვაჭრობა ქრისტეს დაბადებამდე მეთვრამეტე საუკუნეში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N2, 1992.
5. Е.В. Кабатова, Договор о лизинге. - В. кн. Гражданское право ред. Е.А.Василев,А.С. комаров.-И-е, перераб. И дон. И 2-ХТ. II –М: Междунар. Отношения, 2006.
6. ელგუჯა ჭანტურია. ქირავნობის ხელშეკრულების ცნება და მხარეთა უფლებამოვალეობანი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში. - ცხოვრება და კანონი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, N3, 2008.
7. ლიპარტელიანი ნინო. ლიზინგი: (თეორია და პრაქტიკა). თბ: „ლამპარი, 2006.
8. ელდარ ნეფარიძე. ლიზინგი. წარმოშობა; განვითარება, შინაარსი,- მეოხი, N37-38, 2002.
9. Кабатова Е.В. Лизинг: Понятие, правовое регулирование, международная Унификация. М: “Наука”, 1991.
10. Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран. обьязательственное право. Сборннк нормативных актов. М., 1989.

Elguja Chanturia

Samtskhe-Javakheti State University

LEASING CONTRACT IN ENGLISH-AMERICAN LAW

RESUME

In the presented article there are discussed the leasing contract key tasks - common characteristics of leasing and short historical excursion, subject of leasing and its content, its juridical nature. Based on the comparison analyze conclusion leasing presents independent civil - law contract.

Here are discussed many characteristic issues and questions dealing with the leasing in foreign countries.

ია ხარაზი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტების შესახებ წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის (შედარებითი ანალიზი)

სამოქალაქო სამართალში წუნდებული, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისაგან მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემად იქცა. ევროკავშირი მეორადი კანონმდებლობის ფარგლებში დიდი ხანია ზრუნავს ევროპული ბაზრის დაცვაზე უხარისხო პროდუქციისაგან. პროდუქციის უსაფრთხოების სფეროში არის რამდენიმე დირექტივა[1], რომლებიც არ არის პირდაპირი მოქმედების აქტი, მათ განხორციელებას სჭირდება ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია. „მომხმარებელთა უფლებების დაცვა თანამედროვეობის ყველა ცივილიზებული საზოგადოების პრიორიტეტია[2]. საზოგადო წესად ქცეული ეს სურვილი კანონის სახეს იძენს და შესასრულებლად სავალდებულო ხდება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნება ევროპულმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ **1992 წელს** გამოხატა და იმავე წელს **მაასტრიხის ხელშეკრულებაში** ასახა. ნიშანდობლივია, რომ ამ შეთანხმებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვას საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო[3]. **1993 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების** ძალაში შესვლით ევროპული ეკონომიკური გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის აუცილებლობის შესრულების უშუალო მითითებით, მომხმარებელთა დაცვა გაერთიანების მნიშვნელოვან ვალდებულებად იქცა. შემდგომ წლებში შემუშავდა **დირექტივა 94/47 „ვადიანი თანასაკუთრების შესახებ“ და დირექტივა 97/5 „გადარიცხვების შესახებ“.** მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვან ატრიბუტად იქნა მიჩნეული მომხმარებელთათვის უფლებადამცავი ინსტიტუტების შექმნისა და შესაბამისი სამართლებრივი პროცესის რეგულირების საკითხი, რაც მოწესრიგდა **98/27 დირექტივით „მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის სარჩელების შესახებ“. 1997 წელს ძალაში შედის დირექტივა 97/7 „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ“,** ხოლო **2000 წელს, საგანგებოდ ელექტრონული სივრცის რეგულაციისათვის დირექტივა 2000/31 „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“.** ფინანსური მომსახურებები მოექცა შორ მანძილზე დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების შესახებ 2002/65 დირექტივის რეგულირების სფეროში“[4].

„მომხმარებელი“ არის ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო სამართლის ან სხვა სახელმწიფო რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირისაგან საკუთარი საჭიროებისათვის იძენს პროდუქციას ან გააჩნია ასეთი განზრახვა[5]. ტერმინის ამგვარი დეფინიცია სრულად შეესაბამება როგორც ევროკავშირის, ისე მასში შემავალი ცალკეული ქვეყნების სამართალს. არსებობს ევროსაბჭოს რამდენიმე დირექტივა, რომელიც ტერმინ „მომხმარებელს“ მსგავსად განმარტავს. განსხვავებები ამ განმარტებებს შორის მინიმალურია და განპირობებულია იმ სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათით, რომლებსაც ისინი შეეხება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დეფინიცია, რომელიც ევროსაბჭოს 1985 წლის

---

[1] Council Direqtiv 85/374 Defectiv products, Council Direqtiv 92/59 General product safety, Council Direqtiv 92/59 General product safety, EC legislation 2003/2004 edited by Nigel G. Foster. წყარო: შოთაძე, თამარ, „უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით“, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, #2,64.

4 direqtiva warmoadgens wevri-qveynebis xelisuflebis mier savaldebulod Sesasrulebel

[2] <http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/dt/615/615453/615453de. pdf> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.

[3]<http://eur-lex.europa.eu/de/treaties/dat/12002E/pdf/12002E_DE.pdf> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.

[4] ერქვანია თინათინ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #3(30)11, 46.

[5] ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 70.

№85/577/EWG რეკომენდაციაშია მოცემული (რეკომენდაცია შეეხება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებს) და ტერმინ „მომხმარებლის“ გარდა, განსაზღვრავს, თუ როგორი ხელშეკრულება ჩაითვლება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებად). ამ რეკომენდაციის თანახმად, „მომხმარებელი არის ფიზიკური პირი,... რომლის კონკრეტული (ამ რეკომენდაციით განსაზღვრული) მოქმედება არ შეიძლება მიეწეროს მის სამეწარმეო ან სამსახურებრივ საქმიანობას[1]. იდენტურ დეფინიციას იძლევა **ევროსაბჭოს 1986 წლის 22 დეკემბრის რეკომენდაცია** №87/102/EWG, რომელიც ევროკავშირის ფარგლებში სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობის საკითხს განსაზღვრავს.[2] **გერმანული სამოქალაქო კოდექსის (BGB) §18) თანახმად,** „მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს ისეთ გარიგებას, რომელიც არ განეკუთვნება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას“. მომხმარებლის ცნება დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებზე. აუცილებელია მოქმედება პირადი მიზნით. პირის პირადი მიზნით მოქმედება არ მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელიც ემსახურება მის სამეწარმეო ან სხვა დამოუკიდებელ პროფესიულ მიზანს (სამეწარმეო საქმიანობას; ამასთან დაკავშირებით იხ. § 14). მნიშვნელობა არ აქვს ზოგად პროფესიულ სტატუსს. მაგ.: მეწარმე, რომელიც ავტომანქანით ვაჭრობს, არის მომხმარებელი, თუ იგი მსუბუქ ავტომობილს იძენს პირადი სარგებლობისათვის....[3] მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივი ბერკეტები დღეს თანაბრად აქვს გადანაწილებული როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართალს, იგი დუალისტური ხასიათით წარმოგვიდგება (კერძო და საჯარო სამართლის შინაარსის ნორმებს ეფუძნება[4]). ევროკავშირის დირექტივა (**85/577)** განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე და მას არაერთი მუხლი ეხება. ქუჩაში დადებული გარიგებები ერთ-ერთ უმსხვილეს და ხშირ ეკონომიკურ საქმიანობად არის მიჩნეული ევროკავშირში და არა მარტო იქ. ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებზე და მასთან დაკავშირებულ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმებზე. სამოქალაქო კოდექსში მომხმარებელთა უფლებების ყველაზე გამოკვეთილ ნორმას **336-ე მუხლი** - „ქუჩაში დადებული ხელშეკრულება“ წარმოადგენს, რომლის „მსგავსი ნორმები ემსახურება მომხმარებლის ინტერესების დაცვას, კანონმდებელი ასეთი ტიპის სამართალურთიერთობას სპეციალურ რეგულირებას უქვემდებარებს და მომხმარებელს საშუალებას აძლევს შვიდი დღის ვადაში უარი განაცხადოს სახელშეკრულებო ურთიერთობაზე“[5].

საინტერესოა განმარტება იმისა, თუ რას წარმოადგენს თვით **წუნდებული პროდუქტი,** შეიძლება თუ არა მისი გაიგივება უხარისხო პროდუქტთან, როგორ განმარტებას გვთავაზობს თვით კანონმდებელი პროდუქტის ცნებისა და რა სახის პასუხისმგებლობას უნდა ელოდოს მწარმოებელ-დამამზადებელი-რეალიზატორი ამ სახის პროდუქტის დამზადება-რეალიზაციისათვის, თუ მან პირისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, ანუ, **რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს, ანუ რა გარემოებებია აუცილებელი აღნიშნული დელიქტური ვალდებულების დადგომისათვის?** აღნიშნული ინსტიტუტის უკეთ გაგებისათვის უპრიანი იქნებოდა უხარისხო პროდუქტის ცნების განმარტებასაც ჰქონოდა ადგილი და ზოგადად მწარმოებლისა და ამის შემდგომ განსაზღვრულიყო კანონმდებლობით წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა და მერე როგორც არის, რამეთუ, ნორმათა არასწორი განლაგება ხშირად სამწუხაროდ მისი შინაარსის სწორად გაგებას უშლის ხელს, სხვას რომ თავი დავანებოთ, წინამავალი ნორმა ხომ მომდევნო ნორმათა შინაარსის განმსაზღვრელია და ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონსტრუქცია მიგვაჩნია, უფრო დაგვეხმარებოდა ამ სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტის სწორად აღქმისა. ჩვენს მოსაზრებას ნამდვილად აქვს სიცოცხლის უფლება. **სამოქალაქო**

---

[1] <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31985L0577:de:HTML>
[15.12.2013] წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 71.

[2] <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:1987L0102:19980421:
DE:PDF> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 70-71.

[3] იქვე; ასევე, იხ. Bürgerliches Gesetzbuch bearbritet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff
65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck, 19-20.

[4] ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.

[5] ცერცვაძე ლაშა, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, 2015, თანაავტ. ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ჯანაშია ლევან, 192.

კოდექსის 1011-ე მუხლის (ნ.1) თანახმად, „პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. „პროდუქტი“ ასევე მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის“. რაც შეეხება საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტს - **„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს“,** იგი განმარტავს **„უსაფრთხო პროდუქტი“-ს** ცნებას, კერძოდ, **„უსაფრთხო პროდუქტი“** - პროდუქტია, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას არ შეიცავს რისკს, ან შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცვლელი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქტის სახიფათო პროდუქტად მიჩნევის საფუძველი“. ასეთი სახის განმარტება სამოქალაქო კოდექსში არ გვხვდება, არც **„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს მე-3 ნაწილში** მოცემული განმარტების მსგავსი დეფინიცია **„სახიფათო პროდუქტი“**-სა, კერძოდ, **„სახიფათო პროდუქტი“** - რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის (საუბარია მე-4 მუხლზე) მე-2 ნაწილში (საუბარია უსაფრთხო პროდუქტის ცნებაზე) მოცემულ უსაფრთხო პროდუქტის განმარტებას“, ხოლო კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“[1] ზოგადად განმარტავდა პროდუქციის ცნებას, კერძოდ, "პროდუქცია" - საქონელი, მომსახურება, სამუშაო“. რაც შეეხება **წუნდებული პროდუქტის** ცნებას, მისი დეფინიცია მოცემულია **1010-ე მუხლში (ნ.1)**, რომლის თანახმად, **„პროდუქტი წუნდებულად** მიიჩნევა თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან, ხოლო **მე-2 ნაწილის** თანახმად, „პროდუქტი არ მიიჩნევა წუნდებულად, მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი“. შედარებით განსხვავებულ განმარტებას იძლევა წუნდებული პროდუქტისა **„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლის მე-5 თავში** ტერმინთა განმარტება, კერძოდ, წუნდებული პროდუქტი განმარტებულია როგორც პროდუქტი, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი: პროდუქტზე ზოგადი წარმოდგენის გათვალისწინებით; ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში; იმ პერიოდისათვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც პროდუქტი ბაზარზე განთავსდა. ვფიქრობთ, კანონმდებელს უნდა განემარტა **უხარისხო პროდუქტის** ცნებაც, რამეთუ წუნდებული პროდუქტის მიჩნევა უხარისხო პროდუქტად დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან წუნდებული პროდუქტის გამოყენება გარკვეული კონდიციით ალბათ უნდა დავუშვათ, თუ ეს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო არ იქნება, ვთქვათ ჩამოფასებული წუნდებული პროდუქცია, თუმცა გამოსაყენებლად ვარგისი, მაგრამ უხარისხო პროდუქტის გამოყენება საერთოდ დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი გამოსაყენებლად, გადასამუშავებლად უვარგისია, ადამიანის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვარგისია, განადგურებას ექვემდებარება. „საქონლის განადგურება არის სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ უცხოური საქონლის (ქართული საქონლისაც) ნებისმიერი ხერხით (დაწვით, დამარხვით და ყველა სხვა დასაშვები საშუალების გამოყენებით) იმ მდგომარეობაში მოყვანა, როდესაც შეუძლებელია ამ საქონლის ეკონომიკურად მომგებიანი გზით აღდგენა“[2]. საქონლის (პროდუქტის) განადგურება ისე უნდა მოხდეს, რომ ამ პროცესმა მნიშვნელოვანი ზიანი არ მიაყენოს გარემოს ან/და პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე არ შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. **უზენაესი სასამართლოს განმარტებით[3] სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი პროდუქტის უხარისხობის კრიტერიუმად მიიჩნევს რა მის საიმედოობას, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის და განსაკუთრებით არამეწარმე მომხმარებლისათვის რთულია და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიცაა, განსაზღვროს თუ რამდენად საიმედოა ესა თუ ის პროდუქტი. ბუნებრივია, ხელშეკრულების მხარეს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ პროდუქციას, გულისხმიერი დამოკიდებულება მართებს ნივთის საიმედოობასთან მიმართებაში. ამგვარი გულისხმიერი დამოკიდებულების მოთხოვნა მომეტებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც გარკვეულწილად რისკთანაა დაკავშირებული. ამასთან, ნივთის ხარისხი განსაზღვრავს მის ფასს და კონტრაჰენტის ინტერესს მოცემული პროდუქტისადმი, შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს**

[1] ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 5 აგვისტოს.

[2] ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, გამომცემლობა „გეორგიკა“, მეორე ნაწილი, 2014, 221.

[3] საქმე № ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: უხარისხო პროდუქტი (სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი)

შორის ნივთის ხარისხზე შეთანხმების არარსებობა არ გამორიცხავს უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას. მოცემულ შემთხვევაში კასატორი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაცემული 284 სპეციალური ნებართვის საფუძველზე აწარმოებს რა სპეციფიკური პროდუქტის — სისხლის პროდუქციასა და მის რეალიზაციას, მომხმარებელს მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა გააჩნია. ასეთი ნდობა განპირობებულია საქმიანობის ამ სფეროში კონტრაჰენტის მზადყოფნის პრეზუმფციით, როგორც პროფესიონალი კადრებით, ისე სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით. .... მწარმოებელი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის კომპეტენციაზე, ვალდებულია საწარმოს სათანადო ტექნიკით აღჭურვაზე, ხოლო ტექნიკის სიძვირე და იშვიათობა მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული. ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ა-ს აბსოლუტურ უფლებაზე — სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე. ....დამამზადებელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევანის შესაძლებლობას...[1]. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული დელიქტური ვალდებულების საერთაშორისო კერძო ხასიათის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის წყაროდ ქართულ კანონმდებლობასთან ერთად გვევლინება **გაეროს 1985 წლის 9 აპრილის „სახელმწიფოთა პრინციპები მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის".** მომხმარებლად მოიაზრება პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამომყენებელი, შემძენი, შემკვეთი ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ასპექტებს ითვალისწინებს მეზობელი ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობებიც. თავისთავად პროდუქტის მწარმოებლის - დამამზადებლის (შემსრულებელი, გამყიდველი) უშუალო მოვალეობას წარმოადგენს არა მარტო უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ მისი ვალდებულებაა დროულად მიაწოდოს მომხმარებელს აუცილებელი და უტყუარი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მოქალაქის ძირითადი სამომხმარებლო უფლებების დაცვას, კერძოდ, მოითხოვოს: საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურების სათანადო ხარისხი, პროდუქციის უსაფრთხოება, სათანადო ინფორმაცია პროდუქტის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე.

1. წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა, როგორც დელიქტურ ვალდებულებათა ერთ-ერთი სახე

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა აგებულია დელიქტური სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმებით და კონცენტრირდება პროდუქციის მწარმოებლის/დამამზადებლის მიმართ.[2] დელიქტურ ვალდებულებათა ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. როგორც წესი, პროდუქტის მწარმოებელს და საბოლოო მომხმარებელს შორის არ არსებობს პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობა. გამომდინარე აქედან, უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის მიმართ არ გამოიყენება ნაკლული ნივთის გამო პასუხისმგებლობის ნორმები[3]. საერთოდ, სამოქალაქო არაქონებრივ უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს **დელიქტურ ვალდებულებათა მე-2 თავი („პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის - მ. 1009-1016-ე მუხლები).**

ევროკავშირის დირექტივა EEC85/374 მე-13 მუხლი „მომხმარებელთა უფლებები ევროკავშირში" აღნიშნულია, რომ: „ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ თანამეგობრობის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია მომხმარებელი ევროკავშირის ბაზარს ენდობოდეს. ამიტომ ევროკავშირის ყველა კუთხეში მომხმარებელს ერთნაირი უფლებები აქვს. მომხმარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და ეკონომიკური ინტერესების ეფექტურ დაცვას ევროკავშირის ერთიანი კანონმდებლობა უზრუნველყოფს. აღნიშნული დირექტივა ფართო სპექტრს ჩამოთვლის მომხმარებელთა უფლებების დაცვისა ცალკეულ სამომხმარებლო სფეროებში, კერძოდ, სურსათი, არასასურსათო პროდუქციის/მომსახურების უსაფრთხოება (სათამაშოები, მედიცინა და ფარმაცია, ქიმიკატები, სასტუმროები, კოსმეტიკა, ენერგიის მოხმარება და სხვა. „გერმანიაში 1989 წელს მიღებულ იქნა კანონი **„უხარისხო პროდუქციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".** ამ კანონის მიღების მიზანი იყო არა მარტო

---

[1] ალეკო ნაჭყებია. სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 283-284.

[2] ძლიერიშვილი ზურაბ, ნასყიდობის სამართლებრივი ბუნება, 2006, 117-118.

[3] განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, http://library.court.ge/gil/index.php?term_id=426

გარკვეული წვლილი შეეტანა დელიქტური პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირების საქმეში, არამედ ეროვნულ სამართალში მოეხდინა იმპლემენტაცია 1985 წლის 25 ივლისის ევროკავშირის დირექტივისა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბრალის არსებობისაგან დამოუკიდებლად. გერმანული კანონის თანახმად, პროდუქცია უხარისხოდ ჩაითვლება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება მომხმარებლის დასაბუთებულ მოლოდინს, მაგრამ პროდუქცია არ ჩაითვლება უხარისხოდ იმის გამო, რომ გაყიდვაში იქნება მისი ახალი ვარიანტი გაუმჯობესებული სამომხმარებლო მახასიათებლებით"[1]. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, „მწარმოებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ის და მასთან მომუშავე პერსონალი აღნიშნული საქონლის დამზადებისას ზედმიწევნით იცავდა მსგავსი შემთხვევებისათვის დადგენილ წინდახედულობის ნორმებს. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული პრინციპი პირველად **ე. წ. „ქათმის ჭირის" საქმე"-ში** გამოიყენა. მეფრინველეობის ფაბრიკის მფლობელმა მიმართა ვეტერინარს ჩაეტარებინა ქათმების ვაქცინაცია ჭირის საწინააღმდეგოდ, ვეტერინარმა გამოიყენა მოპასუხე მწარმოებლის მიერ დამზადებული ვაქცინა. ვაქცინაციის შემდეგ 4000-ზე მეტი ვაქცინირებული ფრინველი დაიხოცა, დადგინდა, რომ მიზეზი იყო სწორედ ეს ვაქცინა, რომელიც შეიცავდა მავნე დანამატებს. ეს გარემოება გერმანიის სასამართლომ საკმარისად ჩათვალა, რომ მოპასუხისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა"[2]. „თანამედროვე ღია ეკონომიკის პირობებში კოსმოპოლიტური ხასიათის კაპიტალს ეროვნება და სამშობლო არა აქვს"[3], რამდენიმე დღის წინ ქვეყნიდან ათასობით კილომეტრებით უშორეს წერტილში დამზადებულმა პროდუქტმა შეიძლება საქართველოს საბაჟო საზღვარი გადმოკვეთოს და ეროვნული ბაზრების დახლებზე მოხვდეს. მიუხედავად არსებული უამრავი ნორმატიული აქტისა, რომლებიც კრძალავენ საეჭვო პროდუქტის ქვეყნის შიგნით შემოდინებას, სამწუხაროდ იგი მაინც ხვდება სავაჭრო დახლებზე, რომლებმაც სრულად დასაშვებია მოსახლეობის (მომხმარებლის) ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვიოს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი, რომლითაც შეიძლება გაკონტროლდეს საქონელთა მოძრაობა ქვეყნებს შორის და მისი ხარისხიანობა **საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებაა „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ".** იმის გამო, რომ ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმები, სასაქონლო ოპერაციების გააჩნიათ, იმპორტიორი ქვეყნისათვის აუცილებელია დაადგინოს პროდუქციის წარმოშობის ქვეყანა არა მარტო იმ მიზნით, თუ როგორ უნდა დაიბეგროს ესა თუ ის საქონელი, არამედ რამდენად რისკის შემცვლელი ქვეყნიდან შემოდის საქონელი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე (მაგალითად, ქვეყანაში არ „შემოიპაროს" პროდუქტი იმ ქვეყნიდან, სადაც გავრცელებულია ვთქვათ „ქათმის ან ღორის გრიპი" და სხვ. „სერტიფიკაციის მიზნებია შეუქმნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე საქმიანობის, აგრეთვე, საერთაშორისო ეკონომიკური, სამეცნიერო თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის პირობები, დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში, დაიცვას მომხმარებელი პროდუქციის დამამზადებლის (გამყიდველის, შემსრულებლის) არაკეთილსინდისიერებისაგან, გააკონტროლოს პროდუქციის უსაფრთხოება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დასაცავად, დაადასტუროს დამამზადებლის მიერ გაცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი"[4].

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისას, დაზარალებულმა თვითონვე უნდა დაამტკიცოს სასამართლოს ან სხვა ორგანოების წინაშე (არსებულ მტკიცებულებათა გათვალისწინებით) დამდგარი დელიქტური ვალდებულებიდან ზიანის ანაზღაურების აუცილებლობა. მან უნდა ასევე წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ მას ნამდვილად მიადგა ზიანი და სწორედ უხარისხო პროდუქტისაგან, ასევე, დაადგინოს დამამზადებლის, მწარმოებლის ვინაობაც. როდესაც **ზიანის ანაზღაურების** საკითხებს ვეხებით წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის გამო, არ შეიძლება არ მოვიხმოთ სამოქალაქო კოდექსის ის ნორმებიც, რომლებიც ზიანის ანაზღაურების ზოგად პრინციპებს აფუძნებენ. „ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც ქართულ სამოქალაქო კოდექსშია მოცემული, შეიძლება ჩაითვალოს მთელი კერძო სამართლისათვის საერთო ზოგად პრინციპებად".

---

[1] ზოიძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება" (ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე), 2009, 16.

[2] Васильев Е.А. Комаров, А.С. ред. Гражданское и тоговое право зарубежных государств, 2004-2005. 2 том стр. 344-346. წყარო: გეგიძე ნინო, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, 2012, 48. https://www.google.com/search?client=opera&q=სამართლის+ელექტრონული+ბიბლიოთეკა.

[3] ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 206.

[4] ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 287.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები **(408-415)** თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტის შედეგად წარმოშობილ ზიანთან მიმართებაში"[1], მათში გადმოცემულ პრინციპებს ემყარება როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელსეკრულებო ზიანის ანაზღაურება, ცალკეული სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ ის მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებს ეხება, დელიქტურ ვალდებულებაზე იგი მხოლოდ ანალოგიის გზით შეიძლება გავავრცელოთ.[2] ვალდებულების წარმოშობის თითოეული საფუძველი არის მიზეზი ადეკვატური სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით საკუთარი უფლებების დაცვისა, იქნება ის სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ზიანის მიყენებისას დამდგარი არაადეკვატური შედეგი. სამოქალაქო კოდექსის ცნობილი „ხიდი" ნორმაც **(მ. 326)** ხომ ამაზე მიგვითითებს, რომ „წესები სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესახებ გამოიყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს". **1014-ე მუხლის** შემთხვევაში შეიძლება ანალოგიით გამოყენებულ იქნას **408-ე მუხლის პირველი ნაწილის** დებულებები, სადაც გამოკვეთილია ნორმის სოციალური და სამართლებრივი ფუნქცია, რომელიც ზიანის მიმყენებელს აკისრია. **უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება-ის შესახებ (განჩინება საქმე № ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ (დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება) დაადგინა, რომ: ლ. ჩ-ძე დაინფიცირდა სწორედ იმ პროდუქტის - კრიოპლაზმის მოხმარების შემდეგ, რომელიც მან მოპასუხისაგან, ამ პროდუქტის მწარმოებელი და რეალიზატორი ორგანიზაციისაგან, შეიძინა. სასამართლომ განმარტა, რომ კანონის დანაწესები სავალდებულოა მხარეთათვის ნებისმიერი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დონის მიუხედავად, რის გამოც მოპასუხე ვალდებული იყო, ეწარმოებინა და გაესხვისებინა მხოლოდ უსაფრთხო სისხლი იმ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, თუ რა ღირებულების გამოკვლევები ესაჭიროებოდა აღნიშნულს. მომხმარებელმა ლ. ჩ-ძემ მწარმოებელ შპს „ქ. ქუთაისის რეგიონალურ სისხლის ბანკისაგან" შეიძინა პროდუქტი - სისხლის კრიოპლაზმა, რომელიც უხარისხო - „აივ" ვირუსით ინფიცირებული აღმოჩნდა და შედეგად მომხმარებლის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. აღნიშნულ ფაქტებს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე და 413-ე მუხლები უკავშირებს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას: უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება. არაქონებრივი საკასაციო პალატა განმარტავს, ვინაიდან მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებაზე - სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე.[3]**

2. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები

სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლი, გარდა იმისა, რომ ითვალისწინებს წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან, ამასთანავე გამორიცხავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას. **(მ. 1009, ნ.1. ნ.2) „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს მე-6 მუხლის მე-5 პუნქტიც** გამორიცხავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას, მსგავსად 1009-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთი წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის დაზარალებულს ეკისრება **(სკ. მ. 1012)** (ასევე, **„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" - (მ. 6, ნ.3.);** რომელიც ვალდებულია დაამტკიცოს წუნდებულ პროდუქტსა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. თვით დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს სასამართლოში, რომ მას უხარისხო, წუნდებული პროდუქტისაგან ზიანი მიადგა (სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო). ...„მან

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 6 იანვრის №ას-987-928-2010 წლის 24 იანვრის №ას-1076-1008-2010 განჩინება. წყარო: გიორგი ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თანაავტ. ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., 2014, 645.

[2] გიორგი ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თანაავტ. ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., 2014, 645.

[3] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2008-3-uni.pdf

უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ მას ნამდვილად მიადგა ზიანი და სწორედ უხარისხო პროდუქტისაგან. ასევე დაადგინოს დამამზადებლის, მწარმოებლის ვინაობაც“[1]. **საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №-87-420-05) მწარმოებელს დაეკისრა მტკიცების ტვირთი. სასამართლოს განმარტებით „მტკიცების ტვირთი, რომ ხანძრის გაჩენის ადგილას მიწოდებული ელექტროენერგია სს „თელასის“ წარმოებული არ იყო, მისივე ვალდებულებას წარმოადგენდა“.** ევროპულ სასამართლო პრაქტიკა ავალდებულებს მწარმოებელს ამტკიცოს მისი არაბრალეულობა და ამოსავალ დებულებად იყენებს იმას, რომ პიროვნება, რომელსაც მიაყენეს ზიანი არ არის ვალდებული წარმოდგენა იქონიოს თუნდაც ერბოკვერცხის მომზადების წესზე, ამიტომაც არ უნდა ეკისრებოდეს მტკიცების ტვირთი მწარმოებელის ბრალეულობის შესახებ“[2]. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული დელიქტიდან გამომდინარე, დაზარალებულს დელიქტის დადგომიდან სამი წლის განმავლობაში უფლება აქვს მოითხოვოს დელიქვენტისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო აღნიშნული მოთხოვნა უქმდება დელიქტის დადგომიდან **ათი წლის შემდეგ,** უშუალოდ იმ დღიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი გასაყიდად, სარეალიზაციოდ გაიტანა[3]. სამოქალაქო არაქონებრივი უფლების დამატებით გარანტიად უნდა მივიჩნიოდ მიყენებული ზიანის სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვის ან შეზღუდვის დაუშვებლობა, რომელიც **1016-ე მუხლითაა** განსაზღვრული.

„ალბათ, საკმაოდ რთულია სრულყოფილად მოიცვა საერთაშორისო კერძო სამართლის დელიქტთა და სამოქალაქო არაქონებრივ უფლებათაგან გამომდინარე დელიქტურ ვალდებულებათა რთული და მზარდი ბუნება. ჩვენ შევეხეთ სქემატურად მხოლოდ მათ ცალკეულ მნიშვნელოვან მხარეებს. როგორც გამოჩენილი რუსი მეცნიერი, ს. ალექსეევი წერდა, დელიქტურ ვალდებულებათა განვითარებიდან კარგად ჩანს ის, რომ ცივილისტიკაში გაერთიანდა სამართლებრივი განვითარების ორი ფუნდამენტური ხაზი, რომლებიც, ერთი მხრივ, გამოხატავს კერძო სამართლის ღირებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ - ბუნებითი სამართლის საწყისებს მათი თანამედროვე მნიშვნელობით (ადამიანის უფლებების სახით). ეს ყველაფერი კი მეტყველებს საერთაშორისო კერძო და სამოქალაქო სამართლის, მისი განვითარების ახალ ეტაპზე - 21-ე საუკუნის სამოქალაქო სამართლის საზოგადოების ცხოვრებაში სულ უფრო მზარდ და საფუძვლიან დამკვიდრებაზე“[4].

ბიბლიოგრაფია:

ქართულ ენაზე:

მაჭარაშვილი ო., დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნალი „ალმანახი“, 2000

ბზეკალავა ეროსი, „მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით“, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013

ერქვანია თინათინ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30)11, 46.

ძლიერიშვილი ზურაბ, ნასყიდობის სამართლებრივი ბუნება, 2006, 117-118.

ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, გამომცემლობა „გორგიკა“, თბილისი, 2014

ზოიძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“ (ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე), 2009.

გეგიძე ნინო, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2012, https://www.google.com/search?client=opera&q

გიორგი ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თანაავტ. ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., 2014.

განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, http://library.court.ge/gil/index.php?term_id=426

[1] მაჭარაშვილი ო., დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნალი „ალმანახი“, 2000, 27.

[2] Fairgrieve D. and Howells G, Rethinking product liability: a missing element in the European Commission`s Third Review if the European Product Liability Directive, 2007, pg 962. წყარო: გეგიძე ნ., უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, 2012, 68. https://www.google.com/search?client=opera&q =სამართლის+ელექტრონული+ბიბლიოთეკა.

[3] გერმანიის კანონის მიხედვით, „უხარისხო პროდუქციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მწარმოებლის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე ძალადაკარგულად ითვლება უხარისხო პროდუქციის გამოშვების მომენტიდან 10 წლის გასვლის შემდეგ, თუ დაზარალებული მოცემული ვადის ამოწურვამდე არ წარმოადგენს თავის მოთხოვნებს სასამართლო წესით.

[4] მაჭარაშვილი ო., დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

უცხო ენაზე:

Council Direqtiv 85/374 Defectiv products, Council Direqtiv 92/59 General product safety, Council Direqtiv 92/59 General product safety, EC legislation 2003/2004 edited by Nigel G. Foster

Fairgrieve D. and Howells G, Rethinking product liability: a missing element in the European Commission`s Third Review if the European Product Liability Directive, 2007

Васильев Е.А. Комаров, А.С. ред. Гражданское и тоговое право зарубежных государств, 2004-2005. 2 том

სასამართლო პრაქტიკა

საქმე № ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: უხარისხო პროდუქტი (სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 6 იანვრის №ას-987-928-2010 წლის 24 იანვრის №ას-1076-1008-2010 განჩინება.

ალეკო ნაჭყებია. სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013)

ვებრესურსები:

http://library.court.ge/gil/index.php?term_id=426

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

https://www.google.com/search?client=opera&q

http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2008-3-uni.pdf

Ia Kharazi

Sokhumi State University

SOME OF THE LEGAL ASPECTS ABOUT THE LIABILITY FOR THE DAMAGE ARISING FROM DEFECT PRODUCTS (COMPARATIVE ANALYSIS)

RESUME

The development of the small and medium-sized enterprises is considered to be a priority in Georgia, which should be estimated by the quality and the competitiveness of the product. This determines itself to research the theoretical and practical gaps of the legislation related to the defective products. To fight against the unsafe and poor quality is in direct connection with the economic and social security protection.

In Civil law the responsibility for the defective product is one of the core and actual issue. The interest toward this issue is increased after the development of market relationships and when on Georgian border began to import the various kinds of goods, which are not only safe, but sometimes also dangerous. This article concerns with the key problems of defect products and consumer rights protection, also compensation liability issue because of the damage as one of the responsibilities of tort law. As well about the circumstance which excludes the responsibility, etc.

დავით ხობელია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა საფრანგეთში

ზოგადად ადმინისტრაციული იუსტიცია მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან იწყებს განვითარებას. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პიროვნებისა და სახელმწიფოს ინტერესები მუდმივად იკვეთება და შესაბამისად ხშირია ადმინისტრაციის უკანონო ქმედებების გამო პიროვნების უფლებათა დარღვევა. სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ადმინისტრაციული ორგანოს კანონისადმი დაქვემდებარება მისი კანონით შეზღუდვა, ასეთი შეზღუდვა სახელმწიფოს მიერვე უნდა იყოს გარანტირებული, ასეთ გარანტიად კი გვევლინება სასამართლო კონტროლი. სასამართლო კონტროლის და ადმინისტრაციული იუსტიციის ჩამოყალიბება თითოეულ სახელმწიფოში დამოკიდებულია მის სამართლებრივ და ისტორიულ

ტრადიციებზე. ზოგადად ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში გამოყოფენ სამ ძირითად მოდელს: 1. ფრანგული; 2. გერმანული და ანგლოამერიკული.[1]

ადმინისტრაციული იუსტიცია არის სასამართლო ორგანოთა სისტემა, რომელიც მმართველობით სფეროში სპეციალურად იცავს კანონიერებას. სახელმწიფო მმართველობის სფეროში კანონიერების დაცვაზე კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნილი სპეციალური სასამართლო და კვაზისასამართლო ორგანოების სისტემა. უფრო ვიწრო მნიშვნელობით - ადმინისტრაციული დავებისა და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის სპეციალიზებული პროცესუალური წესი, სადაც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო. ადმინისტრაციული იუსტიცია სასამართლო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც ხორციელდება სასამართლო განხილვის ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით[2].

ადმინისტრაციული იუსტიცია ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო წესით გადაწყვეტას ნიშნავს. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები არ ერევიან მმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში, ისინი მხოლოდ განიხილავენ ადმინისტრაციულ დავებს. სასამართლო შეიძლება ჩაერიოს მხოლოდ განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

ადმინისტრაციული იუსტიციის სამშობლოდ ითვლება საფრანგეთი, სწორედ საფრანგეთში ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლი. საფრანგეთის თანამედროვე ადმინისტრაციულ სასამართლო სისტემას საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნეში მეცნიერ-ადმინისტრატივისტების ლ. დიუგის, ლ. ოკოკომის, რ. დერასეტის, ე. დარესტონის მიერ შემუშავებულმა თეორიულმა ფუნდამენტმა, სადაც 1799 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, შემდეგ კი პრეფექტურის საბჭოები, თუმცა, 1872 წლამდე მათ გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციისათვის სავალდებულო ძალა არ ჰქონდა. 1872 წელს საბჭოებს მიეცათ სასამართლოს უფლებამოსილებანი და გამოჰქონდათ სასამართლო გადაწყვეტილებები. სასამართლოს ასეთი სპეციალიზაცია ხელს უწყობდა მჭიდრო კავშირის დამყარებას მმართველობით სფეროსა და განსახილველ საქმეთა არსს შორის. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული დავების ობიექტური გადაწყვეტა და ადამიანის უფლებების ასეთი ფორმით დაცვა უფრო ეფექტური გახდა. საერთო სასამართლოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციაც, მმართველობით სფეროში მისი სპეციალიზაციის გამო, უფრო ადმინისტრაციულ სასამართლოს ენდობოდა[3]. აღსანიშნავია, რომ ტრანსფორმაციული რეფორმები (1953, 1987 წლების) წმინდა ორგანიზაციულ ხასიათს ატარებდა. საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიცია წარმოადგენს მართლმსაჯულების დამოუკიდებელ შტოს, რომელიც არ შედის საერთო იურისდიქციის სასამართლო სისტემაში და არც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილს არ წარმოადგენს. სასამართლოთა ასეთი დაყოფა განპირობებულია ხელისუფლების დანაწილების ფრანგული კონცეფციის თავისებურებით, რომელიც საერთო იურისდიქციის სასამართლოებს (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) უკრძალავს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევას. აღნიშნულმა კონცეფციამ გამოიწვია ორმაგი სასამართლო სისტემის არსებობა, საერთო სასამართლოების სისტემა საკასაციო სასამართლოს თაოსნობით და ადმინისტრაციული სასამართლოთა სისტემა, რომლის უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო.[4]

ადმინისტრაციული სასამართლოთა დამოუკიდებლობის პრინციპი საფრანგეთში განმტკიცებულია საკონსტიტუციო დონეზე, კონსტიტუციური საბჭოს გადაწყვეტილებათა სახით, ასე მაგალითად ადმინისტრაციულ სასამართლოთა დამოუკიდებლობა აღიარებულია ფუნდამენტალურ პრინციპად საბჭოს 1980 წლის 22 ივლისის და 1984 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებებით. ხოლო 1987 წლის 23 იანვრისა და 1989 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებებით განმტკიცებული იქნა საერთო სასამართლოების და ადმინისტრაციულ სასამართლოთა კომპეტენციის დაყოფის კრიტერიუმები. დღემდე შენარჩუნებულია ზოგიერთი კონსულტაციური ელემენტი. მაგ.: სახელმწიფო საბჭო იძლევა დასკვნებს პარლამენტის კანონპროექტებსა თუ მთავრობის სამართლებრივ აქტებზე (საფრ. კონსტ. მუხ. 93), ხოლო ადმინისტრაციული ტრიბუნალები თავის მხრივ წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს ადგილობრივი პრეფექტურებისათვის. აღნიშნული გარემოება განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ ადმინისტრაციულ მოსამართლეებს გააჩნით ის სპეციალური ცოდნა ადმინისტრაციული სამართლის

---

[1] Загранчук А. А. Понятие, признаки и значение института административной юстиции // Молодой ученый. — 2014. — №17. — С. 384-388.

[2] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 – 483 გვ.: ცხრ.; 24 სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

[3] სუხიაშვილი ზაზა. ადმინისტრაციული იურისდიქცია // ალმანახი №17, [ადმინისტრაციული სამართალი],– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2001

[4] Николаева Л.А., Соловьева А.К. Административная юстиция и административное судопроизводство: зарубежный опыт и российские традиции: Сборник. – СПб.: Издательство Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2004;

სფეროში და შესაბამისად მათ შეუძლიათ შეაფასონ მმართველობითი აქტების კანონიერება და შემდგომი პერსპექტივა. ფრანგული ადმინისტრაციული იუსტიციის სამართლებრივ წყაროს წარმოადგენს საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის კოდექსი (2000 წლის 4 მაისი) ცვლილებებითა და დამატებებით, რომელიც ძალაში შევიდა 2001 წლის 1 იანვარს და რომელმაც ჩაანაცვლა 1973 წლის ადმინისტრაციული ტრიბუნალებისა და ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოების კოდექსი.

ადმინისტრაციული სასამართლოები საფრანგეთის მთელს ტერიტორიაზე არიან გავრცელებულნი დეპარტამენტთაშორისი იურისდიქციის საფუძველზე. გადაწყვეტილებები, როგორც წესი მიიღება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით.[1] საფრანგეთში ადმინისტრაციული იურისდიქციის ორგანოებისათვის დამახასიათებელია მკაცრი იერარქიული სტრუქტურა. აღნიშნული ორგანოები ძირითადად იყოფა ორ ნაწილად: ადმინისტრაციული იუსტიციის საერთო ორგანოები და სპეციალური კომპეტენციის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები (აღსანიშნავია, რომ სპეციალური კომპეტენციის სასამართლო ორგანოები მეტად მრავალრიცხოვანია და მათ გააჩნიათ ვიწრო კომპეტენცია, მათი გადაწყვეტილებები საჩივრდება საკასაციო წესით, იშვიათ შემთხვევაში სააპელაციო წესით).[2] საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა სამი დონისაგან (რგოლისაგან) შედგება. პირველი რგოლი მოიცავს 42 ადმინისტრაციულ ტრიბუნალს, აქედან 11 საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორიებზეა.[3] კომპეტენციასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში კომპეტენტურია ის სასამართლო, რომელიც გეოგრაფიულად მდებარეობს იმ რაიონში, სადაც მდებარეობს გადაწყვეტილების მიმღები ორგანო.[4] ადმინისტრაციული სასამართლოები წარმოადგენენ საერთო კომპეტენციის სასამართლო ორგანოებს ადმინისტრაციულ სფეროში, მათი განსახილველია ყველა ადმინისტრაციული დავა იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც კანონი პირდაპირ უთითებს, რომ საქმე სხვა სპეციალური კოპეტენციის სასამართლოს განსახილველია, მაგ. საგადასახადო სფეროში აღმოცენებული დავები.[5] ადმინისტრაციული იუსტიციის კოდექსის L211-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოები განიხილავენ სარჩელებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. მათთვის განსჯადობა განისაზღვრება ტერიტორიული პრინციპით. ერთი ადმინისტრაციული ტრიბუნალის ოლქი მოიცავს რამდენიმე დეპარტამენტს. მეორე ან საშუალო დონეს (რგოლს) ქმნის 8 ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლო. სააპელაციო სასამართლოებს გააჩნიათ თავიანთი სპეციალიზაცია, ყველა გადაწყვეტილება გამოიტანება კოლეგიურად მოსამართლეთა კენტი რაოდენობით.[6] ადმინისტრაციული იუსტიციის კოდექსის L211-4 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ სასამართლოთა ხელმძღვანელებს მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეუძლიათ დაიწყონ მორიგების პროცედურა. ამავე კოდექსის L212-1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სასამართლოები აგრეთვე საკონსულტაციო ფუნქციით არიან აღჭურვილნი.[7]

მესამე დონეს (რგოლს) წარმოადგენს ადმინისტრაციული სასამართლო უმაღლესი ორგანო - სახელმწიფო საბჭო. სახელმწიფო საბჭო პირველი ინსტანციით განიხილავს საჩივრებს პრეზიდენტის დეკრეტებსა და ორდონანსებზე, მინისტრების აქტებზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტის მიღება შეიძლება მხოლოდ უმაღლესი სასამართლოს დასკვნის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ. საბჭო აგრეთვე ახორციელებს დეკრეტებისა და ორდონანსების განმარტებას, მათი კანონიერების შემოწმებას. სახელმწიფო საბჭო აგრეთვე წარმოადგენს აპელაციისა და კასაციის ორგანოს ტრიბუნალებისთვის, საბიუჯეტო და ფინანსური დისციპლინების სასამართლოებისათვის და სხვ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საბჭო იხილავს სააპელაციო საჩივრებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მუნიციპალიტეტის არჩევნების კანონიერებასთან. აღნიშნული გამონაკლისი განპირობებულია სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვანობით.[8] ისტორიულად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთადერთ ადმინისტრაციულ სასამართლო დაწესებულებას სახელმწიფო საბჭო წარმოადგენდა. სხვა

---

[1] *Бонналь Н.* Административные и финансовые суды // Судебная система и судебные учреждения / Под ред. П. Трюша / Посольство Франции в России. – М.: Гнозис/Логос, 2003. – С. 57.

[2] *Маклаков В.В.* Административная юстиция во Франции // Правовые исследования во Франции: Сб. науч. тр. / РАН. ИНИОН. Центр социальных науч.-информ.исслед. отд. правоведения; под общ. ред. В.В. Маклакова. – М., 2007. – С. 131.

[3] Tribunaux administratifs / Conseil d'État // <http://www.conseil-etat.fr/fr/cour-supreme>.
http://www.conseil-etat.fr/Tribunaux-Cours/Organisation
http://www.conseil-etat.fr/Conseil-d-Etat/Demarches-Procedures/Decouvrir-la-justice-administrative-et-son-organisation

[4] Tribunaux administratifs / Conseil d'État // <http://www.conseil-etat.fr/fr/cour-supreme

[5] *Маклаков В.В.* Административная юстиция во Франции // Правовые исследования во Франции: Сб. науч. тр. / РАН. ИНИОН. Центр социальных науч.-информ.исслед. Отд. правоведения; под общ. ред. В.В. Маклакова. – М., 2007. – С. 136.

[6] *Бонналь Н.* Административные и финансовые суды // Судебная система и судебные учреждения / Под ред. П. Трюша / Посольство Франции в России. – М.: Гнозис/Логос, 2003. – С. 58.

[7] https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070933

[8] *Бонналь Н.* Административные и финансовые суды // Судебная система и судебные учреждения / Под ред. П. Трюша / Посольство Франции в России. – М.: Гнозис/Логос, 2003. – С. 55.

ადმინისტრაციული სასამართლო ორგანოები შეიქმნა უფრო გვიან, რათა განტვირთულიყო უმაღლესი სახელმწიფო საბჭო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უმაღლესი საბჭო თავის ფუნქციას ახორციელებს, როგორც ადმინისტრაციული სასამართლო და საფრანგეთის მთავრობის საკონსულტაციო ორგანო, აგრეთვე ის ახორციელებს მთლიანი ადმინისტრაციული სასამართლო სისტემის მართვას.[1]

ადმინისტრაციული დავების განსახილველად სახელმწიფო საბჭოში შექმნილია სპეციალური სასამართლო სექცია, რომელიც ქვესექციებისაგან შედგება. დავის ხასიათიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია ქვესექციას, ორ ქვესექციას გაერთიანებულად, სასამართლო სექციას ან სახელმწიფო საბჭოს საერთო კრებას.

ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეები კომპლექტდებიან ნაციონალური ადმინისტ-რაციული სკოლის კურსდამთავრებულთაგან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან, სახელმწიფო მოხელეთაგან, საერთო სასამართლოთა მოსამართლეთაგან, უნივერსიტეტის პედაგოგებისაგან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები-საგან. ადმინისტრაციულ სასამართლოთა განსახილველ კატეგორიებს განეკუთვნება რიგი საჯარო სამართლებრივი საქმეები, დავები უფლებამოსილების გადამეტებასთან, უკანონო მმართველობითი აქტების გაუქმებასთან დაკავშირებით, სრული იურისდიქციის დავები, მმართველობის სამართლებრივი აქტების განმარტების საქმეები.

ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამართლებრივი აქტი მიღებული მმართველობის სფეროში, ინდივიდუალური თუ ნორმატიული, ვინაიდან საფრანგეთში მოქმედებს საერთო (ზოგადი) კლაუზულა. გამონაკლისს წარმოადგენს მთავრობის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ და მიმართულნი არიან თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე დისციპლინარული ხასიათის აქტები, რომლებიც მიიღება სკოლებსა და პენიტენციარულ დაწესებულებებში.[2]

ადმინისტრაციული აქტების გაუქმებასთან დაკავშირებული საქმის წარმოება იწყება მოქალაქის ან ორგანიზაციის საჩივრის საფუძველზე. ფრანგულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ლიტერატურაში ასეთი დავების ობიექტურ ხასიათზე ხდება ხაზგასმა, ვინაიდან ისინი მიმართულნი არიან სახელმწიფოში კანონიერების აღდგენისაკენ, ასეთ დავებს საჯარო ხასიათის საჩივრებს უწოდებენ. სასამართლოში ასეთი საჩივრის შეტანა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. სრული იურისდიქციის დავების განხილვისას მომჩივანი, ვისი უფლებებიც იყო დარღვეული, აღწევს ორ მიზანს უკანონო აქტის გაუქმება ან შეცვლა და ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სასამართლოს გააჩნია რეფორმაციული უფლებამოსილება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მიმართ. ფრანგული ადმინისტრაციული იუსტიციის თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ შესაძლებელია სასამართლოსადმი მიმართვა ადმინისტრაციული აქტის განმარტების მიზნით, რაც ადმინისტრაციული ნორმების სწორ გამოყენებას უწყობს ხელს.[3]

რაც შეეხება ფრანგული ადმინისტრაციული იუსტიციის ნაკლოვანებებს, შეიძლება აღვნიშნოთ საქმის განხილვის ხანგრძლივობა საშუალოდ ორ წლამდე, რაც გამოწვეულია საჯარო სამართლებრივი საჩივრების სიმრავლით და აგრეთვე სასამართლო სისტემის ორდონიანობით, გარკვეულ სირთულეებს იწვევს იურისდიქცია ვისი განსახილველია კონკრეტული საქმე საერთო სასამართლოების თუ ადმინისტრაციული სასამართლოების.

ადმინისტრაციული იუსტიციის შექმნა გამორიცხავს მმართველობითი ბიუროკრატიული აპარატის მიერ სამოქალაქო უფლებების ხელყოფას. ადმინისტრაციული სასამართლო ნეიტრალური და კვალიფიციური იურიდიული დაწესებულებაა, რომელიც კანონის ზუსტი შესაბამისობით გადაწყვეტს ადმინისტრაციულ დავას.[4]

კონტინენტურ ევროპაში ძირითადად გავრცელებულია ადმინისტრაციული იუსტიციის ორი განსხვავებული თეორია: ფრანგული და გერმანული, მათ შორის განსხვავება არის ის, რომ გერმანული - ადმინისტრაციული იუსტიციის საფუძვლად მიიჩნევს დაყოფას საჯარო და კერძო სამართლის დარგებად, ხოლო ფრანგულისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს დაყოფა სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად. ალბათ დადგა დრო, რომ მოხდეს ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემების სიღრმისეული ანალიზი და შემდგომ რომელიმე სისტემის ან გარკვეული ჰიბრიდის დანერგვა საქართველოში, რაც უდავოდ დადებით როლს შეასრულებს ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში და აღკვეთს ადმინისტრაციულ ორგანოთა უკანონო ქმედებებს.

---

[1] Gérer la juridiction administrative / Conseil d'État // <http://www.conseil-etat.fr/fr/gerer>.

2. Николаева Л.А., Соловьева А.К. Административная юстиция и административное судопроизводство: зарубежный опыт и российские традиции: Сборник. – СПб.: Издательство Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2004;

3 Судебные системы Западных государств. М., 1991.

[4] ვ. ლორია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი. თბ. 2005. გვ. 352

ლიტერატურა:
1. Загранчук А. А. Понятие, признаки и значение института административной юстиции // Молодой ученый. — 2014. — №17.
მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.].
2. სუხიაშვილი ზაზა. ადმინისტრაციული იურისდიქცია // ალმანახი №17, [ადმინისტრაციული სამართალი],– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2001.
3. Николаева Л.А., Соловьева А.К. Административная юстиция и административное судопроизводство: зарубежный опыт и российские традиции: Сборник. – СПб.: Издательство Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2004;
4. *Бонналь Н.* Административные и финансовые суды // Судебная система и судебные учреждения / Под ред. П. Трюша / Посольство Франции в России. – М.: Гнозис/Логос, 2003. – С. 57.
5. *Маклаков В.В.* Административная юстиция во Франции // Правовые исследования во Франции: Сб. науч. тр. / РАН. ИНИОН. Центр социальных науч.-информ.исслед. отд. правоведения; под общ. ред. В.В. Маклакова. – М., 2007.
6. Tribunaux administratifs / Conseil d'État // <http://www.conseil-etat.fr/fr/cour-supreme>. http://www.conseil-etat.fr/Tribunaux-Cours/Organisation
http://www.conseil-etat.fr/Conseil-d-Etat/Demarches-Procedures/Decouvrir-la-justice-administrative-et-son-organisation.
7. https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070933
8. Gérer la juridiction administrative / Conseil d'État // <http://www.conseil-etat.fr/fr/gerer>.
9. Николаева Л.А., Соловьева А.К. Административная юстиция и административное судопроизводство: зарубежный опыт и российские традиции: Сборник. – СПб.: Издательство Р. Асланова «Юридический центр Пресс», 2004;
10. Судебные системы Западных государств. М., 1991.
11. Старилов Ю.Н. Административная юстиция. Проблемы теории Воронеж, 1998.
12. ვ. ლორია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი. თბ. 2005.

Davit Khobelia
Akaki Tsereteli State University

ADMINISTRATIVE JUSTICE SYSTEM IN FRANCE

RESUME

The creation of administrative courts implies that administrative proceedings will be carried out by the administrative judge in a special, neutral body separated from the governing bodies. Execution of the proceedings in an administrative court must be executed in an administrative procedure that ensures operational, speed and legitimacy. The neutral administrative court will have more opportunity to find moments between the parties to the dispute. Administrative Justice Authorities do not interfere in the executive-management activities of the government, they only discuss administrative disputes. Administrative justice is a special kind of court activity taking into consideration the basic elements of the trial.